არჩილ ჩაჩხიანი

რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები)

თბილისი
2014

ტ.ბ. 3-01.33

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
გენერალური შტაბის უფროსის
2014 წლის 25 იანვრის
№73 ბრძანებით

არჩილ ჩაჩხიანი

რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები)

თბილისი
2014

UDC (უაკ)355.48(479.22:470)+327.2(470)
ჩ-329

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი.

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ გამახარია.
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა.

წინამდებარე ნაშრომი სამხედრო-სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა, რომელშიც მდიდარ წყაროთ-მცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული თვალსაზრისით პირველადაა წარმოდგენილი 1918-1920 წლებში ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში.

განხილულია ბოლშევიკური რუსეთისა და თეთრგვარდიული მოძრაობის იმპერიული ექსპანსიონიზმის არსი, ამ იდეოლოგიით გამყარებული სამხედრო-პოლიტიკური აგრესია პირველ ქართულ რესპუბლიკასთან მიმართებაში. ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ამიერკავკასიაში ბრიტანული საოკუპაციო ჯარების ფაქტორს და მისი სარდლობის ორსახოვან პოლიტიკას.

წარმოდგენილი სამხედრო ხასიათის საარქივო დოკუმენტაციის (ფოტომასალა, პატაკები, მოხსენებითი ბარათები, ოპერატიული შიფროგრამები, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომების ოქმები და სხვა) დიდი ნაწილი პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში, რომელთა ანალიზის საფუძველზე განხილულია 1918-1920 წლებში სოხუმისა და სოჭის ოლქებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები – ბოლშევიკთა წითელგვარდიული რაზმების, თეთრგვარდიული ნაწილებისა და ქართული საჯარისო შენაერთების მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები. ჩატარებულია რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი, ხოლო სამხედრო ხელოვნების კუთხით – ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და მეცნიერ-ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე სამხედრო ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორი დიდი ინტერესით მიიღებს მკითხველთა მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

გამოცემის რედაქტორი: ქეთევან ოსეფაიშვილი.
ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი,
ვიცე-პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე.
სტილისტი: თინათინ პავლიაშვილი.
დამკაბადონებელი: სოფიო გოცაძე.

ავტორი: ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი არჩილ ჩაჩხიანი.

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.
© არჩილ ჩაჩხიანი, 2014.

ISBN 978-9941-0-5988-9

ეძღვნება აფხაზეთისათვის დაღუპული
გმირების ხსოვნას

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან ---------- 7

თავი I

ბოლშევიკები და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" კონცეფცია

§1. I მსოფლიო ომი და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" კონცეფცია ---------- 11
§2. ოქტომბრის გადატრიალება და ბოლშევიკური წითელი გვარდია ---------- 18
§3. შოვინისტური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ნიმუში ---------- 28
§4. აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ისტორიისათვის ---------- 285
ფოტომასალა ---------- 42

თავი II

ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესია აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში

§1. აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის სათავეებთან ---------- 60
§2. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში ---------- 68
§3. ბოლშევიკური აგრესიის დასაწყისი აფხაზეთში ---------- 81
§4. „ბოლშევიკური რევოლუციის" მეორე ტალღა აფხაზეთში ---------- 92
§5. სამოქმედო რაიონი ---------- 99
§6. ამიერკავკასიის წითელი გვარდია და საბრძოლო მოქმედებები ---------- 100
§7. ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ---------- 112
§8. საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია ---------- 118
§9. ქართული ქვედანაყოფების წინსვლა და ოსმალური დესანტის საკითხი ---------- 127
§10. სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაცია ---------- 143
§11. სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაციის ტაქტიკური ანალიზი ---------- 156
§12. პოლიტიკური ანალიზი ---------- 16060
ფოტომასალა ---------- 167

თავი III

თეთრგვარდიელთა შეიარაღებული აგრესია აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში

§1. თეთრგვარდიული მოძრაობა და „მოხალისეთა არმია" ---------- 198
§2. პირველი კონტაქტები ---------- 206
§3. ერთიანი და განუყოფელი... ---------- 213

§4. „წითლები” და „თეთრები” – საორგანიზაციო ცვლილებები ---------- 223
§5. „თეთრები” და დაშნაკური ფაქტორი ---------- 227
§6. I მსოფლიო ომის დასრულება და ბრიტანელები ამიერკავკასიაში ---------- 232
§7. დაშნაკები და ბრიტანული ფაქტორი ---------- 237
§8. ბრიტანულ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ---------- 246
§9. დენიკინელთა სამხედრო აგრესიის დასაწყისი ---------- 252
§10. სოჭი-ადლერის თავდაცვითი ბრძოლის პერიპეტიები საარქივო დოკუმენტებში ---------- 260
§11. „მოხალისეთა არმიის” შეტევითი ოპერაციის ტაქტიკური ანალიზი ---------- 264
§12. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია და იმედგაცრუებული საქართველო ------- 268
ფოტომასალა ---------- 276

თავი IV

ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებები და აფხაზეთის დაბრუნება

§1. ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადება და ჯარების მართვაში არსებული დაპირისპირება ---------- 2965
§2. „ძველი წესრიგის” რესტავრაციის მცდელობა და მოსახლეობის პროტესტი ---------- 300
§3. დენიკინი და „მწვანე არმია” ---------- 304
§4. გაგრის შეტევითი ოპერაცია ---------- 309
§5. გაგრის შეტევითი ოპერაციის ტაქტიკური ანალიზი ---------- 321
§6. დენიკინი და „შავი ზღვის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტი”---------- 325
§7. ბოლშევიკების მეორედ შემოსვლა ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში ---------- 344
§8. ორმაგი გარშემორტყმის სტრატეგია – საქართველო „გრდემლსა და ურუს” შორის ------- 342
§9. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ---------- 354
§10. ბოლშევიკთა „მეხუთე კოლონა" საქართველოში – ახალი საფრთხეები ---------- 360
ფოტომასალა ---------- 368

დასკვნა ---------- 387
ფოტომასალა ---------- 387

Резюме ---------- 401
Summary ---------- 405

გამოყენებული ქართულენოვანი ლიტერატურა და საარქივო დოკუმენტები ---------- 411
გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა და წყაროები ---------- 418

რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო!

თქვენს წინაშეა ისტორიის დოქტორის, პოლკოვნიკ არჩილ ჩაჩხიანის მორიგი წიგნი, რომელიც მოგვითხრობს რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებსა და აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთის რეგიონ-ში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ 1918-1920 წლებში.

აღსანიშნავია ის გარემოება რომ, როდესაც სამხედრო საკითხებს ისტორიკოსი იკვლევს, ყოველთვის ჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ანალოგიურად, სამხედრო სპეციალისტების მიერ ისტორიის ლაბირინთებში წვდომა მრავალი ფაქტობრივი შეცდომის დაშვებასთან არის ხოლმე დაკავშირებული. წინამდებარე მონოგრაფიის გაცნობისას ორივე ეს პრობლემა უმალ მოიხსნება. ნაშრომის ავტორი არის როგორც მეცნიერი – ისტორიკოსი, ასევე პროფესიონალი სამხედრო, პოლკოვნიკი, რომელიც სიღრმისეულად გადმოგვცემს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პერიოდის მოვლენებს.

მკვლევარმა არქივებში დაუნჯებული დოკუმენტური წყაროები დღის სინათლეზე გამოიტანა და მრავალ კარდინალურ პრობლემას, რომლებიც დღემდე ზედაპირულად იყო შესწავლილი, სათანადო კვალიფიციური ახსნა მოუძებნა. ავტორის მძაფრი კრიტიკის ობიექტია ყველა ის ,,ვაი-მეცნიერი'', რომელსაც ,,საქართველოზე უჭირავს თვალი''. განსხვავებული შეხედულებები, განსხვავებული პოზიცია, დაუფარავი და არა მინიშნებული ნათქვამი. ასეთია ჩვენი ავტორის ბუნება და მის სათქმელად მეცნიერულ ალღოსთან ერთად ვაჟკაცობაც არის საჭირო, რის ნაკლებობასაც იგი ნამდვილად არ განიცდის.

ის, რაც ვერ შეძლეს ,,წითელ პროფესორთა'' თაობებმა, თუნდაც მათთვის მისაღები ფორმით აეხსნათ ბოლშევიკებისა და თეთგვარდიელების, მათი სამხედრო და იდეოლოგიური ლიდერების მიერ საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული მთელი რიგი მტრული პოლიტიკური ნაბიჯები, ბატონმა არჩილმა შესაშური ანალიტიკური აზროვნების უნარით ისტორიის მრავალ ,,თეთრ ლაქას'' მოუნახა გასაღები და ნათელი გახადა ფართო საზოგადოებისათვის. რეალურად ,,გამოკვეთა'' ბოლშევიკური და თეთრგვარ-დიული მოძრაობის ბელადთა ჭეშმარიტი სახე. ოსტატურად ჩამოხსნა ნიღბები ,,პროფესიონალი რევოლუციონერების'' – ეფრემ ეშბას, ნესტორ ლაკობასა და გევორქ ათარბეგიანის პერსონებს. დღის სინათლეზე გამოიტანა მათი კულისებსმიღმა საქმიანობა. წიგნში ასევე სრულადაა წარმოდგენილი თეთრგვარდიული მოძრაობის ლიდერების, გენერალ მიხაილ ალექსეევისა და გენერალ ანტონ დენიკინის სტრატეგიული გეგმები საქართველოსთან მიმართებაში, მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების შენაერთებისა და ნაწილების საბრძოლო აქტივობა.

ნაშრომში უხვად წარმოდგენილი საარქივო მასალებისა და დოკუმენ-ტების შესწავლის საფუძველზე განხილულია აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (სოხუმისა და სოჭის ოლქები) 1918-1920 წლებში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები. სამხედრო ხელოვნების კუთხითაა ჩატარებული ცალკეული ბრძოლების, სამხედრო ოპერაციებისა და კამპანიების ანალიზი. წიგნი უხვადაა დასურათებული ისტორიული პერსონაჟებისა და მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ფოტომასალით, რაც ერთიორად ზრდის ნაშრომის შემეცნებით ღირებულებას. წიგნში მოყვანილი ფოტოდოკუმენტების გარკვეული ნაწილი პირველადაა წარმოდგე-ნილი მკითხველის წინაშე.

გამოკვლევაში გახსნილია კოდი საბჭოთა რეჟიმის პერიოდში ტაბუდა-დებული მთელი რიგი საკითხებისა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი აქვს დარქმეული. და აქ უნებურად მახსენ-დება ოლღა ბერგოლცის სიტყვები: ,,არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული''...

წიგნი დაწერილია დახვეწილი ქართულით. ისტორიული კატაკლიზ-მების რთული ნიუანსები, საოცარი ექსპრესიითა და ადვილად აღსაქმელი ტერმინებით არის გაჯერებული. მისი წაკითხვისას ტერმინოლოგიისა და უცხო ენათა ლექსიკონის გამოყენება ნამდვილად არ დაგჭირდებათ, რადგან ყველაფერი ადგილზევე არის განმარტებული.

ბატონ არჩილ ჩაჩხიანის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია ქართული ისტორიული და სამეცნიერო ლიტერატურის უდავოდ ღირებული შენაძენია. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ნაშრომს სიამოვნებით გაეცნობიან ჭეშმა-რიტების მაძიებელი სამეცნიერო წრეები და მკითხველთა ფართო საზოგა-დოება.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი

თავი I

ბოლშევიკები და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის” კონცეფცია

„მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე...”

ვ. ი. ლენინი. 1915 წელი.

§1. I მსოფლიო ომი და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის” კონცეფცია

ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ლენინისა და მისი თანამებრძოლების წინაშე დაუყოვნებლივ დადგა დღის წესრიგში რუსეთის I მსოფლიო ომიდან გამოყვანის საკითხი. ამ მიზნით, უკვე 1917 წლის 9 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში ერთის მხრივ საბჭოთა რუსეთის, მეორეს მხრივ კი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და ბულგარეთის მონაწილეობით იწყება სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი. საბჭოთა მხარეს ადოლფ იოფე[1] ხელმძღვანელობდა.

15 დეკემბერს მოლაპარაკებები შეწყდა, მაგრამ მალევე განახლდა. ამჯერად საბჭოთა დელეგაციას რუსეთის საგარეო საქმეთა (მოგვიანებით სამხედრო საქმეთა) სახალხო კომისარი ლევ ბრონშტეინ-ტროცკი[2] ჩაუდგა სათავეში. რუსეთისათვის უმძიმესი საზავო პირობებიდან გამომდინარე, ტროცკიმ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე. შედეგი – „არც ომი, არც მშვიდობა”...

ბოლშევიკთათვის კი, საზავო პირობები მართლაც სამარცხვინო და უმძიმესი იყო – მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკარგვა, ჯარების დემობილიზაცია და დიდი კონტრიბუცია.

„რა თქმა უნდა, ის ზავი, რომელსაც ჩვენ დავდებთ, სამარცხვინო ზავი იქნება, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია დროის მოგება სოციალური რეფორმების განსახორციელებლად; ჩვენთვის აუცილებელია განვმტკიცდეთ, ამას კი დრო სჭირდება, ამისთვის კი აუცილებელია საბოლოოდ მოვაშთოთ ბურჟუაზია, ამისათვის კი აუცილებელია, რომ ჩვენ ორივე ხელი თავისუფალი გვქონდეს. ამას რომ ვიზამთ, ჩვენ გავითავისუფლებთ ორივე

---

[1] ადოლფ აბრამოვიჩ იოფე (1883-1927) – რუსეთის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, საბჭოთა დიპლომატი და პარტიული მოღვაწე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1903 წლიდან, მენშევიკი. 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1906-1907 წლებში რსდმპ საზღვარგარეთული ბიუროს წევრი. 1908 წელს ლევ ბრონშტეინ-ტროცკისთან ერთად ვენაში გამომავალი გაზეთ „Правда”-ის გამომცემელი. ტროცკის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. 1917 წლიდან ბოლშევიკი, რუსეთის ბოლშევიკთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რსდმპ(ბ) წევრი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. 1917 წლის აგვისტოდან პეტროგრადის საქალაქო დუმის წევრი, ბოლშევიკური ფრაქციის თავმჯდომარე. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი, ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების აქტიური მონაწილე და ფორმალური ხელმძღვანელი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1918 წლის აპრილი-დეკემბრის პერიოდში საბჭოთა რუსეთის ელჩი გერმანიაში.

[2] ლევ დავიდოვიჩ ტროცკი (ბრონშტეინი) (1879-1940) – მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, ლიტერატორი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რეპორტიორი, გაზეთ „Искра”-ის კორესპონდენტი და რედკოლეგიის წევრი. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შესახებ გამოცემული კაპიტალური ნაშრომებისა და სტატიების ავტორი. IV ინტერნაციონალის მთავარი თეორეტიკოსი და შემქმნელი. ძველი რევოლუციონერი, რსდმპ წევრი – მენშევიკი. 1905 წელს მის მიერ შექმნილი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელი. 1908 წლიდან ემიგრაციაშია. 1908-1912 წლებში ვენაში გმომავალი გაზეთ „Правда”-ის გამომცემელი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში. 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრია, საბჭოების მე-2 ყრილობისა და დამფუძნებელი კრების დელეგატი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის (კომინტერნი) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და იდეოლოგი, კომინტერნის აღმასკომის წევრი. საბჭოთა რუსეთის მთავრობის პირველი შემადგენლობის წევრი, 1918-1925 წლებში საბჭოთა რუსეთის, შემდგომ კი, საბჭოთა კავშირის საგარეო და შემდგომ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, რსფსრ სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. 1923 წლიდან შიდა პარტიული მემარცხენე ოპოზიციის ლიდერი. 1919-1926 წლებში კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი. 1927 წელს მოხსნილ იქნა ყველა დაკავებული თანამდებობიდან და გაგზავნილ იქნა გადასახლებაში. 1929 წელს გაძევებულ იქნა საბჭოთა კავშირიდან, 1932 წლიდან ჩამოერთვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. 1940 წლის 20 აგვისტოს მოკლულ იქნა მექსიკაში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) აგენტის მიერ.

ხელს და მაშინ შევძლებთ ვაწარმოოთ რევოლუციური ომი საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ... ჩვენთვის მნიშვნელოვანია თავი შევიმაგროთ საერთო სოციალისტური რევოლუციის დაწყებამდე, ამას კი მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მივაღწიოთ, როცა ზავს დავდებთ",[1] – აცხადებდა ლენინი 1918 წლის 11 (24) იანვარს გამართულ რუსეთის ბოლშევიკთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის – რსდმპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას.

ბრესტ-ლიტოვსკის პროცესებთან დაკავშირებით სწორად აფასებდნენ შექმნილ მდგომარეობას ქართველი პოლიტიკოსები და ქართული ოფიციოზი. მათ მიერ სწორად იქნა პროგნოზირებული ის მდგომარეობა, რომ ლენინს ზავის დადება I მსოფლიო ომიდან გამოსვლისა და სამოქალაქო ომის დაწყების საშუალებას მისცემდა, რასაც დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა „სოციალურ რევოლუციის ცეცხლის დანთება". ეს იყო მთავარი და არსებითი ლენინისა და მისი თანამოაზრეების სტრატეგიაში. გაზეთ „საქართველოს" 1918 წლის 10 თებერვლის ნომერში, რედაქტორის სვეტში ვკითხულობთ:

„ბოლშევიკებისაგან დაპირებული ზავი „ქეციანი" გამოდგა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ცხადია ზავს ვერ შეჰკრავდა ისეთი მთავრობა, რომელიც თვით ამ ომის ინსტინქტებითაა გაჟღენთილი. ასეთია ლენინის მთავრობა. ამ ტირანის თავში ევროპის დიდი ომი მხოლოდ ერთი ეპიზოდი, მხოლოდ შესავალი იყო იმ დიდი სამოქალაქო ომისა, რომლისკენაც ის მოუწოდებდა მთელ ევროპას და ყველაზე უწინ კი მას, ვისთანაც აპირებდა ზავის ჩამოგდებას – გერმანიას. შეკვრა ზავისა და იმ დღესვე სოციალურ რევოლუციის ცეცხლის დანთება, აი რაზე ოცნებობდნენ ბოლშევიკის დიპლომატები".[2]

1918 წლის 3 მარტს რუსეთის დელეგაციამ, ამჯერად გრიგორი სოკოლნიკოვის[3] ხელმძღვანელობით, ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის რუსეთისათვის სამარცხვინო, კაპიტულანტურ, ამიერკავკასიისათვის კი აბსოლუტურად მიუღებელ შეთანხმებას, რასაც რუსეთის I მსოფლიო ომიდან გამოთიშვა მოჰყვა შედეგად. ამ ზავით საბჭოთა რუსეთმა ფაქტიურად დროებით, მართალია მცირე ხნით და დიდი დანაკარგების ფასად, მაგრამ მაინც გარკვეულწილად მოაგვარა საგარეო პრობლემები, რამაც ლენინსა და მის თანამებრძოლებს „დიდი ოქტომბრის მონაპოვრების" განმტკიცებისა და განვრცობისათვის ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. და დღის წესრიგშიც დაუყოვნებლივ დადგა „საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ომის" წარმოება. „რევოლუციურ ომს" კი, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა გვამებზე უნდა გაევლო. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ – „ბურჟუაზია საბოლოოდ უნდა მოშთობილიყო", განადგურებულიყო. ფაქტია, რომ ბოლშევიკთა მიერ რუსეთი და მისი მოსახლეობა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის ღრმა წყვდიადისათვის იქნა გაწირული. თუმცა, „ოქტომბრის მონაპოვრების" განმტკიცებისათვის ბრძოლა არც ამ აქტის ხელმოწერით დაწყებულა და არც მისით დასრულებულა. სამოქალაქო ომისათვის მზადებასა და ამ საკითხთან მიმართებაში ბოლშევიკთა სტრატეგიის თეორიული საფუძვლების ჩაყრას ლენინი და მისმა თანამოაზრეები ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე შეუდგნენ.

ფაქტია, რომ I მსოფლიო ომის დაწყებამ ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია მარქსისტული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დებულება მუშათა საერთაშორისო სოლიდარობისა და კაპიტალიზმთან ბრძოლის ინტერნაციონალური ფრონტის ერთიანობის

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 36. გამოცემა მეოთხე. საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1959. გვ. 541-542.

[2] თავისუფალი კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო". შაბათი, 1918 წლის თებერვლის 10. №33. გვ. 1.

[3] გრიგორი იაკოვლევიჩ სოკოლნიკოვი (ნამდვილი გვარ-სახელი გირშ იანკელევიჩ ბრილიანტი, 1888-1939) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, რსდმპ წევრი. რსდმპ(ბ) ცეკას წევრი 1917-1919, 1922-1930 წლებში, რსდმ(პ) ცეკას პოლიტბიუროს წევრი (1917 წლის ოქტომბერი), ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი, მე-2 და მე-7 მოწვევების წევრი, ცეკას წევრობის კანდიდატი 1930-1936 წლებში.

შესახებ. „ევროპული აჩრდილის" იდეოლოგიის ქვეშ „ყველა ქვეყნის პროლეტარებმა" ვერ შეძლეს შეერთება და ერთიანობის შენარჩუნება. კაცობრიობამ კი შეძლო თავი დაეღწია „მატერიალისტური წუმპისათვის", როგორც ამას თავის დროზე დიდი პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე[1] წინასწარმეტყველებდა რაიხსტაგში თავისი უკანასკნელი გამოსვლისას, 1890 წლის 14 მაისს... და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი" დამყარდა. დაიწყო დასავლურ ისტორიოგრაფიაში „დიად ომად" (The Great War) წოდებული I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწევდა. აკი სწორედ ფონ მოლტკე შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული აზრის მთავარ აპოლოგეტად და წინასწარმეტყველად, როცა სტრატეგიული გარშემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციებს უყრიდა საფუძვლებს. და ამავე დროს კაცთა მოდგმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს – „ომი ღმერთისაგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე – სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა"[2] – წერდა იგი.

ღმერთისაგან მართულ სამყაროში ომის როლსა და I მსოფლიო ომში „ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა" რა მოგახსენოთ, მაგრამ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოწყობის გზა კი ნამდვილად შეიცვალა. და ამ ცვლილებების პიონერებად რუსეთი და რუსი ბოლშევიკები იქცნენ. ევროპაში კი, ნაციონალური სიამაყის გრძნობამ გვერდზე გადასწია მარქსისტული ინტერნაციონალიზმის იდეები, რომლისადმი ერთგულების შენარჩუნებაც რადიკალურად განწყობილი სოციალისტების მხოლოდ მცირე ჯგუფმა შეძლო. ევროპის მუშათა მოძრაობა კი, II ინტერნაციონალის დაარსებიდან ყველაზე დიდი განხეთქილების ფაზაში შევიდა. II ინტერნაციონალი I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიშალა, როდესაც მასში გაერთიანებულმა ყველა წამყვანმა პარტიამ, ბოლშევიკების გამოკლებით, მხარი თავიანთი ქვეყნების მთავრობებს დაუჭირა. ასე გაჩნდა რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მარგინალური იდეოლოგიის განმსაზღვრელი ტერმინები – „პორაჟენცები" და „ობორონცები". „პორაჟენცებად" რუსი ბოლშევიკები ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც I მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის დამარცხება და მსოფლიო ომის

---

[1] ჰელმუტ ფონ მოლტკე (1800-1891) – დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის იმპერიის ფელდმარშალი, რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. XIX საუკუნის უდიდესი სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგოსი. პრუსიის სამხედრო აკადემიის რექტორი და ომის კოლეჯის დამაარსებელი. პრუსიისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შემქმნელი. სამხედრო საქმეში ოპერაციების დაგეგმვის პროცედურებისა და სამხედრო თამაშების შემომტანი. XIX საუკუნის ახალი გერმანული და ევროპული აზრისა და სტრატეგიული შეტევითი კონცეფციის ავტორი. ჯარების სტრატეგიული მარშისა და მოკლევადიანი ომების წარმოების აპოლოგეტი. დანიის (1864), ავსტრიისა (1866) და საფრანგეთის (1871) წინააღმდეგ შემუშავებული საომარი გეგმებისა და ამ ომებში მიღწეული ტრიუმფალური გამარჯვებების ავტორი. ოტო ფონ ბისმარკთან და ალბრეხტ ფონ რუნთან ერთად გერმანიის იმპერიის (II რაიხის) შემქმნელი. პრუსიული სამხედრო რევოლუციის ფუძემდებელი. 1867-1891 წლებში გერმანიის რაიხსტაგის დეპუტატი კონსერვატიული პარტიიდან. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სამხედრო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის თემაზე გამოცემული რამოდენიმე წიგნის ავტორი. I მსოფლიო ომის ძირითადი სამხედრო სტრატეგიის თეორიული საფუძვლების ავტორი. კლაუზევიცთან და შლიფენთან ერთად ითვლება XIX საუკუნის უდიდეს სამხედრო თეორეტიკოსად.

[2] Makers of Modern Strategy from Machiavelli to the Nuclear Age. Edited by Peter Paret. Hajo Holborn. The Prusso-German school: Moltke and the Rise of the General Staff. Princeton University Press. Princeton. New-Jersey. 1986. Pg. 256.

რუსეთის სამოქალაქო ომად გადაქცევა დაისახეს მიზნად. რუსეთის სხვა სოციალისტური ტიპის პარტიები, და პირველ რიგში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მენშევიკური ფრთის წევრები კი, რომლებიც ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანას უჭერდნენ მხარს, „ობორონცებად" ჩამოყალიბდნენ. „პორაჟენცების" ლიდერს ლენინი წარმოადგენდა, „ობორონცებისას" კი – გიორგი პლეხანოვი[1] და ქართველი სოციალ-დემოკრატები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, I მსოფლიო ომთან დამოკიდებულება და რუსული სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური ფრთის სტრატეგიის შემუშავება ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის საწყის ეტაპზე დაიწყეს. მარქსისტული მოძღვრება ბოლშევიკებს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპებისადმი ერთგულებას ავალდებულებდა და რუსმა ბოლშევიკებმა, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, ომში მონაწილე ყველა ქვეყნის მუშათა „ინტერნაციონალური გაერთიანების" იდეა წამოაყენეს, რაც პირველ ეტაპზე მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას გულისხმობდა. მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის მთავრობების დამარცხება კი, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების წინაპირობად იქნა დასახული.

ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის სექტემბერში, ბერნში გამართულ ბოლშევიკთა შეხვედრაზე, შემდეგ კი ცეკას ისტორიულ მანიფესტში „ომი და რუსული სოციალ-დემოკრატია", რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის ცნობილი „თეზისები ომის შესახებ", ბოლშევიკებმა ნათლად ჩამოაყალიბეს თავისი პოზიციები და მოქმედებების ტაქტიკა ომთან, მშვიდობასთან და რევოლუციასთან მიმართებაში:

1. იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად და საკუთარი ქვეყნის მთავრობების დამხობა;
2. მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანების შექმნა, შოვინიზმის ნებისმიერი სახის წინააღმდეგ გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება, კოლონიათა ხალხების გათავისუფლება იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან;
3. ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექმნა. და მისი ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნგის „გერმანული, პოლონური, რუსული და ა.შ. რესპუბლიკების" პროპაგანდა.

ამასთან ერთად, ევროპის თითოეული სახელმწიფოს გადაქცევა ევროპის რესპუბ-ლიკურ შეერთებულ შტატებად".[2]

ხოლო იმავე წლის 21 ოქტომბერს გაზეთ „Голос"-ში დაბეჭდილ სტატიაში – „სიტყვა გ. ვ. პლეხანოვის რეფერატზე „სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ ომისადმი", ლენინი ხაზს უსვამს სოციალ-დემოკრატების მოვალეობასა და პროლე-ტარიატის ადგილს ამ ომში:

---

[1] გიორგი ვალენტინოვიჩ პლეხანოვი (1856-1918) – მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, რუსი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და სოციოლოგი. 1883 წელს რუსეთის პირველი მარქსისტული ორგანიზაციის, ხოლო 1894 წელს „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის" დამფუძნებელი. რუსეთისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი. რსდმპ მენშევიკური ფრთის ლიდერი და გაზეთ „ისკრის" ერთ-ერთი დამაარსებელი. რსდმპ მე-2 დამფუძნებელი ყრილობის ორგანიზატორი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას სოციალ-დემოკრატების „ობორონცული" პოლიტიკის გამტარებელი და დროებითი მთავრობის მიერ წარმოებული კურსის მხარდამჭერი. ვ. ი. ლენინის ცნობილი „აპრილის თეზისების" მგმობელი, რომელსაც იგი „ბოდვას" უწოდებდა. ბოლშევიკთა მიერ ხელისუფლების შეიარაღებული გზით მიტაცებისა და ოქტომბრის გადატრიალების ღია მოწინააღმდეგე. ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და იდეოლოგიური გზამკვლევი.

[2] В. И. Ленин. Сочинения, т. 21, стр. 4.

„მხოლოდ მაშინ ასრულებენ სოციალ-დემოკრატები თავიანთ მოვალეობას, როცა ებრძვიან თავიანთი ქვეყნის შოვინისტურ ხურვებას და ამ მოვალეობის შესრულების საუკეთესო მაგალითს სერბიელი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ.

პროლეტარიატმა არ უნდა დაივიწყოს მარქსის სიტყვები, რომ „მუშებს სამშობლო არა აქვთ", და მონაწილეობა უნდა მიიღოს არა იმაში, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ძველი ფარგლები დაიცვას, არამედ უნდა შექმნას სოციალისტური რესპუბლიკების ახალი ფარგლები. და პროლეტარიატის ფართო მასებს არ შეუძლიათ არ გაიგონ ეს თავიანთი უტყუარი ალღოთი. ის, რაც ახლა ევროპაში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა უცუდესი და, ამასთან ერთად, უაღრესად მტკიცე ცრურწმენათა სპეკულაცია. ჩვენი ამოცანა ის კი არაა, რომ მდინარებას გავყვეთ, არამედ ის, რომ ეროვნული, ცრუეროვნული ომი გადავაქციოთ პროლეტარიატის გადამწყვეტ შეტაკებად მმართველ კლასებთან".[1]

1915 წელს კი, I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ვ. ლენინმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სტრატეგიული ინტერესების არეალიც გააფართოვა. ამჯერად მის სამიზნეში არ მხოლოდ ევროპა, არამედ მთელი მსოფლიო აღმოჩნდა – „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ლოზუნგი „მსოფლიოს შეერთებული შტატები" სამართალიანი იქნება იმიტომ რომ, პირველ რიგში ის სოციალიზმს ერწყმის; მეორე კი ისაა, რომ მან შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ამ ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში".[2]

უმძიმესი და დამღლელი, გამანადგურებელი ომის მესამე წლის თავზე რუსი ჯარისკაცისათვის ომიდან რევოლუციური გამოსვლის პერსპექტივა რეალობად იქცა. ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი, ისარგებლა რა მემარცხენეთა გამოსვლებით, ლენინმა III ინტენაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის, ანუ „კომინტერნის" შექმნა დაისახა მიზნად, რომლის ამოცანასაც მსოფლიოს ყველა სოციალისტური პარტიის გაერთიანება და რევოლუციური მოძრაობის განვრცობა წარმოადგენდა.[3]

„რევოლუციური მოძრაობის განვრცობისათვის" ბოლშევიკებმა, რუსეთში არსებული საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური და ანტიხალხური ლოზუნგი: „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!".

თებერვლის დემოკრატიული რევოლუციიდან სულ მოკლე ხანში, 1917 წლის 3 აპრილს, სრულიად რუსეთის ბოლშევიკთა კონფერენციის მუშაობის ბოლო დღეს პეტროგრადში ემიგრაციიდან ლენინი ბრუნდება. ფაქტია, რომ ლენინის ეს ვოიაჟი ციურიხიდან რუსეთამდე და მასთან დაკავშირებული საკითხები დღესაც არაა ბოლომდე ცალსახად ნათელი. როგორ მოახერხა და ვის ინტერესებში შედიოდა ბოლშევიკთა

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 36. გამოცემა მეოთხე. საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1959. გვ. 324-325.

[2] В. И. Ленин. О лозунге Соединенные Штаты Европы. Социал-Демократ, № 44, 23 августа 1915 г. Печатается по тексту газеты „Социал-демократ". http://www.marxists. Org/russkij/ lenin/ 1915/08 /10a.htmH.

[3] Резников А. Б. О восточной политике Коминтерна. — В кн.: Коминтерн и Восток. Критика критики. М., 1978.

ლიდერის ესოდენ სარისკო გადაწყვეტილების რეალიზაცია? ისიც ფაქტია, რომ შვეიცარიიდან რუსეთამდე ლენინი ბერლინის თანხმობის გარეშე ვერ მოხვდებოდა, მას გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ტრიტორიები უნდა გაევლო და I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტი უნდა გადაელახა. აქ კი, ნათლად იკვეთება ის მოსაზრება, რომ გერმანიის ხელისუფლება ნამდვილად დაინტერესებული იყო ევროპაში მყოფი ემიგრანტი ბოლშევიკებისა და რევოლუციონერების რუსეთში დაბრუნებით მათი „პორაჟენცული" პოლიტიკის გამო.

ფაქტია, რომ რუსეთის I მსოფლიო ომიდან გამოთიშვა კაიზერისა და მისი გენერალიტეტისთვის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა. და გერმანელებმაც ლენინს დალუქული, საგულდაგულოდ დაცული დიპლომატიური სალონ-ვაგონი გამოუყვეს, რომელმაც დაუბრკოლებლად გადმოლახა I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტი და მშვიდობიანად ჩამოვიდა რუსეთში. დიდი მთავრის, ანდრეი ვლადიმეროვიჩის თქმით, „ლენინისა და მისი ამხანაგების ჩამოსვლა ვილჰელმისა და ჰინდენბურგისათვის[1] სასარგებლო რომ არ ყოფილიყო, მას არ გამოუყოფდნენ დიპლომატიურ ვაგონს. ამის შესახებ მეორე აზრი არ არსებობს. როდესაც გერმანელებმა ლენინის განკარგულებაში სალონი გამოყვეს, ისინი ანტიმილიტარისტული და სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ გერმანიისათვის სარგებლის მიცემის იდეით, როგორც ეს მათ, ჰინდენბურგებს ესმოდათ".[2]

როგორც რიჩარდ პაიპსი[3] (Richard Edgar Pipes) აღნიშნავს, გერმანელ ხელისუფალთ თავიც კი არ შეუწუხებიათ ლენინის პოლიტიკური პროგრამის შესწავლით, მათთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ლენინი და მისი თანამოაზრეები რუსეთის მხრიდან ომის გაგრძელების სასტიკი მოწინააღმდეგეები იყვნენ. გერმანელებმა ისიც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ეს ადამიანები ისეთივე „მეგობრები" იყვნენ მათთვის, როგორიც რუსული იმპერიალიზმისა. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ და განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახეს, რომ სულ მოკლე ხანში ბოლშევიკებმა ინტენსიური რევოლუციური პროპაგან-და თავად გერმანიაშიც გააჩაღეს, რასაც მალე „გერმანული რევოლუცია", I მსოფლიო ომში გერმანიის მარცხი და 1918 წლის ნოემბერში, რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლის-თანავე, ბოლშევიკთა მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დაუყოვნებლივი ანულირება მოჰყვა შედეგად.

---

[1] პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847-1934) – პრუსიელი იუნკერი, XIX-XX საუკუნეების დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის ეროვნული გმირი. ავსტრია-პრუსიის, (1866) საფრანგეთ-პრუსიისა (1870-1871) და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1893 წლიდან პოლკოვნიკი, 1897 წლიდან გენერალ-მაიორი, 1900 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი, კორპუსის სარდალი. 1903 წლიდან ინფანტერიის გენერალი. 1911 წლიდან თადარიგშია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით კადრში იწვევენ. ომის საწყის ეტაპზე აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი გერმანიის მე-8 არმიის წარმატებული სარდალი, 1914 წლის ნოემბრიდან ფელდმარშალი, ორი რუსული არმიის ფაქტობრივი განადგურების ტანენბერგის ოპერაციის გმირი. შემდეგ გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. 1916 წლის აგვისტოდან საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი და შემდეგ იმპერიის შეიარაღებული ძალების ფაქტობრივი მთავარსარდალი. 1918 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში მის მიერ შემუშავებული გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი კამპანიის ხელმძღვანელი დასავლეთის ფრონტზე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისიდან ისევ თადარიგშია. 1925-1934 წლებში გერმანიის რაიჰსპრეზიდენტია, სადაც ორჯერ ზედიზედ იქნა არჩეული. 1933 წელს მისი თანხმობით „ეკურთხა" გერმანიის რაიჰსკანცლერად ადოლფ ჰიტლერი და გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ.

[2] Великий князь Андрей Владимирович. Выдержки из дневника за 1917 год.

[3] რიჩარდ პაიპსი – ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რუსეთის ისტორიის საკითხებში, რუსეთის შემსწავლელი ცენტრის დირექტორი, სტენფორდის უნივერსიტეტთან არსებული რუსეთის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი. რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის აღიარებული სპეციალისტი.

საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად გახმაურებულ მოვლენად რჩება ის ფაქტიც, რომ ლენინთან ერთად, დალუქულ ვაგონებში კიდევ რამდენიმე ათეული ბოლშევიკი – „პორაჟენეცი რევოლუციონერი" იმყოფებოდა. ისინი ლენინთან ერთად მოემგზავრებოდნენ. ბოლშევიკების გარდა, გერმანიის გავლით რუსეთში ასევე დალუქული ვაგონებით 159 ესერი, მენშევიკი და სხვადასხვა ნაციონალური პარტიის წარმომადგენელიც ჩამოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის გაზაფხულზე გერმანელთა მიერ დიდი იდეოლოგიური დესანტირების ოპერაცია განხორციელდა – რუსეთში რევოლუციური და „პორაჟენცული" იდეოლოგიით შთაგონებულ პოლიტემიგრანტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი იქნა შემოგზავნილი.

მაშ ასე, 3 აპრილს პეტროგრადში, სადგურ „ბელოოსტროვში" რევოლუციონერებით დატვირთული დალუქული მატარებლის შემადგენლობა ჩამოდის. ლენინსა და ბოლშევიკთა ამ ჯგუფს სტალინი ხვდება, რომელიც სულ მცირე ხნის წინ იყო დაბრუნებული ტურუხანსკის გადასახლებიდან. მასთან ერთად სადგურზე იმყოფებოდნენ აგრეთვე მ. ულიანოვა,[1] ა. კოლონტაი[2] და სხვები. ბოლშევიკთა ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი ლენინს მხურვალე დახვედრას უწყობს. ფინეთის ვაგზალზე გამართული შეხვედრა კი, უფრო ხალხმრავალი და წარმომადგენლობითი იყო, სადაც მუშათა და ჯარისკაცთა ბრბოსთან ერთად, შეხვედრაზე მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატები და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მენშევიკი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.[3]

ჩხეიძე ლენინს შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„ამხანაგო ლენინ, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა და რევოლუციის სახელით მოგესალმებით... ჩვენ ვთვლით, რომ ამჟამად რევოლუციური

---

[1] მარია ილინიჩნა ულიანოვა (1878-1937) – ვლადიმერ ლენინის უმცროსი და, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. რსდმპ წევრი 1898 წლიდან. 1903 წლიდან ბოლშევიკი, რსდმპ(ბ) ცეკას სამდივნოს წევრი. 1917 წლიდან რსდმპ(ბ) ცეკას ბიუროს წევრი, 1918 წლის მარტიდან გაზეთ „პრავდის" პასუხისმგებელი მდივანი. 1925-1934 წლებში საბჭოთა კავშირის კომუმისტური პარტიის ცენტრალური კონტროლის კომისიის წევრი, 1932 წლიდან ცენტრალური კონტროლის კომისიის პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1935 წლიდან – სსრკ კომპარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

[2] ალექსანდრა მიხაილოვნა კოლონტაი (1872-1952) – რუსი რევოლუციონერი ქალი, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, საბჭოთა რუსეთის ფემინისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. 1901 წელს ჟენევაში ეცნობა პლეხანოვს, ხოლო 1905 წელს პეტერბურგში ლენინს. 1906 წლიდან რსდმპ წევრი – მენშევიკი, 1915 წლიდან რუსეთის ბოლშევიკთა რსდმპ(ბ) წევრი. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ოქტომბრის გადატრიალების მონაწილე, პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. საბჭოთა რუსეთის პირველი მთავრობის წევრი – „სახელმწიფო მზრუნველობის" სახალხო კომისარი.

[3] ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – რუსეთისა და საქართველოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი რევოლუციონერი. 1892 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასის" წევრი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1898 წლიდან, 1903 წლიდან მენშევიკი და რუსეთის მენშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-3 და მე-4 მოწვევების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან და ამავე დროს, 1912 წლიდან დუმის მენშევიკური ფრაქციის თავმჯდომარე. 1917 წლის თებერვლიდან პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმის (ფაქტობრივი პარლამენტის) თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისიდან – საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი. 1919 წლის 12 მარტიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) თავმჯდომარე. საქართველოს ბოლშევიუკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით, პარიზში, 1926 წელს.

დემოკრატიის მთავარ ამოცანას ჩვენი რევოლუციის როგორც შიგნიდან, ასევე გარედან დაცვა წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა არა გათიშვა, არამედ მთელი დემოკრატიის რიგების დარაზმვა... იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენც ჩვენთან ერთად იბრძოლებთ ამისათვის". მაგრამ ლენინმა დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი ჩხეიძესა და სხვა „ობორონცებს". შემდეგ კი, მღელვარე ჯარისკაცებისა და მატროსების ბრბოსკენ შეტრიალდა და მათ მიმართა „იმპერიალისტური ომის" დასრულებისა და „მსოფლიო პოლეტარული რევოლუციისათვის" ბრძოლის მგზნებარე მოწოდებით:

„ძვირფასო ამხანაგებო, ჯარისკაცებო, მატროსებო და მუშებო! ბედნიერი ვარ თქვენი სახით მივესალმო გამარჯვებულ რუსულ რევოლუციას, მოგესალმოთ თქვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარული არმიის მოწინავე რაზმს... მძარცველური იმპერიალისტური ომი მთელი ევროპის სამოქალაქო ომის დასაწყისია... და შორს არაა ის საათი, როცა ჩვენი ამხანაგის, კარლ ლიბკნეხტის[1] მოწოდებით ხალხები იარაღს თავიანთი კაპიტალისტი-ექსპლოატატორების წინააღმდეგ აღმართავენ...

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განთიადი უკვე დაიწყო... გერმანიაში ყველაფერი დუღს...

დღეს თუ არა, ხვალ, ევროპული იმპერიალზმის კრახი გარდაუვალია. და ამას რუსულმა რევოლუციამ დაუდო დასაბამი, რომელიც თქვენ მოახდინეთ.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!"[2]

§2. ოქტომბრის გადატრიალება და ბოლშევიკური ფითელი გვარდია

რუსეთის თებერვლის რევოლუციისა და მეფის გადადგომის შემდეგ, რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო სულისკვეთებასა და მორალურ მდგომარეობაზე. რუსულ ფრონტებზე შეუქცევადი პროცესები იწყება – ე.წ. „ჯარისკაცების დეპუტატათა საბჭოების" ჩამოყალიბება, გაუთავებელი მიტინგები და შეკრებები, პირად შემადგენლობაში რევოლუციური პროპაგანდა და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელება, მასობრივი დაუმორჩილებლობა, ჯარისკაცთა

---

[1] კარლ ლიბკნეხტი (1871-1919) – გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა და სოციალისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, ინტერნაციონალისტი, პროფესით ადვოკატი. კარლ მარქსის ნათლული და ნათლიის სეხნია. გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918 წლის დეკემბერი). სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1900 წლიდან. გერმანული კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის მხურვალე მხარდამჭერი. 1907 წელს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1912 წლიდან რაიხსტაგის წევრი. I მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ, გამოდიოდა ომის საწინააღმდეგო მოწოდებებით. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების მხურვალე მხარდამჭერი. 1919 წლის იანვრიდან როზა ლუქსემბურგთან ერთად გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

[2] Суханов Н. Н. Записки о революции. Книга 3. Создание единого фронта крупной и мелкой буржуазии 3 апреля - 5 мая 1917 года.

დიდი ნაწილის მიერ ბრძანებების შეუსრულებლობა და საწესდებო ურთიერთობების მოშლა, დეზერტირობა, მოწინააღმდეგე მხარის ჯარისაკაცებთან მასიური „დაძმობილებები", ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კი ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა. მთელი რუსეთი და ამიერკავკასია განუკითხაობამ და სრულმა ქაოსმა მოიცვა...

რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები მასიურად, ასობით და ათასობით იხსნებოდნენ ფრონტებიდან და ყველანაირი გზებითა და საშუალებებით ცდილობდნენ რუსეთში დაბრუნებას რევოლუციის მონაპოვრების დაცვის საბაბით. სწორედ ეს ჯარისკაცები წარმოადგენდნენ ახლადშექმნილი ბოლშევიკური წითელი გვარდიის ძირითად ბირთვს, რომელიც „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" განხორციელების გზაზე შეიარაღებული გზით დაადგა რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიებისა და ხალხების გასაბჭოების ხანგრძლივ და სისხლიან პროცესს... პროლეტარული ნეოკოლონიალიზმის ეპოქა იწყებოდა...

1917 წლის ბოლოდან რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამყარების სპონტანური პროცესები დაიწყო. ამ პროცესებმა განსაკუთრებული სიმწვავით იმპერიის განაპირა მხარეებში იჩინა თავი, სადაც ათწლეულობით დაგროვილმა იდეოლოგიურმა, პოლიტიკურმა, ნაციონალურმა და სოციალურმა დაძაბულობამ სწორედ ამ დროისათვის მიაღწია პიკს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რევოლუციური პროცესების განმახორციელებელ მთავარ ძალას კი, „თებერვლის რევოლუციის" პირმშო – ე.წ. „მუშათა წითელი გვარდია" წარმოადგენდა.

„მუშათა წითელი გვარდიის" ჩამოყალიბება რუსეთში, მეფის გადადგომისთანავე, 1917 წლის მარტიდან იწყება. რუსეთში უნიკალური პოლიტიკური სიტუაცია „ორხელისუფლებიანობა" მყარდება – ერთის მხრივ „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები" და მეორეს მხრივ – „დროებითი მთავრობა". თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით ემიგრაციაში მყოფი ლენინი წერდა: „...გამოიყენებს რა, არსებული გარდამავალი პერიოდის თავისებურებებს, პროლეტარიატს შეუძლია წავიდეს, და წავა კიდეც ჯერ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ, შემდეგ კი – სოციალიზმისაკენ".[1] თვით ტერმინმა „წითელი გვარდია" კი, საყოველთაო გავრცელება 1917 წლის 26 მარტს რსდმპ(ბ) ცეკას ბიუროს რეზოლუციის – „დროებითი მთავრობის შესახებ" გამოქვეყნების შემდეგ ჰპოვა.[2]

ბოლშევიკთა მიერ დაუყოვნებლივ იქნა დასმული საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანა – „მთელ ქვეყანაში მუშათა წითელი გვარდიის" შექმნის შესახებ: „Ближайшей и важнейшей задачей Советов, выполнение которой единственно гарантирует победу над всеми силами контрреволюции и дальнейшее развитие и углубление революции, партия считает всеобщее вооружение народа и, в частности, немедленное создание рабочей красной гвардии во всей стране".[3] წითელი გვარდიული რაზმების შექმნის წინაპირობას კი, ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დროს ჩამოყალიბებული მუშათა საბრძოლო რაზმები შეადგენდნენ, რომელთა მნიშვნელობას ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს.

თავდაპირველად ეს რაზმები ადგილობრივი საბჭოების დაქვემდებარებაში უფრო იყო, ვიდრე ბოლშევიკური კომიტეტებისა.[4] თავისი დანიშნულებითა და სტრუქტურული

---

[1] Ленин В.И. Полн. Собр. соч. Т .31, т. 34, т. 40. Стр. 47.

[2] Конев А. М. Организация первых отрядов Красной гвардии и их вооружение // Красная гвардия на защите Октября / Отв. редактор Н. Н. Азовцев. — 2-е изд. — М.: Наука, 1989. — С. 19-21, 23-28. — ISBN 5-02-008463-8

[3] Из резолюции Бюро ЦК РСДРП(б), 26 марта 1917 г.

[4] Чураков Д. О. Как это было: Красная гвардия в 1917-м // Диалог. — 1998. — № 4. — С. 64-67. — ISSN 0236-0942.

მოწყობის წესით წითელი გვარდია წარმოადგენდა გასამხედროებულ პარამილიტარულ ორგანიზაციას, რომლის სტრუქტურა რეგულარული ჯარის მსგავსად იყო აგებული. უმცირეს საბრძოლო ერთეულს ათეული წარმოადგენდა, შემდეგ – ოცეული, ასეული (დრუჟინა) და ბატალიონი (რაზმი).

წითელი გვარდიის გაძლიერება 1917 წლის აგვისტოდან იწყება გენერალ კორნილოვის[1] გამოსვლების პერიოდში. დროებითმა მთავრობამ კორნილოვის ამბოხის დროს ბოლშევიკები მოიხმო მთავრობის დასაცავად, რის შედეგადაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები ნელ-ნელა ბოლშევიკთა კონტროლქვეშ გადავიდნენ, ამან კი, ბოლშევიკთა ლეგალურად შეიარაღების შესაძლებლობა გააჩინა... და ადგილებზე მასიურად დაიწყო წითელი გვარდიის რაზმების შექმნა, რომლის სათავეშიც ბოლშევიკი ლიდერები აღმოჩნდნენ. წითელი გვარდიის რაზმების ჩამოყალიბება დაიწყო აგრეთვე ყოფილი იმპერიის განაპირა ტერიტორიებზე – დონზე, ყუბანში, შავიზღვისპირეთში, ამიერკავკასიაში, შუა აზიაში. ასევე – ბელორუსიაში, ურალში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. საერთო ჯამში, 1917 წლის სექტემბრისათვის წითელი გვარდიის რაზმები უკვე ყოფილი იმპერიის 104 „პროლეტარულ ცენტრში" არსებობდა. ზოგიერთი მონაცემებით, წითელი გვარდიის პირადი შემადგენლობა ამ მომენტისათვის 250000-ს აღწევდა.[2]

1918 წლის იანვრიდან კი დაიწყო წითელი გვარდიის ნაწილების შეყვანა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ორგანიზებულ „მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში" (РККА – Рабоче-Крестьянская Красная Армия). ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა და იგი 1919 წლისათვის დასრულდა კიდეც. ბოლო წითელგვარდიული რაზმები წითელ არმიას 1919 წლის ოქტომბერში გადაეცა, რომლებიც თურქესტანში იყო განლაგებული.[3]

საბჭოთა სამხედრო ისტორიოგრაფია: „საბრძოლო მოქმედებების ორგანიზაციისა და წარმართვის პირველი გამოცდილება საბჭოთა რესპუბლიკამ 1917 წლის დასასრულსა და 1918 წლის დასაწყისში მიიღო ანტისაბჭოთა გამოსვლებისა და კონტრრევოლუციური კერების ლიკვიდაციის დროს. სამხედრო ავჯანყებების ჩაქრობა მოკლე დროში ხორციელდებოდა წითელგვარდიელთა რაზმების ენერგიული შეტევებით, აგრეთვე ავჯანყებულებში ბოლშევიკი აგიტატორების შეგზავნით, რომლებიც რეაქციონერების მიერ მოტყუებულ ჯარისკაცებს და მშრომელ კაზაკობას უხსნიდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტ მიზნებსა და ამოცანებს".[4]

---

[1] ლავრ გეორგიევიჩ კორნილოვი (1870-1918) – ცნობილი რუსი მხედართმთავარი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი. რუსეთი-იაპონიის ომის მონაწილე და I მსოფლიო ომის გმირი. სამხედრო მზვერავი, დიპლომატი, გეოგრაფი და მოგზაური-გზამკვლევი. 1914 წლის 19 აგვისტოდან 48-ე, ე.წ. „რკინის დივიზიის" მეთაური, 1916 წლის სექტემბრიდან დასავლეთის ფრონტის 25-ე საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის 2 მარტს დროებითი მთავრობის მიერ ინიშნება პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლად. 1917 წლის აპრილის ბოლოდან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-8 არმიის სარდალი, ხოლო 1917 წლის ივლისიდან – რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 1917 წლის ბოლოდან თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სამხედრო-იდეოლოგიური ლიდერი. რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1918 წელს მოხალისეთა არმიის უმაღლესი მთავარსარდალი. თეთრგვარდიელთა ყუბანის პირველი „ყინულოვანი ლაშქრობის" გმირი. გიორგის ჯვრის სრული კავალერი. დაიღუპა ჩრდილოეთ კავკასიაში წითელარმიელებთან ბრძოლაში 1918 წლის ბოლოს.

[2] Конев А. М. Организация первых отрядов Красной гвардии и их вооружение // Красная гвардия на защите Октября / Отв. редактор Н. Н. Азовцев. — 2-е изд. — М.: Наука, 1989. — С. 19-21, 23-28. — ISBN 5-02-008463-8.

[3] იქვე.

[4] История войн и военного искусства. Под редакцией Маршала Советского Союза И. Х. Баграмяна. Военное издательство. Москва. 1970. Стр. 23.

მეტად ნიშანდობლივი და საინტერესო ფრაზაა – „რეაქციონერების მიერ მოტყუებული ჯარისკაცები და მშრომელი კაზაკობა"... დიახ, კრემლს კარგად ესმოდა, რომ პროლეტარული რევოლუციის არსში, მის სიკეთეებში, მიზნებსა და ამოცანებში „რეაქციონერების მიერ მოტყუებულ ჯარისკაცებს და მშრომელ კაზაკობას", ანუ, „მშრომელთა მასებს" ყველაზე ქმედითად სწორედ ბოლშევიკი აგიტატორები და წითელგვარდიელთა ხიშტები გაარკვევდნენ. „საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტ მიზნებსა და ამოცანებში" გარკვეული და წითელგვარდიელთა ხიშტებით ზურგგამაგრებული „მშრომელთა მასები" კი, უმალ აცხადებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას იქ, სადაც სახალხო წინააღმდეგობის სისხლში ჩახრჩობა ხერხდებოდა. ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე მინი „სოციალისტურ რევოლუციებს" ახალი ფსევდო-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნის პროცესი – ე.წ. „საბჭოთა რესპუბლიკების" აღლუმი მოჰყვა...

სწორედ ამ „სქემით" ჩნდებიან 1918 წლის აპრილიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ყუბანი-შავიზღვისპირეთის, სტავროპოლისა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც მალე გაერთიანდნენ ყუბანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, დედა-ქალაქით ეკატერინოდარი (დღევანდელი კრასნოდარი). შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი შეიქმნა შავიზღვისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. შემდგომში, მათი შეერთებით იქმნება ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა. ამ ე.წ. „რესპუბლიკების" შესახებ და მათი ტრანსფორმაციის გამომწვევ სამხედრო-პოლიტიკურ მიზეზებზე ქვემოთ გვექნება უფრო საგნობრივი განხილვა, რამეთუ მოცემული საკითხი პირდაპირ ეხმიანება ჩვენს თემას.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ უკვე ამიერკავკასიაში 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკურ-დაშნაკური ე.წ. „ბაქოს კომუნის", ხოლო 1919 წლის დასაწყისში იგივე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ე.წ. „მუღანის" ან „ლენქორანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" შექმნაც. საერთო ჯამში, ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე 200-დე ასეთი ფსევდოსახელმწიფოებრივი საბჭოთა წარმონაქმნის სპონტანურ გაჩენას ჰქონდა ადგილი. რევოლუციურ ეპოქას რევოლუციური ცვლილებები მოჰყვა შედეგად.

„მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ" მიმავალ დიად გზაზე, რუსი ბოლშევიკების მიერ საქმეში წითელ გვარდიაზე უფრო წონადი არგუმენტიც – უკვე „ოქტომბრის რევოლუციის პირმშო" – „მუშურ-გლეხური წითელი არმია" (РККА) იქნა ჩართული. ოქტომბრის რევოლუციიდან სულ მცირე ხანში, ლენინმა ძველი არმიის დემობილიზაციისა და მუშათა და გლეხთა ახალი, წითელი არმიის შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც მოკლე ხანში იქცა ეფექტურ სამხედრო მანქანად.

საბჭოთა რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრად საგარეო საქმეთა ყოფილი კომისარი, რუსეთის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ლევ ტროცკი დაინიშნა, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად კი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი – იოაკიმ ვაცეტისი.[1] 1919 წლის ივლისიდან მას ამ თანამდებობაზე

---

[1] ოაკიმ იოაკიმოვიჩ ვაცეტისი (1873-1938) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1909 წლიდან, გენშტაბის აკადემიის დასრულების შემდეგ – კაპიტანი, სასწავლო ასეულის მეთაური. 1912 წლიდან – პოდპოლკოვნიკი. 1915 წლიდან პოლკოვნიკი – მე-12 არმიის მე-5 პოლკის მეთაური. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თავის პოლკთან ერთად გადავიდა ბოლშევიკთა მხარეზე. 1917 წლის დეკემბრიდან რევოლუციური საველე შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი, 1918 წლის აპრილიდან წითელ ლატვიელ მსროლელთა დივიზიის მეთაური. 1918 წლის ივლისიდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, 1918 წლის 1 სექტემბრიდან 1919 წლის 9 ივლისამდე საბჭოთა რუსეთის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ამავე დროს, 1919 წლის იანვარი – მარტის პერიოდში საბჭოთა ლატვიის არმიის მთავარსარდალი. 1919 წლის აგვისტოდან სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრი. 1921 წლიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის პედაგოგი, მე-2 რანგის კომანდარმი.

ძველი რევოლუციონერისა და ლენინთან დაახლოებული პირის, ივარ სმილგას რეკომენდაციით, ასევე ცარისტული არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, სერგეი კამანევი[1] შეცვლის.[2]

წითელი არმიის ახალი ტიპის ნაწილების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება და ფორმირება ფრონტებიდან დაბრუნებული რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისა და ძველი არმიის იმ სამხედრო მოსამსახურეებისაგან ხდებოდა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ემსახურათ წითელ არმიაში. ამ უკანასკნელთ „სამხედრო სპეციალისტებს" – „Военных специалистов", მოკლედ, „Военспец"-ებს, ან კიდევ უფრო მოკლედ – „Спец"-ებს უწოდებდნენ.

ასეთი სქემით სასწრაფოდ ხდებოდა წითელი არმიის რაზმების შედგენა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც უფრო დიდ და ჰომოგენურ შენაერთებად ერთიანდებოდნენ, ისეთები როგორებიც იყო მაგალითად, 1-ლი არმია, მე-11 არმია, მე-12 არმია და ა.შ. ეს შენაერთები ცვალებადი რიცხობრივი შემადგენლობის ოპერატიული დონის ერთეულებს წარმოადგენდნენ (20000-30000 კაცი) და ძირითადში ქვეითებისა და მსუბუქი არტილერიისაგან შედგებოდნენ. მათი საბრძოლო მომზადებისა და მზადყოფნის დონე კი საკმაოდ დაბალი იყო. გამონაკლისებს წარმოადგენდნენ ისეთი შენაერთები, როგორებიც იყო მაგალითად, ტამანის არმია, ლატვიელი მსროლელები და წითელი ცხენოსანი არმია. თუმცა ამ შენაერთებს ისეთი პიროვნებები მეთაურობდნენ, როგორებიც იყვნენ ბუდიონი, ჩაპაევი, ტუხაჩევსკი... ადამიანები, რომლებსაც ცარისტულ პერიოდში არასდროს არ ყოლიათ 50-ზე მეტი კაცი დაქვემდებარებაში. არმიებს მართავდნენ აგრეთვე არაპროფესიონალი სამხედროები, რევოლუციონერები, როგორებიც იყვნენ მაგალითად, ანტონოვ-ოვსეენკო და ვოროშილოვი, რომლებსაც ფაქტობრივად არავითარი სამხედრო გამოცდილება არ გააჩნდათ. საერთო ჯამში, 1918-1920 წლების პერიოდში, წითელი არმიის არსებულ 14 საარმიო შენაერთში 38 მსროლელი დივიზია იყო ჩართული.[3]

საბრძოლო მოქმედებების დიდი მასშტაბების გამო წითელი არმიის სტრატეგიული შეტევა ხორციელდებოდა ერთი ან რამდენიმე არმიის (შენაერთის) რამდენიმე თანმიმდევ-რული შეტევითი ოპერაციის ჩატარებით ძირითადი მაგისტრალებისა (რკინიგზის) და საკომუნიკაციო ხაზების გასწვრივ, რომელიც სტრატეგიულ სამიზნეებზე იყო მიმართული, ოპერაციებს შორის მცირე პაუზებით. ამ ოპერაციების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის დადევნება მისი ძალების სრული განადგურების მიზნით.

---

[1] სერგეი სერგეევიჩ კამენევი (1881-1936) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. I მსოფლიო ომში 1914 წლის სექტემბრიდან 1-ლი დასავლეთის ფრონტის არმიის შტაბის კვარტერმეისტერის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ – არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი. 1917 წლის აპრილიდან პოლკოვნიკი, პოლტავის 30-ე პოლკის მეთაური. 1917 წლის ნოემბრიდან მე-15 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს. 1918 წლის აპრილიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის ივნისიდან ვიტებსკის წითელი ქვეითი პოლკის მეთაური, 1918 წლის აგვისტოდან – სმოლენსკის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი, 1919 წლის აგვისტოდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი სამხედრო ინსპექტორი, 1925 წლიდან – შტაბის უფროსი. 1926 წლის აგვისტოდან წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ამავე დროს მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ტაქტიკის ციკლის უფროსი. 1927 წლიდან სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1935 წლიდან I რანგის კომანდარმი.

[2] Книга воспоминаний. Часть 1 ::15. И.Т. Смилга ::Bo0k.net.

[3] The Red Army 1917-1923: Victor of the Russian Civil War. http://www.suite101.com/ content/the-red-army-19171923-a32832#ixzz19bBpIeBL.

მიხაილ ფრუნზე[1]: „წითელი არმიის ტაქტიკა არის და იქნება განმსჭვალული შეტევითი მოქმედებების წარმოების გაბედული და ენერგიული სულისკვეთებით. ეს მუშურ-გლეხური არმიის კლასობრივი ბუნებიდან გამომდინარეობს და ამავე დროს ემთხვევა სამხედრო ხელოვნების მოთხოვნებს".[2] შეტევით ოპერაციებში ძირითადში გამოიყენებოდა ოპერატიული მანევრის შემდეგი ფორმები: ფრონტალური შეტევა, ფლანგური იერიში, ერთი ან ორივე ფლანგის გარშემოვლა, გარშემორტყმა. ძირითად ფორმას ფლანგური იერიში წარმოადგენდა.[3]

მოგვიანებით ლენინი, ლევ ბრონშტეინ-ტროცკის, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის შესახებ აღნიშნავდა: „მაჩვენეთ მეორე ისეთი კაცი, ვინც რეალურად შეძლებდა ერთ წელიწადში შეექმნა ისეთი არმიის მოდელი, რომელიც ახალი არმიის პირადი შემადგენლობისა და ამავე დროს, ძველი სამხედრო სპეციალისტების (Военных специалистов – ა. ჩ.) პატივისცემას მოიპოვებდა".[4]

ბოლშევიკი ინტერნაციონალისტები ისე იყვნენ აღტაცებულები და ისე ჩქარობდნენ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" დიადი მისიის აღსრულებას, რომ „მუშურ-გლეხური წითელი არმიის" შენაერთებმა შეტევითი სამხედრო მოქმედებები დასავლეთით, პოლონეთისა და გერმანიის მიმართულებით უკვე 1918 წლის ბოლოდან დაიწყეს. დასმული იქნა სამხედრო-პოლიტიკური ამოცანაც – „პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის" გზით „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნა. ამოცანა მართალია, ძალიან ბუნდოვანი, ძალიან სათუო და ამორფული იყო, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან რევოლუციური და ძალიან გაბედული. კრემლის იდეოლოგთა აზრით, საერთო ჯამში, პოლონეთისა და გერმანიის გასაბჭოების შემდეგ, რუს ბოლშევიკთა მიერ დაწყებული შეიარაღებული ექსპანსია „მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაში" უნდა გადაზრდილიყო. ლევ ტროცკიმ, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, ვორონეჟში გამოსვლისას, თავის მოხსენებაში – „მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე", განაცხადა:

„...თავისუფალი ლატვია, თავისუფალი პოლონეთი და ლიტვა, თავისუფალი ფინეთი, ისევე როგორც თავისუფალი უკრაინა, არ შეიქმნებიან დაბრკოლებად, არამედ შემაერთებელ რგოლად იქცევიან საბჭოთა რუსეთსა და მომავალ საბჭოთა გერმანიასა და

---

[1] მიხაილ ვასილევიჩ ფრუნზე (1885-1925) – რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, სამხედრო თეორეტიკოსი. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. რსდმპ მე-4 ყრილობის დელეგატი. 1917 წლიდან მინსკის გუბერნიის გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მინსკის რსდმპ ქალაქკომის ორგანიზატორი, დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა საბჭოების აღმასკომის წევრი. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის აგვისტოდან იაროსლავლის სამხედრო ოლქის სამხედრო კომისარი. 1919 წლის თებერვლიდან ბოლშევიკთა მე-4 არმიის სარდალი, მაის-ივნისში თურქესტანის არმიის სარდალი. 1919 წლის 15 აგვისტოდან 1920 წლის 10 სექტემბრამდე თურქესტანის ფრონტის სარდალი. შემდეგ სამხრეთის ფრონტის სარდალი. 1920 წლის 3 დეკემბრიდან სამხედრო რევოლუციური საბჭოს რწმუნებული უკრაინაში, უკრაინისა და ყირიმის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ამავე დროს უკრაინის კომუნისტურ პარტიის ცენტრაკლური კომიტეტის წევრი. 1922 წლიდან უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი შტაბის უფროსი და ერთდროულად სამხედრო აკადემიის უფროსი. 1925 წლის იანვრიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი.

[2] История войн и военного искусства. Москва. 1970. Стр. 86. М. В. Фрунзе. Избранные произведения. Стр. 83.

[3] იქვე.

[4] V. I. Lenin. Tasks of the Proletariat in our Revolution, Collected Works, Vol. 24, pp. 55.

ავსტრია-უნგრეთს შორის. ეს ფედერაციის, ევროპული კომუნისტური ფედერაციის, ევროპული პროლეტარული რესპუბლიკების კავშირის საწყისი იქნება".[1]

1918 წლის 15 დეკემბერს კი, გაზეთ „Жизнь Национальностей"-ს მოწინავე სტატიაში „С Востока свет" – საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი, ი. სტალინი „მსოფლიო სოციალიზმისათვის" ბრძოლისაკენ მოუწოდებდა „ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს" – „ამ უდიდესი მოვლენების ცენტრში დგას მსოფლიო რევოლუციის მედროშე – საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს გამარჯვების რწმენით აღავსებს და მხარს უჭერს მათ განმანთავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სოციალიზმის სასარგებლოდ. დასავლეთი მისი იმპერიალისტური კაციჭამიებით სიბნელისა და მონობის კერად გადაიქცა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოთ დავამსხვრიოთ ეს კერა".[2]

ძალიან მალე ტროცკი თავისი იდეოლოგიის გავრცელებისა და რეალური ქმედებების არეალს აფართოებს და III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას უკვე დასავლეთ ევროპასა და სტალინის მსგავსად, მთელ მსოფლიოშიც გეგმავდა. იგი იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა:

„თუ დღეს III ინტერნაციონალის ცენტრს მოსკოვი წარმოადგენს, – ჩვენ ამაში ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, – ხვალ ეს ცენტრი დასავლეთისაკენ გადავა: ბერლინში, პარიზში, ლონდონში... და საერთაშორისო კომუნისტური კონგრესის გამართვა ბერლინში ან პარიზში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მაუწყებელი იქნება ევროპაში, და ესე იგი – მთელ მსოფლიოშიც".[3]

„მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" იდეოლოგიით შემაგრებული მუშურ-გლეხური წითელი არმიის „წითელი მარში" ევროპისაკენ დიდი ენთუზიზმით დაიწყო. მაგრამ ბოლშევიკთა სამხედრო შენაერთების დასავლეთის მიმართულებაზე შეიარაღებულ აგრესიას აღმოსავლეთ ევროპის ახლადშექმნილი სახელმწიფო, „მეორე რეჩ პოსპოლიტა" – პოლონეთი აღუდგა წინ, ერთ დროს აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ქვეყანა, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრიობა მთელი 123 წელი, 1795 წლიდან ჰქონდა დაკარგული და მისი ტერიტორიები სამ იმპერიას – რუსეთს, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის იყო განაწილებული...

I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1918 წლის ნოემბრიდან, პოლონელმა ხალხმა შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთ–პოლონეთის ომი...

ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური წითელი გვარდიისა და წითელი არმიის პირველადი ფორმირებების შექმნის პროცესს კი, სათავეში ეროვნებით ქართველი ბოლშევიკები ჩაუდგნენ – ე.წ. „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის" სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ძველი ბოლშევიკი ნოე (სამუელ) ბუაჩიძე[4], რომელიც ბოლშევიკთა

---

[1] И. И. Вацетис, Н. Е. Какурин. „Гражданская война 1918 – 1921". Стр. 45.

[2] „Жизнь Национальностей". № 6, 15 декабря 1918 г. Передовая. Подпись: И. Сталин.

[3] Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Троцкий Л.Д. Пять лет Коминтерна. М.-Л. 1925. Стр 39.

[4] ნოე (სამუელ) ბუაჩიძე (1882-1918) – ძველი ბოლშევიკი და პროფესიონალი რევოლუციონერი, რსდმპ(ბ) წევრი, ლენინის თანამებრძოლი. 1917 წლის აპრილს ლენინთან და რევოლუციონერთა სხვა ჯგუფთან ერთად დაბრუნდა რუსეთში ემიგრაციიდან დალუქული შემადგენლობით. მგზავრობდა ერთ ვაგონში ლენინთან ერთად. ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და რსდმპ(ბ) საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ე.წ. „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის" მთავრობის თავმჯდომარე. მოკლულ იქნა მიტინგზე გამოსვლის დროს 1918 წელს.

პარტიის ცეკას მანდატით იყო აღჭურვილი, და ჩრდილოეთ კავკასიაში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო კომისარი, გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე[1].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცარისტი გენერალიტეტის, რუსული არმიების პირადი შემადგენლობის, აგრეთვე კაზაკთა და გლეხთა ერთი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ბოლშევიკური იდეოლოგია, კლასთა ბრძოლის თეორია და პროლეტარული რევოლუციის არსი. რუსეთისა და რუსული საზოგადოების ეს ნაწილი, რომლებიც ისტორიაში „თეთრების" სახელით შევიდნენ, შეურიგებელ ბრძოლას იწყებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... მთელი რუსეთი და განსაკუთრებით მისი განაპირა მხარეები, საყოველთაო განუკითხაობის, სამოქალაქო ომისა და ქაოსის ღრმა წყვდიადში ჩაიძირა...

ამონარიდი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, ზურაბ ავალიშვილის[2] მემუარიდან, რომელიც 1918 წლის მარტში პეტროგრადიდან თბილისისაკენ მატარებლით მგზავრობის შთაბეჭდილებებს გვაცნობს:

„...საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა უკაცრიელი სადგურები. უკვე ბევრგან თავისი კვალი დაეტოვებინა მიშვებულობას, რკინიგზები ნახევარი სიცოცხლით ცხოვრობდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობოდა ძველი წესრიგის ინერცია... როსტოვში ორ დღე-ღამემდე დავყოვნდით... წინ იგრძნობოდა სამოქალაქო ომი. თვით როსტოვშიც არ იყო სიმშვიდე. ვაგზლის მიდამოებს პანიკა მოიცავდა ხოლმე. აყენებდნენ და ხსნიდნენ გუშაგებს, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ტყვიამფრქვევები, და ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ამშვიდებდა, ვის ამშვიდებდნენ, ვინ იყო სეირის მაყურებელი და ვის ჰქონდა ძალაუფლება. მოკლედ, საშინელება იყო...

---

[1] გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე (1886-1937) – ცნობილი ქართველი და რუსი პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. საბჭოთა, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, განათლებით ფერშალი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიაში, შავიზღვისპირეთში. 1911 წელს საფრანგეთში ლონჟუმოს პარტიული სკოლის მსმენელი. იმავე წლის ივლისში ლენინის პირადი დავალებით ბრუნდება რუსეთში სრულიად რუსეთის პარტკონფერენციის რწმუნებულად. თბილისის ორგანიზაციის დელეგატი, რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1909 წელს სპარსეთის ე.წ. „საკონსტიტუციო რევოლუციის" აქტიური მონაწილე. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე. 1918 წლის დასაწყისიდან რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო რწმუნებული უკრაინაში, იმავე წლის ზაფხულიდან – საგანგებო რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში. კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე. 1920 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ბოლშევიკური ოკუპაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, იდეური, იდეოლოგიური და სამხედრო ხელმძღვანელი. 1922 წლიდან ამიერკავკასიის, ხოლო 1926 წლიდან კომპარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტების პირველი მდივანი. 1912-1917, 1921-1927 წლებში და 1934 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926-1930 წლებში კომპარტიის ცეკას ცენტრალური კონტროლის კომისიის წევრი და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1930 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის მინისტრი. 1930-1937 წლებში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

[2] ზურაბ ავალიშვილი (1874-1944) – ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, დიპლომატი, განმანათლებელი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი და იურისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1917 წლიდან საქართველოშია. ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო მოლაპარაკებებში ამიერკავკასიის დელეგაციის წევრი. გერმანიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის პროცესების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაშია.

გაჭირვებით გავიარეთ სადგური ტიხორეცკაია. სადგურ არმავირის წინ დიდი ხნით გაგვაჩერეს; სადგურის ბაქნიდან გამოჩნდა უამრავი ხალხით გარშემორტყმული მეორე მატარებელი. რა ხდებოდა იქ, ვერ გაარკვევდი.

როცა, ბოლოს და ბოლოს, გზა განთავისუფლდა და ჩვენი მატარებელი მიუახლოვდა სადგურს, აფორიაქებული ბრბო ის იყო იშლებოდა. აქ ბევრი იყო, როგორც წინათ ეძახდნენ მათ, „საზოგადოების ნაძირალა" – ის ჩამოხეული, ჩამოკონკილი, უსიამოვნო შესახედაობის ხალხი, რომლითაც ყოველთვის სავსე იყო ყუბანის ოლქის რკინიგზის ცენტრები. სჭარბობდნენ აშკარად თავგზააბნეული ჯარისკაცების მთელი ბრბოები მტრული გამომეტყველებით; უფრო ნაკლებად იყვნენ კაზაკები, მკვიდრი ყუბანელები, რომლებიც დაბნეულად გამოიყურებოდნენ..."[1]

სამოქალაქო ომის – „წითლებსა" და „თეთრებს" შორის დაწყებული ამ სისხლიანი დაპირისპირების ფონზე, უბრალო რუსი „მუჟიკის" ცხოვრების წესი და ამ ეპოქაში მიმდინარე პროცესები მეტად საინტერესოდ, რეალისტურად და ერთობ ეგზოტიკურად აქვს წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთის იმდროინდელ სამხედრო მინისტრს, სერ უინსტონ ჩერჩილს (Sir Winston Churchill), თავის სქელტანიან მონოგრაფიაში ''The World Crisis 1918-1925'':

„რუსეთის მილიონობით გლეხი ათეულ ათასობით სოფელში ცხოვრობს. მიწა მიწად დარჩა, ბუნებას კი ძველებურად მოჰქონდა თავისი ნაყოფი. და როგორი იყო რუსული სოფლის ცხოვრება სამოქალაქო ომის დროს? სავინკოვმა[2] რუსული სოფლის ცხოვრების საინტერესო აღწერა მოგვცა, როცა მე და ლოიდ-ჯორჯს (დევიდ ლოიდ-ჯორჯი (David Lloyd-George) – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი – ა. ჩ.) საშუალება მოგვეცა მასთან ერთად გვევახშმა. რაღაც ნიშნებით მისმა მონათხრობმა გარდასული ხანის ინდიელთა სოფლების ბედი გაგვახსენა, როდესაც ისინი ერთი დამპყრობლის ხელიდან მეორეში გადადიოდნენ.

ახლა გლეხებს ეკუთვნოდათ მთელი მიწა. მათ დახოცეს ან გაყარეს წინა მფლობელები. ახლა ისინი გახდნენ ახალი და კარგად დამუშავებული მიწების პატრონები, ხოლო მემამულეთა სახლ-კარი, რომლის ფლობაზეც ადრე მხოლოდ ოცნება შეეძლოთ,

---

[1] ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაწილი I. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი. 1990. გვ. 30.

[2] ბორის ვიქტოროვიჩ სავინკოვი (1879-1925) – რუსეთის ცნობილი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. პროფესიონალი რევოლუციონერი, ტერორისტი, პოლიტიკოსი, ესერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და პარტიის საბრძოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. რუსეთის გლეხთა პარტიზანული („მწვანეთა" და „თეთრ-მწვანეთა") მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, „თეთრი მოძრაობის" მხარდამჭერი და აქტიური მონაწილე, პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, მემუარისტი. 1898 წლიდან სოციალ-დემოკტრატიული ჯგუფების „Социалист" და „Рабочее знамя" წევრი. 1901 წლიდან „მუშათა კლასიის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა პეტერბურგის კავშირის" პროპაგანდისტი. 1903 წლიდან ემიგრაციაშია, ჟენევაში, სადაც შედის ესერთა პარტიის რიგებში. ირიცხება პარტიის საბრძოლო რაზმის წევრად და მონაწილეობს რუსეთის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ტერორისტული აქტების დაგეგმვაში – შინაგან საქმეთა მინისტრსა და მოსკოვის გენერალ-გუმერნატორზე თავდასხმები და მკვლელობები, ასევე სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო-პოლიტიკური პირებზე განხორციელებული ტწრორისტული აქტები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში. დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ იქნა 7-ე არმიის კომისრად. 1917 წლის 28 ივნისიდან – სამხრეთ-დასავლთის ფრონტის კომისრად. 1917 წლის ივლისში ინიშნება დროებითი მთავრობის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის, კერენსკის თანაშემწედ. ოქტომბრის გადატრიალებას შეხვდა მტრულად, ეწეოდა ბრძოლას ბოლშევიკთა წინააღმდეგ. 1918 წლის მარტში მოსკოვში შექმნა იატაკქვეშა კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაცია „სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირი". 1919 წლიდან ემიგრაციაშია. პარიზში აწარმოებდა მოლაპარაკებებს ანტანტის ქვეყნების მთავრობებთან რუსეთის თეთრი მოძრაობის მხარდაჭერის მიზნით.

ახლა მათ ეკუთვნოდათ. მემამულეები აღარ არსებობდნენ, აღარ არსებობდა მიწის გადასახადიც. გლეხები მიწისა და მთელი სიმდიდრის პატრონები გახდნენ. თუმცა მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ კომუნიზმის დროს მათ ახალი მემამულე ეყოლებოდათ – საბჭოთა სახელმწიფო; მემამულე, რომელიც მათგან უფრო მაღალ საარენდო გადასახადებს მოითხოვდა მშიერი ქალაქების გამოსაკვებად, კოლექტიური მემამულე, რომელსაც ვერ მოკლავ, და რომელიც პირიქით, მოკვლას დაუწყებდა მათ.

სამეურნეო თვალსაზრისით გლეხები დამოუკიდებლები იყვნენ. თავიანთი ცხოვრების მარტივი წესით, თანამედროვე ცივილიზაციის გარეშე შეეძლოთ თავის კარგად გატანა. ცხოველთა ტყავისაგან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს იმზადებდნენ. ფუტკარი თაფლს იძლეოდა, რომელიც მათთვის შაქარს ცვლიდა, ხოლო ცვილს გასანათებლად ხმარობდნენ. პურიც ჰქონდათ, ხორციც და ნაირ-ნაირი მცენარეული საკვებიც. სვამდნენ, ჭამდნენ და ოფლისღვრამდე მუშაობდნენ. და სიტყვები: კომუნიზმი, ცარიზმი, დედა რუსეთი, იმპერია თუ პროლეტარიატი, ცივილიზაცია თუ ბარბაროსობა, ტირანია თუ თავისუფლება, მათთვის ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. ყველა ეს თეორიები მათთვის გაუგებარი იყო, ხოლო მათდამი დამოკიდებულება – გულგრილი. მათ ეს ფრაზები არ აინტერესებდათ. ისინი მიწის შვილებად რჩებოდნენ და მძიმე შრომით მოიპოვებდნენ თავის სარჩო-საბადებელს.

და ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდებოდა კაზაკთა პატრული:

„ქრისტე აღსდგა! მოკავშირეები გვიახლოვდებიან, რუსეთი გადარჩენილია. თქვენ თავისუფლები ხართ. საბჭოები აღარ არსებობენ". ისინი ბუზღუნით მიიჩქაროდნენ მამასახლისების ასარჩევად, კაზაკთა პატრული კი მიემგზავრებოდა და თან მიჰქონდა ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ. რამდენიმე კვირის, ან რამდენიმე დღის შემდეგ კი, ავტომობილით ბოლშევიკი მოვიდოდა შეიარაღებული ჯარისკაცებით, რომელიც აცხადებდა: „თავისუფლები ხართ, თქვენი ბორკილები დამსხვრეულია, ქრისტე – ეს მონაგონია, რელიგია კი – ხალხის ბანგია. ძმებო, ამხანაგებო, გიხაროდეთ თავისუფლების დადგომა!" გლეხები კი ისევ ბუზღუნებდნენ. ბოლშევიკი აგრძელებდა:

„ძირს მამასახლისთა საბჭო და ღარიბთა ექსპლოატატორები, ძირს რეაქციის მსახურნი! მათ მაგივრად სოფლსაბჭოები აირჩიეთ. ამიერიდან საბჭოები, და ნამგალი და ურო – თქვენი პროლეტარული უფლებების საწინდარია". და გლეხებიც ერეკებოდნენ მამასახლისებს და რთული პროცედურების გარეშე ირჩევდნენ სოფლსაბჭოებს. მაგრამ სოფლსაბჭოებში ისევ იმ გლეხებს ირჩევდნენ, რომლებიც ადრე მამასახლისთა საბჭოებში შედიოდნენ.

ბოლშევიკი და მისი შეიარაღებული ხალხი კი მიდიოდა. მათაც მიჰქონდათ თან ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ და სოფელს ცილდებოდნენ... ვინ იცის, იქნებ სწორედ კაზაკთა იმ პატრულთან შესახვედრად".[1]

---

[1] Черчиль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. http://militera. lib.ru/memo/0/ one/english/churchill2.rar.

§3. შოვინისტური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ნიმუში

ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. უკვე 1918 წლის 7 მარტს რკპ(ბ) VII საგანგებო ყრილობაზე გამოსვლისას ვ. ლენინი ცეკას მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პოლიტიკური ანგარიშით წარსდგა: „რადგან ჩვენი რევოლუცია მოხდა ამ ბედნიერ მომენტში, როდესაც მტაცებელთა ვერც ერთმა გიგანტურმა ჯგუფმა ვერ შეძლო ვერც დაუყოვნებლივ დასხმოდა ერთმანეთს თავს და ვერც ჩვენს წინააღმდეგ მოახერხეს გაერთიანება – მხოლოდ ამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტით შეეძლო ესარგებლა და ისარგებლა კიდეც ჩვენმა რევოლუციამ, რათა განეხორციელებინა თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლა ევროპულ რუსეთში, გავრცელებულიყო ფინეთში, დაიწყოს რუმინეთის, კავკასიის დაპყრობა (Завоевание – ა. ჩ.)”.[1]

რუსეთის იმპერიის ყოფილი შემადგენელი ნაწილი – შავიზღვისპირეთის გუბერნიისა და „სოხუმის ოკრუგის” ტერიტორიები, და ზოგადად საქართველო, ერთ-ერთი პირველი რეგიონთაგანი იყო ამიერკავკასიაში, რომელმაც თავიდანვე აღძრა კრემლის მესვეურებისა და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის” იდეოლოგთა გაზრდილი მადა. აფხაზეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, როგორც I მსოფლიო ომისა და მოგვიანებით რუსეთის სამოქალაქო ომის ფრონტისპირა რეგიონი, უმალ აღმოჩნდა ბოლშევიკური დარტყმის ქვეშ.

საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში აფხაზეთის რეგიონისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიის შესახებ დამკვიდრებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეფასება, 1918-1921 წლებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები და ამ საკითხთან საქართველოს მიმართება, დაახლოებით ასეთი სქემით არის წარმოდგენილი:

„მიუხედავად იმისა, რომ ქართული რესპუბლიკის „მამები” – ნოე ჟორდანია, გიორგაძე, გეგეჭკორი, რამიშვილი, მუდმივად ლაპარაკობდნენ რუსული კოლონიური უღლიდან საქართველოს გათავისუფლების შესახებ, თვითონ საქართველო 1918-1921 წლებში, არა ეროვნული სახელმწიფო, არამედ მინი-იმპერია იყო (Sic!), რომელმაც დაიპყრო და ცდილობდა შეენარჩუნებინა ის ოლქები, სადაც ეთნიკური ქართველები ძალიან მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ძირძველი მოსახლეობა კი, სურვილს გამოთქვამდა ყოფილიყო რუსეთთან, სომხეთთან და თურქეთთან. (Sic!)

საქართველომ თავისი უფლებები განაცხადა ადლერსა და სოჭზე, და ისარგებლა რა 1918 წლის ქაოსით, მოახდინა შავიზღვისპირეთის გუბერნიის მთელი სამხრეთი ნაწილის ოკუპაცია, სადაც არც მანამდე და არც შემდეგ, არავითარი ქართული მოსახლეობა არ ცხოვრობდა (Sic!) (ჩერქეზებისა და აბაზგების ეს მშობლიური მხარე, მათი თურქეთში წასვლის შემდეგ („После их исхода в Турцию” – ა. ჩაჩხიანი) დასახლებულ იქნა რუსებითა და სომხებით). როდესაც 1919 წლის იანვარში, ქართველთაგან ჩაგვრის გამო, სოჭის სომხური მოსახლეობა აღსდგა, მოხალისეთა ნაწილებმა დაიკავეს ოლქი და გავიდნენ შავიზღვისპირეთის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის საზღვარზე – მდინარე ბზიფამდე”.[2]

---

[1] Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Ленин. В.И. ПСС. Т. 36. Стр. 9.

[2] Андрей Зубов. Доктор исторических наук, профессор МГИМО, ведущий научный сотрудник Института востоковедения РАН. История и современность. Кавказ без Росии. Гражданин, и демократ, и государственник. Периодический политический журнал. №1, 2003.

როგორც ვხედავთ, ისტორიის შოვინისტურ ფალსიფიკაციასა და იმპერიული დემაგოგიის კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე. ამ სტრიქონების ავტორი რუსი მეცნიერი, ანდრეი ზუბოვია, (ყოველ შემთხვევაში, ბატონ ზუბოვის სამეცნიერო და აკადემიური რეგალიები მისი მეცნიერად მოხსენიების ფორმალურ უფლებას ნამდვილად გვაძლევს) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. როგორც ვხედავთ, პროფესორი ანდრეი ზუბოვი, თავისი დიდი სეხნიის, ცნობილი საბჭოთა დისიდენტის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის „ველოკოდერჟავული" და ანტი нацмен-ური იდეოლოგიის ერთგული გამგრძელებელია, რომელმაც ამ სამიოდე ათწლეულის წინ პირველად ამცნო კაცობრიობას, რომ თურმე საქართველო „მცირე იმპერია" ყოფილა (Sic!).

ავტორი, ცხადია, არ საუბრობს აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის უძველეს და ძველ ისტორიაზე, რუსეთის ცარისტული იმპერიის მიერ განხორციელებულ კავკასიურ ექსპანსიაზე, არაფერს არ ამბობს აფხაზეთში, და ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნეში მიმდინარე მუჰაჯირობის პროცესზე, ამ პროცესის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. არაფერს არ ამბობს აღნიშნული რეგიონის არც მუჰაჯირობამდელ ისტორიაზე და არც შემდგომ ბოლშევიკურ აგრესიაზე, არც ე.წ „მოხალისეთა არმიის" მიერ სოჭისა და აფხაზეთის ნაწილის ოკუპაციამდელ ამბებზე და არც აქ დამყარებულ სისხლიან დენიკინისეულ რეჟიმზე. ხოლო რუსეთის იმპერიის მიერ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში კავკასიაში წარმოებული სისხლიანი დაპყრობითი ომებისა და კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ განხორციელებული დემოციდის შედეგად მათი თურქეთში იძულებითი გადასახლების, ე.წ. „მუჰაჯირობის" პროცესს, მეტად გულუბრყვილო და მოხერხებული ფრაზით – „После их исхода в Турцию" – ნიღბავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა წინააღმდეგ რუსული იმპერიის მიერ განხორციელებულ სასტიკ სისხლისღვრასა და რეპრესიებზე უფრო გულწრფელად დიმიტრი გულიას[1] სახელობის აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი ვასილი ავიძბა საუბრობს:

---

[1] დიმიტრი გულია (1874-1960) – დიდი აფხაზი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელი. აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი. პოლიტიკური მოღვაწე. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო პოეტი (1937). საბჭოთა კავშირის მე-4 და მე-5 მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომთან დაკავშირებით, ადრეულ ბავშვობაში, რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიერ მამის ოჯახი, ისევე როგორც სხვა უამრავი აფხაზური ოჯახი, გადასახლებულ იქნა ოსმალეთში, საიდანაც მალე მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება. დაბადების სახელი – გაჩი. ოჯახის მიერ მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ მას დიმიტრი დაერქვა. სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში. ერთხანს მასწავლებლობდა. 1892 წელს კ. მაჭავარიანთან ერთად რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შემქმნელი, რომელიც თბილისში იქნა გამოცემული. 1912-1913 წლებში გამოსცა ლექსთა პირველი კრებული. 1918 წელს სოხუმის ოლქის გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი საბჭოს წევრი. 1919 წელს სოხუმში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთ „Наше Слово"-ს რედაქტორი. ხოლო 1919-1920 წლებში, ასევე სოხუმში გამომავალი პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნი" (Аҧсны), რედაქტორი. 1921 წელს ჩამოაყალიბა პირველი აფხაზური თეატრალური დასი. 1922-1924 წლებში ასწავლიდა აფხაზურ ენას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1925 წელა რუსულ ენაზე გამოსცა „აფხაზეთის ისტორია", სადაც ავტორი ტენდენციურად წარმოადგენს ისტორიულ ფაქტებს, აყალბებს რეალობას და მიჯნავს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიას ერთმანეთისაგან. ცდილობდა აფხაზეთის ისტორია ძველ აღმოსავლეთთან დაეკავშირებინა. მოგვიანებით, 1951 წელს აღიარებს შეცდომებს და უარყოფს თავის ტენდენციურ და სეპარატისტულ მიდგომებს. საბჭოთა კავშირის მე-4 და მე-5 მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„Напомню, что в это время (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – ა. ჩ.) абхазский народ был подвергнут чудовищным репрессиям, объявлен „виновным" населением, большая часть людей была насильно выселена в Османскую империю, а сама Абхазия была переименована сперва в Сухумский военный отдел (1864 – 1883гг.), а с 1883 г. - в Сухумский военный округ, введенный в состав Кутаисского военного губернаторства. Это я к тому, что совсем не удивительно, что многие представители поколения, родившегося и росшего в этих крайне тяжелых условиях целью своей жизни избрали переустройство существовавшего государственного и общественного порядка".[1]

კარგია, რომ ბატონი ავიძბა გულწრფელად საუბრობს აფხაზური ეთნოსის წინააღმდეგ ჩადენილ დემოციდზე, რეპრესიებსა და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლიან ხოცვა-ჟლეტაზე, „მუჰაჯირობაზე" და აფხაზური ეთნოსისათვის მის დამანგრეველ შედეგებზე. მაგრამ იგი ბოლომდე გულწრფელი და გულღია მაინც არ არის. იგი განყენებულად საუბრობს და საგნებსა და მოვლენებს თავის სახელს არ არქმევს. ავიძბა მორცხვად სდუმს და არაფერს არ ამბობს იმაზე, თუ ვის მიერ იქნა ორგანიზებული და განხორციელებული სკვით-სარმატული მოდგმის ველური მომთაბარეებისათვის დამახასიათებელი ეს ბარბაროსული, არაადამიანური ქმედებები... შემთხვევით, რუსების მიერ ხომ არა? იქნებ ქართველების მიერ? ან იქნებ საიდანღაც მოსული ვირტუალური სისხლისმსმელი ბოროტი ძალების მიერ?...

შევცვლით დასმული კითხვების ხასიათს და მათ ასე წარმოვადგენთ: რომელმა ქვეყანამ და სახელმწიფომ აღიარა ოფიციალურად ცარისტული რუსეთის მიერ განხორციელებული ჩერქეზთა გენოციდი, შემთხვევით – საქართველომ ხომ არა? ან, იქნებ დღევანდელმა „თავისუფალმა და დემოკრატიულმა" რუსეთმა?... რას იზამ, პატრონებს მორჩილი და ერთგული ლაქიები სჭირდებათ.

კიდევ ერთი რუსი „მეცნიერი", ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი თავის ისტორიულ ოპუსში „Грузия. Закавказский тупик?" ზემოთ მოყვანილი ზუბოვის სტილში თხზავს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს, სადაც ვკითხულობთ: „Откуда взялись грузины? Прежде чем ответить на этот вопрос, следует заметить, что в образованную в 1936 г. Грузинскую ССР вошли несколько народов и народностей. А само название Грузия появилось лишь в XVI веке. Однако для удобства читателей я буду условно называть територию на которой в 1936 г. искуственно создали Грузинскую ССР, Грузией".[2]

აქაც „ველიკორუსულ დერჟავული" იდეოლოგიის თვალსაჩინო ნიმუშთანა გვაქვს საქმე. წარმოდგენილ „ნაშრომში" აფხაზეთის ისტორია ისეა დახატული, თითქოს აფხაზეთი, საქართველოს ერთ-ერთი მრავალთაგანი კუთხე, მუდმივად ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი არ ყოფილა, მასში ქართველები არასდროს არ ცხოვრობდნენ, და საუკუნეების განმავლობაში ქართველები მხოლოდ და მხოლოდ აფხაზთა დარბევებითა და ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი. ხოლო აფხაზური ეთნოსის, როგორც ასეთის, გადარჩენის საქმეში, გადამწყვეტი როლი კაცთმოყვარე და ქრისტესმიერი სათნოებით აღსავსე რუსულმა სახელმწიფომ და რუსებმა ითამაშეს. ამ პროცესებმა კი, თურმე, განსაკუთრებული ძალით სწორედ პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იჩინეს თავი.

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს იდეოლოგია დღესაც წარმოადგენს კრემლის ბინადართა პოლიტიკური აქტივობის თეორიულ ბაზისს.

---

[1] Доклад на юбилейном собрании директора Института гуманитарных исследований им. Д. Гулиа Василия Авидзба К 120-летию со дня рождения Нестора Аполлоновича Лакоба. http://apsnypress.info/docs/8872.html.

[2] Александр Широкорад. Грузия. Закавказский тупик? _ М., 2010. Стр. 3. Александр Даушвили. Врать надо меньше... Надо меньше врать! ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. №9. 2013. გვ. 325.

ზემოთ ხსენებულ „თხზულებასთან” მიმართებაში არგუმენტირებული სამეცნიერო სტატია დაიწერა პროფესორ ალექსანდრე დაუშვილის მიერ, სადაც საარქივო დოკუმენტებისა და სხვა უტყუარი მასალების წარმოდგენით თითებზე არის ახსნილი ბატონ შიროკორადის მიერ შეკოწიწებული „ნაშრომის” მთელი სიყალბე.[1]

იგივე ავტორის, ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადის კიდევ ერთი „ნაშრომი”, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული, მეტად მოცულობითია და უაღრესად ამბიციური სათაური აქვს – „Война и мир Закавказья за последние три тысячи лет”.[2]

ბუნებრივია ასეთი სათაურის მქონე ნაშრომმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ჰეროდოტესა და თუკიტიდეს დარი ისტორიკოსი თუ გაბედავდა მსგავსი მოცულობისა და სირთულის პრობლემას შეჭიდებოდა. დავიწყე კითხვა და... აი ან „ნაშრომის” პირველი თავის პირველი პარაგრაფის პირველი სტრიქონებიც:

„§ 1. Расцвет и гибель армянских государств.

Историю Закавказья, точнее, краткий ее очерк я вынужден для удобства читателей искусственно разделять на историю Грузии, Армении и Азербайджана в границах соответствующих советских республик. Советские, а ныне „демократические” историки внушили нашим читателям, что эти государства существовали еще до Рождества Христова. На самом деле термин Грузия произошел от персидского слова „Гюрджистан”, то есть „страна волков”. Так персы именовали княжества Картли, Мингрелию, Сванетию и другие. А первое государство, в названии которого появилось слово „Грузия”, была меньшевистская республика, созданная с помощью немецких войск в 1918 г. До этого не было ни одного княжества или царства с таким названием.

Термин „Азербайджан” до 1917 г. обозначал часть Северной Персии, а те, кого мы называем азербайджанцами, официально именовались в Российской империи татарами.

До Рождества Христова было известно лишь одно Армянское царство. С него и начну рассказ о событиях в Закавказье...”[3]

ჰოოო, აქ მართლაც უმძიმეს შემთხვევასთან გვაქვს საქმე... ბატონ შიროკორადის მიხედვით, თურმე ტერმინი „საქართველო”, როგორც ასეთი, 1918 წლამდე არც არსებულა. „ნაშრომში” წარმოდგენილი შემდგომი მასალები და დასკვნები კი, კიდევ უფრო და უფრო გამაოგნებელია, მაგრამ ჩვენი წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, მის განხილვას ამჯერად არ შევუდგებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ალექსანდ ბორისოვიჩის ეს მორიგი ოპუსი აბსტინენციის სინდრომით გაწიწმატებული რუსი დედაკაცის ისტერიულობით დაწერილი, უნიჭო ცინიზმით, თვითკმაყოფილების სიბრიყვითა და ქართველოფობური ოდეოლოგიით უხვად შეზავებული ნაცოდვილარია, ესაა და ეს.

დავინტერესდით ამ ვინმე ალექსანდრ ბორისოვიჩის პერსონით და აღმოჩნდა, რომ იგი თურმე ყოფილა – Современный российский военный специалист, публицист. Автор нескольких десятков научно-популярных книг по артиллерии, военной технике. Его работы в технических вопросах — области артиллерийского вооружения

---

[1] Александр Даушвили. Врать надо меньше... Надо меньше врать! ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. №9. 2013. გვ. 325-353.

[2] Александр Борисович Широкорад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. http://www.xliby.ru/istorija/voina_i_mir_zakavkazja_za_poslednie_tri_tysjachi_let/p7.php.

[3] იქვე.

признаются как авторитетные (Широкорад является одним из ведущих специалистов по отечественной артиллерии).

ასეთ კვალიფიკაციას აძლევენ მას რუსი ავტორები ა. ლობანოვი[1] და ო. აშჩეულოვი[2] თავიანთ ნაშრომებში. თურმე ალექსანდრ ბორისოვიჩი პროფესიონალი სამხედრო, თან თანამედროვე რუსული არტილერიის მამაც ყოფილა. ანუ, რაღაც ქსენოფონტეს მსგავსი – თან ისტორიკოსი, თან სამხედრო. პროფესორ დაუშვილის რეფრენის მსგავსად კი, ისევ ერთი გენიალური ქართველი რეჟისორის მიერ გადაღებული ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი საბჭოური ფილმიდან მოვიყვანთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ძალიან ცნობილ ფრაზას – „Вообще то летчик, но иногда – эндокринолог". დიახ, ასეთ პასუხს იძლევა ფილმ „მიმინოს" მთავარი პერსონაჟი, ვალიკო მიზანდარი უხერხულ სიტუაციაში, საკუთარი პროფესიის წარმოდგენისას. და მაინც რომელ მეცნიერებებშია ალექსანდრ ბორისოვიჩი უფრო განსწავლული – ისტორიაში, პუბლიცისტიკაში, არტილერიაში თუ სამხედრო ხელოვნებაში? იქნებ ომებისა და სამხედრო ხელონების ისტორიაში? და ბოლოს და ბოლოს, ვინ არის რეალურად ეს ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი – летчик თუ эндокринолог?

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არც თვით რუსეთში ბნელა. რუსეთშიც არსებობენ აკადემიური პერსონები, მეცნიერები, მკვლევარები, რომლებიც ობიექტურობის მისაღებ ხარისხში აწარმოებენ სამეცნიერო მუშაობას. აი რას წერს ალექსანდრ ბორისოვიჩზე პოლკოვნიკი ანატოლი არტემიევი, I კლასის სამხედრო მფრინავი, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლობის სამხედრო-საისტორიო ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თავის კრიტიკულ სტატიაში „Гаврилы" против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники":

„После просмотра книги г-на Широкорада у меня появилось более сотни замечаний различного содержания, свидетельствующих о некомпетентности автора по ряду вопросов и его циничном отношении к людям… Средства массовой информации постоянно сообщают о погромах мест захоронений, издевательствах над памятниками, а есть интеллектуальные специалисты „широкого" профиля, которые ради своих корыстных целей готовы исказить и показать все, что происходило ранее, в невыгодном свете. Пиар на костях - излюбленная традиция „Гаврил"![3]

და კიდევ ერთი – პროფესორ ევგენი პოგორელოვის წერილი „Военные тайны" ПИСАТЕЛЯ (ეს სიტყვა მთავრულით არის გამოყოფილი – ა. ჩ.) Широкорада" ჟურნალ „Военно-исторический журнал"-ის რედაქციას:

„Уважаемая редакция!

В „Военно-историческом журнале" №10 за 2007 год были опубликованы две статьи под заголовком "Неизвестные войны" историка Александра Широкорада". Целиком разделяю мнение авторов подполковника А. В. Лобанова и капитана I ранга Е. Г. Мачикина о книге А. Б. Широкорада, но не могу согласиться с тем, что в названиях статей А. Б. Широкорад именуется историком. Так, статья А. В. Лобанова озаглавлена: „Псевдонаучное исследование военных действий в Северном Причерноморье", а Е. Г.

---

[1] А. В. Лобанов. Артиллерия резерва Верхового главнокомандования в Великой Отечественной войне — Военно-исторический журнал, № 2, 2006.

[2] О. Е. Ащеулов. Роль советской артиллерии в решающих битвах и операциях великой Отечественной войны — Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, 2008.

[3] Анатолий Артемьев. Полковник в отставке, военный летчик 1-го класса, с 1983 по 1991 г. Старший научный сотрудник исторической группы главкома ВМФ. "Гаврилы" против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники". Военно-промышленный курьер ВПК. Общероссийская еженедельная газета. http://vpk-news.ru/articles /3459.

Мачикина — ,,Разбавленная анекдотами хроника с многочисленными ошибками и неточностями”. Историк не может заниматься псевдонаукой и анекдотами. Творения А. Б. Широкорада — не что иное, как фальсификация истории.

Действительно, те войны, о которых пишет А. Б. Широкорад, не известны никому, кроме него самого и ему подобных фальсификаторов”.[1]

ა. ლობანოვის, ე. მაჩიკინისა და ე. პოგორელოვის ამ შეფასებებით ყველაფერი თავ-თავის ადგილებზე დგება.

ზუბოვისა და შიროკორადის, ისტორიის ამ ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, ცხადია, მოცემულ ფორმატში მეცნიერული კამათის გამართვას არ ვაპირებთ, რადგან აღნიშნულ თემას უამრავი ქართველი და არაქართველი მეცნიერის სერიოზული კვლევა მიეძღვნა, სადაც მაღალპროფესიულ და აკადემიურ დონეზეა წარმოდგენილი ,,ველიკოდერჟავული” და რუსული შოვინიზმით უხვად გაჟღენთილი ასეთი ე.წ. ,,ნაშრომების” იმპერიული არსი.

,,თანამედროვე რუსული არტილერიის მამას” და ე.წ. ,,ისტორიკოსს”, ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადს კი, ვურჩევდით მოღვაწეობის სფერო შეცვალოს და სხვა დარგში გაცვითოს თავის ,,წვეტიან” აზრებთან ჰარმონიაში მყოფი მახვილი კალამი.

ზემოთ ხსენებულ ავტორთა საქართველოს ისტორიასა და ე.წ. ,,აფხაზეთის ისტორიასთან” დაკავშირებულ ,,ღრმა მეცნიერულ” ინსინუაციებს კი ისევ რუს ავტორს, ამჯერად პროფესორ სვეტლანა ჩერვონნაიას დავუპირისპირებთ. ეს გზა, ასეთი მიდგომა, ჩვენის აზრით, ალბათ ყველაზე უფრო გამართლებული და ყველაზე მისაღებია ობიექტურობის მაქსიმალური ხარისხის უზრუნველსაყოფად. და მაინც ვინაა იგი, სვეტლანა ჩერვონნაია? კი ბატონო. იგი არის – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეროვნებათაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშ-რომელი, ვაშინგტონის ვუდრო ვილსონის სახელობის სამეცნიერო ცენტრთან არსებული რუსული კვლევების ქენანის ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი, 300-ზე მეტი წიგნის, სამეცნიერო სტატიისა და ნაშრომის ავტორი.

მაშ ასე, რას წერს ჩერვონნაია აფხაზეთის ისტორიაზე? ჩვენ არ შევუდგებით ამ ერთობ მოცულობითი სკრიპტის დეტალურ განხილვას და მხოლოდ რუსეთის ცარისტული იმპერიის მიერ XIX საუკუნეში განხორციელებულ კავკასიურ ექსპანსიასთან დაკავში-რებულ ერთ ამონარიდს მოვიყვანთ მისი ნაშრომიდან ,,Абхазия – 1992: Посткому-нистическая вандея”:

,,Жертвой колониальной политики российского самодержавия, российского империализма, лицемерно прикрывавшейся культуртрегерской или христианско-миссионерской видимостью, одинаково становились и ,,большие”, и ,,малые” нации, и народы исламского и православного мира, и жители гор, и жители равнин.

В этом общем горе у грузин и абхазов нет ни преимуществ друг перед другом, ни нравственных оснований к подсчету того, кто раньше - кто позже стал жертвой обмана или агрессии, кто больше или меньше пострадал…

Необходимо развеять миф и подчеркнуть: ни ,,добровольного”, ни ,,прогрессивного”, ни ,,независимого от Грузии” присоединения Абхазии к России не

---

[1] Е. Погорелов. ,,Военные тайны” ПИСАТЕЛЯ Широкорада. ,,Военно-исторический журнал”. http://history.milportal.ru/arxiv/voenno-istoricheskij-zhurnal-2009-g/voenno-istoricheskij -zhurnal-3-2009-g/.

было, а тем более никакой „автономии” абхазского княжества в составе Российской империи не существовало.

Покорение Кавказа было частью колониальной политики Российской империи, и в этой политике использовались разнообразные средства от военной силы до дипломатического обмана и опереточных действий по „завещанию”, „дарению” земель, подкупу князей и вельмож, к чему народы не имели никакого отношения. Расчленяя подлежащие аннексии государства, играя на клановых, религиозных, династических и прочих противоречиях, пытаясь столкнуть христианские и мусульманские народы Кавказа друг с другом, российское самодержавие, действительно, постепенно продвигается в Закавказье, по кускам, по частям аннексируя земли и страны и порабощая его народы, постоянно чередуя при этом кровавое насилие с посулами, обещаниями, „высочайшими”, как старательно пишет Ст. Лакоба, актами государевой милости и ласки к новым верноподданным.

Грузию (как и Азербайджан, как и Северный Кавказ) России удалось присоединить к себе не сразу, буквально приходилось раскалывать и прибирать ее к рукам по частям: в 1783 году (реально - в 1801 году), по Георгиевскому трактату, Картлийско-Кахетинское царство, в 1803 году - Мегрельское княжество, в 1804 году - Имеретинское царство и Гурийское княжество, в 1810 - Абхазское княжество, и только в 1878 году в состав России вошла отторгнутая от Турции Аджария (Батумская область), причем на землях от Карса до Батуми началось выселение мусульман. От этого Грузия не перестала быть Грузией, и трагедии всех „присоединенных”, порабощенных Российским самодержавием народов мало чем отличались друг от друга.

Для абхазского народа „присоединение” означало вовсе не мифическое „освобождение от постоянного страха перед захватчиками” (не жил этот народ в „постоянном страхе”, совсем иной была его история до начала XIX века) и не призрачную „автономию” (о какой „автономии” в самодержавной России могла идти речь?!), а самое жестокое экономическое угнетение, моральное и политическое унижение. Не желая терпеть это состояние, абхазский народ ответил на попытку ввергнуть его в „подданство „Всемилостивейшему Самодержцу” своим участием в Кавказской войне, а после ее поражения массовым трагическим исходом – махаджирством”.[1]

აი ასე... ესაა ნამდვილი, ობიექტური და თუ გნებავთ, მართალი ისტორია. და არა ის ნაცოდვილარი პასკვილები, საბჭოური და რუსული იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ის პამფლეტები, რასაც ათასიანი და ათიათასიანი ტირაჟებით შტამპავენ ათასი ჯურის მომეცნიერო მანერების მქონე პერსონები.

[1] Светлана Червонная. Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992). Москва. Мосгорпечать. 1993. http://www. conflicts.rem33. com/ images/abkhazia/Czerwon na.htm.

§4. აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ისტორიისათვის

გავაგრძელებთ ზემოთ წარმოადგენილ ხაზს, ანუ, არგუმენტირებულ მსჯელობას და საკითხის არსში უფრო ღრმად გარკვევისათვის ისევ რუს, მაგრამ ამჯერად უკვე XIX საუკუნის ავტორს, სამხედრო პირს, მკვლევარსა და პუბლიცისტს, გენერალ ალექსანდრ კუზმინ-კარავაევს[1] მოვიხმობთ. საუბარი XIX საუკუნის ბოლოსათვის სოჭსა და სოჭის ოლქში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათს ეხება. ამ საკითხის შესახებ გენერალი კუზმინ-კარავაევი თავისი კვლევითი ხასიათის წიგნში, სათაურით „Черноморский округ", 1894 წლის მონაცემებით წერდა, რომ „სოჭის ოლქში რუსი მოსახლეობის წილი არ აღემატება მთელი მოსახლეობის 1/7–ს". ანუ, სადღაც 16%-დე. შემდეგ კი ასეთი სქემაა მოყვანილი:

დასახელება	რაოდენობა	რუსები	ქართველები	შაფსუღები	სხვა
ქ. სოჭი	460	11	440	-	9
სოჭის ოლქი	6811	805	836	731	3439

დანარჩენი ხალხები არიან ის ხალხი, რომლებიც მერე იქნენ ჩამოსახლებულები – გერმანელები, ლატვიელები, ესტები, სომხები, ბერძნები და ა.შ.".[2]

დიახ, დღევანდელი ქალაქი სოჭი, 1894 წლისათვის პატარა ქართულ დაბას წარმოადგენდა, სადაც რუსი ეროვნების სულ 11 კაცი ცხოვრობდა! სხვა არაქართველი ეროვნების წარმომადგენელი კი – სულ 9 კაცი! ხოლო მთლიანად სოჭის ოლქში მოსახლეობის უმეტესობას ისევ და ისევ ქართველები შეადგენდნენ.

რუსი მოსახლეობის რაოდენობის შემდგომი ზრდა კი, ისეთი საშინელი და დაუნდობელი მეთოდებით ხდებოდა, რომლის შესახებაც თავად გენერალი კუზმინ-კარავაევი წერს: „ჩვენმა ბრძოლამ დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის წინააღმდეგ მიიღო განსაკუთრებული, ისტორიაში არნახული ხასიათი: მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობისა და მისი მოსახლეობის დამორჩილებისა, არამედ მათგან ტერიტორიების გაწმენდისა".[3] „ტერიტორიების გაწმენდის" რუსულ მეთოდებს კი, გენერალი ძველი სამყაროსათვის დამახასიათებელ ველურობის დარ ქმედებებს ადარებს. იგი წერს, რომ შავიზღვისპირეთის რუსიფიკაცია ისეთი მეთოდებით მიმდინარეობდა,

---

[1] ალექსანდრ ნიკოლაევიჩ კუზმინ-კარავაევი (1862-1923) – რუსი მკვლევარი და სამხედრო მოღვწე, გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. კავკასიის კაზაკთა 1-ლი დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ობერ-ოფიცერი, შემდეგ – კავკასიის საარმიო კორპუსის შტაბის შტაბ-ოფიცერი. წლების განმავლობაში მსახურობდა სამხედრო დაზვერვაში, აწარმოებდა კავკასიის, ამიერკავკასიის, სპარსეთისა და ავღანეთის სტრატეგიულ და მეცნიერულ შესწავლას. 1900 წლიდან მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერი კომიტეტის კანცელარიის უფროსია. შემდეგ – სამხედრო აგენტი ბრიუსელსა და ჰააგაში. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ, 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური და გენერალ-მაიორი, კავკასიის გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაური, კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. I მსოფლიო ომში დონის კაზაკთა 1-ლი დივიზიის მეთაური და გენერალ-ლეიტენანტი. 1914 წლის ნოემბრიდან 1917 წლის იანვრამდე 76-ე დივიზიის მეთაური.

[2] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა). ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 52.

[3] სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 53.

რომელიც მონათმფლობელური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი – „როდესაც მთელი ხალხები მონებად მიჰყავდათ, როგორც ეს, მაგალითად, ებრაელების შემთხვევაში იყო".

დიახ, ორსახოვანი პოლიტიკის წარმოებით – „Кнутом и Пряником" შემოდიოდა მაშინაც, XIX საუკუნეში რუსული იმპერია ამიერკავკასიაში და შემოდის დღესაც, უკვე XXI საუკუნეში – მათრახითა და თაფლაკვერით, ტკბილი დაპირებებითა და იმედებით, ცეცხლითა და მახვილით, ფულითა და მოსყიდვებით, სისხლითა და ცრემლით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, სიძულვილითა და მტრობით... და ასე უსასრულოდ... ყოველივე ეს კი, მცოცავი ანექსია იყო მაშინაც და მცოცავი ანექსიაა დღესაც, სხვა არაფერი, რომელიც წარმატებით იქნა განხორციელებული XIX საუკუნეში და ჯერ-ჯერობით წარმატებით ხორციელდება დღესაც.

ჩვენ კი, ქართველებსა და აფხაზებს, ისევ არ გამოგვაქვს ისტორიის მწარე გამოცდილებიდან შესაბამისი დასკვნები და ისევ იმ სისხლიანი ჭაობისაკენ მივილტვით ნებსით თუ უნებლიეთ, რაც წესით, დიდი ხანია ისტორიის მოუსავალ შრეებში უნდა იყოს დალექილი. დალექილი და არა დავიწყებული...

ისტორია კი ხშირად მეორდება... და სამწუხაროდ, მეორდება საზარელი გარდუვალობით...

ჩვენ კი ისევ განსახილველ თემას დავუბრუნდეთ – 1917-1920 წლები, „წითლები", „თეთრები", საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი შეიარაღებული ძალები. ბუნებრივია, ჩვენ არ ვაპირებთ იმ დიდი მოზაიკური პანოს სრულ კვლევას, რასაც ამ პერიოდის „ქართულ-რუსული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება" ჰქვია, მისი ყოველი ასპექტის ჩათვლით. ცხადია, არც აფხაზეთის ისტორიის საკითხებს განვიხილავთ უხსოვარი დროიდან, და არც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიული რაკურსის განხილვა წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს. ყოველივე ეს ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ და თემატურ ჩარჩოებს სცილდება. ამ საკითხების შესახებ კი, უამრავი კეთილსინდისიერი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერის აკადემიური კვლევა, მონოგრაფია და ნაშრომი არსებობს, სადაც სრულყოფილად და ობიექტურადაა წარმოდგენილი აღნიშნული თემატიკა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოვყოფდით პროფესორ ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას ფუნდამენტალურ მონოგრაფიას „Абхазия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века", სადაც უმდიდრეს წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული და წარმოდგენილი აღნიშნული საკითხები. აგრეთვე პროფესორ ზურაბ პაპასქირის „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I (2004 წ.) და ნაკვეთი II (2007 წ.)", პროფესორ ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომს „აფხაზი თუ აფსუა?" და აწ განსვენებული პროფესორის, ავთანდილ მენთეშაშვილის „Исторические предпосилки современного сепаратизма в Грузии". და რა თქმა უნდა იგივე პროფესორ სვეტლანა ჩერვონნაიას „Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея".

ამ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ნაშრომებში მდიდარი სამეცნიერო წყაროებისა და საარქივო დოკუმენტური მასალების შესწავლის საფუძველზე სრულადაა წარმოდგენილი აფხაზთა ეთნოგენეზი, დღევანდელი „აფხაზების" ჩრდილო კავკასიელ აფსუებთან იდენტურობის პრობლემები. ნაჩვენებია ძველი აფხაზების, როგორც ქართული ეთნოსის შემადგენელი ნაწილის და ე.წ. „ახალი აფხაზების" ვინაობის დამადასტურებელი მონაცემები. მეცნიერული თვალსაზრისითაა შესწავლილი და წარმოდგენილი აფხაზეთის – საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ისტორია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, 1917-1920 წლებში აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, აფხაზური, უფრო ზუსტად „აფსუური" სეპარატიზმის წარმოქმნა, წანამძღვრები და მისი განვითარების შემდგომი ტენდენციები.

აქ კი, ჩვენ მხოლოდ მოკლე რაკურსით წარმოვადგენთ აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მოწყობის დინამიკას.

დღევანდელი სოჭი-ტუაფსეს რაიონი უძველესი დროიდან საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის – აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა... და ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში...

კავკასიაში რუსეთის გაბატონების შემდეგ კი, აფხაზეთის სამთავროს მოჩვენებითი „დამოუკიდებლობისაგან" კვალიც აღარ დარჩა. აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი „მფლობელი" 1823-1864 წლებში, ძველი აფხაზური არისტოკრატული მოდგმის წარმომადგენელი, თავადი მიხეილ შარვაშიძე,[1] რომელმაც იმპერატორის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებების გამო გენერლის ჩინიც კი მიიღო, საბოლოო ჯამში, მწარედ მოტყუვდა. მწარედ მოტყუებული დარჩა მისი შთამომავლობაც და საერთო ჯამში, მთლიანად აფხაზი ხალხიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, და ცარიზმის ფარისევლური ექსპანსიონისტური პოლიტიკის შესახებ, დიდი აფხაზი ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ძიძარია, ჯერ კიდევ 1939 წელს, თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში „Завоевание Абхазии царской Россией", წერდა:

„1864 წელს ჰამუთ-ბეი (მიხეილი) ვორონეჟში იქნა გადასახლებული, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც. იგი საგვარეულო სასაფლაოზე დაასაფლავეს. მისი ქონება კი, რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების მიერ იქნა დატაცებული.

ასე დასრულდა თავად შარვაშიძეთა სამარცხვინო ისტორიული როლი, რომლებიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსული ცარიზმის საყრდენს წარმოადგენდნენ აფხაზეთში.

ნიღბები უკვე ჩამოხსნილი იყო, და აფხაზეთიც „სოხუმის სამხედრო ოლქად" გადაკეთდა. ეს იყო „დამოუკიდებელი" აფხაზეთის დამოუკიდებლობის დასასრული. რუბიკონი გადალახულ იქნა... იწყებოდა კოლონიური ექსპლუატაციის დაუფარავი და ყველაზე უსირცხვილო ხანა".[2]

ცარიზმის ამიერკავკასიაში შემოსვლით, აფხაზეთის სამთავროს სრული ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, აფხაზეთის სამთავრო, ერთ დროს ერთიანი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი, ისევე როგორც დანარჩენი ქართული სამეფოები და სამთავროები, ქრება. საერთო ჯამში, XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველო სრულად იქნა დაპყრობილი და აქ რუსული იმპერიის მმართველობითი ადმინისტრაციული სისტემა იქნა შემოღებული. ისტორიული ქართული მიწები კი, ახალი სისტემით გადანაწილდა. შავიზღვისპირეთში შეიქმნა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, ე.წ. „შავიზღვისპირეთის ოკრუგი", მოგვიანებით კი, 1896 წლის მაისში, ნიკოლოზ II-ის ბარძანებით, ეს ტერიტორია მოექცა ახლადჩამოყალიბებული შავიზღვის გუბერნიის

---

[1] მიხელ შარვაშიძე (ჰამუთ ბეი) (1806-1866) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი 1822-1866 წლებში, უბრწყინვალესი თავადი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, პრორუსულად განწყობილი მოღვაწე და რუსული ცარისტული პოლიტიკის საყრდენი აფხაზეთში. ყირიმის ომში პროთურქულ პოზიციაზე გადასვლის საბაბითა და მოგვიანებით, ოსმალური პოზიციების გამო, იმპერიის ღალატისათვის წაყენებული ბრალდებით 1864 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით გაუქმებულ იქნა აფხაზეთის სამთავრო. ავადმყოფი მიხეილ შარვაშიძე შეპყრობილ და გადასახლებულ იქნა რუსეთში, ვორონეჟის გუბერნიაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1866 წელს. იმავე წლის ივლისში აფხაზი ხალხი აღსდგა. აფხაზთა სახალხო აჯანყების მონაწილეებმა მისი ვაჟი, გიორგი, აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს, მაგრამ იმავე წლის აგვისტოში რუსეთის არმიამ აჯანყება სისხლში ჩაახრჩო. ისტორიული აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე იმპერიის ადმინისტრაციის მიერ სოხუმის სამხედრო ოლქი შეიქმნა. აფხაზეთის სამთავრო საბოლოოდ იქნა გაუქმებული.

[2] Г. А. Дзидзария. Завоевание Абхазии царской Россией. Академия наук Абхазии. Абхазскийи нститут гуманитарных исследований им. Д. И. Гулия. Труды. Том III. Из неопубликованного наследия. Сухуми. 2006. Стр. 97.

შემადგენლობაში, სამი ადმინისტრაციული ერთეულით – სოჭის, ტუაფსესა და ნოვოროსიისკის ოლქით (ოკრუგით). გუბერნიის ცენტრად ქალაქი ნოვოროსიისკი დადგინდა, ხოლო მისმა სამხრეთის ადმინისტრციულმა საზღვარმა სოხუმის ოკრუგთან (აფხაზეთთან) – მდინარე მზიმთაზე გაიარა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1864 წლიდან, რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ტერმინი „აფხაზეთი" ქრება. აფხაზეთის სამთავროს სახელი გადაერქვა და მას სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა, რომელიც 1868 წელს ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქების შეერთებით გაფართოვდა, შეყვანილ იქნა ქუთაისის სამხედრო საგუბერნატოროს შემადგენლობაში. ამ ოლქმა 1888 წლამდე იარსება. ამასთან ერთად, 1904 წელს რუსეთის მთავრობამ შავიზღვის გუბერნიის საზღვარი კიდევ უფრო სამხრეთით გადმოსწია – შავი ზღვის გუბერნიას შეუერთდა სოხუმის ოკრუგის ნაწილი გაგრის კლიმატური სადგურის მიმდებარე ტერიტორიებითურთ, 150 ათასამდე დესეტინა მიწა – ტყეები და ალპური საძოვრები. ცხადია, საქართველოს პოლიტიკურ წრეებს პეტერბურგის ასეთი მოქმედება არ მოსწონებიათ. მაგრამ რადგანაც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილება რუსეთის საიმპერატორო კართან დაახლოებული პიროვ-ნების, გაგრის კლიმატური სადგურის დამაარსებლის, პრინც ალექსანდრ ოლდენბურგის სურვილით მოხდა, ამიტომ ასეთი მდგომარეობა 1917 წლამდე შენარჩუნდა. ასე რომ, გაგრა და მისი შემოგარენი გამოყვანილ იქნა სოხუმის სამხედრო ოლქის შემადგენ-ლობიდან და შეყვალი იქნა შავიზღვის გუბერნიის სოჭის ოლქის შემადგენლობაში. ასე მოსცილდა გაგრა საქართველოს. თავად ტერმინი „აფხაზეთი" კი, როგორც ასეთი, აღდგენილ იქნა მხოლოდ ცარიზმის დამხობისა და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ.[1]

ზოგადად და ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ცარიზმის დაპყრობით კოლონიალურ პოლიტიკას ყველგან და ყოველთვის ერთი საერთო ნიშანი და ერთი ხაზი გასდევდა – აგრესია და ფარისევლობა, სისასტიკე და მოჩვენებითი ქრიასტიანული მესიანიზმის იდეოლოგია. რუსული თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის, რუსული იმპერიალიზმის მსხვერპლნი ერთნაირად ხდებოდნენ „დიდი" თუ „მცირე" ერები, ისლამის მიმდევარი ხალხები თუ ქრისტიანები, მთიელები თუ ბარის მაცხოვრებლები. მეტად აგრესიული, ექსპანსიონისტური კოლონიალიზმის გზაზე კი, იმპერია ფარისევლურად ინიღბებოდა კულტურული და ქრისტიანულ-მისიონერული საბურველით.

ამ პროცესების შესახებ ქართველებთან და აფხაზებთან მიმართებაში, ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ჩერვონნაია: „В этом общем горе у грузин и абхазов нет ни преимуществ друг перед другом, ни нравственных оснований к подсчету того, кто раньше - кто позже стал жертвой обмана или агрессии, кто больше или меньше пострадал".[2]

ერთი რუსი მოხელე კი, 1892 წელს აფხაზეთში რუსების ჩამოსახლების პროცესის შესახებ აღნიშნავდა: „...ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით მხოლოდ, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადახვა ტომობრივი და სხვადასხვა ეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ზღვა ნამდვილად რუსული იყოს".[3]

---

[1] Светлана Червонная. Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея. Москва. Мосгорпечать. 1993. http://www.conflicts.rem33.com/ images/abkhazia/Czerwonna.htm.

[2] იქვე.

[3] ავთანდილ სონღულაშვილი. აფხაზი თუ აფსუა? გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2007. ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი. 1996. http:// iberiana. wordpress.com/ abkhazia/.

ძალიან მოკლე ხანში რუსები, რუსეთის ამ „რივიერაზე", ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცლილ შავიზღვისპირეთში სახლდებიან და იქ მაგრდებიან. შავიზღვისპირეთისა და აფხაზეთის რეგიონში რუსული შოვინისტური იდეოლოგიის იმდროინდელ რუპორს გაზეთი „შავი ზღვის მაცნე" და მისი რედაქტორი, ვინმე პალმი წარმოადგენდა. ამონარიდი გაზეთიდან: „აფხაზები და მეგრელები ქურდები არიან, იმერლები – მედუქნეები, ქართლელები და კახელები – მეღორეები; ისე კი, სიმართლე ითქვას – ქართველები კარგი ხალხია".[1] რუსული ყოვლადმპყრობელური შოვინიზმისა და ცინიზმის კიდევ ერთი მაგალითი.

აფხაზეთის „რივიერას" რუსული ყოვლადმპყრობელური და კოლონიზატორული პოლიტიკა კი გრძელდებოდა და აფხაზური მიწები ნელ-ნელა რუსი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ხელში გადადიოდა. შესაბამისად იცვლებოდა ქართული ტოპონიმიკაც. ქრებოდა სოფლების, დასახლებების ისტორიულ-გეოგრაფიული დასახელებები და ჩნდებოდა ახალი, რუსული დასახელებები. აი ამ დასახელებათა არასრული სია: ბაკლანოვკა, ბელორეჩენსკი, ვესიოლოე, პეტროვსკოე, ალექსანდროვსკოე, ანდრეევსკოე, ნაა-არმიანსკოე, ოლგინსკოე, ვლადიმირსკოე, ლაზარევსკოე და სხვა.[2]

მეფის ხელისუფლება, რომელიც აფხაზეთში უაპელაციოდ ეპატიჟებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებსა და სექტანტებს, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდა ქართველ გლეხობას. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ფ. გერშელმანი 1900 წლის 2 სექტემბერს თავის მოხსენებაში „სოხუმის ოლქში ქართული მოძრაობის შესახებ" გულწრფელად წერდა: „პოლიტიკური თვალსაზრისით ოლქის რუსულ კოლონიზაციას რუსეთისათვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. აფხაზები დღემდე რჩებიან დაბალი კულტურის, გონებრივად და ზნეობრივად დაბალი განვითარების მქონე, თავის რელიგიურ შეხედულებებში მერყევ ხალხად, რომელმაც არაერთხელ გამოავლინა თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა". გენერლის აზრით, სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ოლქის რუსული კოლონიზაციის დაჩქარება, რუსული მოქალაქეობის დამკვიდრება.[3]

თებერვლის რევოლუციისა და მეფის გადადგომის შემდეგ კავკასიის სამეფისნაცვლოში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება. იცვლება ძალთა ბალანსიც და პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალები და ახალი სუბიექტები გამოდიან...

მოვლენების ამ განვითარებას წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის თავებში განვიხილავთ. კერძოდ, ძირძველ ქართულ მიწებზე, აფხაზეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ჯიქეთი) 1918-1920 წლებში განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ

---

[1] Друг. Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г.г. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 78. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[2] Ираклий Геленава. Абхазия с 1881г. до февраля 1917 года. Ужесточение колониальной политики в 1881-1905 годах. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 422. Т. Гванцеладзе. Массовое изменение топонимов в Абхазии после 1864 года. Кавказско-Иберийское языковедение. Т. XXXIV. Тб. Стр. 45 (на груз. яз.)

[3] Ираклий Геленава. Абхазия с 1881г. до февраля 1917 года. Ужесточение колониальной политики в 1881-1905 годах. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 422. Т. Гванцеладзе. Массовое изменение топонимов в Абхазии после 1864 года. Кавказско-Иберийское языковедение. Т. XXXIV. Тб. Стр. 45 (на груз. яз.) Стр. 421-422. А. Силагадзе, В. Гурули. Из истории борьбы за неделимость Грузии. Раздел II. Тб., 1999. Стр. 80, 83.

მოვლენებს. აღნიშნულ საკითხს სამხედრო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის კუთხითაც წარმოვაჩენთ. თუ უფრო დავკონკრეტდებით – სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის თვლსაზრისით განვიხილავთ ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებებს საქართველოს აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. ნაშრომში მოყვანილი საარქივო დოკუმენტებისა (მათ შორის რუსულის და აფხაზეთის არქივების) და სხვა უტყუარი მასალების წარმოდგენით თავისთავად გავშლით აღნიშნულ თემას და ნათლად დავხატავთ აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის რეგიონებში (სოჭისა და სოხუმის ოლქები) 1918-1920 წლებში მიმდინარე რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ სურათს.

და ყველაზე მთავარი. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვაწყობს თუ არ გვაწყობს, საკვლევ თემებსა და მოვლენებს რეტუშირების გარეშე, მხოლოდ ფაქტოლოგიურ და უტყუარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით განვიხილავთ მკაცრად და მიუკერძოებლად, ობიექტურობის მაქსიმალური დაცვით, ყოველგვარი შერბილებისა და შელამაზების გარეშე. მხოლოდ ასეა შესაძლებელი რეალური სურათის დადება და იმ პერიოდში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების წარმოდგენა.

მკაცრად მეცნიერული თვალსაზრისით კი, ამა თუ იმ საკითხის შესწავლისადმი ზერელე მიდგომა ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს, როდესაც საკვლევი თემა და მისი ქრონოლოგია სულ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი რეალიების ზუსტად ასახვასა და წარმოდგენას ეხება. დღეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება კი, შემდეგ ძალიან გართულდება. გასაგებია თუ რამდენად არაზუსტად და დამახინჯებულად იქნება ეს პერიოდი აღნუსხული საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებში მომავალი თაობებისათვის. ისტორიის გაყალბება კი, თუნდაც უნებლიე, მიუტევებელი და მძიმე გადაცდომაა, რაოდენ მკაცრადაც არ უნდა ჟღერდეს ჩვენი ეს დასკვნა. საკითხთან ასეთი მიდგომა თავის შხამიან ნაყოფს მხოლოდ წლებისა და ათწლეულების შემდეგ გამოიღებს, რომლის შემდგომში გამოსწორებაც უკვე შეუძლებელი იქნება.

ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა პათეტიკური ტონით აღწერილი ჰეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალიების ზუსტი აღწერა და ანალიზია, ან უკიდურეს შემთხვევაში – მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობა. ამ საკითხთან მიმართებაში XIX საუკუნის დიდ სამხედრო მოღვაწესა და ფილოსოფოსს, თანამედროვე ომის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცს (Carl von Clausewitz) მოვიხმობთ:

„ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენის კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც მხოლოდ რიგითობით ალაგებს მოვლენებს და ოდნავ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ასეთ კრიტიკულ გადმოცემაში გონებრივი მოქმედების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ.

პირველ რიგში – ისტორიული ძიება და საეჭვო ფაქტების დადგენაა. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე – მიზეზ–შედეგობრივი კავშირი. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან აიხსნება ცდების საშუალებით, მხოლოდ ამ გზით მიიღწევა.

მესამე – გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასება. ესაა – აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ

უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ".[1]

აქვე მოვიყვანთ უკვე XX საუკუნის ბრიტანელი მოაზროვნისა და თანამედროვე სტრატეგიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სერ ბაზილ ჰენრი ლიდელ ჰარტის (Sir Basil Liddell Hart) ნააზრევს და კლაუზევიცისაგან განსხვავებით, ძალიან მარტივად და გასაგებად ვიტყვით, რომ „ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების კატალოგია... ჩვენი მოვალეობა კი ისაა, რომ გავითვალისწინოთ ეს საკითხი და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ მისგან".[2]

დაბოლოს. დავესესხებით პროფესორ ჯემალ გამახარიას, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აღიარებულ მკვლევარს, აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერს, და სრულად გავიზიარებთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „დღეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის რეალობა, რომ ისტორიული მეცნიერება არ უნდა იქცეს პოლიტიკის მონად, მსახურად, როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში იყო, მაგრამ ის აუცილებლად უნდა გახდეს ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველი, ერთადერთი საყრდენი. ე.ი. ოფიციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებას და არა მეცნიერება – პოლიტიკას".[3]

---

[1] Клаузевиц. О войне. Государственное Военное Издательство Наркомата Обороны Союза ССР. Москва. 1937. Стр. 96-97.

[2] B. H. Liddell-Hart. Why Don't We Learn from History? Hawthorn Books, New York, 1971. Pg. 43.

[3] ჯ. გამახარია. აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. თბილისი. 1998. გვ. 5.

გრიგორი სოკოლნიკოვი (1888-1939)

ადოლფ იოფე (1883-1927)

ტროცკი ბრესტ-ლიტოვსკში

ლევ ტროცკი (1879-1940)

ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების პროცესი



ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის დღე – 1918 წლის 3 მარტი



ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირველი გვერდები

ჰელმუტ ფონ მოლტკე (1800-1891)

პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847-1934)



გიორგი შარვაშიძე
(1846-1918)

ნიკოლოზ ჩხეიძე
(1864-1926)



ნოე ჟორდანია
(1868-1954)

ლენინი და სტალინი

ლენინი და ტროცკი მიტინგზე

ლენინი მიტინგზე

ლავრ კორნილოვი (1870-1918)

ალექსანდრ კერენსკი (1881-1970)

ალექსანდრ კუზმინ-კარავაევი (1862-1923)

კერენსკი ფრონტზე

პეტროგრადის წითელი გვარდია. 1917 წელი

იოსებ სტალინი
(1870-1953)

გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე
(1886-1937)

ნოე (სამუელ) ბუაჩიძე (1882-1918)

მიხაილ ფრუნზე (1885-1925)

სერგეი კამენევი (1881-1936)

იოაკიმ ვაცეტისი (1873-1938)

მარია ულიანოვა
(1878-1937)

კარლ ლიბკნეხტი
(18871-1919)

ალექსანდრა კოლონტაი
(1872-1952)



ДЕКРЕТЪ

Совѣта Народныхъ Комиссаровъ.

" Января 1918 г.

г. Петроградъ.

Старая армія служила орудіемъ классовой буржуазіи. Съ переходомъ власти къ возникла необходимость созданія новой арміи, которая была бы оплотомъ Совѣтской власти въ настоящемъ и фундаментом для замѣны всенароднымъ вооруженіемъ въ будущемъ и послужитъ поддержкой для грядущей Соціалистической революціи въ Европѣ.

I.

Въ виду этого Совѣтъ Народныхъ Комиссаровъ постановляетъ: организовать новую армію подъ названіемъ "Рабоче-Крестьянская Красная Армія", на слѣдующихъ основаніяхъ:

1/ Рабоче-Крестьянская Красная Армія создается

Доступъ въ ея ряды открытъ для всѣхъ гражданъ Россійской Республики не моложе 18 лѣтъ. Въ Красную Армію поступаетъ каждый, кто готовъ отдать свои силы, свою жизнь для защиты завоеванной Октябрьской Революціи и власти Совѣтовъ. Для вступленія въ ряды Красной Армія необходимы рекомендаціи: Войсковыхъ Комитетовъ или Общественныхъ Демократическихъ организацій, стоящихъ на платформѣ Совѣтской власти, партійныхъ или профессіональныхъ организацій или по крайней мѣрѣ двухъ членовъ этихъ организацій. При вступленіи цѣлыми частями требуется круговая порука всѣхъ и поименное голосованіе.

II.

1/ Воины Рабоче-Крестьянской Красной Арміи состоятъ на полномъ Государственномъ довольствіи и сверхъ сего получаютъ 50 руб. въ мѣсяцъ.

2/ Трудоспособные члены семей Красной Арміи, находившіеся ранѣе на ихъ иждиве-

III.

Верховнымъ руководящимъ органомъ Рабоче-Крестьянской Красной Арміи является Совѣтъ Народныхъ Комиссаровъ. Непосредственное руководство и управленіе арміей сосредоточено въ Комиссаріатѣ по военнымъ дѣламъ въ созданной при немъ особой Всероссійской Коллегіи.

Предсѣдатель Совѣта Народныхъ Комиссаровъ

 მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის დეკრეტი
ლენინის ხელით შეტანილი ჩასწორებებით

რუსეთის წითელგვარდიული რაზმი



Р.С.Ф.С.Р.

Приказы Реввоенсовета Республики. 1919 г. №№ 396 и 1491.

СЛУЖЕБНАЯ

КНИЖКА КРАСНОАРМЕЙЦА.

Фамилия Ленин

Имя Владимир

Отчество Ильич

Часть войск 195 стр. Бакский полк

Номер роты или наименование команды 1 роты

Номер взвода 1 взвод

Номер отделения 1 отделения

Личный номер

ვლადიმერ ლენინის სახელზე გამოწერილი
წითელარმიელის წიგნაკი

ლევ ტროცკი და მისი მოადგილე ეფრაიმ სკლიანსკი
წითელ მოედანზე გამართულ აღლუმზე



ბოლშევიკთა ჯავშანმატარებელი №10 – „როზა ლუქსემბურგი"

მეჰმედ ვეჰიბ ფაშა (1877-1940)

ისმაილ ენვერ ფაშა (1881-1922)

შუაში აჰმედ ფაშა, და შვილები – ენვერ და ნური ფაშები

უინსტონ ჩერჩილი (1874-1965)



დევიდ ლოიდ-ჯორჯი (1863-1945)

ბორის სავინკოვი (1879-1925)

თბილისი, 1917 წლის 26 მაისი. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრები: ნ. ჟორდანია, ა. გერასიძე, ს. ვერეშკო, კ. მუხარინსკი, ს. ჯიბლაძე, გ. ქარცივაძე, ი. ტრეიმანი, პ. კახიანი, გ. ლომთათიძე, ვ. ჯუღელი და სხვები.

სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი და ზურაბ ავალიშვილი. დგანან: სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი. ბერლინი, 1918 წ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

ამიერკავკასიის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის პირველი
შემადგენლობის მთავარი შტაბის წევრები.

თბილისის წითელგვარდიელთა რაზმი.

შალვა მაღლაკელიძე
(1893-1976)

თბილისი, 1917 წლის მაისი. დროებითი მთავრობის კომისრის, ხარლამოვის გამოსვლა გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე.

მიხეილ შარვაშიძე (1806-1866)

გიორგი შარვაშიძე (1846-1918)

თავად შარვაშიძეთა სასახლის ნანგრევები სოფელ ლიხნში. სასახლე დაინგრა 1866 წელს რუსების მიერ სოფელში მოწყობილი ეგზეკუციისას.

გაგრა 1917 წელს

მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე და ბესარიონ ბერიძე.

დიმიტრი გულია (1874-1960)

გიორგი შარვაშიძე და მისი მეუღლე ელენე (ელო) ანდრიევსკაია (მარცხნივ).

თავი II

ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესია აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში

„საქართველოს დამოუკიდებლობა წმინდა წყლის ტყუილად იქცა. სინამდვილეში ესაა საქართველოს ოკუპაცია და მისი სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ. ესაა გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან, რომელიც მიმართულია ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ".

ვლადიმერ ლენინი. 1918 წელი.

§1. აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის სათავეებთან

რუსეთის თებერვლის რევოლუციამ და მეფის დამხობამ მძლავრი ბიძგი მისცა ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე რევოლუციური აქტივობის ზრდას. სულ მალე ამ მოვლენებმა არაკონტროლირებადი ჯაჭვური რეაქციის სახე მიიღო და მისმა ექომ ჩრდილოეთ კავკასიამდეც მოაღწია. იმპერიის დაშლას კავკასიის დამონებული ხალხები ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების იდეით შეხვდნენ, საერთო ქაოსმა კი ხელი შეუწყო ჩრდილო-კავკასიელი ხალხების „რევოლუციური" და ეროვნულ-განმანთავისუფ-ლებელი მოძრაობის აღმავლობას. ასე ჩამოყალიბდა „კავკასიის მთიელთა გაერთიანებული კავშირი", რომელიც ვლადიკავკაზში, 1917 წლის მაისში შეიქმნა მთიელთა I ყრილობაზე. ამ ორგანიზაციაში უნდა მომხდარიყო რევოლუციური მასების ენერგიის აკუმულირება, რომლის მიზანსაც იმპერიის წნეხისაგან დასხლტომა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის მისაღები ფორმების ძიება წარმოადგენდა. ამ „კავშირს" ხელმძღვანელობდნენ ჩეჩენი ტ. ჩერმოევი, ყუმუხი რ. კაპლანოვი, ყაბარდოელი პ. კოცევი, ინგუში ბ. ჯაბაგიევი და სხვები.[1]

მსგავსი სცენარით განვითარდა „რევოლუციური" პროცესები აფხაზეთშიც, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში. მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიისაგან განსხვავებით, სოხუმის ოლქში მიმდინარე პროცესებმა მკვეთრად განსაზღვრული ნაციონალისტური, ანტიქართული და სეპარატისტული ელფერი მიიღო. აქ ჩაბუდებულმა აფსუა სეპარატის-ტებმა მოხერხებულად ისარგებლეს ლენინური „ერთა თვითგამორკვევის" დეკლარირებული პრინციპებით და აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის პოლიტიკაზე აიღეს კურსი. აფხაზთა სეპარატისტულ მოძრაობას „ახალი აფხაზები", აფხაზური ე.წ. „სახალხო ინტელიგენციის" წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში: სიმონ ბასარია, სიმონ აშხაცავა, ვასილ აგრბა და სხვა. ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ზურაბ პაპასქირი, რომ „ახალ სიტუაციას მომზადებული შეხვდნენ ანტიქართულად განწყობილი აფხაზური „სახალხო ინტელიგენციის" ლიდერები... აფხაზეთში რუსეთის იმპერიული რეჟიმის მიერ ათეული წლების მანძილზე გატარებულმა თანმიმდევრულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ რეალური ნაყოფი უკვე 1905-1907 წ.წ. რევოლუციის პერიოდში გამოიღო, როდესაც ოდესღაც რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოძულე აფხაზობამ, რომელთა დიდი ნაწილი თავის ჩრდილო-კავკასიელ მუსლიმ თანამოძმეებთან ერთად თითქმის 70 წლის განმავლობაში „საღვთო ომს" ეწეოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, დიამეტრალურად შეიცვალა ორიენტაცია და იმპერიის ყველაზე ლოიალურ და ერთგულ ხალხად იქცა".[2]

როგორც იტყვიან, იმპერიულმა პრინციპმა "devide et impera" შესაბამისად იმუშავა და თავისი შხამიანი ნაყოფიც გამოიღო. მუჰაჯირობის პროცესის დასრულებისა და აფხაზი ხალხის სრული დამორჩილების შემდეგ, აფხაზებს „დამნაშავე ხალხის" სტატუსი მოეხსნათ და იმპერიის მხრიდან მათზე დაწოლაც შემცირდა. დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან კი, კავკასიაში ყველაზე ურჩ, რევოლუციური იდეებით შთაგონებულ და იმპერიისათვის საშიშ ხალხად უკვე ქართველები იქცნენ. იმპერიამ ჩათვალა, რომ 1905-1907 წლების რევოლუცია და მასში ქართველი რევოლუციონერების დიდი როლი და ადგილი, ამის სრული დასტური იყო. იმპერიის უსაფრთხოებისათვის, იმპერიაში მცხოვრებ

---

[1] Лакоба Станислав. К ВОПРОСУ О КАВКАЗСКОЙ КОНФЕДЕРАЦИИ. Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 гг.), Горская республика (1918-1920 гг.). Документы и материалы. Махачкала, 1994. С. 4-5, 134. http://fatiha.ru/fatih/ konfederac.htm.

[2] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ. 3.

ხალხებთან დამოკიდებულებაში საჭირო იყო სტრატეგიული ვექტორების მიმართულების შეცვლა და კავკასიაში ძალთა შემდგომი დაბალანსება. საჭირო იყო ქართველთა რევოლუციური სულისკვეთების ჩაქრობა, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხებსა და დიასპორებში პრორუსული განწყობების გაზრდა. პირველ რიგში კი, ამ ხალხების ცნობიერებაში ანტიქართული განწყობების მუხტი უნდა შექმნილიყო. ხალხებს შორის სიძულვილის ნაპერწკლის შემდგომი გაღვივება კი, იმპერიისათვის უკვე ძალიან მარტივ ამოცანას წარმოადგენდა. ამის გამოცდილება და მეთოდები იმპერიას უკვე კარგად ჰქონდა დამუშავებული. ქართველთაგან მომავალი „რევოლუციური საფრთხის" ნეიტრალიზებისა და პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის საჭირო იყო დაპირისპირების იდეოლოგიურიდან სულ სხვა, ეროვნებათაშორისი დაპირისპირების ჭრილში გადატანა, თუმცა იგი მაინც გარკვეული იდეოლოგიური საბურველით უნდა შენიღბულიყო. და ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. იმპერიის მიერ ასეთ ხელსაყრელ ხალხებად საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები, ოსები და აფხაზები იქცნენ, განსაკუთრებით – ეს უკანასკნელნი.

სწორედ ზემოთ ხსენებული რუსოფილი „ახალი აფხაზები" აღმოჩნდნენ რევოლუციური ქარიშხლის ავანგარდში და სასწრაფოდ შეუდგნენ იმპერიისაგან მართული ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებას. ყველაფერი ეს კი დემოკრატიის შირმით უნდა შენიღბულიყო. რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივ (აფხაზეთის) ორგანოს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტს (შეიქმნა 1917 წლის 10 მარტს) სწორედ რუსოფილი „ახალი აფხაზები" და „სახალხო ინტელიგენციის" წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში. ამ ორგანოს ხელმძღვანელი ქართველთმოძულე აფხაზი თავადი ალექსანდრე შარვაშიძე გახდა.[1] საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: თავადი ჯოტო შარვაშიძე, ვარლამ ლაკერბაია, თავადი არზაყან ემუხვარი, თავადი ვლადიმერ ემუხვარი და ანდრია ჭოჭუა. ამასთან, ჭოჭუას არყოფნის შემთხვევაში მას შეცვლიდა მ. ცაგურია.[2] ოლქის მილიციის უფროსად თავადი ტატაშ მარშანია იქნა არჩეული, ქალაქ სოხუმის თავად კი, ძველი რევოლუციონერი და ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი – ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი.[3] საყურადღებოა, რომ ზემოთ ხსნებული კომიტეტის შემადგენლობა სოხუმის ოლქის მხოლოდ აფხაზური მოსახლეობის შეკრებაზე იქნა მიღებული. ამ საკითხში აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნებების ინტერესები იგნორირებულ იქნა. ამიტომ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს ე.წ. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტი" ხელისუფლების არალეგიტიმურ ორგანოს წარმოადგენდა და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა სოხუმის ოლქის მთელი მოსახლეობის ინტერესებს.

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ.4.

[2] Протокол. Совещания представителей абхазского населения Сухумского округа. 10 марта 1917 года. Абгосмузей, подлл. Ф. 3, оп. 1., д. 39, лл. 17-18. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 14. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[3] ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი (1879-1924) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი რევოლუციონერი და ხალხოსანი, საქართველოს მარქსისტული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია „მესამე დასის" ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, რსდმპ წევრი, 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში, გურიის ე.წ. „სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის" პრეზიდენტი. 1918 წელს ქუთაისის გუბერნიის კომისარი და ქალაქ სოხუმის თავი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1921 წლის თებერვალ-მარტში ქალაქ თბილისის, თბილისისა და ბორჩალოს მაზრების, აგრეთვე რესპუბლიკის რკინიგზების გენერალ-გუბერნატორი.

ერთობ საინტერესოა ამ კომიტეტის თავმჯდომარის, თავად ალექსანდრე შარვა-შიძის, ოლდენბურგის პრინცის პირადი მეგობრის პიროვნება, მისი კრედო და იდეოლოგიურ-პოლიტიკური პოზიციები, მისი ცვალებადი ხასიათი და ზოგადად, მისი წინააღმდეგობებით აღსავსე პერსონა. ამ საკითხებს ჩვენი თემის გაშლისას მოეფინება თავისთავად ნათელი, ამჯერად კი, უცნობი ავტორის ერთ საინტერესო მემუარს მოვიყვანთ, რომელმაც „მეგობრის" ფსევდონიმით გამოაქვეყნა იგი. მემუარიდან ჩანს, რომ იგი ქართველია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. კარგადაა გარკვეული იმდროინდელ აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ პროცესებში. უფრო მეტიც, იგი ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველი და მონაწილეცაა. პირველად ეს მემუარი გერმანიაში დაიბეჭდა 1931 წელს, ქართველი ემიგრანტების მიერ გამოცემულ გაზეთში „თეთრი გიორგი".[1] მაშ ასე – „მეგობარი":

„...მე ძალიან კარგად ვიცნობდი ალექსანდრე შარვაშიძეს. იგი ძალიან უმეცარი და მახინჯად აღზრდილი კაცი იყო: არც აფხაზი, არც რუსი, არც ქართველი. და ამავე დროს თავის თავს რაღაცად წარმოიდგენდა, მაგრამ არაფერი არ გამოსდიოდა, იმიტომ რომ თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, რას ესწრაფვოდა... ალექსანდრე შარვაშიძე მცირედით კმაყოფილდებოდა და უსაგნო სიამაყით იყო გაბერილი, რაღაცად მიაჩნდა თავი. და ქართველებმაც ჩააგდეს კაცად, სოხუმის ქალაქის თავად აირჩიეს. მაგრამ არაფერს არ აკეთებდა, არც ცუდს, არც კარგს. იმიტომ რომ ცოდნა არ გააჩნდა, არაფრის კეთების სურვილიც არ ჰქონდა. იგი რუსოფილი იყო, იმდენად რამდენადაც 1905 წლის რევოლუციას, და საერთოდ რევოლუციას, სოციალიზმს და მისთანებს, ქართველების მონაგონად და მათ მიერვე მოწყობილად თვლიდა...

1917 წელს მან გადაწყვიტა დისპუტი გაემართა ბატონ მიხეილ წერეთელთან. ბატონი წერეთელი შეეკითხა თუ რა უნდოდა მას, და რა უნდოდათ საერთოდ აფხაზებს, ებრძანებინათ მისთვის. ეს კი აქეთ-იქით მიედ-მოედო და ბოლოს გაახსენდა თითქოს, სოხუმში მეჩეთი მინდა აშენდესო! ბატონმა წერეთელმა უპასუხა: „კი ბატონო, ნება თქვენია, ააშენეთ, ვინ დაგიშალათ!" ასეთმა პასუხმა სრულიად დააბნია შარვაშიძე და შემდგომში სულ იძახდა თუ რამდენად კარგი კაცი იყო ეს წერეთელი. თუმცა ასეთებს ხომ არაფერს არ ეკითხებიან და მას რა უნდა გაეკეთებინა!

ერთი სიტყვით, ამ ადამიანს უნდოდა ეთამაშა რაღაც როლი, რაც ბევრ ჩვენგანსაც უყვარს. თუნდაც ისეთის, რომელსაც იგი თამაშობდა რუსების დროს. მაგრამ მან არ იცოდა, როგორ მიეღწია ამისათვის. იგი აქეთ-იქით მიედ-მოედებოდა და დიდი ზიანი მოუტანა აფხაზეთსაც და საქართველოსაც. მას მცირე რაოდენობით მხარდამჭერები ჰყავდა, სულ ორი-სამი კაცი, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი ცუდი როლი ეთამაშა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში".[2]

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სოხუმის კომიტეტმა ინტერესი „კავკასიის მთიელთა გაერთიანებულ კავშირთან" მიმართებაში თავიდანვე გამოიჩინა. და ეს არც იყო გასაკვირი. 1917 წლის აგვისტოში აფხაზური დელეგაცია მონაწილეობდა მაიკოპთან აულ ხა-კურინოხაბლში გამართულ მთიელთა შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა „ყუბანის ოლქის მთიელთა დამოკიდებულება აფხაზ ხალხთან მიმართებაში". ამავე წლის ოქტომბერში კი, აფხაზური დელეგაციის (ალექსანდრე შარვაშიძე, ტატაშ მარშანია, სიმონ ბასარია, სიმონ აშხაცავა, ვასილ აგრბა და სხვა) მონაწილეობით მსგავსი შეხვედრა უკვე ვლადიკავკაზში გაიმართა, სადაც შეიქმნა ე.წ. „კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და

---

[1] „Кавказский Акцент". 2000 г. №3,4,5. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 80. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_ 1921.pdf

[2] Друг. Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г.г. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 80. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი".[1] ჯერ დასახელება რად ღირს... აფხაზი ხალხის წარმომადგენლად ამ „კავშირში" სიმონ აშხაცავა დაინიშნა.

გაუგებარი და ერთობ ბუნდოვანი იყო ამ ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" – ორგანიზაციისა თუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, მისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. და ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად, „კავშირის" ერთ-ერთ მთავარ ამოცანად „რევოლუციის მონაპოვრების" დაცვის საბაბით კარგად შენიღბული სეპარატისტული იდეა დაედო საფუძვლად.

აი ამ ე.წ. „კავშირის" შემადგენლობა, მიზნები და ამოცანები, რომელიც 1917 წლის 20 ოქტომბრის შეთანხმებაში იყო წარმოდგენილი:

Мы нижепоименованные Казачьи войска, Горские народы Кавказа и Вольные народы степей, заключаем между собой союз с целью способствовать установлению наилучшего государственного строя, внешней безопасности и порядка в государстве Российском, а также обеспечить членам союза их неприкосновенность, поддержать внутреннее спокойствие, поднять общее благосостояние и тем закрепить завоеванные революцией благодеяния свободы.

„კავშირის" შემადგენლობა კი ასეთი იყო:

I Состав союза:

Ст.1. Союз составляют казачьи войска: войско Донское, войско Кубанское, войско Терское и войско Астраханское, примкнувший к войску Астраханскому Калмыцкий народ и объединенные в особый союз Горцев Кавказа следующие горские и степные народы:

а) Все народы Дагестана (аварцы, даргинцы, лаки, они же кази кумыки, коринцы, кумыки, табасаранцы и иные) и Закатальского округа (лезгинцы).
б) Все терские народы Кубанского края (карачаевцы, абазинцы, черкесы, ногайцы и иные);
в) Горский народ Сухумского округа (Абхазцы);

2) Степные народы Терского края (ногайцы и караногайцы) и ставропольской губернии (ногайцы и туркмены).

Ст.2. Территорию членов союза составляют земли, а принадлежащие названным в статье 1-й казачьим войскам, горцам Кавказа и Вольным народам степей…[2]

დიახ, I სტატიის в) პუნქტის მიხედვით ამ „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს" „შეადგენდა" „სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი (აფხაზები)", და არა სოხუმის ოლქი და მისი მთელი მოსახლეობა. მით უმეტეს, აქ საერთოდ არაა საუბარი მთლიანად აფხაზეთზე და იქ მაცხოვრებელ ხალხებზე. ანუ, „კავშირს", დოკუმენტის მიხედვით, შეადგენდა სოხუმის ოლქის მთიელი მოსახლეობა, მხოლოდ აფხაზები და არა ოლქში მაცხოვრებელი სხვა ხალხები. თავისთავად ცხადია, ეს ნაბიჯი ერთი მუჭა სეპარატისტების მერკანტილურ ინტერესებზე დაფუძნებული თვითნებური გადაწყვეტილება იყო და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა არა თუ სოხუმის ოლქის მთელი მოსახლეობის, არამედ სოხუმის ოლქის თვით აფხაზი მოსახლეობის ინტერესებსაც კი. სოხუმის ოლქის მთიელ აფხაზებთან მიმართებაში, ასეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების

[1] Светлана Червонная. Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея. Москва. Мосгорпечать. 1993. http://www.conflicts.rem33.com/ images/abkhazia/ Czerwon na.htm.

[2] Из союзного договора Юго-Восточного Союза казачьих войск, горцев Кавказа и вольных народов степей. 20 октября 1917 г. ЦГАА, ф. И-39, оп.1, Д.2, л.3. http://abkhazeti.info/history/ 20050617224534872448.php.

მიღებისათვის მათ არც შესაბამისი რწმუნებები გააჩნდათ და არც შესაბამისი ნდობის მანდატით იყვნენ აღჭურვილები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აფხაზური ეთნოსი მთელი აფხაზეთის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო საკუთრივ აფხაზებით ძირითადში გუდაუთის მთიანი ზონა იყო დასახლებული, მაშინ გასაგები ხდება ამ ხელოვნური პოლიტიკურ-სეპარატისტული ინსინუაციების მთელი სიყალბე და არალეგიტიმურობა.

ახლა კი მცირე სტატისტიკა.

ჯემალ გამახარიას მიხედვით 1914 წლის მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 181382 კაცს. აქედან ქართველები შეადგენდნენ უმეტესობას – 70114 კაცს (38,5%), მთიელები და აფხაზები – 45705-ს, (25%), სხვადასხვა აზიური ხალხი – 20196 (11,1%), რუსები – 18097-ს, (9,9%), სხვა ევროპული ხალხები – 13784-ს (7,6%), სომხები – 13038-ს (7,5%), ებრაელები – 448-ს (0,3%).[1] 1918 წლისათვის კი, აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შემდეგი იყო: ქართველები – 42,1%, აფხაზები – 21,4%, რუსები – 11,7%, ბერძნები – 11,7%, სომხები – 10,2%, სხვა ეროვნებები – 2,9%.[2] სამსონ ფირცხალავას[3] მიხედვით კი, უშუალოდ ქალაქ სოხუმში იმ დროისათვის სულ 40000 კაცი ცხოვრობდა, სადაც აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, რუსები – 15000, ხოლო სომხები – 5500.[4]

აფხაზი მწერალი, აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრი, სამსონ ჭანბა, „მთიელთა კავშირის" ბეჭდურ ორგანოში „Горская жизнь", 1917 წლის 14 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „Союз горцев и права нации", წერდა:

„Удар великой революции мигом уничтожил тиски под которыми задыхались десятки лет свободные сыни Кавказа и распались цепи и преграды изолировавшие столько лет горские племена...

Задачи Союза велики. Его цель – защита свободы и революции, защита прав свободного самоопределения народов. А потому Союз Объединенных Горских племен не есть нечто замкнутое в сфере только своего быта, своей национальной нити, он широко открывает свои двери всем, кому дорога защита свободы, защита прав национальностей...

Каждой национальности должно быть предоставлено свободное развитие внутри государства, обеспеченное соответствующими правовыми нормами и государственными учреждениями. Это ее естественное право. При этом, условии для каждой национальности явится возможность выяснить свою оригинальность, самобытность и культуру, и перекрещивать их с теми же качествами других национальностей, что, естественно, создает отношение между ними, что нормальное свободное развитие каждой, не разъединяет их, а, наоборот, роднит их одним в крепости и незыблемости, его залог исполнения наших чаяний".[5]

---

[1] Леван Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии. (Страницы истории 1921-1931). Дж. Гамахария. Из истории грузино-абхазских взаимоотношений. Тб. 1991, с. 113 (на груз. яз.). http://www.georgianweb.com/history/rus/abkhazia.html#30.

[2] Светлана Червонная. Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея. Москва. Мосгорпечать. 1993. http://www.conflicts.rem33.com/ images/abkhazia/ Czerwon na.htm.

[3] სამსონ ფირცხალავა (1872-1923 5) – ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და დამაარსებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი 1919-1921 წლებში.

[4] Из статьи С. Пирцхалава „Забытый край" - о положении в Абхазии. 25 октября 1915 г. Сахалхо Пурцели, 1915, 25 октября. http://abkhazeti.info/history/ 20050616493890032439.php.

[5] Самсон Чанба. Союз горцев и права нации. Газета „Горская жизнь". 1917 г. 14 ноября. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 15-16. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

როგორც ვხედავთ, სამსონ ჭანბა „დიადი რევოლუციის" დამსახურებად კავკასიის დამონებული ტომების იზოლაციიდან გამოსვლას თვლიდა, ხოლო კავშირის მიზნად თავისუფლების, რევოლუციისა და ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების დაცვა მიაჩნდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირში" არსებულ წინააღმდეგობებზე, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თავიდანვე მიუთითებდა მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, ჩეჩენი ასლანბეკ შერიფოვი.[1] ფაქტია, რომ შექმნიდან სულ მცირე ხანში, კავშირის შექმნას იგი პოლიტიკურ ავანტიურად მიიჩნევდა. „მუდმივი ეკონომიკური მტრების ამ არაბუნებრივმა კავშირმა, – წერდა ასლანბეკოვი, – მრავალი უბედურება მოუტანა მთიელებს".[2]

მართალი იყო ასლანბეკ შერიფოვი, სრულიად ახალგაზრდა ჩეჩენი რევოლუციონერი თავის შეფასებებში. დიახ, ეს გაუგებარი ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი" რაღაც დროებით სამხედრო-პოლიტიკური თუ სამხედრო-ტერიტორიული გაერთიანების შეკოწიწების მცდელობას წარმოადგენდა, რომლის შექმნის იდეაც თებერვლის რევოლუციის ზვირთებმა მოიტანეს დონი-ყუბანის აუზსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში.

ამ შეხვედრაზე გალელებმა არ მიიღეს ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირში" შესვლის იდეა და მხარი საქართველოსთან გაერთიანებას დაუჭირეს. ისინი იმითაც კი დაიმუქრნენ, რომ გამოეყოფოდნენ აფხაზეთს და ასე შევიდოდნენ საქართველოს შემადგენლობაში. ამ ფაქტს ისეთი ოდიოზური პიროვნებაც კი ვერ უარყოფს თავის მემუარში, როგორიც მიხეილ ტარნავაა, აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრი. თავის მემუარში იგი წერს – „მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მთიელთა სახელმწიფოსთან გაერთიანება არ იყო მყარი..."[3]

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ მთიელთა ამ ე.წ. „სახელმწიფოსთან" აფხაზეთის გაერთიანება არა თუ მყარი არ იყო, სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული ერთიანობის თვალსაზრისით, იგი უბრალოდ არც არსებობდა. აქ საუბარი მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების სურვილს ეხებოდა და არა რაიმე ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნას, ესაა და ეს, მეტი არაფერი. თავისთავად ცხადია, ამ სურვილის ხორცშესხმაც, საერთო ჯამში, ვერც მოხერხდა.

1917 წლის 4 დეკემბერს გამოცემულ იქნა „მთიელთა კავშირის" დროებითი მთავრობის №1 დეკრეტი, სადაც ეწერა:

1. მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სრულად ვრცელდება დაღესტანის ოლქზე, ხასავ-იურტის, გროზნოს, ვედენოს, ნაზრანის, ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის ოკრუგებზე, თერგის ოლქის ყარანოღაის ოკრუგზე, ასევე სტავროპოლის გუბერნიის ნოღაურ და თურქმანულ ტერიტორიებზე.

---

[1] ასლანბეკ შერიფოვი (1897-1919) – ჩეჩენი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. პოლიტიკური კარიერის საწყის ეტაპზე რადიკალი ნაციონალისტი. 1918 წლიდან ს. კიროვისა და ს. ორჯონიკიძის ერთგული მიმდევარი და თანამებრძოლი. კონტრრევოლუციასთან მებრძოლი ე.წ. „ჩეჩნეთის წითელი არმიის" სარდალი. გენერლების, შკუროსა და ლიახოვის მიერ ვლადიკავკაზისა და გროზნოს აღების შემდეგ, მის მიერ ჩამოყალიბებული წითელი პარტიზანული რაზმის მეთაური. მოკლულ იქნა 1919 წელს თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში.

[2] Е. Эшба. Асланбек Шерипов, стр.164. http://abkhazeti.info/history/20050617224534872448. php.

[3] Михаил Тарнава. Воспоминания о революционном движении в Абхазии за 1917-1921 годы. Фрагменты. Действительный съезд Абхазских крестьянских депутатов. Журнал „Литературная Абхазия". Сухуми. 1991. №1. Стр. 194-212. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

2. ზაქათალისა და სოხუმის ოლქებთან დაკავშირებით მთიელთა დროებით მთავრობას გააჩნია სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ხასიათის ხელისუფლება. მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სრულად გავრცელების საკითხი ამ ოკრუგებზე წარდგენილ იქნას განსახილველად ზაქათალისა და სოხუმის სახალხო საბჭოებზე.

თავმჯდომარის მოადგილე – რ. კაპლანოვი.

იუსტიციის უწყების მმართველი – ბ. დალგატი.[1]

როგორც ვხედავთ, ამ „სამხრეთ-აღმოსავლურ კავშირს" და მის „მთავრობას" აფხაზეთთან მიმართებაში არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა ხელისუფლების გავრცელებისა და სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული კუთვნილების პრეტენზიები. ეს დღესავით ნათელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ დასმული საკითხის განსაზღვრა და ამ ე.წ. „დეკრეტის" მე-2 სტატიის მოთხოვნა, ანუ, „მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სრულად გავრცელების საკითხი", აფხაზთა სახალხო საბჭოს დღის წესრიგში არც არასდროს არ დამდგარა.

ღრმა კვლევა და ანალიტიკური წიაღსვლები არ სჭირდება იმის დადგენასაც, რომ ეს „კავშირი" არაფორმალურ ორგანოს წარმოადგენდა და არა რეალურ სამართლებრივ სუბიექტს. მისი დასახელებიდანვე ჩანს, რომ ამ ეფემერული კავშირის შექმნის იდეა, იდეად უნდა დარჩენილიყო, რადგან ამ მკვდრადშობილ კავშირს შექმნის არავითარი საერთო საფუძვლები და წანამძღვრები არ გააჩნდა – არც ისტორიული, არც ტერიტორიული, არც ეთნიკური, არც სოციალური, არც რელიგიური, არც ეკონომიკური და არც გეოგრაფიული. და ალბათ ამიტომაც, სულ მალე, თავად შერიფოვი, „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი, დაჯერებულ ბოლშევიკად, ორჯონიკიძისა და კიროვის[2] ერთგულ ხელქვეითად, თანამებრძოლად და წითელ მეთაურად იქცა.

---

[1] Декрет №1 Временного правительства союза горцев. 4 декабря 1917 г. ЦГАА, ф. И-39, оп.1, д.2, л.5. http://abkhazeti.info/history/2005061739234906 1106. php.

[2] სერგეი მირონოვიჩ კიროვი (ნამდვილი გვარი კოსტრიკოვი) (1886-1934) – პროფესიონალი რევოლუციონერი, რუსი და საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, წითელი ტერორის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1904 წლიდან რსდმპ წევრი. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. 1905 წელს რსდმპ ტომსკის კომიტეტის წევრი. 1917 წლის ბოლომდე მენშევიკური იდეოლოგიის მატარებელი და რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკის მხარდამჭერი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეკედლება ბოლშევიკებს. 1918 წლის ივლისში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს საბჭოების მე-5 ყრილობაზე. 1919 წლის თებერვლიდან ასტრახანის დროებითი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეა. ხელმძღვანელობს ანტიბოლშევიკურად განწყობილ მუშათა და სასულიერო პირთა დახვრეტებს. იმავე წელს ხდება მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, სერგო ორჯონიკიძის „მარჯვენა ხელი". 1920 წლის დასაწყისიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი. იმავე წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ინტერვენციისა და ოკუპაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1920 წლის ივნისიდან ინიშნება საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობს რუსეთის დელეგაციას პოლონეთთან წარმოებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. 1921 წელს, რკპ(ბ)-ს მე-10 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. იმავე წელს ინიშნება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. 1923 წლიდან, რკპ(ბ) მე-12 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1926 წლიდან პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი, რკპ(ბ)-ს ჩრდილო-დასავლეთის ბიუროს მდივანი. იმავე წელს ირჩევენ რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად. 1930 წლიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო 1934 წლიდან – პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ცეკას საორგანიზაციო ბიუროს წევრი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მკვდრადშობილი ორგანიზაციის არსებობის ისტორიაც ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა – სულ რამდენიმე თვე. „1918 წლის დასაწყისისათვის „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" გაძლიერებისათვის ზრუნვა ზედმეტიც კი იყო, იმდენად, რამდენადაც კავშირმა ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა, რადგანაც იგი ხალხების გარეშე არსებული მთავრობების კავშირად იქცა"[1] – სამართლიანად აღნიშნავს რუსი ავტორი, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ანდრეი ზაიცევი თავის სადოქტორო ნაშრომში „Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (На материалах Дона и Кубано-Черноморья)".

ისტორია ხშირად მეორდება... და მეორდება საზარელი გარდუვალობით. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, აღწერილი ამბებიდან ზუსტად 73 წლის შემდეგ, მსგავსი მოვლენები განვითარდა იგივე ჩრდილოეთ კავკასიაში. საბჭოთა კავშირში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების პარალელურად, 1990 წლის 4 ნოემბერს, რუსული სპეცსამსახურების ჩარევითა და მხარდაჭერით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ნალჩიკში გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე იქმნება გასამხედროებული პოლიტიკური ორგანიზაცია, ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია" (Конфедерация горских народов Кавказа). ყრილობაზე გამოცხადდა, რომ ეს ორგანიზაცია 1917 წლის ნიმუშის „მთიელ ხალხთა რესპუბლიკის" სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა. მასში რუსეთის ფედერაციიდან შევიდნენ საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების (ადიღეა, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი, ჩეჩნეთი) პრორუსული ელემენტები და კლეპტოკრატია. საქართველოდან კი, დამკვირვებლის სტატუსით – სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტულად განწყობილი ასევე პრორუსული ელემენტები და კლეპტოკრატია.

რუსული სპეცსამსახურების მიერ მხარდაჭერილი კონფედერაციის შექმნის მიზანს, ისევე როგორც 1917 წელს, საქართველოში საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ 80-იანი წლების ბოლოს აზვირთებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და ანტიიმპერიული გამოსვლების ნეიტრალიზება წარმოადგენდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული და სეპარატისტული მუხტის გაძლიერების გზით. იმპერია კიდევ ერთხელ შეეცადა ქართველთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის ეროვნებათაშორისი შუღლი დაეპირისპირებინა.

1991 წლის 1-2 ნოემბერს სოხუმში გამართულ კონფედერაციის ყრილობაზე თორმეტი ხალხის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას კონფედერაციული კავშირის ჩამოყალიბებაზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო გარკვეული სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული მართვის ორგანოები. უნდა შექმნილიყო ე.წ. კავკასიის პარლამენტი, თავდაცვის კომიტეტი და სხვა მილიტარისტული სტრუქტურები. ქალაქი სოხუმი კი, კონფედერაციის შტაბ-ბინად დადგინდა. ამ თვითგამოცხადებული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ე.წ. „პრეზიდენტად" ყაბარდოელი მუსა შანიბოვი იქნა არჩეული, იურისტი და საბჭოთა ფუნქციონერი, ე.წ. „პარლამენტის თავმჯდომარედ" – კრიმინალური წარსულის მქონე იუსუფ სოსლანბეკოვი, შემდგომში ჩეჩნეთის

[1] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak.ed. gov.ru/ common/ img/uploaded/files/vak/announcements/istorich/ 2009/07-09/ Zaytsev A.A .doc.

რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი. ხოლო საბჭოთა არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი, ყაბარდოელი სულთან სოსნალიევი – კონფედერაციის სამხედრო განყოფილების უფროსად, შემდგომში აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. „გენერალური შტაბის უფროსი" და ე.წ. „სამხედრო მინისტრი".

სულ მალე, 1992 წლის ოქტომბერში ამ წინააღმდეგობებით აღსავსე თვითგამოცხადებული ორგანიზაციის გავლენის არეალი ფართოვდება და მას სახელი ეცვლება. დასახელებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „მთიელ" და ორგანიზაციას ეწოდა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია". კონფედერაციამ და მისმა დაქირავებულმა ე.წ. „მოხალისეებმა" მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აფხაზური სეპარატიზმის გაღვივებასა და ქართულ-აფხაზური ხელოვნური დაპირისპირების ესკალაციაში. ხოლო 1992-1993 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომში განხორციელებულ ქართველების ეთნიკურ წმენდაში მნიშვნელოვანი იყო სწორედ ამ კონფედერაციის დაქირავებულ ე.წ. „მოხალისეთა" როლი. ეს ფაქტობრივად და იურიდიულად დადასტურებული ჭეშმარიტება აღიარებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.[1] [2] [3]

დავუბრდუნდეთ ისევ აფხაზური სეპარატიზმის გენეზისს და 1991 წლის ნიმუშის „კონფედერაციის" წინამორბედ ორგანიზაციას, 1917 წელს შექმნილ „კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს". კონფედერაციისაგან განსხვავებით, ამ ე.წ. „კავშირის" შექმნასა და მის წინაშე მდგარი ამოცანების ჩამოყალიბებაში მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს რუსეთის თებერვლის რევოლუცია და მისი თანმდევი მოვლენები წარმოადგენდა. რევოლუციის ექომ სულ მალე მოაღწია შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთამდე. აქ განვითარებულმა „რევოლუციურმა პროცესებმა" და მისმა თანმდევმა მოვლენებმა კი, მკვეთრად განსაზღვრული ეთნიკური შეფერილობა მიიღო.

§2. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში

რევოლუციური და ბოლშევიკური მოძრაობის გააქტიურება სოჭისა და ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქებში, ისევე როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში, ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, 1917 წლის გაზაფ-

---

[1] Human Rights Watch report. Georgia/Abkhazia: Violations of the laws of war and Russia's role in the confjict. March 1995. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/georgia953.pdf.

[2] Chervonnaia, Svetlana Mikhailovna. Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow. Gothic Image Publications, 1994. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/ georgia 953. pdf.

[3] U.S. State Department, Country Reports on Human Rights Practices for 1993, February 1994, pp. 877, 881, 891. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/georgia953.pdf.

ხულიდან იწყება ბოლშევიკური აგიტაციების წარმოების, მიტინგებისა და გამოსვლების ორგანიზებით. მეტად საინტერესოა ის საკითხი, რომ თემა რომელსაც ახლა ვიხილავთ, ისევე როგორც სხვა მრავალი, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ათწლეულების განმავლობაში ტაბუდადებულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ესაა, ე.წ. „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის" შემდეგ რუსეთში დამყარებული ორხელისუფლებიანობის ხანა, და რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დროის მოკლე პერიოდში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმების მთელი კასკადი.

1917 წლის 3 მარტს დროებითმა მთავრობამ საყოველთაო ამნისტიის აქტი გამოაქვეყნა პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებში. გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიისა და თურქესტანის გენერალ-საგუბერნატოროები, ჟანდარმერიისა და პოლიციის სამმართველოები, „ოხრანკის" ორგანოები. გამოცხადებულ იქნა სიტყვის, ბეჭდვის, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის, შეკრებებისა და მიტინგების ჩატარების თავისუფლება. პოლიტიკური ნების გამოხატვის თავისუფლება მიეცათ სამხედრო მოსამსახურეებს. გაუქმებულ იქნა ჩამომავლობითი, აღმსარებლობითი და ნაციონალური ხასიათის შეზღუდვები. მოსახლეობას მოეწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით. სიკვდილით დასჯა შეჩერებულ იქნა, გაუქმდა სამხედრო-საველე სასამართლოები. გამოცხადდა სრული პოლიტიკური ამნისტია, პოლიტპატიმრები კატორღებიდან გათავისუფლდნენ, სისხლის სამართლის დამნაშავეების ნახევარი საპყრობილეებიდან გამოვიდა, მძიმე დანაშაულის მუხლებით ახლადგასამართლებულებს კი, პატიმრობის ვადა გაუნახევრდათ.

საერთო ჯამში, 1917 წლის მარტის თვეში ციხეებიდან 100000-მდე პატიმარი გამოვიდა, მათ შორის ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები, ტერორისტები და სხვა ათასი ჯურის ავანტიურისტი. ხალხმა ისინი „კერენსკის ბარტყების" სახელით მონათლა.

ყოველივე ამან კი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთში მოქმედ სხვადასხვა ტიპის ლეგალურ თუ ნახევრადლეგალურ პარტიებს შემდგომი მოღვაწეობის ფართო არეალი გადაუშალა წინ. ამავე დროს ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბება – დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტები, სხვადასხვა წარმომადგენელთა დეპუტატების საბჭოები, ასევე ეროვნული მოძრაობების ორგანიზაციები, პარტიები, სხვადასხვა ტიპის კავშირები.

დემოკრატიის სიომ ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დაჰბერა თითქოს, მაგრამ სულ მალე პოლიტიკური აქცენტების გადანაწილებისა და იდეოლოგიური ვექტორების გადალაგების პროცესებიც დაიწყო. იმპერიის განაპირა ადგილებში პოლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრმა საყოველთაო დემოკრატიული ერთიანობის ეიფორიიდან სულ უფრო და უფრო მეტად დაიწყო გადახრა დაუნდობელი ბრძოლის მიმართულებით. პროფესორ ზაიცევის თქმით: „სახელისუფლებო ურთიერთობების უკიდურესად ჩახლართულმა რეალობებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა რადიკალური განწყობების ჩამოყალიბებასა და დესტრუქციული დინებების გაჩენას".[1]

---

[1] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak. ed.gov.ru/ common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/ 2009/07-09/Zaytsev AA. doc. ЦДНИРО. Ф.12. Оп.2. Д.153. Л.18.

დესტრუქციულ ძალებად კი, პოლიტიკური ექსტრემისტები, და პირველ რიგში, ბოლშევიკები იქცნენ. იმ მოვლენების მომსწრე ერთი თანამედროვის სიტყვებით: „პოლიტკატორღელების დაბრუნებისთანავე დაიწყო პოლიტიკური ბრძოლა".[1]

უაღრესად დამძიმდა ზოგადი კრიმინალური სიტუაციაც, ხოლო „კერენსკის ბარტყების" გარკვეულმა ნაწილმა რადიკალურად განწყობილი პარტიების წიაღში ჰპოვა თავშესაფარი, სადაც მათთვის ჩვეული საქმიანობა გააგრძელეს. როგორც მეტროპოლიაში, ასევე პროვინციებში პარტიები აქტიური მოქმედებების რეჟიმზე გადავიდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გააქტიურდნენ მარქსისტული ტიპის სოციალ-დემოკ-რატიული პარტიები, ხოლო ბოლშევიკებს თავიანთი „რევოლუციური" საქმიანობისათვის აქამდე არნახული ასპარეზი გადაეშალათ წინ. ზურაბ ავალიშვილი:

„მაგრამ რევოლუციის ეპოქის პირველ დღეებში საქართველოში ყველაზე დარაზმული და მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტია (სოც.-დემ.) რაღაც გაურბოდა ამ საერთო სახალხო, ესოდენ ბუნებრივი და მარტივი მისწრაფებებისა და იმედების საერთო ნაკადს. ქართველი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში იყვნენ. საქართველოში ისინი სასტიკად და, უმეტეს წილად, თვითონ ასე ეგონათ, წარმატებით ებრძოდნენ საქართველოს ავტონომიის მომხრეებს „ცენტარლიზმის" დასაცავად.

ასეთ პოზიციას ინარჩუნებდნენ ისინი, ბუნებრივია, დროებითი მთავრობის დროსაც, სანამ რუსეთის „მენშევიზმს", რომლის პოლიტიკური მიმდევრები და მეპაიეებიც სოც.-დემ.-ები იყვნენ, გავლენა ჰქონდა რევოლუციის ხელმძღვანელობაში. ამ დროს ისინი მაინცდამაინც არ იწონებდნენ საქართველოსა და რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნების „დამოუკიდებლობის" ლოზუნგის წარმატებას.

ყველაფერ ამას ჰქონდა თავისი მიზეზები და ახსნა, რომელთა აქ მოყვანა, ალბათ უადგილოა; მხოლოდ განსამარტავად მოჰყვა სიტყვას, რომ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფ-ვა ქართულ საზოგადოებაში რევოლუციის პირველი დღეებიდანვე გამომჟღავნდა-მეთქი".[2]

ამ კონტექსტში ჩვენი კვლევის მიზანი, გასაგები მიზეზების გამო, ჩრდილოეთ კავკასია, ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და აფხაზეთის რეგიონებია – აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

შავიზღვისპირეთში რევოლუციური პროცესების დასაწყისი 1905-1907 წლების რევოლუციას უკავშირდება. ამ პროცესების წარმმართველ ძალას რსდმპ ბათუმის კომიტეტი და კომიტეტის სოჭის ორგანიზაცია იყო, რომლის წევრებსაც სოჭში მცხოვრები ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ: ა. გვათუა, გ. ხუციშვილი, ნ. კონიაევი (ქონიაშვილი), მ. ხორავა, უ. ბახია. ქართველ რევოლუციონერთა ამ ჯგუფში რუსი ეროვნების ნ. პოიარკო და ნ. სალნიკოვიც შედიოდნენ.

1905 წლის დეკემბერში ბათუმის რსდმპ კომიტეტის სოჭის ჯგუფის წევრებმა შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლის მეთაურებიც გახდნენ ნ. კონიაევი, ა. ჩიტაია, პ. ჯანაშია, ნ. პოიარკო, ა. გვათუა. აჯანყებას ოლქის გლეხთა დიდი

---

[1] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak. ed.gov.ru/ common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/ 2009/07-09/Zaytsev AA. doc. ЦДНИКК. Ф.2830. Оп.1. Д.205. Л.6.

[2] ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაწილი I. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი. 1990. გვ. 17.

ნაწილიც შეუერთდა. შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ კი, მასში მონაწილეთა დიდი ნაწილი ტყეებში გავიდა, აჯანყების ხელმძღვანელები დაპატიმრებულ იქნენ, ნაწილი იატაკქვეშეთში გადავიდა,[1] თუმცა, ამით სოჭის ჯგუფს არსებობა არ შეუწყვეტია. ასეთი მდგომარეობა 1917 წლამდე გაგრძელდა.

თებერვლის რევოლუციიდან სულ რამდენიმე დღეში კი, უკვე 1917 წლის 1 (14) მარტს, სოჭის ოლქის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები ისევ აქტიურდებიან. იატაკქვეშეთიდან გამოდიან ბოლშევიკები ლ. ტირაკიანი და ფ. ცხომარია, აგრეთვე მენშევიკი მ. მგელაძე. ამავე დღეს შედგენილ იქნა სოჭის რსდმპ საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს ოქმი. გამოცხადდა პარტიის წევრთა რეგისტრაცია. 1917 წლის მარტში არჩეულ იქნა რსდმპ-ს სოჭის საოლქო კომიტეტის შემადგენლობა. მასში შეევიდ-ნენ სოჭელი ბოლშევიკები ვ. კოროლიოვი, ნ. გორელოვი, ი. სტოკისი, (ბერზინი), ლ. ტირაკიანი და ფ. ცხომარია, აგრეთვე ქართველი მენშევიკები – მ. ხოფერია, მ. მგელაძე, და კრასოვსკი. მოგვიანებით კომიტეტში შეყვანილ იქნენ ნ. პოიარკო და ლ. მოსკვიჩოვი. კომიტეტის თვმჯდომარე ვ. კოროლიოვი გახდა, მდივანი კი, ი. სტოკისი, ლატვიელი რევოლუციონერი, შემდგომში ცნობილი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე.[2] სოჭის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ხელმძღვანელი თანამდებობები ესერებმა და მენშევიკებმა დაიკავეს.

როგორც ვხედავთ, სოჭის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახლადშექმნილ საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში ისევ მნიშვნელოვანი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) წილი, რადგან სოჭის ოლქში მოქმედი ბოლშევიკების რაოდენობა ამ დროისათვის უმნიშვნელო იყო. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოშიც ხელმძღვანელი თანამდებობები ესერებმა დაიკავეს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოჭის პირველადი ორგანიზაციის ფუძემდებლებადაც ქართველი რევოლუციონე-რები გვევლინებიან. ეს ისტორიული ფაქტია, რასაც ზოგიერთი რუსი ავტორიც აღიარებს. არა გვგონია ეს ფაქტი არ იყოს ცნობილი „გრუზინოფობულად" განწყობილი სხვა საბჭოთა და რუსი ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე პრორუსული ორიენტაციის იმ პირებისათვის, რომლებიც მუდმივად და დაჟინებით იმეორებენ იმას, თითქოს სოჭის ოლქში არასდროს არ ცხოვრობდნენ ქართველები, და ეს მიწებიც უხსოვარი დროიდან საქართველოს კი არა, არამედ რომელიღაც სხვა სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა. ფაქტია, რომ, XX საუკუნის პირველივე წლებიდან დაწყებული, ქართველი ეროვნების რევოლუციონერებს სოჭის ოლქის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინანტური მდგომარეობა ეკავათ.

ცნობილი „აპრილის თეზისების" გამოქვეყნებისა და ლენინის მიერ ძალაუფლების შეიარაღებული გზით ხელში ჩაგდების პირდაპირი მოწოდების შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადადიან. „აპრილის თეზისები" რსდმპ(ბ)-ს კონფერენციის მონა-წილეებს დაურიგდათ, რომელთა შორის სოჭის ორგანიზაციის სახელით, ბოლშევიკი ვ. კოროლიოვიც იღებდა მონაწილეობას. სწორედ მისი თაოსნობით ხდება სოჭისა და ადლერის ბოლშევიკებში „აპრილის თეზისების" გავრცელება. მაისის ბოლოს კი, შავიზღვისპირეთის რკინიგზის ხაზის მშენებლობის დასრულებისათვის, სოჭში,

---

[1] Н. Е. Герасимова. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Вооруженное восстание 1905-1906 гг.. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

[2] იქვე.

პეტროგრადიდან რკინიგზის მუშათა ბატალიონი იგზავნება, სადაც გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთა ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა, უნტერ-ოფიცერ ნ. პიროჟკოვის ხელმძღვანელობით. აღნიშნულმა ჯგუფმა, გააქტიურების მიზნით, მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ადგილობრივ ბოლშევიკებთან.[1]

უკვე 2 ივლისისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში ბოლშევიკებმა შეძლეს ვ. კოროლიოვის, ნ. პოიარკოს, ხ. ნიპარდასა და კ. ჟუკოვის შეყვანა. სოჭელმა ბოლშევიკებმა ნელ-ნელა ძალების მოკრეფა დაიწყეს. ამავე დროს, ყოფილი ცარისტული იმპერიის მთელ ტერიტორიაზე იწყება ზემოთ ხსენებულ წითელგვარდიულ რაზმებზე ბოლშევიკთა მიერ კონტროლის მოპოვება, აგრეთვე ე.წ. „გლეხთა რევოლუციური რაზმების" შექმნა და ბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება.

1917 წლის გაზაფხულსვე იწყება აფხაზი ბოლშევიკების გააქტიურებაც. აქ წინა პლანზე ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა და წითელი ტერორის ერთ-ერთი ფუძემდებელი[2] გიორგი ათარბეგოვი,[3] აგრეთვე ს. კუხალეიშვილი, კ. მაკაროვი, ა. დობროვოლსკი, ნ. სვანიძე გამოდიან. რევოლუციონერების ამ ჯგუფის იდეოლოგიურ ლიდერად მოსკოვის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი იურისტი, სტუდენტობის დროს ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიკედლებული ეფრემ ეშბა გვევლინება. აქვე, მოსკოვში ხდება მასა და ქართველ მარქსისტებს შორის განხეთქილება, რის შემდეგაც ეფრემ ეშბა რადიკალურად იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას და იგი ბოლშევიკების მხარე გადადის. თუმცა ხაზგასმით უნდ აღინიშნოს ისიც, რომ სოხუმის ოლქში ბოლშევიკური მოძრაობის პიონერები ისევ და ისევ ქართველი რევოლუციონერები იყვნენ – დოლიძე, ურუშაძე, შარაშენიძე, სევერიან (სიოვა) კუხალეიშვილი, კატო კუხალეიშვილი, ნიკოლოზ სვანიძე. სწორედ ეს ჯგუფი შეადგენდა სოხუმის ოლქში არსებული პირველადი ბოლშევიური უჯრედის იმ ბირთვს, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა.

1917 წლის აპრილში ბოლშევიკთა მიერ სოფელ ლიხნში, აფხაზური ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის ამ ცენტრში, მიმდინარე მოვლენების შეფასების მოწოდებით აფხაზების ე.წ. „გლეხთა შეკრება" გაიმართა, რომელზეც შეკრების მონაწილეებმა, ბოლშევიკი რევოლუციონერების გავლენით, დროებით მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს. სოციალისტური სიკეთეების უხვი დაპირებების სანაცვლოდ ამ შეკრებაზე აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ნესტორ ლაკობა გუდაუთის საუბნო კომისრად იქნა

---

[1] Развитие политической ситуации на Кубани и в Сочинском округе в 1917 году. Глава 3.1. Сочи в период двух революций и гражданской войны. Част 1. http://www. lovlinskaja.ru/htm/ article-sochi-preface.php.

[2] Ефимов Николай. Алексеевич — кандидат исторических наук. Атарбеков — один из зачинщиков красного террора. ВИ. 2000. № 6. С. 130—136. Великая Октябрьская социалистическая революция, с. SO; РГАСПИ, ф. 17, оп. 66, д. 66, л. 144. http://105384.dyn. ufanet ru/ knigi.

[3] გევორქ ათარბეგიანი (ათარბეგოვი) (1892-1925) – „რკინის გევორქი", საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო უშიშროების (ВЧК) ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკი, პროფესიონალი ჯალათი, ცნობილი თავისი სადიზმითა და დაუნდობლობით. 1918 წელს სოხუმის საოლქო რევკომის წევრი და აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე. 1918 წლის ოქტომბრიდან საგანგებო კომისიის წევრი. 1919 წლის 1 თებერვლიდან ბოლშევიკთა კასპიისპირეთი-კავკასიის ფრონტის რევკომის პოლიტგანყოფილების წევრი. 1920 წლიდან ბოლშევიკთა მე-9 არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ყუბანი-შავიზღვისპირეთის ოლქის, შემდეგ კი ბაქოს ოლქის საგანგებო რწმუნებული. 1921 წლიდან სომხეთის ჩრდილოეთ რაიონების რევკომის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი. დაიღუპა ავიაკატასტროფაში 1925 წლის 22 მარტს ამიერკავკასიის საგარეო დაზვერვის (ГПУ) უფროსთან, მოგილევსკისთან და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან, მიასნიკოვთან (მიასნიკიანი) ერთად თბილისთან ახლოს.

არჩეული. თავის გამოსვლაში მან გლეხობას ერთიანობისაკენ მოუწოდა... აქვე დაიბადა გლეხთა რევოლუციური რაზმების, ე.წ. – „კიარაზ"-ის შექმნის იდეა".[1]

ნესტორ ლაკობას მალე ეფრემ ეშბაც უერთდება. დროებითი მთავრობის მიერ საყოველთაო ამნისტიის გამოცხადებისა და „ოხრანკაში" მისი სტუდენტობისდროინდელი რევოლუციური და კრიმინალური საქმეების დახურვის შემდეგ, ეფრემ ეშბა სოხუმში ჩამოდის და აქტიურად ერთვება ახალ საქმიანობაში. მას სამურზაყანოს საუბნო კომისრად ირჩევენ. როგორც ვხედავთ, დემოკრატიული პროცესები, დემოკრატიული არჩევნების პრაქტიკა აფხაზეთში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა. საწყის ეტაპზე ბოლშევიკთა ლიდერებმა შეძლეს მოსახლეობის ნაწილზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა და მათი შცდომაში შეყვანა – ხალხმა ისინი საუბნო კომისრებათ აირჩია.

რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII კონფერენციის გამართვის შემდეგ, 1917 წლის მაისიდან ქართველი სოციალ-დემოკრატებიც საბოლოოდ ემიჯნებიან ერთმანეთს. ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკები რადიკალურ ფრთად ყალიბდებიან და ბრძოლის მეთოდად შეიარაღებული აჯანყების გზას ირჩევენ, მენშევიკები კი უფრო ზომიერი პოლიტიკის მომხრეებად გამოდიან და მარქსისტულ პოზიციებზე რჩებიან. როგორც შემდგომში ეფრემ ეშბა წერდა: „ჩვენ განხეთქილება შევიტანეთ სოციალ-დემოკრატების გაერთიანებულ საოლქო კომიტეტში და საკუთარი, ბოლშევიკების კომიტეტი ჩამოვაყალიბეთ".[2]

აგვისტოს ბოლოდან სოჭის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შეიარაღებული გზით დაიწყო ხელისუფლების მიტაცებისათვის მზადება. საქმეში „კერენსკის ბარტყებიც" ჩართეს. ცნობილი სოჭელი ბოლშევიკი აგიტატორის, ლ. მოსკვიჩოვის მემუარიდან: „აგიტაცია იმ დროს საბრძოლო იყო, მისი ჩატარების დროს კი, დიდ ხიფათში ვიგდებდით თავს – შეიძლება ვეცემეთ ან მოვეკალით კიდეც. და მიუხედავად ამისა... ჩვენ მგზნებარე, დაუდგრომელი, უშიშარი აგიტატორები ვიყავით".[3]

მალე ადლერშიც შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სადაც დეპუტატთა უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ. უკვე შემოდგომისათვის სოჭსა და ადლერში ბოლშევიკებმა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყეს რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. ამავე დროს, სოჭის ოლქიდან ბოლშევიკი პროპაგანდისტებისა და ცალკეული შეიარაღებული ბანდების შეგზავნა დაიწყო აფხაზეთშიც. აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ საქართველოს ამ რეგიონში, აფხაზეთში, რეალურად არავითარი ბოლშევიკური ორგანიზაცია, როგორც ასეთი, უბრალოდ არ არსებობდა. ე.წ. „აფხაზი ბოლშევიკები" ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა, ზემოთ ხსენებულ ქართველ ბოლშევიკებთან ერთად მედროვე ავანტიურისტთა რამდენიმეკაციან მცირე ჯგუფს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ, რომლებიც კარგად სარგებლობდნენ I მსოფლიო ომის მიმდინარეობის ფონზე არსებული უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური ფონით და მოსახლეობაზე ბოლშევიკური იდეოლოგიის ეფემერული სიკეთეების მოტანით სპეკულირებდნენ. სოციალური კეთილდღეობისა და ნათელი მომავლის პანაცეად კი ცხადია, ბოლშევიზმის იდეოლოგია, კლასთა ბრძოლის თეორია და პროლეტარიატის დიქტატურა იყო დასახული.

ამიერკავკასიაში არსებული ზოგადი პოლიტიკური ფონი კი ასეთი იყო. მეფის გადადგომის შემდეგ ამიერკავკასიაში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული

---

[1] Дзидзария Г.А. Роль Советов и „Киараза" в истории революционной борьбы в Абхазии 1917 - 1921 гг. - Сухуми, 1971. Стр. 15.

[2] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 26.

[3] Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп. 1, д. 1, л. 1.

კომიტეტი, ე.წ. „ოზაკომი" (Особый Закавказский Комитет) ყალიბდება, დონის კაზაკთა ჯარების ოლქის რუსეთის დუმის დეპუტატის, კადეტთა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წევრის, ვასილი ხარლამოვის[1] თავმჯდომარეობით. კომიტეტი უშუალოდ დროებით მთავრობას ექვემდებარებოდა და მას ის ფუნქციები უნდა აეღო ხელში, რომელსაც მეფის ყოფილი ხელისუფლება ანხორციელებდა ამიერკავკასიაში.[2]

„ოზაკომი" ამიერკავკასიის ფაქტობრივი მთავრობა იყო და შექმნიდან სულ მცირე ხანში მის ხელმძღვანელ რგოლში აფხაზეთის მკვიდრი, რუსეთის მე-4 დუმის დეპუტატი სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან, აკაკი ჩხენკელი იქნა შეყვანილი. ხარლამოვი კი, იმავე წლის ნოემბრიდან სათავეში ჩაუდგა ზემოთ ხსენებული წარმონაქმნის – „კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს". როგორც ვხედავთ, ეს ე.წ. „კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი" და მისი ე.წ. „მთავრობა", რომელთანაც აფხაზთა კავშირებსა და ინტეგრაციაზე აკეთებენ განცხადებებს დღევანდელი სეპარატისტი თუ რუსოფილი ავტორები, რეალურად რუსეთის ცენტრალური მთავრობის ადგილობრივ ორგანოს წარმოადგენდა და მას ეროვნულობასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. ძალიან მალე, სულ რამდენიმე კვირაში, მისი „მთავრობის" თავმჯდომარემ, კადეტმა ვასილი ხარლამოვმა თავისი პარტიული წარმომავლობა სრულიად დაივიწყა და აშკარა პრომონარქისტული და იმპერიული პოზიციები დაიკავა.

რაც შეეხება ამიერკავკასიას. ამავე პერიოდში, „ოზაკომთან" ერთად, თბილისში ყალიბდება მეორე სახელისუფლებო ორგანო – მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების მრავალი ფუნქცია უნდა აეღო ხელში და „მოეხდინა რევოლუციური ზეწოლა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებზე იმ შემთხვევაში, თუ მათი მოქმედებები დემოკრატიის ინტერესების საწინააღმდეგო და არასაკმარისად რევოლუციური იქნებოდა".[3]

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ძველი მარქსისტი და რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ნოე ჟორდანია[4] ჩაუდგა

---

[1] ვასილი აკიმოვიჩ ხარლამოვი (1875-1957) – რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი. კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიის წევრი 1906 წლიდან და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი. რუსეთის დუმის ოთხივე მოწვევის დეპუტატი დონის კაზაკთა ჯარების ოლქიდან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ინიშნება ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარედ. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, დონის ჯარების მთავრობის ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წლის ნოემბრიდან ე.წ. „კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წლიდან იმყოფებოდა კოლაბორაციაში გენერალ ალექსეევისა და დენიკინის თეორგვარდიული ე.წ. „სამხრეთ რუსეთის მთავრობასთან". თეორგვარდიული მოძრაობის დამარცხების შემდეგ, 1920 წლიდან ემიგრაციაშია.

[2] Вестник Временного правительства. 1917г. №5. Цит. По: Диманштейн С. М. Революция и национальный вопрос. – М., т. 3., стр. 71.

[3] Махарадзе Ф. Советы и борьба за Советскую власть в Грузии 1917-1918 г.г. Тифлис. 1928. Стр. 57-58.

[4] ნოე ჟორდანია (1869-1953) – რუსეთისა და საქართველოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მენშევიკი. ძველი მარქსისტი და რევოლუციონერი, პუბლიცისტი და მემუარისტი. ქართველ მარქსისტთა ორგანიზაცია „მესამე დასის" ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ოპორტუნისტული ფრთის ხელმძღვანელი. რსდმპ წევრი 1898 წლიდან და რსდმპ მე-2 ყრილობის დელეგატი. 1905 წელს თბილისში გამომავალი მარქსისტული გაზეთის „სოციალ-დემოკრატის" რედაქტორი. 1906 წელს რუსეთის 1-ლი მოწვევის დუმის დეპუტატი თბილისიდან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1907-1912 წლებში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეური მოწინააღმდეგე. 1912 წელს ბაქოში გამომავალი მენშევიკური გაზეთის – „Наше слово"-ს რედაქტორი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, იდეოლოგიური „ობორონეცი" და პლეხანოვის იდეების მხარდამჭერი, მუშათა საერთაშორისო გაერთინების – II ინტერნაციონალის იდეოლოგიურ-პოლიტიკური კურსის

სათავეში. რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა. მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით, ხელისუფლების ამ ორ შტოს შორის რადიკალურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. თბილისის გუბერნიის კომისარი, მენშევიკი ჯაფარიძე აღნიშნავდა:

„ამიერკავკასია ანარქიის ალშია გახვეული. მრავალხელისუფლებიანობა, ნამდვილი უფროსის უყოლობა ქვეყანაში ნგრევის მთავარი მიზეზია. ამიერკავკასიის კომისარიატი, აღმასრულებელი კომიტეტის სამხარეო ცენტრი, ნაციონალური საბჭოები – ყველანი უფროსები არიან, ყველანი მართავენ, ყველანი კანონებს სცემენ, რომელიც არ სრულდება, რადგან ბოლოს აღარ ვიცით ვის დავემორჩილოთ, ვინ განაგებს...

წესრიგის აღსადგენად აუცილებელია მტკიცე, სრული და გაუყოფელი ავტორიტეტული და ყველასაგან აღიარებული ხელისუფლების შექმნა. აუცილებელია, რომ მოქალაქეები გრძნობდნენ ასეთი ხელისუფლების არსებობას".[1]

ამიერკავკასიაში წამყვან რევოლუციურ ძალას სოციალ-დემოკრატები – მენშევიკები წარმოადგენდნენ. ისინი აკონტროლებდნენ თბილისის საბჭოს და თავიანთი წარმომადგენლები „ოზაკომშიც" ჰყავდათ. ბოლშევიკების გავლენა კი, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ძალიან სუსტი იყო და სხვა პოლიტიკურ ძალებთან მიმართებაში ისინი განხეთქილების შეტანისა და გამიჯვნის კურსს ატარებდნენ. სოციალ-დემოკრატების ორ ფრთას შორის სრული იდეოლოგიურ-პოლიტიკური მარგინალიზაცია სახეზე იყო.

1917 წლის 2 ივლისს სოხუმში გაიმართა ოლქის სათათბიროს არჩევნები. გამარჯვება სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს (18 მანდატი). სათათბიროს ორგანოში შევიდნენ აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერები – ესერები (10 მანდატი) და სოციალისტ-ფედერალისტები (2 მანდატი). 1917 წლის 30 სექტემბერს სოხუმის საოლქო სათათბირომ საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია: ბ. ჩხიკვიშვილი, ბ. ზახაროვი, ა. წივწივაძე, ი. გოგელაშვილი, მ. ცარიოვი და სხვა.

1917 წლის ბოლოს კი, ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, – „როდესაც კავკასიელი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ იმაში, რომ რუსეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, პეტროგრადსა და მოსკოვში ჩამსხდარი ბოლშევიკები კი თავისი ყაჩაღური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის მზად იყვნენ ნახევარი სამეფო დაეთმოთ ავსტრიელების, გერმანელებისა და თურქებისათვის, საკუთარი თავის გადასარჩენად მათ გასაბჭოებული რუსეთიდან გამოყოფაზე დაიწყეს ფიქრი", – აღნიშნავს თავის ნაშრომში ანდრეი ზუბოვი.[2] ახალ პირობებში, ე.ი. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ – ავტონომიის ლოზუნგი თითქმის ავტომატურად იცვლებოდა

ერთგული მიმდევარი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს თავმჯდომარე, 1917 წლის 26 ნოემბრიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ფაქტობრივი დროებითო პარლამენტის თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, დაწყებული 1918 წლის 24 ივლისიდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეორე და უცვლელი თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და თავდაცვის საბჭოების უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის წევრი და საპატიო თავმჯდომარე. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია. 1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1954 წლამდე, საქართველოს გადასახლებული მთავრობის თავმჯდომარე.

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. გვ. 437. სცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 118. ფურცელი 9.

[2] Андрей Зубов. Доктор исторических наук, профессор МГИМО, ведущий научный сотрудник Института востоковедения РАН. История и современность. Кавказ без Росии. Гражданин, и демократ, и государственник. Периодический политический журнал. №1, 2003.

დამოუკიდებლობის ლოზუნგით. ასე იყო, კერძოდ, საქართველოში, და მთლიანად ამიერკავკასიაში, რომ არაფერი ვთქვათ, სხვა განაპირა მხარეებზე.[1]

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში, პეტროგრადის მსგავსად, იქმნება ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა – კომისარიატი, ძველი რევოლუციონერისა და სოციალ-დემოკრატის, ევგენი გეგეჭკორის[2] თავმჯდომარეობით. ნოემბერშივე მოწვეულ იქნა აფხაზეთის გლეხთა I ყრილობა, რომელიც მთიელთა კავშირის წარმომადგენლის, ასლანბეკ შერიფოვის ინიციატივით იქნა ორგანიზებული. მან განაცხადა რომ „აფხაზები ჩრდილო კავკასიელ მთიელთა კუნთებს წარმოადგენენ, იმ ნაწილს, რომელიც ამ მხარეს იქნა ხელიდან გაგდებული. აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი გმირების ძმურ გრძნობას შეუძლია გაადნოს მათ შორის მდებარე კავკასიის ცივი მთები და საერთოდ, მათ შორის არებული ყოველგვარი წინააღმდეგობა".[3]

ყრილობის მუშაობაში აფხაზი ბოლშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას – ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა. შემდგომში ნესტორ ლაკობა წერდა: „ყრილობის მუშაობის ქვაკუთხედს შემდეგი კითხვა წარმოადგენდა – „ვისთან ერთად ვიყოთ? წავიდეთ ამიერკავკასიის კომისარიატთან და მუშათა კლასის ფარულ გამცემლებთან – მუსავატებთან, დაშნაკებთან, მენშევიკებთან და ყველა ამ პოლიტიკურ გაიძვერებთან ერთად ერთ ბლოკში, რომლებთანაც აფხაზეთი დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული და ფინანსური კუთხით, თუ უნდა გაგვეწყვიტა ამიერკავკასიასთან ყოველგვარი კავშირი და შევსულიყავით მთიელ ხალხთა კავშირში, სადაც ასე დაჟინებით გვიწვევდნენ მთიელთა დელეგაციები".[4] ყრილობაზე დეკლარირებულ იქნა მთიელთა კავშირთან ურთიერთობების დამყარება, დამტკიცებულ იქნა აფხაზთა სახალხო საბჭოს კონსტიტუცია და არჩეულ იქნა მისი შემადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარედ სიმონ ბასარია იქნა არჩეული.[5] აფხაზთა სახალხო საბჭოს მიეცა დავალება ემუშავა „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის" საკითხებზე. ამ ე.წ. „თვითგამორკვევის" ფორმები დაზუსტებული არ იყო.

ყრილობამ დაგმო ბოლშევიზმი, ოქტომბრის გადატრიალება და სრული ნდობა ამიერკავკასიის მთავრობასა და საბჭოებს გამოუცხადა. მხარდაჭერილ იქნა საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ხელისუფლების შექმნა. ამავე დროს, აღდგენილ იქნა ადმინისტრაციული საზღვრის ძველი, 1904 წლამდე არსებული მდგომარეობა.[6] ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით სოხუმის ოლქს გაგრისა და ბზიფის რაიონები შეუერთდა.[7] ყრილობამ სრული ნდობა ყრილობის დელეგატებს

---

[1] ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაწილი I. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი. 1990. გვ. 19.

[2] ევგენი გეგეჭკორი (1881-1954) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. პროფესიით იურისტი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1907-1912 წლებში რუსეთის დუმის მე-3 მოწვევის წევრი, სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წლის ნოემბრიდან ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. 1918 წლის მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, 1918 წლის ბოლოდან – რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1921 წლის დასაწყისიდან – რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია.

[3] Сагария Б. Е. 1970. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми, Стр. 13.

[4] Лакоба Н. А. 1987. Статьи и речи. Сухуми, Стр. 49.

[5] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 69.

[6] სცსსა. ფონდი 1818, ანაწერი 2, საქმე 135, ფურცელი 21.

[7] Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии (1917-1988). Сборник политико-правовых актов. Тбилиси. 2004. Стр. 213-214, 218.

აკაკი ჩხენკელს,[1] ვალიკო ჯუღელს, ბენია ჩხიკვიშვილსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს – მენშევიკებს გამოუცხადა. სოხუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ ძველი სოციალ-დემოკრატი და გამოცდილი რევოლუციონერი ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი იქნა არჩეული.

როგორც ვხედავთ, სოჭის ოლქის მსგავსად, სოხუმის ოლქშიც, მოსახლეობის ნდობის სრული მანდატი სოციალ-დემოკრატებმა – მენშევიკებმა მოიპოვეს.

მცირერიცხოვან აფხაზ ბოლშევიკთა ავანტიურისტული ჯგუფისათვის, ყრილობის ეს გადაწყვეტილება, ცხადია, მიუღებელი აღმოჩნდა. ეფრემ ეშბამ და ნესტორ ლაკობამ ბოლშევიკთა საერთო პოლიტიკური ხაზის გასატარებლად მოითხოვეს მუშათა და გლეხთა მათთვის მისაღები საბჭოების ჩამოყალიბება და ლენინური კურსის შესაბამისად, მათთვის სრული ძალაუფლების გადაცემა. ამ მოთხოვნით რეზოლუციაც იქნა წარმოდგენილი, მაგრამ, ცხადია, ეს აშკარა ექსტრემისტული მოთხოვნები გლეხთა ყრილობის მიერ არ იქნა მიღებული.

ყრილობის ამ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ, უკვე 1917 წლის დეკემბერში, სოფელ ჯირხუაში ექსტრემისტ ბოლშევიკთა მიერ იქმნება გლეხთა პირველი შეიარაღებული რაზმები, ე.წ. „Анхаюы Кьараз" (გლეხთა „კიარაზები"). მის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად „პროფესიონალი რევოლუციონერი" ნესტორ ლაკობა გვევლინება. „კიარაზები" წარმოადგენდა ბოლშევიკთა წითელგვარდიული რაზმების ანალოგიურ პარამილიტარულ ორგანიზაციას, იმ განსხვავებით, რომ მას ფაქტობრივად არავითარი სამხედრო და საბრძოლო გამოცდილება არ გააჩნდათ, ამავე დროს „პოლიტიკური სიმწიფის" დონითაც არ გამოირჩეოდა.

ბოლშევიკი აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ფსევდოპატრიოტული და სოციალისტური ფრაზეოლოგიით უხვად შეზავებულმა გამოსვლებმა და ეფემერულმა დაპირებებმა ნელ-ნელა თავისი შხამიანი ნაყოფი გამოიღო. ისევე, როგორც რუსეთის ყოფილი იმპერიის ზოგიერთ ყოფილ ნაწილში, და მათ შორის საქართველოში, აფხაზეთშიც, გაუნათლებელ გლეხთა ერთი ნაწილი ადვილად მოექცა ბოლშევიკთა იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ. მაშინ რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს ნესტორ ლაკობა წერდა: „ჩვენი ორგანიზაცია მაგარი და ძლიერია. მოცემულ მომენტში, როცა მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა დანაშაულებრივად, ბურჟუაზიის წინაშე შიშისა და ძრწოლის გამო უღალატეს პროლეტარიატის ინტერესებს..., ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც ორმაგადა აქვს გაცნობიერებული თავისი პასუხისმგებლობა, მთელი ძალებით იბრძოლებს ბოლშევიზმის იდეების გამარჯვებისათვის..."[2]

გამოკვეთილად უნდა ითქვას ისიც, რომ შექმნილ სიტუაციაში იმ დროისათვის აფხაზეთში არ არსებობდა არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, ჯგუფი, თუნდაც

---

[1] აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი. იურისტი და პუბლიცისტი. მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი რუსეთსა და საქართველოში. რუსეთის მე-4 მოწვევის დუმის დეპუტატი სოხუმის ოლქიდან. ეროვნული კულტურული ავტონომიზაციის ერთ-ერთი ავტორი. 1917 წლის თებერვალში რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) 1-ლი მოწვევის წევრი. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი, შინაგან საქმეთა კომისარი (მინისტრი). 1918 წლის 9 აპრილიდან ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წლის 26 მაისიდან 1918 წლის ივლისამდე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. 1921 წლიდან ემიგარციაშია.

[2] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 19. „К истории революционного движения в Абхазии. (Сборник воспоминаний)", Сухуми, 1922 г., стр. 12. http://apsnyteka.org/1178bgazhba_m_nestor_lakoba. html.

პერსონა, რომლებიც აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მომხრეები იქნებოდნენ. სეპარატიზმის ასეთი ხარისხი, ასეთი ცნება იმ დროისათვის, უბრალოდ, არ არსებობდა. იმ პოლიტიკური ძალებიდან, რომლებიც მაშინ აქტიურობდნენ, ერთნი ე.წ. „მთიელ ხალხთა რესპუბლიკაში" გაერთიანების მომხრეებად გამოდიოდნენ – სიმონ ბასარია და მისი მომხრეები, უმრავლესობა კი – საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის მომხრე იყო, ეთნიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრებიდან გამომდინარე. ამ ჯგუფს სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ. მემამულეებისა და მიწათმფლობელების ერთ ნაწილს კი, სოციალისტური იდეების შიშით და საკუთარი სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ოსმალეთის იმპერიისაკენ ეჭირა თვალი. მათზე დიდი იყო ოსმალთა იმპერიაში გადახვეწილ აფხაზ მუჰაჯირთა ზეგავლენა, აგრეთვე ისლამური ფაქტორი. ამ ჯგუფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, თავადი ალექსანდრე შარვაშიძე წარმოადგენდა. მოგვიანებით მას სოხუმის საოლქო მილიციის უფროსი, პოლკოვნიკი ტატაშ მარშანიაც შეუერთდა. ხოლო ექსტრემისტულად განწყობილ ავანტიურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი – ე.წ. „აფხაზი ბოლშევიკები" და „კიარაზის" ხელმძღვანელები, ეშბა, ლაკობა და აკირთავა, უფრო პერსპექტიულად აფხაზეთის საბჭოთა რუსეთში შეყვანას მიიჩნევდნენ. თუმცა, ამავე დროს, ნესტორ ლაკობაც და ალექსანდრე შარვაშიძეც, მთიელ ხალხთა კავშირთან აფხაზების დაახლოების მომხრეებად გამოდიოდნენ.

ფაქტია, რომ თითოეული ეს დაჯგუფება კერძო მერკანტილური ინტერესებიდან გამოდიოდა და ნაკლებად ადარდებდათ უბრალო ადამიანების ბედი. საკუთარი ძალაუფ-ლების მოპოვებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, ისინი განსხვავებული ძალების, განსხვავაებული საშუალებებისა და მფარველების ძიებაში იყვნენ.

ქართული მხარე და საქართველოს ეროვნული საბჭო, ფაქტობრივი საკანონმდებლო ორგანო, შექმნისათანავე აფხაზებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ისახავდა მიზნად, რასაც ნათლად გამოხატავს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი – საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 7 იანვრით დათარიღებული №24 მიმართვა. ბუნებრივია, ამ მიმართვაში მხოლოდ სოხუმის ოლქსა და იქ მაცხოვრებელ აფხაზ მოსახლეობაზეა საუბარი, რომლის ქვეშაც იგულისხმებოდა ტერმინ „აფხაზეთის", როგორც ასეთის, გაგება. დღევანდელი გალი-ოჩამჩირის რაიონის, ანუ ისტორიული სამურზაყანოს, დადიანების კუთვნილ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ მეგრელ მოსახლეობას კი, ცალკე შეტყობინება გაეგზავნა:

„აფხაზთა სახალხო საბჭოს

საქართველოს ეროვნული საბჭო, თავისი შექმნის დღიდან ცდილობდა დაემყარებინა უფრო მჭიდრო კავშირები ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, რის განსახორციელებ-ლადაც გადადგმული იქნა პრაქტიკული ნაბიჯები. ეროვნული საბჭო ღრმადაა დარწმუნებული, რომ აფხაზებიც ცდილობენ შექმნან საკუთარი და თავისი მეზობლებისათვის მშვიდობიანი ცხოვრებისა და კულტურული განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამ მიზნით საჭიროა აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთგაგება და ნდობა. ქართველები თავის მხრივ გულწრფელად ცდილობენ იპოვონ გზები აფხაზებთან მჭიდრო და ძმური ერთიანობის დასამყარებლად. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული საბჭო აპირებს მოაწყოს შეხვედრა აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებთან საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების გასარკვევად, ასევე ჩვენი ხალხების თანაცხოვრებისათვის კონტაქტების დასამყარებლად. საქართველოს ეროვნული საბჭო თხოვს აფხაზთა სახალხო საბჭოს გამოაგზავნოს თავისი წარ-მომადგენლები ქალაქ თბილისში ამა წლის 20 იანვარს.

ამასთან ერთად გატყობინებთ, რომ აღნიშნულ შეკრებაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე სამურზაყანოს წარმომადგენლები.

ხელმოწერა: თავმჯდომარის მოადგილე – ჩხენკელი".[1]

საბოლოოდ, უფრო აქტიურები და აგრესიულები ბოლშევიკები გამოდგნენ, რომელთაც ბუნებრივია, რუსი ბოლშევიკების დიდი ფინანსური, იდეოლოგიური და სამხედრო მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მაშინ, 1918 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი, ძირითადში გუდაუთის აფხაზი მოსახლეობა, დინების საწინააღმდეგოდ წავიდა. მათ საკუთარი ისტორიული და ბუნებრივი განვითარების გზა უარყვეს და რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილი ერთი მუჭა პოლიტიკური ავანტიურისტების ეფემერულ ვნებებს აყვნენ.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზთა ამ ნაწილმა ირწმუნა ბოლშევიკთა სოციალური ხასიათის დაპირებები და ისევ რუსეთი და რუსები აღიარა, ის ერი, ის იდეოლოგია და ის ეთნოსი, რომელმაც აფხაზი და კავკასიელი ხალხების ისტორიაში ყველაზე შავი ფურცლები ჩაწერა. ისტორიული ფაქტია, რომ მუჰაჯირობის შავი ეპოქა, იყო და ახლაც რჩება ყველაზე უფრო დიდ ტრაგედიად კავკასიელი ხალხების არსებობისა და განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მაშინ აფხაზმა სეპარატისტებმა ყური არ უგდეს თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტის, აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი მთავრის, თავად მიხეილ შარვაშიძის ვაჟის, გიორგი შარვაშიძის[2] შეგონებას ქართველთა და აფხაზთა საუკუნოვანი ერთიანობისა და ახალი ბოლშევიკური იდეოლოგიიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ:

,,Правда, наша Родина, Иверия пережила большие культурные сдвиги, но наше прошлое заморозилось в такое время, что сбились с пути, отошли от закона естественной эволюции. Да, мы можем смело сказать, что если не помешали превратности судьбы, были бы сегодня впереди Европы, т.к. когда апостол Андрей здесь проповедовал учение Христа, тогда в Европе сами дуки были одеты в шкуры буйвола и босые охотились в лесах с копьем в руках.

После этого, с трудом, путем войны, постоянных ссор довели нашу культурную жизнь до времени царицы Тамар, которое являлось золотым веком Иверии.

А затем произошел поворот в жизни нации. Пришедшие враги не давали покоя и народ устал. Постепенно иссяк славный умственный и имущественный потенциал

---

[1] Абхазия _ документы и матералы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Музей Абхазии, дело №8, л. 27. Абгосмузей, ф., 4, оп. 1, д. 72, л. 1.

[2] გიორგი შარვაშიძე (1846-1918) – უბრწყინვალესი თავადი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, უბრწყინვალესი თავადის, მიხეილ შარვაშიძისა და ალექსანდრა დადიანის ვაჟი. 1863 წლიდან კავკასიის ჯარების სარდლის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტი. 1876 წლიდან ჰუსართა პოლკის ლეიბ-გვარდიის შტაბს-როტმისტრი, 1879 წლიდან – ფლიგელ-ადიუტანტი. 1887 წლიდან – პოლკოვნიკი. ცნობილი ეროვნული მოღვაწე, აფხაზი და ქართველი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა თანამოაზრე. წერდა სამ – აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. თერგდალეულებთან ერთად იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, საერთო-ეროვნული ფასეულობების, ენისა და კულტურის განვითარებისათვის, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციის გამოვლენისათვის, ორი მოძმე ერის ეროვნული ფესვებისა და მათი ურთიერთობების შენარჩუნებისათვის. ბრწყინვალედ იცნობდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, აფხაზეთის ისტორიასა და ფოლკლორს. მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის მთავრობის კოლონიზატორულ პოლიტიკას, ითხოვდა მათგან ტაქტიკის შეცვლასა და ხალხის ტრადიციების პატივისცემას. მეფის მთავრობის მიერ რეპრესირებულ იქნა ორენბურგში გადასახლებით, საიდანაც დაბრუნების შემდეგ აეკრძალა აფხაზეთში ცხოვრება. წლების განმავლობაში ცხოვრობდა ქუთაისში. მშობლიურ ქალაქში, სოხუმში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1905 წელს მიიღო, სადაც გარდაცვალებამდე, 1918 წლის თებერვლამდე ცხოვრობდა.

страны и разрушилась самобытная жизнь. Обеднел язык, испортились нравы, потеряли мощь, рыцарство и честность отбросили и, наконец, достигли до века, когда благосостояние находили в шпионаже и в предательстве Родины.

В то время, когда сознательная часть раздробленного иверского народа, скрестив руки на груди, стояла у могил своего былого величия, сегодня вдруг раздался голос справедливости и свободы!

Грузия бьет в набат, раздался возглас ура, ура!... Но слышится другой голос: мы не хотим свободы, не ищем автономию, все народы мира едины, мы только хотим предоставить льготы рабочему народу. Для этого необходимо отобрать имения у помещиков и раздать земли рабочим. Долой сословия и частная собственность на землю...

Так, до земных расчетов опустилось светящее солнце освобождения, оживления нации...”[1]

პირველი ქართული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, იმ დროისათვის საქართველოს მთავრობის საგანგები რწმუნებული „სამუ-სულმანო საქართველოში”, პირველი რესპუბლიკის პერიოდში სხვადასხვა სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობების პირი, შემდგომში ვერმახტის გენერალი, შალვა მაღლაკელიძე: „მაშინ გაიგეს აფხაზებმა, რომ აფხაზები არიან, რადგან რუსებმა შთააგონეს, თქვენ ქართველებთან არაფერი საერთო არა გაქვთ, თქვენ ხართ ჩვენი ჯიშის ხალხი, ჩრდილოეთ კავკასიელების, ამიტომ რა გაქვთ საერთო ქართველებთანო. რომ ამბობენ დავიკავეთ სოხუმიო, არაფერი არ დაუკავებიათ, Совет солдатских и рабочих депутатов იყო. მაგალითად, როგორც ის მუტრუკი არსლანი მივიდა და გაძარცვა ქუთაისში დუქნები, მაგრამ დაიკავეს ქუთაისი, ასეთივე იყო აქაც. შეიჭრებოდნენ სოხუმში ან სადმე, და ფეხსაცმელებზე და ჩოხა-ახალუხზე „პოგრომებს” აწყობდნენ, გაძარცვამდნენ და იძახდნენ კომუნისტები ვართო!..

რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზეთს ავტონომია ჩვენ მივეცით, ე.ი. აფხაზეთს ქონდა Абхазский народный совет, თავისი მთავრობა ყავდათ არზაყან ემხვარის, მენშევიკის მეთაურობით. თავადი იყო, სემინარიაში გაზრდილი, ქართველობდა, ამიტომ მენშევიკებმა დანიშნეს, თუმცა აფხაზი იყო ნამდვილი, მერე დაიღუპა, მოკვდა, ემიგრაციაში გაყვა ნოე ჟორდანიას”.[2]

მართალია, ბატონ შალვა მაღლაკელიძის ამ მემუარში ცალკეული დეტალების გადმოცემაში მცირე უზუსტობები შეინიშნება, მაგრამ მიმდინარე პროცესების არსი ზუსტადაა გადმოცემული. ბოლშევიკთა მიერ წამოყენებული და უპოვართათვის ერთობ პოპულარული ლენინური ლოზუნგები – „Бей буржуев!” და „Грабь награбленное!”, აქაც, აფხაზეთში, და მთლიანად ამიერკავკასიაშიც, ნელ-ნელა ძალებს იკრებდა.

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 387-388. Док. №209. Из статьи Г. Шервашидзе „Социализм в Грузии”. 25-29 июня 1917 г. Сакартвело, 1917, 25-29 июня. http://abkhazeti.info/history/ 20050617221157965354. php.

[2] შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები. გამომცემლობა „პეგასი”. თბილისი. 2012. გვ. 102.

§3. ბოლშევიკური აგრესიის დასაწყისი აფხაზეთში

1918 წლის დადგომისთანავე სოჭისა და სოხუმის ოლქებში მდგომარეობა იცვლება. ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური ფაქტორის გაძლიერებასთან ერთად, 5 იანვარს სოჭის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების კრებაზე არჩეულ იქნა რევოლუციის მმართველი ორგანო – სოჭის ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი" (რევკომი), რომელსაც სათავეში ნ. პიროჟკოვი ჩაუდგა. აქვე ჩამოყალიბდა „რევკომის" სამხედრო ძალა – I მსოფლიო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული გადეზერტირებული ჯარისკაცებითა და „კერენსკის ბარტყებით" უხვად გაჯერებული საოლქო წითელი გვარდია ნ. პოიარკოს მეთაურობით. სწორედ ბოლშევიკთა ამ წითელი გვარდიის ქვედანაყოფები იქცნენ სულ მცირე ხანში საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში განხორციელებული ბოლშევიკური აგრესიის მთავარ დამრტყმელ ძალად.

სიტუაცია იცვლება სოხუმის ოლქშიც. იდეოლოგიური და სამხედრო თვალ-საზრისით სოჭისგან მხარდაჭერილმა სოხუმელ ბოლშევიკთა ჯგუფმაც აშკარა შეია-რაღებული გამოსვლებისათვის დაიწყო მზადება. ცალსახად და გადაჭრით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ მოვლენების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად კავკასიის ფრონტის მოშლა და ფრონტიდან დაბრუნებული „რევოლუციურად" განწყობილი, რეალურად კი, გადეზერტირებული, უმართავი და ზნეობადაკარგული რუს ჯარისკაცთა ნაკადები იქცნენ. არავითარი მითიური „მუშათა კლასი" და არავითარი „რევოლუციური მასები" ამ მომენტისათვის არც სოხუმში და მით უმეტეს, არც მთლიანად აფხაზეთში, უბრალოდ, არ არსებობდა.

საკითხის არსში უფრო საფუძვლიანად გარკვევისათვის კი, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1917 წლის მიწურულს არსებული ოპერატიული ვითარება და აქ განვითარებული მოვლენები. წარმატებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, 1917 წლის მდგომარეობით, რუსეთის კავკასიის არმიას (სარდალი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი ნიკოლაი იუდენიჩი)[1] ოსმალთა იმპერიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდა ოკუპირებული და თითქმის 700 კმ-იანი ფრონტი შავი ზღვის სანაპიროდან, ქალაქ გირესუნიდან, ვანის ტბამდე გრძელდებოდა. იგი გირესუნი-ერზინჯანი-მუში-ბითლისის ხაზზე გადიოდა. ფრონტიდან მოხსნილი და

---

[1] ნიკოლაი ნიკოლაევიჩ იუდენიჩი (1862-1933) – წარმოშობით ბელარუსი, რუსი მხედართმთავარი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, I მსოფლიო ომის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი და წარმატებული სარდალი, თეთრგვარდიული მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1887 წლიდან შტაბს-კაპიტანი და გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული. 1892 წლიდან თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტი და პოდპოლკოვნიკი. 1896 წლიდან პოლკოვნიკი. 1900 წლიდან თურქესტანის 1-ლი მსროლელი ბრიგადის შტაბ-ოფიცერი. 1902 წლიდან მე-18 მსროლელი პოლკის მეთაური. 1907 წლიდან კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერი. 1912 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. I მსოფლიო ომის საწყის ფაზაში კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი. 1915 წლიდან ინფანტერიის გენერალი და კავკასიის ფრონტის სარდალი. 1916 წელს არზრუმისა და ტრაპიზონის წარმატებული ოპერაციების გამო დაჯილდოებულ იქნა გიორგის II ხარისხის ჯვრით. ეს იყო რუსეთის იმპერიის მიერ გაცემული ამ სინჯის უკანასკნელი ჯილდო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იგი, როგორც დაჯერებული ცარისტი, უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას, იგი გადადგა და ტოვებს კავკასიის ფრონტს. 1918 წლის ბოლოდან თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი იდეური ლიდერი და ხელმძღვანელი ჩრდილოეთ რუსეთსა და ბალტიისპირეთში, თეთრგვარდიელთა ე.წ. „ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის" სარდალი. პეტროგრადზე განხორციელებული რამდენიმე უშედეგო ოპერაციის შემდეგ, 1920 წლის დასაწყისში ტოვებს ფრონტის სარდლის თანამდებობას და მიდის ემიგრაციაში.

რუსეთისაკენ მიმავალი ჯარისკაცთა და მატროსთა მასების გადაადგილებისათვის კი, ამ დროისათვის მხოლოდ ორი მარშრუტი არსებობდა. ერთი სახმელეთო – რკინიგზით, სარიყამიში-ყარსი-ალექსანდროპოლისი-ელიზავეტპოლი-ბაქო-პორტ-პეტროვსკი (დღევანდელი მახაჩყალა), მეორე კი საზღვაო – ტრაპიზონი ან ბათუმი, ხოლო შემდეგ – სოხუმი, ადლერი, სოჭი, ნოვოროსიისკი. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ სარიყამიში, ხოლო მეორეს მხრივ ტრაპიზონი და ბათუმი იქცნენ „რვოლუციონერი", რეალურად კი, გაყაჩაღებული რუსი ჯარისკაცების თავმოყრის ერთგვარ პუნქტებად. სარიყამიში ბოლო სარკინიგზო სადგურსა და რუსეთ-ოსმალეთის I მსოფლიო ომამდელ სასაზღვრო ქალაქს წარმოადგნდა, ხოლო ტრაპიზონი და ბათუმი, კავკასიის ფრონტის ხაზთან მდებარე უახლოეს საზღვაო პორტებს. გადეზერტირებულ ჯარისკაცთა და მატროსთა ამ დამანგრეველ ნაკადებს, მათი გადაადგილების მთელ მარშრუტზე „მოროდიორული შლეიფი" მიუყვებოდა უკან. კავკასიის ფრონტის სწორედ ეს „რევოლუციონერი" ჯარისკაცები და შავი ზღვის ფლოტის მატროსები იქცნენ სოჭის ოლქის წითელი გვარდიის ძირითად ბირთვად, ხოლო სოხუმის ოლქში – „ბოლშევიკური რევოლუციის" მაპროვოცირებელ მთავარ ფაქტორად. ამ „რევოლუციის" მთავარ არსს კი, არსებული ადგილობრივი ხელისუფლებების დამხობა, „პროლეტარიატის დიქტატურის" დამყარება და ექსპროპრიაცია-კონფისკაციების ჩატარება წარმოადგენდა. ცხადი გახდა, რომ ლენინურ-ბოლშევიკური ლოზუნგები – „Бей буржуев!", და „Грабь награбленное!", აგრესიული მოწოდებების ფორმიდან რეალური ხორცშესხმის ფაზაში შედიოდა.

უკვე 1918 წლის 16 თებერვლისათვის, ისარგებლა რა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ოსმალური შენაერთების მიერ კავკასიის ფრონტის გარღვევით, საერთო ქაოსითა და ამიერკავკასიის მთავრობის შეიარაღებული ძალების სისუსტით, რუსი ბოლშევიკების სამხედრო დახმარების იმედით აფხაზეთის ბოლშევიკთა ე.წ. „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა" ეფრემ ეშბას ხელმძღვანელობით სოხუმში ხელისუფლების სადავეები იგდო ხელთ.

აფხაზეთში ე.წ. „საბჭოთა ხელისუფლების" დამყარება კი, სოხუმის პორტში შავი ზღვის ესკადრის დამხმარე კრეისერ „Дакия"-ს შემოსვლას უკავშირდება, რომელიც კავკასიის ფრონტიდან წამოსული დეზერტირი და გარევოლუციონირებული მატროსებითა და ჯარისკაცებით იყო დატვირთული. როგორი იყო კრეისერის მარშრუტი? რას წარმოადგენდა მისი ეკიპაჟი და რითი იყო იგი დაკავებული? პასუხს საარქივო დოკუმენტები იძლევიან: „„Дакия", რომელიც თვეზე მეტ ხანს დაცურავდა შავ ზღვაში და ტრაპიზონში ნაძარცვი საბრძოლო აღჭურვილობითა და საინტენდანტო ქონებით ვაჭრობდა, შიშსა და ძრწოლას თესავდა შავი ზღვის ყველა იმ ქალაქში, სადაც კი შედიოდა. მისი ეკიპაჟის მიერ დანგრეულ იქნა იალტა, დაბომბილ იქნა ტრაპიზონი და ა.შ. იგივე ეკიპაჟი წინა რეიდების დროს ორჯერ დაეცა რუკოვიშნიკოვის აგარაკს სოხუმში და გაძარცვა იგი..."[1]

აი ასეთი „იდეური რევოლუციონერებით" დატვირთულმა კრეისერმა ჩაუშვა ღუზა სოხუმის რეიდზე, მორიგი ვოიაჟის შემდეგ, 1918 წლის 15 თებერვალს. და გასაგებია თუ რა ჩანაფიქრები და მიზნები ექნებოდათ ხომალდის კაპიტანსა და მის „რევოლუციურ" ეკიპაჟს. მეტად ნიშანდობლივია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ სოხუმში არსებული იმდროინდელი ვითარების აღწერა, სადაც ნათლად ჩანს საბჭოთა პროპაგანდისტული იდეოლოგიის მთელი სიყალბეც და ისტორიის ფალსიფიკაციის აშკარა მცდელობაც:

---

[1] Письмо Сухумского городского главы В.Чхиквишвили о политической ситуации в Абхазии. 21 февраля 1918 г. ЦГАА, ф. И-4, оп.1, ч. II, д. 256, лл. 2-11. http://abkhazeti.info/history/2005061743137135875 3. php.

„მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო სოხუმში. აქ თავმოყრილი იყვნენ ყოფილი მეფის ოფიცრები, ყოყოჩა თავადები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები, რომლებიც მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ თავაშვებულ აგიტაციას ეწეოდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ სოხუმში მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი მოქმედებდა და მემამულურ-ბურჟუაზიულ ბანაკზე იერიშის მისატანად ძალებს იკრეფდა".[1] რა ნაცნობი, მაგრამ უკვე საფუძვლიანად გაცვეთილი ფრაზეოლოგიაა ამ ერთ წინადადებაში – „ყოყოჩა თავადები", „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები", „მუშურ-გლეხური რევოლუცია", „მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი", „მემამულურ-ბურჟუაზიული ბანაკი"... მაგრამ მხოლოდ პროპაგანდისტული და ბელეტრისტიკული ფრაზეოლოგიის უხვად ხმარებაში არაა საქმე. ამ ამონარიდთან დაკავშირებით, ყველაზე მთავარი და არსებითი ისაა, რომ რამდენი სიტყვაცაა მასში, იმდენი სიცრუე და ტყუილია დანთხეული საბჭოური იდეოლოგიის მიერ, იდეოლოგიურად შეფუთული ლამაზი ტყუილი.

სოხუმის ე.წ. „გასაბჭოების" უშუალო საბაბად კი, ერთობ პროზაული მომენტი იქცა – სოხუმის პორტში გადმოსულ მატროსებსა და აფხაზ თავადს, „კავკასიის ველურ-ური დივიზიის" ყოფილ ოფიცერს, პორუჩიკ ნიკოლოზ ემუხვარს შორის მომხდარი ინცინდენტი, როდესაც „რევოლუციონერმა" მთვრალმა ჯარისკაცებმა სამხრეების ჩამოგლეჯა დაუპირეს თავადს. ცხადია, თავმოყვარე და ღირსების მქონე ოფიცერმა ჯარისკაცთა თავხედური მოქმედებების შესაბამისად იმოქმედა. მან ერთი ჯარისკაცი იქვე მოკლა, მეორე დაჭრა, თვითონ კი – მიიმალა. „Дакия"-ს კაპიტანმა სოხუმის ხელისუფალთ ემუხვარის გადაცემა მოსთხოვა, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან დროზე ვერ იქნა დაკმაყოფილებული. ამას კი, „Дакия"-ს საგემბანო ატილერიიდან სოხუმის დაბომბვა, ბორტზე მყოფი გავეშებული პირადი შემადგენლობის ქალაქში გადასვლა და მოსახლეობის მასობრივი დატერორება მოჰყვა შედეგად.

სოხუმში განვითარებული მოვლენების შესახებ სოხუმის ოლქის კომისარი, ზახაროვი, ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა კომისარს, აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა: „თებერვლის 15-ს ერთმა მეზღვაურმა შეურაცხყო აფხაზთა ასეულის აფიცერი ემუხვარი. მან მეზღვაური მოჰკლა. იშბაიამ (ეფრემ ეშბამ – ა. ჩ.), სვანიძემ და სხვებმა ისარგებლეს ამ ინცინდენტით და მეზღვაურებში აღელვება გამოიწვიეს. მათ ჩააგონეს მეზღვაურებს რომ თავადები მეზღვაურების წინააღმდეგ ილაშქრებენო. შეადგინეს სამხედრო სარევოლუციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ თვითონ და რამოდენიმე მეზღვაური. მათვე მიეკედლა მოხალისე მოყარაულეთა როტა. ემუხვარი გაიქცა, მაგრამ დრანდის მცხოვრებლებმა იგი შეიპყრეს, ჩამოიყვანეს სოხუმში და ნაღმოსანზე მყოფ მეზღვაურებს გადასცეს. მეზღვაურებმა ოფიცერი ემუხვარი ორთქლში ჩაახრჩვეს, მასთან დაჭერილი ცხენოსანი კი, გაგლიჯეს...."[2]

დიახ, ასე დაიწყო რუსეთის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" გამოძახილი სოხუმში, და ბრძოლისა და დასჯის ასეთი მეთოდები იქნა გამოყენებული „კონტრრევოლუციონერებისა" და „რევოლუციის მტრების" წინააღმდეგ. შემდეგ კი, ფერები უფრო გამუქდა და სოხუმი და სოხუმის ოლქი საომარი მოქმედებების ზონად გადაიქცა: „მოდარაჯეთა პოლკმა ამ დროს გაანთავისუფლა ტუსაღები. განთავისუფლებულები მოდარაჯეთა პოლკს მიემხრნენ. ქალაქში და მის მიდამოებზე ჰიდროპლანები ირეოდნენ და ყუმბარებს ისროდნენ ეშხერში (ეშერა – ა. ჩ.), სადაც აფხაზთა სახალხო

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI. 1978. გვ. 443.

[2] სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო". შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. №42. გვ. 2.

საბჭო გაემგზავრა. მოჰკლეს 2 ბავშვი. წითელი გვარდია მარტო დარჩა და იძულებული იყო ეშხერისაკენ წასულიყო და აფხაზებს შეერთებოდა. თებერვლის 19-ში მოვიდა ჯავშნოსანი „პრინც კარლი" და ხანგრძლივი სროლა აუტეხა ქალაქს. შემდეგ სროლა ეშხერებზეც გადმოიტანა. თავზარდაცემული მაცხოვრებლები გაიქცნენ. გამეფდა ცარცვა გლეჯა... ქალაქს გადაახდევინეს კონტრიბუცია 15000 მანეთი".[1]

გაზეთ „სახალხო საქმის" 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში კი, სათაურით, „საშინელი ამბები სოხუმიდან", სოხუმში განვითარებული მოვლენები ასეა აღწერილი: „... დაიწყო ქლაქში სრული ანარქია. აფხაზთა რაზმი იძულებული შეიქმნა გასულიყო ქალაქს გარეთ. აქ მოელის აფხაზთა პროვინციებიდან დამხმარე რაზმებს. მართვა-გამგეობა ბოლშევიკების ხელშია. ქალაქში განუწყვეტელი სროლაა. ორთავე სამხედრო გემები განუწყვეტლივ უშენენ ქალაქს ზარბაზნებს. ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი და ოლქის კომისარი ქალაქში ორი დღეა არ არიან. ფიქრობენ ქალაქ გარეთ აფხაზებთან პროვინციებში თათბირობენ, რათა თავიდან აცილებული იქნეს ნაციონალური განხეთქილება, რომელსაც პროვოკატორები ეცდებიან გააჩაღონ და საერთო ძალით შეეცადონ წესიერების აღდგენას".[2]

ასე განვითარდა 1918 წლის თებერვალში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" გამოძახილი სოხუმში. „ბოლშევიკი ჯარისკაცების" მიერ ქალაქის მოსახლეობის დარბევები, ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები დაიწყო. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ბოლშევიკებმა ეშბამ, სვანიძემ, ლაკობამ, და სასწრაფოდ შეუდგნენ „რევოლუციური ნაპერწკლის აალებას". სოხუმის „რევკომი" აფხაზთა სახალხო საბჭოსა და მთლიანად აფხაზ ხალხს დაუპირისპირდა. მერე რა, რომ სოხუმი და მისი გარშემოგარენი საგემბანო მძიმე არტილერიით იბომბებოდა, მერე რა, რომ ქალაქს ავიაცია ურტყამდა, მერე რა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპებოდა, მერე რა, რომ ბავშვები იხოცებოდნენ, მერე რა, რომ ქალაქში ე.წ. „ბოლშევიკები" და კრიმინალები დათარეშობდნენ, მერე რა, რომ მოროდიორობამ და ძარცვა-გლეჯამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, მერე რა, რომ სოხუმი ბოლშევიკური ტირანიის პოლიგონად იქცა საქართველოში, მერე რა, რომ... და კიდევ ბევრი „მერე რა". როგორც ვხედავთ, უსასრულოდ შეიძლება კაცთა მოდგმის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების ამ ჩამონათვლის გაგრძელება. მთავარს ხომ ლენინურ-ტროცკისტული მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეები, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და მუშათა და გლეხთა უნიფიცირებული საბჭოთა იმპერიის შექმნა წარმოადგენდა.

ზემოთ მოყვანილი პროცესების პარალელურად, ამუშავებას იწყებს ბოლშევიკური ოკუპაციის ჩვეული სქემა, რაც სხვა ქვეყანაში ჯარების შეყვანამდე ითვალისწინებდა ადგილზე უკმაყოფილებებისა და ვითომ სახალხო აჯანყების ინსპირირებას, „მშრომელთა ინტერესების დამცველი" ე.წ. „რევკომების" („სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი") შექმნას და მის დროებით მთავრობად გამოცხადებას. ბოლო ფაზას კი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და ქვეყანაში რუსული სამხედრო შენაერთების შემოყვანა. ოკუპაციის ამ სქემას საბჭოელები წარმატებით ანხორციელებდნენ უკვე შემდეგშიც, ათწლეულების განმავლობაში...

ზემოთ მოყვანილი სქემის შესაბამისად, სოხუმშიც შეიქმნა ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მას სათავეში ეფრემ ეშბა ჩაუდგა, რომელიც

---

[1] სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო". შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. №42. გვ. 2.

[2] საშინელი ამბები სოხუმიდან. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №176. სამშაბათი, თებერვლის 20(5) 1918 წ. გვ. 3.

მანამდე არალეგალურად ცხოვრობდა ტრაპიზონსა და ბათუმში და რევოლუციურ ტალღას შემოჰყვა აფხაზეთში. ნიკოლოზ სვანიძეს, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას მალე გევორქ ათარბეგოვიც უერთდება, ეფრემ ეშბას სტუდენტობისდროინდელი მეგობარი და თანამოაზრე, ე.წ. „პრავდისტთა" არალეგალური ჯგუფის წევრი.[1] ამ ე.წ. „რევკომის" მიერ სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. „რევკომის" მიერ სასწრაფოდ გამოცემულ ბიულეტენში კი ნათქვამი იყო: „Знайте, товарищи и граждане, что власть в твердых руках и всякий, посягнувший на нарушение революционного порядка, будет предан военно-революционному суду".

მოკლედ რომ ვთქვათ, სოხუმს „ოქტომბრის რევოლუციის" პირველმა ზვირთმა გადაუარა და აქ „რევოლუციური წესრიგი" დამყარდა. „წესრიგის" უზრუნველსაყოფად კი, სასწრაფოდ შეიქმნა ბოლშევიკთა ე.წ. „სამხედრო-საველე სასამართლოც", რომლის მეშვეობითაც დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა „კონტრრევოლუციასთან". საბჭოთა და რუსული ისტორიოგრაფიის მიერ სოხუმში განვითარებული ეს ბანდიტური მოვლენები უმალ სოციალისტურ რევოლუციად და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებად იქნა მონათლული. რეალურად კი, როგორც ვნახეთ, ეს იყო შავი ზღვის ფლოტის გარევოლუციონერებული მატროსების, კავკასიის ფრონტის დეზერტირი ჯარისკაცებისა და სოხუმის საპყრობილედან გამოშვებული „კერენსკის ბარტყების" – ადგილობრივი კრიმინალების სისხლიანი თარეში, რომლებმაც მოკლე ხანში გააპარტახეს შავი ზღვის ეს ულამაზესი ქალაქი.

ქალაქის მოთარეშებისა და მნიშვნელოვანი „კონტრიბუციის" ართმევის შემდეგ, მალე კრეისერი „Дакия" ტოვებს სოხუმის პორტს, მას კი მორიგი „რევოლუციური ხომალდები", საესკადრო ნაღმოსანი „Дерзкий" და ჯავშნოსანი „პრინც კარლი" („Король Карлос") და მათი ეკიპაჟები – გაბოლშევიკებულ ყაჩაღთა ახალი ბრბოები ესხმიან თავს. ქალაქ სოხუმს „ოქტომბრის რევოლუციის მეორე ზვირთმა" გადაუარა.

როგორც პროფესორი სვეტლანა ჩერვონნაია აღნიშნავს: „რევკომის" სამხედრო ძალა – შავი ზღვის ფლოტის რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები კრეისერ „Дакия"-დან და სატორპედო კატარღა „Дерзкий", თავისი მხეცობებით შიშსა და ტერორს თესავდნენ აფხაზეთის მოსახლეობაში".[2]

სისხლის სამართლის დამნაშავეების, გაყაჩაღებული მატროსებისა და ბოლშევიკი უზურპატორების წინააღმდეგ აგორებულ მასობრივ სახალხო წინააღმდეგობას აფხაზთა სახალხო საბჭო ჩაუდგა სათავეში.

ისევ ოლქის კომისრის, ზახაროვის ჩხენკელისადმი მიმართვის ტექსტიდან: „ჯავშნოსნის წასვლის შემდეგ წითელი გვარდიელები შეუერთდნენ აფხაზებს, ბერძნებს, სომხებს, შევიდნენ ქალაქში, იარაღი აჰყარეს მოდარაჯეთა როტას და ქალაქში წესიერება ჩამოაგდეს. შედგა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტი. მეგრელები ბოლშევიკებს უთანაგრძნობენ. გთხოვთ მათ ავტორიტეტული სიტყვით მიმართოთ. საჭიროა სოხუმში სამხედრო ნაწილის შექმნა. ასეთი იქნება აფხაზთა ბატალიონი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ დახმარებას".[3]

რაც შეეხება აკაკი ჩხენკელს და მის პოზიციას სოხუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. უნდა განვაცხადოთ, რომ, როგორც ჩანს, ჩხენკელმა ბოლომდე ადეკვატურად ვერ აღიქვა სოხუმში განვითარებული მოვლენების მთელი სერიო-

---

[1] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 12.

[2] Svetlana Chervonnaya. History and Controversy: Short History of Abkhazia and Abkhazian-Georgian Relations. (Chapter 2 from the book "Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow", Glastonbury, 1994).

[3] სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო". შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. №42. გვ. 2.

ზულობა. მან „ავტორიტეტული სიტყვით მიმართვისათვის" საკუთარი უფლებამოსილებების დელეგირება ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადასცა.[1]

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, 1918 წლის თებერვალში სოხუმში დატრიალებული სისხლიანი ვანდეა[2], არა ქართულ-აფხაზური ეთნიკური დაპირისპირება იყო, რის კულტივირებას ადრეც ცდილობდნენ, და ახლაც ცდილობენ იმპერიული და სეპარატისტული ძალები, არამედ – ქართულ-რუსული იდეოლოგიური ომის შემადგენელი ნაწილი, ბოლშევიკურ-კრიმინალური აგრესია საქართველოსა და იქ მაცხოვრებელი ხალხების წინააღმდეგ, და ამ ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესიის მიზანს კი, საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარება და განმტკიცება, შემდეგ კი, ახალი ტიპის ბოლშევიკური იმპერიის შეკოწიწება წარმოადგენდა, რასაც ხალხი აღუდგა წინ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ ამ ე.წ. „რევოლუციის" ჩახშობის საქმეში, სოხუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი – ქართველები და აფხაზები, ისევე როგორც ბერძნები და სომხები, ერთად იდგნენ.

ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ამ მომენტისათვის მსგავსი პროცესები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დაიწყო. კერძოდ, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში, ძველი რევოლუციონერებისა და ბოლშევიკების, ალექსი (საშა) გეგეჭკორისა[3] და შალვა ასკურავას ხელმძღვანელობით. ცხადი იყო, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაწყებული შეიარაღებული გამოსვლები ბოლშევიკთაგან იყო ინსპირირებული და იგი ერთიანი სტრატეგიული გეგმით, ჩრდილოეთიდან იმართებოდა. სამეგრელოში, ბანძის მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას, შალვა ასკურავა აცხადებდა: „თქვენ მე აქ მარტო არ გეგონოთ. ჩემი ამხანაგები „ბალშევიკები" სხვაგანაც ბლომად მუშაობენ. დღეს თუ არა, ხვალ, ისინიც შემოგვიერთდებიან. მთელი რაჭა-ლეჩხუმი, სოხუმი და ბაქო დღეს ჩვენს ხელშია და შორს არაა ის დროც, როდესაც შეერთებული ძალით ძირს დავსცემთ ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას, და მტკიცე ზავს ჩამოვაგდებთ".[4]

შალვა ასკურავასთან დაკავშირებით ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელის ის მოგონებები, სადაც კარგად ჩანს „მშრომელთა მასების ბედნიერებისათვის დამაშვრალი" ამ ბოლშევიკი

---

[1] სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო". შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. №42. გვ. 2.

[2] ვანდეა (ფრანგულად Vendée) – ისტორიული დეპარტამენტი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლთ ნაწილში, ლუარის რეგიონში. შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში – 1790 წელს. ოპოზიციისა და როიალისტური კონტრრევოლუციის მთავარი კერა, 1793 წელს დაწყებული კონტრრევოლუციური ამბოხება, სადაც XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ხდებოდა გლეხთა გამოსვლები სამღვდელოებისა და მემამულეთა მეთაურობით.

[3] ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887-1928) – ძველი პროფესიონალი რევოლუციონერი და ცნობილი ბოლშევიკი, ტერორისტი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე. 1902 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. ბოლშევიკური ტერორისტული ჯგუფის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. რსდმპ(ბ) წევრი 1908 წლიდან. 1917 წელს ქუთაისის ბოლშევიკთა ბიუროს შემქმნელი. 1918 წლის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი ბოლშევიკთა საბრძოლო შტაბის ხელმძღვანელი და ბოლშევიკური აჯანყების ლიდერი. იმავე წელს დუშეთის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების ხელმძღვანელი. 1919 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმების მეთაური. 1920 წელს მეტეხის ციხის პატიმარი. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე გათავისუფლებული. საქართველოს გასაბჭოების აქტიური მონაწილე. 1921 წელს ქალაქ თბილისის რევოლუცური კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს რევკომის წევრი. 1922-1924 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

[4] „ბალშევიკები" ბანძაში. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 7 აპრილი. №193. გვ. 3.

ლიდერების ზნეობრივი და მორალური სახე. ეს მემუარი ჟურნალ „სახალხო გვარდიელის" 1921 წლის 1 თებერვლის ნომერში იყო დაბეჭდილი:

ვალიკო ჯუღელი: „...აუცილებელია სწრაფად გავანადგუროთ ავაზაკთა ბანდები.

ამ ბანდების სათავეში სდგანან ყოფილი ჩაფრები, ყოფილი მელა ოჩიგავა, უნიჭო შალიკო ასკურავა და შანტაჟისტი მიშა გეგეჭკორი. თმახუჭუჭა შალიკოსთან ერთად მე ვიჯექი მეტეხის ციხეში ერთი პროცესის – ბოლშევიკების პროცესის გამო. ეს იყო რევოლუციამდე და მე ვიყავი მაშინ მტკიცე ბოლშევიკი, თუმცა ფრაქციონერად მე თავს არასდროს არ ვთვლიდი. დამფუძნებელი კრების გარეკვამ საბოლოოდ დამაშორა აფეთქებულ ბოლშევიზმს და მე გავხდი უბრალოდ სოციალ-დემოკრატი...[1]

დიახ, ასკურავა ბოლშევიზმისათვის იჯდა, მარა ამას გარდა ის იყო პასუხისგებაში მიცემული იმის გამო, რომ ინახავდა ყალბ ბლანკებს და ბეჭედს სამოქალაქო სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ, ყალბი მოწმობების დასამზადებლად.

სულელი, უკულტურო ბავშვი, რომელმაც გოგოლის ქალის მსგავსად არ იცის „სად არის მარჯვენა და სად მარცხენა". და ახლა ის ჩემი მოწინააღმდეგეა და მას უჯერიან უბედური სოფლელები... ეს ძალიან სასაცილოა, ძალიან სამწუხარო რომ არ იყოს".[2]

მალე ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებულმა აჯანყებებმა და ანარქისტულმა პროცესებმა შიდა ქართლის ჯავისა და ცხინვალის რაიონები და დუშეთის მაზრაც მოიცვა.

ბოლშევიკური ე.წ. „რევოლუცია" კი, აფხაზეთში ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც დაიწყო. „Дерзкий"-ისა და მისი გარევოლუციონირებული მატროსების მიერ სოხუმის მორიგი მოთარეშების შემდეგ, საესკადრო ნაღმოსანმა 21 თებერვალს პორტი დატოვა.

როგორც კი „Дерзкий" თვალს მიეფარა, სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინეს. ანარქიას, უკანონობასა და განუკითხაობასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტი", ქალაქის თავის, ბ. ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით.

კანონიერებისა და მართლწესრიგის აღსადგენად სოხუმის ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა რიგი ზომებისა. აფხაზთა სახალხო საბჭომ, ცხადია, ისევ ქართველი სოციალ-დემოკრატების მხარე დაიკავა. სოხუმის მოსახლეობამ თავის თავზე იწვნია ერთი მუჭა ავანტიურისტი ბოლშევიკების, კრიმინალებისა და გარევოლუციონირებული ყაჩაღური ბრბოების თავნებობა და სისხლიანი თარეში. „სასოწარკვეთილებამდე მისული აფხაზები, – წერდა ქალაქ სოხუმის თავი, ბ. ჩხიკვიშვილი, – რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ქართველებისა და სხვა ხალხებისადმი, „შეიძლება იქამდეც კი მივიდნენ, რომ თურქებს სთხოვონ დესანტი, თუ ჩვენი მხრიდან არ იქნება მიღებული ზომები წესრიგის აღსადგენად".[3]

ნაღმოსანმა და მისმა ეკიპაჟმა სოხუმი დატოვა, ხოლო ადგილობრივმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა და ციხიდან გამოშვებულმა კრიმინალებმა სასწრაფოდ დატოვეს სოხუმი და დრანდის რაიონს შეეფარნენ. საკუთარი თავი მათ ბოლშევიკებად გამოაცხადეს.

---

[1] ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი, მოგვიანებით, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ბოლშევიკი იყო და შემდეგ გახდა მენშევიკი, განსხვავებით საბჭოთა რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის, ლევ ტროცკისაგან, რომელიც პირიქით – ორთოდოქსი მარქსისტი მენშევიკიდან ბოლშევიკად იქცა.

[2] ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1921 წლის 1 თებერვალი. №4. გვ. 3.

[3] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 404.

აქვე დაიწყეს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის შემოკრება „აფხაზებისა და მენშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად".[1]

საბჭოთა და სეპარატისტი იდეოლოგები 1918 წლის თებერვალში სოხუმის ოლქში განვითარებულ ამ მოვლენებს, რა თქმა უნდა „სოციალისტურ რევოლუციად" ნათლავენ და საგულდაგულოდ ნიღბავენ მის არსს, თუმცა მაინც ვერ ახერხებენ ბოლომდე დამალონ რეალური სურათი. ასე მაგალითად, ცნობილი აფხაზი საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერი, მიხეილ ბღაჟბა,[2] თავის პუბლიცისტურ ნაშრომში – „ნესტორ ლაკობა", ამ ამბების შესახებ წერს:

„ბოლშევიკი აგიტატორები უწყვეტად აწარმოებდნენ რევოლუციურ მოღვაწეობას აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში. სულ უფრო მეტი და მეტი მშრომელი ერთიანდებოდა ამბოხებულთა რაზმებში. აფხაზურ სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ღატაკთა მასების თავმოყრა ბოლშევიკთა გარშემო. სოფლის მშრომელი მასები, და პირველ რიგში ღარიბები, სულ უფრო მძლავრად გამოდიოდნენ მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივი კონფისკაციისა და განაწილების მოთხოვნით. ზოგიერთ სოფელში გლეხები სიტყვიდან საქმეზე გადადიოდნენ და ძალით იტაცებდნენ მიწებს".[3] ისევ ტიპური ტერმინოლოგია – „მშრომელთ მასები", „ბოლშევიკი აგიტატორები", „ღარიბი მასები", „მემამულეები"... მაგრამ აქ ეს არ არის არსებითი. მთავარი და საინტერესო ის რეალობაა, რომ ბოლშევიკ პროვოკატორთა მიერ შეგულიანებულმა და თავგზააბნეულმა გლეხობამ მართლაც დაიწყო მიწებისა და სხვათა ქონების ძალისმიერი დატაცებები, ანუ, შეუდგა „რევოლუციური ალის" აგიზგიზებას...

ამავე საკითხთან მიმართებაში კი, საარქივო დოკუმენტები გვაუწყებენ: „...მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო... აფხაზეთში, ქუთაისის გუბერნიაში. აფხაზეთის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დიდი მთავრის, რომანოვის მამულებს „სინოპსა" და „გიაურს" სეკვესტრი დაადო".[4]

დიახ, სწორედ მარქსისტული „რევოლუციური ექსპროპრიაცია-კონფისკაციები" და ლენინური ლოზუნგის – „Грабь награбленное!"-ს რეალიზაცია წარმოადგენდა აფხაზეთის „პირველი ბოლშევიკური რევოლუციის" ძირითად არსსა და მიზანს. ფაქტები უამრავია, რაც საარქივო დოკუმენტებითაც დასტურდება. მაგალითად, ათონის მონასტრის არქიმანდრიტი ილარიონი თბილისის სამხარეო კომისარიატს შეშფოთებით წერდა, რომ აფხაზები, ლიხნის კომიტეტის რწმუნებულის, მიხაილ მიქანბას ხელმძღვანელობით იკავებდნენ ახალი ათონის სამონასტრო მიწებს, ახდენდნენ მონასტრის კუთვნილი საქონლისა და სამეურნეო იარაღის რეკვიზიციას, ჩეხავდნენ კულტურულ ნათესებს,

---

[1] Дж. Гамахария. „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики". Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 454.

[2] მიხაილ ბღაჟბა (1915-1993) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, პუბლიცისტი. 1945 წლიდან სხვადასხვა საბჭოთა და პარტიულ თანამდებობებზეა. 1957 წლამდე საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი. 1957-1958 წლებში აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1958-1965 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრი.

[3] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 19. „К истории революционного движения в Абхазии. (Сборник воспоминаний)", Сухуми, 1922 г., стр. 21. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_nestor_lakoba. html.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 376. სცსსა. ფონდი 2080, საქმე 8, ფურცელი 62.

აჩანაგებდნენ სამონასტრო მეურნეობას.[1]

აღნიშნულ მოვლენათა შედეგების ლიკვიდაციისა და სოხუმის ოლქში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, 1918 წლის 4 მარტს, სოხუმში გაიხსნა გლეხთა დეპუტატების II ყრილობა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების 300-მდე დელეგატი მონაწილეობდა: აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, ესტონელები და სხვა. პირველი სხდომა არზაყან ემუხვარმა[2] გახსნა, სხდომის თავმჯდომარედ კი ერთხმად იქნა არჩეული ბ. ჩხიკვიშვილი.[3]

საბოლოოდ, 4-9 მარტს სოხუმში გამართულ გლეხთა II ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების საფუძველზე, მოსახლეობის მიერ სოხუმის ოლქსა და მთლიანად აფხაზეთში მოხერხდა ერთი მუჭა ავანტიურისტებისა და კრიმინალების სისხლიანი თარეშის აღკვეთა და მდგომარეობის დასტაბილურება. ამავე დროს, ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის შესვლის შესახებ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ოჯახში, რათა „დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედილიყო უკეთესი მომავალი".

სოხუმის ოლქის გლეხთა II ყრილობის ანგარიშიდან:

„ყრილობა ბ. ჩხიკვიშვილმა დახურა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ყრილობამ შეძლო მოქმედების საერთო ხაზის გამონახვა, რომ პროვოკატორებისა და ბნელი ძალების ბოროტმა აგიტაციამ ვერ მიაღწია მიზანს და სოხუმის ოლქის სხვადასხვა ეროვნების გლეხობა ერთად შეიკრნენ...

ამგვარად, ხუთდღიანი მუშაობის შემდეგ ყრილობამ მუშაობა დაასრულა. იგი შეიკრიბა ძალიან ცუდ ატმოსფეროში. ამიტომ მრავალი საკითხი გადაუჭრელი დარჩა, მრავალი კი – ისე გადაწყდა, როგორც არ უნდა გადაწყვეტილიყო. თუმცა ერთი რამ ნათელია: სოხუმის ოლქის გლეხობამ ზურგი შეაქცია ბოლშევიკებს, უარყო მათი ლოზუნგები და ამიერკავკასიის დემოკრატიასთან ერთად ჩვენი ქვეყნის გადარჩენას ამიერკავკასიის სეიმში ხედავს. ამას გარდა, ამ ყრილობაზე საბოლოოდ გაირკვა აფხაზთა დამოკიდებულება ქართველების მიმართ. აფხაზი ხალხისა და მისი ინტელიგენციის შეგნებული ნაწილის სურვილები ახდა. აფხაზეთმა გადაწყვიტა შევიდეს ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ოჯახში, როგორც თანაბარუფლებიანი წევრი და გამოჭედოს თავისი საუკეთესო მომავალი საქართველოს დემოკრატიასთან ერთად...

ყრილობის მიერ არჩეულმა გლეხთა საბჭომ გამოყო აღმასრულებელი კომიტეტი. არჩეულ იქნა 9 წევრი: არ. ემუხვარი, მ. ცავა, დ. გულია, დოცენკო, ვ. ესვანჯია, აბუხბა, ძიძარია და ბარციცი, მდივნად – აჯამოვი. მათგან 6 სოციალ-დემოკრატი მენშევიკია, სამი ესერი და ერთი უპარტიო".[4] ყრილობის მიერ მიღებული იქნა სათანადო რეზოლუციაც:

---

[1] Архимандрит Илларион. Из Афона Краевому Комиссариату. Абгосмузей. Ф. 1472, д. 56, л. 32. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 15-16. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[2] არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი (1880-1939) – ცნობილი აფხაზი და ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი აფხაზური არისტოკრატული გვარის წარმომადგენელი. ძველი რევოლუციონერი, „მესამე დასის" წევრი. სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, რსდმპ წევრი 1902 წლიდან. 1905-1907 წლებში ე.წ. „სოხუმის რესპუბლიკის" ხელმძღვანელი. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ОЗАКОМ) რწმუნებული სოხუმის ოლქში. 1919 წლიდან აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი და აფხაზეთის პირველი მთავრობის – აფხაზეთის კომისარიატის პირველი თავმჯდომარე. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაშია. გარდაიცვალა 1939 წელს პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე.

[3] Из отчета о работе второго крестьянского съезда Сухумского округа. 4-9 марта 1918г. Эртоба, 1918, 22 и 24 марта, на груз.яз. http://abkhazeti.info/history/ 20050617424748874028. php.

[4] იქვე.

ძარცვებისა და ყაჩაღობის საკითხში – დაევალოს გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო კომიტეტსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტმა მიიღოს გადამწყვეტი ზომები ქალაქში ყაჩაღობების და ძარცვების აღსაკვეთად.

მობილიზაციის საკითხში – გადაუდებლად იქნა მიჩნეული მობილიზაცია და მხარის დაცვა გარეშე მტრისაგან. აფხაზთა მიმართ კი გადაწყდა, რომ ისინი ფორმირებას გაუკეთებდნენ მოხალისეთა რაზმებს ფრონტზე გასაგზავნად".[1]

ძალიან მნიშვნელოვანი იყო მიღებული 9 პუნქტიანი რეზოლუციის სამი – 1-ლი, მე-2 და მე-7 პუნქტები:

1. აფხაზეთი, რომელიც ეყრდნობა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, შიდა ცხოვრების მოწყობის საკითხში თავს სრულიად დამოუკიდებლად აცხადებს;
2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აღიარებულია აფხაზთა სახალხო საბჭო;

.....

7. აღიარებს რა, ამიერკავკასიის სეიმს ამიერკავკასიის ყველა ხალხების უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებად, აფხაზეთი, როგორც ხალხთა ამიერკავკასიური ოჯახის წევრი, აგზავნის თავის წარმომადგენლებს როგორც სეიმში, ასევე სეიმის მიერ ორგანიზებულ მთავრობაში.[2]

სოხუმში წესრიგი აღსდგა, ხოლო „აფხაზეთის პირველი სოციალისტური რევოლუციის" ბელადები, ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა, გევორქ ათარბეგოვთან და ნიკოლოზ სვანიძესთან ერთად, სასწრაფოდ ტოვებენ სოხუმს და ბათუმში გაქცევით შველიან თავს.[3]

ამიერკავკასიის მთავრობის მიერ სათანადოდ იქნა შეფასებული „რევოლუციონერი" მატროსებისა და მათი მეკობრეობისაგან მომავალი საფრთხეები. აღნიშნული სახის „რევოლუციების" აღკვეთის მიზნით სათანადო ზომების განხორციელება დაიწყო. კერძოდ, ბათუმის რეიდზე მყოფი ხომალდების ჩამორთმევა და მათი ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების კუთვნილებაში გადაცემა. აფხაზეთში გამომავალი გაზეთი „Известия" იტყობინებოდა: „5 მარტს, დილის 5 საათზე ჩვენი ნაწილების მიერ მატროსებს ჩამოერთვათ მთელი ფლოტი და ტრანსპორტი, რომელიც ბათუმის პორტში იმყოფებოდა. ყველა მატროსი დაპატიმრებულია. მოკლულია ქართველი ოფიცერი. საქმის ვითარება შემდეგია: ღამით მატროსები ფლოტთან და ტრანსპორტთან ერთად ცდილობდნენ გასულიყვნენ ბათუმიდან ჩრდილოეთის პორტების მიმართულებით. მიღებული ცნობებით, კრეისერზე „კაროლ კარლი" შეპყრობილნი არიან თურქეთის წარმომადგენლები, რომლებსაც თითქოსდა მატროსებმა მიჰყიდეს ეს კრეისერი. მატროსთა დაპატიმრებები გრძელდება. ქალაქში სიწყნარეა".[4]

ყურადსაღებია რომ კრეისერ „კაროლ კარლთან" ერთად „რევოლუციონერ" რუს მატროსებს სატრანსპორტო ხომალდი „წმინდა მიხეილიც" ჩამოერთვათ, რომელიც სულ მალე შეიქმნება იგივე აფხაზეთში გაშლილი მორიგი საომარი კამპანიის ერთ-ერთ გადამწყვეტ ელემენტად, მაგრამ ამჯერად არა ბოლშევიკების „რევოლუციური"

---

[1] Газ. „Воля вольных". Гудаута. 17/30 марта, №11, 1918. Абгосмузей, ф. 4, оп. 1, д. 77, л.л. 13. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[2] „Известия". 09. 03. 1918. №231. Стр. 3-4. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 20. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf.

[3] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 28.

[4] Газ. „Известия". 1918. 9/III. №213. Стр. 3. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917 _1921.pdf .

მეკობრეობის ავანგარდში, არამედ ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. შავი ზღვის ფლოტის გემების ნაწილის ხელში ჩაგდების წარმატებული ოპერაციის შესახებ, ბათუმში მყოფი ნოე რამიშვილი ევგენი გეგეჭკორს ატყობინებდა: „...300 მეზღვაური დავატყვევეთ. გაგვექცა ერთი ნაღმოსანი, რომელიც ზარბაზნის ტყვიით არის დაზიანებული. ჩვენ დაგვრჩა კრეისერი „კაროლ კარლ", ერთი ნაღმოსანი, რამდენიმე გამანადგურებელი, „კატერები" და ბევრი სატრანსპორტო გემი, რომელთაც შეაიარაღებენ".[1]

საბჭოთა ისტორიოგრაფია „აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური რევოლუციის" მარცხის მიზეზებს შემდეგნაირად აღწერს: „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა დაკვრითი წესით განახორციელა ღონისძიებები ბურჟუაზიის ასალაგმავად, მაგრამ მან ვერ გამონახა საშუალებანი, რომ სოხუმში მოპოვებული ძალაუფლება რაიონებზე განევრცო, მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა აფხაზეთის რაიონულ ბოლშევიკურ ჯგუფებთან...".[2] ისევ ტიპიური საბჭოური დემაგოგია... რა მოხდენილადაა შენიღბული ფრაზაში „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა დაკვრითი წესით განახორციელა ღოსისძიებები ბურჟუაზიის ასალაგმავად" – სოხუმში დატრიალებული სისხლიანი ვანდეა, მშვიდობიანი მოსახლეობისა და ბავშვების ხოცვა-ჟლეტა.

„აფხაზეთის პირველი სოციალისტური რევოლუციის", ანუ, პროლეტარული ექსპროპრიაცია-კონფისკაციების ექო კიდევ დიდხანს ისმოდა აფხაზეთის მიწაზე. გაზეთ „Возрождение"-ს რედაქტორი, ნიკოლაი მაზურკევიჩი, გაზეთის 12 მარტის ნომერში წერდა: „Вчера в 7 часов в Новом Афоне дерзко ограблен Земсоюз, взята касса, 20000 отчетные приходо-расходной бумаги. Абхазцы без ведома абхазского Совета категорически решили реквизировать частично монастырскую землю, продать монастырский скот".[3]

რეალობა კი ის იყო, რომ სოხუმის თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით ფასად მოხერხდა ერთი მუჭა ბოლშევიკი ავანტიურისტებისა და კრიმინალური ბანდების თარეშის აღკვეთა. „მგზნებარე რევოლუციონერებისათვის" ბოლშევიკური გადატრიალების პირველი მცდელობა კი, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებში, წარუმატებული და ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა.

---

[1] ბათუმის ამბები. ამიერკავკასიის მთავრობის ცნობა. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 7 მარტი. №53. გვ. 2.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI. 1978. გვ. 443.

[3] Из Афона. Тифлис. Газета „Возрождение". Закавказский Сейм. 12 марта 1918 г. Абгосмузей. Ф. 4, оп, 1, д. 66, л. 71. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 15-16. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf.

§4. „ბოლშევიკური რევოლუციის” მეორე ტალღა აფხაზეთში

ბოლშევიკთა მიერ აფხაზეთის „სოვეტიზაციის” უფრო მძიმე და ხანგრძლივ ექსპერიმენტს, რომელიც ВЧК-ს წამება-დახვრეტის პოლიგონად იქცა, 1918 წლის გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი.[1] თავისთავად ცხადია, რომ პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნება ამიერკავკასიასა და საქართველოში არ შედიოდა კრემლის გეგმებში და გაზაფხულზე ბოლშევიკებმა კვლავ შეძლეს აქ მორიგი ამბოხის პროვოცირება. ამ დროისათვის ამიერკავკასიაში ბოლშევიკთათვის რამდენადმე ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. აფხაზი ბოლშევიკების გათვლა მარტივი იყო. საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალები, ქართული და სომხური ნაწილები უმძიმეს თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას ოსმალთა მე-3 არმიის დივიზიების წინააღმდეგ ტრაპიზონი-ბათუმისა და ყარსი-ალექსანდროპოლისის შესანარჩუნებლად, რითაც ბოლშევიკებმა კარგად ისარგებლეს. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ბოლშევიკურ-დაშნაკურმა სამხედრო-პოლიტიკურმა ალიანსმა, რომელსაც ამიერკავკასიაში ლენინის საგანგებო კომისარი და რწმუნებული, სტეფანე შაუმიანი ხელმძღვანელობდა, ისარგებლა ამიერკავკასიაში არსებული საერთო ქაოსით და 1918 წლის მარტში, ზემოთ აღწერილი სქემით, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

ასეთ ვითარებაში, ბათუმში, ორახელაშვილის,[2] ეშბას, ლაკობასა და ათარბეგოვის, აგრეთვე შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენლის, ვინმე ივანოვის მონაწილეობით საგანგებო თათბირი გაიმართა, სადაც აფხაზეთში მორიგი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის გეგმა შემუშავდა. როგორც ვხედავთ, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებების დამყარების საქმეში გადამწყვეტ როლს შავი ზღვის რუსული ფლოტი და მისი ხომალდების გაბოლშევიკებული ეკიპაჟები თამაშობდნენ, მთავარ რევოლუციურ ძალად კი ისევ და ისევ გარედან შემოსული, „რევოლუციურ მასებად” წოდებული დეზერტირ ჯარისკაცთა და მატროსთა ბანდები უნდა ქცეულიყვნენ.

ეშბა იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ბათუმიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე იარაღის არალეგალურ გადაზიდვაზე შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების მონაწილეობით. ნესტორ ლაკობა კი პირადად იღებდა აქტიურ მონაწილეობას იარაღის გადმოტანაში. აჯანყების საორგანიზაციო კომიტეტს ეფრემ ეშბა ჩაუდგა სათავეში, რომლის შტაბიც გუდაუთაში განთავსდა, სადაც შეიარაღებული რაზმების დამატებით აღსაჭურვად 2000 შაშხანა იქნა გადმოტვირთული.[3] საბჭოთა ხელისუფლების დროებით ცენტრალურ ორგანოდ კი, ამჯერად აფხაზეთის საოლქო რევოლუციური კომიტეტი იქცა. მის თავმჯდომარედ სოხუმის ყოფილი რევკომის ყოფილი თავმჯდომარე, ეშბა იქნა არჩეული, მოადგილეებად კი – ლაკობა და ათარბეგოვი.[4]

---

[1] Svetlana Chervonnaya. History and Controversy: Short History of Abkhazia and Abkhazian-Georgian Relations. (Chapter 2 from the book ”Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow”, Glastonbury, 1994).

[2] ივანე (მამია) ორახელაშვილი (1881-1937) – ცნობილი ქართველი ბოლშევიკი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, რსდმპ წევრი 1903 წლიდან, რსდმპ(ბ) ცეკას წევრობის კანდიდატი 1923-1926 წლებში, ცეკას წევრი 1926-1934 წლებში, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი 1934-1937 წლებში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი – მე-5 მოწვევების წევრი.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI. 1978. გვ. 443.

[4] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 31.

დიახ, ე.წ. „აფხაზეთის რევკომის" წევრი, და უფრო მეტიც, მისი თავმჯდომარის მოადგილე გევორქ ათარბეგოვი, „რკინის გევორქი" იყო, როგორც მას იხსენიებდნენ ბოლშევიკური ტრადიციით – ცნობილი პათოლოგი სადისტი და ჯალათი, შემდგომში ჩრდილოეთ კავკასიაში ВЧК-ს ორგანოების „ხელმძღვანელი მუშაკი". ზუსტად აქ, აფხაზეთში დაიწყო მისმა ჯალათურმა და „რევოლუციურმა ტალანტმა" გაფურჩქვნა, რომელმაც შემდგომ სრულყოფას უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში სამსახურისას მიაღწია. მასობრივი ტერორის ბოლშევიკური მანქანა ამუშავდა, ათარბეგოვის ხელმძღვანელობით კი, ჩეკისტები ხშირად მიმართავდნენ მძევლების აყვანისა და დახვრეტების პრაქტიკას.[1]

ათარბეგოვი თავისი სადისტური სისასტიკით ყველაზე დაუნდობელი ჩეკისტებისგანაც კი გამოირჩეოდა. „არმავირში წითელი არმიის უკან დახევის დროს ათარბეგოვმა ჩეკას სარდაფებში მყოფი რამდენიმე ათასი მძევალი დახვრიტა. და იმავე არმავირში დააკავა ქართველებით დატვირთული ეშელონი – ოფიცრები, ექიმები, მოწყალების დები, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაცემული საშვები, ათარბეგოვის ბრძანებით ისინი მაინც ჩამოსვეს მატარებლიდან, სადგურის მოედანზე გაიყვანეს და ტყვიამფრქვევების ცეცხლით ყველა დახოცეს"[2] – აღნიშნავს თავის ნაშრომში რუსი ავტორი, ა. ივანოვი. მეორე რუსი ავტორი, ნ. ეფიმოვი კი, წერს: „ათარბეგოვი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელიც საბჭოური მასობრივი ტერორის სისტემას უყრიდა საფუძვლებს".[3]

და ეს კიდევ არაა ყველაფერი... ეს ჯერ კიდევ დასაწყისი იყო მისი და მისი თანამებრძოლების „რევოლუციური საქმიანობისა". ნესტორ ლაკობა, „რკინის გევორქის" მსგავსად, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა ჩამოყალიბებულ პათოლოგ სადისტს, მაგრამ ძალადობისა და ტერორიზმის ასპექტში, იგი ტიპიური „პროფესიონალი რევოლუციონერი" – ბოლშევიკი იყო. მათგან განსხვავებით, თავის პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოქმედებების ტაქტიკაში უფრო ზომიერი და თავშეკავებული ეფრემ ეშბა იყო, სამურზაყანოელი ქრისტიანი აფხაზი, საუნივერსიტეტო განათლების მქონე კაცი, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან დაახლოებული პიროვნება. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეფრემ ეშბამ აფხაზური, უფრო ზუსტად, აფსუური ენა საერთოდ არ იცოდა, იგი მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე მეტყველებდა. დროისა და ეპოქის მოთხოვნები ცხადია, ეშბას მსგავს პერსონებს ბოლომდე ვერ აიტანდა. საჭირო იყო ლაკობას, ამ ეროვნებადაკარგული ექსტრემისტული იდეოლოგიის მატარებელი ე.წ. „აფხაზისა" და I მსოფლიო ომის დეზერტირის, ათარბეგოვის მსგავსი პიროვნებების არსებობა. რევოლუციასა და ბოლშევიკურ იდეოლოგიურ მანქანას გუდაუთელი ლაკობა – რადიკალური შეხედულებების, პლებეური ზნეობის მქონე „რევოლუციონერი" და სადისტური გადახრების მატარებელი კოლექტიური ჯალათი-ათარბეგოვი სჭირდებოდა, რომლებსაც რევოლუციური იდეოლოგიის იქით, სხვა პიროვნულ-ზნეობრივი ღირებულებები არ გააჩნდათ.

აი, ასეთი პერსონები წარმოადგენდნენ ამ ახალი ე.წ. „აფხაზეთის რევკომის" ხელმძღვანელებს და გასაგები ხდება თუ რა გზებითა და მეთოდებით ბრძოლობდნენ ისინი აფხაზეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარება-განმტკიცებისათვის. და აქვე იკვეთება ის დაპირისპირებაც, რაც თავისთავად წარმოიქმნებოდა ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას, ამ განსხვავებული ზნეობისა და ღირებულებების მქონე აფხაზ ლიდერებს შორის.

---

[1] Ефимов Николай. Алексеевич — кандидат исторических наук. Атарбеков — один из зачинщиков красного террора. Орджоникидзе Г. К. Статьи и речи. М. 1956, стр. 82.

[2] Иванов А. Неизвестный Дзержинский. Факты и вымыслы. Минск. 1994, стр. 380.

[3] Ефимов Николай. Алексеевич — кандидат исторических наук Атарбеков — один из зачинщиков красного террора. ВИ. 2000. № 6. С. 130—136. http://105384.dyn.ufanet.ru/knigi/% D0% 9D%D0%B0% 20%D0%BE%D0%B1%D1%80%.doc.

ზემოთ ხსენებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ისარგებლეს რა ოსმალური სამხედრო აგრესიითა და ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების სისუსტით, 1918 წლის 8 აპრილს ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთში, სოჭი-ტუაფსეს ოლქში მოქმედი რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილმა აფხაზმა ბოლშევიკებმა ადგილობრივი გლეხების ნაწილი ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ კვლავ ააჯანყეს – ამიერკავკასიის, და არა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ! მოქმედი პირები იგივენი – ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, გევორქ ათარბე-გოვი და ე.წ. „აფხაზეთის რევკომი". „რევკომის" ამ ჯგუფს ძველი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, სევერიან (სიოვა) კუხალეიშვილიც შეუერთდა. „რევოლუციური წესრიგის" უზრუნველსაყოფად, რევკომის მიერ შეიქმნა აფხაზეთის წითელი გვარდია, სპეციალური კომისარიატის ხელმძღვანელობით. ამ კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ კ. ინალ-იფა, ს. ქარდავა და ხ. კერსელიანი.[1]

დამატებით, საქმეში იქნა ჩართული „აფხაზეთის რევკომის" გასამხედროებული ლაშქარი, ე.წ. „კიარაზის" ბანდიტური რაზმები. რევოლუციის ამ ეტაპზე „აფხაზეთის რევკომის" მიერ რევოლუციაში ჩასართველად გაბოლშევიკებულ რუს ჯარისკაცთა და მატროსთა მოძიება ვეღარ მოხერხდა. რუს ბოლშევიკებს საკუთარი პრობლემები გაუჩნდათ ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში და მათ „აფხაზეთის მეორე პროლეტარული რევოლუციისათვის" დროებით აღარ ეცალათ. ამიტომ აფხაზეთის „რევკომის" ხელმძღვანელობით დამატებითი შეიარაღებული რაზმების ორგანიზება დაიწყო. ამბოხებულთა რაზმები იქმნებოდნენ სხვადასხვა – სამურზაყანოს (პ. ძიგუა, ი. ხაბურზანია), კოდორის (ს. კაპბა, ე. კობახია), გუმისთისა (ს. კუხალეიშვილი, ტ. მიასოედოვი) და გაგრის (ი. ანტონოვი, ჩ. აშხარუა) უბნებზე.[2] ამ რაზმების სამეთაურო შემადგენლობის დიდ ნაწილს ნაფრონტალი დეზერტირი ჯარისკაცები და შავიზღვისპირეთიდან შემოსული ბოლშევიკი აგიტატორები წარმოადგენდნენ.

იარაღის შეტანისა და გლეხთა ადგილობრივი „კიარაზის" ბანდფორმირებების გადაიარაღების შემდეგ, 1918 წლის 11 აპრილისათვის „რევკომის" ძალები გუდაუთიდან სოხუმისაკენ დაიძრნენ. ბენია ჩხიკვიშვილი:

„ჩვენს მოვალეობას წარმოადგენდა ის, რომ არ შემოგვეშვა ქალაქში მოტყუებული შეიარაღებული ხალხი, მაგრამ ამისათვის საკმარისი ძალები არ გვყავდა. 70-80 კაცი გვყავდა 1500-ის წინააღმდეგ. ვერაფერი ვერ გავაწყვეთ და ამიტომაც 26 მარტის (ძველი სტილით – ა. ჩ.) ღამეს შეიარაღებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს და ცეცხლი გაგვიხსნეს. ყოველგვარ ზომებს ვიღებდით, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. სრული მორალური უფლება გვქონდა, რომ თავდამსხმელები ქალაქში არ შემოგვეშვა, რადგან არც ქალაქის თვითმმართველობა, არც მუშათა დეპუტატების საბჭოები, არც სოხუმის მოსახლეობა მათ არ უთანაგრძნობდა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ძალები არ გაგვაჩნდა, სხვა გზა და სხვა გამოსავალი არ იყო. პირადად მე, დიდ გამარჯვებად ვთვლი იმას, რომ ვიმუშავეთ ღამით და არ დავუშვით სრულიად უდანაშაულო მოქალაქეების გაწყვეტა...

ასე შემოვიდნენ ისინი ქალაქში. ქალაქის მილიცია დაშალეს, პირველ დღეებში მოშალეს გადასახადების აკრეფა (ახლა დაშვებულია და ქალაქის მმართველობაში ორი კომისარიც დანიშნეს), აკრძალეს სიტყვისა და შეკრებების თავისუფლება და სხვა მსგავსი „ბურჟუაზიული გადმონაშთები". თავდაპირველად დააპატიმრეს ორი უპატიოსნესი

---

[1] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 25. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_ nestor_ lakoba.html.

[2] О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии с древнейших времен до наших дней. Раздел III. Абхазия в новое время. §9. Советская власть в Абхазии 1918 г.

საზოგადო მოღვაწე, ამხ. შერვაშიძე და ზუხბაია, შემდეგ კი, მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ის. რამიშვილი, და კიდევ საბჭოს თავმჯდომარე...”[1]

სოხუმის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ქალაქსა და აფხაზეთის ნაწილზე ისევ საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და ბაქოს მსგავსად აქაც შეიქმნა ე.წ. „სოხუმის კომუნა”. ეფრემ ეშბამ განაცხადა:

„სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი თავის თავს იმ საბრძოლო, სამხედრო ორგანოდ თვლის, რომელმაც უნდა დაიცვას სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები და ჩამოაყალიბოს მყარი, განსაზღვრული ხელისუფლება”.[2] რევოლუციის რა მონაპოვრების დაცვასა და როგორი ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე ოცნებობდნენ მაშინ ბოლშევიკები, ძალიან კარგად ცნობილი თემაა. მაგრამ ხელისუფლების ძალით მიტაცებისთანავე, აფხაზმა ბოლშევიკებმა უმალ დაივიწყეს ავტონომიისა და „ერთა თვითგამორკვევის” საკუთარი დემოკრატიული ლოზუნგები და ე.წ. „რევკომის” დოკუმენტებში უკვე ახალი ტერმინი ჩნდება, არა „აფხაზეთი”, არამედ – ისევ „სოხუმის ოლქი”. კარგად დავიწყებული ძველი იმპერიული ტერმინი.

ნესტორ ლაკობა: „ჩვენს პირველად ამოცანას ხელისუფლების აპარატის შექმნა წარმოადგენდა, აქტიური მენშევიკების განადგურება (მეტად საინტერესო სიტყვაა აქ ნახმარი – Изъять... – ა. ჩაჩხიანი) და კონტრიბუციების დადება ადგილობრივ ბურჟუაზიაზე. და ამ საქმეში ჩვენ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებით ვხელმძღვანელობდით”.[3] ცხადია, აქ საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსა და მის მიერ გამოცემულ დეკრეტებზეა საუბარი – შესაბამისად, ბოლშევიკური მეხუთე კოლონის ჩამოყალიბებაც სახეზე გვაქვს.

„ძარცვა-გლეჯა, როგორც ხელობა, რომელიც პატივისცემით სარგებლობდა კავკასიაში, ამჯერად ყოველდღიურ საქმიანობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმ-ჯობესა თავისი „წარმოების იარაღები” – ტყვიამფრქვევების ჩათვლით. ძარცვებს ჩადიო-დნენ ყველა „ხალხები”, ყველა გზებსა და ყველა პუნქტებში – მიუხედავად მათი წარმომავლობისა, აღმსარებლობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა...”[4] სოხუმის ოლქი სრულმა ქაოსმა მოიცვა. საერთო ჯამში, ბოლშევიკებმა თავისი სისხლიანი რეჟიმი კოდორის ზონამდე განავრცეს.

ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას აფხაზთა სახალხო საბჭომ და აფხაზეთის მაცხოვრებლების დიდმა ნაწილმა ისევ არ დაუჭირა მხარი. ეს განსაკუთრებით კოდორის ხეობისა და მთლიანად სამურზაყანოს მოსახლეობას ეხება. კოდორი-სამურზაყანოს მოსახლეობა ბოლშევიკთაგან მოწყობილ ამ მორიგ სისხლიან ავანტიურას არ აჰყვა. ისევ, და ამჯერად გაათკეცებული ძალებით დაიწყო ბოლშევიკთა მიერ აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევები, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. „პროლეტარიატის დიქტატურისაკენ” მიმავალ გზაზე, ბოლშევიკებმა პირველი სადამსჯელო-პოლიტიკური ნაბიჯებიც გადადგეს. „რევკომის” მიერ აფხაზთა სახალხო საბჭო დაშლილ იქნა, მისი წევრების დიდი ნაწილი კი – დაპატიმრებული.

---

[1] В. Чхиквишвили о большевистской авантюре Абхазии. 17 апреля 1918г. Эртоба, 1918, 17 апреля, на груз.яз. http://abkhazeti.info/history/20050617431371358753.php.

[2] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва-1967.с. 31.

[3] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело”. Тбилиси. 1965. Стр. 24. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_ m_nestor_lakoba.html.1 „К истории революционного движения в Абхазии”. Сухуми, 1922 г., стр. 16.

[4] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 223.

იგივე ბედი ეწია მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებს. ძველი ხელისუფლების ორგანოები გარეკეს... გარეკეს საოლქო და საქალაქო მენშევიკური კომისარიატი, ქალაქის მილიცია... დაიწყო წითელი გვარდიის ფორმირება, გამოსცეს ბოლშევიკური გაზეთი „Сухумская Правда",[1] – ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში". შემდეგ კი, საბჭოური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ სტილშია თხრობა გაგრძელებული: „კომუნისტურმა გაზეთმა „Сухумская Правда"-მ დაუნდობელი მამხილებელი ბრძოლა გააჩაღა მესაბოტაჟეების, სპეკულანტების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთი ამავე დროს მასებს მოუწოდებდა ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სისტემატურად აშუქებდა რსფსრ მთავრობის ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში, ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთ და აშუქებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ მძლავრ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ეწეოდნენ".[2]

და ისევ ტიპიური პროპაგანდისტული ფრაზეოლოგია – „სპეკულანტები", „ბურჟუაზიული ნაციონალისტები", „ინტერნაციონალური სოლიდარობა", „მშრომელთა მასები", და ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ერთი მეტად ცინიკური ფრაზა – „მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარება". როგორც იტყვიან, აქ კომენტარების გაკეთებაც კი ზედმეტია.

„კოდორის საკითხთან" დაკავშირებით ის მდგომარეობაც იკვეთება, რომ თავად „აფხაზეთის რევკომშიც" ერთიანი დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში არ არსებობდა. ერთნი, ლაკობას ხელმძღვანელობით, კოდორის სვანურ და სამურზაყანოს მეგრულ მოსახლეობასთან მიმართებაში უფრო რადიკალური მოქმედებების მომხრენი იყვნენ და თავიდანვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ძალისმიერი მეთოდებით მოითხოვდნენ, მათ წინააღმდეგ „რევკომის" ძალების ჩართვით. მეორე ფრთა კი, უფრო ზომიერი მოქმედებების მომხრენი იყვნენ და ისინი კოდორის მოსახლეობასთან მიმართებაში პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას – მოლაპარაკებებსა და აგიტაციების ჩატარებას ემხრობოდნენ. ამ ფრთას ეშბა წარმოადგენდა. გუმისთის გლეხთა შეკრებაზე გამოსვლისას, 1918 წლის 22 აპრილს, ეფრემ ეშბამ განაცხადა, რომ „გზა, რომელიც აირჩია სამხედრო-რევოლუციუმა კომიტეტმა, სამშვიდობოა – დელეგაციები, დარწმუნება, მოლაპარაკებები. და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იქნება გამოყენებული რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერისათვის საბრძოლო ძალა".[3] აშკარაა, რომ აქ ლაკობასა და ეშბას პოზიციები ერთმანეთს ცილდებოდა.

„რევოლუციის მონაპოვრების" დაცვისა და ხელისუფლების სრული უზურპაციის გზაზე აფხაზეთში მოქმედი ბოლშევიკები „მეხუთე კოლონად" ჩამოყალიბდნენ. „აფხაზეთის რევკომმა" დახმარებისათვის პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთს, ლენინს მიმართა. იმდროინდელი დოკუმენტებიდან შემონახულია ეშბას რამდენიმე ტელეგრამა ლენინის სახელზე, რომელშიც კარგადაა წარმოდგენილი მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების თანმიმდევრობა. ასე მაგალითად, 1918 წლის 26 აპრილის ტელეგრამაში ნათქვამი იყო:

„სოხუმის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რევკომი გთხოვთ გასცეთ სასწრაფო განკარგულება სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ტუაფსეში, სოჭში, რომ

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 444.
[2] იქვე.
[3] Газета „Сухумская правда", 24 апреля 1918 г.

სოხუმში გამოგზავნილ იქნას საკმარისი რაოდენობის საზღვაო და სახმელეთო ძალები, რათა სოხუმის ოლქი დაცულ იქნას კონტრრევოლუციისაგან. სოხუმი უნდა გამოცხადდეს საბჭოთა ფრონტად. ამას მოითხოვს შექმნილი ვითარება. გთხოვთ თქვენს სასწრაფო პასუხს...”[1]

შექმნილ ვითარებაში ეფრემ ეშბამ დახმარებისათვის აგრეთვე უახლოეს ბოლშევიკურ ძალასაც, სოჭის რევკომს და მის თავმჯდომარეს, ნ. პოიარკოს მიმართა თხოვნით „სასწრაფოდ დაკავშირებოდა ტუაფსეს, ნოვოროსიისკს, ცენტროფლოტს და აეხსნა მათთვის, რომ გეოგრაფიულად და პოლიტიკურად სოხუმის ფრონტი უნდა ჩაითვალოს შვიზღვისპირეთის ფრონტად. ამიტომ საჭიროა აქეთ გადმოსროლილ იქნას როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ძალები, შემდეგ კი საჭიროა სურსათითა და სხვა საშუალებებით მათი უზრუნველყოფა... ამიერკავკასიის ხალხები იმედით უყურებენ რუსეთს... ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ სისწრაფეს და გადამწყვეტ მოქმედებებს შეუძლიათ გადაარჩინოს საბჭოთა საზღვრები და მხარი დაუჭიროს რევოლუციას...”[2]

1918 წლის მაისის პირველ რიცხვებში ჩატარდა აფხაზეთის „რევკომის”, ასევე სოჭის ოლქის საბჭოების ყრილობის დეპუტატთა დელეგატებისა და ტუაფსეს საბჭოების სხდომა. ბოლშევიკთა ამ საერთო თავყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოხუმი ჩათვლილიყო რევოლუციური ფრონტის მარჯვენა ფლანგად და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მომხდარიყო ამ ფლანგზე ძალების კონცენტრაცია.

ამავე დროს, ეფრემ ეშბა დაუკავშირდა კიდევ ერთ ბოლშევიკურ სუბიექტს – ყუბანი-შავიზღვისპირეთის თავდაცვის საბჭოს და სთხოვა მას ცოცხალი ძალით, ფულით, იარაღითა და სურსათით დახმარება, ასევე ზოგადი სტრატეგიული მითითებების მიცემა. „ჩვენ ორგანიზებას გავუკეთებთ ძალებს, რომელიც გათვლილი იქნება ცენტრიდან გაწეული დახმარებისა და მითითებების შესაბამისად” – ამბობდა ეშბა.[3] სოხუმის ოლქის ბოლშევიკთა მხარდასაჭერად, ე.წ. „ყუბანი-შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკის” ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, სოხუმისაკენ ბელორეჩენსკის კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი ბოლშევიკური პოლკი იქნა გაგზავნილი.

როგორც ვხედავთ, ამჯერად ბოლშევიკთა მოქმედებები გაცილებით მომზადებული და კარგად გათვლილი იყო, ვიდრე ამას „აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური რევოლუციის” დროს ჰქონდა ადგილი. საქმეში ჩართულ იქნა ადგილობრივი ძალები – „კიარაზის” უკვე კარგად მომზადებული და შეიარაღებული რაზმები, და რაც მთავარია, არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ბელორეჩენსკის წითელი პოლკი. მიხეილ ბღაჟბა: „მერხეულის პარტიზანულ რაზმს ს. ქარდავა მეთაურობდა, წებელდისას – ხ. კერსელიანი. ენერგიულად მოქმედ სამურზაყანოს უბნის რევკომს კი, მგზნებარე რევოლუციონერი პ. ძიგუა ედგა სათავეში”.[4] პ. ძიგუას „მგზნებარე რევოლუციონერობისა” რა მოგახსენოთ, მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ იგი ფრონტიდან გამოქცეულ დეზერტირ ჯარისკაცსა და მედროვე ავანტიურისტს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, „აფხაზეთის რევკომის” მიერ „რევოლუციის მონაპოვრების” დაცვის საქმეში დახმარების აღმოჩენა ეთხოვა სოჭელ ბოლშევიკებსა და მათ საბრძოლო ძალას, ასევე მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებას. ბოლშევიკმა სეპარატისტებმა

---

[1] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 32. ЦГАОР СССР, ф. 130, оп. 2, д. 580, л. 22-24.

[2] Газета „Крестьянин и рабочий’’, 27 апреля 1918 г., г. Сочи.

[3] Газета „Известия Кубан. обл. ЦИКа”, 9 мая 1918 г., г. Екатеринодар.

[4] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело”. Тбилиси. 1965. Стр. 22. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_ nestor _lakoba.html.

საბრძოლო პოზიციები მდინარე კოდორთან მოაწყვეს, აქვე განლაგდა მათი საარტილერიო ბატარეები.

ცხადი გახდა, რომ შექმნილ ვითარებაში მხოლოდ აფხაზთა სახალხო საბჭოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით ბოლშევიკთა ახალი აგრესიის აღკვეთა შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო იყო უფრო ქმედითი და ეფექტური ღონისძიებების გატარება. საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლებისათვის დახმარების თხოვნა სოხუმსა და სოხუმის ოლქში ახალი ბოლშევიკური აგრესიის აღკვეთისათვის. ასეთ ვითარებაში აფხაზთა სახალხო საბჭოსა და ქალაქ სოხუმის მმართველობის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ თხოვნით მიმართა ჩოლოქი-ნატანების პოზიციებზე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული შენაერთის ხელმძღვანელს, მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურს, გენერალ-მაიორ გიორგი მაზნიაშვილს[1] დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

გენერალი მაზნიაშვილი: „აპრილის შუა რიცხვებში, როდესაც რაზმის შტაბი ჯერ კიდევ ნატანებში იყო, ჩემთან მოვიდა დეპუტაცია სოხუმიდან: დეპუტაციაში შედიოდა ქალაქის მოურავი და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სამი წევრი. დეპუტაციამ მომმართა თხოვნით გამეწმინდა ბოლშევიკებისაგან როგორც სოხუმი, ისე მთელი აფხაზეთი. დელეგაციას განვუცხადე, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემი კომპეტენციის გარეშეა, რომ დანიშნული ვარ იმ რაზმის უფროსად, რომელიც ეომება მხოლოდ ოსმალებს და რომ აფხაზეთის დახმარების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია საქართველოს მთავრობისაგან. დელეგაცია გაემგზავრა ტფილისში მთავრობასთან.

ერთი დღის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარისაგან მივიღე ბრძანება, გამომეყო ჩემი ჯარებიდან ცალკე რაზმი და გამეგზავნა იგი აფხაზეთში ბოლშევიკებთან საბრძოლველად...”[2]

აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე, ამიერკავკასიის სეიმის საგანგებო სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მიმართულებაზე „სოხუმის ოლქში წესრიგის აღდგენის” მიზნით გაგზავნილიყო სეიმის სამხედრო ძალა – ამიერკავკასიის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდია. ანარქიის მოსპობის, წესრიგის დამყარებისა და სტაბილიზაციის ოპერაციაზე პასუხისმგებლობა წითელი გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელს დაევალა.[3]

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937) – გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე დივიზიის მეთაური. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. მონაწილეობს ქართული არმიის აღმშენებლობის საქ,მეში. ინიშნება ქართული საარმიო კორპუსის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1918 წლის დასაწყისიდან თბილისის გარნიზონის და ბორჩალოს მაზრის დაცვის უფროსი. 1918 წლის მაისიდან აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი. 1918 წლის ნოემბრიდან ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის სამხედრო ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზების გენერალ-გუბერნატორი. 1918 წლის დეკემბრიდან სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტის სარდალი. 1919 წლის თებერვლიდან ახალციხისა და ახალქალქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონში დისლოცირებული ქართული გარნიზონის ჯარების სარდალი. 1920 წლის ოქტომბრიდან ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსი. 1921 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს ომის სოღანლუღის ფრონტის სარდალი, 1921 წლის მარტში დასავლეთ საქართველოს ფრონტის სარდალი და ბათუმის გარნიზონის ჯარების სარდალი. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რჩება საქართველოში და მონაწილეობს ქართული წითელი შენაერთის ფორმირებაში. ინიშნება საბჭოთა საქართველოს წითელი ქვეითი დივიზიის მეთაურად, შემდეგ – რესპუბლიკის ჯარების მთავარ სამხედრო ინსპექტორად. ბოლშევიკთა მიერ რეპრესირებული, შვილთან ერთად დახვრეტილ იქნა 1937 წელს.

[2] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”. ბათუმი. 1990. გვ. 57.

[3] სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი და ფაქტიური სარდალი, ვალიკო (ვლადიმერ) ჯუღელი

გვარდიული ქვედანაყოფების აფხაზეთში შეყვანას წინ უძღვოდა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის მიმართვა აფხაზებისა და სამურზაყანოელების (ანუ ქართველების – ა. ჩ.) მიმართ მოწოდებით, რომ დაუყოვნებლივ მიღებულიყო ყველა ზომა ანარქიის შესაჩერებლად, მოწვეულიყო სახალხო ყრილობა, თბილისში გამოგზავნილიყვნენ წარმომადგენლები, მთიელებთან ერთად შემუშავებულიყო კონსტიტუ-ცია და დადგენილიყო ზუსტი საზღვრები, რაც მისაღები იქნებოდა როგორც აფხაზების, ასევე სამურზაყანოელებისათვის.[1]

ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის, ჩხენკელის ამ მოწოდებას აფხაზური მხარე არ გამოხმაურებია. კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების ყოველგვარი მცდელობის ამოწურვის შემდეგ, გვარდიის რაზმები სოხუმისაკენ დაიძრნენ. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობისათვის, ვალიკო ჯუღელთან ერთად სოხუმისაკენ გაემგზავრნენ პოლკოვნიკი ალექსანდრე ქონიაშვილი[2] და გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის წევრი, ჯუღელის პირადი მეგობარი, ალექსანდრე დგებუაძე.

§5. სამოქმედო რაიონი

საბრძოლო ოპერაციის რაიონი მოიცავდა აფხაზეთის რეგიონს და ეკატერინოდარის მხარის შავიზღვისპირა ზოლს მდინარე კოდორიდან ქალაქ ტუაფსემდე. რელიეფი ზღვის სანაპირო ზოლში მდინარე ენგურიდან ქ. სოხუმამდე ვაკე, და შემდეგ – ვაკე-ბორცვიანია, ქ. ტუაფსემდე კი – მაღალმთიანი. ჩრდილოეთით მრავლადაა კავკასიონის ქედის მთა-გორიანი და მაღალმთიანი რელიეფი უღელტეხილებითა და გადასასვლელებით. რეგიონი მდიდარია მცენარეული საფარით. ჰავა რბილი, ნოტიო სუბტროპიკულია, ნალექების რაოდენობა დიდია.

სოხუმელი იყო, აფხაზეთის მკვიდრი. მისი მოხუცი მშობლები სოხუმში ცხოვრობდნენ. აფხაზეთის ბოლშევიკური ოკუპაციისა და 1918-1919 წლების განმავლობაში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს ისინი ფარულ მისამართზე ცხოვრობდნენ სოხუმში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მათ ქალაქი არ დაუტოვებიათ.

[1] Дж. Гамахария. „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики". Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 455. „ერთობა". 1918 წლის 10 მაისი.

[2] ალექსანდრე ქონიაშვილი (1873-1951) – რუსეთის არმიის ოფიცერი, ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1913 წელს ყუბის 155-ე ქვეითი პოლკის ოფიცერი, შტაბს-კაპიტანი. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. სარიყამიშისა და არზრუმის ოპერაციების მონაწილე. 1917 წლიდან მეფის არმიის პოლკოვნიკი. 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. 1918 წლის ოქტომბრიდან ინიშნება სოჭის ოლქისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდლად. 1919 წელს მეთაურობს სახალხო გვარდიის რაზმებს, ქართული არმიის გენერალი. 1920 წელს მონაწილეობს ცხინვალის რეგიონში ბოლშევიკური შეიარაღებული ავჯანყების ჩახშობაში, ერთ-ერთი მიმართულების მეთაური. 1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკურ ოკუპაციასთან დაკავშირებით, ემიგრაციაშია.

რეგიონი მდიდარია მდინარეებით, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედიდან იწყება, მთლიანად კვეთს აფხაზეთს და შავ ზღვაში ჩაედინება. მნიშვნელოვანი მდინარეებია ღალიძგა, კოდორი, კელასური, გუმისთა, ბზიფი, ფსოუ, მზიმთა, მეხადირი, რომლებიც გაზაფხულის წყალუხვობით გამოირჩევიან. დინების სიჩქარე მდინარეების ზემოწელში დიდია. განსაკუთრებით წყალუხვ მდინარეებს წარმოადგენენ კოდორი და ბზიფი. ეს კი ართულებს მათი ფორსირების პროცესს და ზღუდავს ჯარების (განსაკუთრებით არტილერიისა და კავალერიის) მანევრირების შესაძლებლობას.

აღნიშნული რეგიონი მდიდარია მცენარეული საფარით, რომელიც ფაქტობრივად შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე ვრცელდება. მაღალ-მთიანეთში ალპურ ზონას ვხვდებით. საერთო ჯამში, ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვის-პირეთის რელიეფი და ლანდშაფტი ზღუდავს ჯარების დიდი მასების, აგრეთვე არტილე-რიისა და კავალერიის გადაადგილებას, აგრეთვე ქვედანაყოფების მოქმედების სამანევრო სივრცეს და მათი ფართო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ ხელს უწყობს მცირე რაზმებითა და ჯგუფებით ფარულ გადაადგილებას. ზრდის მოულოდნელობის ეფექტს სარეიდო და ჩასაფრების ოპერაციების ჩატარებისას, აგრეთვე პარტიზანული ომის საწარმოებლად.

რეგიონი ცუდადაა უზრუნველყოფილი მაგისტრალური ხაზებითა და გზებით. ერთადერთი გამტარი მაგისტრალი მიუყვება შავი ზღვის სანაპიროს, რომლის ბლოკი-რებითაც ადვილად ხდება შეტყობინების შეწყვეტა. საკომუნიკაციო ხაზები შეზღუდულია, რაც ნაწილობრივ ართულებს ლოჯისტიკურ მომარაგებას მთიან რეგიონში.

ზღვის სანაპიროს თითქმის მთელ ზოლში შესაძლებელია საზღვაო დესანტის გადასხმა.

§6. ამიერკავკასიის ფრონტი გვარდია და საბრძოლო მოქმედებები

ზემოთ აღწერილი მოვლენების პარალელურად ოსმალური შენაერთების წინსვლა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გრძელდებოდა. ფრონტზე განვითარებული მძიმე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, ოსმალურ მხარესთან სამხედრო დაპირისპირების პოლიტიკური დარეგულირების მიზნით, 1918 წლის 9 აპრილს გამართული სეიმის სხდომაზე კომისარიატის დაშლა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. ეს პოლიტიკური აქტი იძულებითი ნაბიჯი იყო სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად, რასაც ოსმალური მხარე ითხოვდა. საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა არ სცნო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგებს ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საომარი მოქმედებების ფონზე, 1918 წლის 8 მარტს, ქ. ტრაპიზონში დაიწყო თურქეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგა-ციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალური მხარე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის უპირობო შესრულებას ითხოვდა და

ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციის (მეთაური აკაკი ჩხენკელი) მოთხოვნებს ორ ძლიერ არგუმენტს უპირისპირებდა:

1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე;

2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა.

ტრაპიზონის კონფერენცია შეწყდა...[1] კონფერენციის მიმდინარეობისას თურქული შენაერთების წინსვლა არ შეჩერებულა, ისინი აგრძელებდნენ წარმატებულ შეტევით მოქმედებებს და 12 მარტს დაიკავეს არზრუმი, 5 აპრილს – სარიყამიში, 7 აპრილს – ვანი.

მოლაპარაკებების გაგრძელების წინაპირობად თურქებმა დამოუკიდებელი ამიერკავ-კასიის სახელმწიფოს გამოცხადება მოითხოვეს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში, რუსეთის შემადგენლობიდან გამოსული ამიერკავკასიის შემდგომი ოკუპაცია თურქთათვის გაადვილდებოდა. მიუხედავად ამისა, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, 1918 წლის 9 აპრილს გამართულ სეიმის სხდომაზე კომისარიატის დაშლა და ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა... 1918 წლის 14 აპრილს ოსმალურმა ქვედანაყოფებმა ბნროლებით დაიკავეს ბათუმი და ბათუმის ოლქი... მალე კი, ოზურგეთსა და ახალციხეშიც შევიდნენ.

ასეთი მძიმე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ამიერკავკასიის ფედერა-ციის სამხედრო ძალა – ინტერნაციონალური წითელი გვარდია, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობის მანდატით იყო აღჭურვილი, აფხაზეთში იგზავნება ბოლშევიკური აგრესიის აღსაკვეთად. აღსანიშნავია, რომ გვარდიის რაზმის ნაწილს ის გვარდიული ქვედანყოფები შეადგენდნენ, რომლებიც ოსმალური აგრესიის აღსაკვეთად ჩოლოქი-ნატანების პოზიციებზე იყვნენ ჯერ კიდევ დისლოცირებულნი. პირველ რიგში ეს, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გვარდიის ე.წ. „საგანგებო ბატალიონსა" და ვალიკო შარაშიძის გვარდიის საარტილერიო დივიზიონს შეეხება. ამონარიდი საგანგებო ბატალიონის ერთ-ერთი წევრის მოგონებიდან:

„4 მაისი. სანგრებიდან გვიწვევენ ნატანებში. ხდება რაზმის კრება, სადაც გვარდიელებს უცხადებენ, რომ ახალი საშიში ფრონტი იხსნება სოხუმის მხარეზე და იქით უნდა გაიგზავნოთო. ფიზიკურად დატანჯული, დაღლილი, უძინარი ხალხი იმავე წამს სურვილს აცხადებს სოხუმის ფრონტზე წასვლისა.

5 მაისი. აღდგომას მატარებელი დაიძრა და რაზმი ფოთისაკენ გაემგზავრა. მიუხედავად დიდი ფიზიკური ტანჯვისა, რომელიც განვიცადეთ, რაზმელები მაინც მღეროდნენ, იცინოდნენ, მხიარულობდნენ..."[2]

გვარდიის რაზმები ფოთიდან გემით გაემგზავრნენ ოჩამჩირისაკენ, რომელსაც მცირე ზომის მცურავი საშუალებები, ე.წ. „გამანადგურებელი-კატარღებიც" უჭერდნენ მხარს. რაზმი ოჩამჩირეში 9 მაისს ჩავიდა.

ვალიკო ჯუღელი:

„ჩვენმა ძალებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაამშვიდა აფორიაქებული ქალაქი. უმალ დავამყარეთ კავშირი დემოკრატიულ თვითმმართველობასა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან. თავადებს კი თავიდანვე გავემიჯნეთ. მათ სათავეში დგანან: მოხუცი ალექსანდრე შერვაშიძე, ყაჩაღთა მფარველი ტატაშ მარშანია და ცნობილი

---

[1] ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1918-1921). ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება (1918 წლის 3 მარტი). გვ. 2. http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf.

[2] გვარდიელი დ. ო-ძე. სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონი (მოგონებები). ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 13.

რეაქციონერი დიმიტრი მარშანია. ლიბერალ თავადს, ნიკოს, თავი განზე ეჭირა. კოდორის უბნის წარმომადგენლებს თავი კარგად და მტკიცედ ეკავათ, გუდაუთელებსა და გუმისთელებს სთავაზობდნენ მალე დაესრულებინათ ეს სამწუხარო ისტორია".[1]

გვარდიელთა აფხაზეთში შესვლისთანავე, ერთ სამწუხარო ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი. ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში გვარდიასთან ერთად ტატაშ მარშანიამაც გამოთქვა მზადყოფნა აფხაზი ცხენოსნების რაზმთან ერთად და თავისი სამსახური შესთავაზა ვალიკო ჯუღელს.[2] მაგრამ იუკადრისა „დემოკრატმა პროლეტარმა" „კლასობრივი მტრის" ეს შეთავაზება და ქედმაღლურად უპასუხა თავადს, რომ რესპუბლიკას მისი და მისი მსგავსი ფეოდალების დახმარება არ სჭირდებოდა, თავადაც მოუვლიდნენ საქმეს.

ამ ინციდენტის ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს გენერალი მაზნიაშვილი, რომლის მიხედვითაც, ვალიკო ჯუღელს არა ტატაშ მარშანიამ, არამედ ალექსანდრე შარვაშიძემ შესთავაზა სამსახური – „სანამ გვარდია სოხუმში ჩავიდოდა, შერვაშიძემ აფხაზეთში მოჰკრიბა 150 ცხენოსანი, დახვდა სახალხო გვარდიას, სალამი მიუძღვნა და შესთავაზა ვ. ჯუღელს ეს 150 ცხენოსანი სახალხო გვარდიის გასაძლიერებლად და დაჰპირდა, რომ კიდევ მოჰკრებს შემდეგში მეომარ-აფხაზებს".[3]

ვალიკო ჯუღელის მკვახე პასუხმა და უტაქტო საქციელმა მძიმე შედეგები გამოიღო: „...ამგვარი მოპყრობის შემდეგ მეტად ნაწყენმა შერვაშიძემ ხმა არ გაიღო, გააბრუნა ცხენი და თავისი რაზმით წავიდა. ჯუღელის უკმეხობა შემდეგ ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს. ამის შემდეგ შერვაშიძე მტერი შეიქმნა საქართველოსი, აღარ დარჩა აფხაზეთში და საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში, რომელიც მაშინ ოსმალეთის ხელში იყო.

ხოლო აფხაზეთში შედგა ჯგუფი შერვაშიძის მომხრეებისა, რომელნიც არ იყვნენ კმაყოფილნი არა მარტო სახალხო გვარდიის მოქმედებისა, არამედ საქართველოს მთავ-რობისაც. ამ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ტატაშ მარშანია, რომელმაც განიზრახა საქართველოსგან აფხაზეთის სრული ჩამოშორება. ამ მიზნით მას ჰქონდა დაჭერილი კავშირი ბათუმთან".[4]

არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას, თუ ვინ ეახლა ვალიკო ჯუღელს, ტატაშ მარშანია თუ ალექსანდრე შარვაშიძე, არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომელ ვერსიას ვიზიარებთ ჩვენ, არც ისაა არსებითი – 150 აფხაზი ცხენოსანი უერთდებოდა გვარდიის რაზმს თუ 300. ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ გვარდიელებს ოჩამჩირეში მართლაც შეეგებნენ აფხაზი ცხენოსნები და ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სამსახური შესთავაზეს. ისიც ფაქტია, რომ ჯუღელმა თავისი პარტიული და იდეოლოგიური კრედოს გამო არ მიიღო ადგილობრივ „ფეოდალთა" ეს შემოთავაზება. კარგადაა ცნობილი ვალიკო ჯუღელის ზღვარგადასული „დემოკრატობაც" და მისი ორთოდოქსი მარქსისტობაც. ამ მხრივ იგი მართლაც გამორჩეული იყო თვით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს შორისაც კი.

დიახ, ასეა, ამიერკავკასიის ფედერაციისა და პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში, პაპზე უფრო დიდი კათოლიკებიც არსებობდნენ. ყველაზე მთავარი ამ ინციდენტიდან და მასთან დაკავშირებული ყველაზე სამწუხარო ფაქტი კი ისაა, რომ

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 12.

[2] Д. Читая. Абхазский вопрос в первой Грузинской Республике. Народный Совет Абхазии. Тбилиси. 2006. Стр. 106-108.

[3] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 70.

[4] იქვე.

გენერალ მაზნიაშვილისა არ იყოს – „ჯუღელის უკმეხობა შემდეგ ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს".

ტატაშ მარშანიას პერსონასთან დაკავშირებით, ჩვენის აზრით, ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი. ეს გარემოება მარშანიას მსოფლმხედ-ველობას, უფრო ზუსტად ამ მსოფლმხედველობის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს ეხება. აფხაზურ საარქივო მასალებში დაცულია ზემოთ ხსენებული ინკოგნიტო ქართველი ეროვნულ-დემოკრატის მემუარი, რომელიც, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, მან „მეგობრის" ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ჩვენის აზრით, მარშანიასთან დაკავშირებული მისი მემუარი განსჯისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა:

„ტატაშ მარშანიას ძალიან კარგად ვიცნობდი. იგი ჩემი პირადი მეგობარი იყო და მთელი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მას მთელი სულითა და გულით უნდოდა სიკეთე საქართველოსა და აფხაზეთისათვის (ეს უნდა გვახსოვდეს), მთელი არსით საქართველოსა და მასთან ერთიანობის მომხრე იყო. ამავე დროს სასტიკად სძულდა რუსები. ეს თავად რუსულმა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა და მას ალმაცერად უყურებდა. მას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთზე და ამიტომ უფრთხოდნენ რუსები მას. ტატაშს სჯეროდა საქართველოსი და უყვარდა აფხაზეთი. მისი სურვილი იყო აფხაზეთის რუსებისაგან განთავისუფლება საქართველოს დახმარებით. იგი ტკბებოდა დამოუკიდებელი საქართველოთი და მასთან ერთად თავისუფალი აფხაზეთით. მაგრამ როცა საქართველოდან დახმარების მაგივრად მოვიდნენ ძალები, რომლებიც უფრო გამაღიზიანებლები იყვნენ, ვიდრე რუსების დროს იყო, მან სულიერი წონასწორობა დაკარგა, გონებრივად კი მარქსიზმი მისთვის ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა. ამ უცნაურ სწავლებას მან მსხვერპლად შესწირა მისი საყვარელი აფხაზეთი.

იგი მაინც საქართველოს მომხრედ რჩებოდა და ბევრი მიმდევარიც ჰყავდა. მისი გავლენა აფხაზეთზე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ალექსანდრე შარვაშიძისა და ამიტომ ეს კაცი მეტად საჭირო და სასარგებლო იყო ჩვენთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ხელი ვკარით და უფსკრულისათვის გავიმეტეთ იგი...

ტატაში ღრმად განსწავლული კაცი იყო, კარგად იცოდა ევროპული ენები. მისი პოემები და მშვენიერი ლექსები ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ საზოგადოებაში... მაგრამ ყველა მისი ჩანაწერი, სხვა ქონებასთან ერთად ბოლშევიკების შემოჭრის შედეგად დაიკარგა...".[1]

ისმის კითხვა – რამდენად რეალური არის თავად ამ პერსონის – „მეგობრის" არსებობა და რამდენად შეესაბამება სიმართლეს მისი მემუარები? რამდენად მიზანშეწონილი და გამართლებულია მისი გამოყენება აკადემიურ კვლევებსა და ნაშრომებში? დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც „მეგობრის" არსებობა, ასევე მისი მემუარი ტატაშ მარშანიასთან დაკავშირებით, სიმართლეს შეესაბამება და მას უნდა ვენდოთ. საყოველთაოდაა ცნობილი ვალიკო ჯუღელის იდეოლოგიური კრედო და მარქსიზმის იდეალებისადმი მისი ერთგულება. ხოლო ამ მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი თეზა – „მუშებს სამშობლო არ გააჩნიათ", ჯუღელის რევოლუციური ფილოსოფიის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა.

ისიც კარგადაა ცნობილი, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან თავადური და არისტოკრატული წარმომავლობის ქართველ ოფიცერთა კორპუსთან და გენერალიტეტთან მიმართებაში. ამიტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ მსგავსი დამოკიდებულება არსებობდა ზოგადად, ნებისმიერი სხვა

---

[1] Друг. Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г.г. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 80. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

ეროვნების „კლასობრივი მტრების", და ამ შემთხვევაში, აფხაზ თავად ტატაშ მარშანიასთან მიმართებაშიც. პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ – აფხაზი თავადი და პოლკოვნიკი, ტატაშ მარშანია ქართველი მარქსისტებისათვის „კლასობრივ მტრად" მოიაზრებოდა.

თუმცა, მეორეს მხრივ, თუ თავად ჯუღელის მემუარს დავეყრდნობით, მის ამგვარ საქციელზე არა მხოლოდ მისმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა მრწამსმა, არამედ სხვა გარემოებებმაც ითამაშეს გარკვეული როლი. ვალიკო ჯუღელი: „ჩვენს გარშემო ბნელი ხელი საზიზღარი პროვოკაციების ქსელს ხლართავს. თავიდან თავადურ გვარდიად მოგვნათლეს, მაგრამ მას შემდეგ რაც თვითონ გლეხებმა ნახეს თუ როგორ მკვეთრად მოვექეცით ადგილობრივ თავადებს – ეს პროვოკაცია ჩაიშალა. უფრო საზიზღარი და ამაზრზენი ჭორებიც გაგვივრცელეს. თურქების აგენტებად და თურქული ბანდების მოკავშირეებად გვნათლავდნენ! ამ ჭორების გამო სომხური დელეგაციაც კი მოვიდა ჩვენთან, რომ თავისი თვალით დარწმუნებულიყვნენ ჩვენი რაზმის ჭეშმარიტ ხასიათში. მათ ჩვენი წითელგვარდიელი მუშები ვანახეთ, და მათ შორის ბევრი სომეხიც".[1]

გვარდიელები სოხუმისაკენ დაიძრნენ და 11 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციის საბრძოლო ძალა – წითელი გვარდია მდინარე კოდორს მიადგა. გვარდიელთა შერეული რაზმი შედგებოდა თბილისის გვარდიის რაზმების, აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმის, ფოთის წითელი გვარდიისა და შარაშიძის საარტილერიო დივიზიონის პირადი შემადგენლობისაგან. დაიწყო პოზიციების მოწყობა, საველე შტაბი კი, სოფელ აძიუბჯაში, გენერალ შაშკოვსკის სახლში მოეწყო.

ვალიკო ჯუღელი: „ბოლშევიკებს ჩვენს ფრონტზე დიდი ძალები ჰყავთ თავმოყრილი. მათ დაახლოებით 10 ქვემეხი, უამრავი ტყვიამფრქვევი და 2000 კაცამდე ჰყავთ. მაგრამ მათი არ გვეშინია: ჩვენი მცირე რაზმი გააცამტვერებს ამ მეომრულ ბანდას (Воинствующая банда – ა. ჩ.)..."[2]

ვალიკო ჯუღელმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილ აფხაზ ბოლშევიკებთან მოლაპარაკებების დაწყება გადაწყვიტა და წინადადებით მიმართა მათ იარაღის დაყრისა და დანებების შესახებ, რის შესახებაც 24 საათიანი ულტიმატუმიც იქნა წარდგენილი.[3] ბოლშევიკებმა გვარდიელთა პირობები მიიღეს, მაგრამ ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე, გაუფრთხილებლად, ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცეცხლი გაუხსნეს გვარდიელებს. გვარდიელთა შტაბისათვის ნათელი გახდა, რომ კოდორზე გამაგრებული ბოლშევიკები მშვიდობიან მოლაპარაკებებზე არ წავიდოდნენ, პოზიციებს უბრძოლველად არ დატოვებდნენ. საჭირო გახდა ძალთა გადაჯგუფება, შეტევითი ოპერაციის კარგად მომზადება და მოწინააღმდეგის პოზიციების შტურმით აღება. მანამდე კი, მთელი ერთი კვირის განმავლობაში კოდორთან პოზიციური ბრძოლები გაიმართა.

ვალიკო ჯუღელი: „12 მაისს კვლავ სროლები დაიწყო, მაგრმ ამჯერად ინიციატივა ჩვენ გვეკუთვნოდა. მოწინააღმდეგის ჯერ-ჯერობით ექვსი ქვემეხი აღმოვაჩინეთ: ოთხი დრანდის მონასტერთან და ორი კოდორის ხიდთან. ჩვენმა შეუდარებელმა ვალიკო შარაშიძემ საქმეში მხოლოდ საველე ბატარეის ერთი ქვედანაყოფი ჩართო და მსწრაფლ ჩააჩუმა მოწინააღმდეგის ქვემეხები".[4]

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 15.

[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 9.

[3] სოხუმის ამბები. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №237. ოთხშაბათი, 22 მაისი, 1918 წ. გვ. 2.

[4] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 13.

ბრძოლის პირველივე დღეს, ეშბამ ლენინს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკთა განსაკუთრებულ კომისარს, ორჯონიკიძეს, შემდეგი ტელეგრამით მიმართა: „ამიერკავკასიის გამოცხადება დამოუკიდებელ რესპუბლიკად სოხუმის ოლქის მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. სოხუმის ოლქმა სცნო საბჭოთა ხელისუფლება. ამიერკავკასიის მთავრობამ გამოაგზავნა სადამსჯელო რაზმები სოხუმის დეპუტატთა საბჭოების წინააღმდეგ, განიხილა რა საბჭოთა ხელისუფლების აღიარება როგორც კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ამბოხი. მუშათა და გლეხთა (გაუგებარია აფხაზეთის რომელ მუშათა კლასზეა აქ საუბარი – ა. ჩ.) წითელი გვარდია კონტრრევოლუციური რაზმების წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაება. სოხუმის ფრონტის გარღვევის შემთხვევაში საშიშროება მთელ შავიზღვისპირეთს ემუქრება. ერთიანობამ შეიძლება მდგომარეობა გადაარჩინოს". შემდეგ ეშბა ბოლშევიკი ხელმძღვანელებისაგან ითხოვდა, რომ შავი ზღვის ფლოტისათვის გაეცათ განკარგულება სოხუმის ფრონტზე საბრძოლო ხომალდების გაგზავნის შესახებ.[1]

1918 წლის 15 მაისს ეშბამ უკვე ტელეფონით შეძლო მოსკოვთან დაკავშირება. მაგრამ ამ დროს ლენინი კრემლში არ იმყოფებოდა. ეშბამ ისევ ითხოვა დახმარება. მეორე დღეს კი, მოსკოვიდან მიღებულ იქნა ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისრის, ი. სტალინის ტელეგრამა. მასში ნათქვამი იყო, რომ მიმდინარეობს ყოველგვარი ზომების მიღება აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, და ეს საკითხი განხილულ იქნებოდა სახალხო კომისართა საბჭოში.[2]

საბჭოთა მთავრობის მიერ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სარდლობისადმი 16 მაისს გაგზავნილ განკარგულებაში ნათქვამი იყო: „გევალებათ თქვენს განკარგულებაში მყოფი სავაჭრო გემების ნაწილი აღჭურვოთ შეიარაღებით და ჩვენი სავაჭრო ტვირთების დაცვის საბაბით დაძრათ სამხრეთით, სოხუმის დასაცავად".[3] ამ ტელეგრამის შინაარსის შესახებ ლენინმა ჩიჩერინს,[4] საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, მისწერა: „ჩემის აზრით, ბრესტის ზავის პირობებმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რომ ყაჩაღ მეკობრეებს ვებრძოლოთ. უნდა მოვნახოთ ფორმები, თუ როგორ შევძლოთ საზღვაო ძალებით მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლების წარმოება".[5]

დიახ, ლენინს კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიის შიდა პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ საქმეებში შეიარაღებული ჩარევა და ზოგადად, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამოყენება, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-5 სტატიის პირდაპირი და უხეში დარღვევა იქნებოდა, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა გერმანული მხარისა და ოთხთა კავშირის სხვა ქვეყნების შესაბამისი რეაგირება.

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების V სტატიას შემდეგი სახე ჰქონდა:

---

[1] ЦГАОР СССР, ф. 130, оп. 2, д. 580, л. 25.

[2] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 558, оп. 1, д. 6381, л. 1.

[3] Ленинский сборник XXXVI, Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. стр. 42.

[4] გიორგი (იური) ვასილევიჩ ჩიჩერინი (1872-1936) – ცნობილი რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. პოლიტოლოგი, ისტორიკოსი და მუსიკათმცოდნე. რსდმპ წევრი 1905 წლიდან, ბოლშევიკი. 1918 წლის იანვრიდან რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, ტროცკის მოადგილე, შემდეგ კი, ტროცკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრად გადასვლის შემდეგ – რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. 1922 წლის ბოლოდან საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი – მე-5 მოწვევების წევრი, 1925-1930 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

[5] Ленинский сборник XXXVI, Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. стр. 42.

Статья V

„Россия незамедлительно произведет полную демобилизацию своей армии, включая и войсковые части, вновь образованные ее теперешним правительством.

Кроме того свои военные суда Россия либо переведет в русские порты и оставит там до заключения всеобщего мира, либо немедленно разоружит. Военные суда государств, пребывающих и далее в состоянии войны с державами четверного союза, поскольку эти суда находятся в сфере власти России, приравниваются к русским военным судам.

…подвластных России частях Черного моря немедленно должно начаться удаление минных заграждений. Торговое судоходство в этих морских областях свободно и немедленно возобновляется. Для выработки более точных постановлений, в особенности для опубликования во всеобщее сведение безопасных путей для торговых судов, будут созданы смешанные комиссии. Пути для судоходства должны быть постоянно свободны от плавучих мин”.[1]

დიახ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების V სტატიის თანახმად, რუსეთს უნდა მოეხდინა მთელი თავისი არმიის დემობილიზაცია, ხოლო საზღვაო ფლოტი ან დაუყოვნებლივ უნდა განიარაღებულიყო, ან შეყვანილი უნდა ყოფილიყო პორტებში და ომის დასრულებამდე დამდგარიყო იქ ახლო რეიდზე. მაგრამ ეს სტატია არ კრძალავდა სავაჭრო ნაოსნობას. ბოლშევიკებს მოხერხებულად შეეძლოთ ესარგებლათ ამ დიპლომატიური თუ იურიდიული ლაფსუსით და სამხედრო მიზნებისათვის გამოეყენებინათ „გადაიარაღებული” და შენიღბული სავაჭრო ფლოტი. სწორედ ამიტომ უთითებდა ლენინი ჩიჩერინს, რომ რუსული სამხედრო ფლოტის საზღვაო აკვატორიაში გასვლისა და ბოლშევიკური აგრესიის შენიღბვისათვის მას შესაბამისი ფორმები მოეძებნა და არაკები შეეთხზა მითიური ყაჩაღებისა თუ მეკობრეების შესახებ. თუმცა, მიუხედავად ამ მცდელობებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ბოლშევიკებმა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ხომალდების სოხუმის საზღვაო აკვატორიაში შეყვანა ვერ მოახერხეს. ნოვოროსიისკის საზღვაო აკვატორიაში მცურავი გერმანული სადარაჯო და სახაზო ხომალდები საიმედოდ აკონტროლებდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის აკვატორიას.

16 მაისს სამურზაყანოს მოსახლეობაში გავრცელდა ბოლშევიკთა ცხრაპუნქტიანი სააგიტაციო მოწოდება-პროკლამაცია, აფხაზეთის რევკომის წევრის, ვინმე ვ. ადლეიბას ხელმოწერით. ამავე დროს, ეს მოწოდება მეწინავე სტატიად გამოქვეყნდა სოხუმში გამომავალ ბოლშევიკურ გაზეთში „Сухумская правда”. შინაარსობრივად დოკუმენტი მეტად საინტერესოა და იგი სრულად ადასტურებს ჯუღელის მიერ ზემოთ გმოთქმულ მოსაზრებას მისი რაზმის მისამართით პროვოკაციული ინფორმაციის გავრცელების შესახებ. ამ დოკუმენტს სრულად წარმოვადგენთ:

„ჩემს ძმებს – კოდორის უბნის გლეხებს.

1. მე არ მჯერა იმისა, რასაც ლაპარაკობენ, რომ თქვენ ქართულ რაზმთან ერთად ომობთ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ – გაგრის, გუდაუთისა და გუმისთის უბნების აფხაზი გლეხების წინააღმდეგ. <u>თქვენ ეს არ უნდა გააკეთოთ</u>,[2] იმიტომ რომ თქვენი ძმების წინააღმდეგ მიდიხართ, და შესაბამისად, საკუთარი თავის წინააღმდეგაც. ნუთუ თავადებმა და დიდებულებმა მოგატყუეს?

---

[1] Hier nach: Politisches Archiv des Auswärtigen Amtes,, Multilaterale Verträge des Deutschen Reiches, 309. Original. http://www.1000dokumente.de/?c=dokument_de&dokument=0011_ bre& object =translation&l=ru.

[2] აქ და მთლიანად ტექსტში ქვემოთ მოყვანილი ხაზგასმული ფრაზები დოკუმენტის ორთოგრაფიული და სტილისტური ფორმის შესაბამისია.

2. ქართულ რაზმს, რომელიც აფხაზეთის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ დაიძრა, ეხმარებიან თავადები, დიდებულები, ვაჭრები და ყველა ბურჟუა-სისხლისმსმელი. მშრომელთა მასები მათ არ უნდა დაეხმარონ, იმიტომ რომ ისინი მტრები არიან.
3. თუ თქვენ ჯუღელის რაზმს ეხმარებით, გაიგეთ, რომ ამით ეხმარებით ქართველებსა და კაპიტალისტებს, რომლებიც ცდილობენ შეიარაღებული ძალებით დაიპყრონ ჩვენი პატარა და წყნარი სამშობლო – აფხაზეთი. ნუთუ ეს არ გესმით?
4. შეიგნეთ ერთი: თავადების, დიდებულების, ვაჭრებისა და მშრომელი ხალხის სხვა მტრებისათვის ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ჩვენ – მშრომელთა მასები-გლეხები ომში ვიქნებით ჩათრეულნი, რადგან ჩვენი რაოდენობა შემცირდება და ჩვენი ძალებიც უფრო სუსტი აღმოჩნდება. ეს უნდოდათ და უნდათ მათ, რადგან ასე უფრო ადვილად დაგვიმონებენ. ნუთუ არ იცით ეს?
5. თუ თქვენ ჯუღელის რაზმს ეხმარებით, რომელიც აქ ამიერკავკასიის სეიმის – ამ ნაციონალურ-ბურჟუაზიული მთავრობის სანქციითაა გამოგზავნილი, ამის გამო ყველა დაგვცინის: თავადები, დიდებულები, ასევე ქართველები – ნაციონალისტები. რადგან საკუთარი ბედნიერების ასაშენებლად მათ შეძლეს თქვენი მოტყუება. ნუთუ ბოლოს და ბოლოს არ გესმით ეს?
6. თუ თქვენ ჯუღელის რაზმს ეხმარებით, ამით თქვენს ძმებს – აფხაზებს ეომებით, იმიტომ რომ ამ ბზიფელებს არ სურთ ბურჟუათა და ქართველ ნაციონალილსტთა ბატონობა აფხაზეთში, მათ თავადებისა და დიდებულების განადგურება უნდათ. ნუთუ თქვენ არ გსურთ ამ ორივე მტრის განადგურება? დაფიქრდით, ამ შიდა და გარე მტრების ბატონობისაგან რა სარგებელი გაქვთ. ნუთუ ჯერ კიდევ ვერ მოეგეთ გონს?
7. ამბობენ, რომ თქვენ აღშფოთებულები ხართ ბზიფელი აფხაზების საქციელით, რადგან მათ ძმური მეგობრული კავშირი დაამყარეს სომხებთან, მეგრელებთან, და საერთოდ, აფხაზეთში მაცხოვრებელ ყველა სხვა ხალხთან. თქვენ ეს არ უნდა გაშფოთებდეთ, რადგან: ჩვენ, აფხაზებმა, ჩვენი არსით ვიწრო ნაციონალისტებმა, ვერ შევძელით ჩვენი ფიზიონომიის შენარჩუნება იმ ხალხებთან მტრობით, რომლებიც ცხოვრობენ და შრომობენ მშვიდობიანი თანაცხოვრებით. ნუთუ ეს არ უნდა გაითვალისწინოთ?
8. გაიგეთ ძმებო, რომ ჩხენკელის რაზმი აქ იმისთვისაა გამოგზავნილი, რომ აქ სამუდამოდ აფხაზეთის დასაკრძალი მარში დაუკრას. თქვენ კი ტყუილუბრალოდ ფიქრობთ იმას, რომ ჩხენკელი რაიმე უკეთესს გააკეთებს, ვიდრე თქვენი ბზიფელი ძმები, რომლებმაც სხვა ეროვნებებთან ძმურ კავშირში ხელში საერთო იარაღი აიღეს საერთო მტრის წინააღმდეგ. აუცილებელია რომ ეს შეიგნოთ.
9. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, ზნეობრივად ვალდებულები ხართ, რომ ახლავე გააკეთოთ არჩევანი: ან ბზიფელებთან უნდა შეერთდეთ და ან უბრალოდ, უნდა დატოვოთ ჯუღელის რაზმი. ვ. ადლეიბა."[1]

როგორც ვხედავთ, ისევ ტიპიურ ბოლშევიკურ დემაგოგიას, ისტორიის ფალსიფიკაციასა და დეზინფორმაციის გავრცელებასთან გვაქვს საქმე. და ძალიან კარგად ნაცნობი, მაგრამ უკვე საგრძნობლად გაცვეთილი ფრაზეოლოგია – „ქართველი ნაციონალისტები", „თავადები", „ვაჭრები", „სისხლისმსმელი ბურჟუები", „კაპიტალისტები", და მათთან დაპირისპირებული – „მშრომელთა მასები", „ძმური კავშირები" და ა.შ. და ა.შ.

---

[1] Газета „Сухумская правда". 1918, четверг, 16 мая, №23. Стр. 1-2. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917-1921.pdf.

ფაქტია, რომ აფხაზეთის უდიდესმა ნაწილმა და მისი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ ბოლშევიკურ ავანტიურას მხარი არ დაუჭირა. ისინი საქართველოს, აფხაზეთის მოსახლეობის არჩევანის ერთგულნი დარჩნენ და ბოლშევიკებს დაუპირისპირდნენ. თვით მოწოდების ბოლო პუნქტში მოყვანილი ფრაზიდან – „უნდა დატოვოთ ჯუღელის რაზმი", ისიც ნათლად ჩანს, რომ სამურზაყანოს ქართველი და აფხაზი მოსახლეობა, არათუ არ აღუდგა წინ სამთავრობო ჯარებს, არამედ დიდი ხალისითაც დაიწყო მასში გაერთიანება. ამ ფაქტს აფხაზური და რუსული სეპარა-ტისტული ისტორიოგრაფია, ცხადია, საგულდაგულოდ მალავს. ისტორიული სიმართლე კი, თვით სეპარატისტთა მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებშიც არ მალავს თავს. ის თავისით პოულობს გზას დღის სინათლისაკენ.

16 მაისის საღამოს, საბრძოლო გეგმის საბოლოო კორექტირების მიზნით, გვარდიელთა გამანადგურებელ-კატარღებმა ზღვიდან მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარეს და ცეცხლი გაუხსნეს სანაპირო ზოლს კოდორის შესართავიდან სოხუმამდე. ამ ქმედებებით საგრძნობი შფოთი იქნა შეტანილი მოწინააღმდეგის ბანაკში. მთავარი კი, ისაა, რომ ამ ტაქტიკური მანევრით მოწინააღმდეგის პოზიციების ძლიერი და სუსტი მხარეები იქნა მოსინჯული. იმავე დღეს, ჯუღელის რაზმს ყვირილისა (დღევანდელი ზესტაფონი – ა. ჩ.) და სამტრედიის გვარდიელთა რაზმები შეუერთდნენ. საერთო შეტევის დაწყების თარიღად 17 მაისი დასახელდა. შემტევი ავანგარდის მეთაურობა კი, გიორგი ლომთათიძესა და ლეონიდ (ლევ) ნოვიკოვს დაევალათ.[1]

სამთავრობო ჯარებმა შეტევითი ოპერაცია 17 მაისის დილის 4 საათზე დაიწყეს. ვალიკო შარაშიძის გვარდიელთა არტილერიამ მოძრავი გადამღობი ცეცხლი გახსნა, გვარდიელები კი საერთო შეტევისათვის მოემზადნენ და საარტილერიო ცეცხლის საფარის ქვეშ წინსვლა დაიწყეს მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. როგორც კი არტილერიამ ცეცხლი მოწინააღმდეგის სანგრებზე გადაიტანა და მათი დაბომბვა დაიწყო, გვარდიელები საერთო იერიშზე გადავიდნენ. მათ მძაფრი და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს კოდორის ხიდი და უკუაქციეს მოწინააღმდეგე.

ვალიკო ჯუღელი: „17 მაისი... ჩვენ უკვე ადგილზე ვართ, გადავირბინეთ ხიდი და შევუტიეთ მოწინააღმდეგის სანგრებს. ისინი თითქმის მთლიანად დაცლილია. დარჩენილ მებრძოლებს საცოდავი, შეშინებული სახეები აქვთ. ჩვენები მათ ანიარაღებენ და თავზე აბიჯებენ, მაგრამ მათზე არ ძალადობენ. ენერგიულად ვდევთ მოწინააღმდეგეს. ვიყვანთ ტყვეებს. ხელში ჩავიგდეთ ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და სასურსათო საწყობები. დიდი წარმატებაა. ჩვენ მხოლოდ 7 მსუბუქად დაჭრილი გვყავს"...[2]

გვარდიის საგანგებო ბატალიონის წევრის მემუარში კი, კოდორთან წარმოებული ბატალური ამბები ასეა აღწერილი: „ოჩამჩირედან ფეხით წავედით კოდორისაკენ. 11 მაისს, როცა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის შერიგებაზე მოლაპარაკება იყო გამართული, როცა ბრძოლას ჯერ არ ველოდით და სიმღერა, ცეკვა-თამაში გვქონდა გამართული, ბოლშევიკებმა უცბათ ყუმბარები დაგვიშინეს და მხიარულება შეგვაწყვეტინეს, აჩხარუნდნენ ყუმბარები. რაზმი რაზმს გაჰყვა და იმავე წამში პოზიციები დავიკავეთ. 6 დღის ბრძოლის შემდეგ მტერი სასტიკად დავამარცხეთ და სოხუმში ტრიუმფით შევედით".[3]

---

[1] გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №237. ოთხშაბათი, 22 მაისი, 1918 წ. გვ. 2.

[2] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 9.

[3] გვარდიელი დ. ო-ძე. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონი (მოგონებები). 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 13.

გვარდიელებმა, ვალიკო ჯუღელისა და ალექსანდრე დგებუაძის, აგრეთვე პოლკოვნიკ ალექანდრე ქონიაშვილის საერთო ხელმძღვანელობით, მათ წინაშე დასმულ საბრძოლო ამოცანას დიდი წარმატებით გაართვეს თავი. მცირერიცხოვანი გვარდიული რაზმის მიერ, რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღდმეგესთან დაპირისპირებაში, უმცირესი საბრძოლო დანაკარგების ფასად ფორსირებულ იქნა მდ. კოდორი, აყვანილ იქნა ტყვეები და დიდი საბრძოლო ალაფიც იქნა მოპოვებული. შეტევითი მოქმედებების ტემპი და სიღრმე ძალიან მაღალი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვარდიელთა საარტილერიო ბატარეის კარგი მოქმედებები და მისი მეთაურის, ვალიკო შარაშიძის მაღალი პროფესიონალიზმი.

რუსული წყაროები ბოლშევიკთა მარცხის მთავარ მიზეზად პირადი შემადგენლობის დაბალ საბრძოლო სულისკვეთებას ასახელებენ. კერძოდ: „პოლკს კარგი შეიარაღება და აღჭურვილობა ჰქონდა, მაგრამ პირადი შემადგენლობის დისციპლინა და მორალური მდგომარეობა არ იდგა სათანადო დონეზე. საბრძოლო მოქმედებების დროს პოლკი მოიხსნა პოზიციებიდან და პანიკით დაიხია უკან, ყუბანისაკენ.[1] ამ დასკვნას ნაწილობრივ ჩვენც ვიზიარებთ, ვითვალისწინებთ რა, ბოლშევიკთა წითელგვარდიული რაზმების პირადი შემადგენლობის დაბალ საბრძოლო სულისკვეთებასა და მათ ზოგად მორალურ-ზნეობრივ სახეს. თუმცა იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქართული მხარის მაღალი საბრძოლო სულისკვეთების პირობებშიც კი, სრულმასშტაბიან შეტევით ბრძოლაში 7 კაციანი დანაკარგი და ისიც მხოლოდ დაჭრილების სახით, ბრძოლის კარგ დაგეგმვაზე, ორგანიზაციასა და აღსრულებაზე მეტყველებს.

1918 წლის 17 მაისს, დღის 3 საათზე გვარდიის მეწინავე ქვედანაყოფები სოხუმში შედიან – „შეუძლებელია სოხუმელთა სიხარულის გადმოცემა. მოზეიმე ხალხი აღტაცების შეძახილებითა და ყვავილებით გვხვდებოდა" – წერდა შემდეგ ჯუღელი.[2] მისი მშობლიური ქალაქი გათავისუფლებული იყო. სოხუმის ე.წ. „ბოლშევიკური კომუნა", ბაქოს კომუნის ეს მახინჯი გადმოძახილი საქართველოში, ლიკვიდირებულ იქნა.

17 მაისი, ვალიკო ჯუღელი:

„ბოლშევიკები არ მოელოდნენ ასეთ სწრაფ და სამარცხვინო დასასრულს. მათი გაზეთი „Сухумская Правда" დღევანდელ ნომერშიც აქვეყნებს ცრუ ინფორმაციებს მათი გამარჯვებების შესახებ და გაბედულად აცხადებენ, რომ ფრონტებზე მათი მდგომარეობა მტკიცეა. ვკითხულობთ „Правда"-ს და მხიარულად გვეცინება მათ სიცრუეზე! ბოლშევიკთა შტაბი გაიქცა და ბედის ანაბარდ დატოვა თავისი მებრძოლები. როგორც ჩანს, ეს მათთან კარგ ტონად ითვლება!

ბოლშევიკები გაბედული და წესიერი ბელადები რომ ყოფილიყვნენ, ნამდვილად დაგვამარცხებდნენ! ისინი ხომ ჩვენზე გაცილებით ძლიერები უნდა ყოფილიყვნენ, არადა ჩვენი რაზმის შემადგენლობაზე ერთნახევარჯერ მეტი მხოლოდ ტყვე ავიყვანეთ, ალაფად კი, 18 ქვემეხი და 30 ტყვიამფრქვევი მოვიპოვეთ! მაგრამ მათ ნამდვილი კი არა, მხოლოდ თავკერძა ბელადები (Шкурники – ა. ჩ.) ჰყავდათ და ამ ბელადებს ეტყობა ძალიან უყვარდათ კარგი ცხოვრება. ისინი დიდებულ სასტუმროში იყვნენ განთავსებულნი და რჩეული კერძებითაც იკვებებოდნენ. შტაბისთვის განსაზღვრული მათი სადილი ჩვენ დაგვრჩა და დიდხანს ვიცინოდით, როცა ეშბას, სიოვას, ლაკობას, ამბერკისა და სხვა რჩეულების მსუყე სადილს მივირთმევდით! მათი სია კედელზე ეკიდა და მკაცრად იყო

---

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

[2] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 17.

მითითებული, რომ ამ მაგიდასთან დაჯდომა და უფასო სადილების ჭამა შტაბის წევრების გარდა, ყველას ეკრძალებოდა. ჩვენ ამ მაგიდას შემოვუჯექით და ჩვენს ხუმრობებს დასასრული არ ჰქონდა...

მადლობა თქვენ, გაქცეულო „ამხანაგებო" ასეთი გემრიელი სადილისათვის!.. ჩვენ ხომ თქვენთან შედარებით გაცილებით უარესად ვცხოვრობთ და ჯარისკაცული ქვაბიც მხოლოდ საერთო ვიცით..."[1]

სოხუმის გათავისუფლების შემდეგ გვარდიის მიერ ბოლშევიკური ბანდების დევნა გაგრძელდა. ბოლშევიკები გაგრაში გამაგრდნენ და ახალი შეტევისათვის მოემზადნენ. სამხედრო მეთაურად სიოვა კუხალეიშვილი დარჩა, ეფრემ ეშბა კი, სოჭში გაემგზავრა და „რევოლუციის გადსარჩენად" ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი საბრძოლო რაზმების შედგენა მოითხოვა. სოჭის მოსახლეობამ ეს მოთხოვნები უარყო. ეშბამ ეკატერინოდარსაც მიმართა, სადაც ფინანსური დახმარებაც მიიღო რაზმების ორგანიზებისათვის, მაიკოპში კი ახალი საბრძოლო რაზმების შედგენა დაიწყო.

სამთავრობო ჯარების წინსვლა გრძელდებოდა. სწრაფად განვითარებული შეტევის წყალობით გვარდიის ნაწილებმა გაგრაც გაათავისუფლეს, გააგრძელეს წინსვლა და ახალ ათონსა და გუდაუთაშიც შევიდნენ. მოეწყო თავდაცვითი პოზიციები. წითლებმა ადგილზე დატოვეს 11 ზარბაზანი, 21 ტყვიამფრქვევი, დიდძალი ტყვია-წამალი. გუდაუთასთან დააკავეს წითლების 1 ხომალდიც.[2]

„აფხაზეთის ბოლშევიკური რევოლუციის" მეორე ტალღაც ჩაცხრა, „სოხუმის კომუნა" დამხობილ იქნა. ამ უდღეურმა ფსევდოპოლიტიკურმა თუ ფსევდოსახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა მხოლოდ 40 დღე იარსება, თუმცა თავისი არსებობის ამ მოკლე პერიოდის განმავლობაშიც კი, მოასწრო აფხაზეთში თავისი სისხლიანი კვალის დატოვება.

თუ ბოლშევიკთა მარცხის მიზეზების კვლევას დავიწყებთ, ნათელი ხდება, რომ „აფხაზეთის რევკომმა" თავის მოქმედებებში რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ყველაზე დიდი შეცდომა გვარდიის ძალების არასათანადოდ შეფასება იყო. რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი, მაგრამ ცუდად ორგანიზებული, ნაკლებადმოტივირებული და საბრძოლო გამოცდილების არმქონე, ე.წ. „აფხაზეთის რევკომის" ბოლშევიკური ბანდების მოქმედებები ამიერკავკასიის მცირერიცხოვანი წითელი გვარდიის რაზმის წინააღმდეგ ნაკლებად ეფექტური და შედეგის მომტანი იყო. ამავე დროს, გვარდიის მოქმედებებისათვის მძლავრ მხარდამჭერ ფაქტორს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აფხაზთა სახალხო საბჭოს, კოდორი-სამურზაყანოსა და საერთოდ, აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი პოზიციები და მათი ანტიბოლშევიკური განწყობები წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ბოლშევიკური პუტჩის მარცხის მიზეზებს ასე აყალიბებს:

„რევოლუციურმა ორგანოებმა და ბოლშევიკურმა ცენტრმა აფხაზეთში მთელი რიგი შეცდომები დაუშვეს, რამაც კონტრრევოლუციას საბჭოთა ხელისუფლებაზე შეტევა და წარმატება გაუადვილა. სოხუმში მათ ხელუხლებელი დატოვეს ბურჟუაზიული სათათბირო, სადაც მოკალათებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები. ასევე ხელუხლებლად დარჩნენ ნაციონალური კომიტეტები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შტაბებს წარმოადგენდნენ. ვერ მოხერხდა

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 18.

[2] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 21. 05. 1918. გვ. 2.

დაუყოვნებლივი იერიშების მიტანა კოდორის უბანზე, სადაც აფხაზეთის კონტრრევოლუციის ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი. საბჭოების შემადგენლობაში აქა-იქ ისევ აღმოჩნდნენ შემთანხმებლები. აზნაურობა და კულაკობა აშკარად ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და სამზადისს.

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების ვითარება გართულდა იმითაც, რომ მენშევიკურმა ჯარებმა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ლიკვიდაცია შეძლეს და უშუალოდ აფხაზეთს მიადგნენ".[1]

1918 წლის მაისის ბოლოს, აფხაზეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ვალიკო ჯუღელმა, ამიერკავკასიის სეიმს, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მოახსენა, რომ ბოლშევიკები ყველანაირი გზებით ცდილობდნენ ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას, განსაკუთრებით ქართველებსა და სომხებს შორის, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. გვარდიელებს განსაკუთრებით გულითადი დახვედრები კი სამურზაყანოში გაუმართეს: „ისე აღტაცებულად მოსახლეობა არსად არ გვხვდებოდა, როგორც ოჩამჩირეში. რამდენი აპლოდისმენტები, რამდენი ყვავილები, რამდენი დღესასწაული... კოდორის აფხაზები ჩვენთან იყვნენ, გუდაუთისა კი – ბოლშევიკთა მხარეზე".[2]

როგორ ჰგავს ეს სურათი უკვე 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს – გუდაუთელ აფხაზებს მაშინაც ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი პოზიციები ეკავათ, სამურზაყანოელებს კი, ცხადია – პროქართული... მაშინ, 1918 წლის გაზაფხულზე, ქართული მხარის პოლიტიკურმა და სამხედრო ჩარევამ შეძლო რუსული ბოლშევიკური აგრესიის უსწრაფესად აღკვეთა, 90-იან წლებში კი იმპერიის სეპარატისტულმა იდეოლოგიურმა მანქანამ უფრო გამართულად იმუშავა. ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება მოხერხდა და ისევ რუსების მიერ, ისევ აფხაზეთის ტერიტორიაზე ინსპირირებული ახალი აფხაზურ-ქართული დაპირისპირება ხანგრძლივ და მძიმე ომში გადაიზარდა.

რუსული იმპერიული იდეოლოგიით შთაგონებული და მხარდაჭერილი აფხაზური სეპარატიზმის დღევანდელი იდეოლოგები ამიერკავკასიის წითელი გვარდიის მოქმედებების შესახებ მითებს თხზავენ და აფხაზეთის ბოლშევიკთაგან გათავისუფლების ოპერაციას „კონტრრევოლუციად" და „სისხლიან ოკუპაციად" ნათლავენ. რეალურად კი მდგომარეობა ზუსტადაც რომ საპირისპირო იყო. ამის შესახებ თვით აფხაზთა სახალხო საბჭოს იმდროინდელი ყველაზე რადიკალურად განწყობილი წევრების დ. ალანიას, მ. ტარნავას, მ. ცაგურიას განცხადებები მოწმობენ, რომლებიც საქართველოს მთავრობას წერდნენ:

„აფხაზეთში ქართული ჯარები პირველად ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს გამოჩნდნენ. ეს სახალხო გვარდია იყო, რომელსაც ვ. ჯუღელი და ა. დგებუაძე მეთაურობდნენ. სიამოვნებით აღვნიშნავთ გვარდიის იმ წრფელი და კორექტული დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც იგი ატარებდა აფხაზეთის მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში".[3]

საქართველოს მთავრობის განცხადებაში კი ნათქვამი იყო: „ბოლშევიკებმა, რომლებმაც რამდენიმე კვირის წინ ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება სოხუმსა და სოხუმის ოლქში, მათი მმართველობის საყვარელ ფორმას მიმართეს: სრულად დაანგრიეს და გააჩანაგეს იქაურობა, შეიტანეს დეზორგანიზაცია, ახდენდნენ მოსახლეობის ტერორიზირებას და აქამდე გაუგონარი კონტრიბუცია დააწერეს მათ – 2,5 მილიონი მანეთი. რევოლუციურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ბოლო მოეღო აუტანელი ანარქიისათვის. პოლკოვნიკ კონიევისა და სეიმის წევრის, ჯუღელის მეთაურობით გაგზავნილ იქნა გამოცდილი წითელგვარდიელების რაზმი და მცირე

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 444-445.
[2] გაზეთი „საქართველო". 1918 წლის 1 ივნისი.
[3] Ст. Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми: 1990. Стр. 65.

საჯარისო ნაწილები. რაზმმა ბრწყინვალედ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და სრულად გაანადგურა კარგად შეიარაღებული ბოლშევიკური საჯარისო ნაწილები. იგი ტრიუმფით შევიდა სოხუმში, რითაც აღდგენილ იქნა ჭეშმარიტად რევოლუციური წესრიგი.

ადგილებიდან ოფიციალური შეტყობინებები სავსეა იმ მხურვალე აღტაცებისა და მიღებების აღწერით, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ხვდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარებს – თავის განმანთავისუფლებლებს. მთელს გზაზე ჩვენს რაზმს უწყვეტ ოვაციებს უმართავდნენ. ჩვენი ალაფია: 400 ტყვე ბოლშევიკი, 11 ქვემეხი, მათ შორის ორი საალყო, 21 ტყიამფრქვევი, შაშხანებისა და სამხედრო სამოსელის დიდი რაოდენობა. ჩვენმა გამანადგურებელმა №525 გუდაუთასთან დააკავა დიდი სატრანპორტო ხომალდი, რომელიც სურსათის დიდი რაოდენობითა და ამბოხებულებით იყო სავსე. ისინი ტყვედ იქნენ წამოყვანილნი.

სოხუმის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების შემდეგ ქალაქის საბჭოს, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსა და სოციალისტური პარტიის კომიტეტების საზეიმო სხდომა გაიმართა, რომელსაც მრავალრიცხოვანი პუბლიკა დაესწრო. სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული ჩვენი რაზმის მილოცვისა და ამიერკავკასიის მთავრობის მტკიცე ნაბიჯების მხარადამჭრი რეზოლუცია".[1]

§7. ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება

1918 წლის მაისის ბოლოსათვის ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. არენაზე ახალი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ჩნდებიან. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში მიმდინარე ოსმალური სამხედრო ოკუპაციის ფონზე, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცხადდება და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა იშლება. ორ დღეში, 28 მაისს ცხადდება სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების შექმნაც.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანული პროტექტორატით აღიჭურვა, სადაც ივნისის დასაწყისიდან გერმანული ქვედანაყოფები იწყებენ შემოსვლას. გერმანული მისიის დიპლომატიურ და სამხედრო ხელმძღვანელად ამიერკავკასიაში, არტილერიის გენერალი, ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი ინიშნება. წარმატებული სამხედრო მოქმედებების შედეგად კი, საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი – ბათუმის ოლქი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონა, ოსმალურმა შენაერთებმა დაიკავეს „ომის უფლებით".

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 12.

ამიერკავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ჩრდილო კავკასიელმა ბოლშევიკებმა და სრულიად ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკის წინააღმ-დეგ ძალთა კონსოლიდაციის სტრატეგიას მიმართეს. მაისის ბოლოს ყუბანისა და შავიზღვისპირეთის საბჭოების III ყრილობაზე ე.წ. „ყუბანისა" და „შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკები" ერთ წარმონაქმნად ერთიანდებიან.[1] გარდა ამისა, ახლადგაჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისამართით მუქარის ხმები უკვე „ამიერკავასიის ბოლშევიკური მოძრაობის მექადან", ბაქოდანაც გაისმა. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებთან პარალელურად, ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლიდან ორ დღეში, 1918 წლის 29 მაისს, ბაქოს კომისართა დაშნაკურ-ბოლშევიკური საბჭო შემდეგ რეზოლუციას იღებს: „ბაქოს დემოკრატია და მთელი ამიერკავკასიის მუშები და გლეხები არაფრით არ შეურიგდებიან რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფას და იარაღით ხელში იბრძოლებენ თურქულ-გერმანული ბანდებისა და მათი მოკავშირეების, მოღალატე ჩხენკელის, ზიათხანოვის,[2] ყოელისა[3] და მათი კომპანიის წინააღმდეგ".[4]

და მოწოდებაზე – „წითელი არმიის ამხანაგო ჯარისკაცებო! ბაქოს არმიას როგორც განმანთავისუფლებლებს, ისე გველიან... დახმარება ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან მოდის"[5] – 1918 წლის 12 ივნისს, შაუმიანის ბრძანებით, ბაქოს კომუნის ბოლშევიკურ-დაშნაკურმა ე.წ. „წითელმა არმიამ" შეტევითი მოქმედებები დაიწყო დასავლეთისაკენ, განჯისა (ელიზავეტპოლი) და თბილისის მიმართულებაზე.

რუსეთის საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამიერკავკასიასთან და აქ ახლადშექმნილ რესპუბლიკებთან მიმართებაში კი ასეთი იყო – ეროვნებათა სახალხო კომისრის, ი. სტალინის წერილი ამიერკავკასიაში საბჭოთა მთავრობის რწმუნებულს, ს. შაუმიანს (1918 წლის 8 ივლისი):

„ამიერკავკასიასთან მიმართებაში ჩვენი პოლიტიკის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვაიძულოთ გერმანელები, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული საკითხები ცნობილ იქნას რუსეთის შიდა საკითხებად, რომლის გადაწყვეტაშიც გერმანელები არ უნდა ჩაერიონ. სწორედ ამიტომ არ ვაღიარებთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც გერმანიის მიერაა ცნობილი. შესაძლებელია, საქართველოსთან მიმართებაში ჩვენ გარკვეულ დათმობებზეც წავიდეთ გერმანელებთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები აღიარებენ სომხეთისა და აზერბაი-ჯანის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას. თქვენი წარმატებები ძალიან გვახარებს, მაგრამ თავი აარიდეთ გერმანელებთან საქმის გართულებას და ელიზავეტპოლის იქით

---

[1] Осадчий И.П. За власть трудового народа. - Краснодар, 1987. Стр. 97.

[2] ისმაილ ხან ზიათხანოვი (1867-1920) – რუსეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 1917 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აღმასკომის გადაწყვეტილებით ინიშნება განჯის მილიციის უფროსად. 1918 წლის მარტში ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც ებრძოდნენ ბოლშევიკურ-დაშნაკურ ძალებს შემახისა და გეოქჩაის (სევანის) მაზრებში. აზერბაიჯანის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მინისტრთა მე-2 კაბინეტის „სამხედრო საქმეთა რწმუნებული". 1920 წელს აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ განჯაში.

[3] ფათალი ხან ყოელი (1875-1920) – რუსეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-2 მოწვევის დეპუტატი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ გადმოდის საცხოვრებლად საქართველოში, სადაც მოკლულ იქნა სომეხ დაშნაკთა მიერ 1920 წლის 19 ივნისს ერევნის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი).

[4] Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX _ начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. Стр. 131. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.80, л. 101.

[5] ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.513, л.3.

ნულარ წახვალთ, ანუ, ნუ შეიჭრებით საქართველოს ტერიტორიებზე, რომელიც ოფიციალურადაა ცნობილი გერმანელთა მიერ".[1]

ლენინი 1918 წლის 26 მაისსა და საქართველოს დამოუკიდობლობის ფაქტს ასე აფასებდა:

„Независимость Грузии превратилась в чистейший обман, на самом деле это есть окккупация и полный захват Грузии германскими империалистами, союз немецких штыков с меньшавистским правительством против большевистских рабочих и крестьян".[2]

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, გიორგი ჩიჩერინმა კი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გაცნობისას განაცხადა: „Но большинство грузинского народа не одобряет этого шага…"[3]

ფაქტია, რომ ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკა ნელ-ნელა ბოლშევიკური აგრესიის რკალში ექცეოდა. ისიც ცხადი იყო, რომ რუსეთი ასე ადვილად ვერ შეელეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ყოველნაირად შეეცდებოდა პროვოკაციებისა და პირდაპირი სამხედრო ჩარევების გზით მის გასაბჭოებას. ასეთი ჩარევის საუკეთესო საბაბად კი, ე.წ. „большинство грузинского народа"-ს „უკმაყოფილებასა" და ინსპირირებულ შეიარაღებულ გამოსვლებს გამოიყენებდა. რეალურად კი, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე, და პირველ რიგში აფხაზ და ოს მოსახლეობაზე გაკეთდებოდა აქცენტები. უნდა გაძლიერებულიყო აგიტაციები და ბოლშევიკური პროპაგანდისტული მუშაობა, ქართულ სახელმწიფოში უნდა გაღვივებულიყო ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი განწყობების მუხტი.

ამიტომ აფხაზეთის რეგიონსა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულმა არასტაბილურმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აიძულა დამატებითი ღონისძიებები გაეტარებინა როგორც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე ქვეყნის შიგნით, აფხაზეთში ლეგიტიმური ხელისუფლების დაფუძნებისა და ფუნქციონირების გზით.

აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება – აფხაზთა სახალხო საბჭო, მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტს და მან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აღიარა. აფხაზთა სახალხო საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოს „აფხაზეთში ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანიზებისათვის აფხაზთა სახალხო საბჭოს განკარგულებაში დაეტოვებინა საქართველოს წითელი გვარდიის რაზმი, რომელიც ამჟამად იმყოფება სოხუმში".[4] ცხადია, ასეთივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული აფხაზეთის ფაქტიურ სამთავრობო ორგანოებშიც.

ამონაწერი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმიდან: „შეტყობინება სოხუმიდან, 1918 წლის 2 ივნისი. ათონის კომისართა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, გამოაცხადა სოხუმის ოკრუგი დამოუკიდებელ ერთეულად. აფხაზური საბჭო მხარს უჭერს საქართველოს რეპუბლიკის მთავრობას.

---

[1] Документы по истории гражданской войны в СССР, т. I. М. 1940. Стр. 289-290.

[2] Г. Р. Мархулия. „Красная" и „Белая" Россия против независимости Грузии (1918 г.). საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია. 2000. №3. გვ. Стр. 115. Д. Енукидзе. Крах империалистической интервенции в Закавказье. Тбилиси. 1954. Стр. 65-66.

[3] Г. Хундадзе. Советская власть и грузинское посольство в России. Тифлис. 1920. Стр. 17-18.

[4] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 413.

დაადგინეს: დატოვებულ იქნას რაზმი სოხუმში და აფხაზთა ეროვნულ საბჭოსთან კონტაქტში გაგრძელდეს მუშაობა".[1]

აფხაზეთში ახალი ბოლშევიკური აქტივობის ცენტრს, ისევე როგორც თებერვლის მოვლენების დროს, გუდაუთა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, სოხუმის განთავისუფლების შემდეგ, გვარდიის მთავარი შტაბის გადაწყვეტილებით, გუდაუთაში ანარქიის ჩაქრობისა და საერთო მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, გვარდიის მეწინავე ქვედანაყოფი, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების საგანგებო რაზმი გაიგზავნა. საგანგებო რაზმის ერთ-ერთი წევრი ასე აღწერს გუდაუთაში არსებულ იმდროინდელ საერთო მდგომარეობას:

„ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმი ქ. სოხუმის აღების შემდეგ დარჩა სოხუმის ოლქში ანარქიის ჩასაქრობად. 5 ივნისს რაზმი წითელი გვარდიის შტაბის განკარგულებით გაგზავნილ იქნა ქალაქ გუდაუთში. ჩვენი მოწინავე პოზიცია გუდაუთი გახდა. მთელი გუდაუთის რაიონი ბოლშევიკური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და ჩვენ შტაბთან არავითარ დამოკიდებულებაში არ იყვნენ. რაზმის შტაბმა მოაწყო ადგილობრივათ ქალაქის მილიცია და მთავრობაც.

ხალხი მეტად ჩამორჩენილია ამ კუთხეში. ვერც ერთ გაზეთს ვერ ნახავთ. ხალხი მოწყვეტილია სრულიად პოლიტიკური ცხოვრების გაგებას. ადგილობრივად კულტურული დაწესებულებები ცოტაა და უსიცოცხლო. ამით აიხსნება ადგილობრივი ხალხის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და აფხაზთა სახალხო საბჭოს მიმართ უნდობლობა. ეჭვის თვალით გვიყურებენ თვით რაზმელებსაც. სჩანს დიდხანს უმუშავია აქაურ მასებში ბნელ ძალებს და ხალხის სულიც მოუწამლავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაზმელები თავდაჭერილად, წინდახედულად, მიზანშეწონილად ეპყრობოდნენ ადგილობრივ ხალხს და არც აფიცრებს და არც ჩვენს რაზმელებს პაგონები არ ჰქონიათ, რისაც ძლიერ ეშინიათ ბალშევიკებს, მაინც კადეტებს და მემამულეების მოსყიდულებს გვიწოდებდა შეუგნებელი მასა. ასე იყო ჩასვლის ახლო ხანებში.

შემდეგ გუდაუთის დემოკრატიამ თანდათან გაგვიცნო და ჩვენთან დაიჭირა საქმე. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სამწუხაროდ, სოფლელი გლეხები არ გვიკარებდნენ ახლოს, მათში გაცხარებულად მუშაობდნენ ბ-ნი ლაკობა და მისი კომპანია, რომელთა მიზანი იყო ძმათა შორის სისხლის დაღვრა და ანარქიის გაძლიერება".[2]

1918 წლის 11 ივნისს ოფიციალურად მოეწერა ხელი ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და „აფხაზთა სახალხო საბჭოს" შორის, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობასთან აფხაზთა სახალხო საბჭოს წარდგინებით ინიშნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი, ხოლო ცენტრალური ხელისუფ-ლება, ანუ, საქართველოს მთავრობა იღებდა ვალდებულებას გამოეყო „აფხაზთა სახალხო საბჭოს" მიერ ჩამოსაყალიბებელი ინტერნაციონალური რაზმისათვის საჭირო აღჭურვი-ლობა და ფული.[3] 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულება უმნიშვნელოვანეს იურიდიულ აქტს წარმოადგენდა, რომლის ძალითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა). ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 55.

[2] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 10 ივლისი №142. გვ. 2.

[3] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 345. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 2.

შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე მისი ძირძველი ისტორიული კუთხე – აფხაზეთი შევიდა.

საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკმა[1] და შ. ალექსი-მესხიშვილმა, აფხაზური მხრიდან კი – რ. კაკუბავამ, ვ. გურჯუამ და გ. აჯამოვმა.[2] საქართველოს ცენტრალურ მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრმა, რობერტ ჩხოტუამ დაიკავა.

ბუნებრივია, რომ 11 ივნისის ხელშეკრულებას არ შეიძლება არ გამოეწვია კრემლის მესვეურთა გაღიზიანება და პოლიტიკური სიტუაციის მორიგი გამწვავება. კვლავ გაჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციის საფრთხე. ბოლშევიკური ექსპანსიის ახალ პლაცდარმად ამჯერად სოჭის ოლქი შეირჩა.

აფხაზეთსა და სოხუმზე ზეწოლის მიზნით სოჭში ჩამოყალიბდა ე.წ. „შავიზღვისპირეთის სანაპიროს დაცვის საგანგებო შტაბი" ნ. პოიარკოს თავმჯდომარეობით. პარალელურად, ბოლშევიკური აგენტურის მიერ აფხაზეთშიც დაიწყო ვითარების ხელოვნურად დაძაბვა, ცალკეული პირებისა და ბანდების შეგზავნა, სხვადასხვა სახის პროვოკაციების მოწყობა.

ამონაწერი გვარდიის მთავარი შტაბის 16 ივნისის სხდომის ოქმიდან: „მოისმინეს საქმეთა ვითარება სოხუმის ოკრუგში. მდგომარეობა რთულდება. მიმდინარეობს პროვოკაციები. მოწინააღმდეგის ძალები იზრდება. ჩვენი ძალები 200 კაცია, რომელთა შეცვლაც აუცილებელია... საჭიროა იქ გაიგზავნოს სამხედრო ნაწილი წითელგვარდიელთა შესაცვლელად. საჭირო არის ფული.

დაადგინეს:

შეტყობინებულ იქნას სამხედრო მინისტრს სოხუმის ოკრუგში მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შედგენა დაევალოთ ამხ. შათირიშვილსა და ხარაშს. მიეცეს წინადადება სამხედრო მინისტრს, წითელგვარდიელთა მაგივრად გაგზავნილ იქნას საჯარისო ნაწილები".[3]

არ იყო სიწყნარე სამურზაყანოშიც, რომელიც ბოლშევიკთა ავანტიურის შედეგად გამოვიდა „აფხაზთა სახალხო საბჭოს" კონტროლიდან. მდგომარეობა სულ უფრო და უფრო საგანგაშო ხდებოდა. აქ შეგზავნილი პროვოკატორების საქმიანობამ, ბოლშევიკური და „კიარაზის" ბანდების თარეშმა, სხვადასხვა კრიმინალური ბანდების მოქმედებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს. შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ აიძულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1918 წლის 18 ივნისს მიეღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც გადაწყდა, რომ „სამურზაყანოში არსებული ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად, დროებით, განსაკუთრებულ განკარგულების მიღებამდე, აღნიშნული უბანი სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეყვანილ იქნას ქუთაისის საგუბერნიო კომისრის დაქვემდებარებაში, რომელსაც დაევალოს აღნიშნული უბნის მოსახლეობაში შესაბამისი ზომების გატარება".[4] სამურზაყანოს მოსახლეობამ მასიურად დაიწყო გადასვლა სამეგრელოში.

---

[1] ნოე ხომერიკი – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.

[2] Сагария Б. Е. 1970. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми, Стр. 14.

[3] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 58.

[4] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 76.

საღად მოაზროვნე აფხაზ მოღვაწეებსაც სათანადოდ ჰქონდათ შეგნებული სიტუაციის მთელი სერიოზულობა. მათ კარგად ახსოვდათ „სოხუმის კომუნა" და სრულად ჰქონდათ გააზრებული ბოლშევიკთაგან მომავალი საფრთხის მთელი სიმძიმეც. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ცნობილი აფხაზი მოღვაწე და პოლიტიკური ლიდერი, ვლადიმერ ემუხვარი ოლქის კომისარს, მარღანიას:

„Зверства самурзаканских большевиков доходят до крайных пределов, в результате чего до 500 беженцев покинули участок и перешли в Зугдиди".[1]

სოხუმის მკვიდრი, ი. კორტი კი, გაზეთ „სახალხო საქმეში" წერდა: „...ამ ორი სამი თვის წინათ ბოლშევიკებმა სრულიად უმნიშვნელო ძალით მთელი აფხაზეთი ხელში ჩაიგდეს, გაანადგურეს ეკონომიურად და გახრწნეს ზნეობრივად, გააღვივეს ეროვნული შუღლი და გააჩაღეს სამოქალაქო ომი ვითომდა სოციალიზმის განსახორციელებლად...

ასეთ საბედისწერო დროს ჩვენ ვერ შევძელით აფხაზეთის პატრონობა და ჩვენი წითელი რაზმები მაშინ მოვიდა, როდესაც მთელი აფხაზეთი უკვე გახრწნილი და განადგურებული იყო... ჩვენი ჯარები შემოვიდა სოხუმში და აქ გაიყინა მისი მოქმედება. ბოლშევიკებმა გაგრისა და რაჭისკენ დაიწიეს და იქ იკრებენ ახლა ძალებს. ჩვენი ჯარები კი სოხუმისა და გუდაუთის იქით ვერ მიდის და ეს კი საერთო საქმეს ღუპავს...

ერთი სიტყვით, აფხაზეთის ცაზე შავი ღრუბლები კვლავ გროვდება, ჩვენ კი ამისათვის სათანადოდ არ ვზრუნავთ, არ ვემზადებით.

საჭიროა ჩვენის აზრით, უფრო მარტივი და გაბედული ნაბიჯების გადადგმა. საჭიროა მთელი აფხაზეთი გაიწმინდოს ბოლშევიკებისაგან და აღდგენილ იქნას აფხაზეთის ისტორიული საზღვრები, საჭიროა იარაღი აეყაროს ბოლშევიზმით მოწამლულ სოფლებს.... აფხაზეთის მშრომელმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ბოლშევიზმი მათ მოუტანს მხოლოდ ხიშტებსა და სისხლისღვრას, ხოლო ოსმალეთის ბატონობა აღადგენს მონობას და დაქვეითებას...

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვიმუშავებთ ჩვენ თვითონ. ჩვენის აზრით, რესპუბლიკის მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საზღვრების გაწმენდას და აღდგენას. დაუყოვნებლივ უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა აფხაზეთთან და აღადგინოს ნორმალური ცხოვრება".[2]

ასეთ ვითარებაში „აფხაზთა სახალხო საბჭომ" კვლავ მიმართა თხოვნით, ამჯერად უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წითელ გვარდიას, აღმოეჩინა დახმარება აფხაზეთისათვის.[3]

აფხაზთა სახალხო საბჭოს ამ თხოვნაზე წითელი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე შესაბამისი დადგენილება იქნა გამოტანილი. გვარდიის მთავარი შტაბის დადგენილებითა და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის ბრძანებით, აფხაზეთის რეგიონში რეგულარული ნაწილების გაგზავნის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ. 25.

[2] ი. კორტი. წერილი სოხუმიდან. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №261. ხუთშაბათი, 20 ივნისი, 1918 წ. გვ. 4.

[3] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ. 18.

§8. საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია

თავის მხრივ აფხაზმა ბოლშევიკებმა დახმარებისთვის კვლავ ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებას მიმართეს. 15 ივნისს ეშბა და ლაკობა მაიკოპში ჩადიან და სათავეში უდგებიან ბოლშევიკური საბრძოლო რაზმების ორგანიზებას. ამავე დროს, სოჭიდან და ადლერიდან მიიღეს კარგად შეიარაღებული 2000-კაციანი შევსება ავტომანქანებით, სოჭის აღმასკომის თავმჯდომარის, გ. კრიშტოფის ხელმძღვანელობით. ბოლშევიკთა ამ შეიარაღებულ რაზმს მაიკოპიდან გადმოსული პოლკიც შეუერთდა. ბოლშევიკთა ძალები შეივსო. ამ დროისათვის გვარდიის ძირითადი ნაწილები უკვე მცხეთასა და დუშეთში იყო გადასროლილი იქ დაწყებული ბოლშევიკური აჯანყების ჩასაქრობად და გუდაუთაში მხოლოდ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გვარდიის საგანგებო ბატალიონის მცირე გარნიზონი და ზესტაფონის რაზმის ერთი ოცეული იდგა – სულ 150-კაცი, პორუჩიკ ლევ ნოვიკოვის მეთაურობით. ბოლშევიკთა აშკარა რიცხობრივი უპირატესობა სახეზე იყო.

17 ივნისს ბოლშევიკებმა ალყა შემოარტყეს გვარდიის გუდაუთის რაზმს და სროლა აუტეხეს მას. სამი დღის ბრძოლების შემდეგ გვარდიელები იძულებული გახდნენ გაერღვიათ ალყა და უკან დაეხიათ ახალი ათონისაკენ. დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. საშიშროება შეექმნა სოხუმს, საჭირო გახდა რადიკალური ზომების გატარება.

გვარდიის საგანგებო ბატალიონის მებრძოლის მემუარიდან:

„17 ივნისი. პაპანაქება სიცხეა, საგანგებო რაზმი ქ. გუდაუთაში ბალშევიკური ჯარებით და აჯანყებულთა ბრბოებით გარშემორტყმული სამი დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა. საგანგებო რაზმიდან აქ ტყვედ ჩაუვარდა მტერს 70 კაცი. 24 კაცი კი შემთხვევით გადარჩა, გაარღვია მტრის რკალი და გუდაუთიდან გავიდა. ახალი ათონის მონასტერთან მისვლამდე აჯანყებულთა ბანდებთან შეტაკება გვიხდებოდა. მათ დაეჭირათ უკან დასახევი სოხუმ-გუდაუთის გზა. იმავე დღეს ჩავედით სოხუმში.

სოხუმში იდგა ერთი გუნდი ყვირილის რაზმისა, სხვა არავითარი რეალური ძალა იქ არ იმყოფებოდა მტრის შესაჩერებლად. ქალაქში პანიკა იყო. ამოძრავდნენ რეაქციონური ელემენტები და ენერგიულ აგიტაციას ეწეოდნენ ჩვენს წინააღმდეგ".[1]

გუდაუთაში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს უფრო დეტალურად „პრომეთეოსის" ფსევდონიმით აღწერს გვარდიის საგანგებო რაზმის ერთ-ერთი გადარჩენილი წევრი, სადაც ნათლად ჩანს როგორც გუდაუთის თავდაცვითი ბრძოლის ცალკეული პერიპეტიები და დინამიკა, ასევე ბოლშევიკთა მხრიდან ანგარიშსწორების უკვე წესად ქცეული არაადამიანური და სასტიკი მეთოდები:

„17 ივნისს ბოლშევიკებმა შეტევა დაიწყეს ახალი ათონის გარნიზონზე, ალყაში მოაქციეს ისინი. აქ იდგნენ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის რაზმი და ყვირილას მცირე 40 კაციანი რაზმი. მრავალრიცხოვანმა მტერმა ალყაში მოაქცია ეს რაზმი. „ჩვენი „პულემიოტჩიკები" ყოველ მხრით იბრძოდნენ ქალაქის დაცემის შემდეგაც. „პულემიოტის" პირი ყოველი მხრით ტრიალებდა და მტერს ახლოს არ უშვებდა. როცა საფრთხე გაძლიერდა, „პულემიოტები" ქუჩაში გავიტანეთ და უკნიდან შემოსულ მტერს შეუსვენებლივ ვესროდით. მტერი უახლოვდება „პულემიოტს" და სურს ყოველმხრივ ალყის შემორტყმით დაიჭირონ „პულემიოტჩიკები". ეს გმირული ბრძოლა გაგრძელდა მანამ, სანამ ტყვიები არ შემოგველია...

---

[1] გვარდიელი დ. ო-ძე. სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონი (მოგონებები). ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 13.

ქუჩაში ხელჩართული საშინელი ბრძოლაა. კომენდანტის მეთაურობით მცირედი რაზმი პირისპირ ხან აქ დაეტაკება მტერს და უკუაქცევს მას, ხან იქ. ახლათ ჩაჩუმებულ „პულემიოტთან" ახლოს თხრილში ჩაწოლილი გვარდიელი ტურაბელიძე „პულემიოტჩიკებს" უძახის: „მე აქ მოვკვდები ამხანაგებო, დაგეხმარებით, და თქვენ თავს უშველეთო". ის ყოველ მხრივ ესვრის შემოსეულ მტერს. მალე მისი უსულო გვამი ძაღლების საჯიჯგნად ქუჩაში ეგდო. ქუჩაში ბრძოლა 2 საათს გაგრძელდა. მტერი, რომლის რიცხვი რამდენიმე ათასამდე იქნებოდა, როგორც კალია ისე შემოესია ქალაქს ყოველი მხრიდან – ბალშევიკების ჯარები, აფხაზები და სხვა"...[1]

და შემდეგ:

„დაიწყო ჩხრეკა, დაპატიმრება, დაჭრილების დახოცვა, ტყვეების ცემა, დუქნების ძარცვა-გლეჯვა. აუწერელი სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ. სურათი მეტად საშინელი და გულშემზარავი... ხალხს ძალით, კონდახების ცემით, ხიშტებით, მოკვლით და სხვა საშუალებებით ხდიან იარაღს. იმ იარაღს, რომელსაც შეჰფიცა მასთან ერთად სიკვდილი. უცქერ ყოველივე ამას და გული გიკვდება, შურისძიების გრძნობა იღვიძებს. აგერ მოწყალების დები, ცემით სახე დასისხლიანებიათ, გაფითრებულნი არიან. უხმოა კვნესა და წუხილი. რაინდულია ყოველივე დამცირების ატანა რევოლუციონური რაზმელებისაგან. ამაყია მათი სული მხეცების ხელში ყოფნის დროსაც კი. მონურად ქედის მოხრის მაგიერ შურისძიების ცეცხლი ღვივდება მათში. ბევრი ტყვე მოკლეს, დანარჩენები შემთხვევით გადარჩნენ... ქალაქში ძარცვა-გლეჯა უმაღლეს წერტილს აღწევს. მიაქვთ ნაძარცვი საქონელი თავიანთ სახლებში. არის ლოთობა და დუქნების მტვრევა. ჩვენი ჯარისკაცების ნივთებიც დაიტაცეს...

ბალშევიკების ჯარებში ქართველებიც ბევრი ერია, განსაკუთრებით მეგრელები და რაჭველები. ყველანი აგინებდნენ ჟორდანიას, ჩხენკელს და წერეთელს. ტყვეებს გული არ უთმენდათ და შესაბამის პასუხს აძლევდნენ ხულიგან ბრბოს, რასაც კონდახებით ცემა მოყვებოდა და დასახვრეტად გამოყვანა. ბ-ნი ლაკობა, ურუშაძე, კაზლოვსკი და კომპანია მალე ეწვია ქალაქს. შტაბიც გუდაუთში გადმოიტანეს"...[2]

ტყვეების მიმართ დაუნდობელი ანგარიშსწორების უფრო ღია და შემზარავ სურათს აღწერს გაზეთი „დროება":

„გუდაუთის აღების დროს ბოლშევიკებმა დაატყვევეს 100-ზე მეტი კაცი, უმეტესად ტფილისიდან გაგზავნილი საგანგებო რაზმის ჯარისკაცები, რომლებიც გუდაუთს იცავდნენ. ამათში, როგორც ახლა ირკვევა, 11 კაცი აწამეს: ზოგს თვალები ამოსთხარეს, ზოგს ხელი მოსჭრეს, ზოგნიც ხანჯლებით აკუწეს. დანარჩენი გაგრისკენ წაიყვანეს ტყვედ. ბალშევიკებს მეთაურობდა ცნობილი ლაკობა. მის ლაშქარს შეადგენდა უმეტესად „ბოსიაკი" რუსები (ტყვედ წამოყვანილნი, თითქმის ყველანი არყით იყვნენ გაჟღენთილნი), აფხაზების ნაწილი და სომხობა..."[3]

ტყვეების მხოლოდ მცირე ნაწილმა გამოაღწია სამშვიდობოს. როგორც ჩანს, სწორედ ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა გვარდიელი „პრომეთეოსი".

გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმი.

---

[1] პრომეთეოსი. შავიზღვისპირის ფრონტი – რაზმელები ტყვედ ბოლშევიკების ხელში. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 31 ივლისი №160. გვ. 3.

[2] იქვე.

[3] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. უკანასკნელი ცნობები. 1918 წლის 3 ივლისი. №136. გვ. 2.

1918 წლის 17 ივნისი.

„ესწრებოდნენ: ამხ. ნ. ჟორდანია, წერეთელი, გეორგაძე და გ. მახარაძე;

თავმჯდომარე: მაისურაძე;

მდივანი: აუშტროვი;

მოისმინეს: სოხუმიდან შეტყობინება – მიმდინარეობს ბრძოლები გუდაუთაში. ჩვენი რაზმი ალყაშია მოქცეული. ბოლშევიკები დიდი ძალებით გვიტევენ. მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკული და მძიმეა. გადაუდებელია დაუყოვნებლივი დახმარება, როგორც ხალხით, ასევე აღჭურვილობით.

დაადგინეს: მიეცეს წინადადება სამხედრო მინისტრს უბრძანოს გენერალ მაზნიევს ორგანიზება გაუკეთოს სამხედრო ექსპედიციას სოხუმის ოკრუგში იქ არსებული ანარქიის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. გაიგზავნოს სოხუმში თბილისიდან 100 წითელგვარდიელი".[1]

1918 წლის 18 ივნისს საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლად ინიშნება.

გიორგი მაზნიაშვილი: „16 ივნისს კვლავ მოვიდნენ ჩემთან აფხაზეთის ეროვნული საბჭოს დელეგატები (დელეგატთა შორის ქალაქის მოურავი აღარ იყო) და მთხოვეს მეშველა მათთვის, რადგან ბოლშევიკები მეორედ შემოიჭრნენ აფხაზეთში. დელეგატები კვლავ მთავრობასთან გავაგზავნე. ორი დღის შემდეგ, 18 ივნისს სამხედრო მინისტრისაგან მივიღე დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მე ვინიშნები აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ნაპირების ჯარების უფროსად.

წინადადება მეძლეოდა დაუყოვნებლივ, დეპეშის მიღებისთანავე წავსულიყავი ქ. სოხუმში, სადაც მივიღებდი სრულ ინსტრუქციას აფხაზეთში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის – ისიდორე რამიშვილისაგან".[2] [3]

ამ პერიოდში დუშეთის მაზრაშიც იმდენად საშიში მდგომარეობა შეიქმნა, რომ იქ მოთარეშე ბოლშევიკური ბანდები მცხეთასაც კი დაემუქრნენ.

წითელი გვარდიის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი.
1918 წლის 20 ივნისი. ნომრის გარეშე.

მონაწილეობდნენ:

ჯუღელი, საღირაშვილი, აუშტროვი, მაისურაძე, ვარდოიანი, დგებუაძე, არაგველიძე, შენგელია, ახობაძე, ორჯონიკიძე, წერეთელი, ჟღენტი, შარაშიძე, ლომინაძე, წერეთელი ირაკლი, ჟორდანია და გეორგაძე.

მოისმინეს: რიგგარეშე განცხადება მცხეთაში არსებული მდგომარეობის შესახებ. „მდგომარეობა სერიოზულია. ბანდები, რომლებიც თავის თავს ბოლშევიკებს უწოდებს,

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 1.

[2] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 59-60.

[3] ისიდორე რამიშვილი (1859-1937) – ძველი მარქსისტი და რევოლუციონერი, ეგნატე ნინოშვილთან, ნოე ჟორდანიასა და სილიბისტრო ჯიბლაძესთან ერთად საქართველოში პირველი მარქსისტული ტიპის პარტიული ჯგუფის – „მესამე დასის" ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი. რუსეთის I მოწვევის დუმის დეპუტატი სოხუმის ოლქიდან, რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი ბიუროს წევრი 1917 წელს. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებული დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში. 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში აფხაზთა სახალხო საბჭოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი 1919-1921 წლებში.

მნიშვნელოვანი ძალებით, 1000 კაცზე მეტი, მოემართებიან მცხეთისაკენ. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

დაადგინეს:

1. სასწარაფოდ გაიგზავნოს მახარაძის ჯავშანმატარებელი სადგურ მცხეთაში;
2. დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მცხეთაში ბატარეის ოცეული ამხ. ვასაძის ხელმძღვანელობით;

გაიგზავნოს იქ პასუხისმგებელი პირი საქმის ვითარებაში გასარკვევად და მიმდინარე მოვლენების სახელმძღვანელოდ".[1]

ფაქტია, რომ 1918 წლის ივნისისათვის საქართველოში არსებული საერთო მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მიუხედავად იმისა, რომ 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებით ოსმალეთთან საომარი მოქმედებები თითქოს დასრულდა და სამშვიდობო ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი, საერთო ჯამში, ოსმალური საფრთხე საბოლოოდ მაინც არ იყო თავიდან აცილებული. ამიტომ ნატანების პოზიციებიდან ნაწილების მოხსნა და ამ რეგიონში ოსმალეთის ფრონტის დასუსტება არ შეიძლებოდა. დუშეთში, ლეჩხუმსა და ცხინვალის რეგიონში დაწყებული ბოლშევიკური გამოსვლებიც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, რაც ამ მიმართულებებზე რესპუბლიკის სამხედრო ძალების გარკვეულ თავმოყრას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, გენერალ მაზნიაშვილის ხელთ არსებული ძალები და საშუალებები მეტად შეზღუდული იყო. იგი იძულებული შეიქმნა მინიმალური ძალებით – თავისი დივიზიის მხოლოდ მე-3 პოლკის სამი ასეულით, 4 ტყვიამფრქვევითა და ერთი ბატარეით დაძრულიყო სოხუმისაკენ. 18 ივნისს იგი ფოთიდან სასწრაფოდ გაემგზავრა სოხუმში გემით. 19 ივნისის გამთენიისას, გენერალი მაზნიაშვილი, მისი შტაბის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი თუხარელი და ორი ადიუტანტი უკვე სოხუმში იყვნენ, სადაც გაირკვა, რომ „ბოლშევიკებმა აფხაზი ლაკობას მეთაურობით კვლავ დაიჭირეს გუდაუთა, ამოხოცეს გვარდიის მეწინავე რაზმი და მოიწევენ სოხუმისაკენ. ამჟამად ბოლშევიკებმა ახალ ათონს მოაღწიეს".[2] 19 ივნისის საღამოსვე გენერალ მაზნიაშვილის ძალები გემით ფოთიდან სოხუმში გადმოსხდნენ.

ბოლშევიკური აგრესიის აღსაკვეთად გენერალ მაზნიაშვილის მიერ ქმედითი ღონისძიებები იქნა გატარებული ძალების მობილიზაციისა და ორგანიზების მხრივ. პროსაბჭოთა და გრუზინოფობი ავტორების ნააზრევებისა და მცდელობების მიუხედავად, რომლებიც ჯუღელის გვარდიული რაზმის მსგავსად, მაზნიაშვილის შენაერთის ქართველ „ნაციონალისტებად" დახატვას ცდილობენ, რეალურად, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთი, ისევე როგორც ჯუღელის რაზმი, თავისი ეროვნული შემადგენლობით ინტერნაციონალური სამთავრობო ჯარი იყო, და ისინი არა აფხაზების, არამედ ბოლშევიკების სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საკუთარი სამშობლოს დასაცავად იქნენ მობილიზებულნი. სხვათა შორის, აფხაზეთში დარჩენილი გვარდიული რაზმის საერთო მეთაური და ქალაქ სოხუმის გარნიზონის უფროსი – ეროვნებით რუსი გვარდიელი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პორუჩიკი ლეონიდ ტუმარკინი იყო. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუდაუთის გვარდიის საგანგებო რაზმის მეთაურსა და გუდაუთის გარნიზონის უფროსს, ასევე რუსი ეროვნების გვარდიელი, ლევ ნოვიკოვი წარმოადგენდა. იგი ბრძოლებში ორჯერ დაიჭრა, მაგრამ მაინც ბოლომდე ვაჟკაცურად იდგა და არ მიუტოვებია პოზიციები.[3] ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გენერალ მაზნიაშვილის თხოვნითა და აფხაზთა ეროვნული საბჭოს მეცადინეობით, სასწრაფოდ

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 2.

[2] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 60.

[3] ი. ც-ძე. წერილი სოხუმიდან – ჩვენი მეგობრები. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 11 აგვისტო. №169. გვ. 2.

მოხერხდა ადგილობრივი ძალების მობილიზებაც, კერძოდ, 300 ცხენოსანი აფხაზი (ეროვნებით აფხაზი, და არა ვინმე სხვა) გენერალ მაზნიაშვილის რაზმს დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა. მალე მაზნიაშვილის შენაერთს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკთა რაზმიც შეუერთდა, რომლებიც ბოლშევიკთა ტერორს იყვნენ იქიდან გამოქცეულნი. გავუსწრებთ მოვლენებს და აქვე ვიტყვით, რომ მოგვიანებით, გენერალ მაზნიაშვილის რაზმში გაერთიანებულ კაზაკთა საერთო რაოდენობამ დივიზიას მიაღწია.

ასე, რომ ჯუღელის გვარდიული რაზმისა და გენერალ მაზნიაშვილის საჯარისო ნაწილის პირადი შემადგენლობის ქართველ ნაციონალისტებად დახატვა, სეპარატისტული და იმპერიული ისტორიოგრაფიის მიერ შეთხზული მორიგი მითი და არაკია.

აფხაზეთის პოლიტიკურ სპექტრშიც არსებობდნენ პიროვნებები, რომლებიც საღად აფასებდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და ღია პროქართული და სახელმწიფოებრივი პოზიციები ეკავათ. აფხაზური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენელი, აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრი, ეროვნებით ბერძენი, ი. ფაშალიდი, ერთ-ერთ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა. მან ზუსტად განსაზღვრა ბოლშევიკთაგან მომავალი საფრთხე და თავის გამოსვლებში მუდმივად იმეორებდა, რომ „რუსეთის დიდი რევოლუცია სამწუხაროდ იმ გზით წავიდა, როცა ყველა მონაპოვართა შორის ჩვენ ხელში გვრჩება მხოლოდ პატარა საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც წყვდიადით მოცულ ღამეში ნათელ სხივად ანათებს. ამ რესპუბლიკას ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ და ყოველმხრივ დავეხმაროთ მას".[1]

დავუბრუნდეთ ისევ გენერალ მაზნიაშვილს, სოხუმის ფრონტს და ქართული მხარის საბრძოლო სამზადისს.

მიუხედავად ჩატარებული დიდი სამობილიზაციო სამუშაოებისა, 1918 წლის 20 ივნისის მდგომარეობით, ქართული მხარის ძალები მაინც მეტად მცირერიცხოვანი იყო: სულ 500 ქვეითი, გვარდიელების ჩათვლით, 300 აფხაზი ცხენოსანი და ერთი საარტილერიო ბატარეა. მაგრამ ქართული მხარე ერთ დიდ უპირატესობას ფლობდა. გენერალ მაზნიაშვილის განკარგულებაში იმყოფებოდა ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი 3 სწრაფმავალი კატარღა (ე.წ. „Истребитель-გამანადგურებელი") და სატრანსპორტო ხომალდი „წმ. მიხეილი", რომელზეც ორი 3 დუიმიანი ქვემეხი იყო დამონტაჟებული. ზემოთ ვახსენეთ, რომ ეს ხომალდი ბათუმში ჩამოერთვათ „რევოლუციონერ" რუს მატროსებს, რომლებმაც იგი თურქებს „მიჰყიდეს". რა თქმა უნდა, მაზნიაშვილის ძლიერი მხარე, აგრეთვე აფხაზური კავალერია იყო, რაც სადაზვერვო ამოცანების შესრულებისა და მოწინააღმდეგის დევნის კარგ საშუალებას წარმოადგენდა.

რევკომის ადგილობრივმა ძალებმა და სოჭი-მაიკოპის წითელმა პოლკებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ახალ ათონთან შეჩერდნენ და დაყოვნების გარეშე, პირდაპირ არ წამოვიდნენ საბრძოლო მარშით სოხუმზე. როგორც ჩანს ბოლშევიკები შეპირებული დამატებითი ძალების მოლოდინში იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სოჭის ოლქიდან, აგრეთვე შავი ზღვის ფლოტის იმ მცურავი საშუალებებისა, რასაც თავად ლენინი შეპირდა ეშბას. ბოლშევიკები ზედმეტად ფრთხილობდნენ და სოხუმზე შეტევის დაწყება ვერ გაბედეს. მათ კარგად ახსოვდათ ჯუღელის მიერ მიცემული მწარე გაკვეთილი. ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ბოლშევიკები ახალ ათონთან შეყოვნდნენ, ამან კი გენერალ

---

[1] ი. ც-ძე. წერილი სოხუმიდან – ჩვენი მეგობრები. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 11 აგვისტო. №169. გვ. 2.

მაზნიაშვილს ძალების შევსების დრო და მათი გადაჯგუფების საშუალება მისცა. ბოლშევიკთა შეუჩერებელი წინსვლის შემთხვევაში ქართული მხარე მძიმე განსაცდელში ჩავარდებოდა. ორი წითელი პოლკისა და „კიარაზის" ბანდფორმირებების შემოტევის მოგერიება სოხუმის მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონისათვის შეუძლებელი თუ არა, მეტად რთული ამოცანა იქნებოდა.

ერთი კვირის განმავლობაში გენერალ მაზნიაშვილის ძალები შეივსო, გადაჯგუფდა და ოპერაციის დაწყების თარიღად 27 ივნისი დასახელდა.

საგანგებო ბატალიონის მებრძოლის მემუარიდან: „საბედისწერო წუთები დადგა. ასეთ მდგომარეობას კარგად გრძნობდა ის ნაწილი რაზმისა, რომელიც ბალშევიკებს ხელიდან დაუსყლდა. გადავწყვიტეთ ისევ პოზიციაზე წასვლა, თუმცა ჩვენ გაგზავნას მაშინ არავინ არ ფიქრობდა. შიში და სილაჩრე გვარდიელებში არ სუფევდა. გვარდიელმა სურგულაძემ ისიდორე რამიშვილს უთხრა „რა არის საშიში, მარტო მე ოთხ ტყვიამფრქვეველს ვამუშავებ. ასევე ჩემი ამხანაგები, და მტერი რას დაგვაკლებსო". ისიდორეს გაუკვირდა ეს სითამამე. მომეცით ჩემი ტყვიისმფრქვეველი – დაიძახა რაზმის უფროსმა ს. ღლონტმა. მსწრაფლ დავირაზმეთ და სოხუმიდან 8 ვერსზე გუმისთის ხიდთან გავმაგრდით, სადაც სამი დღე დავყავით. მალე დამხმარე ძალები მოგვივიდა გენ. მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით და მოგვეცა საშუალება გამოცვლისა. ჩვენ სოხუმში დავბრუნდით, თავი მოვიყარეთ. გაიხსნა კრება.

კალამი ვერ აწერს იმ სურათს, რასაც გაშეშებული გვარდიელების უსიტყვო კრება წარმოადგენდა. რაზმის უფროსი ღლონტი ათრთოლებული ხმით აკეთებს მოხსენებას. ამბობს: „გახედეთ ამხანაგებო ერთმანეთს! რამდენი ვიყავით და რა დავრჩით. ჩვენი რაზმი ხელში ჩაუვარდა ჯალათებს, რომელთა ხელიდან მათი განთავისუფლების აზრს სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვოთ. ხმებია, თითქოს ყველანი დაუხვრეტიათ. ახლა რაღა ვართ, რას წარმოვადგენთ. უმჯობესია ჩვენ გავქრეთ, რომ გულსაკლავად არ ვუყუროთ ჩვენს საშინელ ტრაღედიას. გენ. მაზნიაშვილს სურს ჩვენი მცირერიცხოვანი რაზმის სოხუმში დატოვება წესრიგის დასაცავად. როგორც გსურთ, ისე მოვიქცეთო. გვარდიელების ნაღვლიანი თვალები აშკარად გამოხატავდა მწუხარებას და თან შურისძიებას ჯალათი მტარვალების მიმართ. ეს უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ გმირთა უსაზღვრო სულიერი ტანჯვა და შურისძიების გრძნობით გაბოროტება იყო. გადაწყდა: ეთხოვოს გენ. მაზნიაშვილს, რათა მან გაგვაგზავნოს ყველაზე წინ შეტევაზე გადასვლისას, ან სრულიად განადგურება და რაზმის სახელის სამუდამოდ მოსპობა, ან მტერზე შურისძიება და დატყვევებული ამხანაგების განთავისუფლება.

გენ. მაზნიაშვილმა თხოვნა დააკმაყოფილა, მეორე დღეს ახალი ათონის მონასტერთან გავჩნდით, საცა იმ დროს ბრძოლა სწარმოებდა და მისვლისას დავიკავეთ მეწინავე ხაზი. 23 ივნისს შეტევაზე გადავედით და ქ. გუდაუთი ავიღეთ. მტერმა მდინარე ბზიფამდე დაიხია, მას უკან დავედევნეთ, ჩვენი რაზმი გადაიქცა მეწინავე „დამკვრელ რაზმად". გათენებისას ბზიფის ხიდს მივუახლოვდით. მზვერავებმა ხიდს გაღმა მტერი შენიშნეს და აუტეხეს სროლა. პირველათ „დამკვრელი რაზმი" გაიგზავნა. გვქონდა სამი ტყვიამფრქვეველი. ხიდთან მიახლოებისას დავათვალიერეთ გაღმა ნაპირი და რაკი შევნიშნეთ, რომ იქ მოწინაღმდეგეს დიდი ძალები არ ჰყავდა, გადავსწყვიტეთ ბრძანების მიუღებლად შეტევაზე გადასვლა. მოულოდნელად ჩვენი მხრიდან გაიშალა ტყვიამფრქვეველთა ცეცხლი, რომლიც დახმარებით გვარდიელები სროლით გარბოდნენ წინ.

15 წუთში ყველაფერი გათავდა.

ხიდი დავიჭირეთ, მტერს 9 კაცი მოვუკალით. რამოდენიმე დავატყვევეთ და უმრავლესობამ მოასწრო გაქცევა. ჩვენი მხრიდან ზარალი არ ყოფილა. აქ მათ წავართვით

ბალშევიკური დროშა, რომელიც იმავე წლის ენკენისთვეში ტფილისში დაბრუნებისას ჩავაბარეთ მთავარ შტაბს".[1]

ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია მართლაც ელვისებური იყო. ახლადფორმირებული ქართული რეგულარული ჯარის ნაწილები აფხაზურ კავალერიასთან ერთად ბოლშევიკთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ და ხელმეორედ გაანთავისუფლეს ახალი ათონი, 23 ივნისს – გუდაუთა, 28 ივნისს – გაგრა. უმოკლეს დროში აფხაზეთი მთლიანად იქნა გასუფთავებულ ბოლშევიკური ბანდებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან და სოჭის ოლქიდან გადმოსული წითელგვარდიული ქვედანაყოფებისაგან.

განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ ბოლშევიკებმა უკან დახევა დაიწყეს, ყუბანისაკენ. გაიარეს სტანიცა ბელორეჩენსკი, მაიკოპი, სტანიცა ნევინომისსკი და წითელარმიელთა ძირითად ძალებს შეუერთდნენ. ბოლშევიკთა ეს მანევრი არა უკანდახევას, არამედ პანიკურ გაქცევას უფრო ჰგავდა.

სახმელეთო ოპერაციებთან ერთად, ქართული შენაერთის მიერ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში ზემოთ ხსენებული მცურავი საშუალებებიც იქნა ჩართული – 3 კატარღა და ქვემეხებით აღჭურვილი სატრანსპორტო გემი „წმინდა მიხეილი". „წმინდა მიხეილმა" სოხუმთან მოულოდნელი გამოჩენისას საარტილერიო ცეცხლით ხმელეთზე მწყობრიდან გამოიყვანა წითლების ქვემეხი, ააფეთქა ჭურვების საწყობი, რითაც დიდი პანიკა გამოიწვია მოწინააღმდეგის ბანაკში. ქართული სამხედრო ფლოტის ხომალდებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი და აფხაზეთზე ბოლშევიკური თავდასხმის მოგერიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. დასახული ამოცანა – ზღვიდან სახმელეთო ქვედანაყოფებისთვის საარტილერიო ცეცხლით მხარდაჭერა, შესრულებულ იქნა.

ახალ ათონთან გამართულ ბრძოლებში ქართული ხომალდები ასეთივე წარმატებით გამოიყენებოდა როგორც სადესანტო, სადაზვერვო და მხარდამჭერი ოპერაციების ჩასატარებლად, ასევე საბრძოლო მასალებისა და სურსათის გადასატანად, ფრონტზე შემცვლელი ნაწილების ჩასაყვანად და სხვა.

ე.წ. „აფხაზეთის რევკომის" წევრები, ეფრემ ეშბა და გევორქ ათარბეგოვი უკანდახეულ ბოლშევიკურ რაზმებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში გაქცევით შველიან თავს. აქვე გრძელდება მათი შემდგომი „რევოლუციური საქმიანობაც" – ეშბასი დაღესტანში „პარტიულ ფრონტზე", ათარბეგოვისა კი – ВЧК-ს ორგანოებში. აქ მათი გზები გაიყრება და მათ აღარ მოუწევთ ერთად მუშაობა. ისინი აღარასოდეს აღარ შეხვდებიან ერთმანეთს...

1919 წლის ნოემბერში ეშბა პარტიის „განსაკუთრებული დავალებით" არალეგალურად ჩამოდის თბილისში.[2] აქ იგი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მორიგი ბოლშევიკური აჯანყების მოწყობაში მონაწილეობს. მას აპატიმრებენ და მეტეხის ციხეში სვამენ.[3] 1920 წლის მაისში კი, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით ეშბას ათავისუფლებენ. იგი შემდგომი რევოლუციური მოღვაწეობისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის, სადაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ეკატერინოდარის ქალაქკომის თავმჯდომარის მოადგილედ ნიშნავენ. საბოლოოდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ათარბეგოვი 1925 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპება თბილისის მახლობლად, ეშბას კი, 1939 წელს დახვრეტენ „ტროცკისტულ ჯგუფში" მონაწილეობის ბრალდებით.[4]

---

[1] გვარდიელი დ. ო-ძე. სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონი (მოგონებები). ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 13.

[2] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 46.

[3] ЦГАА, ф. 339, д. 18, л. 54. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 80. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[4] Залесский К. А. Империя Сталина. Биографический энциклопедический словарь. Москва, Вече, 2000.

განსხვავებულად წარიმართა კიდევ ერთი „აფხაზი რევკომელის", ნესტორ ლაკობას შემდგომი „მოღვაწეობა". ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისა და ჩადენილი მძიმე დანაშაულობების გამო, საქართველოს მთავრობამ იგი დააპატიმრა და გაასამართლა. მეტად ლირიულად, მაგრამ რეალისტურად აღწერს ლაკობასთან დაკავშირებულ ერთ ეპიზოდს მ. ბღაჟბა:

„1919 წლის დასაწყისში სოხუმის ციხე, რომელიც კომუნისტებით იყო გადავსებული, მენშევიკმა ჯალათმა, ვალიკო ჯუღელმა მოინახულა. მან ნესტორ ლაკობას მიმართა:

– თქვენ როგორ მოიქცეოდით, მე რომ ჩაგვარდნოდით ტყვედ?

ლაკობამ მშვიდად უპასუხა:

– ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაგხვრეტდით!"[1]

ვერაფერს ვერ იტყვი, „ნამდვილი ბოლშევიკის" გულწრფელი პასუხია, დაუნდობელი და სისხლისმსმელი ბოლშევიკისა. ლაკობაც მეტად პრინციპულ და ღირსეულ პერსონადაა წარმოდგენილი. თუმცა, ბღაჟბას პათეტიკა და ბოლშევიკური ჰეროიზმის სტილში წარმოდგენილი ეს ეპიზოდი, ნამდვილად ეჭვებს ბადებს. ლაკობას წარსულიც, მისი აფხაზეთში „მოღვაწეობაც" და მოვლენების შემდგომი განვითარებაც ცალსახად მეტყველებენ ამაზე.

ფაქტია, რომ ნესტორ ლაკობა განთავისუფლებულ იქნა ქართველი სოციალ-დემოკრატების ზედმეტად ჰუმანური და შემწყნარებული პოლიტიკის გამო. ლაკობამ თითქოს მოინანია კიდეც საქართველოს, აფხაზი და ქართველი ხალხების წინაშე ჩადენილი დანაშაული და ითანამშრომლა მთავრობასთან. უფრო მეტიც, 1919 წლის მარტში იგი ოჩამჩირის რაიონის მილიციის საუბნო კომისრადაც კი დაინიშნა. მაგრამ ძალიან მალე გამოჩნდა მისი ორსახოვანი ბუნება. ხალხის სამსახურის მაგივრად მან ისევ ანტიხალხურ, ანტიაფხაზურ, ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მუშაობას მიჰყო ხელი – აგენტურული ქსელის ორგანიზება, ინფორმაციების მოპოვება და შეგროვება, მოსახლეობაში ბოლშევიკური აგიტაციების წარმოება, მომავალი ბოლშევიკური აჯანყებისათვის ნიადაგის შემზადება და ა.შ. შემდგომში ნესტორ ლაკობა წერდა, რომ კომისრად მუშობის პერიოდში მის მიზანს შეადგენდა:

„ადგილობრივი დიდებულების, თავადებისა და ქართველი მენშევიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფი კოდორის უბნის მშრომელების მომზადება იმ საერთო აჯანყებისათვის, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა აფხაზეთში, საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში, მიმართულს ამიერკავკასიის ეროვნული მთავრობების, მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატების წინააღმდეგ".[2] ისევ ეპოქისა და იდეოლოგიის შესაფერისი ზოგადი, ცრუ და არაფრისმთქმელი ფრაზები.

ლაკობას ორსახოვანი თამაშები კი, დიდხანს არ შეიძლება გაგრძელებულიყო – საქართველოს მთავრობამ მისი დაპატიმრების სანქცია გასცა, მაგრამ „პროფესიონალმა რევოლუციონერმა" მსწრაფლ იყნოსა საშიშროება და შეძლო თავი დაეღწია დაპატიმრებისათვის. მან ფარულად დატოვა აფხაზეთი.[3]

---

[1] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 28. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_ nestor_lakoba.html.

[2] იქვე.

[3] Василий Авидзба. К 120-летию со дня рождения Нестора Аполлоновича Лакоба. Доклад на юбилейном собрании директора Института гуманитарных исследований им. Д. Гулиа. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 30. 04. 2013.

შემდგომში ლაკობა აღნიშნავდა, რომ 1918 წელს „ბრძოლა ძალიან დაუნდობელი იყო, ხოლო 18 წლის გამარჯვებები ჩვენ უდიდესი მსხვერპლის გაღებად, შეცდომებად და უკანდახევად დაგვიჯდა".[1]

გარკვეული პერიოდი ლაკობა არალეგალურად ბრიტანელთა მიერ ოკუპირებულ ბათუმში ცხოვრობდა და პარტიის დავალებებსაც ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ ლაკობასათვის ბათუმი ძალიან ნაცნობ და თითქმის „მშობლიურ" ქალაქს წარმოადგენდა. სწორედ ბათუმს უკავშირდება მისი სიჭაბუკეც და მისი დიდი „რევოლუციური ცხოვრების" გზის დასაწყისიც, სადაც იგი სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის ჭაბუკი ჩავიდა 1911 წელს საცხოვრებლად და აქ ბოლშევიკებს დაუკავშირდა. სწორედ აქ, ბათუმში დაიწყო მან სანიტარულ აგენტად მუშაობა და თავისი ბელადისა და დიდი მასწავლებლის, სერგო ორჯონიკიძის დარად, ფერშლის უნიფორმაში ჩაცმული ასრულებდა ბოლშევიკთა „პარტიულ დავალებებს". ძნელი მისახვედრი არაა თუ რა ტიპის „მოღვაწეობასა" და პარტიის რა დავალებებზე შეიძლება იყოს აქ საუბარი. აქვე, ბათუმში გახდა 1912 წელს ნესტორ ლაკობა ბოლშევიკური პარტიის წევრი.

და ახლაც, უკვე 1919 წელს იგი ისევ „მშობლიურ" ბათუმშია და ისევ თავგანწირვით ებმება „რევოლუციურ ქარცეცხლში". ეს იყო აგენტურული მუშაობა, ტერორისტული და დივერსიული აქტების ორგანიზება ინგლისელთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. ლაკობა შედიოდა რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მიერ გამოყოფილი სამეულის იმ შემადგენლობაში, რომელიც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკთა არალეგალურ საქმიანობას ბათუმის ოლქში. მასთან ერთად აქ მუშაობდნენ კ. ინალიფა, მ. ლაკობა, ზ. ბენია, ხ. ჟიქირბა და სხვა აფხაზი რევოლუციონერები.[2]

ზოგიერთი მონაცემებით, სწორედ მის მიერ იქნა აფეთქებული ქობულეთთან სარკინიგზი ხიდი და ნავთობსადენი, ხოლო ბათუმში, 1920 წლის აპრილის ბოლოს მოკლულ იქნა ცარისტი რუსი გენერალი, ვლადიმერ ლიახოვი (ამ უკანასკნელზე ქვემოთ გვექნება საუბარი). „ნ. ლაკობა ამ გაბედული ოპერაციების ხელმძღვანელთა შორის იმყოფებოდა" – წერს იგივე მ. ბღაჟბა.[3] სხვა წყაროებით გენერალი ლიახოვი, როგორც „რევოლუციური მოძრაობის ჯალათი", ბოლშევიკი გუბელის (მეძმარიაშვილი) მიერ იქნა მოკლული.[4]

ამის შემდეგ, ნესტორ ლაკობა დაუყოვნებლივ ტოვებს ბათუმს და მოსკოვს მიემგზავრება. მოსკოვში იგი კრემლის პატრონებისაგან ახალ „პარტიულ დავალებებს" იღებს. უკვე ჩამოყალიბებული „ბოლშევიკი" და „პროფესიონალი რევოლუციონერი" მოსკოვიდან ამჯერად ჩრდილოეთ კავკასიაში, ეკატერინოდარში იგზავნება. აქ იგი „ყუბანი-შავიზღვისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" აღმასრულებელი კომიტეტის მთიელთა სექციის თავმჯდომარედ ინიშნება...[5]

---

[1] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 26. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m _nestor_lakoba.html.

[2] Г. А. Дзидзария. Из истории революционных связей Абхазии и Аджарии. Академия наук Абхазии. Абхазскийи нститут гуманитарных исследований им. Д. И. Гулия. Труды. Том III. Из неопубликованного наследия. Сухуми. 2006. Стр. 199.

[3] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 31. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m _nestor_lakoba.html.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI. თბილისი. 1978, გვ. 513.

[5] Куправа А. Э. Люди: время и жизнь. - Сухуми, 2008. Стр. 309.

ნესტორ ლაკობას შემდგომი „პარტიული და სახელმწიფო" მოღვაწეობა კი, უკვე ანატოლიას, ოსმალეთში გადახვეწილ აფხაზ მუჰაჯირებს, ე.წ. „ახალ თურქულ მოძრაობას", „თურქეთის დიდ ეროვნულ კრებასა" და მის თავმჯდომარეს, გენერალ მუსტაფა ქემალს უკავშირდება...

მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

§9. ქართული ქვედანაყოფების წინსვლა და ოსმალური დესანტის საკითხი

მიუხედავად ქართული მხარის მიერ სოხუმი-გაგრის რაიონში წარმატებულად ჩატარებული სამხედრო კამპანიისა, საერთო მდგომარეობა აფხაზეთში მაინც გაუსაძლისი იყო, განსაკუთრებით იქ შექმნილი საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი. საქმე იმაშია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ბოლშევიკებს ფაქტობრივ ბლოკადაში ჰყავდათ მოქცეული შავიზღვისპირეთის რეგიონი, რის გამოც აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. საუბარი ძირითადში ნავთობსა და პურს ეხება. გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ აფხაზეთიდან ბოლშევიკური ბანდების განდევნითა და მათი სოჭის ოლქსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლით, ბოლშევიკთაგან მომავალი საფრთხე საბოლოოდ ვერ იქნებოდა აღკვეთილი. მდგომარეობის დასტაბილურების მიზნით საჭირო იყო აქ გამაგრებული ბოლშევიკური ბანდების ნეიტრალიზება, ბლოკადის გარღვევა და ანარქიის მოსპობა.

შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, 1918 წლის 24 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭო იღებს დადგენილებას ეთხოვოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს დახმარება არსებული პრობლემის გადაჭრაში. აფხაზთა სახალხო საბჭოს ამ დადგენილებას, მისი თავმჯდომარის, ვარლამ შარვაშიძის ხელმოწერით, შემდეგი სახე ჰქონდა:

„აფხაზთა სახალხო საბჭოს დადგენილება სოჭისა
და ტუაფსეს ოლქების დაკავების შესახებ.
1918 წლის 24 ივნისი.

აფხაზთა სახალხო საბჭომ, შეაფასა რა შექმნილი პოლიტიკური მომენტი და მხედველობაში მიიღო ის, რომ ბოლშევიკური ანარქია, რომელიც უკვე სამი თვეა რაც ფლეთს აფხაზეთს, საზრდოობს სოჭისა და ტუაფსეს ოლქებიდან. ბოლშევიკური განწყობები შეიქმნა და მხარდაჭერილია სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, რაც გამოწვეულია ბოლშევიკთა მიერ ტუაფსეს დაკავებით, რითაც გაწყვეტილ იქნა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან და აღარ ხდება სასურსათო ტვირთების გამოტარება ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთსა და საქართველოსაკენ. სრული წესრიგის აღდგენისათვის, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოში და სასურსათო კრიზისის აღმოფხვრის მიზნით, გადაუდებლად ჩაითვალოს სოჭისა და ტუაფსეს ოლქების დაკავება ტუაფსეს პორტის ჩათვლით. დადგენილების შესახებ ეცნობოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ქართული მხარის სარდალს, გენერალ-მაიორ მაზნიევს.

აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. შერვაშიძე".[1]

რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის რეგიონი ოდითგანვე წარმოადგენდა ამა თუ იმ ფორმით არსებული ქართული სახელმწიფოს ისტორიულ ნაწილს, მაგრამ მცდარია ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ის მოსაზრება, რომ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ საბრძოლო აქტივობის გადატანა სოჭი-ტუაფსეს მიმართულებაზე, მხოლოდ ამ ტერიტორიებზე მოსახლე ქართველების დაცვის მიზნით მოხდა, და იგი ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის საქართველოსთან ერთიანობის მხოლოდ ისტორიული, მემკვიდრეობითი და ეთნოკულტურული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ყველაფერთან ერთად, ასეთი გადაწყვეტილების მყარ საფუძველს აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება და საქართველოს ცენტრალური მთავრობისადმი გაგზავნილი თხოვნა წარმოადგენდა ქართული ქვედანაყოფების მიერ სოჭი-ტუაფსეს ოლქის დაკავებისა და ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული სასურსათო-ეკონომიკური ბლოკადის ლიკვიდაციის შესახებ და არა მხოლოდ სოჭი-ტუაფსეს ოლქის ტერიტორიების საქართველოსთან მისი ისტორიული კუთვნილების ფაქტი.

აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნისა და თბილისიდან მიღებული ბრძანების შესაბამისად, ბოლშევიკებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გენერალ მაზნიაშვილს შავიზღვისპირეთში შეტევითი მოქმედებების შემდგომი განვითარება და სოჭის აღება დაევალა. მაზნიაშვილის მიხედვით, მიუხედავად ქართული ჯარის სიმცირისა, „ძლიერი შეტევითი ხასიათი" სოჭის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებს აღარ ჰქონია. მასში ძირითადად სახმელეთო ნაწილების მეწინავე ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. ამიტომ ქვედანაყოფების „გადაჯგუფება-გადმოჯგუფების" აუცილებლობა არ ყოფილა.[2] 28 ივნისს, გაგრის ბრძოლებით აღების შემდეგ, ქართულმა ქვედანაყოფებმა მდინარე მეხადირის ფორსირება მოახდინეს, შევიდნენ სოფელ პილენკოვოში (განთიადი) და მდინარე ფსოუს მიადგნენ.

ზემოთ აღწერილი მთელი ამ პერიპეტიების მიმდინარეობის ფონზე, აფხაზეთში სეპარატისტთა სხვა ჯგუფებიც გააქტიურდნენ. საუბარი პროთურქული ორიენტაციის აფხაზ ლიდერებზე გვაქვს – ალექსანდრე შარვაშიძესა და ტატაშ მარშანიაზე. მათი დიდი მეცადინეობის შედეგად გადაწყდა ერთობ გაბედული და ავანტიურისტიული ჩანაფიქრის განხორციელება, კერძოდ, ოსმალეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების ფაქტორის გამოყენება და ოსმალური შეიარაღებული რაზმის გადმოსხმა აფხაზეთში. ამ ავანტიურისტულ წამოწყებას ოსმალო გენერალიტეტშიც გამოუჩნდნენ მომხრეები. კერძოდ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი გენერალი მეჰმედ ვეჰიბ ფაშა, ოსმალთა მე-3 კავკასიური არმიის ყოფილი სარდალი, რომელსაც ამ დროისათვის უკვე დატოვებული ჰქონდა თანამდებობა და ოსმალთაგან ოკუპირებულ ბათუმში იმყოფებოდა.

საერთო ჯამში, ოსმალურმა მხარემ კარგად ისარგებლა საქართველოს შავიზღვისპირეთში შექმნილი საერთო სამხედრო-პოლიტიკური ქაოსით და ოსმალური ფაქტორის გასაძლიერებლად 28 ივნისის ღამეს დაახლოებით 800 კაციანი დესანტი გადმოსხა სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე კოდორის ზონაში, მაგრამ მათი შემდგომი მოქმედებები წარუმატებელი აღმოჩნდა.[3]

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 456. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 13.

[2] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 79.

[3] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 257. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 7.

დესანტის განსხვავებულ რიცხვს ასახელებს გენერალი მაზნიაშვილი თავის მემუარში – სულ „ერთი ასეული ტყვიისმფრქვეველებით",[1] რაც ჩვენის აზრით არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. ასეთი მცირე ძალების გამოყენება მხოლოდ სადაზვერვო და დივერსიული დანიშნულებით იქნებოდა შესაძლებელი, და არა რომელიმე სხვა ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

ოსმალურ დესანტთან დაკავშირებით, საქართველოში გერმანული სამხედრო და დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი თავის მემუარში "Meine Mission im Kaukasus" („ჩემი მისია კავკასიაში") აღნიშნავს, რომ „ვეჰიბ ფაშამ სოხუმში დესანტი გადასხა კონსტანტინოპოლის ნებართვის გარეშე, რადგან მას აფხაზებმა დახმარება სთხოვეს. აფხაზეთის მოსახლეობა ფაქტობრივად ქართველების მხარეს იყო, მხოლოდ რამდენიმე მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც ეშინოდათ თბილისში სოციალისტური მთავრობის მიერ საკუთრების გასხვისებისა, დასახმარებლად მიმართა ვეჰიბს".[2] ამ მემუარში საუბარი, რა თქმა უნდა, თავად ალექსანდრე შარვაშიძესა და ტატაშ მარშანიაზეა, რომლებიც თანამემამულე მარქსისტების „კლასთა ბრძოლის" იდეოლოგიური პლატფორმის გამო, დიდი ხანია უკვე მყარ პროთურქულ ორიენტაციას ადგნენ.

სხვათა შორის, თურქული დესანტის დასახელებულ რაოდენობასთან წინააღმ-დეგობაში თავად გენერალი მაზნიაშვილიც მოდის თავისივე მემუარში, სადაც წერს, რომ „როგორც შედეგი ალ. შერვაშიძის მუშაობისა ბათუმში და მარშანიასი კოდორის რაიონში, ოსმალეთმა შავი ზღვის პირას გადმოსხა ოსმალების ასკერები აფხაზეთში ავჯანყების მოსაწყობად და საქართველოს ხელისუფლების გასადევნად".[3] თავისთავად ცხადია, რომ მაზნიაშვილის მიერ ზემოთ დასახელებული მხოლოდ ერთი ასეულის ძალებით ისეთი მასშტაბური სტრატეგიული ამოცანის შესრულება, როგორიცაა „აჯანყების მოწყობა და საქართველოს ხელისუფლების განდევნა", რეალურის ფარგლებს სცილდება.

სანაპირო ზოლში პატრულირებისას „წმ. მიხეილმა" აღმოაჩინა თურქების დესანტი, რომელიც ალ. შარვაშიძის მამულებში იყო დაბანაკებული, უშუალოდ გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით გაანეიტრალა და განაიარაღა იგი, და ხელთ იგდო ერთ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების შაშხანები და ვაზნები.[4]

გაზეთი „ერთობა" იტყობინებოდა: „წყურგილში (ალ. შარვაშიძის ყოფილ მამულში – ა. ჩაჩხიანი) სადაც გაჩერებული იყო ოსმალების მიერ გადმოსხმული დესანტი, შესდგა მრავალრიცხოვანი კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა, ზღვის ნაპირის ფრონტის ჯარების წარმომადგენელმა პორ. ჩხოტუამ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შარვაშიძემ, მღვდ. თუმანოვმა, მოსულმა თურქებმა და აფხაზ მაცხოვრებლების წარმომადგენლებმა...

ადგილობრივ მაცხოვრებლების წარმომადგენლებმა – აფხაზმა გლეხებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მათი ინტერესების ერთადერთი და საუკეთესო დამცველი არის საქართველოს დემოკრატია. საქართველოს მთავრობამ მთელს ოლქში მოსპო ანარქია და მცხოვრებლებს მიეცათ საშუალება დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს. გლეხებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ოსმალების შემოსვლას შეუძლია შინაური უთანხმოება და ომი გამოიწვიოს და მით დაღუპვის გზაზე დააყენოს სოხუმის ოლქის დემოკრატია.

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 69.

[2] General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. seite 22.

[3] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 70.

[4] Газета „Возрождение". 7 июля 1918 г.

ამის შემდეგ დესანტს წინადადება მიეცა 24 საათის განმვლობაში დაეყარა იარაღი და გასულიყო ოლქიდან".[1]

როგორც აკაკი ჩხენკელი აცნობებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „Турки решили послать войска для занятия Сухуми и начали соответствующую подготовку. Однако вскоре ими было получено известие о взятии Сухуми нашими войсками и изгнании большевиков. Это известие подействовало на них как гром среди ясного неба".[2]

საქართველოს მთავრობამ ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისათვის პირადი შემადგენლობა წაახალისა, ოფიცრებს კი სამხედრო წოდებები მოუმატა.

მიღწეული შეთანხმების საფუძველზე თავად დესანტი ისევ უკან, ბათუმში იქნა გაგზავნილი. თურქული სადესანტო ოპერაციის ხელმძღვანელმა ოსმალო ოფიცერმა ყველა-ფერი გაუგებრობას დააბრალა. გენერალი მაზნიაშვილი: „მივედი ალ. შერვაშიძის მამულში და ვინახულე ოსმალო-ოფიცრები. მან განაცხადა, რომ ის მოატყუულეს აფხაზებმა, დაარწმუნეს, რომ მას დიდი პატივით დახვდებიან აფხაზები, რომლებიც მოუთმენლად ელიან ოსმალებს, საქმით კი დავრწმუნდიო, სთქვა ოფიცერმა, რომ მე გარშემორტყმული ვარ ქართული ჯარებით. ამასთან მარწმუნებდა, რომ მის მთავრობას არა აქვს არავითარი სურვილი საქართველოსთან საქმე გაართულოს და მთხოვა გამეგზავნა ისინი უკან ბათუმში".[3] თუმცა, თურქული დესანტის ნაწილი, „აფხაზთა სახალხო საბჭოს" თავმჯ-დომარის, ვარლამ შარვაშიძის აღიარებით, აფხაზეთში ჩარჩა და „разойдясь по селениям организовала военные силы поставив своей целью изгнание из Абхазии войск правительства Грузии".[4]

თურქული დესანტის აფხაზეთში მოწვევის მოთავეებზე, ბათუმში გაქცეულ ალექსანდრე შარვაშიძეზე, ტატაშ მარშანიასა და სხვა თურქოფილებზე, სამშობლოს ღალატის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

თურქულ დესანტთან დაკავშირებით სრული და ღრმა გამოკვლევა აქვს ჩატარებული პროფესორ ჯემალ გამახარიას სტატიაში „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики", რომელიც რუსულ ენაზე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2009 წელს ერთობლივად გამოცემულ სამეცნიერო სტატიათა კრებულშია წარმოდგენილი.[5] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი დოკუმენტებია წარმოდგენილი ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას სქელტანიან მონოგრაფიაშიც – „Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века.", მაგრამ საკითხის სრულყოფილად გააზრებისათვის ერთ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი. რა თქმა უნდა, სრულად ვიზიარებთ და ვეთანხმებით ავტორის იმ დასკვნას, რომ ოსმალური დესანტი არავითარ „მუჰაჯირულ დესანტს" არ წარმოადგენდა, რომელიც თითქოს მთიელთა რესპუბლიკის დაქვემდებარებაში იყო და იგი აფხაზეთში ქართული გვარდიის

---

[1] ოსმალეთის დესანტი სოხუმთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი №138. გვ. 3.

[2] Г. П. Лежава, „Между Россией и Грузией", Российская Академия Наук, М., 1997. Стр. 63.

[3] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 71-72.

[4] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 322.

[5] Дж. Гамахария. „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики". Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 450-472.

წინააღმდეგ საბრძოლველად და აფხაზეთის „გასანთავისუფლებლად" იყო შემოსული,[1] როგორც ამის დახატვას ცდილობს ზოგიერთი აფხაზი თუ პროაფხაზი ვაი-მეცნიერი. ამ აზრს ინტენსიურად ავითარებს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი რუსი „მეცნიერიც", ანდრეი ზუბოვი, თავის ნაშრომში – „Политическое будущее Кавказа: опыт ретроспективно-сравнительного анализа".[2]

გულუბრყვილობაა ოსმალურ სინამდვილეში იმპერიაში მაცხოვრებელი ხალხებისა თუ დიასპორების რაიმე სახის ეროვნული ნიშნით იდენტიფიცირებასა და მათ სამხედრო-პოლიტიკურ უფლებებსა თუ აქტივობებზე საუბარი. კიდევ უფრო მეტი გულუბრყვილობა და თავის მოტყუებაა იმის მტკიცება, თითქოს ეს დესანტი აფხაზ მუჰაჯირთა მიერ იყო ორგანიზებული და ისინი ედგნენ ამ ავანტიურისტულ წამოწყებას სათავეში. რა თქმა უნდა, შესაძლებელია დესანტის შემადგენლობაში მართლაც იყვნენ წარმოშობით აფხაზები, ცარიზმისაგან დევნილი და ოსმალეთში გადახვეწილ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები, მაგრამ მათ ეროვნულ თვითშეგნებასა და ნაციონალიზმზე საუბარი უადგილოა. მათი მსოფლმხედველობა უკვე სრულად იმპერიული და პროოსმალური იყო. ისინი სრულად იყვნენ ინტეგრირებულნი ოსმალურ გარემოში და სრულად იყვნენ ჩამდგარნი ოსმალური იმპერიის სამსახურში. უფრო მეტიც, ამ დროისათვის სწორედ იმპერიაში მცხოვრები კავკასიელი ხალხები იყვნენ სამწუხაროდ, ოსმალეთის იმპერიის ყველაზე ერთგული მსახურნი და ოდნავ მოგვიანებით, უკვე ახალი თურქული მოძრაობის – „ქემალიზმის" ყველაზე ერთგული დამცველნიც. ეს დახასიათება თანაბრად შეეხება ჩერქეზებსა და საკუთრივ აფხაზებს, ნაკლებად აჭარლებს, და ყველაზე მეტად ალბათ – ლაზებს. ეს ცნობილი ფაქტია.

– იყო კი ეს აფხაზური დესანტი? – სვამს რიტორიკულ კითხვას პროფესორი ჯ. გამახარია. და შემდეგ აგრძელებს – იგი მართლაც მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან შედგებოდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დესანტი აფხაზური იყო. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აწ განსვენებული პროფესორის, ავთანდილ მენთეშაშვილის ნაშრომში „Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии" – ვკითხულობთ, რომ 1918 წლის 30 ივლისს გამართულ სახალხო საბჭოს სხდომაზე ვ. ემუხვარმა განაცხადა: „დესანტი ჩვენთან ჩამოვიდა, როგორც თურქეთის რეგულარული არმიის ერთი ნაწილი და ისინი ეხლაც წარმოადგენენ ასეთ ნაწილს. ომის მსვლელობის დროს ჯარისკაცებს არ შეეძლოთ თურქეთიდან დეზერტირად გასვლა, სანამ არ გამოცხადდებოდა დემობილიზაცია. და თუ თურქეთის მთავრობა ამას უშვებს, ესე იგი – მიზანდასახულად".[3]

საერთო ჯამში, ამ ე.წ. „აფხაზურ დესანტთან" დაკავშირებით აბსოლუტურად ზუსტი შეფასებაა წარმოდგენილი პროფესორ გამახარიას მიერ მის სამეცნიერი სტატიაში „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики". გამახარია წერს: „აფხაზეთში თურქული არმიის ქვედანაყოფები გადმოსხდნენ",[4] რასაც ცალსახად ვეთანხმებით.

მაგრამ საკითხის არსში სრულად გარკვევისათვის ცოტა ღრმად უნდა შევხედოთ წამოჭრილ პრობლემას.

---

[1] О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Стр. 312-313.

[2] Андрей Зубов. „Политическое будущее Кавказа: опыт ретроспективно-сравнительного анализа". „Знамя". №4. (2000).

[3] А. Ментешашвили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси. 1998. Стр. 18.

[4] Дж. Гамахария. „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики". Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 461.

1918 წლის გაზაფხულზე ოსმალთა შეიარაღებული ექსპანსიის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს ამიერკავკასიაში, თურანული იდეა – თურანიზმის იდეოლოგია წარმოადგენდა. მისი მთავარი აპოლოგეტი კი გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა იყო – ოსმალთა იმპერიის მმართველი სამხედრო-პოლიტიკური ტრიუმვირატის ლიდერი, იმპერიის სამხედრო მინისტრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი.

ენვერ ფაშას იდეოლოგიის შემადგენელს პანთურქიზმი და პანთურანიზმი წარმოადგენდა. პანთურანიზმი, როგორც იდეოლოგია, XIX საუკუნეში ჩაისახა ოსმალთა იმპერიაში პროგერმანულად განწყობილ ოფიცერთა და ინტელიგენციის წრეში. ეს იყო თურქული „ზესახელმწიფოს" შექმნის იდეოლოგია, სახელმწიფოსი, რომელიც ბალკანეთიდან ჩინეთამდე უნდა გადაჭიმულიყო და მოეცვა ყველა თურქული წარმომავლობისა და თურქულენოვანი ხალხების განსახლების არეალი, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და მდებარეობისა. ეს გაერთიანება უნდა ყოფილიყო რასობრივი ერთიანობის პრინციპზე დამყარებული „ზესახელმწიფო", რომელიც თავის საზღვრებში მოიცავდა ოტომან თურქებს, შუა აზიისა და სპარსეთის თურქმანულ ტომებს, რუსეთისა და ამიერკავკასიის თათრებს, უნგრეთის მადიარებს, ფინეთისა და ბალტიისპირეთის ფინელებს, ციმბირის აბორიგენებს, ძველ მონღოლებს, მანჯურიელებს, კორეელებსა და იაპონელებს.[1]

გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი: „1917 წლის ბოლოს თურქეთში ე.წ. თურანიზმი – რელიგიურ-დინასტიური პანისლამიზმის საპირისპირო, სისხლისა და რასობრივი პრობლემა, რომელიც აქამდე მხოლოდ აკადემიურად მიმდინარეობდა, რეალური პოლიტიკის სტადიაში შევიდა. ეს განსაკუთრებით ენვერ ფაშას ეხება, რომელიც დესპოტური იდეების განხორციელების დასაცავად გამოდიოდა.

მას სურდა თურქული მოდგმა, რომელიც რასით და სისხლით ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ასევე პოლიტიკურად დაეკავშირებინა და ადრეული ოსმალეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს საპირისპიროდ შეექმნა დიდი თურქული ეროვნული სახელმწიფო. მას თვალწინ ედგა ყირიმში, ვოლგისპირეთში, კავკასიაში და რუსულ და სპარსულ აზერბაიჯანში მცხოვრები თათრების, და უპირველეს ყოვლისა, კასპიის და არალის ზღვებს შორის მცხოვრები თურქულ-თათრული ერის გაერთიანება. გარდა იდეალური მოტივებისა, ენვერი თავისი თურანული იდეების პროპაგანდის დროს ეჭვგარეშეა რეალისტური, პრაქტიკული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა".[2]

ფაქტია, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ოტომანთა ისლამურმა იმპერიამ და სახალიფომ მსოფლიო ბატონობისაკენ მიმავალ გზაზე პანისლამისტური იდეოლოგია მეორე პლანზე გადადო, წინ დიდი თურანის" იდეა წამოსწია და მსოფლიო პანთურქისტულ იმპერიად გადაქცევას შეეცადა. თურქულმა სახელმწიფოებრიობამ თავისი სიძლიერის პიკს ოტომანთა იმპერიის დროს მიაღწია, რომელსაც პანისლამიზმის კონცეფცია, როგორც რელიგია და იდეოლოგიურ-პოლიტიკური იარაღი დაედო საფუძვლად.

სწორედ ოტომანთა იმპერიამ და სულთანმა იკისრეს ისლამური სახალიფოს ძლიერებისა და ხალიფას ტვირთი. როგორც კი იმპერიას დამატებით თურანულ-პანთურქისტული ამბიციები გაუჩნდა, რაც ლამის მთელი ევრაზიის უდიდესი ნაწილის კუთვნილებაზე პრეტენზიების გამოთქმის ტოლფასი იყო და იმპერიის ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქთა" ფაქტიური მოსვლით დაიწყო 1908 წელს, იმ მომენტიდან დაწყებული, ოტომანთა იმპერია განწირული აღმოჩნდა. XX საუკუნის პირველ მეოთხედში

---

[1] Stoddard, T. Lothrop. "Pan-Turanism". The American Political Science Review. Vol. 11, No. 1. (1917): 16. 1.

[2] General der Artillerie Friedrich Freherr Kress von Kressenstei. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Seite. 7.

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაადასტურეს ამ პროცესების გარდუვალობა.[1]

სწორედ პანთურანული იდეოლოგიის ხორცშესხმისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო ოსმალთა მიერ საქართველოსა და სომხეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიების ოკუპაცია, ოდნავ მოგვიანებით, 1918 წლის სექტემბრისათვის კი – აზერბაიჯანისა და დაღესტნის სრული ოკუპაციაც. და სწორედ ამ იდეის რეალიზაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ივნისის თვეში აფხაზეთის ოსმალური ოკუპაციის მცდელობა და არა მითიური – „აფხაზი ხალხის განთავისუფლება ქართველი ოკუპანტებისაგან".

თუმცა, აფხაზეთთან მიმართებაში საქმე ცოტა განსხვავებულად იდგა. დესანტირების საქმესთან დაკავშირებით აქ მცირე სამხედრო-პოლიტიკური ტრიუკი გათამაშდა. გენერალმა ვეჰიბ ფაშამ, რომელიც ოსმალთა მე-3 კავკასიური არმიის სარდალს წარმოადგენდა, ბათუმის 4 ივნისის ხელშეკრულების დადების შემდეგ ლორეს ზონაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო საზღვრები დაარღვია, თბილისისაკენ დაძრა მე-9 დივიზია და საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო ქართულ-გერმანულ ქვედანაყოფებთან.

დიახ, ისტორიული ფაქტია, რომ ქართულ-გერმანულ ნაწილებსა და სახალხო გვარდიის რაზმებს გააფთრებულ ბრძოლაში ჩაბმა მოუწიათ თურქთა ახალი აგრესიის აღსაკვეთად ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერისა და პოლიტიკოსის, სამხრეთ კავკასიის ისტორიის სპეციალისტის, უილიამ ალენის (W. E. D. Allen) მიხედვით – მიუხედავად 4 ივნისს დადებული ხელშეკრულებისა, „„თურქთა შენაერთის მეთაურმა ვეჰიფ ფაშამ 10 ივნისს ალექსანდროპოლისის რეგიონში განლაგებულ თურქეთის მე-9 ქვეით დივიზიას საბრძოლო ბრძანება გასცა შეტევითი ოპერაციის დასაწყებად თბილისის მიმართულებით. 10 ივნისს თურქული მეწინავე ნაწილები საომარ მოქმედებებში ჩაერთვნენ ქართულ-გერმანულ ნაწილებთან ვორონცოვკასთან და ბორჩალოსკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გასწვრივ. გერმანელთა ორი ასეული და კრესის მოხალისეები ქართველ გვარდიელებთან (Militiamen – ა. ჩ.) ერთად წინ აღუდგნენ თურქთა შეტევას".[2]

ქართულ-გერმანული ქვედანაყოფების მიერ ოსმალთა ეს ახალი აგრესია წარმატებით იქნა მოგერიებული. ისევ გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი:

„შოირინგის და მისი ოფიცრების დიდებული ტაქტიკისა და მოხერხებულობის წყალობით შესაძლებელი გახდა, რომ თურქი ოფიცრების მიერ წარმართული და რეგულარული თურქული ქვედანაყოფების მიერ გაძლიერებული თათრების ბანდა საზღვრიდან უკუაგდეს, ისე რომ არ მომხდარა აშკარა ბრძოლა ჩვენ მოკავშირეებთან. გერმანიის სახმელეთო ჯარების უმაღლესი სარდლობის ზეწოლით ენვერმა უარი თქვა თბილისის წინააღმდეგ ღიად დაგეგმილ შეტევაზე და თავისი ქვედანაყოფები უკან, საქართველოს საზღვრებიდან გაიყვანა. როცა ჩვენი ქვედანაყოფის ექსპედიციის დროს სამხრეთ საქართველოში საქმე ეხებოდა მძიმე ბრძოლებს, ეს ქვეით ბატალიონს 4 გარდაცვლილად და 12 მძიმე დაჭრილად დაუჯდა. ჩვენი მეგობრობა ქართველებთან გერმანელების სისხლით განმტკიცდა".[3]

---

[1] არჩილ ჩაჩხიანი. პოლიტიკური პორტრეტები რეტუშირების გარეშე – ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი (ათათურქი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი. 2013. 1(12). გვ. 341.

[2] W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco_Caucasian border 1828_1921. Cambridge. 1953. Pg. 478.

[3] General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. seite 18.

დიახ, ისტორიული ფაქტია, რომ ლორეს ზონაში, სანაინი-წითელი ხიდის რაიონში გამართულ ამ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაიღუპნენ, რომლებიც სრული მზედრული პატივით იქნენ მიბარებულნი ქართულ მიწას.

თურქთა ამ მოქმედებებს სასწრაფოდ გამოეხმაურა გერმანული მხარე. ბერლინში სკანდალი აგორდა. ამ სამხედრო-პოლიტიკური სკანდალის მიზეზი ორი იყო. პირველი, რა თქმა უნდა ის, რომ გერმანელ ჯარისკაცებს საბრძოლო მოქმედებებში ჩართვამ მოუწიათ თურქთა წინააღმდეგ, და უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ოსმალთა კავკასიის მე-3 არმიის ამიერკავკასიაში შეყვანით გერმანულ-თურქული პოზიციები სუსტდებოდა სირია-პალესტინის ფრონტზე, რომელსაც გერმანიის საიმპერატორო ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ გარემოებამ უკიდურესად გააღიზიანა გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, ფელდმარშალი ერიხ ლუდენდორფი.

გენერალ გრენერისადმი[1] 12 ივნისს, კიევში გაგზავნილ წერილში ფელდმარშალი ერიხ ლუდენდორფი ხაზგასმით გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას გენერალ ენვერ ფაშას ამ თავნება და დაუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო: „ენვერ ფაშა და თურქეთის მთავრობა უფრო მეტს ფიქრობენ თავიანთ პანისლამისტურ მიზნებზე კავკასიაში, ვიდრე ინგლისელებთან ომზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნებლიეთ აღმოვჩნდით ჩართულნი და იმ მოვლენებთან დაპირისპირებულნი, რასაც თურქები ისახავდნენ მიზნად".[2]

გერმანიის იმპერიის ინტერესები საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მიმართ კი, ლუდენდორფმა იგივე 12 ივნისს გააჟღერა: „თუ გერმანია ფეხს მოიკიდებს საქართველოში, შექმნის იქ მცირერიცხოვან ეფექტურ გერმანული ტიპის არმიას და აჩვენებს რომ მზადაა დაიცვას თავისი ინტერესები კავკასიაში, თანდათანობით საქართველოს ავტომატურად შეუერთდებიან ახალი კავკასიური სახელმწიფოები. პერსპექტივაში კი სრულებით რეალურია, რომ გერმანიასთან მყარად შეკრული კავკასიური ბლოკი შეიქმნას, რომელიც ძალიან დიდ როლს ითამაშებს გერმანიისათვის როგორც ომის დროს (ნედლეულისა და ეფექტური სამხედრო ძალის მოწოდებით), ასევე ომის შემდეგაც (ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით).[3] თავის გათვლებში ნამდვილად არ ცდებოდა გერმანელი ფელდმარშალი. გერმანელთაგან სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მხარდაჭერილ საქართველოს მართლაც ძალუძდა ხელში აეღო ამიერკავკასიისა და კავკასიის ხალხების ანტიბოლშევიკური და ანტირუსული კონსოლიდატის მისია.

ბერლინმა ოფიციალური მოთხოვნა წაუყენა თურქეთის მმართველ ტრიუმვირატს, და ვეჰიფ ფაშას, ამ უმართავი და არაპროგნოზირებადი გენერლის სასწრაფოდ გადაყენება მოითხოვა მისი აგრესიული მოქმედებებისა და 4 ივნისის საზავო ხელშეკრულების დარღვევის გამო. გერმანულმა სარდლობამ არ აპატია ვეჰიფ ფაშას ბათუმის კონფერენციის საზავო პირობების დარღვევა, სადაც ამიერკავკასიისა და ოსმალთა დელეგაციასთან ერთად, მესამე მხარედ გერმანელები მონაწილეობდნენ.

---

[1] ვილჰელმ გრენერი (1867-1939) – გერმანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. 1914 წლიდან გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის საჯარისო გადაზიდვების სამმართველოს უფროსი, 1916 წლიდან პრუსიის სამხედრო მინისტრის მოადგილე და გერმანიის სამხედრო მრეწველობის კურატორი, 1918 წლის ოქტომბრიდან საიმპერატორო ჯარების პირველი გენერალ-კვარტერმეისტერი და საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე.

[2] Е. К. Саркисян. Экспансионистская политика Османской империи в Закавказье. Накануне и в годы Первой Мировой Войны. Академия наук Армянской ССР. Ереван. 1962. Стр 368. Людендорф. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. Т. II. М. 1924. Стр. 187-188.

[3] Послание генерала Людендорфа генералу Грёнеру. Киев, 12 июня 1918 г. ИСТОРИЧЕСКИЕ ИСТОЧНИКИ. http://1914ww.ru/dokum/191_dok/19180612lud.html.

გერმანული სარდლობის ამ მოთხოვნას შესაბამისი ქმედებების განხორციელებაც მოჰყვა შედეგად. გერმანელმა ოფიცრებმა დატოვეს მე-3 არმია, რომლის შტაბები, ბატალიონიდან დაწყებული და ზევით, სრულად იყო დაკომპლეტებული გერმანელი ოფიცრებით. თავად მეჰმედ ფაშა კი, ეს „არაპნოგნოზირებადი" გენერალი სასწრაფოდ გაიწვიეს კონსტანტინოპოლში, რომელიც დროებით გენერალმა იაყუბ შევქი ფაშამ შეცვალა.[1] თავის მხრივ, ენვერ ფაშამ, თურანული იდეის ფრთაშესხმის გზაზე, დიდი „გამომგონებლობა" გამოავლინა. განჯაში შესული მე-3 ოსმალური არმიის შენაერთებისაგან იწყება ერთიანი თურქულ-აზერბაიჯანული ე.წ. „კავკასიის ისლამის არმიის" ჩამოყალიბება, რომლის ბირთვს ოსმალთა მე-3 არმიის მე-5 დივიზია შეადგენდა. არმიას სათავეში ენვერ ფაშას უმცროსი ძმა, ნური ფაშა უდგება, რომელიც სასწრაფოდ იქნა ამისათვის ტრიპოლიდან განჯაში გამოძახებული.

ამრიგად, „კავკასიის ისლამის არმია" შედგა თურქთა 5000-იანი რეგულარული ჯარისა და 10000-12000 თათარი მოხალისისაგან, ე.წ. „კავკასიის ველური დივიზიის" შემადგენლობიდან. 1918 წლის 15-16 სექტემბერს „ისლამის არმია" ბრძოლებით შედის ბაქოში და ამხობს გენერალ ლაიონელ დანსტერვილის (Lionel Dunsterville) ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მიერ ზურგგამაგრებულ რუსულ-სომხურ ესერულ-დაშნაკურ ე.წ. „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურას"... მალე კი, „კავკასიის ისლამის არმია" ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანშიც შედის, სადაც პროთურქულ მმართველობას ამყარებს.

„დიდი თურანის" იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი ენვერ ფაშასა და პანთურქისტებისათვის წარმატებული გამოდგა...[2] ამით კავკასიის ოსმალური ოკუპაციაც სრულდება...

მაგრამ გენერალ ვეჰიბ ფაშას სამხედრო თუ პოლიტიკური ავანტიურები ამით არ დასრულებულა. არმიის სარდლობიდან გადაყენების შემდეგ იგი კონსტანტინოპოლში არ გამგზავრებულა და ბათუმში დარჩა, სადაც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალი ავანტიურების ხლართვა დაიწყო. სწორედ ბათუმში დაიგეგმა მის მიერ ოსმალური დესანტის გადასხმის ოპერაცია აფხაზეთში და მის მიერ იქნა ამაზე ბრძანება გაცემული. ოსმალური დესანტის იდეა კი, ბათუმში თავშეფარებულ ალექსანდრე შარვაშიძიდან წამოვიდა, რომელმაც თხოვნით მიმართა ვეჰიბს ამის თაობაზე. ამ თვალსაზრისით, ერთობ ნიშანდობლივია გენერალ ვეჰიბ ფაშას დახასიათება გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინისაგან, რომელსაც პირადად ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა ვეჰიბ ფაშასთან ბათუმში, სწორედ დესანტთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში:

„მეჰმედ ვეჰიბ-ფაშა – სახელგატეხილი ვეჰიბი, პატარა, მსუქანი კაცი, დაახლოებით 42 წლისა, ნამდვილი ეშმაკი, მაგრამ ჭკვიანი და მოხერხებულად მოლაპარაკების წარმმართველი აზიატი, სასტიკი მოძალადე, ასევე თავის გარეგნობაშიც არასიმპათიური, მაგრამ ეჭვგარეშეა ძლიერი პიროვნება იყო".[3]

ოსმალურ დესანტთან დაკავშირებული თემის ამოწურვისათვის კი, საკითხის ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტსაც უნდა გაესვას ხაზი. ძალიან მალე ეს საკითხი პოლიტიკისა და სამხედრო ისტორიის სფეროში „ჟელიგოვსკის სინდრომის" ან, რუსული კალკის შესაბამისად, „ჟელიგოვშჩინად" (Желиговщина) იქნა მონათლული. იგი საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომსა და პოლონეთის არმიის გენერლის, ლუციან ჟელიგოვსკის სახელს უკავშირდება. რუსეთ-პოლონეთის ომში იგი ჯერ ლიტვა-ბელორუსის ფრონტის სარდალი

---

[1] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 222.

[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 117.

[3] General der Artillerie Friedrich Freherr Kress von Kressenstei. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Seite. 20.

იყო, შემდეგ კი, ოპერატიულ დაჯგუფებას და მე-10 ქვეით დივიზიას მეთაურობდა, 1920 წლის ოქტომბრიდან – 1-ლ ლიტვურ-ბელორუსულ დივიზიას. ამ მომენტში დივიზია ფორმალურად გამოდის პოლონური სარდლობის დაქვემდებარებიდან. 1920 წლის 9 ოქტომბერს კი, იკავებს ვილნოსა და ლიტვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. დაკავებულ ტერიტორიებზე ცხადდება ფორმალურად პოლონეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ე.წ. „შუა ლიტვის" შექმნა.

რეალურად, რა თქმა უნდა, გენერალ ჟელიგოვსკისა და მისი დივიზიის მხრიდან პოლონეთის სარდლობის დაქვემდებარებიდან არავითარ გამოსვლას არ ჰქონია ადგილი. ეს ფაქტი მხოლოდ პოლიტიკური მანევრი იყო და იგი პოლონეთის პრეზიდენტისა და მისი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, მარშალ იუზეფ პილსუდსკისთან[1] სრულ შეთანხმებაში განხორციელდა, რაც იმ მომენტისათვის რუსეთზე პოლიტიკური ზეწოლით იყო ნაკარნახევი.

მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე ვეჰიბ ფაშას შემთხვევაშიც. იგი ფორმალურად კონსტანტინოპოლის ცენტრალური სარდლობის დაქვემდებარებიდან იყო თითქოს გამოსული, მაგრამ რა თქმა უნდა, ისეთი აგრესიული ქმედების განხორციელებას, როგორიცაა აფხაზეთში დესანტის გადასხმა, ცხადია, პირადად ენვერ ფაშასთან შეთანხმებისა და მისი ბრძანების გარეშე, ვერ გაბედავდა. გენერალ ჟელიგოვსკისა და პოლონეთისაგან განსხვავებით, აქ, აფხაზეთში, ოსმალთათვის საქმე გაცილებით უფრო რთულად იდგა. ასეთი ქმედებით ირღვეოდა არა მარტო ბათუმის 4 ივნისის სამშვიდობო ხელშეკრულება, არამედ, რაც მთავარია, ოსმალური მხარე კიდევ უფრო სერიოზულ დაპირისპირებაში შევიდოდა თავის მთავარ მოკავშირესთან – გერმანულ სარდლობასთან. ასე რომ, ესოდენ აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური აქტის განხორციელება პიროვნული ავანტიურის ფარდით უნდა შენიღბულიყო.

სწორედ ამაზე მეტყველებს გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის ვიზიტის პერიპეტიები ბათუმში ვეჰიბ ფაშასთან, რომელიც 1918 წლის ივნისის ბოლოს შედგა. შეხვედრაზე ვეჰიბ ფაშამ კრეზენშტაინს განუცხადა, რომ სოხუმში დესანტი კონსტანტინოპოლის ნებართვის გარეშე იქნა გადასხმული, რადგან მას აფხაზებმა დახმარება სთხოვეს. და დაამატა რომ იგი უფლებამოსილი აღარაა განიხილოს ეს საკითხები, რადგან მან „მეთაურობა გადასცა თავის ძმას, ესად ფაშას. ენვერმა ის (მეჰმედ ფაშა – ა. ჩ.) მოხსნა თანამდებობიდან".

გენერალი კრეზენშტაინი: „სამწუხაროდ ესად ფაშასთან იმავე საღამოს და მომდევნო ნაშუადღევს ჩატარებულ მოლაპარაკებებს არ მოჰყოლია შედეგი. გარეგნულად ესად ფაშა თავისი ძმის საწინააღმდეგო იყო – კარგი, სასიამოვნო გარეგნობის ბატონი, რომელიც კარგად საუბრობდა გერმანულად და ტოვებდა ღია, პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას. მაგრამ ის ისეთივე ეშმაკი და ჯიუტი იყო, როგორც მისი ძმა, თუმცა მასავით მოხერხებული და ცინიკოსი არა. ესად ფაშამ თავიდან მოგვიშორა იმ მიზეზით, რომ მას არ ჰქონდა მოლაპარაკებების წარმართვის უფლება... თურქების მიერ უკანონოდ დაკავებული რეგიონების განთავისუფლება მას არ შეეძლო, რადგან ის არ იყო უფლებამოსილი; მას უნდოდა უარი ეთქვა სოხუმში დესანტის გადმოსხმის შესახებ ცნობების მიცემაზე და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ენერგიულად და ნათლად ვისაუბრეთ, ბათუმი უშედეგოდ დავტოვეთ. მაგრამ ფოთისკენ მგზავრობის დროს მივიღეთ ესადისგან რადიოგრამა,

---

[1] იუზეფ პილსუდსკი (1867-1935) – პოლონელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ახალი პოლონური სახელმწიფოს პირველი ხელმძღვანელი და 1918 წელს პოლონეთის არმიის შემქმნელი. რუსეთის 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი. I მსოფლიო ომში ავსტრიის არმიის შემადგენლობაში იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მარშალი. ევროპული პოლიტიკური სცენის მნიშვნელოვანი ფიგურა.

რომ ალბათ ენვერის განკარგულების საფუძველზე... თურქულმა ქვედანაყოფებმა სოხუმში საქართველოს მიწა დატოვეს. ამრიგად ჩვენი მისია მთლიანად უშედეგო არ ყოფილა".[1]

ამ საკითხის თაობაზე გაზეთი „ერთობა" წერდა: „გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე, გენ. ფონ კრესი, გუშინ, 1 ივლისს ჩამოვიდა ბათუმიდან და მთავრობის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ მან წინადადება მისცა ბათუმში ოსმალთა ჯარების უფროსს, რომ დაუყოვნებლივ გაეყვანა დესანტი სოხუმის ოლქიდან. ოსმალებმა უკვე გაიწვიეს ბათუმში დესანტი ალექსანდრე შერვაშიძითურთ".[2]

გენერალ კრეზენშტაინის მემუარის ამონარიდი კი, კარგად აღწერს ოსმალურ დესანტთან დაკავშირებულ საკითხებს და ნათლად ხსნის ოსმალური „ჟელიგოვშჩინის" მთელ არსს. ჩვენ კი, კიდევ ერთ ნიშანდობლივ და ჩვენის ზრით მთავარ შტრიხს დავუმატებთ „ოსმალური დესანტის" საკითხს.

ჯერ კიდევ აფხაზეთში ოსმალური დესანტის გადასხმამდე, გენერალ ვეჰიბ ფაშას „თვითნებობისა" და 10 ივნისის სკანდალის არსში გარკვევის მიზნით კონსტანტინოპოლიდან ბათუმში სასწრაფოდ ჩამოვიდა თვით იმპერიის სამხედრო მინისტრი, გენერალი ენვერ ფაშა და მისი თანმხლები პირი, ოსმალთა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მოქმედი უფროსი, გერმანელი გენერალი ჰანს ფონ სექტი.[3]

ენვერ ფაშას, ცხადია, პირადი შეხვედრები ექნებოდა ძმებთან, მეჰმედ და ესად ფაშებთან, შესაძლოა იმ დროისათვის ბათუმში მყოფ ალექსანდრე შარვაშიძესთანაც. ასე რომ, ე.წ. „მუჰაჯირული დესანტის" იდეა სავარაუდოდ სწორედ ამ შეხვედრებზე დაიბადა და იდეის ავტორიც და ბრძანების გამცემი პირიც მხოლოდ და მხოლოდ ენვერ ფაშა შეიძლება ყოფილიყო. თბილისის მიმართულებაზე ჩავარდნილი შეტევის შემდეგ, აფხაზეთის „მუჰაჯირული დესანტირების" ეშმაკური იდეის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა კი, „ეშმაკ ძმებს", გენერალ მეჰმედ და გენერალ ესად ფაშებს დაეკისრებოდათ, როგორც „ავანტიურისტული ოკუპაციის სპეციალისტებს". სწორედ მათ უნდა გაეთამაშათ „მუჰაჯირული დესანტის" „ჟელიგოვშჩინური" ტრიუკი.

აფხაზთა სახალხო საბჭოს დამოკიდებულება და პოზიცია „თურქულ დესანტთან" დაკავშირებით კი მართებული და რეალისტური იყო. აქ პოზიციები შეჯერდა. ამონაწერი აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომის ოქმიდან:

„...Председатель, обращаясь к Совету, просит разрешения заверить представителя Республики, что настоящий состав Абхазского Народного Совета стоит на одной платформе с Грузинским Правительством и изменять ему не собирается, и что Совет, вступив в соглашение с Грузинской Демократической Республикой, не может допустить концентрации турецких частей здесь. Совету неизвестно о том, что в Кодорском участке есть ряд лиц, которые собирают и вооружают турок, и о концентрации турецких войск здесь".[4]

---

[1] General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Seite 22.

[2] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 2 ივლისი №135. გვ. 2.

[3] Dabag, Mihran "The Decisive Generation: Self-authorization and delegations in deciding a genocide" pages 113-135 from Genocide: Approaches, Case Studies, And Responses edited by Graham Charles Kinloch, Raj P. Mohan, New York: Algora Publishing, 2005. Pg. 121.

[4] Из протокола заседания АНС - о высадке турецкого десанта в Абхазии. ЦГАА, ф.И-39, оп.1, Д.3, лл.10-12. http://abkhazeti.info/history/20050617474599747824.php.

1918 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში აფხაზეთში ვითარება კიდევ ერთხელ დაიძაბა. ვითარების გამწვავება ე.წ. „მუჰაჯირთა" ახალი სადესანტო რაზმის გამოჩენამ გამოიწვია უკვე ოჩამჩირის ზონაში, რომელიც სოფელ ჯგერდას მიმართულებით, თავად ტატაშ მარშანიას მამულისაკენ გაემართა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს" დეპუტატთა ერთი ნაწილი – პროოსმალური ორიენტაციის ფრთა, აშკარად დაადგა სახელმწიფო ღალატის გზას და შეიარაღებულ პუტჩს მიემხრო. საბჭოს ეს ნაწილი „მეხუთე კოლონად" ჩამოყალიბდა იმდროინდელი აფხაზეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ასეთ სიტუაციაში საბჭოს დემოკრატიული ფრთა, მისი თავმჯდომარის, ვარლამ შარვაშიძის, აგრეთვე ვლადიმერ ემუხვარის მეთაურობით, გამოვიდა „აფხაზთა სახალხო საბჭოს" რეორგანიზაციის ინიციატივით. ის პიროვნებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ თურქების მიერ „აფხაზეთის ოკუპაციას" (ასეთი იყო ოფიციალური ფორმულირება) დადანაშაულებულ იქნენ სახელმწიფო ღალატში და უნდა გასახლებულიყვნენ აფხაზეთიდან.[1]

თურქთა რიცხვი ათასს აღწევდა... ექსპედიციის მთელი ხნის განმავლობაში, რეგულარული ჯარების ქვედანაყოფებმა პოლკოვნიკ თუხარელის მეთაურობით, ვერაფრით ვერ მოახერხეს შეხებაში მოსულიყვნენ მოწინააღმდეგესთან, მხოლოდ წითელი გვარდიის მცირე რაზმმა, სულ 60 კაცი, ტუმარკინის მეთაურობით მოქვის მონასტერთან გაუმართა ბრძოლა რიცხობრივად მრავალჯერ აღმატებულ მოწინააღმდეგეს და უკუაგდო იგი. გაზეთი „დროება":

„16 აგვისტოს ჩვენს რაზმს, რომელიც დაბანაკებული იყო მოქვის მონასტერში, თავს დაესხა ოსმალ-აფხაზთა რაზმი რიცხვით ათას კაცამდე. პირველი მათი შემოტევა მოიგერიეს ჩვენებმა. მათ იმავე ღამეს გაიმეორეს შემოტევა და განიზრახეს მონასტრის უმთავრესი კარების აღება. შენიშნეს თუ არა ჩვენმა ყარაულებმა ასკერების მოახლოება, ასტეხეს სროლა, ნელ-ნელა დაიხიეს უკან და შეუერთდნენ მთავარ ძალებს. ასკერები შეიჭრნენ მონასტრის ეზოში და აქ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მტერი უმთავრესად ხელის სასროლ ყუმბარებს ესროდა ჩვენებს. ეს უკანასკნელნი ტყვიისმფრქვევლებით პასუხობდნენ. როდესაც გვარდიელებს ტყვია შემოაკლდათ, იერიში მიიტანეს ასკერებზედ, რაიც მოგერიებულ იქნა მტრის მერ. მეორედ მიტანილ იერიშს ასკერებმა ვეღარ გაუძლეს და უკან დაიხიეს. ჩვენები მათ დაედევნენ და მთლად გაფანტეს იგინი.

ჩვენის მხრიდან მოკლულნი არიან რამდენიმე: პორუჩიკი არპონ შერვაშიძე, პრაპორშიკი ალ. ბერულავა, გვარდიელნი: ჩოჩელი, ბერიძე, მასხულია, კეჩედჟი, ალიბეგაშვილი, ღლონტი, გოგნაძე. დაჭრილნი არიან შტაბს-კაპიტანი ილ. ჯუღელი, ლევ ტუმარკინი და სხვანი. მტერს დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენებმა. მარტო მოკლული მათი მხრიდან 55 კაცია. რაზმის უფროსის სიტყვებით ჩვენებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. თავი ისახელა შტაბს-კაპიტანმა ილ. ჯუღელმა, რომელსაც დაჭრის შემდეგაც არ მიუტოვებია ბრძოლის ასპარეზი და თავის გმირობით ამხნევებდა რაზმელებს. არც სხვებმა შეირცხვინეს თავი, ყველა თავგანწირვით იბრძოდა, და ეს იყო მიზეზი რომ მტერი ასე მალე უკუიქცა".[2]

მეორე რაზმმაც, ღლონტის მეთაურობით, რომელიც შეხებაში მოვიდა თურქებთან, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკან დაახევინა მოწინააღმდეგეს.[3]

---

[1] დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბილისი. 2006. გვ. 125-126.

[2] ბრძოლა ახალ ათონთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 27 აგვისტო. №181. გვ. 3.

[3] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 424.

როგორც ვხედავთ, ამ საბრძოლო ეპიზოდშიც გვარდიელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვარდიის საგანგებო ბატალიონის რაზმის წარმატებული მოქმედებები სამსონ ღლონტის მეთაურობით, რომელიც აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყების დროიდან იმყოფებოდა.

ოსმალურ დესანტთან გამართულ ამ საბრძოლო პერიპეტიებს ასე აღწერს ერთ-ერთი აფხაზური წყარო – გაზეთი „Наше слово”:

„24 აგვისტოს სახალხო გვარდიის რაზმს ებრძანა გასულიყო ჯგერდაში და დაეკავებინა სიმაღლე აჩმაზმა 5530 ფუტი, და გადაეჭრა გზა უკანდახეული ასკერებისათვის. რაზმი გავიდა. მას ორი გამცილებელი მისცეს, რომლებიც თურქთა ჯაშუშები აღმოჩნდნენ. მათ რაზმი იქ მიიყვანეს, სადაც ჩასაფრებული იყვნენ 1000 ასკერი და მათი თანამოაზრეები.

რაზმი ყველა მხრიდან მოწინააღმდეგის მიერ იქნა ალყაში მოქცეული და მასზე ტყვიამფრქვევებითა და ხელყუმბარებით შეტევა მიიტანეს. რაზმი, რომელიც მხოლოდ 60 კაცისაგან შედგებოდა, არ დაიბნა, გაიშალა ჯაჭვში და თავის მხრივ გახსნა ტყვიამფრქვევისა და შაშხანების ცეცხლი.

გმირი სახალხოგვარდიელები იბრძოდნენ ისე, როგორც საერთოდ იციან მათ ბრძოლა: ერთი ათის მაგივრად. ტყეში გაშლილებს შიში და ძრწოლა მიჰქონდათ მოწინააღმდეგეზე, რომელიც გაიქცა და ადგილზე ბევრი მოკლული დატოვა.

ჩვენი მხრიდან მოკლულია რაზმის უფროსი პორუჩიკი სამსონ ღლონტი და სახალხოგვარდიელები – ამაღლობელი, რამიშვილი და სურგულაძე. დაიჭრნენ სამნი და მათ შორის პორუჩიკი ლ. ნოვიკოვი. ერთი კი კონტუზირებულია.

ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდა სოხუმელმა წითელგვაერდიელმა, ამხ. მამალაძემ, რომელმაც ცეცხლის ხაზიდან უსაფრთხო ადგილზე გამოიყვანა დაჭრილი ამხ. ნოვიკოვი. ბრძოლაში ამხ. მამალაძეს თავი გმირულად ეჭირა და თავის უფროს, გამოცდილ ამხანაგებს ტოლს არ უდებდა.

თურქთა ჯაშუშები, გამცემი გამცილებლები სახალხოდ დაიხვრიტნენ. ერთი მათგანი აფხაზი იყო, მეორე კი – მეგრელი”.[1]

ამ საგაზეთო პუბლიკაციაში კარგადაა აღწერილი ოსმალთა დესანტის წინააღმდეგ გვარდიელთა მიერ გამართული საბრძოლო ეპიზოდი, თუმცა ოსმალური დესანტის წარმოდგენილი რაოდენობა – 1000 კაცი, ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება.

ოსმალურ დესანტთან დაკავშირებული საკითხის სრულიად განსხვავებულ და ზემოთ მოყვანილი წყაროსაგან საპირისპირო ვერსიას გვთავაზობენ სხვა აფხაზური წყაროები. ესაა ამ ამბების თვითმხილველის, იმ დროისათვის არასრულწლოვანის, ვინმე არჩელია ალიკსას მემუარი, რომლის სანდოობაშიც აქედანვე შეგვაქვს ეჭვი, თუმცა საბრძოლო ეპიზოდი რეალისტურადაა წარმოდგენილი:

„ეს იყო 1918 წელს, აგვისტოს თვეში... აფხაზთა ნაწილი ტატაშ მარშანიას ხელმძღვანელობით ზღვის ნაპირზე შეიკრიბა, სკურჩას რაიონში. აქ ასი აფხაზი გადმოსხდა თურქეთიდან. მანამდე იქვე გადმოიტვირთა იარაღი. ტატაშმა იგი გადმომსხდარ აფხაზ მუჰაჯირებს დაურიგა და დაავალა მათ, გამოედევნათ მოქვის მონასტერთან ჩამსხდარი მენშევიკები. ბაიჰად ასლანჯია და ნაჰარბეი ღარწკია კავკასიის დივიზიის მოხალისენი იყვნენ, სამხედრო გამოცდილება გააჩნდათ და ტატაშმა მათ დაავალა ფარულად მიეყვანა რაზმი მოქვის მონასტერთან. მაგრამ ერთ-ერთმა გამცემლობა ჩაიდინა და გააფრთხილა მოწინააღდმეგე. მენშევიკებმა, რომლებიც გამცემლის მიერ იყვნენ გაფრთხილებულნი, ჩასაფრება მოაწყვეს. როცა მუჰაჯირები გორაკზე ავიდნენ, მათ იარაღის ყველა სახეობიდან გაუხსნეს გრიგალისებური ცეცხლი. მუჰაჯირებმაც ცეცხლით უპასუხეს და რამდენიმე მენშევიკი მოკლეს. ცოცხლად დარჩენილმა მუჰაჯირებმა უკან

---

[1] Газета „Наше слово”. Сухуми. 1918, 30 августа. №78. Стр. 2. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

დაიხიეს. მათ გზები არ იცოდნენ, დაზვერვა არ იყო და დუაბზე გადასვლის დროს ბევრი მდინარემ წაიღო. მენშევიკები კი მთელი ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ ცეცხლს მონასტრის მხრიდან. ქვემეხებიდან ესროდნენ ყველაფერ მოძრავს. ტყვიები და ყუმბარის ნამსხვრევები ჩვენს ეზოში ცვიოდა....”[1]

და კიდევ ერთი აფხაზური წყარო. ამჯერად აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრის, ა. ჭოჭუას მემუარი, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დესანტის ლიკვიდაციის მიზნით გენერალ მაზნიაშვილისა და პოლკოვნიკ თუხარელის მიერ განხორციელებული ეს ოპერაცია აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ იყო სანქცირებული:

„...1918 წლის აგისტო. ქართული მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებმა – გენერალმა მაზნიევმა და პოლკოვნიკმა თუხარელმა აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომაზე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ ოჩამჩირის რაიონში გადმოსხდა ათი ათასამდე კარგად შეიარაღებული თურქი ასკერი და მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა დაიფანტა კოდორის უბნის მოსახლეობაში. ამას გარდა იარაღის დიდი რაოდენობა რიგდება ადგილობრივ მოსახლეობაში.

გენერალმა გვთხოვა ნება მიგვეცა ქართული ჯარისათვის თურქული დესანტის ლიკვიდირებისათვის. ოჩამჩირის რაიონში, წყურგილის მიდამოებში, მართლაც გადმოსხდა თურქული დესანტი, რომელმაც მოსახლეობას დაურიგა რამდენიმე ათასი შაშხანა და ვაზნები. მაგრამ დესანტი იყო არაუმეტეს სამასისა. თურქები ეტყობა იმედოვნებდნენ აეჯანყებინათ ადგილობრივი აფხაზები, თავისთვის კი, ინსტუქტორების როლი ჰქონდათ განსაზღვრული...”[2]

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით მემუარის ავტორის იმ დასკვნას, რომ თურქული დესანტის რაოდენობა მართლაც რამდენიმე ასეულ ასკერს შეადგენდა და არა მითიურ „ათი ათასს”, რაც თითქოს გენერალმა მაზნიაშვილმა და პოლკოვნიკმა თუხარელმა დაასახელეს აფხაზთა სახალხო საბჭოს წინაშე მოხსენებით გამოსვლისას. მაგრამ ეს არაა ის არსებითი მომენტი, რასაც უნდა გაესვას ხაზი. მნიშვნელოვანი ამ მემუარში ისაა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას რამდენიმე ათასი შაშხანა დაურიგდა, მათი შემდგომი საბრძოლო მომზადებისა და ე.წ. „აჯანყების” ორგანიზებისათვის. ყველაზე მთავარი ამ მემუარში კი ისაა, თურქული დესანტის ლიკვიდაციის საკითხი აფხაზთა სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებითა და მისი მხრდაჭერით იქნა მიღებული.

აღსანიშნავია, რომ მოქვის მონასტერთან ოსმალური დესანტის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, სხვათა შორის, ვალიკო ჯუღელის ძმა, შტაბს-კაპიტანი ილიკო ჯუღელიც მონაწილეობდა, რომელიც მძიმედ დაიჭრა კიდეც.[3] მისი გმირული ბრძოლის ამბავს გაზეთ „ერთობის” ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ცნობაც ადასტურებს.

ოსმალურ დესანტთან დაკავშირებული საკითხის ამწურვისათვის კი, კიდევ ერთ საინტერესო დოკუმენტს მოვიყვანთ. ესაა ალექსანდრე შარვაშიძის მიერ გაზეთ „Возрождение”-ში გამოქვეყნებული წერილი, სადაც კარგად ჩანს მთელი ამ სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის არსიც, ალექსანდრე შარვაშიძის მოქმედებების მოქნილი ინსინუაციებიც, და მისი „აღიარებითი ჩვენებების” მთელი სიყალბეც. გაკვირვებას იწვევს

---

[1] Арчелиа Алыкса. Абжьуаа рхуштаара. Акуа, 1990, стр. 26-31. Перевод с абхазского. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 123. http://apsnyteka. org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf.

[2] А. М. Чочуа. Собрание сочинений. Воспоминания. Смутное время. В трех томах. Том третий. Сухуми. 1976. Стр. 77-85. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka. org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf.

[3] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 53.

ის ფაქტი, თუ თავის გადარჩენის მიზნით სადამდე შეიძლება მივიდეს სულგაყიდული ადამიანის ფანტაზიები:

„...მეორე დღეს დილით ჩვენთან მოვიდნენ პარლამენტიორები, რომლებმაც მიმართეს ჩვენი რაზმის უფროსს, ჰაკი-ბეის. ჰაკი-ბეიმ აუხსნა, რომ მისი რაზმი მიდის მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ განცხადების შემდეგ პარლამენტიორები უკან გაბრუნდნენ სოხუმში. იმავე დღეს, ღამით, მეორე გემით გამოცხადდნენ ჩვენთან პოლკოვნიკი ჩხოტუა, პოდპოლკოვნიკი მარშანია, შტაბ როტმისტრი შერვაშიძე და თავადი ლადი ემუხვარი. ამ აფიცრებმა როგორც ჩემგან, ასევე ჰაკი-ბეიდან მიიღეს პასუხი, რომ ჩვენი რაზმი მოვიდა მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ და მათ დასამარცხებლად. ოსმალთა რაზმები იმოქმედებენ ქართველ რაზმელებთან ერთად (Sic!). მოისმინეს რა ჩვენი პასუხი ზემოთ ხსენებულმა ოფიცრებმა, გვთხოვეს გაგვეგზავნა დელეგატები კოდორში იმ პირობით, რომ სოხუმიდან იქნებიან გაგზავნილი დლეგატები აფხაზეთის სახალხო საბჭოდან და ეს დელეგატები გადასწყვეტენ თუ რა ზომებს მიიღებენ და როგორ იმოქმედებენ...

მქონდა რა შიში, რომ ჩვენს და ქართველ ჯარს შორის შეტაკება არ მომხდარიყო, მე საჩქაროთ გავემგზავრე ბათუმში, რათა მეთხოვნა ოსმალთა მთავრობისათვის ტრანსპორტი გამოეგზავნა რაზმის უკან გასამგზავრებლად (Sic!). ვიდრე ტრანსპორტი მოვიდოდა, ქართველების რაზმი დასცემოდა თავს ბათუმის დესანტს და განეზრახა მისი დაკავება და იარაღის აყრა, მაგრამ რადგანაც დესანტმა წინააღმდეგობა გაუწია, იშოვნეს მათ „ფელუგები" და დაბრუნდნენ ბათუმში..."[1] (Sic!)

აი, ასე კოხტადაა ჩამოწიკწიკებული ალექსანდრე შარვაშიძის მიერ ოსმალურ დესანტთან დაკავშირებული მოვლენების პერიპეტიები. ეს შეთხზული დითირამბები თვალებში ნაცრის შეყრის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მაგალითია. საეჭვოა რომ ბავშვმაც კი დაიჯეროს იგი.

ალექსანდრე შარვაშიძის ამ წერილს გაზეთ „ერთობის" რედაქცია ასეთ კომენტარს ურთავდა: „რა გვეთქმის გაზეთზე, რომელიც ამ შინარსის წერილებს ბეჭდავს. არაფერი იმის მეტი, რაც არაერთხელ გვითქვამს: განსვენებული „ვოზროჟდენიე" თათრული, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ოსმალური გაზეთი იყო. ამ გზაზე ადგია მისი მოადგილე „გრუზია" თავისი რუსული შრიფტით, ქართული სახელწოდებით და თათრული აზრებით.[2]

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ზუსტად ამ მოვლენებთან უნისონში სამეგრელოშიც დაიძაბა სიტუაცია. ბოლშევიკებად წოდებულმა ყაჩაღურმა ბანდებმა აქაც გააქტიურეს თავისი მოქმედებები. ცალსახად იკვეთება ის აზრი, რომ როგორც ოსმალური დესანტის გადმოსხმა სამურზაყანოში, ასევე ბოლშევიკურ-კრიმინალური ბანდების თარეშის გააქტიურება, ერთი სცენარის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენდა. გაზეთი „ერთობა" წერდა:

„ზუგდიდში, ბოლშევიკურ ბრბოებთან შეტაკების დროს, 16 აგვისტოს, დაიჭირეს ბრბოს მეთაური, ყაჩაღი ოთარ ჩხოტუა. ამხ. ვ. ხარატიშვილისაგან მიღებული ცნობით, ეს ჩხოტუა გავარდნილია ყაჩაღად ათ წელზე მეტია. ჩხოტუას აღმოსჩენია სია 160 კაცისა. ჩხოტუამ გადასცა ამხ. ვ. ხარატიშვილს შემდეგი: ჩვენ მივდიოდით ანაკლიაში თავზე დასაცემად. ჩვენთან არიან მეთაურებად კიდევ კვარაცხელია და თოლორაია. ჩხოტუას ცნობებით ამ ბრბოს ტყვია-წამალს და ფულს აწვდის ცნობილი ა. შერვაშიძე. ამხ. ვ. ხარატიშვილის გადმოცემით, სამეგრელოში პირდაპირ კონტრრევოლიუციონერებთან გვაქვს საქმე, რომელთაც სულს უდგამს ა. შერვაშიძე."[3]

---

[1] ვინ მოიწვია ოსმალოს ჯარი? გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 8 სექტემბერი. №192. გვ. 3.

[2] იქვე.

[3] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 10 სექტემბერი. №193. გვ. 3.

ამ მოვლენების გაშუქებისას, რასაკვირველია, არ შეიძლება მივჩქმალოთ ის ფაქტიც, რომ სამთავრობო ჯარები ყოველთვის არ მოქმედებდნენ წესდების სრული დაცვით და ცალკეულ შემთხვევებში იჩენდნენ არაკორექტულობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. სამწუხაროა, რომ საომარი მოქმედებების დროს ზოგჯერ ადგილი აქვს ასეთ მოვლენებს. ისტორიული მაგალითები უამრავია, და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ თანამედროვე ომებშიც ეს პრობლემა ისევ პრობლემად რჩება.

ვარლამ შარვაშიძის ჩვენებით, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის ფონზე ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ დაპატიმრებებს, მათი კარ-მიდამოს გადაწვას. სამთავრობო ჯარების ამგვარი დამოკიდებულება მშვიდობიანი მოსახლეობისადმი, კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული აფხაზთა სახალხო საბჭოს 14 დეპუტატისაგან შემდგარი დელეგაციის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ განცხადებაში.

ამ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ისეთი ოდიოზური აფხაზი ლიდერები, როგორებიც იყვნენ: მ. ტარნავა, დ. ალანია, მ. ცაგურია, ი. მარღანია და სხვა.[1] განსაკუთრებით ხაზგასმული იყო კაზაკთა სისასტიკე. ისინი თურმე – „врывались в мирные абхазские деревни, забирая все мало-мальски ценное, совершая насилие над женщинами".[2]

თუმცა, ამ საკითხთან მიმართებაში სხვა მოსაზრებებიც არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური დელეგაციის ამ განცხადების შინაარსს სხვა წყაროების მონაცემები ეწინააღმდეგება. კერძოდ, გენერალი მაზნიაშვილი და მისი მემუარი. გენერალი მაზნიაშ-ვილი თავის მემუარში ხაზგასმით გამოყოფს მის დაქვემდებარებაში მყოფი კაზაკების კორექტულ მოქმედებებს: „მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც კაზაკებმა გაატარეს სოხუმში და ოჩამჩირეში, მათ არ ჩაუდენიათ არავითარი უწესობა, სამაგალითოდ იქცეოდნენ, დისციპლინას არ არღვევდნენ და სამსახურს კარგად ასრულებდნენ".[3]

1918 წლის 12 აგვისტოს გუდაუთის უბნის გლეხთა საერთო შეკრებაზე, რომელზეც განიხილებოდა აფხაზეთის საზღვრებში თურქული ბანდების გადმოსხმისა და მათი საქმიანობის საკითხები, გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: „აფხაზეთის ფიზიონომიის საბოლოოდ გამორკვევა და მმართველობის პოლიტიკური ფორმის დადგენა უნდა გადაწყდეს ეროვნულ კრებაზე. რაც შეეხება თურქულ დესანტს, მას არ უნდა აღმოვუჩინოთ არავითარი დახმარება: არც მორალური, არც ფიზიკური, და ყრილობის მოწვევამდე დავრჩეთ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების ერთგულნი".[4]

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ. 25.

[2] Р. Ходжава. Документы и материалы Абхазского Народного Совета. 1918-1919 гг. Сухуми. 1999. Стр. 21.

[3] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 69.

[4] Газета „Наше слово". Сухуми. 1918, 16 августа. №68. Стр. 4. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

§10. სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაცია

სოჭის აღების ბრძანების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში ქართული შენაერთები პილენკოვოსთან იდგნენ და შეტევითი ოპერაციისათვის ემზადებოდნენ. აუცილებელი გახდა ძალების თავმოყრა და გადაჯგუფება, რადგან „აფხაზეთის ცხენოსანი ჯარი გახრწნის გზას დაადგა. გაგრაში რომ მივედით, მათში დარჩა არა უმეტეს 60-70 ცხენისა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შევუდექი მზადებას სოჭის ასაღებად",[1] – თავის მემუარში წერდა გენერალი მაზნიაშვილი.

სოჭიდან ჩამოსული დელეგატები კი ატყობინებდნენ გენერალ მაზნიაშვილს, რომ სოჭის მთელი მოსახლეობა მოუთმენლად ელოდებოდა ქართული ქვედანაყოფების ქალაქში შესვლას, და უფრო მეტიც – ისინი მზად იყვნენ გენერლის დასახმარებლად 2000 კაციც კი გამოეყვანათ.[2]

1918 წლის 29 ივნისს ქართულმა შენაერთებმა შეტევითი მოქმედებები დაიწყეს. იმავე დღეს მდ. მზიმთას ფორსირების შემდეგ გათავისუფლებულ იქნა ადლერი. მეწინავე ნაწილის, თბილისის საგანგებო ბატალიონის მეთაური, პორუჩიკი ფირცხალავა იტყობინებოდა: „მიუხედავად მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენი ბატალიონი 29 ივნისს გადავიდა მდ. მაგიმკშზე და დაიკავა ქ. ადლერი. ჩვენი ჯარისაკაცებისა და აფიცრების მამაცობა გამბედაობას საზღვარი არა აქვს. მოწინააღმდეგის მხარით მოკლულია 200, ტყვედ წამოყვანილია 100, დიდძალი თოფები და ტყვიები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ჯარისკაცს ციება გამოაჩნდა აქ, რაზმს მაინც არ სტოვებენ და უარს ამბობენ საექიმოთ წასვლაზე ზურგში".[3]

ადლერის გათავისუფლების შემდეგ, გვარდიის საგანგებო ბატალიონმა სანაპიროს გასწვრივ გააგრძელა წინსვლა და 2 ივლისს სოჭის მისადგომებთან ბრძოლაში ჩაერთო ბოლშევიკთა არიერგარდთან. ბრძოლა ქართული მხარის გამარჯვებით დასრულდა, ბოლშევიკთა ძირითადმა ძალებმა კი ისევ სოჭისაკენ დაიხიეს უკან. ამ ბრძოლაში გუდაუთაში ადრე დატყვევებულ ქართველ მებრძოლთა ნაწილიც იქნა განთავისუფლებული. გაზეთი „დროების" 4 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ოპერატიულ შეტყობინებას შემდეგი სახე ჰქონდა:

„ქართული საგანგებო ბატალიონის უფროსის თანაშემწე პოდ. ესაკია 2 ივლისს ღამის 2 საათზე ელაპარაკა სოხუმში პირდაპირი მავთულით გენ. მაზნიაშვილს, რომელმაც გადმოსცა შემდეგი: „...ზარალი მოუვიდა ილიკო ჯუღელის რაზმს, რომელმაც გუდაუთიდან უკან დახევის დროს დაჰკარგა 60 კაცი ტყვე, 11 მოკლული. ტყვეების ნაწილი, რიცხვით 14 კაცი მე გავანთავისუფლე. 46 კაცი ტყვეები კი, ბოლშევიკებმა თან წაიყვანეს. ამჟამად ჩვენი ჯარი სოჩიდან 10 ვერსზეა დაბანაკებული".[4]

წარმატებით დაწყებული შეტევითი ოპერაცია გაგრძელდა. 5 ივლისს დაკავებულ იქნა ხოსტა. მოწინააღმდეგის აღმატებულ ძალებთან დაპირისპირებაში ქართულმა მხარემ დიდი საბრძოლო ალაფი მოიპოვა. მისი საბრძოლო დანაკარგები ცოცხალ ძალაში კი, მინიმალური იყო. თუმცა, ამ ბრძოლაში დაიღუპა საგანგებო ბატალიონის მეთაური, პორუჩიკი ფირცხალავა. გაგრიდან მთავარ შტაბს ატყობინებდნენ:

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 69.

[2] იქვე.

[3] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი №138. გვ. 2.

[4] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 4 ივლისი №137. გვ. 2.

„5 ივლისს ჩვენმა ჯარმა ხოსტასთან, ადლერიდან 12 ვერსის მანძილზე, მოწინააღმდეგე უკუაქცია. ჩვენ წამოვიღეთ 6 ზარბაზანი, 8 ტყვიისმფრქვეველი და 200 კაცამდე ტყვე. ჩვენის მხრივ მოკლულია ქართული ბატალიონის მეთაური ფირცხალავა და მე-3 ქართული პოლკის 2 აფიცერი. სულ დაჭრილი და დახოცილნი ჩვენის მხრიდან არის 10 კაცი. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ტფილისის რაზმმა, ყვირილის განსაკუთრებულმა რაზმმა და ადგილობრივმა სახალხო გვარდიამ... 9 კაცი დაიღუპა საგანგებო ქართული ბაგტალიონიდან: პორუჩიკი ფირცხალავა, პრაპორშიკი მასხულია და ჯარისკაცები – ანტონ ტაბიძე, გრიგოლ კუხალაშვილი, ვარლამ გამცემლიძე, ლევან ჯალაღანია, ნესტორ მიმინოშვილი, კალისტრატე კორძახია, გაგნიძე ვალერიანი".[1]

ხოსტის ბოლშევიკთაგან გათავისუფლებას დიდი სიხარულით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო იუწყებოდა: „11 ივლისი. ხოსტა. (სოხუმის ოლქი). მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშა გაეგზავნა: ხოსტის მოქალაქენი სამადლობელი პარაკლისის გადახდის შემდეგ გულითად სალამს უძღვნიან საქართველოს რესპუბლიკას, რომელმაც გვიხსნა ანარქიისა და სამარცხვინო უღლისაგან. გისურვებთ წარმატებას".[2]

ხოსტასთან გამართულ ბრძოლაში ერთი საინტერესო ეპიზოდიც უნდა გამოიყოს. საუბარი ქართველ მოწყალების დას და მის გმირულ ქმედებას ეხება. ამ ბრძოლის მონაწილე, რიგითი შალვა ჭიჭინაძე იხსენებს: „1918 წელს, როდესაც სოხუმზე თავდამსხმელ მტერს ზურგი ვაბრუნებინეთ (ბალშევიკების სახით), თავზარდაცემულებმა მხოლოდ სოფელ ხოსტასთან (სოჭის ახლოს) შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა.

აქ ვხედავთ ელენეს თავდადებულ მუშაობას, იგი მწკრივში არ გვშორდება და დაჭრილ ძმებს შესაბამის დახმარებას უჩენს.

„ყოჩაღ ძმებო, მტრის ტყვიამ იკლო, მტრის ზარბაზნებსაც ხმა ჩაუწყდა, მალე სანგრებსაც დაგვიტოვებენო"! – ასთე ამხნევებდა დაჭრილ ძმებს და ჩვენგან ითხოვდა ძველი ქართველის სიმამაცეს.

ამ დროს მოხვდა მტრის ტყვია მკლავში და ასეთი ძვირფასი დანაკლისი რომ არ შეგვემჩნია, ჭრილობაზე ხელი დაიფარა, რომ სისხლი არ ეჩვენებინა და წარბ შეუხრელად ასრულებდა თავის მოვალეობას ჯვარედინა ცეცხლის სეტყვაში, რომელიც გაეჩაღებინა ჩვენსა და მოპირდაპირის ტყვიის მფრქვეველებს.

ბრძოლა გათავდა ჩვენის გამარჯვებით. ელენემ მხოლოდ მერე შეიხვია ჭრილობა".[3]

სამწუხაროდ ქართველი მოწყალების დის პიროვნების სრული იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მემუარის ავტორი მხოლოდ მის სახელს ახსენებს – ელენე... თუმცა ელენესთან დაკავშირებით რიგითი ჭიჭინაძის მემუარი მხოლოდ ამ ეპიზოდით არ შემოიფარგლება. მისი მემუარის მეორე ნაწილს წიგნის შესაბამის ნაწილში მოვიყვანთ, ტუაფსესთან გამართული ბრძოლის აღწერისას, სადაც სრულად წარმოვადგენთ ბოლშევიკი მკვლელების, დიახ, მკვლელების, და არა მეომრების იმ სისასტიკეს და ადამიანური უზნეობის აპოთეოზს, რაც უკვე ასე დამახასიათებელ შტრიხად ქცეულიყო მუშურ-გლეხური წითელი არმიის, მისი ბოლშევიკი კომისრებისა და პროლეტარი ჯარისკაცისათვის.

---

[1] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ივლისი №145. გვ. 2.

[2] იქვე.

[3] ჯარის კაცი შალვა ჭიჭინაძე. ჩვენი ქალი ომში. ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №3. 1920 წლის 13 ივნისი. გვ. 13-14.

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ხოსტასთან მოახდინა ძალების გადაჯგუფება და ახალ ძალებს მოუყარა თავი, გენერალმა მაზნიაშვილმა მაინც გადაწყვიტა 6000-იანი შენაერთით დაეწყო სოჭზე შეტევა. ოპერაციის პირველ ფაზაში მცურავი საშუალებები იქნა ჩართული. ქართულმა კატარღებმა ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შემდეგ სოჭის მისადგომებთან ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს. სატრანსპორტო გემმა „წმ. მიხეილი" „დერზკის" თანხლებით შემოუარა მოწინააღმდეგის ფლანგს და ბრძოლაში ჩაება წითლების 5 შორსმსროლელი ქვემეხისგან შემდგარ ბატარეასთან. „წმ. მიხეილმა" მწყობრიდან გამოიყვანა რამდენიმე ქვემეხი და ისეთი პანიკა გამოიწვია მოწინააღმდეგის რიგებში, რომ ქართულმა ქვედანაყოფებმა ადვილად განავითარეს მიღწეული წარმატება.

აღსანიშნავია, რომ სოჭის აღების ოპერაციაში ქართული მხრიდან ვალოდია გოგუაძის[1] ჯავშანმატარებლების საბრძოლო ეკიპაჟის წევრები და ჯავშნოსანი მანქანებიც იქნა ჩართული, რომელთა მოქმედებები ერთობ ეფექტური გამოდგა.[2] ბოლშევიკთა დეზორგანიზებულმა წითელგვარდიულმა რაზმებმა უწესრიგოდ და პანიკით დაიხიეს უკან, ტუაფსესა და ყუბანისაკენ. „აქ იყო უფრო მეწინავე რაზმების ბრძოლა. მოწინააღმდეგე, სხვა რაღაც მოსაზრებით, შეტაკებას გაურბოდა, ჩვენი მიახლოებისთანავე უკან იხევდა ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეზე"[3] – წერდა შემდგომ თავის მემუარში გენერალი მაზნიაშვილი.

ისევ გენერალი მაზნიაშვილი: „...მეწინავე რაზმის უფროსს, დადიანს ვუბრძანე მიეტანა იერიში სოჭზე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სოფელ ხოსტასთან ჩვენმა მეწინავე რაზმმა ეს ქალაქიც აიღო".[4] 6 ივლისს ქართული ჯარის მეწინავე ნაწილები სოჭში შევიდნენ... ქალაქი სოჭი და სოჭის ოლქი ისევ თავის ისტორიულ სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა.

გენერალ მაზნიაშვილს სოჭში ძირითადი ძალები არ შეუყვანია, ისინი ქალაქგარეთ დააბანაკა. ქალაქში პოლიციური ფუნქციებით აღჭურვილი მხოლოდ მცირე გარნიზონი იქნა ჩაყენებული. გენერალ მაზნიაშვილს, როგორც პროფესიონალ სამხედროსა და ნამდვილ მეომარს, კარგად ესმოდა, რომ ბრძოლებით გაწამებული და გარკვეულწილად შურისძიების გრძნობით აღვსილი მებრძოლი მასა ძნელად კონტროლირებადი იქნებოდა და

---

[1] ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე (1880-1954) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და სამხედრო მოღვაწე, ტერორისტი. ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ლეგენდარული სამხედრო მეთაური, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პორუჩიკი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. ქართველი სამხედრო მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე კავკასიაში. საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებლების უცვლელი უფროსი, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ „რევოლუციის რაინდად" წოდებული. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. 1905-1907 წლების საპროტესტო გამოსვლებისა და რევოლუციის აქტიური მონაწილე ბაქოსა და ამიერკავკასიაში. 1917 წლიდან საქართველოშია. ამიერკავკასიის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. 1917 წლის 12 დეკემბერს, კავკასიის ფრონტის სტრატეგიული მარაგების ბაზის, არსენალის აღების ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1918 წლის დასაწყისში კავკასიის ფრონტის „რევოლუციონერი" ჯარისაკცების შეიარაღებული აგრესიისაგან თბილისის დაცვის ოპერაციის აქტიური მონაწილე. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებული ყველა დიდ-პატარა ომისა და ბრძოლის აქტიური მონაწილე და წარმატებული მეთაური. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია.

[2] ეს ჯავშანმატარებელი, ტექნიკურად სრულიად გამართული ქართული მხარის მიერ ძალიან მალე, სექტემბრის პირველ რიცხვებში, ჯერ კიდევ ეკატერინოდარის ცნობილ შეხვედრამდე გადაეცა გენერალ ალექსეევის „მოხალისეთა არმიას" ბოლშევიკთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლების საწარმოებლად.

[3] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 64.

[4] დასახელებული ნაშრომი. გვ. 65.

მათი ქალაქში შეყვანა მრავალ გაუთვალისწინებელ სირთულეს გამოიწვევდა. ზუსტად ასე მოიქცა გენერალი ოდნავ მოგვიანებით, უკვე სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ოპერაციის შემდეგ. 1918 წლის დეკემბრის ბოლოს, ქართულმა ქვედანაყოფებმა სომხური ნაწილებისა და დაშნაკური რაზმების მიერ ოკუპირებული ქალაქი გაათავისუფლეს. და აქაც, მძიმე ბრძოლების შედეგად აღებულ შულავერში, გენერალ მაზნიაშვილს ჯარები არ შეუყვანია.

სოჭის გათავისუფლების შემდეგ ქართული მხარის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ჯარი არავითარ სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა მცხოვრებთა დარბევისაგან დაცვისა და წესრიგის აღდგენისა. ჩვენ ვიცავთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ საზღვრებს... ჩვენ დავრჩებით მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი სრული მშვიდობიანი ცხოვრება და დემოკრატიული წეს-წყობილება, რომელიც ბოლშევიკების ბრბოების შემოსევამდე იყო".[1]

ქართული ქვედანაყოფების მიერ სოჭის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებას დიდი სიხარულით შეეგება ქალაქის რუსული და ქართული მოსახლეობა. საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ კი, სოჭიდან ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ხოფერიასაგან, შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„საბჭოების მთავრობა გავაუქმეთ. ათი დღის წინ საბჭოს გაუქმებამდე, სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კრებაზე უნდობლობა გამოუცხადეს საბჭოს, უარი განაცხადეს მიეცა მათთვის სალდათები და სხვა საჭირო მასალები. საქართველოს ჯარის მოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. სოჩის ოლქის მუშების საერთო კრებაზე სახალხო გვარდიის თავმჯდომარის, ამხ. ტუმარკინის მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა რეზოლუცია – მხარი დაუჭირონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ოლქის სხვადასხვა ადგილებშიაც. ჩვენმა ჯარმა თავისი მოქმედებებით და მცხოვრებლებთან დამოკიდებულებით მათი დიდი სიყვარული დაიმსახურა. ჩვენი ჯარის წესრიგი ხელს უწყობს ახალი ძალის სიძლიერეს. გადაეცით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სალამი".[2]

სოჭის ბოლშევიკთაგან გათავისუფლების მიუხედავად, ისტორიული ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქ ტუაფსემდე ისევ ქართული სახელმწიფოს კონტ-როლგარეთ იყო დარჩენილი. აქ უკანდახეული ბოლშევიკური რაზმები იყვნენ თავმოყრილნი, რომლებიც ძალების მოკრების შემდეგ, მზად იყვნენ ახალი აგრესიის განხორციელებისათვის. თავისთავად ცხადია, ბოლშევიკთაგან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზაციისა და წითელი აგრესიის საბოლოოდ აღსაკვეთად, ქართული სარდლობის წინაშე შეტევითი მოქმედებების შემდგომი გაგრძელება დადგა დღის წესრიგში. ამ ბრძოლაში ქართველი და აფხაზი ხალხები ერთად იდგნენ, როგორც იდეოლოგიური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

ისიდორე რამიშვილი 1918 წლის 18 ივლისს გამართულ აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, აცხადებდა:

„…Абхазский народ рассматривается не как нация, которая должна быть ниже и хуже, а как одно целое с грузинским народом, как это было с русским народом и персидским народом, которому кавказская демократия старалась всеми силами помочь в деле свержения шаха и установления республиканского строя. Поэтому необходимо единение и с абхазским народом для обоюдной совместной работы на благо демократии. Кроме этого, представляется опасность со стороны узконационалис-

---

[1] საუბარი გენ. მაზნიაშვილთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 17 აგვისტო. №173. გვ. 2.

[2] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ივლისი №145. გვ. 2.

тических и шовинистических элементов, которые, объединившись с так называемыми „большевиками”, могут пойти рука об руку против демократизма”.[1]

სოჭის აღების შემდეგ ბოლშევიკთა წინააღმდეგობა, ცხადია, არ დასრულებულა. პირიქით, 9-10 ივლისს ტუაფსეში შედგა რსდმპ(ბ) საოლქო კომიტეტისა და აღმასკომის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოჭის ოლქში, ქართული ქვედანაყოფების ზურგში შეგზავნილიყო ბოლშევიკ აგიტატორ-დივერსანტთა ჯგუფი – ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პერსონები: ლ. მოსკვიჩოვი, პ. გორელოვი, ფ. ცხომარია, ი. ხიოტი და სხვა.[2] ამავე დროს, ჩრდილოკავკასიელ ბოლშევიკთა მიერ სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. სახელდობრ, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალების შემდგომი კონსოლიდაციის მიზნით, 1918 წლის ივლისში ხდება ჩრდილო კავკასიაში არსებული ე.წ. „საბჭოთა რესპუბლიკების” მორიგი გაერთიანება. კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოების I ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით ე.წ. „ყუბანი-შავიზღვისპირეთის”, „სტავროპოლისა” და „თერგის” ე.წ. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებით იქმნება ე.წ. „ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა”, ცენტრით ეკატერინოდარი (დღევანდელი კრასნოდარი – ა. ჩ.).[3]

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სოჭის აღების შემდეგ, ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია ტუაფსეს მიმართულებით განვითარდა. ამ ოპერაციის აღსრულებისას, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთში დიდი წარმატებით იბრძოდნენ ბოლშევიკთაგან დევნილი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკთა რაზმებიც. ამ საკითხთან მიმართებაში მეტად ნიშანდობლივია საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის[4] შემდეგი დასკვნა, რომელიც განსჯისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა: „რუსებმა შეუძლებლად მიიჩნიეს ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლა და მოქმედება; მართალია ყველა არა, მგრამ უდიდესი უმრავლესობა ამ აზრისა გახლდათ. უცნაური ის იყო, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად ხალისით მიდიოდნენ,

---

[1] Из протокола заседания АНС - о положении в крае. 18 июля 1918 г. ЦГАА, ф.И-39, оп.1, д.3, лл.9-9об.

[2] Архив музея истории города-курорта Сочи, ф. 4, оп. 1, д. 6, 8. Л. 1.

[3] Осадчий И.П. Октябрь на Кубани. – Краснодар, 1977. Стр. 27.

[4] გიორგი კვინიტაძე (1874-1970) – ქართველი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, ქართული არმიის გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი და ფაქტობრივად ბოლო მთავარსარდალი, რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. რუსეთის არმიის პოლკოვნიკი 1916 წლიდან. 1915 წლის დეკემბრიდან კავკასიის ფრონტზე მოქმედი მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი. კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის აქტიური მონაწილე და გმირი. 1917 წლის მაისიდან კავკასიის მე-15 ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 წლის იანვრიდან კავკასიის ფრონტის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერის მოადგილე. 1918 წლის დასაწყისიდან ქართული საარმიო კორპუსის 1-ლი ქართული დივიზიის მეთაური. 1918 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრის თანაშემწე. 1918 წლის მაისიდან 1918 წლის სექტემბრამდე, 1920 წლის მაისიდან 1920 წლის ოქტომბრამდე, და 1921 წლის თებერალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსრდალი. 1918 წლის დეკემბერ-იანვარში სომხეთ-საქართველოს ომის სადახლო-შულავერის ფრონტის საველე შტაბის უფროსი. 1919 წლის მარტიდან ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდალი. 1919 წლის სექტემბრიდან ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1920 წლის მაისიდან ბოლშევიკური სამხედრო აგრესიის გამო ისევ ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. თანამდებობიდან გადადგა იმავე წლის ოქტომბერში და დაუბრუნდა სამხედრო სკოლას. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკთა ახალ სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით მთავრობის თავმჯდომარის მიერ ისევ ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. გიორგის ჯვრის კავალერი. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია.

ხოლო ამიერკავკასიის არმიის რიგებში ბაქოელი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა მიუღებლად მიაჩნდათ".[1]

ბუნებრივად იკვეთება ის სურათი, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკთა შეუზღუდავი თარეში იმდენად დაუნდობელი და სისხლიანი იყო, რომ აქ მოსახლე თვით რუსული მოსახლეობაც კი, მზად იყო დიდი ენთუზიაზმითა და თავგანწირვით ებრძოლა თანამემამულე რუს ბოლშევიკთა წინააღმდეგ.

ბოლშევიკებმა კი მართლაც სისხლიანი კალო გალეწეს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მოვლენების ამსახველი მასალები უამრავია. და ყველაფერ ამას ყოფილი ე.წ. „აფხაზეთის რევკომის" თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, გევორქ ათარბეგოვი ედგა სათავეში, რომელსაც ამ დროისათვის უკვე „ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის", სრულიად რუსეთის სამხარეო ВЧК-ს თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

ჩვენ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიტანთ მისი „რევოლუციური მოღვაწეობის" ამსახველი გრძელი ნუსხიდან:

„...არმავირის, პიატიგორსკის, კისლოვოდსკის, ესენტუკის არაპროლეტარული მოსახ-ლეობა სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის იქნა განწირული. ათარბეგოვმა ამ ქალაქებში საგანგებო კომისიები შექმნა, რომლებმაც წითელი ტერორის ჯერ კიდევ ოფიციალურ გამოცხადებამდე, ათასობით ადამიანი დახოცეს – სასულიერო პირები, ოფიცრები, ინტელიგენცია... აი ერთ-ერთი თვითმხილველის მონათხრობიც: „ჯალათები გამოუცდელები იყვნენ და ხმლის ერთი მოქნევით ვერ ახერხებდნენ მსხვერპლის მოკვლას. თითოეულ მძევალს ერთი ხუთჯერ მაინც ურტყამდნენ, ზოგს კი უფრო მეტჯერაც. ზოგიერთი კვნესოდა, მაგრამ უმეტესობა უჩუმრად კვდებოდა... საფლავებს შორის სისხლის გუბეები იდგა. აქა-იქ ადამიანის ძვლები ეყარა. საფლავის ქვები და ჯვრები კი, სისხლისა და ტვინის შხეფებით იყო მოსვრილი... ათარბეგოვი არა მარტო ხელმძღვანელობდა ამ მოქმედებებს, არამედ პირადადაც მონაწილეობდა მასში და ძალიან ტრაბახოდა კიდეც თანამებრძოლების წინაშე იმით, თუ საკუთარი ხელით როგორ ჩეხავდა ამა თუ იმ გენერალს".[2]

დიახ, „მგზნებარე რევოლუციონერი", აფხაზეთში მიღებულ მდიდარ გამოცდილებას დღითიდღე ხვეწდა... იგი ერთგული შემსრულებელი აღმოჩნდა ლენინური ტერორის იმ ტალღისა, რომლის შესახებაც პროლეტარიატის დიდი ბელადი უკვე 1918 წლის 9 აგვისტოს წერდა:

„...აუცილებელია მოეწყოს გაძლიერებული რაზმი უაღრესად სანდო ადამიანე-ბისაგან, გატარდეს ულმობელი მასობრივი ტერორი კულაკების, ხუცესებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ... საეჭვონი დაამწყვდიეთ საკონცენტრაციო ბანაკებში..."[3]

დავუბრუნდეთ ისევ სოჭის ფრონტსა და ტუაფსეს, აქ დაწყებულ საბრძოლო მოქმედებებს. ტუაფსეს მიმართულებაზე, მიუხედავად ბოლშევიკთა მიერ განხორციე-ლებული კონტრშეტევისა და ინტენსიური საარტილერიო ცეცხლისა, 15-26 ივლისს წარმოებულ ბრძოლებში, ინიციატივას ისევ ქართული ქვედანაყოფები დაეუფლნენ. წითლებმა უკან, ტუაფსესაკენ დაიხიეს.

ახლა კი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ტუაფსეს მისადგომებთან გამართული ბრძოლების შესახებ გენერალი მაზნიაშვილი სამხედრო მინისტრს ატყობინებდა: „23 ივლისს, დილის 9 საათზე ჩვენ ბრძოლით მივიწევდით სოფ.

---

[1] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 56.

[2] Черная книга имен, которым не место на карте России. Сост. С. В. Волков. М., „Посев". 2004.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 36. გამოცემა მეოთხე. საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1959. გვ. 564.

ლოოდან სოფ. გოლოვინკაზედ. აქ მოგვიხდა შეტაკება მოწინააღმდეგის უმთავრეს ძალებთან. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, ისინი უწესრიგოდ გაიქცნენ ტუაფსეში. ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, ორი ტყვიისმფრქვეველი, ერთი ავტომობილი და ტყვიები, რომელთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. მოწინააღდმეგეს დაახლოებით 800 კაცამდე ჰყავს, აქვს ჯავშნიანი ავტომობილები და მატარებლები. მოწინააღმდეგის არტილერია ისროდა ყუმბარებს მხრჩოლავი „გაზით". ჩვენი ყველა რაზმელი ჩინებულად იქცევა. სულიერი განწყობილება კარგია".

გენ. მაზნიაშვილი შუამდგომლობს, რომ მეწინავე რაზმის უფროსი, მე-3 ქართული პოლკის კაპიტანი დავით ჭკადუა დაჯილდოებულ იქნას".[1]

ამ შეტყობინებაში ყურადსაღები არა ქართული მხარის მიერ მიღწეული დიდი წარმატება და მოპოვებული სამხედრო ალაფის რაოდენობა, არამედ სულ სხვა რამაა. საუბარი ბოლშევიკთა მიერ ქიმიური იარაღის, მხუთავი აირის გამოყენებას ეხება. სავარაუდოდ, ეს ნივთიერება უნდა ყოფილიყო თხევადი ქლორი, ფოსგენი ან ქლორპიკრინი. მომწამლავი ქიმიური საშუალებების სწორედ ამ არსენალს ფლობდა I მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმია.[2]

დიახ, საბჭოთა რუსეთი და რუსი ბოლშევიკები პირველები იყვნენ მსოფლიოში, ვინც ყოფილი თანამემამულეების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. ასევე მათ მიერ პირველად იქნა გამოყენებული საავიაციო დაბომბვა ამიერკავკასიაში „აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური რევოლუციის" დროს, 1918 წლის თებერვალში. ამის შესახებ ნაშრომის შესაბამის თავში გვქონდა საუბარი, როდესაც ქალაქი სოხუმი და ეშერა ბოლშევიკთა ჰიდროპლანებით იბომბებოდა. თუმცა, ლენინისა და მისი გუნდისათვის არათუ ყოფილი თანამემამულეების, არამედ თვით რუსეთის „ურჩი" მოქალაქეებისა და რუსი ხალხის, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლისა და დასჯის ფორმად ქიმიური იარაღის გამოყენება ძალიან მალე ჩვეულ საქმედ იქცა. ათეული წლების განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგიის მიერ ტაბუდადებულმა და მკაცრად გასაიდუმლოებულმა, ფაქტიურად ისტორიიდან ამოშანთულმა მრავალმა მოვლენამ თუ ფაქტმა მხოლოდ უკანასკნელ წლებში იხილა დღის სინათლე. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და ვიტყვით, რომ 1921 წლის ზაფხულში ტამბოვის გუბერნიაში დაწყებული გლეხთა აჯანყების ჩასახშობად ბოლშევიკთა მიერ ისევ ქიმიური იარაღი – მხუთავი აირები იქნა გამოყენებული. ამ ოპერაციას წითელი არმიის ლეგენდარული მეთაური, მიხაილ ტუხაჩევსკი ხელმძღვანელობდა.[3] მის შესახებ ჩვენ ქვემოთ, თემის გაშლისას გვექნება უფრო საგნობრივი საუბარი.

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკები არა მხოლოდ „პროლეტარული რევოლუციის" აპოლოგეტებსა და პიონერებს, არამედ ბრძოლის ახალი ტექნოლოგიური საშუალებებისა და მეთოდების „ინოვაციური" დანერგვა-გამოყენების პიონერებსაც წარმოადგენდნენ. ამ ინოვაციური მეთოდების გამოცდისა და შემდგომი დახვეწის პოლიგონად კი, ბოლშევიკებმა

---

[1] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 25 ივლისი №155. გვ. 1.

[2] Михаил Васильевич Супотницкий. кандидат биологических наук. „Забытая химическая война 1915–1918 гг." Химическая война в России. Применение химического оружия в операциях Первой мировой войны // Офицеры. — 2010. — № 5 (49). — С. 54–59. http://www.supotnitskiy.ru/stat/stat76.htm.

[3] БОБКОВ Александр Сергеевич — научный сотрудник Института физической химии и электрохимии имени А.Н. Фрумкина (г. Москва), кандидат химических наук. ТАМБОВСКОЕ ВОССТАНИЕ: ВЫМЫСЛЫ И ФАКТЫ ОБ ИСПОЛЬЗОВАНИИ УДУШАЮЩИХ ГАЗОВ. Военно-исторический журнал Министерства обороны РФ. http://history.milportal.ru/2011/06/ tambovskoe-vosstanie-vymysly-i-fakty-ob-ispolzovanii-udushayushhix-gazov/.

საქართველო და აფხაზეთი აქციეს. მათ პირველად დაბომბეს ჰაერიდან საქართველოს ქალაქები, (დიახ, ქალაქები! და არა დავუშვათ, მოწინააღმდეგის საბრძოლო პოზიციები) და მათ პირველად გამოიყენეს ქიმიური იარაღი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. აღნიშნული თემის შესახებ დღეს რუსი ისტორიკოსები წერენ, რომ ბოლშევიკთა მიერ ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა ომის სამართლის ნორმების იმდროინდელ მოთხოვნებს, და იგი არ წარმოადგენდა სამხედრო დანაშაულს, რამეთუ მაშინ, 1918 წელს, ჯერ კიდევ არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ისეთი ნორმები და მოთხოვნები, რომლებიც ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენებას კრძალავდნენ. დიახ, წმინდათ იურიდიული თვალსაზრისით, ეს მართლაც ასეა. ქიმიური იარაღის გამოყენებაზე აკრძალვა მხოლოდ 1925 წელს იქნა მიღებული ჟენევის პროტოკოლით, ხოლო მისი რატიფიცირება საბჭოელების მიერ 1928 წელს მოხდა.[1] ვერაფერს ვერ ვიტყვით, მართლაც რკინისებური ლოგიკაა... მაგრამ ერთია საკითხის იურიდიული მხარე, და მეორეა – პრობლემის მორალურ-ზნეობრივი ასპექტი. თუმცა, აქ საქმე მარტივადაა მოწყობილი – „რევოლუციები" მორალს, ზნეობას, ეთიკას და მსგავს ქიმერებს არ სცნობენ.

ახლა კი, რაც შეეხება გენერალ მაზნიაშვილის ზემოთ მოყვანილი პატაკის მეორე ნაწილს, კაპიტან ჭკადუას დაჯილდოების შესახებ. რა თქმა უნდა, გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის კაპიტანი ჭკადუა ალბათ მართლაც იმსახურებდა ღირსეულ დაჯილ-დოებას. აქსიომაა, რომ ყოველ ღირსეულ მეომარს ღირსეული მხედრული ჯილდო ეკუთვნის და ამაში არც არაფერია გასაკვირი, მით უმეტეს, როცა დაჯილდოებაზე წარდგინებას თვით გენერალი მაზნიაშვილი აწერს ხელს. მაგრამ, ამ თემასთან მიმართებაში ქართველ მეომართა დაჯილდოება-არდაჯილდოების თემა I ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში მართლაც უკიდურესად ექსტრემალურ ფორმებს იღებდა ხოლმე.

გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული დამსახურებისათვის აფხაზეთის სახალხო გვარდიის რაზმის უფროსის, ლევ ტუმარკინის მიერ გვარდიის საგანგებო ბატალიონის პირადი შემადგენლობაც იქნა წარდგენილი. მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე ცოტა განსხვავებულად წარიმართა – პირადმა შემადგენლობამ უარი განაცხადა დამსახურებული ჯილდოს მიღებაზე. მიზეზი კი, მართლაც ძალიან საინტერესოა. პასუხს ამ საკითხზე ქვემოთ მოყვანილი ერთი დოკუმენტი იძლევა. 1918 წლის 12 ივლისს გაგრაში შედგა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის სამეთაურო შემადგენლობის კრება. კრებაზე მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„ვინაიდგან აღმასრულებელი კომიტეტის რაზმი არის პარტიული და ნამდვილი რევოლუციონერებისაგან შემდგარი, რომელიც თავის წმინდა მოვალეობად თვლის თავისუფლების გულისთვის უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ბრძოლას და თავის გაწირვას, ვინაიდან ის იბრძვის იდეისათვის და ემსახურება ამას და არა პატივმოყვარეობას ან ჯილდოს, ამასთანავე ღებულობს რა მხედველობაში ჩვენი რესპუბლიკის სიღარიბეს, რაზმი უარს აცხადებს ყოველგვარ კერძო ან ზედმეტი ჯილდოს მიღებაზე, ვინაიდან რაზმი ერთსულოვანი მებრძოლია და რაზმში არც ერთი ისეთი არ არის, რომელსაც თავი არ ესახელებიოს ან მამაცობა არ გამოეჩინოს ბრძოლაში, ამიტომ

[1] Наталия Ивановна КАЛИНИНА -- профессор, доктор медицинских наук, главный научный сотрудник ИМЭМО, помощник Председателя Правительства РФ (в отставке). Конвенция о запрещении биологического оружия. История появления и современное состояние. Центр по изучению проблем разоружения, энергетики и экологии при МФТИ. http://www.armscontrol.ru/course/lectures05a/nik 050317. htm.

რაზმის კრება სასურველად სთვლის მიეცეს მთელ რაზმს ერთი რევოლუციონერული დროშა შესაფერი წარწერით მთავრობისაგან და წმინდა გიორგის ლენტის ნიშნად გმირობისა და მამაცობისა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში...”[1]

ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება საკმაოდ გაგვიძნელდა. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ საერთოდ არ გაგვეკეთებინა იგი. რეზოლუციის ტექსტის გააზრება მკითხველისათვის მიგვინდია...

დავუბრუნდეთ ისევ სოჭის ფრონტს და იქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს. სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაცია გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. წარმატებით განხორციელდა მაზნიაშვილის მხარდამჭერი ადგილობრივი და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკებისაგან შემდგარი რაზმის დესანტირება და ქალაქის კომუნიკაციების ბლოკირება. დამატებით, არხიპოსიპოვკასთან განხორციელდა ქართული დესანტის გადასხმის იმიტაციაც, რითაც ტუაფსესთან გამაგრებული წითლების რაზმის ნაწილი იქნა მიზიდული, ღამით კი, ,,წმ. მიხეილი'' უხმაუროდ მიადგა ნაპირზე განლაგებულ მოწინააღმდეგის ქვემეხებს და ცეცხლი გაუხსნა მათ. შემდეგ კი, ნოვოროსიისკის შუქურასთან მოწყობილი წითლების ბატარეა დაბომბა, რითაც გზა გაუხსნა ქართული ქვედანაყოფების წინსვლას.

12 საათიანი მომქანცველი ბრძოლის შემდეგ, 1918 წლის 26 ივლისს ქართული ქვედანაყოფები ტუაფსეში შევიდნენ და საქართველოს ისტორიულ საზღვარს მიაღწიეს შავიზღვისპირეთში. ამ მიმართულებაზე ბოლშევიკური წითელგვარდიული რაზმები ლიკვიდირებულ იქნენ და ქართული ქვედანაყოფების შემდგომი წინსვლა დასრულდა. ბოლშევიკური რაზმების გადარჩენილმა ნაწილმა კი, ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიხია.

ქალაქის გენერალ-გუბერნატორად გაგრის ფრონტის სარდალი, გენერალი ტარას ვაშაკიძე[2] დაინიშნა. ქართულმა ჯარმა წითლებს ტუაფსეს ნავსადგურიც დაატოვებინეს, სადაც სხვადასხვა სახეობის 28 ხომალდი იდგა. ისინი ფოთის სავაჭრო ნავსადგურსა და სამხედრო ფლოტში გადანაწილდა.[3]

27 ივლისს, გენერალი მაზნიაშვილი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს, გრიგოლ გიორგაძეს[4] გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის'' ინფორმაციით შემდეგი შინაარსის ტელეგრამას უგზავნის:

,,გატყობინებთ, რომ 12 საათიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ, 26 ივლისის 20 საათზე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარები ტუაფსეში შევიდნენ. მიწინააღმდეგე

---

[1] გაზეთი ,,ერთობა''. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 28 აგვისტო. №182. გვ. 3.

[2] ტარას ვაშაკიძე (1876-1937) – ქართველი ოფიცერი, რუსეთის არმიის კაპიტანი. შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. I მსოფლიო ომის მონაწილე. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, ირიცხებოდა 154-ე დერბენდის პოლკში – სადაზვერვო ასეულის მეთაური. კავკასიის ფრონტის სარიყამიშის ოპერაციის ლეგენდარული გმირი – ,,შაითან კაპიტანი". თავისი ასეულის ძალებითა და მოხერხებული მოქმედებით ტყვედ აიყვანა ოსმალთა მე-3 არმიის მე-9 საარმიო კორპუსის სარდალი მისი სამივე დივიზიის მეთაურებთან და შტაბებთან ერთად. ასეთი საარაკო გმირობის მაგალითები უიშვიათეს შემთხვევას წარმოადგენს ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია, ქართული არმიის გენერალი. გაგრის ფრონტის სარდალი და ქალაქ ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი. გიორგის ჯვრის კავალერი.

[3] სცსსა, ფონდი 2081ა, ანაწერი 1, საქმე 637, ფურცელი 3.

[4] გრიგოლ გიორგაძე (1879-1937) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ორთოდოქსი მარქსისტი. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი, 1920 წლის აგვისტოდან საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმის ოლქში.

გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. თითოეული სიმაღლის აღება ბრძოლებით გვიხდებოდა. ავიყვანეთ მრავალი ტყვე, ალაფად ავიღეთ 4 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა, სხვადასხვა ტიპის ხომალდი, ავტომობილები, 5 ორთქლმავალი ვაგონებით და დიდი საინტენდანტო ქონება".[1]

ჩვენს მიერ იგივე ბრძოლების აღწერისა და ლაზარევსკაიას დაკავების შესახებ არქივში მიკვლეულ იქნა ძალიან საინტერესო კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ:

„სამხედრო მინისტრს.

ტელეგრამა სოხუმიდან.

გადმოცემულია 27 ივლისს, 17 საათსა და 20 წუთზე.

დამარცხებული მოწინააღმდეგის დევნის შემდეგ, დღეს, 15 საათზე დავიკავე ლაზარევკა წერტილი მოწინააღმდეგემ უკან დახევის გზაზე დაყარა სამხედრო სამოსელი მძიმე აღჭურვილობა და ავტომობილები წერტილი ხელში ჩავიგდეთ კიდევ ერთი ქვემეხი და მხუთავი აირების 50 ჭურვი მძიმე ტყვეები მძიმე ასევე ვაგონების დიდი რაოდენობა წერტილი დევნას განვაგრძობთ წეტილი მოწინააღმდეგე დიდი დანაკლისებს განიცდის წერტილი ტუაფსეში ჩვენი ხომალდებს ცეცხლი გაუხსნეს სანაპირო არტილერიის ექვსდუიმიანი ქვემეხებიდან წერტილი".

გენერალი მაზნიევი.

დედანთან სწორია: როტმისტრი უშვერიძე".[2]

როგორც ვხედავთ, გენერალი მაზნიაშვილი თავის ამ პატაკში კიდევ ერთხელ ადასტურებს ბოლშევიკთა მიერ ქიმიური იარაღის ფლობისა და მისი საბრძოლო გამოყენების ფაქტს. საბჭოთა, რუსული და პრორუსული პოზიციის ავტორები და მკვლევრები კი, რა თქმა უნდა, სდუმან ამ მოვლენების შესახებ. მათთვის არანაირად არაა მომგებიანი ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენების ფაქტების გამომზეურება, მით უმეტეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ 1921 წლის ზაფხულში ტამბოვის გლეხთა ანტისაბჭოთა გამოსვლებსა და შეიარაღებულ აჯანყებას.

ტუაფსესთან გამართული ბრძოლების შესახებ კი, გაზეთი „ერთობა" კი წერდა: „ჩვენი არტილერიის მოხდენილი მოქმედებით ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა, – იტყობინებოდა გენერალი მაზნიაშვილი, – ჩვენის მხრით დაჭრილია 10, მოკლულია ერთი. დაჭრილთა შორის არიან მე-3 ქართული პოლკის შტაბს-კაპიტანი დოლაბერიძე და სახალხო გვარდიელი, პორუჩიკი ნოვიკოვი. მტერი, რიცხვით 1200 კაცამდე სამი ჯავშნიანი მატარებლით და ავტომობილებით გაიქცა არმავირის მიმართულებით.

მოგახსენებთ რა, ზემოთ აღნიშნულს, ვშუამდგომლობ ებოძოს პოლკოვნიკ ამირეჯიბს გენერლობა, მე-6 ბატარეის უფროსს, კაპიტან იაშვილს პოდპოლკოვნიკობა და 1-ლი ბატარეის უფროსს, შტაბს-კაპიტან ქუთათელაძეს – კაპიტნობა. ივლისის 28-ს სამხედრო მინისტრმა დეპეშით დააკმაყოფილა გენ. მაზნიაშვილის შუამდგომლობა და დაავალა მას მადლობა გადასცეს მებრძოლთ საქართველოს რესპუბლიკის სამსახურისა და სიმამაცისათვის".[3]

ტუაფსესთან გამართული ბრძოლების შემდეგ ფლოტი დაეხმარა სახალხო გვარდიას ოჩამჩირის რაიონში მოთარეშე „კიარაზის" წითელი ბანდებისა და ბოლშევიკების განადგურებაშიც. აქ, ივნისის თვიდან დაწყებული, ვითარება იმდენად საგანგაშო იყო, რომ

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 30 ივლისი.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 6.

[3] გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 30 ივლისი №159. გვ. 2.

აფხაზთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, ვარლამ შარვაშიძე იძულებული შეიქმნა ისევ ოფიციალურად მიემართა საქართველოს სამხედრო მინისტრისათვის თხოვნით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „სამურზაყანოს უბანზე არსებული ანარქიის გამო აფხაზთა ეროვნული საბჭო თხოვნით მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რათა დახმარებისა და სამურზაყანოში წესრიგის აღსადგენად გამოგზავნილ იქნას რაზმი". ეროვნული საბჭოს იგივე შინაარსის თხოვნა უშუალოდ გენერალ მაზნიაშვილსაც გაეგზავნა.[1]

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი, გალი-ოჩამჩირის რაიონში ჩაბუდებული ბოლშევიკების თარეშს „საბჭოთა ხელისუფლების" დამყარებად ნათლავდა სამურაზაყანოში. თავის ნაშრომში „Нестор Лакоба", მიხაილ ბღაჟბა აღნიშნავს – „სამურზაყანოს უბანზე საბჭოთა ხელისუფლებამ ექვს თვეს გასტანა".[2] ჩვენს ნაშრომში მოყვანილი დოკუმენტები და ფაქტოლოგიური მასალა კი, ცალსახად მეტყველებენ იმაზე, რომ სამურზაყანოსა და საერთოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამყარებული ეს ე.წ. „საბჭოთა ხელისუფლებები" ბოლშევიკურ-კრიმინალური ბანდების თარეშს წარმოადგენდა და სხვა არაფერს.

ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, შავიზღვისპირეთიდან ბოლშევიკთა განდევნისა და სოჭის ოლქზე სრული კონტროლის მოპოვების მიზნით, ქართული სარდლობის მიერ ბოლშევიკთა წინააღმდეგობის ცალკეული კერების ლიკვიდაცია პრევენციული დარტყმის მიყენებით გადაწყდა. ქართული მხარის მიერ დასმული ამოცანა წარმატებით იქნა განხორციელებული.

ერთი კვირის შემდეგ, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე გენერალ მაზნიაშვილის კიდევ ერთ ტელეგრამას იღებს, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ბრძოლის დინამიკა, პერიპეტიები და მისი შედეგები:

„მტრისათვის წინმსწრები დარტყმის მიყენების მიზნით, რომელიც სადგურ ბელორეჩენსკაიასთან იყო თავმოყრილი, ჩემდამი დაქვემდებარებული ჯარები 4 აგვისტოს 13 საათზე შეტევაზე გადავიდნენ და გაფანტეს მტრის მეწინავე რაზმები, რომლებიც ტუაფსედან 6 ვერსზე იყვნენ გამაგრებულნი. შეტევის მსვლელობისას ჩვენი ჯარები მტრის ძირითად ძალებს შეხვდნენ – მიხეილისა და მაიკოპის პოლკებს, საერთო რიცხვით 4 ათასი კაცი, ანტონოვის მეთაურობით. ამ ჯარებს ჰქონდათ სამი ზარბაზანი, ჯავშანმატარებელი დასახელებით „თავისუფლებისათვის მებრძოლი №2" და მრავალი ტყვიამფრქვევი.

ბრძოლა სოფ. გრეშესკოდან ოთხ ვერსზე დაიწყო. ექვსსაათიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ანტონოვის ჯარებმა მარცხი განიცადეს და დაიფანტნენ. ბოლშევიკებმა ასეულობით მებრძოლი დაკარგეს მოკლულებისა და დაჭრილების სახით. ჯავშანმა-ტარებელი განადგურებულია, ორთქლმავალი – დამწვარი. მატარებლის მთელი პირადი შემადგენლობა დაკავებულია, მოპოვებულია ოცი ზარბაზანი, 30 ტყვიამფრქვევი, ვაზნების დიდი რაოდენობა, ყუმბარები და შაშხანები. ხელში ჩავიგდეთ აგრეთვე გამართული საველე სამზარეულო, მატარებლის მთელი შემადგენლობა, თხრილების ამოსათხრელი მანქანები, ფქვილი, კონსერვები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ცხვრის ფარა, მატარებლების ოთხი შემადგენლობა. მტრის საბოლოო განადგურების მიზნით დადევნებულებმა 4 აგვისტოს 20 საათზე ავიღეთ სადგური კრივენკოვსკაია, 5 კილომეტრზე წავიწიეთ წინ და მოცემულ მომენტში იქა ვართ გამაგრებულები".[3]

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 76.

[2] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. Стр. 25. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_ nestor _lakoba.html.

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 8 აგვისტო.

საერთო ჯამში, ქათული შენაერთის მიერ რკინიგზის გასწვრივ დაწყებული შეტევითი ოპერაცია დიდი წარმატებით დასრულდა, შავიზღვისპირეთის ბოლშევიკთა 4000 კაციანი ანტონოვის საბრძოლო ძალა, მაიკოპისა და მიხეილის პოლკები, ფაქტობრივად განადგურდა და ქართული მხარის მიერ დიდი საბრძოლო ალაფიც იქნა მოპოვებული.

სოჭის ოლქის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში, ისიდორე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარეს წერდა:

,,ტელეგრამა №210
თბილისის სასახლე.
პრემიერ მინისტრ ჟორდანიას. სოჭიდან.
პირდაპირი სამხედრო ხაზით.

აუცილებელია დაუყოვნებლივ ჩამოვყალიბდეთ სოჭის ოლქთან დაკავშირებით – იქნება თუ არა ის საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი. თუ – კი, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ იქ ახალი ცხოვრების აღმშენებლობას, უნდა გამოაგზავნოთ მითითებები მიწის რეფორმასთან დაკავშირებით, უნდა ჩამოვიდნენ ის ხალხი, რომლებიც ყველაფერ ამას განახორციელებენ. რას ფიქრობთ რკინიგზაზე. გავაგრძელებთ თუ არა მის მშენებლობას და რომელ ადგილამდე. მოკლედ, მთელი რიგი საკითხებია დაგროვილი, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვენ გადაჭრას. საჭიროა ფინანსირება. საჭირო არის კანონებითა და დადგენილებებით შეიარაღებული კომპეტენტური წარმომადგენლის გამოგზავნა. ან უარი უნდა ვთქვათ ყველაფერზე. აქაური ხაზინა ერთ მილიონს ითხოვს, თანხებს ითხოვენ სხვა უწყებებიც.

პასუხი გამოაგზავნეთ სოჭის საოლქო კომისრის, ფერაძის სახელზე. მე გავდივარ სოხუმისაკენ. იქ აფხაზთა საბჭოსთან მიმართებაში სირთულეებია. შემდეგ ვფიქრობ ჩამოვიდე ტფილისში ორი დღით, მოხსენების გასაკეთებლად.

ახლა ოლქზე უარის თქმა არაფრით არ შეიძლება და საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ასეთია ჩემი აზრი.

ისიდორე რამიშვილი".[1]

სოჭის ოლქთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ სოჭის ოლქში მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულად, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, გიზო ანჯაფარიძე[2] ინიშნება. 1918 წლის აგვისტოში კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ჩატარდა.[3]

შავიზღვისპირეთში მიღწეული დიდი წარმატების შემდეგ, 22 აგვისტოს თბილისში გამართული სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გაფართოებულ სხდომაზე შემდგომი მოქმედებების გეგმა იქნა დასახული. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოცხადებულიყო გვარდიის მობილიზაცია, გაგზავნილიყო რაზმები ცხელ წერტილებში და შენარჩუნებულიყო აქტიური მზადყოფნის მდგომარეობა ბოლშევიკთა მოსალოდნელი

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 5.

[2] გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე (1891-1924) – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიით იურისტი, რსდმპ წევრი 1905 წლიდან, მენშევიკი. მოგვიანებით დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციის – ,,სხივის" წევრი. 1917-1919 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1919 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წელს, საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული სოჭის ოლქში. 1920 წლის თებერვლიდან 1921 წლის მარტის ჩათვლით ბათუმის ქალაქის თავი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. 1921-1924 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაოკუპაციო მოძრაობის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. ბოლშევიკთა მიერ დახვრეტილ იქნა 1924 წელს.

[3] სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 900, ფურცელი 24.

აგრესიის აღსაკვეთად როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე სხვა მიმართულებებზე, კერძოდ, შიდა ქართლსა და ლეჩხუმში.

„მთავარი შტაბის ერთობლივი სხდომა რაიონულ შტაბებთან ერთად.
ოქმი ნომრის გარეშე. 1918 წლის 22 აგვისტო.

თავმჯდომარე: ჯუღელი;

მდივანი: აუშტროვი;

მოისმინეს ჯუღელის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი ქმედებები – დავრჩეთ აქტიური მოქმედებების გარეშე და ვაწარმოოთ გაძლიერებული საორგანიზაციო მუშაობა, თუ მომენტი მოითხოვს მობილიზაციის სასწრაფოდ გამოცხადებას და ოპერაციების დაწყებას როგორც ოსეთის მიმართულებაზე, ასევე სხვა ფრონტებზე.

დაადგინეს:

1. ორშაბათიდან, 26 აგვისტოდან გამოცხადდეს სახალხო გვარდიის სრული მობილიზაცია;
2. გედევანოვის[1] (აქ გენერალ იოსებ გედევანიშვილზეა საუბარი – ა. ჩ.)[2] რაზმი გაიგზავნოს ლეჩხუმში;
3. სახალხო გვარდიელები გაიგზავნონ სამეგრელოსა და შავი ზღვის სანაპიროზე;
4. სახალხო გვარდიელებს პროვინციებიდან, განსაკუთრებით გორის მაზრიდან გაუკეთდეს მობილიზაცია და იყვნენ სრულ მზადყოფნაში ოსეთის წინააღმდეგ. მდივანი აუშტროვი".[3]

---

[1] იოსებ (სოსო) გედევანიშვილი (1873-1939) – რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნუკოლოზ გედევანიშვილის ძმა. რევოლუციონერი ოფიცერი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1905-1923 წლებში. რკპ(ბ) წევრი 1924 წლიდან. დუშეთის კომენდანტი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რის გამოც კაპიტნის წოდებით დათხოვნილ იქნა რუსეთის არმიიდან. მას შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ნაციონალური არმიისა და ქართული საარმიო კორპუსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, პარტიის აღმასკომის წევრი. 1919 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის დასაწყისიდან ფედერალისტთა ბათუმის საბრძოლო ე.წ. „პარტიზანული რაზმის" მეთაური. 1918 წლის აგვისტოდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი. 1919 წლის დასაწყისიდან აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდალი, 1921 წლის დასაწყისიდან ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდალი, ხოლო იმავე წლის თებერვლიდან ბოლშევიკური სამხედრო ინტერვენციის დაწყებასთან დაკავშირებით, ინიშნება სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში.

[2] М. Д. Гогитидзе. Военная элита Кавказа. Генералы и адмиралы из Грузии. Научно-исследовательский центр истории Грузино-Кавказских отношений. Тбилиси. 2007. Стр. 103.

[3] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 4.

§11. სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაციის ტაქტიკური ანალიზი

ბოლშევიკებისაგან სოჭისა და სოჭის ოლქის გასუფთავების ოპერაცია, მიუხედავად კარგად შეიარაღებული წითელგვარდიული ბოლშევიკური რაზმებისა და „კიარაზის" ბანდფორმირებების შეთანხმებული მოქმედებებისა, ქართული შენაერთის მიერ დიდი წარმატებით იქნა განხორციელებული. ქართული მხარის შეტევით ოპერაციაში ჯარების ორი სახეობა და სახმელეთო ჯარების სამივე გვარეობა მონაწილეობდა – ქვეითები, არტილერია, კავალერია. გარდა ამისა, უკვე სოჭი-ტუაფსეს ბრძოლებში – ჯავშანმატარებელი და ჯავშნოსანი ავტომობილები.

ქართულმა მხარემ საბრძოლო მოქმედებათა წარმართვის კარგი გამოცდილება მიიღო. შეტევითი ოპერაციის ტემპები და სიღრმე ძალიან მაღალი იყო, ჯარების მართვა – ეფექტური. მთელი საომარი კამპანიის განმავლობაში, დაწყებული 1918 წლის 17 მაისის კოდორის ბრძოლიდან, დამთავრებული იმავე წლის 4 აგვისტოს ბელორეჩენსკაიასთან გამართული ბრძოლით, როგორც სოხუმის, ასევე სოჭი-ტუფსეს შეტევით ოპერაციებში, ქართულ მხრესთან შედარებით მოწინააღმდეგე დიდ რიცხობრივ უპირატესობას ფლობდა. მიუხედავად ქართული მხარის მცირერიცხოვნობისა, მოწინააღმდეგის საბრძოლო დანაკარგები, როგორც ცოცხალ ძალაში, ასევე საბრძოლო მასალებში, აღჭურვილობასა და სხვა საშუალებებში დიდი იყო. ქართული მხარისა – მინიმალური.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ბოლშევიკთა მიერ საჰაერო დაბომბვისა და ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც ერთს და არც მეორეს, საბრძოლო მოქმედებების ხასიათზე და არც ბრძოლის შედეგებზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია. და მიუხედავად ამისა, მთავარი მაინც მოსახლეობის საჰაერო დაბომბვისა და ქიმიური იარაღის საბრძოლო გამოყენების ფაქტებია. ამ საკითხზე ნაშრომის შესაბამის ადგილას გვქონდა უფრო არსებითი საუბარი.

ქართული მხარის მიერ შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისა და აღსრულების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვაო ფლოტის გამოყენება და სახმელეთო ძალებთან მათი ორგანიზებული ურთიერთქმედება. ამ მხრივ, ცალკე გამოყოფის ღირსია მცირე დესანტირების წარმატებული ოპერაციის ჩატარება, ასევე, საბრძოლო პატრულირების დროს ოსმალური სადესანტო რაზმის აღმოჩენა და დანაკარგების გარეშე მისი გაუვნებელყოფა.

კატარღებისა და სატრანსპორტო გემის, „წმ. მიხეილი" მოქმედებებმა, მისმა ეფექტურმა გამოყენებამ ადგილმდებარეობის რელიეფური და ლანდშაფტური თავისებურებების გათვალისწინებით, შეზღუდა მოწინააღმდეგის მოქმედებების სამანევრო სივრცე, დიდი დანაკლისი მიაყენა მის სანაპირო არტილერიას და საცეცხლე მხარდაჭერით ქართული ქვედანაყოფების წინსვლა უზრუნველყო. სოხუმისა და სოჭი-ტუაფსეს კამპანიაში ბოლშევიკთა მიერ ბომდამშენი ავიაცია და ქიმიური იარაღი იქნა გამოყენებული, რაც თავისთავად უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა კავკასიის ომების ისტორიაში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ქმედებებს საბრძოლო მოქმედებების მსვლელობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ზემოთ მოყვანილი დასკვნები საომარი ოპერაციების პროზაულ აღწერა-ანალიზის სქემაში ჯდება. მაგრამ თუ წმინდათ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით მივუდგებით განსახილველ საკითხს, ასეთ შემთხვევაში იგი საბრძოლო ფუნქციებისა და ომის პრინციპების ჭრილში უნდა გავშალოთ იგი.

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, ათასწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში მრავალი სამხედრო სტრატეგოსი ცდილობდა ომის წარმოების წესებისა და წარმატებული სამხედრო სტრატეგიების სისტემატიზირებას გარკვეულ პრინციპებში. სუნ-

ძი, მაგალითად, თავის „ომის ხელოვნებაში"[1] 13 პრინციპს გამოყოფდა, კარლ ფონ კლაუზევიცი[2] – 10-ს, ნაპოლეონი – 115-ს.[3] ამერიკის სამოქალაქო ომის წარმატებული გენერალი, ნათან ბედფორდ ფორესტი (Nathan Badford Forest) კი, მხოლოდ ერთს – „აღმოჩნდე იქ ხალხის მეტი რაოდენობით"[4]... ესაა და ეს...

საბრძოლო ფუნქციებისა და ომის წარმოების თანამედროვე პრინციპები, ცხადია, არ მოიცავს ნაპოლეონისეული თეორიების ათეულობით პუნქტს და არც გენერალ ფორესტის ერთ პუნქტს. კონცეპტუალური თვალსაზრისით იგი სულ ცხრა პუნქტშია გაერთიანებული. ეს პუნქტები ამერიკის შეერთებული შტატების არმიის (სახმელეთო ჯარების) ერთ-ერთი დოქტრინალური სახელმძღვანელოს – საველე წესდებების (Field Manuals) ერთ-ერთ ნორმატიულ აქტშია მოყვანილი, კერძოდ – "FM (Field Manual) 3–0. Operations"[5], – „საველე წესდება 3–0 – სამხედრო ოპერაციები". ამ დოქტრინით განსაზღვრულ ომის პრინციპებს შემდეგი სახე აქვს:

- მიზანი (ყოველ სამხედრო ოპერაციას უნდა გააჩნდეს ნათლად განსაზღვრული, მყარი და მიღწევადი მიზანი);
- შეტევა (მიღწევა, შენარჩუნება, ექსპლუატაცია);
- მასიურობა (საბრძოლო ძალების კონცენტრაცია გადამწყვეტ დროსა და ადგილას);
- ძალთა ეკონომია (მინიმალურად ეფექტური საბრძოლო ძალის გამოყენება);
- მანევრი (ჩააყენე მტერი არახელსაყრელ მდგომარეობაში საკუთარი ძალების მოქნილი გამოყენებით);
- მართვის ერთიანობა (ყოველი მიზნის მიღწევისათვის მოქმედებების ერთიანობა ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მეთაურობით);
- უსაფრთხოება (არასდროს არ დაუშვა მტრის მიერ მოულოდნელი უპირატესობის მოპოვება);
- მოულოდნელობა (დაარტყი მტერს საჭირო დროსა და საჭირო ადგილას, და ისეთი სახით, რისთვისაც ის ყველაზე ნაკლებადაა მზად);
- სიმარტივე (მოამზადე ნათელი, მარტივი გეგმა და ადვილად გასაგები მოკლე ბრძანებები);[6]

სწორედ სამხედრო ხელოვნების კუთხითაა საინტერესო განვიხილოთ სოხუმისა და სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაციების აღსრულება, და რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი ომის პრინციპების თვალსაზრისით.

მიზანი – როგორც სოხუმის, ასევე სოჭი-ტუაფსეს ოპერაციებში ქართული სარდლობის წინაშე მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკური მიზნები იყო დასახული. პირველ შემთხვევაში – სოხუმის ოლქში ბოლშევიკთა თარეშის აღკვეთა, ხოლო მეორეში – იგივე ამოცანის განხორციელება სოჭის ოლქთან დაკავშირებით, და დამატებით – ბოლშევიკთა ახალი აგრესიის პრევენცია. ქართული მხარის შეტევითი ოპერაციები

---

[1] Sun Tzu translated and annotated by Lionel Giles (2005). The Art of War by Sun Tzu – Special Edition. El Paso Norte Press. ISBN 0-9760726-9-6.

[2] Carl Von Clausewitz. Principles of War. Translated and edited with an introduction by Hans W. Gatzke. Dover publications, Inc. Mineola, New York. Millitary Service Publishing Company, Harrrisburg, Pennsylvania. 1942.

[3] Napoleon and the Jews. By Ben Weider, CM, Ph.D. The International Napolionic Society. Florida State University, 1998. Web. 15 March 2010. http://www.napoleon-series.org/ins/weider/c_jews. html.

[4] Times, New York (1918), Forrest, retrieved 2012-10-10. http://query.nytimes.com/mem/archivefree/pdf?res=9907EFDE1238EE32A2575BC2A9639C946996D6CF.

[5] Catton. Bruce (1971). The Civil War. American Heritage Press, New York. Library of Congress Number: 77-119671. US Army. FM 3-0, ''Operations''.

[6] იქვე.

სცილდებოდა წმინდათ სამხედრო ოპერატიული ხასიათის მოქმედებებს და აქ წინა პლანზე უკვე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გამოდიოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართული სარდლობის წინაშე დასმული პოლიტიკური მიზნები სოხუმისა და სოჭი-ტუაფსეს შეტევითი ოპერაციების დროს, ნათელი და მკაფიო იყო. შესაბამისად, განსაზღვრული იყო სამხედრო ოპერაციების ხასიათიც;

შეტევა – ორივე ოპერაციის დროს ქართული შენაერთების შეტევითი ოპერაცია ძალიან მაღალი ტემპით განხორციელდა. ოპერაციის სიღრმე მაღალი იყო. დასახული შუალედური მიზნები მიღწეულ იქნა, მიღწეული წარმატებები კი, ეფექტურად იქნა რეალიზებული. ექპლუატაციის დონეც მაღალი იყო.

მასიურობა – ქართული სარდლობის მიერ შეტევითი მოქმედებები დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის შესახებ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მოხდა შესაბამისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა და გადაჯგუფება. გენერალმა მაზნიაშვილმა, ოპერაციების წარმოების საწყის ეტაპზე, სოხუმზე შეტევის წინ, შეტევის დაწყება მთელი ერთი კვირით გადადო – მანამ, სანამ საკმარისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა არ მოხდა გვარდიული რაზმების, საჯარისო ქვედანაყოფებისა და აფხაზური კავალერიის სახით. შუალედური ამოცანების შესრულების დროსაც, მასიურობის პრინციპის მოთხოვნები დაცული იყო;

ძალთა ეკონომია – ამ პუნქტთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სოჭის ოპერაცია, სადაც ძალთა ეკონომიის მიზნით გენერალ მაზნიაშვილის მიერ დამატებითი ძალების თავმოყრას არ ჰქონდა ადგილი, რადგან ,,სოჭის მიმართულებით ბრძოლებს აღარ ჰქონდა ძლიერი შეტაკების ხასიათი და ჯარების გადაჯგუფება-გადმოჯგუფების აუცილებლობა აღარ არსებობდა".[1] ძალთა ეკონომიის პრინციპის კარგი დემონსტრირება იყო ტუაფსეს მეწინავე პოზიციებზე გენერალ მაზნიაშვილის მიერ კაზაკთა მცირე ქვედანაყოფის დაყენება თავდაცვის მარჯვენა ფრთაზე, ტუფსეს ჩრდილოეთით მდებარე უღელტეხილზე. ძირითადი ძალების თავმოყრა კი თავდაცვის მარცხენა ფრთაზე, ზღვის ზოლში მოხდა.[2]

მანევრი – ომის პრინციპების ეს პუნქტი სრულად იქნა დაცულ ქართული მხარის მიერ. სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის არც ერთ ფაზაში მოწინააღმდეგეს არ მიეცა საშუალება მოეპოვებინა თუნდაც მცირე ტაქტიკური ხასიათის უპირატესობაც კი. ყოველივე ეს, კარგად მეტყველებს ოპერაციის დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების მაღალ დონეზე.

მართვის ერთიანობა – გენერალ მაზნიაშვილის მიერ სოხუმში ჩასვლისთანავე განხორციელდა ჯარების ერთმმართველობის პრინციპის გატარება. კერძოდ, სოხუმის გარნიზონისა და პოზიციებზე მყოფი გვარდიელების საკუთარი სარდლობის ქვეშ დაქვემდებარება. გვარდიულ ნაწილებთან მიმართებაში ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია კი, სრულებითაც არ წარმოადგენდა მარტივ ამოცანას. გენერალ მაზნიაშვილის სოხუმში ჩასვლის მომენტში, 1918 წლის 19 ივნისს, გვარდიულ ქვედანაყოფებს ეროვნებით რუსი გვარდიელი, ,,ამხ. ტუმარკინი" ხელმძღვანელობდა. გენერალი მაზნიაშვილი:

,,ტუმარკინს განვუცხადე, რომ ამ დღიდან, წესდების თანახმად, გარნიზონის უფროსად მე უნდა ვიყვე და ვუბრძანე დაუყოვნებლივ შეეგროვებინა გვარდიის ყველა ნაწილები, რომელნიც კი ქალაქში იყვნენ, წასულიყო მეწინავე რაზმის დასახმარებლად და მიეღო ენერგიული ზომები ფოთიდან მთავარი ძალების მოსვლამდე მოწინააღმდეგის შესაჩერებლად.

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 63-64.
[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 77.

ისიდორე რამიშვილს ვთხოვე, როგორც პოლიტიკურ წარმომადგენელს, დაედასტურებინა ჩემი სიტყვები და აეხსნა ტუმარკინისათვის, რომ ამიერიდან მე ვარ ერთად-ერთი უფროსი, რომლის ბრძანებანი უნდა შესრულებულ იქნეს ყველას მიერ, სახალხო გვარდიის გამოუკლებლად".[1] რუსი ეროვნების გვარდიელის, ტუმარკინის სოხუმის გარნიზონის უფროსად ყოფნის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებასაც, რომ სახალხო გვარდია არა ქართველთა ნაციონალურ, არამედ სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალურ საბრძოლო ორგანიზაციას წარმოადგენდა. მასში სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები იყვნენ ჩართულნი.

უსაფრთხოება – უსაფრთხოების ღონისძიებები კარგად იყო დაგეგმილი და რეალიზებული. ქართული მხარის შეტევითი სტრატეგიული ოპერაციის არც ერთ ეტაპზე, მოწინააღმდეგეს უპირატესობისათვის არ მიუღწევია – ყველაფერი გაწერილი გეგმის შესაბამისად ხორციელდებოდა.

მოულოდნელობა – ქართული შენაერთის თითოეული ბრძოლა მოულოდნელობის ეფექტზე იყო გათვლილი, რაც წარმატებული შედეგის მომტანი აღმოჩნდა. ამავე პრინციპის წარმატებული გატარებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ყოველი ბრძოლის შემდეგ ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგები მინიმალური იყო, მოწინააღმდეგისა კი – ძალიან დიდი. დიდი იყო ქართული მხარის მიერ მოპოვებული საბრძოლო ალაფიც. ამავე პრინციპის გატარებად უნდა ჩაითვალოს პირადად გენერალ მაზნიაშვილის უშუალო მონაწილეობითა და ნულოვანი დანაკარგებით სოხუმთან გადმომსხდარი ოსმალური დესანტის განეიტრალება.

სიმარტივე – სამწუხაროდ, ჩვენი კვლევის პროცესში ვერ მივაკვლიეთ უტყუარ და სარწმუნო დოკუმენტაციას, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა რომელიმე დაპირისპირებული მხარის ამა თუ იმ ეტაპის საბრძოლო ბრძანებები ან მსგავსი ხასიათის საშტაბო დოკუმენტაცია. ის დოკუმენტაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დეტალურად განგვეხილა ომის პრინციპების ბოლო, მეცხრე პუნქტი. ამ მიმართებაში ერთი რამის თქმა კი, ნამდვილად შეიძლება – წინა რვა პუნქტის აღსრულება თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ პრინციპი – „სიმარტივე", ისეთივე წარმატებით იყო აღსრულებული ქართული სარდლობისა და შენაერთების მეთაურების მიერ, როგორც წინა რვა.

საერთო ჯამში, გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით კარგად დაგეგმილი და წარმატებულად განხორციელებული შეტევითი ოპერაციის შედეგად ამ ეტაპზე ბოლშევიკური აგრესიის საფრთხე აღიკვეთა, ხოლო ქართულმა სახელმწიფომ თავისი ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი ისევ უკან დაიბრუნა, სადაც მისი დე-ფაქტო იურისდიქცია აღსდგა. „ოქროს ხანის" პერიოდის შემდეგ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსათვის ეს იყო ყველაზე დიდი ტერიტორიული შენაძენი XII საუკუნის დამდეგიდან.

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 62-63.

§12. პოლიტიკური ანალიზი

მოგვიანებით, აანალიზებდა რა აფხაზეთსა და მთელს ამიერკავკასიაში 1918 წლისათვის არსებულ მდგომარეობას, ეფრემ ეშბა წერდა: „1918 წელს ოქტომბრის რევოლუციის პირველმა ტალღამ აფხაზეთს მოაღწია... ოქტომბრის რევოლუციის მეორე ტალღა კი, რომელიც განსაკუთრებული სიმძლავრით კასპიის ნაპირებზე აგორდა, ბაქომდე მივიდა... ეს ორი ტალღა მზად იყო თბილისში შეერთებულიყო. მაგრამ მათ შორის ხიშტების კედელი აღიმართა, რომელიც წვრილბურჟუაზიული მთავრობის მიერ იქნა მომზადებული. ეს ორი ტალღა დამსხვრეულ იქნა იმპერიალისტური ძალების მიერ ორგანიზებული წინააღმდეგობით ჯერ მენშევიკების ნიღბით, შემდეგ კი – უკვე თავად იმპერიალისტურმა ჯარებმა დაიკავეს ამიერკავკასია".[1]

ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ 1918-1921 წლების ამიერკავკასიისა და საქართველოს ისტორია დამახინჯებულად და ტენდენციურად განიხილებოდა. თითქოს აქ მიმდინარე „რევოლუციური პროცესები" მშრომელთა მასების ბრძოლა იყო სისხლისმსმელი ბურჟუაზიისა და ექპლოატატორული კლასების წინააღმდეგ და არა ქართველი და სხვა ხალხების მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლა რუს ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებული შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ. ამავე კონტექსტში, ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკოსის ბრძოლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ და ამ პოლიტიკოსების კარგად შენიღბული ნაციონალისტურ-სეპარატისტული მისწრაფებები კი, აფხაზეთის ე.წ. „ეროვნული დამოუკიდებლობისათვის" ბრძოლადაა მონათლული.

ჩვენს მიერ მოყვანილი დოკუმენტური მასალები, რომლებსაც სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში ფართო პროპაგანდა ეწეოდა როგორც საბჭოთა რუსეთის მიერ გაწეული ძმური სოლიდარობის ნიმუშს თავისი აფხაზი და ქართველი „მშრომელთა მასების" მიმართ, საპირისპიროს ამტკიცებენ. ხოლო კრემლისა და წითელი არმიის „მეხუთე კოლონის" – ბოლშევიკების მიერ აფხაზეთში მოწყობილი სამხედრო პუტჩების სერია ნათლად აჩვენებს მოსკოვის „მმართველ" და „წარმმართველ" როლს 1918 წლის ზამთარსა და ზაფხულში აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებზე. თუმცა, ლენინისა და მისი გუნდის ეს მცდელობები მაშინ ამაო აღმოჩნდა. მაშინ აფხაზეთის ბოლშევიკი პროვოკატორებისაგან აფხაზეთის გამიჯვნა მოხერხდა. აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ეს ე.წ. „მებრძოლები" კრემლის უბრალო აგენტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად იბრძოდნენ, რომ ნებისმიერი საშუალებებით აღედგინათ „საბჭოთა რუსეთად" წოდებული ერთიანი და განუყოფელი ახალი ნეოცარისტული რუსეთის იმპერია.[2] ეს კარგად ჩანს იმდროინდელი აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ყოფილი სოციალ-დემოკრატის, მიხეილ ტარნავას მოგონებებში:

„აფხაზეთის ეროვნულ საკითხთან საქართველოს მენშევიკური პარტიის პოლიტიკასთან შეურიგებელი პოზიციის გამო, მე გამოვედი საქართველოს მენშევიკური პარტიიდან... და ჩემი პარტია ჩამოვაყალიბე სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტების დასახელებით... ესდეკი სოციალისტები იდეოლოგიურად გავერთიანდით დამოუკიდებელ

---

[1] Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967. Стр. 36. Личный архив Е. А. Эшба.

[2] Зураб Папаскири, доктор исторических наук, профессор Сухумского государственного университета. О т.н. „праве нации на самоопределение" и имперской политике большевистской России на южном Кавказе (1921г.). http://abkhazeti.info/news/1264893439. php.

სოციალისტებთან, ანუ, ფაქტიურად: მე, ალანია, მარღანია, ჭანბა და ცაგურია, რომლებიც ყველანი ერთად ვატარებდით საბჭოთა რუსეთთან (რსფსრ) შეერთების პოლიტიკას და ტაქტიკას. ამისათვის ოფიციალურ ბოიკოტირებას ვუწევდით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს აფხაზეთში, რათა არ დაგვეშვა აფხაზეთის სახლმწიფოებრივად უფრო ძლიერი შეერთება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან ურთიერთობებში აფხაზეთის ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებში ვაწარმოებდით შეთანხმების ჩაშლის პოლიტიკასა და მენშევიკური მთავრობის მოქმედებების კრიტიკას. ასეთ ქმედებებთან ერთად, ვეძებდით რსფსრ-თან ურთიერთობებსა და მასში შესვლის გზებს".[1]

ვერაფერს ვერ ვიტყვით, ძალიან გულწრფელი აღიარებითი ჩვენებაა... აფხაზეთის აი, ასეთ დამოუკიდებლობას აღწევდნენ მაშინ მიხეილ ტარნავა და ძმანნი მისნი. აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოსპობისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების ბრძოლის ტაქტიკად კი, მათ დესტრუქციული მოქმედებები და პოლიტიკური საბოტაჟის წარმოება ჰქონდათ არჩეული. თავი კი, სამშობლოს „პატრიოტებად" და აფხაზი ხალხის მხსნელებად მოჰქონდათ. ზუსტად მათზე, აგრეთვე ნესტორ ლაკობას, ურუშაძისა და სიოვა კუხალეიშვილის ბოლშევიკურ საბრძოლო რაზმებზე აკეთებდნენ მაშინ გათვლებს კრემლის მესვეურნი საქართველოში „მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების" მომზადებისას. თანამედროვე აფხაზურ და რუსულ ისტორიოგრაფიაში კი, რუსული იმპერიული და სეპარატისტული იდეოლოგების მიერ ამ ამბების დღევანდელი აღწერისას, მოვლენებსა და ამ მოვლენების შეფასებას უკვე მკვეთრად გამოხატული გრუზონოფობული ელფერი გასდევს.

და ზუსტად იგივე პოლიტიკური სქემით განვითარდა მოვლენები უკვე 90-იანი წლების დასაწყისში იგივე აფხაზეთში. ამჯერად აფხაზი ხალხის მორიგი მხსნელი მოევლინა აფხაზეთს, აფხაზეთის „დამოუკიდებლობისათვის" მებრძოლად შენიღბული სეპარატისტის, რეალურად კი პროვოკატორისა და კრემლის აგენტის, ვლადისლავ არძინბას სახით. ამჯერად მოსკოვმა შეძლო თავისი ნეოიმპერიული გეგმების განხორციელება „რუსეთის ამ რივიერასთან" მიმართებაში. დღეისათვის აფხაზეთი რუსეთის საოკუპაციო ჯარებითაა დაკავებული და მის მოჩვენებით „დამოუკიდებლობას" ნიშან-წყალიც აღარ შერჩენია. რუსების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება ინტენსიურად ხორციელდება, აფხაზეთის „ათვისება" კი, ისევ გამალებული ტემპებით მიმდინარეობს.

თანამედროვე რუსული და პრორუსული ისტორიოგრაფია დღესაც უხვადაა გაჯერებული „გრუზინოფობული" შტრიხებით. იგი ერთგული გამგრძელებელი აღმოჩნდა ისტორიის ფალსიფიკატორული საბჭოური სკოლის კურსისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ პოლიტიკურ-იდეოლოგიური მომენტი უკვე უკანა პლანზეა გადაწეული და ეს არცაა გასაკვირი. დღეს ხომ მარქსიზმ-ლენინიზმის, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა" და „კლასთა ბრძოლის" მოძველებული თეორიები უკვე გაცამტვერებულია, ისინი აღარ არსებობენ, და შესაბამისად ნეოიმპერიული იდეოლოგიის ბაზისად აღარ გამოდგებიან. სამაგიეროდ ახლა ეროვნული საკითხებია წინ წამოწეული და აქცენტები ქართველთა „ნაციონალისტურ" (Sic!) მიდრეკილებებზე არის გაკეთებული. თითქოს საქართველოში, ამ „მინი-იმპერიაში" 1918-1920 წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საპროტესტო პროცესები ეროვნული უმცირესობებისა და სხვადასხვა დიასპორების მიერ თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის წარმოებულ

[1] Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии. – Разыскания по истории Абхазии/ Грузия. Тб., 1999. Стр. 293.

ბრძოლას წარმოადგენდა, რომელიც ქართველთა მხრიდან ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაშინ, 1918-1920 წლებში, საქართველოს აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის რეგიონებში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ეთნიკურ ჭრილში არ განიხილებოდა, იგი გვერდზე იყო გადადებული და ეპოქის მამოძრავებელ ძალას მხოლოდ იდეოლოგიური მომენტები წარმოადგენდა. დღეს კი, იდეოლოგიური ვექტორების მიმართულება და აქცენტები უკვე შეცვლილია – თითქოს ეს იყო აფხაზთა და ქართველთა შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირება და არა ლენინისა და მისი თანამოაზრეების მიერ ცარისტული იმპერიის ნამსხვრევებზე ახალი ბოლშევიკური იმპერიის შეკოწიწების სისხლიანი პროცესის დასაწყისი.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ საქართველოს წითელი (სახალხო) გვარდია და გენერალ მაზნიაშვილის სამხედრო შენაერთი სამთავრობო ჯარებს წარმოადგენდნენ და ისინი მთავრობის შესაბამისი მანდატით იყვნენ აღჭურვილნი. უფრო მნიშვნელოვანი კი, ისაა, რომ როგორც ვალიკო ჯუღელის, ასევე გენერალ მაზნიაშვილის შენაერთები არა ,,ქართველ მენშევიკთა და ნაციონალისტთა'' საბრძოლო რაზმებს, არამედ მრავალეროვნულ სამხედრო ფორმირებებს, ინტერნაციონალურ საჯარისო ფორმირებებს წარმოადგენდნენ. გენერალ მაზნიაშვილის შენაერთი შედგებოდა როგორც ქართული საჯარისო და გვარდიული ქვედანაყოფებისაგან, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკთა რაზმისაგან, აფხაზური კავალერიისაგან და სოხუმისა და სოჭის ოლქების სხვადასხვა ეროვნების ადგილობრივი მაცხოვრებელი მოხალისე-პარტიზანებისაგან. ქართველი გენერლის რაზმში განსაკუთრებით დიდი იყო ადგილობრივი აფხაზი მოსახლეობის წილი. ცნობილი ფაქტია, რომ 1918 წლის აგვისტოს თვეში მხოლოდ დრანდის მოსახლეობამ გენერალ მაზნიაშვილის რაზმში 600 კაცი გაგზავნა.[1]

ასე რომ, რუსულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ინტენსიურად კულტივირებული ის იდეა, თითქოს გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელისა და გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 1918 წლის განმავლობაში სოხუმი-სოჭი-ტუაფსეს წარმატებულად ჩატარებული საომარი კამპანია ქართველ ნაციონალისტთა მიერ იყო აღსრულებული, მტკნარი სიცრუეა. რეალურად, ეს იყო ქართველი და საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკურად არაქართველი ხალხების განმანთავისუფლებელი ბრძოლა ბოლშევიკური სისხლიანი აგრესიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ.

ზემოთქმულის ფონზე მეტად ნიშანდობლივია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არსებული ის იდეოლოგიური ხაზი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში წარმატებით ტირაჟირდებოდა ათეულობით საბჭოთა ავტორის ასეულობით ნაშრომსა თუ წიგნში. საბჭოური იდეოლოგიის ამ ხაზს დასაბამი ,,წითელი პროფესურის'' თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ისააკ ისრაელოვიჩ მინცმა დაუდო – ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ორგზის სტალინის პრემიისა და ლენინური პრემიების ლაურეატმა, საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთმა აპოლოგეტმა. ხოლო მისი ნაშრომი ,,Победа советской власти в Закавказье'', ამ იდეოლოგიის კლასიკურ ნიმუშად და გზამკვლევად იქცა ისტორიის საბჭოური სკოლის შემდგომი წარმომადგენლებისათვის. ამ ნაშრომის შესავალი ნაწილის პირველივე წინადადება ასე იწყება:

События связанные с победой Советской власти в Закавказье вошли в летопись истории Великой Октябрьской революции которая ,,явила миру образец решения

[1] ორი კვირე შავი ზღვის პირეთ. გაზეთი ,,ერთობა''. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 22 აგვისტო. №177. გვ. 3.

коренных социальных проблем: свержения власти эксплуататоров и установления диктатуры пролетариата, превращения частной буржуазно-помещичьей собственности в общественную, социалистическую, справедливого решения аграрного вопроса в пользу крестьян, освобождения зависимых народов от колониального и национального гнёта, создания политических и экономических предпосылок построения социализма. Борьба трудящихся Закавказья за социалистическую революцию составляет органическое звено того революционного процесса, который обновил социальный облик нашей страны и, как указывал В. И. Ленин, открыл новую эпоху всемирной истории”...[1]

ვერაფერს ვერ ვიტყვით, საბჭოური პოლიტიკური დემაგოგიისა და იდეოლოგიური ბელეტრისტიკის კიდევ ერთ კლასიკურ ნიმუშთანა გვაქვს საქმე. მინცისეული დემაგოგიის გადამღერებას წარმოადგენს აგრეთვე ჩვენთვის უკვე ცნობილი ავტორის, მიხაილ ბღაჟბას შემდეგი პასაჟი: ,,В начале 1921 года, в результате победоносного народного восстания под руководством Коммунистической партии, с братской помощью великого русского народа, при боевой поддержке доблестной Красной Армии, трудящиеся Грузии и Абхазии навсегда свергли ненавистное иго эксплуататоров и установили Советскую власть. 4 марта 1921 года Красное знамя Советов взвилось над Сухуми. Эта дата стала началом новой, счастливой эры в жизни трудового народа Абхазии, эры его национального возрождения и социалистического развития…

Созданная и закаленная великим вождем и учителем трудящихся всего мира Владимиром Ильичем Лениным Коммунистическая партия развернула кипучую деятельность среди широчайших народных масс страны, поднимая их на штурм эксплуататорского строя”.[2]

,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებში” კი ვკითხულობთ: ,,კომუნისტურმა გაზეთმა ,,სოხუმსკაია პრავდა” დაუნდობელი მამხილებელი ბრძოლა გააჩაღა მესაბოტაჟეების, სპეკულანტების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთი ამავე დროს მასებს ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სისტემატურად აშუქებდა რსფსრ მთავრობის ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის, (Sic!) ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთ და აშუქებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ მძლავრ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ეწეოდნენ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით.[3] აქაც ბოლშევიკური და საბჭოთა იდეოლოგიური დემაგოგიის კლასიკურ ნიმუშთანა გვაქვს საქმე. ჯერ მარტო ფრაზა – ,,რსფსრ მთავრობის ღონისძიებები სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის” – რადა ღირს! სიმართლის ასახვისა და ღირებულებების სრული პოლარიზაცია აქაც სახეზეა. ამ ერთ ფრაზაში სრულადაა ნაჩვენები ბოლშევიკური და საბჭოური იდეოლოგიის მთელი სიყალბე – შავი თეთრადაა წარმოდგენილი, ხოლო თეთრი შავად.

თვით არნოლდ ბორისოვიჩ კადიშევიც, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი და კეთილსინდისიერი მკვლევარი, ცხადია, ვერ აცდებოდა საბჭოური იდეოლოგიის ამ ზეგავლენას თუ მოთხოვნას.

---

[1] И.С. Минц. ,,Победа советской власти в Закавказье”. М. 1929. Стр. 5.

[2] Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. ,,Сабчота Сакартвело”. Тбилиси. 1965. Стр. 19. ,,К истории революционного движения в Абхазии. (Сборник воспоминаний)”, Сухуми, 1922 г., стр. 4. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_nestor_lakoba. html.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 444.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებულ სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ შექმნილ თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „Интервенция и гражданская война в Закавказье", კადიშევი წერს:

„თავისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა სულ მცირე შესაძლებლობასაც კი არ უშვებდა ხელიდან, რომ საქართველოსთან, ისევე როგორც სხვა ამიერკავკასიურ რესპუბლიკებთან არსებული უთანხმოებები მშვიდობიანი გზებით მოეგვარებინა...".[1] (Sic!)

„მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა" – მართლაც სხარტადაა ნათქვამი! ვერაფერს ვერ იტყვის კაცი. დამატებითი კომენტარების გაკეთება კი, ზედმეტად მიგვაჩნია – აქაც, სამწუხაროდ, საბჭოური და რუსული იმპერიული ცინიზმის კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე.

ლენინისა და ჩიჩერინის, კარახანისა[2] და ზინოვიევის[3] ქვემოთ მოყვანილი შოვინისტური იდეოლოგიის იმპროვიზაციები კარგად მეტყველებენ თუ რას ნიშნავდა ბოლშევიკური გაგებით „არსებული უთანხმოებები მშვიდობიანი გზებით მოგვარება". რუსული შოვინიზმის ამ კლასიკურ ნიმუშებს დღესაც მენტორული ტონითა და დიდი შემართებით იმეორებენ კრემლის ბინადარნი და დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელი პირები.

ქართულ-რუსული პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების დასაწყისი და რეალური ისტორია კი ასეთი იყო: რთული საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებისათვის ზრუნვა ქართულმა სახელმწიფომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო. ისტორიული ფაქტია, რომ ახალგაზრდა ქართულმა რესპუბლიკამ საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებისა და თანამშრომლობისთვის მზაობა შექმნისთანავე გამოთქვა. და ამისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაუყოვნებლივ დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დიპლომატიური მისია მოსკოვში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, უკვე 1918 წლის 11 ივნისს

---

[1] А. Б. Кадишев. Интервенция и гражданская война в Закавказье. Военное издательство министерства обороны союза ССР. Москва. 1960. Стр. 269.

[2] ლევ მიხაილოვიჩ კარახანი (კარახანიანი) (1889-1937) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული სომეხი პოლიტიკოსი და რევოლუციონერი. რსდმპ წევრი 1904 წლიდან, მენშევიკი. 1912 წლიდან პროფკავშირელი მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1913 წლიდან პეტერბურგის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის წევრი, აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. 1917 წელს პეტროგრადის რაიონის დუმისა და პეტროგრადის საბჭოს წევრი, 1918 წლის მარტიდან 1921 წლის ოქტომბრამდე რსფსრ სგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1921 წლის ოქტომბრიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1921-1922 წლებში რსფსრ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში. 1922-1923 წლებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების გამგე. შემდგომ წლებში სხვადასხვა ქვეყნებში საბჭოთა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი 1934 წლიდან.

[3] გრიგორი ევსეევიჩ ზინოვიევი (ნამდვილი გვარ-სახელი – გერშონ არონოვიჩ რადომისლსკი). (1883-1936) – ლენინის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი, ცნობილი რუსი რევოლუციონერი, ბოლშევიკი, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" ერთ-ერთი აპოლოგეტი და „კომინტერნის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საბჭოთა და სახელმწიფო მოღვაწე. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1907 წლიდან პეტერბურგის საქალაქო საბჭოს წევრი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1921-1926 წლებში საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

გაიგზავნა, რომელსაც 1920 წლის მარტამდე ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, გაბრიელ (გაბო) ხუნდაძე ხელმძღვანელობდა.

დაწყებული 1918 წლის დეკემბრიდან, ხუნდაძეს საბჭოთა რუსეთის გავლენიან სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან ჰქონდა შეხვედრები. იგი იმედოვნებდა, რომ ამ შეხვედრებზე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებზე იქნებოდა საუბარი და რუსეთის მხრიდან მის შესაძლო ცნობას განიხილავდნენ, მაგრამ კრემლის პოზიციები შეუვალი იყო.

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილესთან, ლევ კარახანთან (კარახანიანი) გაბრიელ ხუნდაძის პირადი შეხვედრის დროს, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ სცნობს არც საქართველოს დამოუკიდებლობას, არც საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, არც საქართველოს მთავრობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ განიხილება როგორც რუსეთის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ არსებული მეამბოხეთა ჯგუფი.[1]

გაბო ხუნდაძე: ,,ზინოვიევმა ყურადღებით მომისმინა და ძალიან დიდი გაკვირვება გამოთქვა ჩვენს ცხოვრებაში არსებული ზოგიერთი ფაქტის გამო, რომლის შესახებაც მას ძალიან გადაგვარებული წარმოდგენები ჰქონდა. იგი შემპირდა, რომ ჩვენს საკითხს სახალხო კომისართა საბჭოზე დააყენებდა და განხილვის დროს ყველა იმ საკითხს გაითვალისწინებდნენ, რაც ჩემს მიერ იყო მოთხრობილი...

კამენევი[2] დიდსულოვნად შემპირდა, რომ ჩემი სახელით დაელაპარაკებოდა ლენინს. რამდენიმე დღეში კი შემატყობინა, რომ მოცემულ პირობებში ლენინს დამოუკიდებელი საქართველოს გაგონებაც კი არა სურს.

რიკოვმა[3] ძალიან ნათლად განმიცხადა, რომ იგი საქართველოს კონტრრევოლუციური მთავრობის შეიარაღებული გზით განადგურების მომხრეა და ყოველ ზომას

---

[1] Автандил Ментешашвили. Из истории взаимоотнашений Грузинской Демократической республики с советской Россией и Антантой. 1918-1921гг. Г. Хундадзе. Советская власть и Грузинское посольство в России. Тифлисъ, 1920, с.20. http://www. georgianweb.com/.

[2] ლევ ბორისოვიჩ კამენევი (ნამდვილი გვარი – როზენფელდი). (1883-1936) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკი, რევოლუციონერი, ლენინის თანამებრძოლი. მისი ახალგაზრდობა და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი თბილისს უკავშირდება. 1901 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1903 წელს ამზადებდა თბილისის რკინიგზელთა გაფიცვას. 1903 წლიდან პარიზშია, სადაც ეცნობა ლენინს. 1904 წელს ლენინის დავალებით ისევ თბილისში ჩამოდის და ამირკავკასიის მასშტაბით ეწევა აგიტაციებს პარტიის ახალი ყრილობის მოსაწვევად. 1907 წელს, რსდმპ მე-5 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ირჩევენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) პირველ თავმჯდომარედ. მონაწილეობდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებში. 1919 წლის მარტიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია. 1922 წლის 3 აპრილს სწორედ ლევ კემენევის რეკომენდაციით დაინიშნა ი. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. 1922 წლის 14 სექტემბერს ინიშნება რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1922 წლის დეკემბრიდან სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

[3] ალექსეი ივანოვიჩ რიკოვი (1881-1938) – საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი და ლენინის თანამებრძოლი. რსდმპ წევრი 1901 წლიდან. 1907-1917 წლებში რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ირჩევენ მუშათა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. იმავე წლის სექტემბერში ირჩევენ პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს წევრი და პარტიის ცეკას წევრი, საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა პირველი სახალხო კომისარი. 1921 წლის მაისი – 1923 თებერვლის პერიოდში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მიიღებს იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გატანა არასდროს არ მოხდეს სახალხო კომისართა საბჭოზე".[1]

აი ასეთი აგრესიული იყო ლენინისა და კრემლის მესვეურთა დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში. და ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა ამ საკითხთან დაკავშირებულ ყოველგვარ მოლაპარაკებებთან.

ბოლშევიკთა მხრიდან ღია მტრული დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მისი მთავრობის მიმართ სახეზე იყო. და აქ ყველაფერი ნათელია. ყოველივე ეს კი, არაფრით არ ჯდება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მრავალჯერადად ტირაჟირებულ იდეოლოგიურ შაბლონში, თითქოს ,,მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა სულ მცირე შესაძლებლობასაც კი არ უშვებდა ხელიდან, რომ საქართველოსთან, ისევე როგორც სხვა ამიერკავკასიურ რესპუბლიკებთან არსებული უთანხმოებები, მშვიდობიანი გზებით მოეგვარებინა"...

ისტორიული სიმართლე და რეალობა კი ძალიან მარტივი და სწორხაზოვანია. აქ ყველაფერი ნათელია. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლიდან სულ მცირე ხანში, ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა, მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდია დაასრულეს. ისინი აქტიურ სამხედრო მოქმედებებზე გადავიდნენ და ყოფილი ცარისტული იმპერიის მთელს ტერიტორიაზე შეიარაღებული გზით დაიწყეს იდეოლოგიური ექსპანსიისა და პროლეტარული ნეოკოლონიალიზმის ხანგრძლივი და სისხლიანი პროცესი...

---

[1] Автандил Ментешашвили. Из истории взаимоотнашений Грузинской Демократической республики с советской Россией и Антантой. 1918-1921гг. Г. Хундадзе. Советская власть и Грузинское посольство в России. Тифлисъ, 1920, с. 26-27. http://www.georgianweb.com/.

სოჭის შეიარაღებული აჯანყების მონაწილენი. მარცხნიდან მარჯვნივ: მ. ხორავა (დგას მეორე), ნ. პოიარკო (დგას მესამე), ნ. სალნიკოვი (ზის მესამე). სოჭი. 1906 წელი.

1917 წლის საპირველმაისო მიტინგი სოჭში.

ალექსეი რიკოვი (1881-1938)

ლევ კამენევი (1883-1936)

გრიგორი ზინოვიევი (1883-1936)

გიორგი ჩიჩერინი (1872-1936)

სერგეი კიროვი (1886-1934)

„მთიელთა რესპუბლიკის" ლიდერები

„კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" ყრილობის დელეგატები

ვასილი ხარლამოვი (1875-1957)

სიმონ აშხაცავა (1886-1937)

სოხუმელ ბოლშევიკთა ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ, ზიან: დოლიძე, ურუშაძე, დობროვოლსკი, შარაშენიძე, სევერიან (სიოვა) კუხალეიშვილი. დგანან: კატო კუხალეიშვილი, მუმულია და წივწივაძე. 1917 წელი.

ბენია ჩხიკვიშვილი (1892-1925)

საშა გეგეჭკორი (1893-1926)

ასლანბეკ შერიფოვი (1897-1919)

ეფრემ ეშბა (1893-1939) ნესტორ ლაკობა (1893-1936) გევორქ ათარბეგოვი (1892-1925)

ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი. შუა რიგში მარცხნიდან მესამე ბენია ჩხიკვიშვილი, მეხუთე ურუშაძე, მეექვსე სევერიან (სიოვა) კუხალეიშვილი



სამსონ ჭანბა (1886-1937)

სიმონ ბასარია (1884-1942)

ისიდორე რამიშვილი (1859-1937)

მარცხნიდან – ოლდენბურგის
პრინცი და ალექსანდრე შარვაშიძე
ხვდებიან იმპერატორ
ნიკოლოზ II-ს გაგრაში

მარჯვნიდან – ალექსანდრე შარვაშიძე და მისი
დისშვილი ასტამურ ინალიფა

ოლდენბურგის პრინცის სასახლე გაგრაში

არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი
(1880-1939)



სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრე შარვაშიძის ძმიშვილი გიორგი (გოგლიკა) შარვაშიძე, ალექსანდრე შარვაშიძე, მელიტონ ემუხვარი, ასტამურ ინალიფა. დგას ალექსანდრე ძიაფშიპა.



ვარლამ შარვაშიძე (ზის) (1888-1957)

ტატაშ მარშანია

სხედან – მარცხნიდან მარჯვნივ: რ. კაკუბა (კაკუბავა), გ. ბარაჩი, ვ. სტრაჟოვი, ა. ჭოჭუა, ი. მარღანია, დ. გულია. დგას – მარჯვნიდან მეორე ს. ბასარია.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობა. პირველ რიგში სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ი. ქარცივაძე (მეორე) , ა. ვარდოიანი, რ. აუშტროვი (მეხუთე), გ. მახარაძე, ნ. ხომერიკი, გრ. ლორთქიფანიძე, ნ. ჟორდანია, ვ. ჯუღელი, ნ. რამიშვილი, გ. ცინცაძე და სხვა.

ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი (1878-1924)

ვალიკო ჯუღელი ახალგაზრდობაში



ალექსანდრე დგებუაძე

ილიკო ჯუღელი

გვარდიელთა ჯგუფი.
მარჯვნიდან მეორე – სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, რუბენ აუშტროვი.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის ჯგუფი. მესამე რიგში, შუაში, თეთრ ხალათსა და ფაფახში, გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, რუბენ აუშტროვი.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომა

სახალხო გვარდიის რაზმი

ნოე რამიშვილი
(1868-1953)

ირაკლი წერეთელი
(1881-1954)

ევგენი გეგეჭკორი
(1881-1954)

ამიერკავკასიის წითელგვარდიელთა რაზმი

ნოე ჟორდანია
(1868-1953)

გრიგოლ გიორგაძე
(1879-1937)

აკაკი ჩხენკელი
(1874-1959)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე (შუაში) ქართველ ოფიცერთა შორის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალიტეტი. წინა რიგში დგანან მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური გიორგი მაზნიაშვილი. უკანა რიგში – საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი და მისი მოადგილე, გენერალი ვლადიმერ იმნაძე.

ნოე ჟორდანია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებთან ერთად.
მისგან მარჯვნივ ვალიკო ჯუღელი და სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე.
მწყობრის უკან ქართული ჯავშნოსანი ავტომობილი.

ვალიკო ჯუღელი გვარდიელთა ჯგუფთან ერთად სოჭში. 1918 წელი

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (1871-1937)

გიორგი მაზნიაშვილი ოფიცერთა ჯგუფთან ერთად

ქართული ჯარის რეგულარული ქვედანაყოფი

სახალხო გვარდიის ესკადრონი დათვალიერებაზე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (შუაში). მისგან მარჯვნივ რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. მათ შორის დგას საქართველოს „ჯავშანმატარებლების უფროსი" ვალოდია გოგუაძე.

გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970)

გენერალი კვინიტაძე ქართველ სამხედროთა შორის

გოლოვინის პროსპექტი. ქართული ჯარის რეგულარული ქვედანაყოფი ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრის, ე.წ. „სობოროს" ეზოში



ერიხ ლუდენდორფი (1865-1937)

ჰანს ფონ სექტი (1866-1936)

კრეს ფონ კრეზენშტაინი 1870-1948)

გერმანელი ჯარისკაცები თბილისში, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე. კადრში ჩანს სამხედრო ტაძარი, ე.წ. „სობორო". უკანა კადრზე – მთაწმინდის ფუნიკულიორი და მამა დავითის ეკლესია. 1918 წლის ივნისი.

მარცხნიდან მარჯვნივ: ქუთაისის მოურავი დ. კალანდარიშვილი, კ. დათეშიძე, გენერალი დ. ართმელაძე, გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი, გენერალი ტ. ვაშაკიძე, კრესის ადიუტანტი ბარონი ჰამი და დ. კლდიაშვილი. ქუთაისი, 1919 წლის იანვარი.



სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები ვალიკო ჯუღელი და სანდრო მაისურაძე გვარდიელებთან ერთად სოჭში. 1918 წლის ზაფხული

სახალხო გვარდიის საარტილერიო ბატარეა საველე სწავლებაზე. დგანან: მარცხნიდან მესამე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ალექსანდრე დგებუაძე, მეოთხე – სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, და მეშვიდე – ვალიკო ჯუღელი

სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონი. მეთაური ვალიკო შარაშიძე.

ქართული ჯავშანმატარებლების ლეგენდარული უფროსი, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ „რევოლუციის რაინდის" წოდებით დაჯილდოებული, მეფის არმიის ყოფილი პორუჩიკი ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე

ქართველი ჯარისკაცი

იოსებ გედევანიშვილი
(1873-1939)

გიზო ანჯაფარიძე
(1891-1924)

ვალიკო ჯუღელი სოჭში.
1918 წლის სექტემბერი

გვარდიელთა ჯგუფი

გვარდიელთა ჯგუფი წიფის გვირაბთან

სახალხო გვარდიის დესანტი სოხუმში

სახალხო გვარდიის დესანტი შავიზღვისპირეთში

ვალიკო ჯულელი (შუაში, ბავშვთან ხელგადახვეული)
გვარდიელთა ჯგუფთან ერთად

ვალიკო ჯუღელი (დგას ბავშვთან) სახალხო გვარდიელთა ჯგუფთან ერთად სოჭში. 1918 წელი.
მარჯვნიდან მეშვიდე მთავრობის საგანგებო რწმუნებული გიზო ანჯაფარიძე

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები სოჭში, 1918 წლის სექტემბერი.
მარცხიდან მარჯვნივ: ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე,
ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე.

სანდრო მაისურაძე (მეორე რიგში, მარცხნიდან მერვე)
სახალხო გვარდიის რაზმთან ერთად გაგრაში. 1918 წელი.



სახალხო გვარდიის რაზმი სოჭის ფრონტზე, 1918 წლის სექტემბერი.
მარცხნიდან მეორე სანდრო მაისურაძე.

თავი III

თეთრგვარდიელთა შეიარაღებული აგრესია აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში

„სოჭის ოლქის გასუფთავებისა და მდ. ბზიფს იქით ქართული ჯარების გადაყვანამდე, რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის დარღვევისათვის ყველა სხვა ურთიერთობა საქართველოსთან, გარდა საომარი მოქმედებებისათვის მზადყოფნისა, შეუძლებლად გვეჩვენება"...

გენერალი ანტონ დენიკინი. 1918 წელი.

§1. თეთრგვარდიული მოძრაობა და „მოხალისეთა არმია"

გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ წარმატებით განხორციელებულ შეტევით მოქმედებებს სოჭი-ტუაფსეს მიმართულებაზე მიესალმა ე.წ. „ყუბანის მთავრობა", რომლის წარმომადგენელი, ვინმე ლაპინი პირადად ეახლა გენერალ მაზნიაშვილსა და საქართველოს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს სოჭში, გიზო ანჯაფარიძეს. ლაპინის მეშვეობით, „ყუბანის მთავრობამ" ქართული ჯარის სარდლობას თხოვნით მიმართა დახმარებოდა მოსალოდნელი ბოლშევიკური აგრესიის აღკვეთაში, საპასუხოდ კი სთავაზობდა ტუაფსე-მაიკოპის ხაზის დაკავებას და ამით მაიკოპში დაგროვილი დიდი რაოდენობის მარცვლეულისა და პურის გასატანად შესაბამისი პირობების შექმნას...[1]

მიუხედავად იმისა, რომ შავიზღვისპირეთში განვითარებული მოვლენების პარალელურად, ჯავა-ცხინვალის რაიონშიც მიმდინარეობდა რუს ბოლშევიკთა მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ინსპირირებული ოსი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლები, ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის პირველხარისხოვან ფრონტად მაინც შავიზღვისპირეთი ჩაითვალა. თავისთავად ცხადია, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფორმირების პროცესში მყოფი მცირერიცხოვანი ქართული შეიარაღებული ძალებისათვის ორ განსხვავებულ მიმართულებაზე სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების წარმოება, ძალების დაქსაქსვასა და მათი წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას ეჭვქვეშ დააყენებდა. ეს საკითხი 24 აგვისტოს გამართულ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე იქნა განხილული.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი.
ნომრის გარეშე. 1918 წლის 24 აგვისტო.

„მონაწილეობდნენ:

ჯუღელი, დგებუაძე, მაისურაძე, საღირაშვილი, აუშტროვი.

მოისმინეს: მომავალი ოპერაციების შესახებ ოსეთსა და შავიზღვისპირეთის მიმართულებაზე.

დაადგინეს:

ჩაითვალოს შეუძლებლად ორ მიმართულებაზე ოპერაციების ერთდროული წარმოება, ამიტომ მთელი ძალები გაიგზავნოს შავიზღვისპირეთში. ოსეთთან მიმართებაში ჯერ-ჯერობით აქტიური მოქმედებები არ იქნას წარმოებული და შემოვიფარგლოთ შემდეგით:

შევთავაზოთ მთავრობას ცხინვალში შეყვანილ იქნას 50-60 გერმანელი. შევთავაზოთ გორის შტაბს მოახდინოს 100 სახალხო გვარდიელის მობილიზაცია, რომლებიც ჩაყენებულნი იქნებიან ცხინვალში. შევთავაზოთ ფრაქციას, პასუხისმგებელი მუშაკის სახით ცხინვალში გაიგზავნოს მ. კლიმიაშილი.

შავიზღვისპირეთში რაზმებთან ერთად პასუხისმგებელი ხელმძღვანელების სახით გაიგზავნონ ჯუღელი, დგებუაძე, მაისურაძე".[2]

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 754.

[2] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (5-6).

თავად გენერალი მაზნიაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში გალაშქრებას ზედმეტად თვლიდა. მისი აზრით, ხელსაყრელი რელიეფისა და ლანდშაფტის გამო, საკმარისი იყო მდინარე შახეზე ძლიერი გამაგრებული თავდაცვითი ზღუდის მოწყობა, რითაც მოსალოდნელი ბოლშევიკური აგრესიისაგან სოჭის მიმართულება სრულად იქნებოდა დაცული. მით უმეტეს, რომ ამ მომენტისათვის ქართული შენაერთის რიცხობრივი რაოდენობა უკვე შემცირებული იყო. გენერალი მაზნიაშვილი: „საქმე, ცოტა არ იყოს, გართულდა. წინ წაწევას ქართული ჯარის ნაწილებით ვსთვლიდი შეუძლებლად, რადგან მომეტებული ნაწილი ადგილობრივ მცხოვრებ-პარტიზანებისა, რომლებიც შეუერთდნენ სოხუმში ჩვენს ჯარებს, გზადაგზა სოხუმიდან ტუაფსემდე თანდათან ჩამოგვშორდნენ და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ჯარების ნაწილების შესავსებად საქართველოდან ჯარისკაცებს აღარ მოველოდი...”[1]

ეს მოსაზრება სხვა სიტუაციაში შეიძლება მისაღებიც ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება – საქართველოში ნავთობისა და პურის ნაკლებობა იყო, მაიკოპის რკინიგზის სადგურში კი ნავთობით დატვირთული ეშელონები იდგა. ე.წ. „ყუბანის მთავრობა” მზად იყო ხელსაყრელ ფასებში მიეწოდებინა საქართველოსათვის პური, თუ მისი შეიარაღებული ძალები მიეხმარებოდნენ წითლებისაგან მაიკოპის განთავისუფლებაში.[2]

რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე გაზეთ „დროებისათვის” მიცემულ ინტრვიუში აცხადებდა, რომ „თუ ჩვენი საზღვრების ახლო-მახლო მიდამოებში ბოლშევიკური შემოტევა და მოძრაობა არ დასცხრა, მაშინ მაზნიაშვილი იძულებული იქნება დაიკავოს მაიკოპი და იქ გამაგრდეს, რომ ჩვენი საზღვრების მდგომარეობა უზრუნველვყოთ”.[3]

მალე თბილისიდანაც იქნა მიღებული ბრძანება, რომ ქართულ ქვედანაყოფებს ხელში აეღოთ ტუაფსე-მაიკოპის რკინიგზის ხაზის კონტროლი და თავისი მოქმედებებით კოორდინაცია გაეწია ყუბანის „თეთრ მთავრობასა” და „მოხალისეთა არმიასთან”, რომელიც ამ დროისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა რუსეთის სამხრეთში მოქმედ წითელგვარდიულ რაზმებთან და წითელი არმიის შენაერთებთან...

ტუაფსედან მაიკოპისაკენ ქართული ნაწილები კავკასიის ქედის გადაღმა, მთის უღელტეხილის გავლით გაემართნენ, რკინიგზისა და გზატკეცილის გასწვრივ.[4]

რა სამხედრო შენაერთი იყო, რას წარმოადგენდა და რა მიზნებს ისახავდა ყუბანი-ეკატერინოდარის რაიონში მოქმედი ე.წ. „მოხალისეთა არმია”?

1917 წლის ზაფხულის ბოლოს რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი[5] მიხაილ ალექსეევი დროებითი მთავრობის თავმჯდომარესთან, კერენსკისთან მომხდარი უთანხმოების გამო, თანამდებობას ტოვებს. პოლიტიკაში ჩარევა დამსახურებულ გენერალს,

---

[1] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი”. თბილისი. 1998. გვ. 73.

[2] ა. მენთეშაშვილი. „ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან”. თბილისი. 1990. გვ. 67.

[3] ინტერვიუ სამხედრო მინისტრთან. გაზეთი „ერთობა”. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 22 აგვისტო. №177. გვ. 3.

[4] ჩრდილოეთ კავკასიაში შემდგომში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო ქართულმა მხარემ ვეღარ მიიღო დანაპირები ნავთობი, პური და მარცვლეული.

[5] გენერალ-ადიუტანტი წარმოადგენდა სპეციალურ წოდებას რუსეთის იმპერიის უმაღლესი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პირებისათვის, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ უფლება სუბორდინაციული დაქვემდებარების ვერტიკალის გვერდის ავლით პირდაპირი კომუნიკაცია დაემყარებინათ უშუალოდ იმპერატორთან. ეს სპეციალური წოდება ენიჭებოდათ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საჯარო მოხელეებს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომის აქტიურ მონაწილეს, ძვირად დაუჯდა. ცარისტული გენერალიტეტის ელიტა კი, გენერლები – კორნილოვი, ლუკომსკი, დენიკინი, მარკოვი, რომანოვსკი, ერდელი და სხვები, დროებითი მთავრობის მიერ დაპატიმრებულ იქნენ.

ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გენერალმა ალექსეევმა ბოლშევივიკთა წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა მიზნად. იგი „ახალი არმიის", ე.წ. „ალექსეევის ორგანიზაციისათვის" კადრის მოძიებასა და მოზიდვას იწყებს. დევნილი გენერალი მალულად ახერხებს 1917 წლის 26 ოქტომბრისათვის (8 ნოემბერი) როსტოვში, შემდეგ კი, ნოვოჩერკასკში ჩასვლას.

„ნოვოჩერკასკში არა მხოლოდ დროებითი თავშესაფრის პოვნის იმედით, არამედ იმ იმედითაც ჩამოვედი, რომ მუშაობა დავიწყო... წყალზე დაღვრილი ზეთის წვეთის მსგავსად დაიწყებს სასურველი ჩანაფიქრი და ღირებულებები გავრცელებას... ამ ციტადელიდან უნდა დაიწყოს ბრძოლა გერმანელთაგან ჩვენი ეკონომიკური გადარჩენისათვის... უნდა შევქმნათ ჯერ ადგილობრივი, შემდეგ კი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძლიერი ხელისუფ-ლება... უნდა შევქმნათ თუმცა მცირე, მაგრამ რეალური და მყარი შეიარაღებული ძალები, შემდგომი აქტიური პოლიტიკის გასატარებლად. ამის ელემენტები კი ნამდვილად არსებობს: ბევრი ოფიცერი, იუნკერებისა და გარდემარინების ნაწილი... და ბოლოს და ბოლოს მოხალისეები... სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებთ, მაგრამ მანამდე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სუფთა სინდისით მოკვდეთ".[1]

საპატიმროებში გამწესებული კორნილოვის გენერლები მალე გამოშვებულ იქნენ. გენერალ ალექსეევის მსგავსად, ისინიც, როგორც ცარისტული რეჟიმის ერთგული დასაყრდენი და ბოლშევიკებთან შეურიგებელი მებრძოლი ძალა, ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის ორგანიზებისათვის რუსეთის სამხრეთში, დონი-ყუბანის რაიონში მალულად ახერხებენ ჩასვლას. აქვე ხდება რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან და I მსოფლიო ომის მოშლილი რუსული ფრონტებიდან დაბრუნებული ოფიცრების გარკვეული მასის ორგანიზებული თავმოყრაც.

სწორედ აქ, სამხრეთ რუსეთში იქმნება გარკვეული იდეოლოგიური და სამხედრო პლაცდარმი „ბოლშევიკებთან, გერმანელებთან და ანარქიასთან" საბრძოლველად. „იგეგმებოდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ორგანიზებული ძალით... შეძლებდა აღდგომოდა არსებულ ანარქიასა და გერმანულ-ბოლშევიკურ შემოსევას"...[2]

რუსეთში პირველი მონარქისტული და ანტიბოლშევიკური მოხალისეთა შენაერთის ფორმირებაც სწორედ გენერლების, ალექსეევისა და კორნილოვის ხელმძღვანელობით იწყება 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში ე.წ. „მოხალისეთა არმიის" სახით. მოხალისეთა არმიის („დობროარმია") პირველი შენაერთის პირადი შემადგენლობა მეფის არმიის ყოფილი ოფიცრების, იუნკრების,[3] კადეტების,[4] სტუდენტებისა და კაზაკებისაგან დაკომპლექტდა. პირველი 3000 მოხალისიდან მხოლოდ 12 იყო ჯარისკაცი, დანარჩენი –

---

[1] Корнатовский Н. А. Борьба за Красный Петроград. — Москва: АСТ, 2004. — 606 с. — (Военно-историческая библиотека). — 5 000 экз. — ISBN 5-17-022759-0

[2] Деникин А. И. Книга 2. Т. 2-3. Очерки русской смуты. М. Айрис-пресс. 2006. (Белая Россия). Стр. 167.

[3] იუნკერი (რუსეთში) – რუსეთის არმიაში 1918 წლამდე არსებული სპეციალური სამხედრო წოდება უნტერ-ოფიცერსა და ობერ-ოფიცერს შორის. ეს წოდება ენიჭებოდათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც კანდიდატებს წარმოადგენდნენ ობერ-ოფიცრის პირველი წოდების მისანიჭებლად. მოგვიანებით იუნკერს უწოდებდნენ აგრეთვე სამხედრო სასწავლებლების (სკოლის) მოსწავლეებს.

[4] კადეტი (რუსეთში) – 1731 წლიდან რუსეთში არსებული კადეტთა კორპუსების (საშუალო სამხედრო-სასწავლო დაწესებულებები ოფიცერთა და დიდგვაროვანთა შვილებისათვის) აღსაზრდელები.

ოფიცრები. ამ ამბების მონაწილე ერთ-ერთი ჰუსარი[1] ამ პროცესებს ისე განიხილავდა როგორც „თავისუფალი მოქალაქეების ახალ ამპლუას... როგორც ხანმოკლე შვებულებას, როდესაც რაღაც უნდა გაგეკეთებინა". და კითხვაზე – „რა უნდა გვეკეთებინა? – პასუხობს, – რა თქმა უნდა, ბოლშევიკების წინააღმდეგ უნდა გვებრძოლა".[2]

1917 წლის 27 დეკემბერს ნოვოჩერკასკში ოფიციალურად გამოცხადდა მოხალისეთა არმიის შექმნა. გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი მიხაილ ალექსეევი ამ სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების საერთო ლიდერი გახდა, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი ლავრ კორნილოვი – უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ლუკომსკი[3] – არმიის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ანტონ დენიკინი – 1-ლი დივიზიის მეთაური, კავალერიის გენერალი ივან ერდელი ცალკეული ცხენოსანი ბრიგადის მეთაური, ხოლო გენერალ-ლეიტენანტი სერგეი მარკოვი[4] – ოფიცერთა 1-ლი პოლკის მეთაური.[5] შეიქმნა აგრეთვე სპეციალური პოლიტიკური საბჭო, სადაც ჩართულ იქნენ რუსეთის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები – პეტერ სტრუვე, პაველ მილიუკოვი, მიხაილ როძიენკო, სერგეი საზონოვი, ბორის სავინკოვი.

აქვე, ნოვოჩერკასკში ხდება მოხალისეთა სარდლობის დაახლოება და იდეოლოგიური გაერთიანება ყუბანის მთავრობასთან. მათი ერთიანი იდეოლოგიისა და ბრძოლის ამოსავალ წერტილად ანტიბოლშევიზმი იქცა. 1918 წლის 10 ივნისს „მოხალისეთა" გენერალიტეტთან გამართულ თათბირზე „ყუბანის სახალხო რესპუბლიკის"

---

[1] ჰუსარი – XV-XX საუკუნეების ევროპელი მსუბუქი კავალერისტი გამორჩეული სამხედრო სამოსით, აღჭურვილობითა და შეიარაღებით. რუსეთში კავალერიის ეს სახეობა XVII საუკუნიდან ჩნდება, რომელმაც XX საუკუნის 20-იან წლებამდე იარსება.

[2] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/07-09/Zaytsev AA.doc. Возрожденные полки Русской армии в Белой борьбе на Юге России. М., 2002. С.11.

[3] ალექსანდრ სერგეევიჩ ლუკომსკი (1868-1939) – რუსი მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1898 წლის იანვრიდან მე-12 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი, 1902 წლიდან კიევის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1907 წლიდან პოლკოვნიკი. 1907 წლის 4 დეკემბრიდან 42-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. 1909 წლიდან გენერალური შტაბის სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი. 1913 წლის 29 იანვარს ინიშნება სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსის თანაშემწედ. 1914 წლის აპრილიდან გენერალ-მაიორი. იმავე წლის ნოემბრიდან – გენერალ-ლეიტენანტი. 1915 წლის ივნისიდან სამხედრო მინისტრის მოადგილე. 1916 წლის 2 აპრილიდან 32-ე ქვეითი დივიზიის მეთაური. 1916 წლის ოქტომბრიდან უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 2 აპრილიდან, 1-ლი საარმიო კორპუსის სარდალი.

[4] სერგეი ლეონიდოვიჩ მარკოვი (1878-1928) – რუსი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, სამხედრო მეცნიერი და გენერალური შტაბის აკადემიის პედაგოგი, გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და მოხალისეთა არმიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1914-1915 წლებში მე-4 რკინის დივიზიის შტაბის უფროსი. 1915-1916 წლებში მე-13 მსროლელი პოლკის მეთაური. 1916 წლიდან უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ოპერატიული განყოფიულების უფროსის მოადგილე, შემდეგ დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების შტაბის უფროსი. 1917 წლიდან გენერალ კორნილოვის გამოსვლის ,მხარდამჭერი. 1917 წლის ზაფხულიდან თეთრ მოძრაობაშია – ოფიცერთა პოლკის მეთაური. თეთრ მოძრაობაში თავი გამოიჩინა პირადი მამაცობითა და სამხედრო ტაქტიკის ბრწყინვალე გამოყენებით წითელარმიელებთან ყუბანში წარმოებულ ბრძოლებში. „ყინულოვანი მარშის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოხალისეთა არმიის პირადი შემადგენლობის საკულტო გმირი.

[5] Белые войны. Марков и марковцы. М.: НП «Посев», 2001.http://moreandr.narod.ru/lib_ru/ markovtsi/.

მთავრობის თავმჯდომარემ, ლუკა ბიჩმა[1] განაცხადა, რომ „ჩვენს უახლოეს ამოცანას ბოლშევიზმთან ბრძოლა წარმოადგენს... ჩვენ ხსნის გზებს ვეძებთ, რომ პირველ რიგში გადავარჩინოთ ჩვენი მხარე, შემდეგ კი, რუსეთი".[2]

ბოლშევიკთა მიერ „კონტრრევოლუციად" მონათლული „თეთრი მოძრაობა" და „დობროარმია", რომლის პირადი შემადგენლობაც საწყის ეტაპზე მხოლოდ 4000 კაცს ითვლიდა, შექმნისთანავე ჩაება ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკებთან და წითელ არმიასთან დაუნდობელ ბრძოლებში. მიუხედავად დიდი რიცხობრივი უპირატესობისა და კარგი შეიარაღებისა, ორგანიზებულ სამხედრო ძალასთან დაპირისპირებაში წითელი არმიის მდგომარეობა ნელ-ნელა მძიმდება. იგი უძლური გამოდგა სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მოხალისეებისათვის და ბოლშევიკები თანდათანობით თმობენ პოზიციებს. 1918 წლის განმავლობაში „დობროარმია" ძლიერდება სამხრეთ რუსეთში მოქმედი კაზაკური რაზმების, ბოლშევიკთა რეპრესიებით უკმაყოფილო მოსახლეობისა და ყოფილი მეფის არმიის სხვადასხვა ნაწილებისა თუ შენაერთების ძალებით.

1918 წლის ივლის-აგვისტოსათვის წითელი არმიის მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე კატასტროფული ხდება. ატამან კრასნოვის[3] დონის კაზაკთა არმიის მხარდაჭერით 9 ათასიანი „მოხალისეთა არმია" დამანგრეველი მარცხების სერიას აგემებს თითქმის 100 ათასიან წითელარმიულ შენაერთებს. თეთრები ეუფლებიან სტანიცა ტიხორეცკს 14 ივლისს, სტავროპოლს – 21 ივლისს, ხოლო ეკატერინოდარს – 17 აგვისტოს. წითელი არმიის ძირითადი ძალები დიდი დანაკარგებით უკან, არმავირისკენ იხევენ.

1918 წლის სექტემბრისათვის „მოხალისეთა არმიის" პირადმა შემადგენლობამ უკვე 30-35 ათასს მიაღწია, ძირითადში ყუბანის კაზაკთა რაზმების შეერთებითა და ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიზმს გამოქცეული მოსახლეობის მოხალისეთა არმიაში გაერთიანებით.

ბოლშევიკთა სამხედრო წარუმატებლობებთან ერთად, 1918 წლის ზაფხულში გელენჯიკში ყალიბდება წითელი არმიის ახლადფორმირებული შენაერთი, ე.წ. „ტამანის

---

[1] ლუკა ლავრენტიევიჩ ბიჩი (1870-1945) – კაზაკი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, 1912-1917 წლებში ბაქოს ქალაქის თავი, ყუბანის პირველი მთავრობის თავმჯდომარე 1917-1918 წლებში. 1919 წლის დასაწყისიდან რადას გადაწყვეტილებით იგზავნება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დელეგაციის ხელმძღვანელად. 1920 წელს დენიკინთან უთანხმოებისა და ყუბანის სახალხო რესპუბლიკის დამხობის გამო ემიგრაციაში რჩება. გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიაში 1945 წელს.

[2] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak.ed.gov.ru/common/ img/uploaded/files/vak/announcements/ istorich /2009/07-09/Zaytsev AA.doc. Протоколы заседаний Кубанского краевого правительства: 1917-1920. Т.1. С.96, 97.

[3] პიოტრ ნიკოლაევიჩ კრასნოვი (1869-1947) – ცარისტული არმიის გენერალი, დონის კაზაკთა ჯარების ატამანი, რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. 1918 წლიდან პროგერმანული ორიენტაციის სამხედრო მოღვაწე. 1910 წლიდან პოლკოვნიკი, ციმბირის კაზაკთა 1-ლი პოლკის მეთაური. 1913 წლის ოქტომბრიდან დონის კაზაკთა მე-10 პოლკის მეთაური. 1914 წლის ნოემბრიდან გენერალ-მაიორი, დონის კაზაკთა 1-ლი დივიზიის 1-ლი ბრიგადის მეთაური. 1915 წლის ივლისიდან დონის კაზაკთა მე-3 დივიზიის მეთაური. 1916 წლის მაისში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ბრუსილოვის გარღვევის აქტიური მონაწილე ლუცკის მიმართულებაზე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის ივნისიდან ყუბანის კაზაკთა 1-ლი დივიზიის მეთაური. იმავე წლის სექტემბრიდან კი – გენერალ-ლეიტენანტი და მე-3 საკავალერიო კორპუსის სარდალი. 1918 წლის მარტიდან კაზაკთა ანტიბოლშევიკური ბრძოლის ხელმძღვანელი დონზე. 1918 წლის 16 მაისს არჩეულ იქნა დონის კაზაკთა ჯარების ატამანად. 1918 წლის აგვისტოდან კავალერიის გენერალი და კაზაკთა ჯარების მთავარი ატამანი, მოხალისეთა არმიასთან დაპირისპირებული ძალა. 1919 წლის 15 თებერვლიდან, დენიკინის მხრიდან დაწოლის შემდეგ, უერთდება გენერალ ნიკოლაი იუდენიჩის ჩრდილო-დასავლეთ არმიას. 1920 წლიდან ემიგრაციაშია. გიორგის ჯვრის კავალერი.

ჯგუფი" ან „ტამანის არმია", რომელიც სხვადასხვა ადგილობრივი წითელარმიული ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან შედგებოდა. შექმნისთანავე იგი საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო „დობროარმიის" ნაწილებთან და ყირიმიდან წინ მომავალ გერმანულ ქვედანაყოფებთან. მოხალისეთა მიერ „ტამანის არმია" იზოლირებულ იქნა წითელი არმიის ძირითადი ძალებისაგან. ამ ეტაპზე „ტამანის არმიის" ამოცანას შეადგენდა ტამანის ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთით, ტუაფსეს გავლით დონდუკოვსკაიამდე ბრძოლებით გაღწევა და არმავირში მოქმედი წითელი არმიის მთავარ ძალებთან შეერთება, რომლებთაც ალექსეევის „დობროარმიის" ზეწოლით 1918 წლის 16 აგვისტოსათვის ეკატერინოდარის დატოვება და უკან დახევა მოუწიათ.

სწორედ ამ დროს ხდება ტუაფსეს ქართული გარნიზონის პირველად შესვლა კონტაქტში „დობროარმიის" მეწინავე ქვედანაყოფებთან. მოხალისეთა მზვერავებმა შეატყობინეს გენერალ მაზნიაშვილს, რომ ეკატერინოდარი უკვე მათ მიერ იყო აღებული, ხოლო ნოვოროსიისკისაკენ გაგზავნილია მოხალისეთა არმიის ძირითადი ნაწილი, რომლის ამოცანასაც ქალაქის დაკავება შეადგენდა. მათვე გააფრთხილეს ქართული სარდლობა, რომ ნოვოროსიისკიდან მათი უკან დახევის გზაზე, მოსალოდნელი იყო ბოლშევიკთა „ტამანის არმიის" ტუაფსესთან გამოჩენა, თუმცა უფრო ალბათური იყო ბოლშევიკური ნაკადის გადაადგილება სხვა მარშრუტზე.

გენერალი მაზნიაშვილი: „ჩემს შეკითხვაზე – თუ ვინიცობაა ნოვოროსიისკი დაეცა, მოწინააღმდეგე საით დაიხევს? ხომ არ წამოვლენ ისინი თავისი მთავარი ძალებით ტუაფსეზე? ოფიცერმა მიპასუხა, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მათ აქვთ, თუ მოწინააღმდეგე უკან დაიხევს, წავა უეჭველად უღელტეხილებით არმავირზე, ისე რომ ასცდება არხიპოვკას, რადგან ეს არის უმოკლესი გზა მათი უკან დახევისა".[1]

ასეთ ვითარებაში, ქართული მხარე თავისდაუნებურად აღმოჩნდა ჩართული „დობროარმიასთან" სამხედრო ალიანსში, რაც მდგომარეობას ართულებდა. საქმე იმაშია, რომ გენერალ მაზნიაშვილს თბილისიდან მიღებული ბრძანების თანახმად დამოუკიდებლად უნდა შეესრულებინა მასზე დაკისრებული ამოცანები და თავისი მოქმედებები „დობროარმიასთან" არ შეეთანხმებინა, მასთან კონტაქტში არ უნდა შესულიყო. შექმნილი ვითარება კი მდგომარეობას ართულებდა. მაგრამ ქართული მხარის მიერ ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნა. თბილისიდან მიღებული ახალი ბრძანების თანახმად გადაწყდა მაიკოპზე სვლა დაეწყოთ მაზნიაშვილის შენაერთის კაზაკებსა და საქართველოდან გადმოსულ რუს ოფიცერთა რაზმს, რომლებიც ტუაფსეში ჩასვლისთანავე ფორმალურად „დობროარმიას" უნდა შეერთებოდნენ. სწორედ ეს რაზმები გაიგზავნენ ბელორეჩენსკის მეწინავე პოზიციებზე, რომელზეც მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონი, სულ 150 ჯარისკაცი იმყოფებოდა.

1918 წლის 27 აგვისტოსათვის ტამანის წითელი არმია არჩეული მეთაურის, ივან მატვეევის[2] ხელმძღვანელობით,[3] რომელიც ნოვოროსიისკიდან მოიწევდა წინ და ძირითადში ნოვოროსიისკის მუშებისა და შავი ზღვის ფლოტის გაბოლშევიკებული მეზღვაურებისაგან შედგებოდა, სამ კოლონად იყო დალაგებული. წინმავალ კოლონას,

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 74.

[2] ივან ივანოვიჩ მატვეევი (1890-1918) – მეფის ფლოტის ყოფილი მატროსი, წითელი არმიის მეთაური, რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1917 წლიდან ბოლშევიკი, 1918 წლიდან წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური. 1918 წლის მაისში მის მიერ ეკატერინოდარში შექმნილი წითელგვარდიული რაზმის მეთაური, 1918 წლის აგვისტოში, გელენჯიკში შექმნილი ე.წ. „ტამანის წითელი არმიის" არჩეული მეთაური. პირველი ფორმაციის მე-11 წითელი არმიის სარდლის, ი. სოროკინის ბრძანებით დახვრეტილ იქნა 1918 წლის ოქტომბერში.

[3] Горлов В. П. Героический поход. Изд. 2-е. М., 1967; http://www.hrono.ru/biograf/bio_m/matveev_ii.html.

ასევე არჩეული მეთაური, ეპიფან კოვტიუხი[1] ედგა სათავეში.[2] არმიის პირადი შემადგენლობა 30000 კაცს ითვლიდა. დამატებით, მას 20000 დევნილი შეერთებოდა.[3]

„ტამანის არმიის" ავანგარდი, ეპიფან კოვტიუხის მეთაურობით, 1 სექტემბერს კონტაქტში შევიდა და საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო ტუაფსეს მცირერიცხოვან გარნიზონთან, დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა მას და უკან დაახევინა.

ტუაფსეს მისადგომებთან გამართული ბრძოლის განხილვისათვის ისევ რიგითი შალვა ჭიჭინაძის, ამ ბრძოლის უშუალო მონაწილის მემუარს, უფრო ზუსტად, მისი მემუარის მეორე ნაწილს მოვიყვანთ. პირველი ნაწილი, როგორც გვახსოვს, ხოსტას მისადგომებთან ქართველი მოწყალების დის, ელენეს გმირული ბრძოლის ამბავს აღწერდა. და აქაც ისევ ელენეს შესახებაა საუბარი, თუმცა ისტორია გაცილებით მძიმე და შემზარავია:

„...უკანასკნელი მედგარი ბრძოლა სადგურ პშეხოვსკაიასთან მოგვიხდა (არმავირ-ტუაფსის ხაზზე). გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელმაც დილითგან საღამომდე გასტანა.

საღამოს ბრძანება მოგვივიდა: მტერი ნოვოროსიიდგან ტუაფსეს მოსდგომოდა და ნახევარი ძალა უნდა მივშველებოდით იმ პატარა რაზმს, რომელიც აუარებელი მტრის ძალას იკავებდა.

მტერმა გაიგო ჩვენი შემცირება და შემოტევა დაიწყო მარცხენა ფრთაზე. რამდენიმე კაცი დაგვიჭრეს და ელენე ამ დროს ტყვედ წაიყვანეს. დაჭრილებმა გადმოგვცეს: ელენე ეხვეწებოდა თურმე „იმდენი დრო მომეცით, დაჭრილ ძმებს მივხედოვო, დახმარება აღმოუჩინო და შემდეგ თუ გინდათ მომკალითო".

ამ თხოვნამ უარესათ გააგიჟა მუჟიკები და ელენე დიდის წამებით მოჰკლეს თურმე.

ასე პირნათლად მოიხადა ვალი მოწყალების დამ".[4]

მემუარის ბოლო ფრაზა – „ელენე დიდის წამებით მოჰკლეს", ველური აზიური ტომებისა და შუასაუკუნეობრივი ინკვიზიციისათვის დამახასიათებელ სისასტიკეზე უფრო დაუნდობელი ქმედებაა. „კომუნისტური სამოთხისა" და „მშრომელთა მასების ნათელი მომავლისათვის" მებრძოლი ბოლშევიკები კი ახლა იწყებდნენ დაუნდობელი მკვლელო-ბებისა და მასობრივი ტერორის იმ ჯოჯოხეთური მანქანის ამუშავებას, რომლის მსგავსი მანამდეც და მას შემდეგაც, კაცთა მოდგმას ძნელად თუ მოუგონებია. ომის სამართალში,

---

[1] ეპიფან იოვიჩ კოვტიუხი (1890-1938) – მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი და წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური. დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებლის პრაპორშიკთა სკოლა. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, ნავაგინსკის ქვეითი პოლკის შემადგენლობაში, მიაღწია შტაბს-კაპიტნის წოდებას. გიორგის ჯვრის კავალერი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ პოლკის ჯარისკაცთა დეპუტატების კომიტეტის წევრი. 1918 წლიდან რსდმპ წევრი, ბოლშევიკი, მეთაურობს წითელგვარდიულ რაზმს ყუბანში, მონაწილეობს თეთრვარდიელთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში. 1918 წლის 27 აგვისტოს არჩეულ იქნა ტამანის წითელი არმიის პირველი კოლონის უფროსად და არმიის სარდლის მოადგილედ. იმავე წლის ოქტომბერ-დეკემბერში ტამანის არმიის სარდალი. 1919 წლის სექტემბრიდან ტამანის 48-ე დივიზიის მეთაური. 1920 წლის იანვრიდან ინიშნება შერეული ცხენოსანი კორპუსის (მე-7 საკავალერიო დივიზია და ტამანის საკავალერიო ბრიგადა) სარდლად. 1920 წლის აგვისტოდან ქალაქ ეკატერინოდარის გარნიზონის უფროსი. 1922 წელს ამთავრებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიას. 1936 წლიდან წითელი არმიის ინსპექტორი და ბელარუსის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

[2] Черушев Н. С., Черушев Ю. Н. Расстрелянная элита РККА (командармы 1-го и 2-го рангов, комкоры, комдивы и им равные): 1937—1941. Биографический словарь. — М.: Кучково поле; Мегаполис, 2012. — С. 82—83. — 496 с. — 2000 экз. — ISBN 978-5-9950-0217-8.

[3] Sukhorukov, V. T. XI armia v boiakh na Severnom Kavkaze i Nizhnei Volge (1918–1920). Moscow, 1961.

[4] ჯარის კაცი შალვა ჭიჭინაძე. ჩვენი ქალი ომში. ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №3. 1920 წლის 13 ივნისი. გვ. 13-14.

ჟენევის 1864 წლისა[1] და ჰაგის 1907 წლის[2] კონვენციებით სრულად იყო განსაზღვრული ტყვეებთან და დაჭრილებთან მოპყრობის წესები. მაგრამ ის, რაც ბოლშევიკებმა ამ კერძო შემთხვევაში ჩაიდინეს, კერძოდ, წამებით მოკლეს ტყვედ აყვანილი დაჭრილი მოწყალების და, არათუ კონვენციების ნორმებისა და სტატიების მოთხოვნებს, არამედ ადამიანური წარმოდგენის ყოველგვარ ზღვარს სცილდება:

1. ტყვეს ადამიანურად ეპყრობიან;
2. ტყვეს არ აწამებენ;
3. დაჭრილ ტყვეს სამედიცინო დახმარებას უწევენ;
4. დატყვევებულ მედპერსონალს პროფესიული მოვალეობის შესრულების უფლებას არ უზღუდავენ;
5. ქალს არ აწამებენ;
6. ტყვეს არ ხვრეტენ;
7. ტყვე ქალს არ ხვრეტენ;
8. დაჭრილ ტყვე ქალს არ ხვრეტენ;
9. მით უმეტეს, წამებით არ ჰკლავენ დაჭრილ ტყვე ქალს;

   და ა.შ. და ა.შ. და ა.შ...

ტუაფსეს ფრონტზე კი, ბატალური მოვლენები შემდეგნაიარდ განვითარდა. კოვტიუხის ტამანელების მეწინავე ნაწილები ტუაფსეში შევიდნენ და ხელში ჩაიგდეს 16 ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი, 6 ათასი ჭურვი და 800 ათასი ვაზნა.[3] ორ დღეში კი, ბოლშევიკებმა ქალაქი დატოვეს და გააგრძელეს სვლა კავკასიონის ქედის გადასასვლელებით ხადიჟენსკაიასა და არმავირისაკენ. ყუბანის ბრძოლებით გავლის შემდეგ, 17 სექტემბერს, არმავირთან ახლოს იგი სოროკინის[4] არმიას შეუერთდა.[5]

გენერალი მაზნიაშვილი პატაკით ატყობინებდა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს:

---

[1] Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded in Armies in the Field. Geneva, 22 August 1864. http://army.armor.kiev.ua/hist/zeneva-ran-1.php.

[2] Laws of War: Laws and Customs of War on Land (Hague IV); October 18, 1907. The Convention. Yale Law School. The Avalon Project. Documents in Low, History and Diplomacy. http://avalon.law.yale.edu/20th_century/hague04.asp.

[3] Северо-Кавказцы в боях за родину. Краткий военно-исторический очерк о боевом пути Северо-Кавказского военного округа. Под редакцией генерала армии И. Плиева. Военное издательство. Москва. 1966г. Стр. 54.

[4] ივან ლუკიჩ სოროკინი (1884-1918) – ყუბანელი კაზაკი, მეფის არმიის იასაული და წითელი მეთაური, 1918 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი წითელგვარდიული რაზმების მთავარსარდალი, პირველი ფორმაციის მე-11 წითელი არმიის სარდალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. ეკატერინოდარის საფელდშერო სკოლისა და თბილისის სამხედრო სკოლის პრაპორშიკთა კურსის კურსდამთავრებული. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე ლაბინსკის პოლკის შემადგენლობაში ფელდშერად. შემდეგ საკავალერიო პოლკის იასაული. 1917 წლის დასაწყისიდან, თებერვლის რევოლუციის შემდეგ – ესერთა პარტიის წევრი. 1917 წლის ბოლოს ემხრობა ბოლშევიკებს. 1918 წლის დასაწყისიდან ყუბანის კაზაკთა წითელგვარდიული რაზმის მეთაური. 1918 წლის თებერვალ-აპრილში სამხრეთ-აღმოსავლეთის რევოლუციური არმიის სარდლის თანაშემწე, შემდეგ ყუბანის საბჭოთ რესპუბლიკის ჯარების სარდალი. 1918 წლის აგვისტო-ოქტომბერში ჩრდილოეთ კავკასიის წითელი არმიის სარდალი. 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პირველი ფორმაციის მე-11 წითელი არმიის სარდალი. ბოლშევიკთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებული წითელი ტერორის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირადად დახვრიტა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა, 1918 წლის ოქტომბრში კი, ცარისტ გენერალთა ჯგუფი. მალე გამოდის წითელი არმიის მთავარი სარდლობისა და ბოლშევიკთა ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან და უარს აცხადებს მათი დირექტივეების შესრულებაზე. 1918 წლის ნოემბერში დააპატიმრეს როგორც საბჭოთა ხელისუფლების მოღალატე. დახვრეტილ იქნა წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაურის მიერ.

[5] Н. Е. Какурин, И. И. Вацетис. Под редакцией А. С. Бубнова и др. СПб.: ООО Издательство „Полигон", 2002. – 672 стр. http://militera.lib.ru/h/kakurin_vatsetis/index.html.

ტფილისი. სამხედრო მინისტრს.
სოჭიდან. 03 .09. 1918.

მოგახსენებთ, რომ 1-ლ სექტემბერს ტუაფსეში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბოლშევიკები, რიცხვით 10000-ზე მეტი, თავს დაგვესხნენ 12 ქვემეხით. ტუაფსედან 6 ვერსზე, უღელტეხილზე მე მივიღე ბრძოლა. მოწინააღმდეგის დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო, 2 სექტემბრის დილის 6 საათზე დავცალე ტუაფსე და დავიკავე პოზიციები ტუაფსედან 6 ვერსით სამხრეთით. პოზიციებზე დავტოვე კაზაკები, ჩემი ჯარები კი გავიყვანე სოჭისაკენ დასვენებისა და მატერიალური ნაწილის წესრიგში მოყვანის მიზნით. საქართველოს რესპუბლიკის საჯარისო ნაწილები, რომლებმაც ბრძოლით გაიარეს 500 ვერსი ყოველგვარი შევსებისა და რეზერვის გარეშე, ძლიერ გადაიღალნენ და დაავადმყოფდნენ. უმორჩილესად გთხოვთ, გამომიგზავნოთ დამხმარე ძალები და ორი ახალი ბატარეა. პირადად მე, ავადმყოფობის გამო მოვემგზავრები თქვენთან მოხსენების გასაკეთებლად და ჩემს მაგიერ ვტოვებ გენერალ ვაშაკიძეს. მოწინააღმდეგე, ტუაფსეს დაკავების შემდეგ აქტიური მოქმედებებისაგან თავს იკავებს.

გენერალი მაზნიევი".[1]

გენერალ მაზნიაშვილის სხვა მეთაურით შესაძლო შეცვლას უარყოფითად შეხვდნენ აფხაზთა სახალხო საბჭოში, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს.

,,ტელეგრამა
სოხუმიდან. 180 44 14/7 18 15.
მინისტრ-თავმჯდომარეს
ასლი სამხედრო მინისტრს

გთხოვთ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გენერალი მაზნიევი დატოვოთ შავიზღვისპირეთში. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მისი მუშაობა ძალიან დაფასებულია. ამიტომ მისი იქიდან წასვლა და სხვა ახალი პიროვნების დანიშვნა გაართულებს საქმის ვითარებას, ასევე გააძნელებს ქვეყანაში წესრიგის დამყარებას.

აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე".[2]

გენერალ მაზნიაშვილის ტელეგრამის პასუხად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო სასწრაფოდ გაგზავნილიყო დამატებითი ძალები. ასეთ ძალად სამეგრელოში მოქმედი სახალხო გვარდიის რაზმი შეირჩა. მეორე დღესვე, 4 სექტემბერს, ზუგდიდში შემდეგი შინაარსის ტელეგრამა იგზავნება:

ტელერგამა №22.
ზუგდიდი. 04. 09. 1918. 2 საათი და 10 წუთი.
ამხანაგ ჯუღელს.

,,ტუაფსეს მიმართულებაზე შეცვლილი სამხედრო ვითარების გამო, ნოე ნიკოლოზის ძე საჭიროდ თვლის, თქვენმა რაზმმა სასწრაფოდ დაიწყოს სოჭის ოლქისაკენ გადაადგილება. სამეგრელოსა და სამურზაყანოში დავალების შესასრულებლად კი განსაზღვრულია გედევანოვის რაზმის გაგზავნა. თუ საჭიროდ ჩათვლით, გადაეცით მას თქვენი რაზმის ნაწილი.

მთავრობის თავმჯდომარის მდივანი ცინცაძე".[3]

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 9.
[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 5.
[3] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 10.

§2. პირველი კონტაქტები

სოჭის ფრონტზე კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა. ტამანის არმიის მიერ ქალაქის დატოვების შემდეგ, ტუაფსე ისევ ქართული გარნიზონისა და ქვედანაყოფების ხელში გადმოვიდა. 8 სექტემბერს კი, ტუაფსეს „ტამანის არმიის" მდევნელი „დობროარმიის" მეწინავე ნაწილები მოადგნენ.

სწორედ აქ, ტუაფსესთან ხდება ქართული ქვედანაყოფებისა და „დობროარმიის" მეწინავე ნაწილების კონტაქტში პირველად შესვლა.

მიუხედავად დამატებითი ძალების მობილიზებისა, შექმნილი ვითარების შეფასების, მდგომარეობის გართულებისა და მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, გენერალმა მაზნიაშვილმა ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე პოზიციები დათმო და ჯარები უკან, უფრო მყარ პოზიციებზე, სადგურ ლოოსაკენ დასწია. გენერალი მაზნიაშვილი: „ამგვარად გადავიდა ტუაფსე „დობროარმიის" ხელში. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები გოლოვინსკიდან მდინარე შახის ნაპირებზე. ჩვენს პირდაპირ დაბინავდნენ „დობროვოლცების" ჯარები. მტრული განწყობილება ჯარებს შორის არ იყო. ჩვენი შტაბები სოჭსა და ტუაფსეში შეერთებული იყო ტელეფონით... ჩვენც და ისინიც მორიდებით ვიქცეოდით და მთელი თვის განმავლობაში, რაც ერთად ვიყავით, ჩვენს შორის არავითარი ინციდენტი არ მომხდარა".[1]

ურთიერთდამოკიდებულების გარკვევამდე, „მოხალისეთა არმია" და სოჭის ქართული გარნიზონი მოლოდინის რეჟიმზე გადავიდნენ. ქართული სარდლობის შტაბში „დობროარმიის" მეკავშირე ოფიცერიც, გენერალი ევგენი მასლოვსკი[2] იქნა მოვლინებული.

მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ფაქტია, რომ ერთმანეთის პირისპირ მდგარ არმიებს შორის დაძაბულობა არსებობდა. დღის წესრიგში თავისთავად დადგა დიპლომატიური ჩარევის აუცილებლობა – მხარეებს შორის ურთიერთობები ოფიციალურად უნდა გარკვეულიყო. მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული, გიზო ანჯაფარიძე 1918 წლის 3 სექტემბრით დათარიღებულ ტელეგრამაში საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს ატობინებდა:

„ტელეგრამა. სრულიად საიდუმლო.
სამხედრო მინისტრს.
სოჭიდან. 1918 წლის 3 სექტემბერი

ჩვენი ნაწილების მიერ ტუაფსეს დატოვება ძალიან დიდ გართულებებს გვიქმნის სოჭის ოლქთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ ტუაფსე დავკარგეთ კაზაკების ნებსით თუ უნებლიე ღალატის გამო. მისი ბოლშევიკთა ხელში გადასვლის შემდეგ, იგი გაწმენდილია გენერალ ალექსეევის საკმაოდ ძლიერი ძალების მიერ. მე არ ვიცი როგორი

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 79.

[2] ევგენი ვასილევიჩ მასლოვსკი (1876-1971) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი რუსი გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. კავკასიის არმიის კვარტერმეისტერის სამმართველოს უფროსი. კავკასიის ფრონტის სარდლის, გენერალ ნიკოლაი იუდენიჩის ოპერატიული თანაშემწე, არზრუმის ოპერაციის მონაწილე. 1916 წლიდან ბაქოს 153-ე პოლკის მეთაური. 1917 წლიდან გენერალ-მაიორი და კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტერმეისტერი. დროებითი მთავრობის პერიოდში 39-ე დივიზიის მეთაური. 1918 წლის აპრილიდან თეთრი მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1918 წლის შემოდგომიდან მოხალისეთა არმიის თერგისა და ყუბანის ჯარების სარდლის, გენერალ ლიახოვის შტაბის უფროსი. 1918 წლის ნოემბრიდან მე-3 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1919 წლის მარტიდან სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების თერგისა და ყუბანის ჯარების სარდალი. გიორგის ჯვრის კავალერი.

იქნება ალექსეევთან ჩვენი შემდგომი დამოკიდებულება. გენერალ ალექსეევის წარმომადგენ-ლებთან მოლაპარაკებების გამართვა ვერ მოვახერხე, რადგან ტუაფსეში სწორედ იმ დროს ჩამოვედი, როდესაც მიმდინარეობდა გააფთრებული საარტილერიო და ტყვიამფრქვევების დუელი ჩვენს გამანადგურებლებსა და მოწინააღმდეგეს შორის, რომელთაც უკვე დაეკავებინათ ქალაქის სიმაღლეები. მოვხვდი რა ძლიერი ცეცხლის ქვეშ, ძლივს მოვასწარი დაცხრილული კატერიდან გამანადგურებელზე გადასვლა და სოჭში გამგზავრება.

როგორც აცხადებენ გენერალი ალექსეევი და მასთან ერთად ყუბანის მთავრობა, შავიზღვის გუბერნიას მთლიანად, და მასთან ერთად სოჭს განიხილავენ როგორც ყუბანის ნაწილს. ჩემს ხელთ არსებული ზუსტი მონაცემებით, ნოვოროსიისკში გენერალ ალექსეევის მიერ უკვე დანიშნულია გუბერნატორად პოლკოვნიკი ქუთათოვი...

მხედველობაში იქონიეთ, რომ გენერალ ალექსეევთან დაკავშირებით შეიძლება დიდ გაუგებრობებთან გვქონდეს საქმე, რაც შეიძლება კონფლიქტითაც კი დასრულდეს. ამ საკითხების სწორად გადაჭრაზეა ახლა დამოკიდებული ჩვენი მოქმედებების ტაქტიკა – თუ ვმაგრდებით აქ ისე მყარად, რომ იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი პლატფორმა სოჭის ოლქთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში ჩვენი თავისუფალი ძალები აქეთ უნდა გადმოვისროლოთ, ასევე გერმანელების რამდენიმე ბატალიონი. ხოლო თუ ყურადღების ცენტრი გადაგვაქვს მხოლოდ ჩვენს ისტორიულ საზღვრებზე, მაშინ რაიმე სახის გართულებების შემთხვევაში ნელ-ნელა უნდა მოვახდინოთ ევაკუაცია. ჩემის მხრიდან ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობამ ჩვენი მხარე დაიკავოს და ჩემის აზრით ჩვენ ამას მივაღწევთ...

მე ვრჩები სოჭში. აქ ჩემი ყოფნა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ველოდები სასწრაფო პასუხს.

ეროვნული საბჭოს წევრი ანჯაფარიძე.

P.S. ეს წერილი გადაეცით ი. წერეთელს. მისი არყოფნის შემთხვევაში კი, მთავრობის თავმჯდომარეს. თუ რამეა, გამომიძახეთ პირდაპირ მავთულზე".[1]

თავის მეორე შეტყობინებაში გიზო ანჯაფარიძე მთავრობის თავმჯდომარეს უკვე სოჭის ოლქში არსებული ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ატყობინებდა. ტელეგრამა კი ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

„...ჩემის მხრივ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი მუშაობა პროდუქტიული იყოს, მაგრამ ყველაფრის გაკეთება მე არ შემიძლია, ჩემს ძალებს აღემატება. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდეს ევგენი (აქ ევგენი გეგეჭკორზეა საუბარი – ა. ჩ.). ასევე, ჯუღელის რაზმი ყოველგვარი შეფერხების გარეშე, დაუყოვნელბლივ უნდა დაიძრას აქეთკენ. თითოეულ დღესა აქვს მნიშვნელობა".

ეროვნული საბჭოს წევრი ანჯაფარიძე".[2]

სწორად აფასებდა სოჭის ოლქში შექმნილ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ანჯაფარიძე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საკითხს და ისიც სწორად შეაფასა, რომ მხოლოდ იგი შექმნილ პრობლემებს ვერ მოაგვარებდა – საჭირო იყო უფრო გამოცდილი პოლიტიკოსის ჩასვლა სოჭში.

გიზო ანჯაფარიძის სწორედ ამ მოთხოვნის საფუძველზე გადაწყდა სოჭში სასწრაფოდ გამგზავრებულიყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგენი გეგეჭკორი და ამასთან ერთად გაგზავნილიყო სახალხო გვარდიის დამატებითი რაზმები,

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 8.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 5.

რაც ზემოთ ხსენებულ დოკუმენტში (მთავრობის თავმჯდომარის მდივნის, ცინცაძის №22 ტელერგამა ვალიკო ჯუღელს) იყო ნაჩვენები.

გარდა სამეგრელოში მოქმედი გვარდიის რაზმისა, სოჭის ოლქში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის საბოლოოდ გარკვევამდე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტუაფსეში დამატებით გაგზავნილიყო თბილისის გვარდიელთა რაზმი, მთავარი შტაბის წევრის, ალექსანდრე მაისურაძის საერთო მეთაურობით.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმი.
ნომრის გარეშე. 1918 წლის 10 სექტემბერი.

„ესწრებოდნენ: მაისურაძე, საღირაშვილი, აუშტროვი, შენგელია, ორაგველიძე, გლახოიანი, ქარცივაზე, რაიონული წარმომადგენლებიდან: სადგური, ერთობის-უბანი, ვერა, რკინიგზა, ორთაჭალა, მუსულმანთა ბიურო და ავლაბარი.

მოისმინეს: ამხ. მაისურაძის მოხსენება სამეგრლოსა და სოხუმის ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ. ჩვენმა ჩასვლამ დიდი მორალური ზეგავლენა იქონია მეგრელ მოსახლეობაზე. მოსახლეობამ სრული მორჩილება გამოგვიცხადა და დაიწყო იარაღის ჩაბარება. ოპერაციის დასაწყისში ჩვენ მივიღეთ მთავრობის განკარგულება დაუყოვნებლივ დავძრულიყავით მაზნიევის დასახმარებლად სოხუმისა და ტუაფსეს მიმართულებით მთავარი ძალებით. საველე შტაბმა იმსჯელა რა შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ბრძანების შესრულების მიზნით დაადგინა დამატებით მოხდეს 300-400 სახალხო გვარდიელის მობილიზება და დავიძრათ სოხუმის ფრონტზე.

დაადგინეს – მოხდეს მობილიზაცია:
გორის მაზრაში – 150 კაცი;
კახეთში – 60 კაცი;
ტიფლისში – 150 კაცი;
ნაძალადევში – 40;
სადგურში – 20;
ერთობის-უბანში – 20;
ავლაბარში – (არ არის ნაჩვენები – ა. ჩ.);
რკინიგზაში – 20;
ნავთლუღში – 10;
კახეთში – (არ არის ნაჩვენები – ა. ჩ.);
მუსულმანთა ბიუროშო – 11 კაცი;
ვერაზე – 15 კაცი;"[1]

1918 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, ანჯაფარიძის მოთხოვნის შესაბამისად, სოჭში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ევგენი გეგეჭკორი ჩადის. შეისწავლა და შეაფასა რა, სოჭში არსებული საერთო პოლიტიკური სიტუაცია, 15 სექტემბერს იგი ნოე ჟორდანიას შემდეგი შინაარსის ტელეგრამას უგზავნის:

„ადგილობრივი სოციალისტური ტიპის პარტიები შესაძლებლად და აუცილებლად მიიჩნევენ სოჭის ოლქის საქართველოსთან ოფიციალურად მიერთებას. ჩვენის მხრიდან უპატიებელი შეცდომა იყო დაშვებული, რომ არ ვისარგებლეთ ხელსაყრელი კონიუნქ-ტურით, როდესაც ოლქის მთელი მოსახლეობა ჩვენს ჯარებს აღტაცებული ხვდებოდა.

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (7-8).

მოცემულ მომენტში ჩვენდამი დამოკიდებულება უარესისაკენ შეიცვალა... ჩემი ღრმა რწმენით, უნდა ვისარგებლოთ ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი კოზირით – ადგილობრივი სოციალ-დემოკრატებისა და ესერების ჩვენდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით და გამოვაცხადოთ დეკრეტით ოლქის მიერთება. დანაშაული იქნება თუ ამ მომენტსაც გავუშვებთ ხელიდან. ოლქის შემოერთება ალექსეევის მოხალისეთა არმიის სარდლობას ფაქტის წინაშე დააყენებს...

მოვალედ ვთვლი ჩემს თავს და ვაცხადებ, რომ თუ არ მივიღებთ მთელ რიგ ენერგიულ ზომებს სოჭის ოლქის მოწყობის შესახებ, შეიძლება ის დავკარგოთ...

ცნობის სახით გატყობინებთ გენერალ დენიკინის მიერ ხელმოწერილი ბრძანების პირველ პუნქტს: „რუსული სახელმწიფოს შეერთებისა და მისი უმაღლესი ხელისუფ-ლების შექმნამდე შავიზღვის გუბერნია უმაღლეს მართვაში ემორჩილება მოხალისეთა არმიის სარდლობას".[1]

19 სექტემბერს გეგეჭკორი სოჭიდან მეორე ტელეგრამას უგზავნის მთავრობის თავმჯდომარეს.

ტელეგრამა №147.

მთავრობის თავმჯდომარეს. სოჭის შტაბიდან. 19. 09. 1918 წელი.

„გენერალ ალექსეევის სახელზე გენერალ ვაშაკიძის მიერ გაგზავნილ მოთხოვნაზე, მოხალისეთა არმიის შტაბის მიერ დაყენებული ხელისუფლების გაუქმების შესახებ, პასუხად გენერალ ალექსეევისაგან დღეს მიღებულია შემდეგი შინაარსის ტელეგრამა:

„მოხალისეთა არმია წარმოადგენს მის მიერ შავიზღვისპირეთის გუბერნიაში დაკავებული ტერიტორიების უმაღლეს განმკარგველს.... მოხალისეთა არმიის ხელმძღვა-ნელობასთან შეგიძლიათ მოლაპარაკებების წარმოება, მაგრამ თქვენი ხელისუფლება დაუყოვნებლივ უნდა მოაშოროთ. ორი პატრონის არსებობა დაუშვებელია. მოთხოვნის არშესრულების შემთხვევაში მე მომიწევს რადიკალურად უარყოფითისაკენ შევცვალო საკითხთან დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში".

გენერალ ალქსეევს ჩვენის მხრიდან უკვე გაეგზავნა ტელეგრამა მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, ველოდებით პასუხს. მაფიქრებს გენერალ ალექსეევის მიერ ყუბანის მთავრობის მომეტებული იგნორირება. შევეცდები შევიდე მასთან კონტაქტში. 20-ში გამოვდივარ საერთო მოხსენებით. დარწმუნებული ვარ, რომ მივაღწევთ შესაბამისი რეზოლუციის მიღებას. ადგილობრივი პრესა აქვეყნებს შეერთების თანამგრძნობ სტატიებს".

გეგეჭკორი".[2]

როგორც ვხედავთ, გენერალ ალექსეევის მიერ, ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე, სოჭის ოლქი „მოხალისეთა არმიის სარდლობის მორჩილებაში" იქნა გამოცხადებული. ამ მდგომარეობამ შესაბამისი გავლენა იქონია პოლიტიკური მოვლენების შემდგომ განვითარებასა და ქართული მხარის მიერ შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებაზე. პროცესები დაჩქარდა. სექტემბრის შუა რიცხვებში სოჭში სახალხო გვარდიის სამეგრელოსა და თბილისის რაზმები ჩადიან გენერალ ალექსანდრე ქონიაშვილის საერთო მეთაურობით, ასევე – სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები, ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე, ალექსანდრე მაისურაძე და იაკობ ხარაში. 20 სექტემბერს ისინი გიზო ანჯაფარიძეს, ევგენი გეგეჭკორსა და გენერალ მაზნიაშვილს ხვდებიან...

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 756. სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 26, ფურცელი 38-40.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 15.

იმავე დღეს, 1918 წლის 20 სექტემბერს, შექმნილი დაძაბულობისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების, თეთრგვარდიელთა მხრიდან მომდინარე საფრთხისა და სოჭის ოლქის მოსახლეობაზე მოსალოდნელი ძალმომრეობის აღკვეთის მიზნით, სოჭის მოქალაქეთა საერთო კრებამ, რომელიც მოწვეულ იქნა სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოების, მუშათა კავშირისა და ქალაქის სათათბიროს ხმოსნების ინიციატივით, მიიღო გადაწყვეტილება სოჭის ოკრუგის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დროებითი მიერთების შესახებ.[1]

მიღებული რეზოლუცია ოთხი პუნქტისაგან შედგებოდა:

1. ყოფილი რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი, სადაც არა მარტო სისხლის ფასადაა მოპოვებული, არამედ კანონებითაცაა განმტკიცებული დემოკრატიული წყობილება – არის საქართველოს რესპუბლიკა;

2. ისახავს რა მიზნად რუსეთის ცალკეული ნაწილების ერთ და ძლიერ დემოკრატიულ რესპუბლიკად შეერთებას, დემოკრატია ყოვლმხრივ უნდა ეცადოს ხალხის უფლებების გამყარებას;

3. თვლის რა საჭიროდ და გადაუდებლად ყუბანის ოლქთან საქონელბრუნვის სწორად ჩამოყალიბებას, ვთვლით რომ სოჭის ოლქის ყუბანთან შეერთებით ოლქის მოსახლეობაზე გავრცელდება სამხედრო დიქტატურის გავლენა, რაც მოსახლეობას წაართმევს დემოკრატიის ყველა უფლებას;

4. ოლქის ცხოვრების განვითარება ფაქტობრივი თავისუფლების არსებობით, სახალხო მმართველობის უფლებით, მიწის რეფორმის გატარებით, თვითმმართველობის დემოკრატიული ფორმების დაწესებით, კლასთა ბრძოლის კულტურული ფორმების შემოღებით, შესაძლებელია მხოლოდ ოლქის საქართველოს დემოკრტიულ რესპუბლიკასთან შეერთებით.

მოქალაქეთა ხსენებული კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მოსახლეობა გამოთქვამს სურვილს, რომ საქრთველოს მთავრობამ გააფორმოს სოჭის ოლქის საქართველოს რესპუბლიკასთან დროებითი შეერთება.

1918 წლის 20 სექტემბერი. ქ. სოჭი.

კრების თავმჯდომარე პიოტრ იზმაილოვი".[2]

სოჭის მოსახლეობის წარმომადგენელთა საერთო კრებაზე მიღებული ეს აქტი იყო „დროებითი ზომა" სოჭისა და მისი რაიონის მოსახლეობის ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელების მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან დასაცავად. ამ ქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვა გენერალ ალექსეევისა და „დობროარმიის" სარდლობის მწვავე პროტესტი. მათ ქართული ჯარებისაგან არა მარტო სოჭის, არამედ სოხუმის ოლქის დაცლაც მოითხოვეს...

მიუხედავად იმისა, რომ სოჭში გვარდიის დამატებითი რაზმი იქნა შეყვანილი, ამ მომენტისათვის ქართული გარნიზონის მდგომარეობა მაინც სავალალო იყო. პირადი შემადგენლობის რაოდენობა არ იყო იმისათვის საკმარისი, რომ ისეთ მძლავრ სამხედრო ორგანიზაციას აღდგომოდა წინ, როგორიც გენერალ ალექსეევის მოხალისეთა არმია იყო. გენერალ მაზნიაშვილის რაზმი უკვე დატოვებული ჰქონდა ადგილობრივი აფხაზი მოსახლეობისა და აფხაზური კავალერიის გარკვეულ ნაწილს, რომლებიც თავიანთ სახლკარს დაუბრუნდნენ, ხოლო კაზაკები მოხალისეთა არმიას შეუერთდნენ. მაზნიაშვილის შენაერთის კუთვნილი ჯავშანმატარებელი მოხალისეებს გადაეცა, საბრძოლო აღჭურვილობაც არასაკმარისი იყო, არტილერიაც შევსებას მოითხოვდა. მთავარი კი ის

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან (ნაკვეთი II 1917-1993). ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. თბილისი, 2007. გვ. 20.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 17.

იყო, რომ ქართული გარნიზონის პირადი შემადგენლობა ხანგრძლივი შეუჩერებელი საბრძოლო მარშისა და ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების გამო ძალიან გადაღლილი იყო. მოხალისეთა არმიის აგრესიულმა გეგმებმა ისიც ცხადყო, რომ არსებული ძალებით შეუძლებელი იქნებოდა მოსალოდნელი აგრესიის აღკვეთა. საჭირო იყო დამატებითი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინაშე ნათლად იკვეთებოდა ის სურათი, რომ გამორიცხული არ იყო ახალი ქართულ-რუსული შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია.

„ტელეგრამა №409. (თარიღის გარეშე)
სოჭის შტაბიდან.
ტიფლისი

მთავრობის თავმჯდომარეს.
ასლი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს,
ასლი სამხედრო მინისტრს.

შტაბის გადაწყვეტილებით, რომლის სხდომას ესწრებოდნენ ისიდორე რამიშვილი, გერასიმე მახარაძე, ბენია ჩხიკვიშვილი და გიზო ანჯაფარიძე, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოაგზავნოთ სოჭში 500 ხიშტი და ერთი სამთო ბატარეა.

გენერალი კონიევი;
ვლადიმერ ჯუღელი;
ალ. დგებუაძე;"[1]

შტაბის ამ მოთხოვნას რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

1918 წლის 25 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნოე რამიშვილმა[2] მოისმინა რა მოხსენება საქართველოს მაზრებად დაყოფის პროექტზე, წინადადება შეიტანა საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებული სოჭის ოლქის შემადგენლობაში ჩართულიყო „გაგრის სანაპირო ზოლი".[3] თავად სოჭის ოლქში კი, მიუხედავად აგვისტოში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისა, 1919 წლის დასაწყისისათვის დაიგეგმა ახალი საერობო არჩევნების ჩატარებაც.[4]

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, საქმე 21.

[2] ნოე რამიშვილი (1881-1930) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი, პოლიტიკოსი, რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, მენშევიკი, პროფესიით იურისტი. რსდმპ წევრი 1902 წლიდან. 1908-1909 წლებში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წევრი. 1917 წლის დასაწყისში რუსეთის დროებითი საბჭოს წევრი. 1918 წლის 22 აპრილიდან ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, 1918 წლის 26 მაისიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი და მისი პირველი თავმჯდომარე. 1918 წლის 24 ივნისიდან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და პარალელურად განათლების მინისტრი. 1919 წლის გაზაფხულიდან წლის ბოლომდე ითავსებდა აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანამდებობას. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1920 წლის დასაწყისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი, შემდეგ კი რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია. ბოლშევიკების დავალებით მოკლულ იქნა პარიზში 1930 წელს, ქართველი ემიგრანტის მიერ.

[3] სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 628, ფურცელი 17.

[4] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 757. სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 900, ფურცელი 25-27.

§3. ერთიანი და განუყოფელი...

თავდაპირველად საქართველოს მთავრობა და ქართული სარდლობა დენიკინელებს როგორც ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ძალას, როგორც თავის ბუნებრივ მოკავშირეებს, ისე განიხილავდა. თუმცა, ძალიან მალე გაცხადდა „დობროარმიელთა" ნამდვილი პოლიტიკური მიზნები და სტრატეგია ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოფილ გუბერნიებთან, და ცხადია, მთლიანად საქართველოსთან მიმართებაშიც. „დობროარმიის" პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის საქართველოს, ქართული სახელმწიფოს მომავალი თავიდანვე „ერთიანი და განუყოფელი დიდი რუსეთის" შემადგენლობაში მოიაზრებოდა.

1918 წლის 23 სექტემბერს მოხალისეთა არმიის მეწინავე ნაწილებმა ლაზარევსკაია დაიკავეს. მათ პირისპირ ქართული მხარის ლომთათიძისა და ციტაიშვილის გვარდიული ქვედანაყოფები განლაგდნენ. გამყოფ ხაზად მდინარე ჩუხუტკი დადგინდა. ყველაფერთან ერთად, ეს დღე ერთობ უიღბლო აღმოჩნდა ქართული გარნიზონისათვის. ღამით დაწყებული დიდი შტორმის შედეგად ქართულმა მხარემ მის ხელთ არსებული მცურავი საშუალებების დიდი ნაწილი დაკარგა, ხოლო „წმ. მიხეილი" ნაპირზე იქნა გამორიყული.[1]

სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობები პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით უნდა დარეგულირებულიყო. პოზიციები უნდა შეჯერებულიყო და საბოლოოდ გარკვეულიყო თუ რისი იმედი უნდა ჰქონოდა ქართულ მზარეს, რამდენად რეალური იყო ყუბანის მთავრობის მიერ დაპირებული პურისა და ნავთობის საქართველოში შემოტანა.

თავდაპირველად მოხალისეებთან და ყუბანის მთავრობასთან შეხვედრაზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელად საქართველოს მთავრობის რწმუნებული, გიზო ანჯაფარიძე მოიაზრებოდა, შეხვედრის ადგილად კი – ტუაფსე.[2] ჯერ კიდევ 28 აგვისტოს ნოე ჟორდანია გიზო ანჯაფარიძეს წერდა:

„გეძლევათ წინადადება დაუყოვნებლივ გაემგზავროთ ტუაფსეში და გენერალ მაზნიევთან ერთად პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებში მიიღოთ მონაწილეობა ყუბანის ოლქის წარმომადგენლებთან. ამასთან, აუცილებელია ჯერ ჩატარდეს აფხაზთა სახალხო საბჭოს არჩევნები და ერობის არჩევნები. ფულს და სამხედრო სამოსელს გიგზავნით. მთავრობამ გადაწყვიტა გამოუყოს აფხაზთა სახალხო საბჭოს ნახევარი მილიონის ღირებულების საქონელი დაუყოვნებლივ. გამოგზავნეთ მიმღები. ჩხოტუას მანდატზე რწმუნება ახალი საბჭოს მიერ გაცემულია თუ არა. ტფილისის გვარდია მოემართება სამეგრელოსაკენ საქმეების ლიკვიდაციისათვის, იქიდან კი, კოდორის გავლით ჩამოვა ტუაფსეში. ფქვილი უნდა იშოვოთ, ეს გაითვალისწინეთ.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

28. 08. 1918".[3]

გენერალმა ალექსეევმა არ ინება შეხვედრის ტუაფსეში გამართვა და კონფერენციის ადგილად ეკატერინოდარი დაასახელა. ქართულმა მხარემ დააკმაყოფილა გენერლის პატივმოყვარეობა და იგი კონფერენციის ტუაფსეში გამართვას დათანხმდა, მაგრამ ქართული დელეგაციის შემადგენლობამ ცვლილება განიცადა. გენერალ ალექსეევის არმიის

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 78.

[2] სცსსა. საქმე 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 13.

[3] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 6.

მოახლოებისა და სოჭში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სიტუაციის საერთო კონტროლის მიზნით, მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული, გიზო ანჯაფარიძე სოჭში დარჩენილიყო, ხოლო მოხალისეებთან მოლაპარაკებები ევგენი გეგეჭკორსა და გენერალ მაზნიაშვილს ეწარმოებინათ. 1918 წლის 12 სექტემბერს მთავრობის თავმჯდომარისაგან სოჭში შემდეგი შინაარსის ტელეგრამა იგზავნება:

ტელეგრამა №26. სოჭი.
გიზო ანჯაფარიძეს.

ევგენი გეგეჭკორი უკვე გამოემგზავრა სოჭისაკენ ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. ჩააყენეთ ამის შესახებ საქმის კურსში ყუბანის მთავრობა და შეათანხმეთ შეხვედრის დრო და ადგილი. სასურველია რაც შეიძლება ჩქარა. შეხვედრისათვის საუკეთესო ადგილად ვთვლით ტუაფსეს.

მთავრობის თავმჯდომარის პირადი მდივანი ცინცაძე.

დედანთან სწორია: მიქაბერიძე.

1918 წლის 12 სექტემბერი".[1]

სოჭიდან ეკატერინოდარისაკენ გეგეჭკორი და გენერალი მაზნიაშვილი ნოვოროსიისკის გავლით 22 სექტემბრის დილის 9 საათზე გავიდნენ.[2]

საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობათა დარეგულირების, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების, და რაც მთავარია, საზღვრების დადგენის მიზნით, 1918 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოდარში შედგა ორრაუნდიანი შეხვედრა, ერთის მხრივ, საქართველოს დელეგაციასა (ე. გეგეჭკორი და გენერალი გ. მაზნიაშვილი) და მეორეს მხრივ „მოხალისეთა არმიისა" (გენერლები: ალექსეევი, დენიკინი, შულგინი, სტეპანოვი, რომანოვსკი, დრაგომიროვი, ლუკომსკი.) და ე.წ. „ყუბანის სახალხო მთავრობის" (ნ. ვორობიოვი, ლ. ბიჩი) წარმომადგენლებს შორის. როგორც ვხედავთ, ორკაციან ქართულ დელეგაციას „თეთრების" ერთობ წარმომადგენლობითი ჯგუფი დაუპირისპირდა – ალექსეევის „დობროარმიის" ცხრა გენერალი და ე.წ. „ყუბანის სახალხო მთავრობის" ორი წევრი.

მუშაობის პროცესში, საკუთარი პოზიციების წარმოჩენისა და შეჯერების მიზნით დელეგაციები უამრავ საკითხს შეეხნენ. მთავარი, რა თქმა უნდა, სოჭის ოლქის სახელმწიფოებრივ კუთვნილებას ეხებოდა. ამ საკითხის შესახებ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. სხვა საკითხებთან მიმართებაშიც ქართული დელეგაციის დამოკიდებულება სკეპტიკური იყო. გეგეჭკორმაც და მაზნიაშვილმაც კარგად უწყოდნენ, რომ მოხალისეთა ლიდერების პოზიციები შეუვალი იქნებოდა. თათბირზე ე. გეგეჭკორი გენერალ ალექსეევს უმტკიცებდა, რომ საქართველოს მთავრობა პატივისცემით ეპყრობოდა მის მიერ წამოწყებულ ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომ კომუნისტები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ალექსეევთან და დენიკინთან კავშირსაც აბრალებდნენ, რომ, მართლაც, ალექსეევიც და ჩვენც „სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო ამჟამად ვურტყამთ ერთ წერტილში, რომელიც მოცემულ მომენტში ჩვენსა და თქვენს მტრულ ძალას წარმოადგენსო".[3]

კონფერენციის მუშაობის მეორე დღეს ევგენი გეგეჭკორმა ერთობ მნიშვნელოვანი საკითხი წამოსწია წინ. მან მოცემულ ფორმატში მუშაობის გაგრძელების, რუსული დელეგაციის რწმუნებებისა და კომპეტენტურობის საკითხი დასვა. უფრო მეტიც, ქართული

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 13.
[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 17.
[3] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси. 1919. Стр. 400.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, „დობროარმიის", როგორც ორგანიზაციის ლეგიტიმურობის საკითხიც დააყენა ეჭვს ქვეშ.

„– მე განვაცხადე, რომ სოჭის ოლქი ჩვენ გვიჭირავს დროებით, რომ მის საბოლოო ბედზე ლაპარაკი გვექნება სხვა, უფრო კომპეტენტურ კრებაზე, რადგან აქ, ამ კრებაზე, სრულიად დაუშვებელია ერების ბედ-იღბლის გადაწყვეტა, ამისათვის დავალება ჩვენთვის არავის მოუცია და არა გვაქვს ამის უფლება. ყოველგვარი ურთიერთობა აქ ეწყობა დროებით, რადგან თვით „დობროარმიის" ორგანიზაციაც არის მაინც დროებითი ორგანიზაცია. სოჭის ოლქიც ჩვენ დავიჭირეთ დროებით, „დობროარმიას" ხომ უჭირავს, როგორც თქვენ თვითონ განაცხადეთ გუშინ, ომის უფლებით სტავროპოლის გუბერნია და ყუბანი. „დობროარმია" ჯერ-ჯერობით არის კერძო ორგანიზაცია და არა საზოგადო-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია".[1]

ქართული მხარის მიერ საკითხის ასეთმა დასმამ მდგომარეობიდან გამოიყვანა მოხალისეთა ლიდერი, გენერალი ალექსეევი, და მან შეჰყვირა – „მაგრამ ის იქნება საზოგადო-სახელმწიფოებრივი!.."[2]

რუსული დელეგაცია ჩიხში შევიდა, ცხადი გახდა, რომ დელეგაციათა სტატუსებსა და ხედვებში ფუნდამენტალური განსხვავებები არსებობდა და მათი გადაჭრა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე მაინც, ვერ ხერხდებოდა. რუსულმა დელეგაციამ მოლაპარაკებათა პროცესი შეწყვიტა, მისმა ხელმძღვანელმა, გენერალმა ალექსეევმა კი, სხდომა ამ სიტყვებით დახურა:

„ჩვენი და საქართველოს თვალსაზრისი ერთმანეთში ისე დიდად განსხვავდება, რომ ისპობა ყოველი შესაძლებლობა განვიხილოთ დანარჩენი საკითხები. რადგან სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა არ გადაწყდა და ერთმანეთს აქ არ დავუთმეთ, საჭირო აღარაა შევუდგეთ სავაჭრო-სამრეწველო საკითხების განხილვას... ძალიან მეძნელება ყველა ამის თქმა, მაგრამ ვაცხადებ რომ რადგან მთავარი საკითხის შესახებ ვერ გამოვიტანეთ დადებითი გადაწყვეტილება, სხდომას დახურულად ვაცხადებ".[3]

მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა ვერც ერთ საკითხში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი „მოხალისეთა არმიისათვის" შედგომოდა „ქართველი დამპყრობლებისაგან" აფხაზეთის „განთავისუფლების" გეგმის რეალიზაციას.[4]

საქართველოს დელეგაციასთან ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ, დენიკინელთა მიერ დაუყოვნებლივ გადაიკეტა საკომუნიკაციო ხაზები სოჭთან და სურსათის მიწოდებაც ქალაქისათვის შეწყდა. იმავდროულად, დენიკინის აგენტურამ მოსახლეობაში ფართო სააგიტაციო სამუშაოები გააჩაღა მოხალისეთა არმიისათვის მათი მხრიდან თანაგრძნობის თაობაზე. [5]

გენერალი დენიკინი:

„ქართველთა მიერ ძალით მიტაცებულ სოჭისა და სოხუმის ოლქებში აბორიგენთა და რუსული ელემენტის უუფლებო მდგომარეობა, ქართული ხელისუფლების მიერ მათი ჩაგვრა, უკიდურესი „გრუზინიზაცია" და გამაკოტრებელი ეკონომიკური პოლიტიკა, იმ

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси. 1919. Стр. 406.

[2] იქვე.

[3] დასახელებულ დოკუმენტთა კრებული. გვ. 408.

[4] А. Ментешашвили. Исторические предпосилки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси. 1998. Стр. 26-27.

[5] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Часть 1 . „Сочи: страницы прошлого и настоящего". Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

უკმაყოფილებასა და მღელვარებებს ქმნიდნენ, რაც ყოველ წამს შეიძლება გადაზრდილიყო აჯანყებაში.

ქართველთა მიერ მიტაცებულის პრინციპულად არაღიარების ფონზე, მოხალისეთა ხელისუფლება არ შეიძლება გულგრილი დარჩენილიყო იმ ანგარიშსწორებების მიმართ, რასაც რუსული, სომხური, აფხაზური მოსახლეობა განიცდიდა... გულგრილი ვერ დავრჩებოდით იმ მუდმივი საჩივრებისა და მოწოდებების მიმართ, რაც იქიდან ისმოდა. არ შეგვეძლო დავპირისპირებოდით რუსეთის ერთიანობის იდეას და იმ ელემენტების დაცვის ტრადიციას, რომლებიც რუსეთისაკენ ლტოლვას განიცდიდნენ. ამ დაპირისპირებაში ჩვენ უნებურად და გარდაუვლად ვერთვებოდით არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოსაზ-რებებით, არამედ ამ საკითხის გარშემო არსებული ერთიანი საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე"...[1]

დიახ, არა ერები და ხალხები, არა ეროვნებები და ადამიანები, არამედ უბრალოდ – ელემენტები. დიახ, ასე ნათლავდნენ და ასე აღიქვამდნენ გენერალი დენიკინი და სხვა რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეები ყოფილი ცარისტული იმპერიის ტერიტორიებზე მცხოვრებ რუსთაგან განსხვავებულ ეთნოსებს, ე.წ. „Нацмен"-ებს უკვე მაშინ, XX საუკუნის დასაწყისში. დიახ, ისევ ის სიყალბე და ცინიზმი, ისევ ის ყბადაღებული რუსული „მესიანიზმი" და მცირე ერების შველა-გადარჩენის „ტრადიცია", კავკასიელ ხალხებთან მიმართებაში არსებული რუსული ჰუმანიზმის ის სამოცდაათწლიანი „ტრადიცია", რამაც „მუჰაჯირობა", საკუთარი მიწა-წყლიდან ხალხების იძულებითი გადასახლება და მხარის გაჩანაგება გამოიწვია. დიახ, გენერლები ალექსეევი და დენიკინი თავიანთი სახელოვანი წინამორბედების, XIX საუკუნეში „მოღვაწე" გენერალ ერმოლოვისა[2] და ფელდმარშალ ბარიატინსკის[3] (კიდევ ერთი მანქურთი ეთნიკური ქართველი) ღირსეულ მემკვიდრეებად მოევლინნენ კავკასიას 1918 წელს.

და მაინც, რა მოწოდებებზეა აქ საუბარი? ვინ შესთხოვდა „ჰუმანისტ" რუს გენერალს ქართველებისაგან შველას და დახმარების გაწევას? ვისი ღაღადი ისმოდა აფხაზეთის მიწიდან?

ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ პროფესორ პაპასქირის ნაშრომიდან მოვიყვანთ ამონარიდს, სადაც სრულადაა გახსნილი თითიდან გამოწოვილი მთელი ამ პოლიტიკური სპექტაკლის არსი. ზურაბ პაპასქირი: „ის, რომ აფხაზი ხალხის ე.წ. „ოფიციალური

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 123.

[2] ალექსეი პეტროვიჩ ერმოლოვი (1777-1861) – რუსი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი 1818 წლიდან და არტილერიის გენერალი 1837 წლიდან. რუსეთის იმპერიის მიერ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოებული ექსპანსიონისტური ომების აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც რუსეთის იმპერია აწარმოებდა მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში, 1790-დან 1820-იან წლებამდე. მრავალწლიანი კავკასიური ომის პირველი ეტაპის (1827 წლამდე) მთავარსარდალი, ცნობილი თავისი იმპერიულ-შოვინისტური მსოფლმხედველობითა და ბრძოლების წარმოების სასტიკი მეთოდებით. „კავკასიური ზღუდის" შექმნის ავტორი.

[3] ალექსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკი (1815-1879) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1856 წლიდან ცალკეული კავკასიური კორპუსის სარდალი და იმპერატორის ნაცვალი კავკასიაში. ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებულ დაპყრობითი ომის მეორე ეტაპს და კავკასიელი ხალხების (მათ შორის აფხაზების) მიერ წარმოებული მრავალწლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ჩახშობას. ექსპანსიის მეთოდური სტრატეგიის გამოყენებით 1859 წელს საბოლოოდ გატეხა კავკასიის მთიელ ხალხთა წინააღმდეგობა და ტყვედ აიყვანა იმამი შამილი, რაც ფორმალურად ითვლება რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობითი ომის დასრულებად. სწორედ ამ პროცესებს მოჰყვა „მუჰაჯირობა", რუსეთის იმპერიის სისხლიანი ოკუპაციისა და რეპრესიების თავიდან ასაცილებლად კავკასიის ხალხთა მიერ სამშობლოს იძულებით დატოვება და მათი მასობრივი განდევნა ოსმალეთის იმპერიაში.

წარმომადგენლები" არ სარგებლობდნენ აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მხარდაჭერით, ნათლად ჩანს სტატიიდან „Июда Абхазии", რომელიც 1919 წლის 21 ივნისს გამოაქვეყნა სოხუმში გამომავალმა გაზეთმა „Наше Слово"-მ. აღსანიშნავია, რომ ამ გაზეთის რედაქტორი არა ვინმე სხვა, არამედ თვით აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, დიმიტრი გულია იყო. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ „Представитель Абхазии являвшийся к Деникину с настойчивыми просьбами о занятии Абхазии деникинскими войсками, предатель Абхазии обнаружен! Это Александр Шервашидзе, тот самый, который в свое время старался о высадке турецкого десанта в Абхазии, это тот самый российский „патриот", который хотел отдать туркам бывшую часть России. Вот чьим именем оправдывал Деникин перед Европой свой разбойничий набег на Грузию и Абхазию".[1]

დიახ, პროთურქულმა ძალებმა, რენეგატი თავადის, ალექსანდრე შარვაშიძის სახით, მსწრაფლ განიცადეს იდეოლოგიური მეტამორფოზა, მოერგნენ ახლადშექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და უმალ პრორუსულ და პროდენიკინურ პოზიციებზე გადავიდნენ. სწორედ ამიტომ უწოდა დიმიტრი გულიამ ალექსანდრე შარვაშიძეს სამშობლოს მოღალატე და „აფხაზეთის იუდა". იგივე ფაქტს ადასტურებენ სხვა საარქივო წყაროებიც. აფხაზეთის თავადებმა და მსხვილმა მემამულეებმა – ჩიკაშუამ, შერვაშიძემ, მღვდელმა თუმანოვმა, აშხაცავამ და სხვ. „აფხაზი ხალხის სახელით" დენიკინს მიმართეს საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. აფხაზი კონტრრევოლუციონერები მოითხოვდნენ აფხაზეთში ჯარების შეყვანას. აფხაზ კონტრრევოლუციონერთა ამ თხოვნას დენიკინი გამოეხმაურა და ინგლისელთა სარდლობასთან გამართა მოლაპარაკება აფხაზეთის სამხრეთ რუსეთის კავშირის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.[2]

ალექსანდრე შარვაშიძისა და აფხაზი ხალხის სხვა გამყიდველების მიერ გენერალ ალექსეევისადმი თხოვნით მიმართვის შესახებ ქართული მხარისათვის იმთავითვე გახდა ცნობილი. ამის შესახებ ევგენი გეგეჭკორმა ჯერ კიდევ ეკატერინოდარის შეხვედრამდე, 1918 წლის 15 სექტემბერს აცნობა საქართველოს მთავრობას: „Алексееву послана делегация абхазцев с заявлением, что грузинское правительство насилует их волю, они же всей душой с Россией".[3]

თავისი არსით კი, სიტუაცია ძალიან მარტივი და პროზაულია. აქ არავითარ ეროვნულ და პოლიტიკურ პროცესებთან არა გვაქვს საქმე. „იუდა შარვაშიძისა" და მისი თანამოაზრეებისათვის მთავარი საკუთარი სოციალური სტატუსისა და კეთილდღეობის შენარჩუნება იყო და არა ეროვნული იდეალი – აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა, როგორც ამის წარმოჩენას დღეს ცდილობს ზოგიერთი აფხაზი თუ რუსი ვაი-მეცნიერი. ალექსანდრე შარვაშიძე, ეს მანქურთი აფხაზი, საკუთარი მდგომარეობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით, ყოველთვის დომინანტი სამხედრო-პოლიტიკური მოთამაშისა და გამარჯვებულის მხარეზე დადგომას ცდილობდა, რაც მისი მოქმედებების ტაქტიკასაც განსაზღვრავდა. მან ჯერ ოსმალური დესანტის

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ. 42.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 476. სსრკ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივი. ფონდი 446, საქმე 40, ფურცელი 2-3.

[3] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007. გვ. 27

ტრიუკი გაითამაშა და მზად იყო საკუთარი სამშობლო ამირკავკასიის დომინანტი ძალის, ოსმალთათვის დაეთმო, ახლა კი, ახალ დომინანტ ძალას, გენერალ ალექსეევს თხოვდა შველას და ეფიცებოდა ერთგულებას. ყოველივე ეს კი, აფხაზეთის მითიური „უკიდურესი გრუზუნიზაციის" საფრთხით იყო ახსნილი.

გავუსწრებთ მოვლენებს წინ და მეორე თურქოფილ აფხაზ თავადთან, ტატაშ მარშანიასთან დაკავშირებით ვიტყვით, რომ საბოლოოდ, ალექსანდრე შარვაშიძისაგან განსხვავებით, იგი ეროვნულ და პატრიოტულ პოზიციებზე დარჩა, აფხაზი და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი პიზიციები გაითვალისწინა და საქართველოს მთავრობას შემოურიგდა. იგი ეროვნულ პოზიციებზე დადგა და დიდსულოვნად აპატია ვალიკო ჯუღელს მიყენებული დიდი შეურაცხყოფა. ეს შეხვედრა მარშანიასა და ვალიკო ჯუღელს შორის 1919 წლის 2 დეკემბერს შედგა. ვალიკო ჯუღელი ასე იხსენებს ამ შეხვედრას: „გუშინ ჩემთან ტატაშ მარშანია მოვიდა. იგი თითქმის არ იყო შეცვლილი. ისეთივე ამაყად და მხნედ გამოიყურებოდა, მაგრამ დამარცხებულად! იგი ჩვენ დაგვნებდა და გამარჯვებულებს მოგვენდო. მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა, უნდა ვაპატიოთ მას! იგი ხომ არ წავიდა დენიკინთან მიუხედავად მისი წარმატებებისა, და არ მიბაძა ალექსანდრე შარვაშიძეს. დაე, მშვიდად იცხოვროს და გალიოს თავისი წლები..."[1]

აქ კი, ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ქართველმა მარქსისტმა და თანამემამულე დაინდო. მაგრამ მთავარში ცდებოდა ვალიკო ჯუღელი, თავგადადებული მარქსისტი – ტატაშ მარშანია კი არ დამარცხდა, არამედ გაიმარჯვა. იგი საკუთარ თავზე და პირად ინტერესებზე მაღლა დადგა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები წინ დააყენა და საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას დაუთმო. დაუთმო და არა დაემორჩილა, ან დანებდა. ვალიკო ჯუღელი კი, თავის ვიწროპარტიულ ინტერესებსა და სოციალისტურ იდეოლოგიაზე მაღლა არასდროს არ დამდგარა და ეროვნული სამშობლოს, მამულის არსებობა, როგორც ასეთი, მისთვის სრულიად გაუგებარ, სრულიად მიუღებელ ცნებას წარმოადგენდა.

თავად ალექსანდრე შარვაშიძისა და სხვა რენეგატთა პოზიცია კი იდენტურია იმ სიტუაციისა, რაც უკვე 1918 წლის მიწურულს შეიქმნა საქართველოს კიდევ ერთ კუთხეში, მესხეთ-ჯავახეთში, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში. საუბარი პანისლამისტური ტიპის თვითგამოცხადებულ ფსევდოსახელმწიფოს – „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიულ" ან, ე.წ. „ყარსის რესპუბლიკასა" და აქ აგორებულ სეპარატისტულ მოძრაობას ეხება, სადაც უმნიშვნელოვანესი იყო ეროვნული თვითშეგნების გრძნობადაკარგული რენეგატი ქართველი ბეგების როლი და ადგილი.[2]

„მოხალისეთა" მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე.წ. „საზღვრების" ჩაკეტვასა და მკაცრი საბაჟო კონტროლის შემოღებაში მდგომარეობდა.

ნოე ჟორდანია: „რუსეთი... პურს ჩვენსკენ არ უშვებდა, ყუბანის დემოკრატიული მთავრობის მიერ გამოგზავნილი მთელი გემი ხორბლეულისა დააკავეს დენიკინელებმა და უკან დააბრუნეს ტუაფსეში. უცხოეთიდან ვერ ვღებულობდით ბლოკადის გამო... ხანდახან უცაბედად ვახერხებდით სტამბოლის გზით პურის გამოპარებას უცხოეთიდან..."[3]

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 192.

[2] არჩილ ჩაჩხიანი. თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის" სამხედრო ისტორიის საკითხები საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში. ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი". 2013. გვ. 372.

[3] დოდო პერტაია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა (1918-1921წწ.). საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია. 2000. №3. გვ. 142. ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. გვ. 102.

„დობროარმიის" ხელმძღვანელთა მთავარი თეზა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიასთან მიმართებაში კი შემდეგი იყო: „მთელი ამიერკავკასია ცნობილი უნდა იქნას 1914 წლის საზღვრებში, როგორც რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი..." საქართველოსთან მიმართებაში კი – „თუ იგი (საქართველო – ა. ჩ.) აღიარებს მისი რუსული სახელმწიფოსადმი კუთვნილებას და შეწყვეტს რიგი გარემოებებისა გამო საქართველოში მყოფი რუსების დევნას, მაშინ ძალიანაც შესაძლებელია მეგობრული ურთიერთობების დამყარება, თავისუფალი საქონელბრუნვის აღდგენითა და საბაჟო შეზღუდვების მოხსნით".[1]

ძალიან ნაცნობი, თითქოს ახალი, მაგრამ რეალურად კარგად დავიწყებული ძველია. დღესაც, 2014 წლისათვის, საქართველო მსგავსი პრობლემების წინაშე დადგა. ანტიქართული და რუსული შოვინისტური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ძალიან ნაცნობი დემაგოგიური მოთხოვნები და მეთოდებია, რასაც გუშინაც, და დღესაც წარმატებით იყენებენ თბილისის წინააღმდეგ კრემლის ბინადარნი. საქართველოსათვის თურმე რა დიდი ბედნიერება იყო მაშინაც, და რა დიდ ბედნიერებას წარმოადგენს დღესაც რუსეთთან საბაჟო შეზღუდვების შერბილება თუ ემბარგოს მოხსნა... მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული – თითქმის ერთი საუკუნის წინანდელი ალექსეევ-დენიკინისეული და დღევანდელი, კრემლის იმპერიული მოთხოვნების არსი ისევ ერთ მოკლე წინადადებაშია განსხეულებული: „სოჭის ოლქის გასუფთავებისა და მდ. ბზიფს იქით მათი ჯარების გადაყვანამდე, ყველა სხვა ურთიერთობა საქართველოსთან, გარდა საომარი მოქმედებებისათვის მზადყოფნისა, რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის დარღვევისათვის, შეუძლებლად გვეჩვენება"...[2]

აქ კი, ყველაფერი ნათელია და შეკითხვებიც არ ჩნდება. რუსული ყოვლადმ-პყრობელური სული და იდეოლოგია უკვდავია. რუსული იმპერიული პოლიტიკის გამო, დღეისათვის არა თუ ბზიფს იქით, არამედ ენგურს იქით ვეღარ ვრცელდება ჯერ-ჯერობით ქართული სახელმწიფოს დე-ფაქტო იურისდიქცია. რუსი „ჰუმანისტები" აღწერილი ამბებიდან ზუსტად 75 წლის შემდეგ, 1993 წელს, ისევ „მშველელებად" მოევლინნენ „ჩაგრულ აფხაზ ხალხს" და ქართველი მოსახლეობის დემოციდი განახორციელეს ისტორიულ ქართულ მიწებზე. მათ ძალიან მარტივი და ეფექტური მეთოდებით გაათავისუფლეს „ქართველ დამპყრობელთაგან" აფხაზეთი – მშობლიურ მიწაზე ათეულ ათასობით მშვიდობიანი ქართველი იქნა გაჟლეტილი, ხოლო 300 ათასამდე დევნილად აქციეს საკუთარ ქვეყანაში. ძალიან მალე კი, უკვე 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს მორიგი ომის დროს, კოდორის ხეობაში ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად, საბოლოოდ მოახდინეს აფხაზეთის, ამ ძირძველი ქართული კუთხის ოკუპაცია. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერალური ძალების საგრძნობი კონტიგენტი იქნა შემოყვანილი, როგორც მძიმე ჯავშანტექნიკა, ასევე საჰაერო ძალებისა და უშიშროების ფედერალური სამსახურის ქვედანაყოფები. მდინარე ენგურის გასწვრივ რუსული საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო საგუშაგოები მოეწყო და „რკინის ფარდაც" ჩამოეშვა. იმპერიამ მისთვის ჩვეული „სამოდერჟავული" და ბოლშევიკური „ინტერნაციონალური ვალი" ისევ პირნათლად მოიხადა.

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 248.

[2] იქვე.

დიახ, არ არსებობს ორი, სამი და ათი რუსეთი. არ არსებობს გუშინდელი და დღევანდელი რუსეთი. არსებობს ერთი რუსეთი, არა აქვს მნიშვნელობა რა ერქმევა მას სახელად – ბოიარული, ცარისტული, ესერული, ბოლშევიკური, დენიკინური, კომუნისტური, საბჭოთა, თუ ე.წ. „დემოკრატიული"... ფაქტია, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხთან, საქართველოში მაცხოვრებელ ხალხებთან მიმართებაში ერთი არსის მქონე და მრავალსახოვანი რუსეთის სტრატეგიული მიზნები, ველიკორუსული შოვინისტური მიდგომები და „სამოდერჟავული" ამოცანები საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება...

პირველი ოფიციალური ცნობა რუსეთის თეთრი მოძარაობისა და იქიდან მომავალი საფრთხის შესახებ, სათაურით „რეაქცია ჩრდილოეთიდან", მოწინავე სტატიად დაიბეჭდა გაზეთ „ერთობის" 1918 წლის 13 ოქტომბრის ნომერში:

„უდიდესი საფრთხე, რომელიც დღეს მოელის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, არის ჩრდილოეთიდან გენერალ ალექსეევის სახით მოსული რუსეთის რეაქციონური მხედრობა, რომელიც თუმც ჯერ ბოლშევიკებთან ბრძოლით არის დაკავებული, მარა თვალი კი საქართველოს რესპუბლიკისაკენ უჭირავს, რომ ცეცხლითა და მახვილით გაანადგუროს ხალხის ბრძოლით მონაპოვარი თავისუფლება და ნიკოლოზის ჟანდარმერია გაამეფოს. ევ. გეეგჭკორსა და ყუბანის მთავრობას შორის მოლაპარაკებმა ცხადყო, თუ რა ამოძრავებთ რუსეთის მთავარსარდლის ყოფილი სადგომის შავრაზმელ გენერლებს: ალექსეევს, ლუკომსკის, დენიკინს, ფილიმონოვს[1] და თვითმპყრობელობის სვეტს, მესამე დუმის გმირს, შულგინს.[2]

ოსმალეთის შემდეგ არც ერთი ძალა არ არის ისე საშიში და გამანადგურებელი საქართველოს ხალხის თავისუფლებისათვის, როგორც რეაქციონერული რუსეთის მხედრობა, რომელიც შინ გამეფებული ანარქიის წყალობით თანდათან ძლიერდება სამხრეთ ნაწილში და აშკარაა, მისი პირველი შეტევა მიმართული იქნება ჩვენსკენ, ვინაიდან ძველი დიდი რუსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ საქართველო დარჩა, სადაც დემოკრატია ძლიერია და რევოლუციით მონაპოვარ თავისუფლებას ანმტკიცებს".[3]

„დობროარმიასთან" დაკავშირებული ამ საკითხის ამოწურვისათვის კი, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს აღვნიშნავთ. ოდნავ მოგვიანებით, 1919 წლიდან, გენერალ დენიკინის მიერ ამიერკავკასიაში მის მთავარ სამხედრო-დიპლომატიურ წარმომადგენლად ინიშნება I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მხედართმთავარი, ირანში მოქმედი რუსული ცხენოსანი საექსპედიციო კორპუსის სარდალი, კავალერიის გენერალი ნიკოლაი ბარათოვ-ბარათაშვილი.[4]

---

[1] ალექსანდრ პეტროვიჩ ფილიმონოვი (1866-1948) – რუსი გენერალი და მხედართმთავარი, ყუბანის კაზაკთა ჯარების ატამანი 1908-1917 წლებში. 1917 წლის აპრილი-ოქტომბრის პერიოდში ყუბანის სამხედრო მთავრობის თავმჯდომარე. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1912 წლის დეკემბრიდან პოლკოვნიკი, 1918 წლის ნოემბრიდან გენერალ-მაიორი, 1920 წლის აპრილიდან – რუსული არმიის გენერალ-ლეიტენანტი. გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიასთან და სამხრეთ რუსეთის მთავრობასთან ატარებდა ზომიერი ურთიერთობების პოლიტიკას. დენიკინთან არსებული უთანხმოებების გამო, 1919 წლის ბოლოს მოუხდა ყუბანის კაზაკთა ჯარების ატამანის უფლებამოსილებების დათმობა. 1919 წლის დეკემბრიდან ემიგრაციაშია.

[2] ვასილი ვიტალევიჩ შულგინი (1878-1976) – რუსი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, პოეტი და პუბლიცისტი. რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-2, მე-3 და მე-4 მოწვევების დეპუტატი. მკვეთრად ანტისოციალისტური და ანტიბოლშევიკური პოზიციის მქონე პოლიტიკოსი. რუსეთის თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი და ორგანიზატორი, ნაციონალისტი და მონარქისტი.

[3] „ბალშევიკები" ბანძაში. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ოქტომბერი. №220. გვ. 1.

[4] ნიკოლაი ნოკოლაევიჩ ბარათოვი (ბარათაშვილი) (1865-1932) – ჩრდილოეთ კავკასიაში დაბადებული და გაზრდილი წარმოშობით ქართველი რუსი მხედართმთავარი, კაზაკთა ჯარების მეთაური და სარდალი, კავალერიის გენერალი, იდეოლოგიურად დაჯერებული მონარქისტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო

გენერალი ბარათოვი ეთნიკურად ქართული წარმომავლობისა იყო, თუმცა რუსეთში დაბადებულ და სამხედრო ყაიდაზე გაზრდილ კაცს ყოველივე პატრიოტული და ეროვნული, დაკარგული ჰქონდა. იგი პიროვნული მრწამსითა და კრედოთი დაჯერებული ცარისტი და რუსული მონარქიზმის ერთ-ერთი უერთგულესი წარმომადგენელი იყო. ამიერკავკასიასთან მიმართებაში და ამიერკავკასიური პოლიტიკის სფეროში, გენერალ დენიკინის მიერ გენერალი ბარათოვი შემდეგი შინაარსის საიდუმლო ინსტრუქციებით იქნა აღჭურვილი:

„...მთელი ამიერკავკასია განხილულ უნდა იქნას რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად 1914 წლისათვის არსებულ საზღვრებში. გევალებათ, მოამზადოთ ნიადაგი ამ ოლქების უმტკივნეულოდ შეერთებისათვის ერთიან და განუყოფელ რუსეთთან, სრულიად რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს მმართველობაში".[1] აქაც ყველაფერი ნათელია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მოხალისეთა არმიასა და სოჭის ოლქს. აქ გენერალ დენიკინის მიერ საქართველოს ხელისუფალთა წინააღმდეგ ისეთი ხასიათის ბრალდებებიც იქნა წაყენებული, რომლის წარმოდგენაც ნამდვილად სცილდება საღ აზრს. თავის ისტორიულ მემუარში, „Очерки русской смуты", დენიკინი ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და რუს ბოლშევიკებს შორის დამყარებულ პირდაპირ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსსა და „დობროარმიელთა" წინააღმდეგ მოქმედებების ერთიან სტრატეგიაზე მიუთითებს:

„მოსკოვში განთავსებული იყო, მართალია, ოფიციალურად არცნობილი, მაგრამ საკონსულო ვალდებულებების მქონე ქართული დიპლომატიური მისია. მოსკოვსა და თბილისს შორის რაღაც საეჭვო შინაარსის რადიოგრამების გაცვლას ჰქონდა ადგილი. ჩრდილოეთ კავკასიიდან გაქცეული კომისრები თბილისში სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ (Sic!)... უკვე Post factum, 1919 წლის შემოდგომაზე, ბოლშევიკურ გამოსვლებთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა მინისტრმა, რამიშვილმა (აქ ავტორი არასწორად მიუთითებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გვარს – ა. ჩ.) დამფუძნებელ კრებას მოახსენა ყველასათვის კარგად ცნობილი ჭეშმარიტება: „კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი მოსკოვის დირექტივების შესაბამისად მოქმედებდა, და პირველ რიგში, მოსკოვის მთავრობის სტრატეგიულ დავალებებს ასრულებდა. საქართველოში ბოლშევიკური გამოსვლების ორგანიზაციისათვის 12 მილიონი რუბლი დაიხარჯა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ ბოლშევიზმის კულტივირება არა შიდა მოხმარებისთვის, არამედ ექსპორტისათვის იყო გათვალისწინებული: ჩვენს ღრმა ზურგში ბოლშევიზმის ფორპოსტი წარმოიქმნა, რომელსაც თბილისში ჰქონდა თავისი ბეჭდური

ომების მონაწილე და წარმატებული სარდალი. 1900 წლიდან პოლკოვნიკი, სუნჟის 1-ლი პოლკის მეთაური, 1905-1906 წლებში შერეული საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1906 წლიდან გენერალ-მაიორი, საკავალერიო დივიზიის მეთაური. 1907 წლის ივლისიდან მე-2 კავკასიური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1912 წლის დასაწყისიდან გენერალ-ლეიტენანტი. 1912 წლის ნოემბრიდან 1-ლი კავკასიური კაზაკთა დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. 1916 წლის აპრილიდან ირანში შეყვანილი კავკასიის არმიის საკავალერიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის მაისიდან კავკასიის მე-5 საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის სექტემბრიდან კავალერიის გენერალი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას და ტოვებს სარდლის თანამდებობას. დაუყოვნებლივ გადადის ბრიტანული სარდლობის დაქვემდებარებაში. 1918 წლიდან ბრუნდება რუსეთში და უერთდება ალექსეევის ორგანიზაციას. თეთრგვარდიული მოძრობის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. 1919 წლიდან გენერალ დენიკინის სპეციალური სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. გიორგის ჯვრის კავალერი. 1920 წლის ბოლოდან ემიგრაციაშია.

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 248.

ორგანო, მუშაობდა პროპაგანდით, ფულით, აგიტატორებსა და ინტერნირებულ წითელარმიელებს გზავნიდა შავიზღვისპირეთში, (Sic!) სამხრეთ ოსეთში, (Sic!) და საერთოდ ყველგან მტრობას თესავდა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. მართალია, ეს საქართველოსათვის რამდენადმე სახიფათო, მაგრამ სამაგიეროდ სასარგებლო საქმე იყო. და საქართველოს მთავრობაც არ იყო წინააღმდეგი გაეფართოებინა ანტიმოხალისური ფრონტი თავისი გავლენის ორბიტაში რუსული ბოლშევიზმის მეორე ძლიერი ცენტრის – ბაქოს მუშათა კონფერენციის ჩართვით".[1] (Sic!)

გენერალ დენიკინის ამ ნააზრევზე კომენტარების გაკეთება შეუძლებლად გვეჩვენება, იმდენად წარმოუდგენელი ჰიპერბოლებითაა გაჯერებული მის მიერ წარმოდგენილი ეს „ფაქტობრივი მასალა". „რკინისებური ლოგიკისა" და „შეთქმულების თეორიების" წარმოუდგენელი ლაბირინთია ჩახლართული ამ ამონარიდში... როგორც იტყვიან, ქაღალდი ყველაფერს იტანს...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ კი, გენერალი დენიკინი წერს: „რეგულარული არმიისაგან დამოუკიდებლად (საქართველოში) არსებობდა აგრეთვე „ეროვნული გვარდია" (Национальная гвардия – ა. ჩ.) ჯუღელის ხელმძღვანელობით, რომელიც დეპუტატთა საბჭოს (Совдеп – ა. ჩ.) დაქვემდებარებაში უფრო იყო, ვიდრე მთავრობისა".[2]

აქ ბატონი გენერალი აშკარად არ არის გულწრფელი, ან უკეთეს შემთხვევაში, ცდება. არ შეიძლება მას არ სცოდნოდა, რომ ჯერ კიდევ ამიერკავკასიის განსაკუთ-რებული კომისარიატის არსებობის პერიოდში, კავკასიის ფრონტიდან მომავალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად 1917 წლის დეკემბერში ამიერკავკასიაში ჩამოყალიბება დაიწყო ინტერნაციონალურმა პარამილიტარულმა ორგანიზაციამ და მისმა მმართველობითმა ორგანომ, რომელსაც თავდაპირველად „საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისია" ერქვა. მოგვიანებით, 1918 წლის 4 მარტს გამართული სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე (კატალოგი №1285, ფურცელი 6, ლიტერი 2) მას „წითელი გვარდია",[3] შემდეგ კი, „სახალხო გვარდია" ეწოდა. „სახალხო გვარდია" და არა „ეროვნული გვარდია", როგორც ამას დენიკინი აღნიშნავს. აშკარაა, რომ „ეროვნული გვარდიის" მუდმივი მოხსენიებით დენიკინი ცდილობს კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი თავის „გრუზინოფობობას" და ქართველთა „ნაციონალიზმს". არადა ყველაფერი ზუსტადაც რომ პირიქით იყო.

საქართველოს ხელისუფალნი და მმართველი პოლიტიკური წრეების წარმომადგენ-ლები დაჯერებული, ორთოდოქსი მარქსისტები და ინტერნაციონალისტები იყვნენ, და ისინი ძალიან შორს იდგნენ ნაციონალური იდეისაგან. სახალხო გვარდია კი სწორედ პარტიის, ამიერკავკასიის და მოგვიანებით ქართველ სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონა-ლური იდეოლოგიის მატარებელ პარტიულ ჯარს, პარტიის პრეტორიანულ სამხედრო შენაერთს წარმოადგენდა, რომელიც მმართველი პარტიის წევრებით იყო დაკომპლექტებული.

ჩვენ დიდხანს აღარ გავაგრძლებთ ამ თემაზე საუბარს, იმდენად, რამდენადაც, ჩვენი ეს მსჯელობები ღია კარის მტვრევას დაემსგავსება. თემის დახურვისათვის კი მხოლოდ იმ ფაქტს მოვიყვანთ, რომ წითელი (სახალხო) გვარდიის უმაღლესი მმართველობითი-დირექტიული ორგანოს – მთავარი შტაბის წევრთა ნაციონალური შემადგენლობა ერთობ ჭრელი იყო, აღარაა საუბარი გვარდიულ რაზმებსა და მათ პირად შემადგენლობაზე. მთავარი შტაბის მუდმივი მდივნის თანამდებობა და ფუნქცია მუდმივად სომეხი ეროვნების

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 272.

[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 276.

[3] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.

სოციალ-დემოკრატს და პარტიის აქტივისტს, რუბენ აუშტროვს ეკავა. წევრებად კი 1918-1920 წლებში ირიცხებოდნენ, სომხები, უკრაინელები, პოლონელები, რუსები. შტაბის არაქართველ წევრებს წარმოადგენდნენ: ვარდოიანი, გლახოიანი, მუხარინსკი, კაპტანჯიანი, ვოიტინსკი, ფარნიევი, ვოდინეცი, ხარაში, ფელიცინი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, მეფის არმიის ყოფილ გენერალს წარმოადგენდა და მას გვარდიის მთავარი შტაბის ე.წ. „ფორმირების" (პირადი შემადგენლობისა და სამობილიზაციო) განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა.[1] ხოლო უკრაინელი იაკობ ხარაში, გვარდიის მთავარი შტაბის უფროსისა და ფაქტობრივი სარდლის, ვალიკო ჯუღელის მოადგილეს წარმოადგენდა.

სახალხო გვარდიის პირველი შემადგენლობის მთავარ შტაბის შემადგენლობას კი შემდეგი სახე ჰქონდა: ნ. ჟორდანია (საპატიო თავმჯდომარე), ვ. ჯუღელი (თავმჯდომარე), ალ. დგებუაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ალ. მაისურაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ს. ჯიბლაძე (საპატიო წევრი), ვლ. ჯიბლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ან. ჭიაბრიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), დ. საღირაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), რ. აუშტროვი (მდივანი), გ. ფაღავა (მდივანი), ალ. ფარნიევი, ი. ქარცივაძე, ზ. გურული, ვ. გოგეშვილი, ემ. სირბილაძე, ი. ხარაში, თ. შენგელია, მ. ვარდოიანი, ტ. ფარქოსაძე, ლ. რუხაძე, ვ. მუხარინსკი.[2]

„დობოარმიასთან" დაწყებულ ურთიერთობებში რეალობა და ფაქტი კი ის იყო, რომ ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ახალი დიდი საფრთხე დაემუქრა...

§4. „წითლები" და „თეთრები" – საორგანიზაციო ცვლილებები

1918 წლის ბოლოსათვის, I მსოფლიო ომის დასრულებისა და მისი თანმდევი გლობალური და რეგიონალური მოვლენების განვითარების პარალელურად, რუსეთის ტერიტორიებზე იწყება ანტანტის ქვეყნების შენაერთთა ინტერვენცია. მნიშნელოვანი ცვლილებები ხდება „დობროარმიის" სამეთაურო შემადგენლობასა და თვით საარმიო შენაერთის სტრუქტურაშიც. „მოხალისეთა არმიის" მთავარსარდალი, გენერალი კორნილოვი წითელარმიელებთან ბრძოლაში იღუპება, ორგანიზაციის საერთო პოლიტიკური ლიდერი, გენერალი ალექსეევი კი, 1918 წლის ბოლოს გულის შეტევისაგან (ზოგიერთი მონაცემით ფილტვების ანთებისაგან) გარდაიცვალა. „დობროარმიას" 1-ლი დივიზიის ყოფილი მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ანტონ დენიკინი ჩაუდგა სათავეში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი წითელგვარდიული რაზმებისა და წითელი არმიის შენაერთების ძალთა სტრუქტურასა და ორგანიზაციაშიც. როგორც ნაშრომის შესაბამის თავში იყო ნათქვამი, 1918 წლის დასა-

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ელვილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 12, ფურცელი 78.

[2] ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 3.

წყისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი წითელგვარდიული რაზმების ძირითად ბირთვს კავკასიის ფრონტიდან რუსეთისაკენ დაძრული „რევოლუციონერი" ჯარისკაცები და შავი ზღვის ფლოტის მატროსები შეადგენდნენ. საკუთარი ძალაუფლების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის, მათ ადგილობრივი ანტიბოლშევიკურად განწყობილი კაზაკების განიარაღება და მათთან ბრძოლა დაიწყეს. ეს ბოლშევიკური რაზმები არ იყვნენ მოქცეულნი ერთიანი მეთაურობის ქვეშ, მათი მოქმედებები არ იყო კოორდინირებული, არჩეული მეთაურები კი ხშირად მტრულად იყვნენ განწყობილნი არა მარტო ერთმანეთის, არამედ თვით ცენტრალური ხელისუფლების მიმართაც კი. რეალობა ის იყო, რომ ამა თუ იმ რაზმის მიერ დაკავებულ რაიონში სამხედრო-ადმინისტრაციულ ხელმძღვანელსა და მდგომარეობის სრულ ბატონ-პატრონს ასეთი რაზმების მეთაურები წარმოადგენდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი წითელგვარდიული რაზმებიდან ყველაზე ძლიერს ე.წ. ყუბანის კაზაკთა წითელი რაზმი წარმოადგენდა, რომელსაც არჩეული მეთაური, კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებული მეფის არმიის ყოფილი საპოლკო იასაული,[1] ივან სოროკინი ხელმძღვანელობდა. ძალიან მალე აქ მოქმედი ყველა წითელი სამხედრო ნაწილისა და სხვადასხვა წითელგვარდიული რაზმების გაერთიანებით, ბოლშევიკთა სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს დირექტივის საფუძველზე, 1918 წლის ზაფხულიდან იქმნება ბოლშევიკთა რეგულარული ჯარის – მუშურ-გლეხური წითელი არმიის (РККА) პირველი ფორმაციის მე-11 წითელი არმია, რომელსაც სათავეში სწორედ ივან სოროკინი უდგება.

გავუსწრებთ მოვლენებს წინ და ვიტყვით, რომ მე-11 წითელი არმია სულ სამი ფორმაციისა იყო. შექმნის მომენტში იგი მოიცავდა: 14240 ხიშტს, 3250 ხმალს, 325 ტყვიამფრქვევს, 28 მსუბუქ ტყვიამფრქვევს, 2 მძიმე ქვემეხს, 4 ჰაუბიცას, 2 ჯავშანმატარებელს, 2 ჯავშანმანქანას, 7 თვითმფრინავს. პირადი შემადგენლობა 34360, ცხენი – 8000. ამას ემატებოდა ზურგში შექმნილი ძალები და ფორმირებები – 3750 ხიშტი, 450 ხმალი, 55 ტყვიამფრქვევი, 10 ქვემეხი, 7 თვითმფრინავი.[2]

1918 წლის 8 დეკემბერს მე-11 წითელი არმია შეყვანილ იქნა კასპიისპირეთი-კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში, მაგრამ თეთრგვარდიელებთან წარმოებული წარუმატებელი სამხედრო მოქმედებების გამო მან აუნაზღაურებელი საბრძოლო დანაკლისები განიცადა ცოცხალ ძალაში და მალევე, 1919 წლის დასაწყისისათვის დაიშალა.[3] რუსული წყაროები აგრძელებენ: „19 იანვარს განადგურებულმა მე-11 არმიამ პიატიგორსკი დატოვა. ტყვედ ჩაბარდა 30000-ზე მეტი კაცი. წითელარმიელთა ძირითადმა მასამ დაყარა იარაღი, დატოვა ჯავშნოსანი მატარებლები და პოკროვსკის[4] კავალერიისაგან დევნილმა ცარიცინი-

---

[1] მონღოლურ-თურქული წარმომავლობის სამხედრო ჩინი და თანამდებობა კაზაკთა ჯარებში. თავდაპირველად აღნიშნავდა კაზაკთა სხვადასხვა დონის მეთაურის თანაშემწეს, უთანაბრდებოდა არმიულ წოდებებს – ადიუტანტი და ორდინარეცი. შემდგომში – რუსეთში კაზაკთა ჯარების ობერ-ოფიცერი. XIX საუკუნიდან კაზაკთა იასული გათანაბრებულ იქნა კავალერიის როტმისტრის სამხედრო წოდებასთან.

[2] XI Army and its combats in the Northern Caucasus an d Lower Volga: 1918 – 1920 by V.T. Sukhorukov.

[3] Гражданская война и военная интервенция в СССР. Энциклопедия. Центральный государственный архив Советской армии. В двух томах. Том 1. Путеводитель. 1991.

[4] ვიქტორ ლეონიდოვიჩ პოკროვსკი (1889-19222) – რუსი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, თეთრი მოძარაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წლიდან გრენადერთა პოლკის კაპიტანი. შემდგომ სამხედრო მფრინავი – ესკადრილიის მეთაური, 1916 წლიდან რიგის მე-12 ავიარაზმის მეთაური. 1917 წლიდან შტაბს-კაპიტანი. პირველი რუსი მფრინავი, ვინც იძულებით დასვა მოწინააღმდეგის თვითმფრინავი. 1918 წლიდან თეთრ მოძრაობაშია. ყუბანის რადის მოხალისეთა რაზმის უფროსი. 1918 წლის 14 მარტიდან პოლკოვნიკი, იმავე წლის 27 მარტიდან – გენერალ-მაიორი, ყუბანის არმიის სარდალი. 1918 წლის აგვისტოდან ყუბანის 1-ლი ბრიგადის მეთაური, 1919 წლის დასაწყისიდან ყუბანის 1-ლი ცხენოსანი კორპუსის სარდალი. მავე წლის ივლისიდან

საკენ (ასტრახანი – ა. ჩ.) დაიწყო უკან დახევა. 40 გრადუსიანი ყინვის ქვეშ 400 კმ. იყო გასავლელი. მე-11 არმიის ასიათასიანმა ურდომ, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ატერორებდა ჩრდილოეთ კავკასიას, გაქრა. ასტრახანამდე მხოლოდ გაყინულ წითელარმიელთა საცოდავმა ნაშთებმა მიაღწიეს".[1]

მე-11 არმიის პირველი ფორმაცია თეთრგვარდიელთა მიერ ფაქტობრივად განადგურებულ იქნა, რასაც სრულად ასახავს მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძის იმ ტელეგრამის შინაარსი, რომელიც მის მიერ კრემლში იქნა გაგზავნილი 1919 წლის 24 ინვარს:

„მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს.
ვლადიკავკაზიდან, 1919 წლის 24 იანვარი.

მე-11 არმია აღარ არსებობს. იგი საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იკავებს... ჩვენ ამას პოლიტიკურ დეზერტირობად ვთვლით...

ორჯონიკიძე".[2]

მე-11 არმიის მეორე ფორმაცია სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის ცალკეული ბრძანებით შეიქმნა 1919 წლის 13 მარტს კასპიისპირეთი-კავკასიის ფრონტის შემადგენლობიდან. ამ ეტაპზე იგი უშუალოდ წითელი არმიის უმაღლეს მთავარსარდლობას დაუქვემდებარდა. 1919 წლის 23 მაისიდან კი, სამხრეთის ფრონტის ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადავიდა. მეორე ფორმაციის მე-11 არმიის შემადგენლობაში გაერთიანდა: 33-ე მსროლელი დივიზია (1919 წლის მარტი-აპრილი), 34-ე მსროლელი დივიზია (1919 წლის მარტი-ივნისი), 1-ლი სპეციალური საკავალერიო დივიზია (1919 წლის მარტი-აპრილი), მე-7 საკავალერიო დივიზია (1919 წლის აპრილი-ივნისი), ასტრახანი-კასპიის ზღვის ფლოტილია (1919 წლის მარტი-მაისი).[3]

მცირე პირადი შემადგენლობის (აპრილის მონაცემებით – 12300 ხიშტი და 59 ქვემეხი), ცუდი აღჭურვილობის, დაბალი დისციპლინისა, და აქედან გამომდინარე, დენიკინელთა წინააღმდეგ არაეფექტური მოქმედებების გამო, მეორე ფორმაციის მე-11 არმიამაც ვერ შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანები, ვერ შეძლო აღმოსავლეთ კავკასიასა და დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამყარება. იგი დაყვანილ იქნა დივიზიამდე და 1919 წლის 4 ივნისის ბრძანებით მე-10 არმიას შეუერთდა.[4]

მეორე ფორმაციის მე-11 არმიის, მისი შემადგენლობის, საბრძოლო სულისკვეთებისა და საბრძოლო გზის შესახებ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას ორჯონიკიძე გულწრფელად აღნიშნავდა: „მე-11 არმიის შესახებ რუსეთში არაფერი არ იციან. მას ჩვენი პარტიული ამხანაგებიც კი არ იცნობენ. და რაც ყველაზე

გენერალ-ლეიტენანტი და კავკასიის არმიის ცარიცინის დაჯგუფების სარდალი. 1919 წლის 26 ნომბრიდან 1920 წლის იანვრამდე გენერალ პიოტრ ვრანგელის შემცვლელი და კავკასიის არმიის სარდალი. 1920 წლის აპრილიდან ემიგრაციაშია.

[1] Разгром 11 и 12 красных армий Деникиным. Победы Деникина на Кавказе. Русская историческая библиотека. http://rushist.com/index.php/civil-war/1403-razgrom-11-i-12-krasnykh-armij-denikinym.

[2] Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи. В двух томах. Государственное издательство политической литературы. Москва. 1956. Том I. 1910-1926 гг, стр. 80.

[3] Гражданская война и военная интервенция в СССР. Энциклопедия. Центральный государственный архив Советской армии. В двух томах. Том 1. Путеводитель. 1991. Северокавказцы в боях за Родину. Глава 2. Стр. 224.

[4] იქვე.

დამაფიქრებელია, მას არც ჩვენი სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა არ იცნობს. საერთოდ მიღებულია აზრი, რომ მე-11 არმია ათასი ჯურის პარტიზანული და ბანდიტური რაზმების ხროვას წარმოადგენს და მისი ლანძღვაც წესად იქცა. პირადად მე, არასდროს არ ვყოფილვარ მისი თაყვანისმცემელი, მაგრამ ვხედავდი მის ავსაც და კარგსაც".[1]

1919 წლის დასაწყისიდან კავკასიის ფრონტზე დენიკინელებმა ოპერატიულ უპირატესობას მიაღწიეს. დენიკინმა სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად საბოლოოდ ჩაახშო ბოლშევიკური წინააღმდეგობა და ჩრდილოეთ კავკასიის 100 ათასიანი ბოლშევიკური ფრონტის ფაქტობრივი ლიკვიდაცია მოახდინა. მოხალისეთა არმიას ტყვედ ჩაუვარდა 50000 წითელარმიელი, 150 საარტილერიო დანადგარი, 350 ტყვიამფრქვევი და საბრძოლო მასალის უზღვავი რაოდენობა.[2] წითელი არმიის გადარჩენილმა შენაერთებმა აღმოსავლეთით, ცარიცინისაკენ დაიხიეს უკან. ცალკეული ნაწილები კი იზოლირებულნი აღმოჩნდნენ ბოლშევიკთა ძირითადი ძალებისაგან.

მოგვიანებით, კავკასიის ფრონტზე განცდილი წარუმატებლობის შესახებ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი, ლევ ბრონშტეინ-ტროცკი თავის 1919 წლის 8 ივნისის გამოსვლაში აღნიშნავდა:

,,სამხრეთში, კრასნოვის ზერგსუკან დენიკინის თეთრგვარდიელები იდგნენ. ვიცოდით კი მათი არსებობის შესახებ რამე? რა თქმა უნდა, ვიცოდით. მაგრამ დენიკინელების უკან ჩრდილოეთ კავკასიური წითელი არმიები იდგნენ. ეს ორი არმია (იგულისხმება მე-11 და მე-12 არმიები – ა. ჩ.) 150000-ს, და უფრო მეტიც – ლამისაა 200000 კაცს ითვლიდა. ყოველ შემთხვევაში მომარაგებას ამ რაოდენობისას ითხოვდნენ. მაგრამ ეს არ იყო სწორად ორგანიზებული ჯარები. ესენი პარტიზანული რაზმები იყვნენ, რომლებსაც აკიდებოდნენ დიდი რაოდენობით ლტოლვილები, მუქთამჭამელები და მოროდიორები. მომარაგების, მართვისა და მეთაურობის არავითარი სწორი ორგანიზაცია აქ არ არსებობდა. თვითგამოცხადებული მეთაურები არავის არ ემორჩილებოდნენ და ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ.

საერთოდ, როგორც პარტიზანებშია მიღებული, ისინი გადამეტებულად წარმოაჩენდნენ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს, უდიერად ეპყრობოდნენ ცენტრიდან მიღებულ განკარგულებებს, ხოლო დენიკინელთა მხრიდან პირველი სერიოზული დარტყმების მიყენებისთანავე, ცალკეულ ნაწილებად დაიწყეს დაშლა. ამასთან ერთად, მოწინააღმდეგეს უზღვავი რაოდენობის სამხედრო ქონება ჩააბარეს და უკან დახევისას აურაცხელი ადამიანური დანაკარგებიც განიცადეს. ალბათ არსად მუშებსა და გლეხებს პარტიზანობა ისე ძვირად არ დაჯდომიათ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამრიგად, ჩვენი სამხრეთული წარუმატებლობების მთავარ მიზეზს არა სამხრეთის ფრონტის არმიების არასწორი ორგანიზაცია, არამედ პარტიზანობის გამცემლური, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როლი წარმოადგენდა".[3]

ტროცკის მოხსენების ეს ტექსტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ზემოთ მოყვანილ დასკვნებს, იმის შესახებ, რომ ბოლშევიკთა წითელგვარდიული და წითელარმიული რაზმებისა და შენაერთების როგორც სამეთაურო, ასევე პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება და პირადი მორალურ-ზნეობრივი მახასიათებლები ერთობ დაბალ დონეზე იდგა. ბოლშევიკთა ძალები ათასი ჯურის შეიარაღებული ავანტიუ-

---

[1] Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи. В двух томах. Государственное издательство политической литературы. Москва. 1956. Том I. 1910-1926 гг, стр. 91-100.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 202.

[3] დასახელებული ნაშრომი. გვ. 203.

რისტებისაგან შემდგარ, თავნება და ფაქტობრივად არაპროგნოზირებადი ბრბოების უმართავ მასას წარმოადგენდა.

გასაგებია, რომ ამ პირობებში, მოხალისეთა არმიის ორგანიზებულ და დისციპლინირებულ შენაერთებს წარმატების მოპოვების უფრო დიდი შანსი გააჩნდათ. რაც სინამდვილეშიც ასე მოხდა.

1919 წლის დასაწყისიდან, სტრუქტურული რეორგანიზაციის მხრივ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა „მოხალისეთა არმიამაც". „დობროარმია" შეერთდა ატამან კრასნოვის დონისა და კავკასიის კაზაკთა არმიებთან, თურქესტანის არმიასა და შავი ზღვის ფლოტთან. ახალი საარმიო გაერთიანება „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებად" გარდაიქმნა. გენერალი ანტონ დენიკინი კი, „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მმართველად" გამოცხადდა და თავისი შტაბი ეკატერინოდარიდან „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს" ახალ „დედაქალაქში" – ტაგანროგში გადაიტანა. „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების" ყუბანი-თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და მთავარსარდლად კი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ლიახოვი დაინიშნა, I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ბათუმის სამხედრო ოლქისა და ბათუმის გამაგრებული რაიონის წარმატებული სარდალი, ხოლო 1915-1916 წლებში – კავკასიის ფრონტის 1-ლი კავკასიური საარმიო კორპუსის სარდალი.[1]

§5. „თეთრები" და დაშნაკური ფაქტორი

სწორედ ამ პერიოდში, აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში მიმდინარე რთული სამხედრო-პოლიტიკური პროცესების პარალელურად, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის ახალმა და მოულოდნელმა საფრთხემ საქართველოს სულ სხვა კუთხეში, ქვემო ქართლში, ბორჩალოს მაზრის ქვემო ზონაში იჩინა თავი.

1918 წლის ბოლოს დაშნაკური სომხეთის საჯარისო ნაწილები ომის გამოუცხადებლად არღვევენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო საზღვრებს და იწყებენ საომარ მოქმედებებს. სწორედ ამ ისტორიულ ფაქტში მდგომარეობდა დაშნაკურ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის შეთანხმებული მოქმედებების საერთო სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში.[2] გენერალ დენიკინის მიერ „სამხრეთ

---

[1] გენერალმა ლიახოვმა შიდა არმიული ინტრიგების გამო მალე დატოვა „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების" ყუბანი-თერგის ოლქის სარდლის თანამდებობა და საცხოვრებლად საქართველოში, ბრიტანელთა მიერ ოკუპირებულ ბათუმში გადავიდა, სადაც მოკლულ იქნა გაურკვეველ ვითარებაში, საკუთარ სახლში. ზოგიერთი ვერსიით იგი ნესტორ ლაკობასა და მისი დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფის მიერ იქნა მოკლული 1920 წლის აპრილში, მისი ბათუმში „რევოლუციური მოღვაწეობის" პერიოდში. ყუბანი-თერგის ოლქის სარდლის თანამდებობაზე კი გენერალი ლიახოვი გენერალმა ევგენი მასლოვსკიმ შეცვალა.

[2] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 395.

რუსეთის მთავრობის" შექმისთანავე დადებითად იქნა შეფასებული ზოგადად სომეხ დაშნაკთა რუსოფილური განწყობები, რამაც თავიდანვე განსაზღვრა სომხეთთან მისი დამოკიდებულება: „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა სრულიად უთანაგრძნობს სომეხი ერის სწრაფვას თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში გაერთიანების შესახებ, თვლის რა სომხობას თავიანთი ძირეული ეკონომიკური ინტერესებით დაკავშირებულს ერთიან განუყოფელ რუსეთთან"...[1]

სომეხთა რუსოფილურ განწყობებს კი, ჯერ კიდევ 1905 წლიდან, ამიერკავკასიის მეფისნაცვლად გენერალ-ადიუტანტ გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის დანიშვნიდან ეყრება საფუძველი. მისი მმართველობის პერიოდში, მართლაც „ოქროს ხანა" დაუდგათ დაშნაკებს. სომეხთა და რუსთა „საუკუნოვანი სიყვარულის" წარმოშობასა და მის მიზეზებს შემდეგი არგუმენტებით ხსნიდა იმდროინდელი ცნობილი სომეხი პუბლიცისტი, ბ. იშხანიანი:

„რუსეთის სომხებისათვის რუსული სახელმწიფოებრიობის იდეა სისხლ-ხორცეულ საკითხად იქცა ჩვენს განაპირა მხარეში არც ერთი სხვა ერი (ქართველებიც კი) ისე არ იყვნენ დაინტერესებულნი რუსული სახელმწიფოს სიძლიერესა და მის მძლავრ საფუძვლებში, როგორც სომხები. სომეხი ერის ფსიქოლოგიაში არსებული ეს ღრმა ტრადიცია (რუსეთისადმი სიყვარული) (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში – Любовъ к России – ა. ჩ.) შედეგი იყო მთელი რიგი ისტორიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორებისა. აი, რატომ იყვნენ სომხები მზად, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით მხარი დაეჭირათ ძლიერი რუსული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ჩვენს განაპირა მხარეში. მეორეხარისხოვანია ის საკითხი, თუ რა სისტემისა და რეჟიმის მიმდევარი იქნება რუსული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. ეს იმ რეფორმების პრობლემაა, რომელიც არაფერს არ წარმოადგენს იმ დილემასთან შედარებით, რომელსაც ჩვენს განაპირა მხარეში რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი ჰქვია".[2]

და რადგანაც სომეხთათვის „მეორეხარისხოვანი იყო საკითხი, თუ რა სისტემისა და რეჟიმის მიმდევარი იქნებოდა რუსული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება", მაშინ სრულიად გასაგები ხდება დენიკინისადმი მათი „მოკავშირული" პოზიციებიც.

ძალიან მალე კი, არა მარტო სომხეთის რესპუბლიკაში მაცხოვრებელმა სომხებმა, არამედ სოჭისა და სოხუმის ოლქების სომხური მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმაც პროდენიკინური პოზიციები დაიკავეს, რითაც მკვეთრად დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ ქართულ იდეასა და ქართულ სახელმწიფოსთან. ამ პროცესებზე იდეოლოგიურმა პროპაგანდამ და დენიკინის აგენტურული ქსელის გამართულმა მუშაობამაც ითამაშა გარკვეული როლი.

რაში მდგომარეობდა ახლადშექმნილი სომხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი და რატომ აღმოჩნდა ეს კურსი ქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან დაპირისპირებული? რატომ იქცნენ დენიკინელები და სომეხი დაშნაკები მოკავშირეებად? რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი დაშნაკურ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებას და რატომ აღმოჩნდნენ სომხები ზოგადად, და კერძოდ სოჭელი სომხები ქართულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებულნი? კითხვები საკმარისზე მეტია და მათზე პასუხების გასაცემად მცირე ისტორიული და პოლიტიკური რაკურსის ჩატარება მოგვიხდება.

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 131.

[2] Б. Ишханянъ. Тенденции мусульманскаго движенія. Баку. Типографія „Труженікъ". 1919. Стр. 77.

ზოგადად, მოკავშირის პრობლემა, ხელსაყრელი სტრატეგიული პარტნიორის განსაზღვრა და შერჩევა ყოველთვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საკითხს ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორად გადაჭრილი ეს ამოცანა ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამა თუ იმ სახელმწიფოს შემდგომ ბედსა და მომავალზე. და პირიქით, გაუთვლელ გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიულ შეცდომებს კი არაერთი სახელმწიფოსა თუ ერის ყოფნა-არყოფნის საკითხზე უთამაშია გადამწყვეტი როლი. პატარა სახელმწიფოებისათვის კი ეს საკითხი ორმაგად საპასუხისმგებლო პრობლემას წარმოადგენდა. საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში სტრატეგიული პარტნიორის შერჩევა კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ოდითგან, როგორც ევროპა-აზიის შესაყარი და აზიის მუსულმანური სამყაროს ბუფერი დანარჩენ სამყაროსთან.

1918 წლიდან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ორივე რესპუბლიკის წინაშე მწვავედ დაისვა სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის სწორად განსაზღვრისა და შერჩევის პრობლემა. თუ ისტორიულად აქამდე საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივ-სტრატეგიული გეგმები ასე თუ ისე ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც პირველ რიგში მათ სახელმწიფოებრივ და ფიზიკურ გადარჩენას გულისხმობდა საერთო გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ახლა მათი საერთო პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეზი მკვეთრად იყო შეცვლილი. მათი საგარეო პოლიტიკური ვექტორები უკვე ერთმანეთს აღარ ემთხვეოდა.

რა თქმა უნდა, ორივე სახელმწიფოს წინაშე ისევ მათი ბრძოლის საუკუნოვანი პრობლემა იდგა – ეროვნული თვითგადარჩენა, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდა რესპუბლიკების თვითგადარჩენის პრობლემა სომეხთა ნაციონა-ლისტური იდეოლოგიის, გლობალური პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებითა და ამიერკავკასიის რეგიონში არსებული საერთო მდგომარეობის გამო, უკვე ამოვარდნილი იყო ურთიერთინტერესებიდან. შესაბამისად, მათი მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზებიც საფუძველშივე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესთა ვექტორები მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ქართველთათვის ქართული სახელმწიფოებრივი ყოფის ეროვნული მეხსიერება ჯერ კიდევ ცოცხალი და რეალური იყო, ანუ, ქართველებს საკმაოდ ნათლად ესახებოდათ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი მისი ყველა ასპექტის ჩათვლით, თუნდაც 1801 წლის მდგომარეობით. სომხებისათვის კი არსებული მდგომარეობა განსხვავებულ იყო. აქ დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს ცნება, მხოლოდ და მხოლოდ ღრმად მივიწყებული, სადღაც დალექილი იდეის დონეზე იყო მოაზრებული. რვაასწლიანმა უცხოურმა ბატონობამ ახლად გამოჩეკილ ეროვნულ აზროვნებას რეალიზმის გრძნობა დაუკარგა და ის დილემის წინაშე დააყენა – ან აღდგენილი ყოფილი „რუსეთის სომხეთი'' (ერევნის გუბერნია) და გაგრძელებულიყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნები-სათვის ბრძოლა, ან ავტონომიური „თურქეთის სომხეთი'' და მასზე მიბმული ე.წ. „დიადი არმენიის'' ეფემერული იდეის გამოცოცხლება.[1]

სომეხთა ამ ვირტუალურ სახელმწიფოს, „დიადი არმენიის'' შემადგენლობაში, დაშნაკი ლიდერები და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოვანეს კაჩაზნუნი „ხალხთა თვითგამორკვევისა და ეთნიკური პრინციპის თანახმად, ახალქალაქის მაზრას მთლიანად და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილს ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიიჩნევდნენ სომხეთის კუთვნილებად, სადავოდ კი მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე

---

[1] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 158.

ტერიტორიებს თვლიდნენ".[1] სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი და ცნობილი დაშნაკი მოღვაწე გიორგი ხატისოვი კი, დამატებით აგრეთვე გორის მაზრის ნაწილსაც ითხოვდნენ, „რომელიც ახალქალაქს ესაზღვრებოდა".[2]

დაშნაკთა მიერ წამოყენებული სწორედ ეს ტერიტორიული პრეტენზიები იქცა ახლადგაჩენილ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური განხეთქილების ვაშლად და სომხეთ-საქართველოს ომის დაწყების მიზეზად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული იდეოლოგიის მიძინებული მდგომარეობიდან გამოსული და დაშნაკთა ექსპანსიონისტური იდეოლოგიით შთაგონებული სომხები ეპოქის შექმნილ საერთაშორისო ურთულეს მდგომარეობაში ვერ გაერკვნენ და ილუზორულ მიზნებზე გააკეთეს გათვლები. დაშნაკური იდეოლოგიის ბელადებმა მეორე, ავანტიურისტული არჩევანი მიიღეს და ამით ამიერკავკასია-ანატოლიის ხალხები და თვით სომეხი ერი, დიდი საფრთხის წინაშე დააყენეს.

დიდმა პოლიტიკამ ისე ინება, რომ სომხეთი და საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ფაქტიურად ერთმანეთის დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ ჩართულნი. „დიადი არმენიის" დაშნაკმა აპოლეგეტებმა ანტანტის – ანტიკაიზერული და ანტიოსმალური ალიანსის მხარე დაიჭირეს, ხოლო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებითი პროგერმანული კურსი დაიკავა.

სომეხთა მიერ პრაანტანტური კურსის არჩევა თავისთავად გულისხმობდა პროცარისტულ კურსსაც, რაც თავის მხრივ „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ" გენერალ ანტონ დენიკინთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ითვალისწინებდა, ხოლო ქართველთათვის ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ გერმანელები აღმოჩნდნენ რეალური მოკავშირეების როლში.[3]

სომეხი და პროსომეხი ავტორები, რა თქმა უნდა, დღემდე ჯიუტად ამტკიცებენ არარატის რესპუბლიკის მთავრობაზე პრაანტანტური და პროდენიკინური ფაქტორების არარსებობას, მაგრამ არსებული დოკუმენტები და ისტორიული ფაქტები თავისთავად მეტყველებენ ამაზე. რუსი ავტორი, ი. შახდინი: „დაშნაკელები ყოველმხრივ იყვნენ დაკავშირებულნი რუს თეთრგვარდიელებთან, დაწყებული მთავრობის წევრებიდან და დამთავრებული ცნობილი ანდრანიკით".[4]

დაშნაკთა გათვლა გენერალ დენიკინსა და მის მხარდაჭერაზე შემდეგში მდგომარეობდა: „პოლკოვნიკ ვლასოვის აზრით, დახმარება, რაზეც შეიძლება დაშნაკელებს გაეკეთებინათ მოხალისეთა არმიაზე ანგარიში მენშევიკურ საქართველოსთან საბრძოლველად, შემდეგში მდგომარეობდა:

ა) საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება და მათი გაგზავნა ბათუმის გავლით სომხეთში, რომლებიც შეძლებდნენ დამოუკიდებელი ამოცანების გადაჭრას.

ბ) საბრძოლო მასალებისა და სურსათის გაგზავნა.

გ) სოჭის დაკავება და ამით საქართველოზე ზეწოლის განხორციელება სოხუმის შემდგომი დაკავების მუქარით.

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 32, ფურცელი 3.

[2] სცსაა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 50, ფურცელი 4.

[3] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 159.

[4] И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. Стр. 13.

დ) გერმანიიდან და ავსტრიიდან წამოსული ტყვეების შეიარაღება და მათი გაგზავნა სომხეთში სომხური ნაციონალური ნაწილების შესავსებად".[1]

მართლაც, შემდგომში განვითარებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა ცალსახად დაგვანახა, რომ საქართველოსთან მიმართებაში ამ გათვლის ყველა პუნქტი ზუსტად შესრულდა, რამაც უკვე სომხეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დროს, 1918 წლის ბოლოს, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ქართული მხარე.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალების სამეთაურო და რიგით შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ კავკასიის არმიის ეროვნებით რუს სამხედრო მოსამსახურეებს. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის დაზვერვის ოფიცრის, ვ. თევზაძის მემუარიდან: „სომხეთის მდგომარეობაც კრიტიკული იყო. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ეროვნების სიძულვილი სომხებს აზერბაიჯანისადმი და ოსმალეთისადმი აიძულებდა მათ მფარველის ძებნას, ამად რუსეთს თვლიდნენ და თავისი ჯარის მოწყობა ყოფილი რუსეთის ოფიცრებს, ტომით რუსებს დააკისრეს. მუდმივ კავშირში იყვნენ კონტრრევოლუციონერ გენერლებთან. ესენი სომხეთის ჯარს თავის გამოყოფილ კორპუსად სთვლიდნენ. რიცხვითაც ბევრნი იყვნენ, რადგან დიდი სიძნელეების გამო ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნებას, სომხეთში დარჩენას არჩევდნენ".[2]

ყოფილი მეფის რუსეთის არმიის რუს ოფიცრებს სომხეთის არმიაში მნიშვნელოვანი სამეთაურო თანამდებობები ეკავათ. ისინი მთელ ნაწილებსა და მიმართულებებსაც კი მეთაურობდნენ, ხოლო საშტაბო თანამდებობები, ფაქტობრივად, მთლიანად გენერალ დენიკინის „დობროარმიის" ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. გენერალ კვინიტაძის თქმით: „ჩვენმა ოფიცრობამ სომხურ ჯარს „დენიკინის მე-7 კორპუსი" შეარქვა."[3]

და მართლაც, 1918 წლის 1 ნოემბერს გამართულ ყუბანის სამხარეო რადის საზეიმო სხდომაზე გენერალი დენიკინი აცხადებდა: „მიუხედავად ცალკეული განსხვავებისა, მაინც შესაძლებელია ჩვენი გაერთიანება დონთან, ყირიმთან, თერგთან, სომხეთთან, კასპიისპირა ოლქთან".[4]

ისევ ი. შახდინი: „სომხეთის არმიაში უმაღლესი სამეთაურო თანამდებობების დიდი ნაწილი დენიკინელ ოფიცრებს ეკავათ. სომხეთის ჯარის შარურის რაიონის სამხედრო უფროსად სომხეთის მთავრობის მიერ დენიკინელი პოლკოვნიკი – სპიცინი დაინიშნა, ხოლო სომხური შეიარაღებული ძალების შტაბი ფაქტიურად მთლიანად დენიკინელების ხელში იყო."[5] ეკატერინოდარში ჩასული „სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი", პოლკოვნიკი ზინკევიჩი კი, ერევანში უკვე „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო წარმომადგენლად" დაბრუნდა. აქ იგი „გამოკვეთილად საზეიმო, უმაღლესი რიტუალის" დაცვით იქნა მიღებული.

გენერალი დენიკინი: „ამგვარად, ჩვენი „სომხეთთან კავშირი", რომელიც ასე აშინებდათ ქართველებს და არ მოსწონდათ ინგლისელებს, ქართველების ერთ-ერთ ლეგენდას განეკუთვნება. მაგრამ ყველაფერმა ამან ჩვენ უეჭველად დიდი სამსახური გაგვიწია, რადგან აზერბაიჯანისა და საქართველოს ძალისხმევის გადატანა გამოიწვია ამ

---

[1] И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. Стр. 14.

[2] ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება". 1990. გვ. 17.

[3] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 56.

[4] И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. Стр. 5.

[5] დასახელებული ნაშრომი. გვ. 10-11.

მიმართულებით და მათი საომარი ჟინი გაანელა. ისინი თვლიდნენ, რომ ჩრდილოეთის მიმართულებაზე შეტევითი მოქმედებების დაწყება, მათ ზურგს გააშიშვლებდა სომხეთის არმიის მხრიდან დარტყმის შემთხვევაში.[1]

თავის მემუარში გენერალი დენიკინი იმ დახმარებებზეც საუბრობს, რასაც იგი სომხეთს უწევდა: „ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში ჩვენ გარკვეულ დახმარებას ვუწევდით სომხეთს, ძირითადში მათი ლტოლვილებზე ზრუნვითა და და მათი რეევაკუაციით. პურის გაგზავნა საქართველოს გავლით შეუძლებელი იყო. 1919 წლის იანვარში გაგზავნილი პური და სატრანსპორტო საშუალებები ქართველების მიერ იქნა დაკავებული. და მიუხედავად ამისა, ივლისში, ყველაზე მძიმე წუთებში, ჩვენ მოვახერხეთ და უდიდესი სიძნელეების დაძლევით, საქართველოს გვერდის ავლით, ბათუმის პორტიდან არდაგანის გზით ერევანში გადავაგზავნეთ რამდენიმე მილიონი ცალი ვაზნა.[2]

„მოხალისეთა" მიმართ სწორედ სოხუმისა და სოჭის ოლქების სომხური მოსახლეობის ლოიალური დამოკიდებულება წარმოადგენდა გენერალ დენიკინისათვის დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის საფუძველსა და საბაბს, რაც ამ საკითხთან დაკავშირებული ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტებითაც დასტურდება.

დაშნაკი ექსტრემისტების ანტიქართული იდეოლოგია კი, დენიკინელთა მძლავრ საყრდენ ძალად და საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული საბრძოლო მოქმედებების ამძრავ ტრიგერად იქცნენ შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში, რამაც საბოლოო ჯამში, „თეთრ რუსეთსა" და საქართველოს პირველ რესპუბლიკას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები და სასაზღვრო კონფლიქტი მსხვილმასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაზარდა.

§6. I მსოფლიო ომის დასრულება და ბრიტანელები ამიერკავკასიაში

I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაყვეტილებით, ამიერკავკასია ბრიტანელთა ერთპიროვნული მანდატის ზონად ცხადდება, სადაც შემოსვლას იწყებენ ბრიტანული საოკუპაციო ჯარები. ბრიტანელები ტრიუმფატორებად შემოვიდნენ ამიერკავკასიაში და შესაბამისად, მათი შემდგომი მოქმედებების სტრატეგიას ომში გამარჯვებულის სტატუსი განაპირობებდა. ეს სტატუსი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი კოლონიალური პოლიტიკის გატარება იქ, სადაც გერმანელთა და თურქთა აღმოსავლური პრეტენზიები უკვე აღკვეთილი იყო. ამ ბრიტანული სტრატეგიის მთავარ ამოსავალ წერტილს ამიერკავკასიაში ბაქოს ნავთობისა და რეგიონის სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ფლობა, აგრეთვე მათი ტრანსპორტირების უსაფრთხო უზრუნველყოფა წარმოადგენდა დასავლეთისაკენ, ბათუმის პორტის გავლით. სწორედ ამიტომ მოახდინეს

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 321.

[2] იქვე.

ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა 17 ნოემბერს გენერალ-მაიორ უილიამ მონტგომერ ტომსონის (William Montgouimer Thomson) მეთაურობით ჯერ ბაქოს, ხოლო ოდნავ მოგვინებით, ბათუმის ოკუპაცია ბრიგადის გენერალ ჯორჯ ფორესტიე-უოკერის (G. T. Forestie-Walker) ძალებით.[1]

საერთო ჯამში, თბილისში ბრიტანულ სამხედრო მისიას წარმოადგენდა გენერალი ფორესტიე-უოკერი, 27-ე დივიზიის მეთაური, მასთან შეშველებული მე-13 და 89-ე დივიზიის ნაწილებით – სულ 15-20000 კაცი. ამ ძალებით მოახდინეს ბრიტანელებმა მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია. გენერალ ფორესტიე-უოკერის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ გენერლები – მოლისონი (Mollison), მისი ძალები იდგნენ მეშხედში, აშხაბადსა და კრასნოვოდსკში, ტომსონი (Thomson) – ბაქოში, და კუკ-კოლისი (Cook-Collis) – ბათუმში. ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს კავკასიასა და შუა აზიაში კი, ბრიტანელთა ჯარების ყოფილი სარდალი ბალკანეთში, გენერალი ჯორჯ მილნი (George F. Milne) წარმოადგენდა, რომლის შტაბ-ბინაც კონსტანტინოპოლში იყო დაფუძნებული. 1919 წლის გაზაფხულიდან ფორესტიე-უოკერი კანადელმა გენერალ-მაიორმა ჯორჯ ნორტონ კორიმ (George Norton Corey) შეცვალა.[2]

ბრიტანელთათვის ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობა'' და მისი შეიარაღებული ძალები, როგორც ბოლშევიკებთან მებრძოლი ძალა, თავიდანვე მოკავშირედ იქნა აღქმული. მოქმედებების სრული კოორდინაციისათვის დენიკინის მთავრობაში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის სამხედრო-პოლიტიკური წარმომადგენელიც დაინიშნა – გენერალი ფრედერიკ პული (Frederick Cuthbert Poole). 1918 წლის დეკემბერში ბათუმში ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის გემები შემოვიდნენ. ჯარები გადმოსხდნენ და მთელი ბათუმის ოლქის ოკუპაცია მოახდინეს. მათ მიერ ბათუმში მარიონეტული ადმინისტრაციული ორგანო ,,ბათუმის ოლქის მართვის საბჭო'' ჩამოყალიბდა, რომელსაც რუსი ოფიცერი, კადეტთა ლიდერი, პ. მასლოვი ჩაუდგა სათავეში. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია ბრიტანელთა პროდენიკინური პოზიციისა, რის შედეგადაც ოლქის ოკუპაციისთანავე, ბათუმი დენიკინური ძალების შემკრებ პუნქტად, პოლიტიკურ და სამხედრო პლაცდარმად გადაიქცა. ამ საკითხს ჩვენ ნაშრომის შესაბამის ნაწილში მოვფენთ ნათელს უტყუარი დოკუმენტებისა და საარქივო მასალების წარმოდგენით.

ბრიტანელების ამიერკავკასიაში შემოსვლასთან დაკავშირებით, გარკვეული ოპტიმისტური მოლოდინები ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებსაც გაუჩნდათ. ასეთი განწყობები განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ ჰქონდათ. ოპტიმიზმის საფუძველს კი ორი ფაქტორი განაპირობებდა:

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც და დიდ ბრიტანეთსაც ერთი და იგივე მტერი – ბოლშევიკური რუსეთი ჰყავდა;

2. ის რეალობა, რომ I მსოფლიო ომში ბრიტანელთა მოკავშირე რუსეთის არმიის შემადგენლობაში უამრავი ქართველი გენერალი და ოფიცერი იბრძოდა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართველი გენერალიტეტის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ე.წ. ,,კავკასიის ველური დივიზიის'' ყოფილ მეთაურს, გენერალ ლევან (ლენკო) მაღალაშვილს,[3] საკმაოდ რეალურად ეხატებოდა მძლავრი

---

[1] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 474.

[2] Richard Hovanniasian. The 27th division War Diary. Britain, WO 95/4880.

[3] ლევან (ლენკო) მაღალაშვილი (1879-1926) – ქართველი ოფიცერი, კავალერისტი. დაამთავრა პაჟთა კორპუსი და ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებელი. მსახურობდა თერგისა და ამურის კაზაკთა ჯარებში. ჩინეთის ლაშქრობისა (1900-1901) რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1913 წლიდან რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1917 წლის ბოლოდან ,,კავკასიის ველური

ქართული შენაერთის შექმნა ბრიტანელთა დახმარებითა და პატრონაჟით. ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტიც ამაზე მეტყველებს.

1918 წლის 14 დეკემბერი. ტფილისი. სასტუმრო „ორიანტი".
მის აღმატებულება, ბატონ სამხედრო მინისტრს.
მოხსენებითი ბარათი[1]

შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აზრად მომივიდა შევქმნა კორპუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოკავშირეთა მთავრობებთან შეთანხმებით.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ინგლისელები თანახმა იქნებიან მომცენ ყოველივე, რაც ამისათვის მჭირდება: ფული, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და აღჭურვილობა. ამ კორპუსის შექმნით, ერთის მხრივ ახლო მომავალში ჩვენ გვექნება ძლიერი საჯარისო შენაერთი ყოველგვარი დანახარჯების გარეშე, და მეორეს მხრივ – მოვიპოვებთ მოკავშირეთა დიდ სიმპათიებს. რაც მთავარია, მივიღებთ უეჭველ შანსებს მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე მივიღოთ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა.

ზემოთ დასახელებულ ამოცანებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სამსახურში მოეწყოს ის ათასობით ქართველი ოფიცერი, რომლებიც უსამსახურობის გამო, ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი.

ამ მოხსენებით ბარათში განუხილველ საკითხებს მოგახსენებთ მოგვიანებით, პირადად, როდესაც თქვენ ამას ინებებთ.

გენერალ-მაიორი მაღალოვი".[2]

ეს ის გენერალი მაღალაშვილია, რომლის უშუალო მეთაურობითაც „კავკასიის ველური დივიზიის" მიერ 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტიდან დაძრული გადეზერტირებულ და გაყაჩაღებულ რუს ჯარისკაცთა ეშელონები იქნა განადგურებული სადგურ შამქორთან. მანამდე კი ამ ეშელონებმა წაყენებული ულტიმატუმის ძალით დიდი რეკვიზიციები აართვეს ამიერკავკასიის მთავრობას სურსათ-სანოვაგის, სამოსის, ცხენებისა და სხვადასხვა აღჭურვილობის სახით. ამ „ხარკის" გადახდის საფასურად, ამიერკავკასიის დედაქალაქი თბილისი მაშინ დიდ „რევოლუციურ" მოთარეშებას გადაურჩა. „მაგრამ მთავრობა მაინც შიშობდა, ვაი თუ ეშელონები ფოილოს ხიდთან გადმოსხდნენ და ტფილისისაკენ წამოვიდნენო"[3] – იხსენებს გენერალი მაზნიაშვილი, იმ დროისათვის ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორი და ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მათი განადგურების შესახებ.

ბედის ირონიაა ალბათ ის რეალობა, რომ გენერალ მაღალაშვილის სარდლობის ქვეშ არსებული კარგად აღჭურვილი, შეიარაღებული და მომზადებული ქართული კორპუსის შექმნა არათუ ბრიტანელების, არამედ საქართველოს მმართველი პოლიტიკური წრეების ინტერესებშიც არ შედიოდა. ხოლო მოხსენებით ბარათში წარმოდგენილი ერთ-ერთი არგუმენტი ქართველი ოფიცრების დასაქმების შესახებ, სრულიად მიუღებელ იდეას წარმოადგენდა ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის. ეს გზა, ანუ ევროპული ტიპის

დივიზიის" მეთაური. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. მოხალისეთა კორპუსის მეთაური. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. გიორგის ჯვრის კავალერი.

[1] მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს ორიგინალურ საარქივო დოკუმენტს, მანქანაზე ნაბეჭდ ერთ ფურცელს. ზედ ადევს რეზოლუცია – „შენახულ იქნას საიდუმლოების განსაკუთრებული დაცვით".

[2] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 130.

[3] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 19.

მძლავრი ქართული საარმიო კორპუსის შექმნა, ერთხელ უკვე გათელილ და უარყოფილ იქნა ნოე ჟორდანიასა და მისი თანაპარტიელების მიერ.

საუბარი გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინსა და ქართული არმიის შექმნის მისეულ პროექტს შეეხება: „საქართველოში თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო ორი ქვეითი დივიზია, საზღვრის დაცვის დივიზია, რუსული ნიმუშის მიხედვით, კავალერია – დივიზია 3 პოლკად, საჭირო დამატებითი იარაღით და დამოუკიდებელი არტილერიის ბრიგადა, მშვიდობიან პერიოდში საერთო რაოდენობით, დაახლოებით 30-40000 კაცით. თავდაცვის მინისტრმა შეარჩია გენერალი გედევანოვის[1] პერსონა, ძალიან მოწესრიგებული და სიმპატიური დამხმარე, რომელთანაც ჩვენ სიამოვნებით და ნდობით ვმუშაობდით. მე მას განკარგულებაში გადავეცი მაიორი გრაფი ვოლფსკელი და რამდენიმე ოფიცერი. მე დავამუშავე ჩამოსაყალიბებელი ქვედანაყოფის საშტატო განრიგი, ასევე თავდაცვის სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა".[2]

გერმანული პროექტი ჩაიშალა. აღნიშნული კორპუსის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, რადგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აქცენტები და მთელი ძალისხმევა სახალხო გვარდიის შექმნისაკენ მიმართეს. პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სწორედ სახალხო გვარდიას თვლიდნენ ნოე ჟორდანია და მისი თანაპარტიელები რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო და ძალოვან სტრუქტურად, და არა რეგულარულ არმიას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გენერალ მაღალაშვილს მაინც მიეცა საშუალება ჩამოეყალიბებინა სამხედრო შენაერთი, მაგრამ არა ქართული პირადი შემადგენლობით, და არა ბოლშევიკების წინააღმ-დეგ საბრძოლველად, არამედ სომხების წინააღმდეგ და მოხალისეთა ინტერნაციონალური შემადგენლობით სომხეთ-საქართველოს ომში. გენერალ მაღალაშვილის ამ საბრძოლო რაზმის პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს ბორჩალოელი თათრები შეადგენდნენ.[3]

ბრიტანელთათვის კი ის არგუმენტი, რომ საქართველოს მთავრობას ომის მიმდინარეობის ბოლო წელს აშკარა პროგერმანული პოზიციები ეკავა, უფრო წონადი აღმოჩნდა. ამან საბოლოოდ განსაზღვრა ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის ზოგადი დამოკიდებულება ახლადშექმნილი რესპუბლიკის მთავრობისა და მისი შეიარა-ღებული ძალების მიმართ. ეს დამოკიდებულება კი, დენიკინელებთან ურთიერთობებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ იყო მეგობრული, ალბათ უფრო პირიქით. და, მიუხედავად ამისა, ბრიტანელები მაინც იმედოვნებდნენ, რომ ანტიბოლშევიკური ფრონტისა და ზღუდის ორგანიზებაში საქართველო დენიკინელებთან ერთად გამოვიდოდა.

1919 წლის იანვრის ბოლოსათვის ბრიტანული ჯარების განლაგება საქართველოს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ-სტრატეგიულ პუნქტებში ძირითადად დასრულდა.

ინგლისელებმა იმაზეც იზრუნეს, რათა საქართველო ბოლშევიკებისათვის დახუ-რული ზონა ყოფილიყო. ამ მიზნით მათ თავიანთი პიკეტები ჩააყენეს საქართველოს

---

[1] გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი (1870-1937) – პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1917 წელს ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის გამაგრებული რაიონისა და ციხე-სიმაგრის კომენდანტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე (ამხანაგი) სამწყობრო-ოპერატიულ დარგში და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი 1918 წლის ივლისი – 1919 წლის აპრილის პერიოდში. გენერალ იოსებ გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. გიორგის ჯვრის კავალერი.

[2] General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. seite 12.

[3] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 32.

სამხედრო გზაზე დუშეთსა და ყაზბეგში, ჩაკეტეს დარიალის ხეობა. გენერალი ფორესტიე-უოკერი ამასთან დაკავშირებით 2 თებერვალს საქართველოს მთავრობის წევრებს წერდა: „...მე ვაპირებ გავგზავნო ყაზბეგში ყველა სახეობის ბრიტანეთის რაზმი, რომლის საერთო რიცხვი იქნება 400 კაცი. ამ რაზმის ნაწილი, დაახლოებით 60 კაცი ყაზბეგში მივა ამა თვის 8-ში, ...რაზმის დანარჩენი ნაწილი ყაზბეგში ჩავა ამა თვის 8-სა და 18-ს შორის.

ჩემი რაზმი ყაზბეგში იქნება პასუხისმგებელი ბოლშევიკების წინააღმდეგ დარიალის ხეობის დაცვისათვის. რაზმის მეთაურმა ამასთან დაკავშირებით მიიღო ბრძანება იმუშაოს რამდენადაც შესაძლებელია, ყაზბეგში საქართველოს ჯარების უფროსთან ერთად. ჩემი რაზმი არ ჩაერევა არც ყაზბეგის ქართულ ტრადიციებში, არც საშვების გაცემისა და კონტროლის ქართულ წესრიგში...”[1]

ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს რ. ცუხიშვილი, რომ „ბოლშევიკებთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ე.წ. მოხალისეთა არმია, რომელიც ინგლისური გირვანქა სტერლინგისა და ბრიტანელების ძალისხმევით ჩამოყალიბდა. ამასთან, ინგლისიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საქართველოს ანტიბოლ-შევიკურ ფრონტში ჩართვა წარმოადგენდა, და, ცხადია, ამ მიმართებით საჭირო იყო საქართველოსა და მოხალისეთა შორის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა”.[2] მაგრამ ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ავტორის იმ მოსაზრებას, რომ „საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა სამხედრო-პოლიტიკურ ძალას შორის იმთავითვე მტრული ურთიერთობა სუფევდა”.[3]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საწყის ეტაპზე, საქართველოს მთავრობა დენიკინელებს, როგორც ბოლშევიკებთან მებრძოლ ძალას, თავის ბუნებრივ მოკავშირეებად განიხილავდა და ურთიერთობების ამ ეტაპზე, მოხალისეთა არმიასა და შევიზღვისპირეთში მოქმედ გენერალ მაზნიაშვილის შენაერთის მოქმედებებში გარკვეული კოორდინაცია ნამდვილად იყო. შესაბამისად, 1918 წლის შემოდგომიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარ ქალაქებში ნახევრად ოფიციალური სტატუსით „მოხალისეთა არმიის” წარმომადგენლებიც დაფუძნდნენ. თბილისში – ინფანტერიის გენერალი შატილოვი,[4] ბაქოში – პოლკოვნიკი ლაზარევი, ერევანში – პოლკოვნიკი ლესლი, ხოლო ბათუმში – გენერალი რომანკო-რომენენკო. თუმცა ყველაფერს ძალიან მალე მოეფინა ნათელი და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. რუსული იმპერიული ზრახვები ძალიან მალე გამჟღავნდა და ცხადი გახდა, რომ ალექსეევ-დენიკინის იდეოლოგიურ-პოლიტიკური კრედოსათვის აბსოლუტურად არათავსებადი იყო დამოუკიდებლობის ნებისმიერი ხარისხით არსებული ქართული სახელმწიფოს იდეა. მიუხედავად ამისა, ქართულ ოფიციოზში დენიკინური საფრთხის შესახებ პუბლიკაცია მხოლოდ 1919 წლის 9 თებერვალს გამოქვეყნდა. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და აღვნიშნავთ, რომ ეს პუბლიკაცია მხოლოდ

---

[1] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი”. თბილისი. 1995. გვ. 37. Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материлы (1917-1921 г.г.), Тб., 1958. Стр. 370.

[2] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი”. თბილისი. 1995. გვ. 40.

[3] დასახელებული ნაშრომი. გვ.42.

[4] ვლადიმერ პავლოვიჩ შატილოვი (1855-1928) – რუსი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1894 წლიდან პოლკოვნიკი, 31-ე ქვეითი პოლკის მეთაური, 1904 წლიდან გენერალ-მაიორი, ციმბირის 1-ლი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური, თურქესტანის მე-7 მსროლელი ბრიგადის მეთაური. 1908 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი, ციმბირის მე-2 მსროლელი დივიზიის მეთაური, შემდეგ – მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1913 წლიდან კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური, რითაც შეხვდა I მსოფლიო ომის დაწყებას. 1916 წლიდან ინფანტერიის გენერალი, 34-საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის აპრილიდან თადარიგშია, ცხოვრობს ბათუმში. 1918 წლის დასაწყისიდან თეთრგვარდიულ მოძრაობაშია, 1918 წლის ოქტომბრიდან მოხალისეთა თბილისის ცენტრის ხელმძღვანელი. 1919 წლიდან ეკატერინოსლავის კომენდანტი. 1920 წლიდან ემიგრაციაშია. გიორგის ჯვრის კავალერი.

მაშინ დაიბეჭდა პრესაში, როცა დენიკინელთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი შეიარაღებული აგრესია უკვე რეალიზაციის ფაზაში იყო შესული – მოხალისეთა არმიის მეწინავე ქვედანაყოფებს უკვე დაწყებული ჰქონდათ აფხაზეთში ქართული მიწების ინტერვენცია:

„საქართველოს დემოკრატიის წინაშე კვლავ აღიმართა საშინელი საფრთხე, საფრთხე, რომელიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე ოსმალეთის ურდოები. საშიშია იმიტომაც, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს მრავალი რუსეთის ბოლშევიკებისაგან გამოქცეული კონტრ-რევოლუციონერი, რომელსაც საქართველოს დემოკრატიამ თავშესაფარი მისცა როგორც პოლიტიკურ ლტოლვილთ. ეს შავრაზმელები დღეს თვით ამ თავის შემფარებელი დემოკრატიის წინააღმდეგ ირაზმებიან. თბილისი განსაკუთრებით სავსეა ამ ბნელი ელემენტებით...”[1]

§7. დაშნაკები და ბრიტანული ფაქტორი

ძალიან საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. კერძოდ, როგორი იყო რეგიონის ახალი დომინანტი ძალის, ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის დამოკიდებულება „სომხურ საკითხთან” და რა პოზიცია ეკავათ დაშნაკური სომხეთის მმართველ წრეებს ბრიტანელებთან მიმართებაში?

საკითხის არსში სრულად გარკვევისათვის ცოტა უკან უნდა დავიხიოთ და მის გენეზისს უნდა შევეხოთ. ბრიტანულ-სომხურ ურთიერთობებს I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ეყრება საფუძვლები და იგი დაშნაკური საბრძოლო რაზმების შექმნასთანაა დაკავშირებული, რომლებიც ბრიტანელთა მოკავშირე რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში იქნენ ჩართულნი. გარდა ამისა, ოსმალთა იმპერიაში მოქმედი დაშნაკთა ერთ-ერთი შეიარაღებული რაზმის ბაზაზე, I მსოფლიო ომის მსვლელობისას ჩამოყალიბდა სომეხთა ე.წ. „აღმოსავლური ლეგიონი”, რომელიც პალესტინის ფრონტზე გაიგზავნა და იგი ბრიტანელი გენერლის, ედმუნდ ალენბაის[2] (Admund Henry Allenby) შენაერთში იქნა ჩართული.[1]

---

[1] რეაქციის ხმალი. გაზეთი „ერთობა”. ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 9 თებერვალი. №32. გვ. 1.

[2] ედმუნდ ჰენრი ალენბაი (1861-1936) – დიდი ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი და ინგლისელი ფელდმარშალი. ინგლის-ბურების II ომისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. სენდჰერსტის სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ ინიშნება დრაგუნთა მე-6 ბატალიონში. მსახურობდა აფრიკაში. 1897 წლიდან მაიორი. ინგლის-ბურების II ომის (1899-1902) მონაწილე. ომი დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით. 1902 წლიდან ლანსერთა მე-5 სამეფო დივიზიონის მეთაური. 1905-1910 წლებში საკავალერიო ბრიგადის მეთაური. 1910-1914 წლებში კავალერიის ინსპექტორი. I მსოფლიო ომში, 1914 წლიდან დასავლეთის ფრონტზეა, მსახურობს საკავალერიო დივიზიის მეთაურად. 1915 წლის ოქტომბრიდან ინგლისის მე-3 არმიის სარდალი. 1917 წლიდან ეგვიპტის საექსპედიციო კორპუსის სარდალი. 1918 წლიდან პალესტინის ფრონტის სარდალი და სამეფო არმიის ფელდმარშალი. 1918 წლის შემოდგომაზე მისი სარდლობით განვითარებული წარმატებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის („არმაგედონის

ამ გარემოებების გამო სომხები თვლიდნენ, რომ ისინიც, რუსეთის მსგავსად ბრიტანელთა სრულფასოვან მოკავშირეებს წარმოადგენდნენ და ომის გამარჯვებით დასრულების შემთხვევაში, სრულად უნდა ესარგებლად გამარჯვებულის სტატუსით.

I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის, პარიზში გამომავალი ჟურნალ „ჰუნჩაკის'' მოწინავე სტატიის მოწოდება მსოფლიოს სრულიად სომეხთა მიმართ: „სრულიად სომეხმა ხალხმა უნდა მოუხმოს თავის მორალურ და მატერიალურ ნებას და მაღლა ასწიოს რევოლუციის მახვილი! სრულიად სომხეთი უნდა ჩაერთოს ამ მსოფლიო კონფლიქტში, როგორც ანტანტისა და განსაკუთრებით რუსეთის იარაღის ამხანაგი. ისინი უნდა გაერთიანდნენ და სრული სარგებელი უნდა მიიღონ იმ საბოლოო გამარჯვებისაგან, რასაც სომხეთი, ქილიკია, კავკასია მიაღწევს...''[2]

და აი დადგა დრო, როდესაც დაშნაკთა „მაღლა აწეულ რევოლუციურ მახვილს'' თავისი შედეგები უნდა გამოეღო, დაშნაკებს გამარჯვებულის „პრიზი'' უნდა რგებოდათ. ამ „პრიზს'' კი, დაშნაკი იდეოლოგების აზრით, „სადავო'' ქართული მიწები წარმოადგენდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სომეხ დაშნაკთა მიერ წამოწყებული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც სულ მალე გადაიზარდა სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში, იმ ერთიანი ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში 1918 წლის ბოლოსათვის ახლადშექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებებზე იყო გათვლილი. როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, პეტრე გელეიშვილი (ყარიბი) წერდა:

„დაშნაკცაკანელი მოღვაწეები მუდმივად ოცნებობდნენ ტერიტორიების გაზრდაზე საქართველოს ხარჯზე. მაგრამ სხვა დროს, სხვა ვითარებაში, ისინი ვერ გაბედავდნენ წასულიყვნენ რბილად რომ ვთქვათ, მათთვის ესოდენ სარისკო ავანტიურაზე. ისინი მხოლოდ ემზადებოდნენ და უცდიდნენ იმ ხელსაყრელ შემთხვევას, როცა თავისი სანუკვარი მიზნების განხორციელების საშუალება მიეცემოდათ. და ასეთი ხელსაყრელო დროც დადგა. მსოფლიო პოლიტიკაში თავბრუდამხვევი ცვლილებები მოხდა. გერმანიამ, რომელიც საქართველოს მფარველად ითვლებოდა, მარცხი განიცადა და ჰეგემონია მოკავშირეებს დაუთმო. გერმანიის იმპერიის დაცემა სულაც არ იყო მოულოდნელი. დაკვირვებული თვალი თვენახევარი-ორი თვით ადრე იწინასწარმეტყველებდა გერ-მანიისათვის ასეთ დასასრულს. და იყნოსა რა (ზუსტად ეს სიტყვებია, и почуявъ – ა. ჩ.) ეს ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში, სომხეთის მთავრობამ დაიწყო მზადება, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო ამ ცვლილებებისგან''.[3]

და შემდეგ:

– საქართველოს რესპუბლიკის მზე ჩაესვენა. მოვლენ ინგლისელები და ფრანგები და საქართველოს დამოუკიდებლობასაც მოეღება ბოლო – ისმოდა ბოროტი წინასწარმეტყველება. ყველა ასე ფიქრობდა საქართველოს შესახებ. დაშნაკებმა კი ამაზე ააგეს მთელი თავისი შემდგომი პოლიტიკა. მათემატიკური სიზუსტით შეიძლება იმის

ოპერაცია'') შედეგად, გარღვეულ იქნა გერმანულ-ოსმალური საარმიო შენაერთებით გამაგრებული პალესტინის ფრონტი. ბრიტანული შენაერთების მიერ იერუსალიმის, დამასკოს, ბეირუთისა და ალეპოს დაკავების შემდეგ ოსმალეთის იმპერია უსიტყვო კაპიტულაციას აცხადებს. ფელდმარშალი ალენბაი ითვლება კავალერიის გამოყენებით უკანასკნელი კლასიკური ბრძოლის სტრატეგოსად და სტრატეგია ბლიცკრიგის ელემენტების ერთ-ერთი პირველი გამოყენების ავტორად.

[1] Louis Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. Assembly of Turkish American Assosiation. www.ataa.org.

[2] გაზეთი „ჰუნჩაკი''. 1914. 7 ნოემბერი. პარიზი.

[3] Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. Стр. 214-215.

დამტკიცება, რომ მოკავშირეების წარმატებებთან ერთად, სომხეთის მთავრობის საბრძოლო ტემპერატურაც იწევდა საქართველოს წინააღმდეგ. და გადმოსხდომაც ვერ მოასწრეს ბათუმში გერმანელებზე გამარჯვების პირველმა მახარობელმა ინგლისელებმა და ფრანგებმა, რომ ყოველგვარი ომის გამოცხადების გარეშე, სომხები საქართველოს საზღვრებზე გადმოვიდნენ''.[1]

აქ ცოტა წინ გავუსწრებთ მოვლენებს და სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელთა იმ სიტყვას გაგაცნობთ, რომელითაც ისინი ბრიტანელთა ბათუმში შემოსვლას მიესალმნენ:

,,თუ ბაქოში ბრიტანელთა შემოსვლის ინიციატივა ბაქოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს ეკუთვნოდა (აქ გენერალ ლაიონელ დანსტერვილის (Lionel Dunsterwille) საექსპადიციო კორპუსის შემოსვლა იგულისხმება ბაქოში 1918 წლის აგვისტოს თვეში – ა. ჩ.), 1919 წელს ინგლისელებმა ბათუმის ოკუპაცია ყოველგვარი განსაკუთრებული მოწვევების გარეშეც მოახდინეს. სადესანტო ჯარების სათავეში მოსულ გენერალ ფორესტიე-უოკერს ბათუმში დაშნაკური მთავრობის სამხედრო წარმომადგენლები დახვდნენ – გენერალი არეშიევი და კორნეტი მელიქოვი, რომლებმაც შემდეგი სიტყვებით მიმართეს ბრიტანელებს: ,,სომხები სრულად იზიარებენ ამ ღირსშესანიშნავი დღის სიხარულს. და ღმერთმა შეისმინა ჩვენი ლოცვა-ვედრება მოკავშირეთა გამარჯვების შესახებ, რითაც ჩვენც გავხდით ამ დიდი ზეიმის მონაწილენი''.[2]

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემისა და დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე ცალსახად მტკიცდება, რომ სომეხ დაშნაკთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედებები ბრიტანელთა დიდი იდეოლოგიური მხარდაჭერითა და წაქეზებით განხორციელდა. როგორც შესაბამის პარაგრაფში აღვნიშნეთ, ასევე დიდი იყო ,,სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის'' გენერალ დენიკინის მხარდაჭერა და მისი ,,დობროარმიის" დახმარების იმედი.

ისე ჩანდა, რომ 1918 წლის 17 ნოემბრიდან, ამიერკავკასიაში ბრიტანელთა მეორედ შემოსვლით, ბრიტანელები სომეხთა ილუზორული ,,მფარველი ანგელოზებიდან'' რეალურ დამხმარე ძალად უნდა ქცეულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ამაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი თავად დაშნაკი ლიდერები. მათი ღრმა რწმენით, ბრიტანელების, ამ ,,ზღვით მოვლენილი უფრთო ანგელოზების'' ,,მეორედ შემოსვლა'' ამიერკავკასიაში, მართლაც ,,მეორედ მოსვლად'' უნდა ქცეულიყო მთელი ამიერკავკასიისა და იქ მაცხოვრებელი სხვა ხალხებისათვის, ხოლო სომეხთათვის აღთქმული ქვეყნის – ,,დიადი არმენიის'' დაბადების წინაპირობად.[3]

აი, ბატონი ირაკლი წერეთლის შეფასებაც:

,,ბატონებო, როცა ერევნის მთავრობა ჩვენ წინააღმდეგ წამოვიდა, ის ეყრდნობოდა არა მარტო მხედრულ ძალას და არა მარტო იარაღის იმედს. არა, მისი მეცადინეობა მდგომარეობდა იმაში, რომ განემარტოებინა საქართველო, დაეპირისპირებინა ჩვენთვის არა მარტო თავისი ჯარი, არამედ აგრეთვე გარეშე, უფრო ძლიერი ძალა. ეს, ბატონებო ბევრმა აღნიშნეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდა სომხის მთავრობა სწორედ იმ დროს და იმ ანგარიშით, რომ საშუალება მისცემოდა გარეშე ძალა ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებინა... მთელი თავისი პრესისა და აგენტების მეშვეობით დაშნაკები არწმუნებდნენ

---

[1] Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. Стр. 216-217.

[2] И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. Стр. 37. Архив русской революции, том IX, 1923. Стр. 164.

[3] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 422.

მოსულ ძალას: თქვენ საქმე გაქვთ გერმანიის მოკავშირესთან, რომელიც ლამობდა გერმანიის თქვენზე გამარჯვება გამოეყენებინა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ".[1]

რაც არ უნდა ხმამაღლა ამტკიცონ სომეხმა პუბლიცისტებმა და სხვადასხვა ავტორებმა ბრიტანული და ცარისტული ფაქტორების არარსებობაზე დაშნაკურ აგრესიასთან მიმართებაში საქართველოს წინააღმდეგ – ფაქტი ფაქტად რჩება და ეს საკითხი დღესავით ნათელია. სომეხი და პროსომეხი ავტორების ამ მტკიცებებს სრული ობიექტურობისათვის ისევ და ისევ სომეხი ავტორის ციტატას დავუპირისპირებთ. სხვანაირად შეიძლება არაობიექტურობასა და ტენდენციურობაში დაგვდონ ბრალი.

ეს ავტორი, არც მეტი და არც ნაკლები – ოვანეს კაჩაზნუნია, დიახ, ოვანეს კაჩაზნუნი, არარატის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი. მისი აღსარებითი ხასიათის მემუარს კი, „The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) has nothing to do any more'' („სომეხთა რევოლუციურ ფედერაციას (დაშნაკცუტიუნი) არაფერი აღარა აქვს საკეთებელი")-დან ბრიტანელებთან მიმართებაში შემდეგი სახე აქვს:

„მაისის ბოლოსათვის (აქ აშკარად შეცდომითაა დასახელებული ბრიტანელთა სამხედრო კონტინგენტის ბათუმში შემოსვლის თარიღი – ა. ჩ.) ბათუმში ინგლისელთა ჯარები გადმოსხდნენ – ჩვენი მოკავშირეების ჯარები. ჩვენ ახალი იმედები ჩაგვესახა. ისე ჩანდა, რომ ჩვენი მდგომარეობა ამიერკავკასიაში ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო. გამარჯვებულები და გერმანელთა შემცვლელები თბილისში ხომ ჩვენი მოკავშირეები იყვნენ. ჩვენ ხომ საერთო მტრის წინააღმდეგ ვიბრძოდით ერთად. ბუნებრივია, რომ ჩვენ ინგლისელთა განსაკუთრებული კეთილგანწყობით უნდა გვესარგებლა..."[2]

ჩვენ არ მოგვეპოვება იმის დამადასტურებელი ცალსახა პირველწყაროები და პირდაპირი მტკიცებულებები, სადაც ერთმნიშვნელოვნად იქნებოდა გამომზეურებული ბრიტანელთა ის დირექტიული მითითებები დაშნაკებისადმი, რითაც ღია საომარი მოქმედებების ინიცირება მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ასეთი დოკუმენტი თუ ოდესმე არსებობდა კიდეც ბუნებაში, ცხადია, დღეს უკვე განადგურებული იქნება, ან უკიდურეს შემთხვევაში მკაცრად გასაიდუმლოებული და დაცულია თვით დაშნაკთა მიერ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ამ მოსაზრების მართებულობაზე ზემოთ წარმოდგენილი მასალების გარდა, სხვა უამრავი ირიბი მტკიცებულება მიუთითებს. ელემენტარული ლოგიკაც ამას გვკარნახობს. სხვათა შორის, ეს ირიბი მტკიცებულებები თვით სომეხ ავტორთა ნაშრომებშიც უხვად მოიპოვება.

ეროვნებით სომეხი, ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, პროფესორი რიჩარდ ოვანესიანი: „ყარაქილისაში (კომუნისტური ეპოქის კიროვაკანი, დღევანდელი ვანაძორი – ა. ჩ.), ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ჯარების სატრანსპორტო ოფიცერმა, კაპიტანმა გრინმა (E. Green), რომელიც ბაქოდან იყო ჩამოსული, მედიატორობა შესთავაზა სომხურ მხარეს. სომხეთი დაუყოვნებლივ დაეთანხმა და დელეგაციაც დანიშნა, რომელსაც შეხვედრა უნდა მოეწყო კაპიტან გრინსა და ქართველ წარმომადგენლებს შორის. ეს ჯგუფი შედგებოდა მარტიროს არუთიუნიანის (თავმჯდომარე) და სუმბათ ხაჩატრიანის (დაშნაკი), სტეფან მამიკონიანის (უპარტიო), არშამ ხონთქარიანისა (სოციალისტ-რევოლუციონერი) და გრიგოლ ტერ-ხაჩატრიანისაგან (სახალხო პარტია). – ყველანი ხორურდის (სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტი – ა. ჩ.) წევრები. (სხვადასხვა

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 10. 01. 1919. №6.

[2] Бахтияр Наджафов. „Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая''. Баку. 1994. Стр. 170-171. Hovannes Kachaznouny. ''The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) has hothing to do any more''. New-York. 1955. Edited by John Roy Carlson.

პარტიების დასახელებით ავტორი დაშნაკური ფსევდოპარლამენტის ვითომ მრავალპარ-ტიულობასა და დემოკრატიულობაზე ცდილობს აქცენტის გაკეთებას. პირწავარდნილი დაშნაკის, მარტიროს არუთიუნიანის პარტიულობას კი იგი არ ასახელებს და მას მხოლოდ „თავმჯდომარედ'' მოიხსენიებს. თვით ოვანეს კაჩაზნუნის აღნიშნული ნაშრომის შესაბამის თავში მოყვანილი აღსარებიდან კარგადაა ცნობილი, თუ რას წარმოადგენდა რეალურად სომხეთის პირველი რესპუბლიკის ე.წ. „პარლამენტი'' – ა. ჩ.)

ტიგრანიანმა ტელეგრაფით შეატყობინა ტფილისის მთავრობას, რომ დელეგაცია ყარაქილისაში მიემგზავრებოდა და თხოვა ქართველ ხელისუფალთ, რომ მათაც განეხილათ ეს საკითხი კაპიტან გრინთან. მან (დელეგაციამ – ა. ჩ.) კიდევ ერთხელ გამოთქვა წუხილი საქართველოს „იმპერიალისტური პოლიტიკის'' გამო, (Sic!) რამაც აიძულა სომხეთი დაეცვა თავისი მოქალაქეები(?!) და იგი კიდევ ერთხელ გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ორმხრივი შეხვედრა დაასტაბილურებს სიტუაციას ორ ხალხს შორის, რომელთაც „ასე ბევრი ისტორიული ტრადიცია აქვთ, რომლითაც გამსჭვალულია მათი საერთო კულტურული იდეალები''.

ეს ამონარიდი საარქივო მასალებზეა დაფუძნებული – სომხეთის რესპუბლიკის არქივი. ფაილი 65/1. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. 1918 წლის 18 დეკემბერი. მაგრამ ეს, ან მსგავსი ხასიათის დოკუ-მენტი არც ქართულ არქივთსაცავებში არ არის დაცული და არც ერთ ოფიციალურ ქართულ პუბლიკაციაში არ არის მოხსენიებული. ვგულისხმობთ „Документы и матеръялы Грузино-Армянскихъ отношеній'' და „Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній''.

შემდეგ ავტორი აგრძელებს: „ყარაქილისაში კაპიტანი გრინი და სომხური დელეგაცია ტყუილად ელოდა ქართველ წარმომადგენელს. შექმნილი მდგომარეობის გამო, გასაკვირიც იქნებოდა, რომ საომარ ზონაში, რომლითაც გაყოფილი იყო ორი მხარე, რომელიმე ქართველი გამოჩენილიყო. როგორც ჩანს, სრულად რომ აერია თავგზა, კაპიტანი გრინი ბაქოში გაემგზავრა გენერალ-მაიორ ტომსონთან პატაკის ჩასაბარებლად, რომ შემდეგ დაბრუნებულიყო შემდგომი ინსტრუქციებით აღჭურვილი. მას შემდეგ იგი არც არავის უნახავს თვალით და არც არაფერი სმენიათ მის შესახებ.''[1]

იმავე გვერდის სქოლიოში ავტორი, ჯამალიანის[2] ნაშრომის „Hai-Vratsakan knjire'' (სომეხ-ქართველთა ომი – ა. ჩაჩხიანი.) გვ. 193-194, დენიკინის „Очерки русской смуты''. IV, გვ. 153-154, აგრეთვე ბრიტანეთის ომის არქივის WO 95/4955 და Cab. 27/39, E. C. 2980. მასალებზე დაყრდნობით გვამცნობს:„შეხვედრა სანაინში უნდა შემდგარიყო, მაგრამ რადგან ქართულმა მხარემ წარმომადგენლობა არ გამოაგზავნა, გრინი ბაქოში დაბრუნდა 25 დეკემბერს, ვორჩესტერის მე-9 ბატალიონის საომარ მოქმედებათა საშტაბო დღიურის მონაცემებით. არც ბატალიონისა და არც 39-ე ბრიგადის შტაბების საომარ მოქმედებათა დღიურებში არ არის ნახსენები გრინის საქმიანობის შესახებ ყარაქილისაში. 1919 წლის 4 იანვარს კაპიტანი გრინი ბაქოს რაიონის რკინიგზის ტრანსპორტის ოფიცრად დაინიშნა''.[3]

ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ ეს არცთუ ისე მოკლე ამონარიდი მოგვეყვანა. იგი საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და მნიშვნელოვანი ანალიტიკური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

---

[1] Richard G. Hovannisian. ''The republic of Armenia. The first year, 1918-1919''. University of California Press, Berkley and Los Angeles, 1971. Pg. 110-111.

[2] არშაკ ჯამალიანი – ცნობილი სომეხი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1918 წელს სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში. შემდგომში სომხეთის კომუნიკაციების მინისტრი.

[3] Richard Hovanniasian. Britain. WO 95/4955. Cab. 27/39, E. C. 2980. Pg. 112.

ვინ იყო კაპიტანი ე. გრინი? ოვანესიანის მიხედვით, ბრიტანულ საარქივო მასალებზე (Britain, WO 95/4955) დაყრდნობით, კაპიტანი ე. გრინი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების 39-ე ბრიგადის ვორჩესტერის პოლკის მე-9 ბატალიონის შტაბში მსახურობდა და მას სატრანსპორტო ოფიცრის თანამდებობა ეკავა. იგი ბაქოდან ალექსანდროპოლისისაკენ პირადად გენერალ ტომსონის დავალებით, 1918 წლის 6 დეკემბერს გამოემგზავრა, თუმცა ბატალიონის საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში არაა დაფიქსირებული მისი ამ ვოიაჟის მიზნების შესახებ. ასეთი რამეები კი საომარი მოქმედებების რაიონში, ან საოკუპაციო ზონაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილების საშტაბო საქმისწარმოებაში და ცირკულარების შედგენისას არ ხდება.

პირადი შემადგენლობის ნებისმიერი სახის აქტივობა და გადაადგილებები, ისიც არაკეთილმოსურნე ტერიტორიებზე, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ხორციელდება, რაც ფიქსირდება კიდეც საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში. კაპიტან გრინის შემთხვევაში კი მსგავს ფორმალობებს ადგილი არ ჰქონია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი სატრანსპორტო ოფიცერი იყო და გენერალ ტომსონის განსაკუთრებული ინტერესების სფეროს ბაქო–თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის მონაკვეთი, ალავერდი-ახტალის ფერადი ლითონების საბადოები და რეგიონის სამრეწველო ინფრასტრუქტურა წარმოადგენდა, მაშინ საკმაო საფუძველი არსებობს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კაპიტანი გრინი ლორე-ბამბაკის რეგიონში სპეციალური, საიდუმლო მისიის შესასრულებლად იყო მივლინებული. სწორედ ამიტომ არაა დაფიქსირებული ცნობები ბატალიონის საომარ მოქმედებათა ჟურნალში მისი ამ ვოიაჟის მიზნის შესახებ.

ცნობილი ფაქტია, რომ მას ალექსანდროპოლისამდე არ ჩაუღწევია და იგი ყარაქილისაში, სომეხთა საომარი მოქმედებების მთავარ საველე შტაბში შეჩერდა, სავარაუდოდ 7-8 დეკემბრისათვის. ამ მომენტისათვის, 6 დეკემბერს დაწყებული აგრესიის შედეგად, სომხურ სამხედრო ნაწილებს უკვე ჰქონდათ ოკუპირებული ახალქალაქის მაზრის გარკვეული ნაწილი. ამავე დროს, კაპიტანი გრინი ყარაქილისაში შემოვლითი გზით ისე მოხვდა, რომ ქართულ მხარესთან არავითარ კონტაქტში არ შესულა. სწორედ ამ მომენტიდან, 9 დეკემბრიდან იწყება სომხური სამხედრო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების ღია შეიარაღებული აგრესიაც ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში დისლოცირებული ქართული საჯარისო ნაწილებისა და სასაზღვრო საგუშაგოების წინააღმდეგ. დამთხვევაა?

გარდა ამისა, კაპიტან გრინთან ერთად ამ მომენტისათვის ყარაქილისაში საფრანგეთის არმიის ოფიცერი, სომხური ენის მცოდნე, კაპიტანი ანტუან პოდებარიც (Antoine Poidebard) იმყოფებოდა, რომელიც გენერალ უილიამ ტომსონის საოკუპაციო ჯარებთან ერთად შემოვიდა ენზელიდან ბაქოში 1918 წლის 17 ნოემბერს.

თავად პოდებარის მემუარის – Voiages au Carrefour des routes de Perse-ის მიხედვით, იგი 13 დეკემბრისათვის უკვე ერევანში იმყოფებოდა.[1] აქაც, ერთობ ნიშანდობლივია, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალებისადმი გაცემული გენერალური შეტევის სამთავრობო ბრძანება 1918 წლის 13 დეკემბრითაა დათარიღებული. ესეც დამთხვევაა? არა გვგონია.

ზუსტად ამ დღესვე, 13 დეკემბერს დატოვა გერმანიის საოკუპაციო ჯარების ძირითადმა კონტინგენტმა საქართველოს მიწა-წყალი ფოთის პორტით. სწორედ 13 დეკემბერს შემოვიდა ბაქოში ენზელიდან და კრასნოვოდსკიდან ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების ძირითადი კონტინგენტიც.[2]

---

[1] Antoine Poidebard. Voiages au Carrefour des routes de Perse. Paris. 1923. pg. 126.

[2] გაზეთი „ერთობა". 19. 12. 1918. №274.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაო საფუძველი გვაქვს გავაკეთოთ ის დასკვნა, რომ სომეხთა ღია შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ სწორედაც რომ ბრიტანელთა მიერ იყო ვიზირებული, რომლის აღსრულებაც ბუნებრივია, გენერალ ტომსონს დაევალა, ხოლო საწყის ეტაპზე სომხურ მხარესთან მეკავშირე ოფიცრებს, მისი საიდუმლო ემისრები, „ორი კაპიტანი'' – ბრიტანელი გრინი და ფრანგი პოდებარი წარმოადგენდნენ.

მიუხედავად სომეხთა დიდი იმედებისა, ბრიტანელები ნამდვილად არ იყვნენ იმისათვის შემოსულები ამიერკავკასიაში, რომ ან „მშვიდობის მტრედის'' როლი ეთამაშათ, ან უფრო დაუჯერებელი – ზღვით მოსული ეს „უფრთო მფარველი ანგელოზები'' „დიადი არმენიის'' ნათლიებად მოვლენოდნენ თავიანთ „პატარა მოკავშირეს''.

ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების მიერ ბაქოს დაკავებისთანავე, 1918 წლის დეკემბრის თვიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარი ქალაქის, თბილისის ოკუპაციის საკითხიც დადგა დღის წესრიგში. საწყის ეტაპზე კი, მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, გენერალ უილიამ ტომსონის მითითებით, დეკემბრის შუა რიცხვებში ბაქოდან თბილისში მოკავშირეთა ბლოკის ოფიცრები, ბრიტანელი ვიცე-პოლკოვნიკი რიჩარდ პრაის ჯორდანი (Richard Price Jordan) და ფრანგი ვიცე-პოლკოვნიკი პიერ-ავგუსტ შარდინიე (Piere-Auguste Chardigny) იქნენ მივლინებულნი. პირველი მათგანი გლოჩესტერშაირის პოლკის მე-7 ბატალიონის მეთაური გახლდათ, (ოდნავ მოგვიანებით იგი დააწინაურეს და ბაქოში დისლოცირებული ბრიტანელთა 39-ე ქვეითი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა), მეორე კი – საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში.[1] მათ მთავარ ამოცანას თბილისი-ბაქო და თბილისი–ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზებზე საინსპექტორო ტურის ჩატარება შეადგენდა, გარდა ამისა – ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების 27-ე დივიზიის ქვედანაყოფებისა და ბრიტანული სამხედრო მისიის შტაბ-ბინის თბილისში განთავსების საკითხების დაზუსტება. მოკავშირეთა ბლოკის ოფიცერთა ამ ჯგუფს გენერალ-მაიორი სერ უილიამ ჰენრი რაიკროფტი (Sir William Henry Rycroft) – ბრიტანეთის სალონიკის არმიის გენერალ-კვარტერმეისტერის მოადგილე ხელმძღვანელობდა.[2]

ვიცე-პოლკოვნიკ ჯორდანის ხელმოწერით წაყენებულ ოფიციალურ მოთხოვნას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყოფის შესახებ, შემდეგი სახე ჰქონდა:

„23 დეკემბერი. 1918. საქართველოს მინისტრ-პრეზიდენტს.

თქვენო აღმატებულებავ, ბაქოში მყოფი მოკავშირეთა ჯარების უფროსის, გენერალ ტომსონისაგან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას განკარგულება მოახდინოს, რომ 1 ბრიგადა ქვეითი ჯარისათვის, 1 ბრიგადა არტი-ლერიისათვის და 1800 ცხენისათვის სადგომი დამზადებულ იქნას და სათანადო სადგომი შტაბისათვის... მე დიდად მადლობელი ვიქნები, თუ ხვალ გამოგზავნით ავტომობილს და 1 ოფიცერს, რომელიც მოკავშირეთა ჯარებისათვის დანიშნულ ბინას დამათვალიერებინებს.

პოლკოვნიკი ჯორდანი''.[3]

ბრიტანელთა მიერ დაშნაკთათვის გაწეული დახმარებები მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისა არ იყო. ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტების თანახმად ის ფაქტიც დასტურდება, რომ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, სომეხთა საველე შტაბთან

---

[1] Richard Hovanniasian. Britain, Cab 27/38, E.C. 2655, 2690, 2721, 2726, 2770. Britain, WO, 95/4955.

[2] Richard Hovanniasian. Britain, Operations in Macedonia, II, Pg. 307.

[3] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა''. №4. კვირა. 1919 წ. 5 იანვარი.

ფუნქციონირებდა ე.წ. „ანგლო-ფრანგული მისიაც". სავარაუდოდ მის დანიშნულებას სომხური არმიის ორგანიზაცია და შეტევითი ოპერაციების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენდა. ეს საარქივო დიკუმენტი წარმოადგენს სომხეთ-საქართველოს ომის სადახლოს პირველ ბრძოლაში ტყვედ აყვანილი სომეხი ოფიცრის ჩვენებას.

ბუნებრივია, ამ ჩვენებიდან მხოლოდ განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ამონარიდს მოვიტანთ:

„დაკითხვის ფურცელი სომეხთა 1-ლი შერეული ცხენოსანი პოლკის შტაბს-როტმისტრის, მარტოროსიანცისა, ტყვედ აყვანილის 18 დეკემბერს, სოფელ სადახლოსთან.

...ხმების თანახმად „დროს"[1] შტაბში იმყოფება ანგლო-ფრანგული მისია. საომარი მოქმედებების მიზანია დაკავებულ იქნას ტერიტორია მდინარე ხრამამდე, შემდგომი წინსვლა ალბათ აღარ მოხდება...

გენშტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლ-კოვნიკი ძაგანია. 1918 წლის 20 დეკემბერი. ქ. ტიფლისი."[2]

როგორც ვხედავთ, როტმისტრ მარტიროსიანცის ჩვენება ზუსტად იმეორებს დაშ-ნაკური სომხეთის მმართველი პოლიტიკური წრეებისა და სამხედრო უწყების სტრა-ტეგიულ მიზანს საქართველოსთან მიმართებაში.

საბოლოოდ, სომხეთ-საქართველოს ომი ისევ ბრიტანელთა ჩარევით დასრულდა საქრთველოსათვის მეტად არასახარბიელო შედეგებით.

ცეცხლის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით კი, ერთობ საინტერესოა ბატონ ნოე ჟორდანიას მოსაზრებები, სადაც კიდევ ერთხელ ჩანს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმი და გადამეტებული ინტერნაციონალიზმი, ქართველ მენშევიკთა გამოუსწორებელი „დემოკრატობაც" და მათ მიერ რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური რეალობების ის არაადეკვატური აღქმაც, რამაც საბოლოო ჯამში სრულ კატასტროფამდე მიიყვანა კიდეც პირველი ქართული რესპუბლიკა. 1919 წლის 7 იანვრის საპარლამენტო გამოსვლის სტენოგრამა:

---

[1] გენერალი დრასთამატ კანაიანი, მეტსახელად – „დრო". (1883-1956) – სომხეთის ეროვნული გმირი, დაშნაკური მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი და ლიდერი, ცნობილი ტერორისტი. I მსოფლიო ომში, 1915 წელს, კავკასიის ფრონტზე მოქმედი ერთ-ერთი დაშნაკური, ე.წ. „პატიზანული" საბრძოლო რაზმის მეთაური. 1916-1917 წლებში ერევნისა და ყარსის გუბერნიებში დაშნაკთა საბრძოლო რაზმების მიერ წარმოებული მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი რეპრესიული და სადამსჯელო ოპერაციების ხელმძღვანელი. 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთების მიერ დაწყებული სამხედრო აგრესიის პერიოდში, სომეხთათვის წარმატებული სარდარაბადისა და ბაშ-აბარანის თავდაცვითი ბრძოლების ფაქტობრივი სარდალი და ხელმძღვანელი. სომხეთის პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სამხედრო კომისარი, სომხეთ-საქართველოს ომში სადახლო-შულავერის ფრონტის ფაქტობრივი სარდალი და ამ ომის ნომინალური მთავარსარდალი. 1920 წლის შემოდგომიდან, სომხეთ-თურქეთის ომის დაწყებასთან დაკავშირეით, სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და დიქტატორი, 1920 წლის დეკემბრიდან კი, სომხეთის გასაბჭოების შემდეგ – სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რეს-პუბლიკის სამხედრო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი. 1921 წლის თებერვლიდან ისევ უბრუნდება დაშნაკურ-ნაციონალისტურ პოზიციებს, სომხეთის ანტიბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი. მისი ხელმძღვანელობით დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა 1921 წლის თებერვლის ბოლოს შეძლეს ერევნისა და მისი რაიონის განთავისუფლება ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის ქვედანაყოფები-საგან. იბრძვის აგრეთვე ზანგეზურსა და ყარაბაღში. ანტიბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, ემიგრაციაშია.

[2] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.

„...მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ არ გვქონდა პოლიტიკური პერსპექტივა, მაშინ როცა ამ ომში აღარ წყდებოდა ტერიტორიის საკითხი, ამ ომის გაგრძელება ამ შემთხვევაში ნიშნავდა არა ომს, არამედ ნიშნავს ურთიერთობის ჟლეტას და დახოცვას და სწორედ ასეთი დახოცვა და ჟლეტა უმიზნოდ ეს შეჰქმნიდა ჩვენში ისეთ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდებოდა შური და მტრობა საქართველოსა და სომხეთს შორის, (გაბაშვილი[1] – ეს ხომ ჩაიდინეთ!)

– ბატონებო, თქვენთვის ეს არ არის საყურადღებო, მაგრამ ჩვენთვის, დემოკრატიისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზედ არის აწყობილი დემოკრატიული წყობილება. თქვენ იცით, რომ ჩვენ აუარებელი დეპეშები მოგვივიდა თვითონ სომხის ხალხისაგან დუშეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებიდან. ყველა ისინი გულისწყრომას გამოსთქვამენ ერევნის მთავრობის წინააღმდეგ, მოგვივიდა დეპეშები თანაგრძნობისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საქართველოში მართლაც რომ იქნება ისეთი ფრონტი, საქართველოს ფრონტი, მიუხედავად ეროვნებისა...

და აი ჩვენ ამ ფრონტს ვაფასებთ და ამ ფრონტზე უნდა იყოს აგებული ჩვენი დემოკრატიის წყობილება. აი, სწორედ ბატონებო, ეს ფრონტი არ მოგწონთ. აქ არის როგორც ვთქვი დემოკრატიული და ამავე დროს საერთაშორისო ნიადაგი, რომელზეც დგას საქართველო, და რომელზედაც აგებულია მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება.

აი, ეს ფრონტი არ მოგწონთ ნაციონალ დემოკრატებს და აქედან არის ჩვენ და მათ შორის სხვაობა. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს ომი არ შეწყვეტილა ან შიშით, ან შემთხვევით. გამოდის ისე, რომ მოვიდა ორი ან ხუთი ინგლისელი და მათ წინაშე შევშინდით. არა, ბატონებო, ჩვენ შიში რა არის არ ვიცით. ჩვენ გამოცდილები ვართ".[2]

მაგრამ ცდებოდა, სამწუხაროდ, მწარედ ცდებოდა ბატონი ნოე. ამ ომში სწორედაც რომ ტერიტორიების საკითხი წყდებოდა. და ომის გაგრძელება არა ხოცვა–ჟლეტის გაგრძელებასა და ურთიერთობების მოსპობას, არამედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და საქართველოს გამთლიანებას მოასწავებდა.

ის ქიმერული „საქართველოს ფრონტი" (ინტერფრონტი) კი (ერთობ ნაცნობი სიტყვათა წყობაა), რომლითაც ასე ამაყობდა „დიდი ნოე" ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში, რეალურად იმ შენელებული მოქმედების ნაღმს წარმოადგენდა ქართულ სინამდვილეში, რომელმაც თავისი შხამიანი და მომაკვდინებელი ნაყოფი უკვე საქართველოს მესამე რესპუბლიკის არსებობისას გამოიღო XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისიდან.

შეშინდა, დიახაც რომ შეშინდა ბატონი ნოე, მაგრამ არა „ორი თუ ხუთი" ინგლისელის, არამედ ტრიუმფატორი დიდი იმპერიის წინაშე და ამაში დასაძრახისიც არაფერი არ იყო. „ჩვენ გამოცდილები ვართო" – ბრძანებდა იგი და ღიმილის მომგვრელია მისი ეს სიტყვები. მით უმეტეს, ღიმილის მომგვრელია მისი პოლიტიკური გამოცდილებით თავის მოწონება ბრიტანელებთან მიმართებაში.

რაც შეეხება ჩვენს საკვლევ თემას და სომხეთ-საქართველოს ომის გამოძახილს აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებზე – მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა აქ განვითარებული მოვლენების როგორც ხასიათი, ასევე ქრონოლოგია. სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1918 წლის

---

[1] რევაზ (რეზო) გაბაშვილი (1882-1969) – მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი. ცნობილი ქართველი პოლიტიკური, ეროვნული და საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონერი, საქართველოში კოოპერაციული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნულ-დემკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მწერალი და პუბლიცისტი.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 07. 01. 1919. №5.

ბოლოდან, ქართული საჯარისო კონტინგენტის დიდი ნაწილი აფხაზეთიდან უკან, თბილისში იქნა გაწვეული. წარმატებული ქართველი გენერალი, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი შულავერის ფრონტის სარდლად დაინიშნა, სომხეთთან ომის დასრულების შემდეგ კი, 1919 წლის დასაწყისში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონში დისლოცირებული ქართული საჯარისო კონტიგენტის სარდლად. სოჭის ფრონტზე იგი გენერალმა ალექსანდრე კონიევმა (ქონიაშვილმა)[1] შეცვალა. თუმცა, ფრონტის გვარდიული ნაწილების რეალურ ხელმძღვანელად ისევ გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი დარჩა.

§8. ბრიტანულ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი

ბრიტანული კონტინგენტის ამიერკავკასიაში შემოსვლისთანავე, ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობა'' და მისი შეიარაღებული ძალები, რომელიც ბრიტანელთათვის ანტანტის ყოფილი წევრის, ცარისტული რუსეთის მემკვიდრედ და ბოლშევიკებთან მებრძოლ ძალად მოიაზრებოდა, დიდ დახმარებებს იღებს ფინანსების სახით. შავი ზღვის პორტებით კი, დენიკინელთათვის იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო აღჭურვილობის შემოტანა იწყება.

ბრიტანეთის პარლამენტში ლორდთა პალატის წინაშე ერთ-ერთი გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, დევიდ ლოიდ-ჯორჯი აღნიშნავდა:

,,ბოლშევიკური მთავრობის ცნობის საკითხი არასდროს არ მდგარა დღის წესრიგში და იგი არც განხილულა. ბოლშევიკურმა მთავრობამ უმძიმესი დანაშაულობები ჩაიდინა მოკავშირეთა ქვეშევრდომების წინააღმდეგ, რაც შეუძლებელს ხდის მის ცნობას, იმ შემთხვევაშიც კი, იგი ცივილიზებული მთავრობა რომ ყოფილიყო. მეორე მიზეზი ისაა, რომ სწორედ ეხლა, ამ მომენტში მათ შეტევა მიაქვთ ჩვენს მოკავშირეებზე რუსეთში.

მე ზიზღსა ვგრძნობ ყოველგვარი ბოლშევიკური მოძღვრების მიმართ და ჩვენ გულმხურვალედ დავსტირივართ მის შემაძრწუნებელ შედეგებს – შიმშილი, სისხლისღვრა, ნგრევა, სიღატაკე და შიში. და მიუხედავად ამისა, სამხედრო ინტერვენცია რუსეთში უდიდესი სისულელე იქნება... ყველას, ვინც კარგად იცნობს რუსეთს, უნდა ესმოდეს, რომ

---

[1] ალექსანდრე ქონიაშვილი (1873-1951) – ქართველი ოფიცერი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. პოლკის მეთაური, სარიყამიშისა და არზრუმის ოპერაციების მონაწილე. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია, ქართული არმიის გენერალი. მეთაურობდა გვარდიულ ნაწილებს. 1918 წლის ბოლოდან აფხაზეთის ფრონტის სარდალი, 1920 წლის ზაფხულში საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის რეგიონში წარმოებული ანტიბოლშევკური სამხედრო კამპანიის ერთ-ერთი მიმართულების მეთაური. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. მსახურობს პოლონეთის არმიაში. პოლონეთის არმიის ბრიგადის მეთაური. გიორგის ჯვრის კავალერი.

მას საკუთარი ძალებით უნდა ვუშველოთ. ერთადერთი რასაც ისინი გვთხოვენ, არის ის, რომ ამისათვის აუცილებელი იარაღი მივაწოდოთ, რომ საშუალება მივცეთ იბრძოლონ თავისუფლებისათვის. ამიტომაც ვთვლი, რომ დახმარება, რომელსაც ჩვენ ვუწევთ დენიკინსა და კოლჩაკს, არ წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ძირითადი პოლიტიკური კურსიდან – სხვის საქმეებში ჩარევის უარყოფიდან, გადახვევას.

ჩვენი პოლიტიკის შემდგომი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოკავშირე ქვეყნებში არ გაჩნდეს შეიარაღებული ბოლშევიზმი. ამიტომ ჩვენ ორგანიზებას ვუკეთებთ მოკავშირე სახელმწიფოთა მთელ ძალებს, რომლებიც ერტყმიან რუსეთს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რომ მათთვის შესაბამისი საშუალებების მიწოდებით შეიქმნას ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის ბოლშევიზმის შემოჭრას".[1]

დენიკინის არმიას პირველ რიგში კავკასიის ფრონტის კუთვნილი ქონება გადაეცა, რომელიც ბათუმის ოლქსა და ბრიტანელთა მიერ კონტროლირებად ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებზე იყო თავმოყრილი. ბათუმში საქართველოს მთავრობის სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი (გენერლების, ალექსანდრე და იოსებ გედევანიშვილების ძმა) 1919 წლის 11 იანვრით დათარიღებულ ტელეგრამაში იტყობინებოდა: „გუშინ სარწმუნო წყაროებიდან მაცნობეს, რომ ბათუმში დარჩენილი სამხედრო ქონება და საბრძოლო მასალა ინგლისელებმა მიიღეს თურქეთისაგან და გადასცემენ დენიკინს. ამ ქონების მისაღებად ბათუმში ჩავიდა გენერალი ოგანოვსკი რამდენიმე ოფიცერთან ერთად. ამ ქონების დატვირთვა გემზე უკვე დაიწყო".[2]

ბრიტანელთა მიერ „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს" მძიმე შეიარაღებაც – ტანკები და თვითმფრინავები მიეწოდებოდა.

უინსტონ ჩერჩილი: „გენერალური შტაბის რჩევით ივლისის თვიდან დაწყებული, ინგლისმა მას დიდი დახმარებების გაწევა დაუწყო და არანაკლებ 250000 შაშხანა, ორასი ქვემეხი, ოცდაათი ტანკი, ვაზნებისა და სხვა საბრძოლო მასალის უზარმაზრი რაოდენობა გაუგზავნა დარდანელითა და შავი ზღვით ნოვოროსიისკში. რამდენიმე ასეული ბრიტანელი ოფიცერი და მოხალისე, მრჩევლები, ინსტრუქტორები, საწყობების უფროსები და ავიატორები დენიკინის არმიის ორგანიზებაში იღებდნენ მონაწილეობას".[3]

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრიტანელთაგან მოხალისეთა არმიას გადაცემული ტანკების გარკვეული რაოდენობა, უკვე მოგვიანებით, დენიკინელთა ნაწილის საქართველოში ინტერნირების შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალების, კერძოდ, სახალხო გვარდიის კუთვნილებად იქცა. ამაზე ცალსახად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ერთი საარქივო დოკუმენტი.

„გზათა მიმოსვლის ინჟენერს კორინთელს.
საიდუმლო, სასწრაფო. 1920 წლის 29 აპრილი.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გთხოვთ მიიღოთ ყველაზე ექსტრენული ზომები გვირაბებთან შემოვლითი გზის გასასუფთავებლად ტანკების (ტექსტი რუსულია. სიტყვა „ტანკები" მთავრულითაა გამოყოფილი – ТАНКОВЪ – ა. ჩ.) ჩამოსაყვანად,

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 252-253.

[2] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 41. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ფონდი 1, საქმე 460. ფურცელი 72.

[3] Черчиль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. http://militera.lib.ru/memo/0/ one /english/churchill2.rar.

რომლებიც იმყოფებიან ყაზბეგში. თავის მხრივ მთავარი შტაბი ამ საქმეში გაგიწევთ ყოველგვარ დახმარებას.

თავმჯდომარის მოადგილე: ხელმოწერილია – ხარაში.

მდივანი: ხელმოწერილია – აუშტროვი".[1]

თუმცა, ქართულმა სახელმწიფომ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა არსებული ტანკების შემდგომი საბრძოლო გამოყენება ვერ შეძლო. ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი დოკუმენტითა და არც ერთი სხვა მასალით ასეთი ფაქტი არ დასტურდება.

ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობასა და დენიკინელებს შორის მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობები ბრიტანელთა მხრიდან მხოლოდ დიდი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარებების გაწევით არ ამოიწურებოდა. ფაქტობრივად ეს იყო ორი თანასწორუფლებიანი პარტნიორის ფართოსპექტრიანი პოლიტიკური და სამხედრო კოალიცია. ბრიტანულ-დენიკინური განსაკუთრებულად გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება ბრიტანელთა ახალი წარმომადგენლის, გენერალ როუტონ ბრიგსის (Rowton Briggs) დანიშვნის შემდეგ დამყარდა.

გენერალი დენიკინი: „ინგლისის მისიის ახალი ხელმძღვანელი, გენერალი ბრიგსი, რომელიც ამ თანამდებობაზე 3 თებერვალს დაინიშნა, ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთის ნამდვილი და კეთილშობილი მეგობარი აღმოჩნდა. იჩენდა რა განსაკუთრებულ მზრუნ-ველობას რუსული არმიის მომარაგების საქმეში, გულწრფელად იზიარებდა ჩვენს საჭიროებებს და ამასთან ერთად დიდ მორალურ დახმარებას უწევდა როგორც ჩვენს სარდლობას, ასევე რუსულ იდეას. ყველგან სადაც კი მას გამოსვლამ მოუწია, დონზე, ყუბანში, ჩეჩნეთში, მისგან მხოლოდ ღირსეული მოწოდებები გვესმოდა ერთიანობისაკენ, რუსული სახელმწიფოებრიობის მხარდაჭერისაკენ. ის კეთილი ინგლისელი და შემსრულებელი ქვეშევრდომი იყო. ყოველთვის, როცა კი მას ლონდონიდან მოსდიოდა ჩვენთვის არასასურველი გადაწყვეტილებების აღსრულების განკარგულება, ის ყოველთვის აგზავნიდა ლონდონში თავის პირად საფუძვლიან პროტესტს (ეს ჩემთვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი)"...[2]

მეტად ნიშანდობლივია ის სუბორდინაციული მდგომარეობა, რომ გენერალი ბრიგსი ემორჩილებოდა არა ამიერკავკასიის ბრიტანულ სარდლობას გენერალ ფორესტიე-უოკერის სახით, ან თუნდაც ბრიტანელთა აღმოსავლური ძალების სარდალს, გენერალ მილნს, არამედ პირდაპირ დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრს, უინსტონ ჩერჩილს.

ბრიტანელთა მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწებზე კი დენიკინელები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახელმწიფოში. ეს მდგომარეობა განსაკუთრებული სიმწვავით ბათუმსა და ბათუმის ოლქში შეინიშნებოდა, რომელიც დენიკინელთა ძალების თავმოყრისა და განაწილების ფაქტობრივ პუნქტს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროს რუსთა ნაციონალურმა საბჭომ ურთიერთობები დაამყარა მოხალისეთა არმიასთან, აღიარა იგი გამაერთიანებელ ცენტრად და მისგან დირექტივებსაც ითხოვდა. როდესაც ბათუმში გენერალი ფორესტიე-უოკერი გამოჩნდა, საბჭომ ბრიტანელთა სარდლობას ოლქის შესახებ მემურანდუმი წარუდგინა იმ უდიდესი დამსახურების შესახებ, რაც რუს მოსახლეობას მიუძღვოდა ოლქის წინაშე მთელი 40 წლის განმავლობაში. მთავარი კი ის იყო, რომ რუსთა ნაციონალურმა საბჭომ ბათუმის ოლქის ადმინისტრა-ციული მოწყობის სქემა-პროექტი წარადგინა.[3]

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი 96.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 155.

[3] დასახელებული ნაშრომი. გვ. 155.

ეს კი შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის უფროსის სამსახურეობრივი პატაკია საზღვრის დაცვის უფროსის სახელზე.

შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის უფროსის №102 1919 წლის
15 მარტის საიდუმლო პატაკის ასლი სასაზღვრო დაცვის უფროსს.

„ჩოლოქის ხიდზე ნატანების უბანზე ოფიცრის მეთაურობით განლაგებულნი არიან ინდუსები – 20 კაცი. საზღვრის გასწვრივ სხვა ჯარები არ არის. ბათუმში მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია, განსაკუთრებით 10 მარტს განხორციელებული სამგზავრო მატარებლის გაძარცვის შემდეგ ქობულეთის სადგურთან ახლოს. რუსები და ინგლისელები ქართველებს ძალიან უხეშად ეპყრობიან. ბათუმიდან ჩვენ ტერიტორიაზე რუსები არაფერს არ ატარებენ, დააფუძნეს საბაჟო. დადის ხმები რომ ბათუმში რუსების მიერ ფორმირდება სასაზღვრო დაცვა და მალე ინგლისელების ნაცვლად საზღვარზე რუსები დადგებიან. ჩოლოქის ხიდზე მდგარი ინგლისელები კარგად არიან ჩაცმულები და ნაკვებნი. ლაპარაკობენ ცოტას, იმდენად, რამდენადაც მათი ენა ჩვენ არ გვესმის.

რაზმის უფროსის მ/შ პოდპოლკოვნიკი მშველიძე".[1]

ბათუმთან ერთად დენიკინელთათვის ძლიერ მხარდამჭერ ფაქტორს თვით თბილისში მცხოვრები ყოფილი ცარისტი გენერალიტეტი და რუს ოფიცერთა კორპუსიც წარმოადგენდა, რომლებმაც მოხალისეთა არმიის საქართველოსთან მოახლოებისთანავე გააქტიურეს თავიანთი მოქმედებები.

„შიფროგრამა №59.
1919 წლის 18 იანვარი. საიდუმლო.
ნატანებიდან. სამხედრო მინისტრს.
გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი.

„ტფილისიდან ბათუმში ჩამოვიდა გენერალი ლევანდოვსკი (I მსოფლიო ომის მიწურულს კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი – ა. ჩ.), რომელმაც კერძო საუბარში გენერალ ოდიშელიძესთან[2] განაცხადა, რომ ბათუმში თავისი პირადი საქმის გამო ჩამოვიდა, კერძოდ მოძებნოს აქ ადგილი, თავისი და თავისი ოჯახისათვის საცხოვრებლად. მაგრამ, ამასთან ერთად დადგენილია, რომ მის ჩამოსვლას პოლიტიკური ხასიათი აქვს. იგი გამოვიდა რუსთა ეროვნული საბჭოს ადგილობრივ კრებაზე და განაცხადა, რომ რუსების მთავარ მტერს ამ ფრონტზე (როგორც ჩანს მხედველობაში ჰქონდა კავკასია) – ქართველები წარმოადგენენ, რომელთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ. როგორც ჩანს, ტფილისში დაბრუნებისას იგი იქაურ რუსთა ეროვნულ საბჭოს მოახსენებს მდგომარეობას ბათუმში. ამგვარად, იკვეთება მოქმედებების ერთიანი ხაზი. დელეგაცია გამოემგზავრა.

ხელმოწერა – გედევანოვი.

გაშიფრა – კაპიტანი გეორგაძე".[3]

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 138, ფურცელი 108.

[2] ილია ოდიშელიძე (1865-1921) – მეფის რუსეთის ოფიცერი და გენერალი, ქართველი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე და სარდალი. I მსოფლიო ომის მიწურულს რუსეთის კავკასიის ფრონტზე საარმიო კორპუსის სარდალი, შემდეგ კავკასიის ფრონტის ფაქტიური სარდალი. 1918 წლიდან ამიერკავკასიის ფედერაციის, შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სამხედრო მეთაური. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწიელ ქართული დელეგაციის წევრი. 1920 წლის ბოლოდან საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს წევრი. 1920 წლის 13 დეკემბრიდან 1921 წლის 16 თებერვლამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 27-28. გიორგის ჯვრის კავალერი. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია.

[3] სცსსა. ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 39, ფურცელი 47.

დიახ, დენიკინის პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმების საიმედო საყრდენს ამიერკავკასიაში ზემოთ ხსენებული ე.წ. „რუსთა ეროვნული საბჭო“ წარმოადგენდა, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ყოფილი მეფის მოხელეები, კადეტთა პარტიის წევრები, თეთრგვარდიელი ოფიცრები. საბჭო მუდმივად ცილს სწამებდა ქართველ ხალხს ანტირუსულ განწყობებში და განგებ აწყობდა პროვოკაციულ გამოხდომებს. მოხალისეთა არმიასთან საბჭოს დამყარებული ჰქონდა მუდმივი კავშირები, ურჩევდა მას ამიერკავკასიის საზღვრების გადმოლახვას და აქაც რუსეთის ძალაუფლების აღდგენას. რუსთა ეროვნულ საბჭოს თავისი ფილიალები ჰქონდა გახსნილი ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებშიც. ერთ-ერთ წერილში რუსთა ეროვნულ საბჭოს წევრი დენიკინს ასეთ „რჩევა-დარიგებას“ აძლევდა:

„ამიერკავკასიის მიმართ ქმედითი პოლიტიკა რომ დავიწყოთ, მოხალისეთა არმიას ევალება განამტკიცოს თავისი პოზიციები საგრძნობი ძალებით არა დაპყრობის ან სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობით, არამედ ადგილზე თავისი რაზმების ჩამოყალიბების გზით. ასეთი რაზმების ფორმირების ადგილად ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა ქალაქი ბათუმი, სადაც ყველაზე ადვილია ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმება მოკავშირე ინგლისელთა სახით. ახალი ფორმირების კადრად გამოდგებიან ამიერკავკსიაში ამ თუ იმ მიზეზით მრავალრიცხოვნად ჩარჩენილი რუსი ოფიცრები, რომელთა მობილიზება მოხალისეთა არმიის მთავარსარდლის ბრძანებით შეიძლება მოვახდინოთ. მრავალმა ოფიცერმა, თავისი ძალისა და ცოდნის გამოყენების ასპარეზს რომ ეძებენ, თხოვნით მიმართეს რუსთა ეროვნულ საბჭოს მითითებების მისაღებად“.[1]

ამ საკითხთან მიმართებაში მეტად საინტერესო და შინაარსობრივად მოცულობითია პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის მიერ თბილისში გაგზავნილი კიდევ ერთი საიდუმლო შიფროგრამა, სადაც სრულადაა წარმოდგენილი რუსთა ნაციონალური საბჭოსა და დენიკინელთა მიერ ბათუმში დახლართული აგენტურული ქსელის მუშაობა, მისი მიზნები და ამოცანები, სამხედრო-პოლიტიკური აქტივობის მთელი სპექტრი. ეს შიფროგრამა სრულად ადასტურებს სწორედ ბათუმში დენიკინური სამხედრო რაზმების შექმნის ჩანაფიქრს, რაც ზემოთ წარმოდგენილი წერილითაც იყო დადასტურებული. ამავე დროს, პოლკოვნიკ გედევანიშვილის ამ მოხსენებით ბარათში დახატულია ბათუმში არსებული მეტად რთული საერთო პოლიტიკური სურათი. ამ შიფროგრამას ჩვენ სრულად წარმოვადგენთ.

„შიფროგრამა №72

სრულიად საიდუმლო.

ბათუმიდან. გენშტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი. 1919 წლის 25. 01.

სამხედრო მინისტრს,

ასლი საგარეო საქმეთა მინისტრს,

ასლი დიომიდე თოფურიძეს[2].

დგინდება, რომ ადგილობრივი რუსული ელემენტები, ბათუმის ოლქის მმართველობის რუსთა ადგილობრივი ეროვნული საბჭოების დახმარებით ცდილობენ განახორციელონ გენერალ ლევანდოვსკის წინადადება შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. სსრკ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივი. ფონდი 446, საქმე 40, ფურცელი 2-3.

[2] დიომიდე თოფურიძე – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი. ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სპეციალიური წარმომადგენელი ბათუმში და ბათუმის ოლქში. სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

ამასთან, ეს შეიარაღებული ძალები თითქოს იქმნება დენიკინთან გასაგზავნად, მაგრამ სინამდვილეში იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე დატოვონ ადგილზე ამა თუ იმ მიზეზით.

მოხალისეთა არმიის აქ ჩამოსულ მრავალრიცხოვან ოფიცერთაგან ერთ-ერთმა, რასაც მე გატყობინებდით №67 ტელეგრამით, ძალიან მთვრალ მდგომარეობაში წამოაყრანტალა, რომ იგი აქ ჩამოვიდა ადგილობრივი ჯარის შექმნისათვის, ინსტრუქ-ტორად. გუშინ ბათუმში შემოვიდა ორი ინგლისური ნაღმოსანი, რომელთაც ჩამოიყვანეს ახალგაზრდა რუს ოფიცერთა დიდი რაოდენობა. ამ ოფიცერთა ჩამოსვლას ზემოთ ხსენებულ შეიარაღებული ძალების შექმნასთანა აქვს კავშირი.

რაც შეეხება რუსთა მუშაობას აჭარელთა შორის, როგორც ჩანს ჯემალ ბეგს (ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი – ა. ჩ.) მიცემული აქვს რაღაც დაპირებები, ეს უკანასკნელი კი თანახმაა დაეხმაროს შეიარაღებული დახმარებითაც, რადგან თავის მომხრეებს განუცხადა, რომ უახლოეს მომავალში საჭირო იქნება იარაღის ისევ ხელში აღება. რაც შეეხება ჯემალ ბეგის ზეგავლენას აჭარაში, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აჭარელთა მხრიდან დელეგირების ყოველგვარი მცდელობა ხდება ბეგებისა და ხოჯების სახით, რომელნიც რა თქმა უნდა, მხარს ჯემალ ბეგს დაუჭერენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ თავის მხარეს რეალურ ძალას დაინახავენ. ასეთ ძალად კი მათ შეუძლიათ დაინახონ ის შეიარაღებული ძალები, რომელთაც ქმნიან ადგილობრივი რუსები, დენიკინთან გაგზავნის საბაბით. თუ ინგლისელებს სურთ დენიკინელთა გასაძლიერებლად ბაზის შექმნა, მაშინ უკეთესია ვურჩიოთ მათ ამისათვის სხვა პუნქტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბათუმი. რუსული ძალების თავმოყრა თავისი პოლიტიკური შედეგებით ჩვენთვის უკიდურესად საშიში იქნება. რაც შეეხება ჯემალ ბეგისათვის მიცემულ დაპირებებს, როგორც ჩანს, აქ საუბარია ბათუმის ოლქში ძველი რუსული რეჟიმის აღდგენაზე და ჯემალ ბეგისა და მისი მომხრეებისათვის სამსახურეობრივი და მატერიალური კეთილდღეობის დაპირებებს.

ვთვლი, რომ ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს რუსების მხრიდან აფხაზებზე ალექსანდრე შერვაშიძის საშუალებით. ამიტომ ამაზეც უნდა ვიყოთ ფრთხილად. ახლახანს შემატყობინეს, რომ შერვაშიძემ ინჟინერ მიხაილ ბოგდანოვიჩ ბუზ-ოღლის საშუალებით, რომელიც სოხუმში გაემგზავრა, გაატანა წერილი და დოკუმენტები ტატაშ მარშანიას სახელზე.

მოცემულ მომენტში ადგილზე აუცილებელია მამედ ბეგის (მემედ ბეგ აბაშიძე – ა. ჩ.) ყოფნა. ის კი არ მოდის, რაც აქ მომუშავე ჩვენს თანამშრომლებში იწვევს გარკვეულ შიშს წარმატებული მუშაობის შესახებ.

გარდა ამისა, აქ კიდევ არიან დარჩენილნი თურქეთის აგენტები, რომელნიც თავის მხრივ უმღვრევენ ტვინს აჭარლებს. მაგალითად, ბათუმში, სასტუმრო „პეტროგრადში" ცხოვრობს თურქი პოლკოვნიკი, განჯის ყოფილი გუბერნატორი, რომელთანაც მუდმივად იკრიბებიან ადგილობრივი მუსულმანი თურქოფილები. შესაძლებელია, რომ ასეთი პირების არსებობის შესახებ საქმის ყურში ჩავაყენოთ ინგლისელები, რომ მათ ისინი გააძევონ, როგორც თურქეთის აგენტები.

პოლკოვნიკი გედევანოვი.

გაშიფრა – კაპიტანი გეორგაძე".[1]

დენიკინელებისაგან მომავალი მოსალოდნელი საფრთხის სიმწვავე როგორც საქართველოს საზღვრებთან, ასევე ქვეყნის შიგნით, სრულად იქნა გაანალიზებული ქართველ ხელისუფალთა მიერ. მთავრობის თავმჯდომარის, ბატონ ნოე ჟორდანიას გამოსვლიდან (სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, 1919 წლის 2 თებერვალი):

„...ადრე ორი ფრონტი გვქონდა, ბოლშევიკური და მუსულმანური. უკანასკნელის დამარცხებით დამარცხდა პირველიც. ახლა ჩვენზე მოდის ახალი შავი ძალა, ის,

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცლები 68-69.

რომელიც დაამხო თებერვლის რევოლუციამ. ეს დენიკინის არმიაა. ეს რეაქცია ჩვენსკენ მოიწევს არა მხოლოდ სოჭიდან, არამედ მან თავი წამოწია აგრეთვე ქვეყნის შიგნით, და მთავარია, რომ თბილისშიც, ძველი ჩინოვნიკების, თავადების და უმეტესი ოფიცრების სახით. მათ კარგად იციან, რომ დენიკინის მოსვლით, ყველა დაკარგულ უფლებებს დაიბრუნებენ. და რაც მთავარია, მათ დაუბრუნდებათ ჩამორთმეული მიწები.

დენიკინელებს ორი ორგანიზაცია აქვთ: ნამდვილი, დობროარმიის სახით და სახელმწიფოს შიგნით. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და მივიღოთ ყველა ზომები. თბილისში მზად უნდა ვიყოთ ყველა მოულოდნელობისათვის. საჭიროა ტფილისის გვარდია ფეხზე დავაყენოთ... თუ ჩვენ არ გავძლიერდებით, მაშინ გველოდება მარცხი, რასაც მოყვება ინგლისელთა განცხადება, რომ ჩვენთან ანარქიაა და მასთან გამკლავება არ შეგვიძლია, ამიტომ ისინი იღებენ ხელისუფლების სადავეებს ხელში ისევე, როგორც ეს გააკეთეს ბაქოში".[1]

საქართველოსა და მოხალისეებს შორის მტრული დამოკიდებულების ატმოსფეროში ინგლის-საქართველოს თანამშრომლობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოხალისეთა ხელმძღვანელობა საქართველოს წინააღმდეგ აქტიური სამხედრო ოპერაციებისათვის ემზადებოდა.

ამდენად, საქართველოში ინგლისელების შემოსვლის პერიოდში სოჭის ოლქის საკითხი გასცდა საქართველოსა და მოხალისეთა ურთიერთობის სფეროს და იგი ინგლისის პოლიტიკის მწვავე პრობლემად გადაიქცა.[2]

§9. დენიკინელთა სამხედრო აგრესიის დასაწყისი

1918 წლის შემოდგომიდან ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების" შენაერთებს შავი ზღვის სანაპიროზე ეკავათ სოფელი ლაზარევსკოე, სადგურ ლოოში კი ქართული სახალხო გვარდიის მცირერიცხოვანი გარნიზონი და რაზმები იდგნენ გენერალ ქონიაშვილის სარდლობით.

1918 წლის ნოემბერში ქართველთა წინაღმდეგ ღია გამოსვლები დაიწყეს დენიკინელთა აგენტურის მიერ შეგულიანებულმა სოჭის ოლქის სომხურმა მოსახლეობამ, აგრეთვე რუსი ეროვნების მოქალაქეთა პრომონარქისტულად განწყობილმა ნაწილმა. ამ მოვლენებს გარკვეულწილად ადგილებზე დანიშნული კომისრების არაკომპეტენტურმა და არასათანადო მოქმედებებმაც შეუწყვეს ხელი. თავის მხრივ ქართულმა მხარემ მხარდაჭერისაკენ ოლქის „დემოკრატიულ" საზოგადოებას მოუწოდა.

1918 წლის 2 დეკემბერს სოჭში ჩატარდა საოლქო ყრილობა, რომელმაც მიიღო რეზოლუცია სოჭის ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დროებითი შეერთების შესახებ – მანამ, სანამ რუსეთში არ ჩამოყალიბდებოდა ერთიანი, მყარი, დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც შეიქმნება სახალხო მმართველობის ერთიანი

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (97-98).

[2] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 42.

სისტემის პრინციპით რუსეთის ცალკეული ნაწილების ფედერაციულ საწყისებზე. ამავე დროს გლეხთა სექციამ განსახილველად სამი საკითხი შეიტანა:

1. ყრილობა გადაუდებლად თვლის გლეხთა საბჭოების შექმნას ადგილებზე და გლეხთა საბჭოების საოლქო აღმასკომის შექმნას სოჭში;
2. ქართული ხელისუფლების მიერ დანიშნული კომისრები, რომლებმაც დაკარგეს მოსახლეობის ნდობა, დაუყოვნებლივ უნდა იქნან გათავისუფლებულნი და მათ ადგილას დაინიშნონ გლეხთა მიერ არჩეული პირები;
3. მონარქიულად განწყობილი რეაქციული ძალების სიახლოვის გამო, გაიცეს მოსახლეობაზე იარაღი აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობის ქვეშ;

პირველი ორი მოთხოვნა მიღებულ იქნა. მოსახლეობის შეიარაღების საკითხი კი დასმული იქნა თბილისში, საქართველოს მთავრობის წინაშე. ყრილობამ ხმა მისცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას. გლეხთა საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ გლეხები პ. ბონდარენკო, ვ. ვასილიევი, აგრეთვე მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები – პ. ჯანაშია (თავმჯდომარე), ე. ლეხნო, ვ. კოროლიოვი, ვ. ზიმინი და სხვები. დეკემბრის თვეში საოლქო კომიტეტმა მოასწრო სოფლებში პლასტუნკა, ნავაგინკა, ვოლკოვსკაია გლეხთა საბჭოების ჩამოყალიბება. გლეხთა კომიტეტების შექმნას და მათ ფუნქციონირებას მხარი სომხებმა არ დაუჭირეს.[1]

ახალ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით (ბრიტანელთა ამიერკავკასიაში შემოსვლა), დენიკინელები მოვლენათა ფორსირებას იწყებენ. დენიკინის აგენტურის მიერ სომხური ბანდების შექმნა და მათი შეიარაღება იწყება. ერთდროულად, მოხალისეთა არმიის სარდლობა პროტესტს უცხადებს ქართულ მხარეს ქართველ ხელისუფალთა მიერ სოჭის ოლქის სომხურ მოსახლეობაზე განხორციელებული ჩაგვრის გამო.[2] სოჭელი სომხების ე.წ. „აჯანყება" და მათი ანტიქართული განწყობები იმ დიდი დაშნაკური ნაციონალისტური და ექსპანსიონისტური სქემის ნაწილი იყო, რომელმაც თავის პიკს 1918 წლის ბოლოსათვის მიაღწია. ამ ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებაში დენიკინელები და ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგიით გონებადაბინდული სოჭელ სომეხთა დიდი ნაწილი ბუნებრივ მოკავშირეებად იქცნენ.

26 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა საპროტესტო ნოტით მიმართა ბრიტანელთა მისიის წარმომადგენელს, პოლკოვნიკ ჯორდანს იმის თაობაზე, რომ დენიკინელები ძალების კონცენტრაციას ახდენდნენ ტუაფსეს ზონაში. 28 დეკემბერს პოლკოვნიკი ჯორდანი და გეგეჭკორი თანხმდებიან სოჭი-ტუაფსეს დემილიტარიზაციის პროცესზე იმ პირობით, რომ ოლქში შენარჩუნებული იქნებოდა ქართული ადმინისტრაცია. 29 დეკემბერს გაცემულ იქნა ევაკუაციის ბრძანება და ქართული მხარე თავისი ქვედანაყოფების გამოყვანას იწყებს ტუაფსესა და სოჭიდან. ამ ქმედებების საპასუხოდ კი, იქ შესვლას დენიკინელები იწყებენ. ფაქტია, რომ სოჭი-ტუაფსეს ზონის დემილიტარიზაციის პროცესის განხორციელება მხოლოდ ქართულმა მხარემ დაიწყო, დენიკინელებმა კი, პირიქით – ძალებს დაუწყეს თავმოყრა.

ბედის ირონიაა ალბათ, რომ, ზუსტად იგივე სურათი განმეორდა 75 წლის შემდეგ, უკვე 1993 წელს, რუსეთ-საქართველოს მორიგი ომის მსვლელობისას აფხაზეთის რეგიონში, როცა მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ქართულმა მხარემ მძიმე შეიარაღების გამოყვანა დაიწყო სოხუმის ზონიდან. რუსულმა მხარემ კი, პირიქით, ძალთა

---

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Часть 1. „Сочи: страницы прошлого и настоящего". Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

[2] იქვე.

კონცენტრაცია მოახდინა ახალი ათონისა და გუმისთის ზონაში, რასაც საერთო ჯამში სოხუმის დაცემა მოჰყვა 1993 წლის 27 სექტემბერს. ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ ვერც 1993 წელს ვერ თუ არ გამოიტანა შესაბამისი დასკვნები, არ გაითვალისწინა ისტორიის მწარე გამოცდილება და უკვე მერამდენედ დიდ განსაცდელში ჩაიგდო თავი.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ არც ერთ ეპოქასა და არც ერთ გარემოებებში, არავითარ შეთანხმებებს, არც სამთავრობოს და არც უწყებრივს, არც ზეპირს და არც წერილობითს, არასდროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია რუსული მხარისათვის. რუსეთისათვის ნებისმიერ დოკუმენტს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯის ფასი აქვს, რაზეც თავად ეს დოკუმენტია დაწერილი. რუსული მხარისათვის მისი დარღვევა არასდროს არ წარმოადგენდა პრობლემას. ისტორიული მაგალითები საკმარისზე გაცილებით მეტია... პირველად კი, ეს ფრაზა – „რუსეთისათვის ნებისმიერ დოკუმენტს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯის ფასი აქვს, რაზეც თავად ეს დოკუმენტია დაწერილი" – ქართველმა პოლიტიკოსმა და სამხედრომ, ე. ვაჩეიშვილმა წარმოსთქვა ჯერ კიდევ 1922 წელს.[1]

დენიკინელთა ამ ქმედებებზე გეგეჭკორის საპროტესტო ნოტას შემდეგი სახე ჰქონდა: „თანახმად ჩვენი ზეპირი შეთანხმებისა, ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს ევაკუაცია აღნიშნული რაიონებიდან, მაშინ როდესაც, მიღებული ცნობების მიხედვით, მოხალისეთა არმიის ჯარები შემოვიდნენ ჩვენი ჯარების გამოსვლის კვალდაკვალ სოჭის დაკავების მიზნით, ...გთხოვთ, ჩააყენოთ საქმის კურსში მოხალისეთა არმიის მეთაურები ჩვენი შეთანხმების პირობებთან დაკავშირებით თუ ეს არ იყო აქამდე გაკეთებული, იმისათვის რათა მიღებულ იქნეს ზომები დასახელებული არმიის წინსვლის აღსაკვეთად".[2]

გეგეჭკორის საპროტესტო ნოტაზე ბრიტანელთა პასუხი ის იყო, რომ თითქოს ისინი არ დაუშვებდნენ მოხალისეთა არმიის მხრიდან რაიმე სახის სამხედრო კონფრონტაციას ქართულ მხარესთან და დემილიტარიზაციის მოთხოვნები დენიკინელთა მიერაც იქნებოდა შესრულებული. ბრიტანელი წარმომადგენლების თქმით, თითქოს ეს საკითხი შეთანხმებულ იყო ანატოლიისა და ამიერკავკასიის რეგიონის ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდალ, გენერალ ჯორჯ მილნთან კონსტანტინოპოლში და იგი უსათუოდ შესრულდებოდა.

ქართული გარნიზონის სოჭის ოლქიდან შესაძლო გასვლის ცნობას ოლქის მოსახლეობის აღელვება და მწვავე პროტესტი მოჰყვა. ფაქტია, რომ მოხალისეთა არმიის მიერ ტუაფსეს დაკავებას მათი ყოფა-ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუარესება მოჰყვა შედეგად. დამყარდა მმართველობის სამხედრო ფორმა. დაიწყო რეპრესიები, ტერორი, თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების გაუქმება, „ძველი წესრიგის" რესტავრაცია. მოსახლეობაში საპროტესტო განწყობები გაძლიერდა. ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ოლქის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია, რეალური ქმედებების განხორციელება. 1919 წლის 5 იანვარს სოჭში ჩატარდა სოჭის დემოკრატიულ ორგანიზაციათა პლენარული სხდომა, რომელზეც კიდევ ერთხელ გახმოვანდა ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბიკასთან მიერთების მართებულობა.

„ტელეგრამა №3. თარიღის გარეშე.
სოჭის შტაბიდან.
ტიფლისი. სასახლე. მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანიას.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 479. РСФСР и Грузинская Демократическая Республика. Москва. 1922. Стр. 28.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 15.

სოჭი №22/365.

დღეს გადმომეცა სოჭის საზოგადოებრივი დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ 1919 წლის 5 იანვარს ჩატარებული პლენარული სხდომის რეზოლუცია. გადმოგცემთ რეზოლუციის ზუსტ ტექსტს.

„იმსჯელა რა სოჭის ოლქში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, დემოკრატიული ორგანიზაციების პლენარულმა სხდომამ დაადგინა:

1. შეტყობინებულ იქნას საქართველოს მთავრობასა და ინგლისის მისიებისათვის ტფილისსა და ბათუმში, რომ მოხალისეთა არმიის ნაწილები შეიჭრნენ სოჭის ოლქის ტერიტორიაზე და ახდენენ ამ უკანასკნელის ტერორიზირებას;

2. ვთხოვთ საქართველოს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები და მიაღწიოს მოკავშირეების მხრიდან სოჭის ფრონტის ლიკვიდაციისათვის ზუსტ და მყარ გარანტიებს, რომელიც ხელს უშლის მოსახლეობის მშვიდობიან კულტურულ ცხოვრებას, რაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია სოჭის დემოკრატიის თავზე;

3. სხდომა დაჟინებით მოითხოვს მოხალისეთა არმიის ნაწილების მოშორებას სოჭის ოლქის ტერიტორიებიდან და მომავალში ასეთი ქმედებების აღკვეთას;

4. ქართული ჯარები შეიძლება გაყვანილ იქნან სოჭის ოლქის ტერიტორიიდან იმ აუცილებელი პირობით, რომ დასახლებულ პუნქტებში დატოვებულ იქნება შესაბამისი რაოდენობის გარნიზონები წესრიგისა და გარედან შესაძლო რეაქციული გამოსვლების აღსაკვეთად.

5. ქართულმა დემოკრატიამ თავისი მთავრობის სახით გადაარჩინა სოჭის ოლქის მოსახლეობა რუსული სინამდვილის ორი საზარელი მოვლენის – ანარქიისა და სამხედრო დიქტატურისაგან. თავისი ენერგიული მოქმედებებით ოლქის შიდა ცხოვრება მიმართა საზოგადოებრივი წესრიგის, ჭეშმარიტი დემოკრატიზმისა და სახალხო მმართველობის კალაპოტში.

საზოგადოებრივ დემოკრატიულ ორგანიზაციათა პლენარული სხდომა გადაუდებლად თვლის, რომ საქართველოს მთავრობამ ახლაც უხელმძღვანელოს სოჭის ოლქის შინაგან ცხოვრებას, ვიდრე მთლიანად რუსეთის საკითხი არ იქნება საბოლოოდ გადაჭრილი საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე.

რეზოლუციას ხელს აწერენ:

სოჭის ოლქის მუშათა კავშირი;

სოჭის გლეხთა საოლქო კომიტეტის საბჭო;

სოჭის საქალაქო საბჭოს სოციალისტური ბლოკი;

სოციალ-დემოკრატების სოჭის კომიტეტი;

სოციალისტ-რევოლუციონერების კომიტეტი;

სოჭის ერობის საოლქო კომიტეტი;

ეს რეზოლუცია შეტყობინებულ იქნას უშუალოდ ინგლისურ მისიას ბათუმსა და თბილისში.

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული მუხრან ხოჭოლავა".[1]

ბრიტანული მხარის ყველა დაპირება მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. ფაქტია, რომ ჯარების გამოყვანის შემდეგ მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონი უძლური იქნებოდა მის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. აქ არა მხოლოდ ჯარების რაოდენობაზე, არამედ ქართული გარნიზონის განლაგების პოზიციურ სისუსტებზეცაა საუბარი.

შავიზღვისპირეთის ჯარების გარნიზონის შტაბის უფროსის,

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 23.

პოლკოვნიკ წერეთლის №13 შიფროგრამა სოჭიდან.
1919 წლის 18 იანვარი. სამხედრო მინისტრს. საიდუმლო.

„მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მოხალისეთა ჯარი, რომლითაც ისინი აპირებენ შემოტევას, უდრის არანაკლებ ათას ხიშტს. ჩვენ რო ვიდგეთ უწინდელ პოზიციებზე, რომელიც ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო ჩვენთვის და რაც რომ განსკუთრებულ ღირსებას წარმოადგენდა იმ პოზიციებისა, ფლანგებიდან ვიყავით უზრუნველყოფილი, ჩვენ თამამად შეგვეძლო იმ ძალებით რომელიც ახლა გვყავს, მოგვეგერიებინა ეს შემოტევა. ახლა კი ჩვენ გვიჭირავს პოზიცია სრულებით უვარგისი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგეს სრულებით უვნებლად შეუძლია შემოგვიაროს მარჯვნივ.

განწყობილება კი ოლქში ისეთია, რომ მოხალისეებმა თუ ცოტა მაინც გაიმარჯვეს, ჩვენს ზურგს უკან იფეთქებს ადჟანყება, რომელსაც ხელს შეუწყობენ რუსები, სომხები და აფხაზები. ყველა ამის თავიდან ასაცდენად ჩემის აზრით და რწმენით, აუცილებლად საჭიროა ქალაქ სოჩაში რეზერვი არანაკლებ ხუთასი ხიშტიდან შემდგარი.

ამ რეზერვით მე შემიძლია ერთის მხრივ ვეწინააღმდეგო მოწინააღმდეგის შემოვლის დაპირებას და ადჟანყება მოვსპო დაწყებისთანავე. მესამე რაზმის (ბატალიონის – ა. ჩ.) გუნდების (ასეულების – ა. ჩ.) შემადგენლობა ძლიერ ნაკლებია. ორი გუნდი, რომლებიც ფოთიდან მოდის, დარწმუნებული ვარ, არ აღემატება 150, 200 ხიშტს ჩვენ განკარგულებაში.

თქვენ უკვე მოგახსენებდათ გენ. კონიევი ვინაიდან ცოტანი ვართ და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ვეწევით მეტის მეტ ფხიზელ დარაჯობას, მეშინიან რომ ჯარის კაცები დაიღლებიან, რადგანაც არ მაქვს საშუალება გამოვცვალო სხვა ნაწილებით.

თუ საკმარისი ძალა მეყოლება თანახმად ჩემი თხოვნისა, და თუ თქვენი ბრძანებაც იქნება, იმედი მაქვს არამც თუ მივიღებთ იმათ შემოტევას, არამედ კონტრ შეტევაზეც გადავიდე და ძველი პოზიციები დავიბრუნო.

პოლკოვნიკი წერეთელი".[1]

სოჭის ქართული სარდლობის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ წერეთლის ეს შიფროგრამა სრულად აღწერს 1918 წლის ბოლოსათვის ლოოს პოზიციებზე არსებულ ძალთა ბალანსს და არსებულ ოპერატიულ ვითარებას.

დენიკინელთა ძალების კონცენტრაცია ლოოს პოზიციებზე კი ისევ გრძელდებოდა. 29 დეკემბერს გეგეჭკორი ისევ უგზავნის საპროტესტო ნოტას ბრიტანულ მისიას: „მივიღეთ ცნობა სოჭში მოხალისეთა არმიის ძალების კონცენტრაციის შესახებ და რომ ზემოთ ხსენებული არმიის ჯარისკაცები იჩენენ ძალადობას ქართველი მოქალაქეების მიმართ".[2] ბრიტანელთა სამხედრო მისიის ხელმძღვანელის, გენერალ ფორესტიე-უოკერის 31 იანვრით დათარიღებულ საპასუხო ტელეგრამაში ნათქვამი იყო: „ბრიტანეთის მთავრობამ გააფრთხილა გენერალი დენიკინი, რომ მან უნდა დაიცვას საქართველოს მთავრობის ხელუხლებლობა და თავი შეიკავოს მის საშინაო საქმეში ჩარევისაგან".

ის მდგომარეობა, რომ არსებული „Status quo" დიდხანს არ შენარჩუნდებოდა, კარგად ჰქონდა გააზრებული ქართულ სარდლობას, რომელიც მთავრობისაგან სოჭში ახალი ძალების შემოყვანასა და გარნიზონის გაძლიერებას დაჟინებით მოითხოვდა, თუმცა უშედეგოდ. საქმე იმაშია, რომ სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე, ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის უკვე ახალ დიდ საფრთხეს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დატრიალებული მოვლენები წარმოადგენდა, სადაც მთავრობის მიერ გარკვეული სამხედრო ნაწილებისა და გვარდიის რაზმების

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 50-51.
[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 19.

შეყვანის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ეს მოვლენები ფაქტობრივად სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობის პარალელურად ვითარდებოდა. საუბარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანისლამისტური ტიპის „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის" (ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის") შექმნასა და ამ ახლად-გამომცხვარი „რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების სამხედრო აგრესიას ეხება ახლა უკვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. თავისთავად ცხადია, რომ ისედაც მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების ყოლის პირობებში, საქართველოს მთავრობისა და სამხედრო უწყების მიერ მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის ყველა მიმართულებაზე საკმარისი ძალების თავმოყრა ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა. და, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის ბოლო – 1919 წლის დასაწყისი, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, უმძიმესი პერიოდი იყო ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამი განსხვავებული მიმართულებიდან ფაქტიურად ერთდროულ სამხედრო აგრესიას განიცდიდა დაშნაკური სომხეთის რესპუბლიკის, დენიკინის ე.წ. „სამხრეთ რუსეთისა" და პანისლამისტთა თვითგამო-ცხადებული ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების მხრიდან.

სოჭის ოლქში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები კი, შემდეგნაირად განვითარდა. შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ წერეთლის პირდაპირ ხაზზე საუბრის სტენოგრამა. 1919 წლის 21 იანვარი:

„გუშინ გემით მოვიდა ტუაპსიდან მოხალისეთა ჯარის ოფიცერი ტატიშვილი და შეგვატყობინა, რომ ამ მოკლე ხანში, როგორც დადგება ახალი მთვარე, მოხალისენი ოფიცრები შემოტევას აპირებენ და სოჩის კომენდანტად უკვე დანიშნული ჰყოლიათ პოლკოვნიკი ეფრემოვი. მოხალისეთა ჯარი თავს იგროვებს გოლოვინკაში, აქვე შეგროვილია 1000 მდე კაცი.

ეს ცნობები ადასტურებენ უკვე მიღებულ ჩვენს მიერ ცნობებს იმის შესახებ, რომ მოხალისენი გროვდებიან გოლოვინკაში. მე და მუხრანი (საქართველოს მთავრობის რწმუნებული მუხრან ხოჭოლავა – ა. ჩ.) გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდით. იმ ძალებით, რომელნიც ჩვენ ხელთ არიან, წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია. ამიტომ, თუ ჩვენ დანამდვილებით გვაქვს გადაწყვეტილი ჯერ მაინც სოჩის ოლქის დარჩენა, საჭიროდ ვცნობთ ახლა დაუყოვნებლივ გავაძლიეროთ ჩვენი ფრონტი ახალი ძალების მომატებით. ყველა ჩვენი ძალები არ არის საკმარისი არამცთუ გარეშე შემოსევის საწინააღმდეგოდ, არამედ თვით შიგნით ექსცესებისათვის არ არიან საკმარისი და ასეთი ექსცესები რომ მოსალოდნელია, ამაში ეჭვი ჩვენ არ გვეპარება. ამას უმზადებენ ნიადაგს ის ოფიცრები, რომელნიც მუდამ დღე გადმოდიან სოჩის ოლქში და შინაამრევათ ხდიან საქმის მდგომარეობას".[1]

ოლქში არსებულ პოლიტიკურ და სამხედრო-ოპერატიულ მდგომარეობაზე სრულ სურათს იძლევა სასაზღვრო ჯარების უფროსის მიერ რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი 1919 წლის 25 იანვრით დათარიღებული №51 პატაკი:

„შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის დაზვერვის მიერ დადგენილია, რომ ფრონტზე ლაზარევკასთან იმყოფება: 4 ქვემეხი, მათგან ერთი გაფუჭებული, 300-დე ქვეითი და ცხენოსანი. სურსათი და ფურაჟი საკმაო რაოდენობითა აქვთ. ვაზნები და ჭურვები ცოტაა. კარგად არიან ჩაცმულნი. მათ შორის კაზაკები ცოტანი არიან, უმეტესობა ოფიცერი და იუნკერია. ლაზარევკასთან რაზმი დგას: ქვეითები ბინებში, ხოლო კავალერია ბინებსა და ბანაკებში. ლაზარევკის წინ, პოზიციებზე იმყოფება მზვერავთა რაზმი.

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 63.

სომხეთთან ომის დაწყებამდე ჯარისკაცებსა და ტუაფსე-ლაზარევკის მოსახლეობაში განწყობები მშვიდი იყო. ომის გამოცხადებისთანავე ტუაფსეში დაიწყეს ჯარებმა თავმოყრა. მცხოვრებლებს შორის ავრცელებდნენ ხმებს ქართველების მძიმე მდგომარეობის შესახებ, ანარქიაზე, სომხების გამარჯვებებზე, წერეთელისა და გეგეჭკორის მკვლელობის ამბავს და ა.შ., რათა დაერწმუნებინათ მოსახლეობა საქართველოს გამოუვალი მდგომარეობის შესახებ, ხელსაყრელი მდგომარეობის დადგომისთანავე შეტევაზე გადმოსვლისა და სოჭის დაკავების მიზნით.

29 დეკემბერს ჯარების სარდალმა გასცა ბრძანება სამხედრო ქონების ევაკუაციის შესახებ. ბარჟებზე ქონების დატვირთვა მოხდა სწრაფად და მშვიდად. 30-ში ღიად იქნა გამოცხადებული ქართული ჯარების მიერ სოჭის ოლქის დატოვება. ქ. სოჭისა და მისი გარეუბნების მთელი დემოკრატია ძალიან შეშფოთდა, არ უნდოდათ ქართველებთან განშორება, გრძნობდნენ თავისუფალი რესპუბლიკის შემდეგ მოსალოდნელი ცხოვრების მთელ სიმძიმეს. იმართებოდა მიტინგები, სადაც გამოტანილ იქნა რეზოლუციები: დაეცვათ სოჭი მოხალისეთა არმიის შემოჭრისაგან. სოჭის ყველა მუშა – დაახლოებით 600 კაცი ჩაეწერა ჩვენს ჯარში.

ამრიგად, ჩვენი წასვლის ამბავი სოჭის ოლქის მთელი დემოკრატიისათვის მძიმე დარტყმა იყო.

31-ში მდგომარეობა შეიცვალა: მიღებულ იქნა ცნობები ოლქიდან ევაკუაციის შეწყვეტის შესახებ. 1-ლი იანვრისათვის უკვე საბოლოოდ იყო ცნობილი, რომ მთელი ადმინისტრაცია ადგილზე რჩებოდა. ოლქში ასევე რჩებიან: მე-2 პოლკის ასეული, მე-3 პოლკის ასეულები, 1-ლი პოლკის ესკადრონი, სახალხო გვარდიის ბატარეა, მეტყვიამფრქვევეთა რაზმი, ხოლო ბათუმის პარტიზანული რაზმი (აქ საუბარია გენერალ იოსებ გედევანიშვილის ფედერალისტთა ე.წ. „პატიზანულ საბრძოლო რაზმზე" – ა. ჩ.) მიემგზავრება სომხეთის ფრონტზე. ოლქის მუშებმა და გლეხებმა ეს ცნობა დიდი სიხარულითა და აღტაცებით მიიღეს.

პარტიზანული რაზმი ჩატვირთულ იქნა ბარჟებზე და გაგზავნილ იქნა ფოთში. დარჩენილმა რაზმებმა დაიკავეს პოზიციები ლოოსთან, სადაც მოვიდნენ მოხალისეთა არმიის ჯარები.

მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ მაცხოვრებელ ყველა ნაციონალობასთან იყო სანიმუშო დამოკიდებულება, რითაც დავიმსახურეთ მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა".[1]

1919 წლის 6 თებერვალს დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლოდინის ფაზა დასრულდა. გაცემულ იქნა ბრძანება და „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების" დამრტყმელი ძალა შავიზღვისპირეთში, მე-2 ქვეითი დივიზია, გენერალ ალექსანდრ ჩერეპოვის[2] მეთაურობით შეტევაზე გადავიდა.

გენერალი დენიკინი: „რუსული ნაწილების მდგომარეობა სამხედრო თვალსაზრისით არანორმალური იყო („არც ომი, არც მშვიდობა"), ხოლო მორალურ-პოლიტიკური

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 122.

[2] ალექსანდრ ნიკოლაევიჩ ჩერეპოვი (1877-1964) – რუსეთის არმიის გენერალი და თეორგვარდიული მოძარაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1914-1917 წლებში პოლკის მეთაური, 1917 წლის მარტიდან 1917 წლის ივლისამდე 155-ე და მე-4 ქვეითი დივიზიების მეთაური. 1917 წლის ივლისიდან თეთრ მოძრაობაშია – საბრძოლო რაზმის მეთაური. 1918 წლის ივნისიდან 1918 წლის დეკემბრამდე მოხალისეთა არმიის მე-2 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური, ხოლო 1919 წლის იანვრიდან 1919 წლის მაისამდე მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურია, შემდეგ, სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს ნოვოროსიისკისა და შავიზღვისპირეთის გუბერნიების ჯარების სარდალი და გუბერნატორი. გიორგის ჯვრის კავალერი.

კუთხით – ძალიან მძიმე. 1918 წლის 9 დეკემბერს, სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩვენდა მოულოდნელად სოჭის ოლქიდან ქართული ჯარების ევაკუაცია დაიწყო. მე ვუბრძანე ჯარებს წინსვლა და მათ მიერ დატოვებული შავი ზღვის ოლქის ტერიტორიების დაკავება... 24 იანვარს (ახალი სტილით 6 თებერვალს. რუსეთში გრიგორიანული კალენდარი სახალხო კომისართა საბჭოს („სოვნარკომის") დეკრეტით შემოღებულ იქნა 1918 წლის 26 იანვარს, რომლის მიხედვითაც 1918 წლის 31 იანვრის შემდეგ დგებოდა პირდაპირ 14 თებერვალი – ა. ჩ.). ჩემი ჯარები ბრძოლით გადავიდნენ მდინარე ლოოზე და დაიკავეს სოჭი, რასაც მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა. ოთხი დღის განმავლობაში მოხალისეებმა ქართველებისაგან გაწმინდეს სოჭის ოლქი"...[1]

საკუთარი მოქმედებების ფორმალური ლეგიტიმაციისა და სამხედრო ეთიკის ნორმების დაცვის დემონსტრირებისათვის დენიკინელებმა ერთი პატარა სამხედრო ტრიუკიც გაითამაშეს. კერძოდ, შეტევის დაწყების შემდეგ, მოხალისეთა არმიის შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლის, გენერალ-მაიორ მატვეი ბურნევიჩის[2] მიერ გენერალ ქონიაშვილსა და ქართულ სარდლობას შემდეგი შინაარსის ულტიმატიური ხასიათის მოთხოვნა გაეგზავნა:

„გენერალ კონიაშვილს.

მე მივიღე ბრძანება ჩემი მთავრობისა, დავიკავო სოჩის ოლქი იმ ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის გამო, რომელიც არსებობს ხსენებულ ოლქში. ამიტომ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად წინადადებას გაძლევთ დაჰყაროთ იარაღი და ჩაგვაბაროთ მთელი სამხედრო მასალა. ყველა ქართველნი მეომრები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები იარაღის ჩაბარების შემდეგ განთავისუფლებულნი იქნებიან და შეუძლიათ წავიდნენ საქართველოში. იარაღის ჩაბარება უნდა მოხდეს 24 იანვრის (6 თებერვლის – ა. ჩ.) ღამის 24 საათამდე. №157.

ტუფსეს რაზმის უფროსი, გენერალ-მაიორი ბურნევიჩი.

რაზმის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ეფრემოვი.

გადაცემულია 24 იანვარს, 17 საათზე.

P.S. თუ იარაღს დროზე არ ჩამაბარებთ, ჯარებს სოჩისაკენ დავძრავ. გენერალ-მაიორი ბურნევიჩი".[3]

სოჭის დაკავებაში დენიკინელებს დიდი დახმარება გაუწიეს სოჭის ოლქის სომხურმა მოსახლეობამ და საბრძოლო რაზმებმა – მათ ზურგიდან დაარტყეს ქართულ გარნიზონს... დაიწყო რეპრესიები, ქართველების დაპატიმრება და ძარცვა. მაგრამ სოჭის ოლქის დაკავებით საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დენიკინელთა სამხედრო აგრესია არ დასრულებულა. გენერალი დენიკინი ყოფილ შავი ზღვის გუბერნიას „სამხრეთ

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 178.

[2] მატვეი იაკოვლევიჩ ბურნევიჩი (1872 – უცნობია) – რუსი გენერალი და მხედართმთავარი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1900 წლიდან პოდპორუჩიკი, მსახურობს ლიფლანდიის 97-ქვეით პოლკში. რუსეთ-იაპონიის ომში პორტ-არტურის თავდაცვითი ოპერაციის გმირი. 1909 წლიდან აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი. 1911 წლის ივლისიდან პოლკოვნიკი, ნევის 1-ლი ქვეითი პოლკის მეთაური. I მსოფლიო ომში, 1916 წლიდან, 36-ე ბრიგადის მეთაური. 1917 წლის აპრილიდან გენერალ-მაიორი, 189-ე ქვეითი პოლკის მეთაური. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, კავკასიის ოფიცერთა პოლკის მეთაური. 1918 წლის დეკემბრიდან მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაური. 1919 წლიდან სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯარების სარდალი სოჭის ოლქში. 1920 წლის მარტიდან ვრანგელის რუსული არმიის შავიზღვისპირეთის დაცვის უფროსი. გიორგის ჯვრის კავალერი.

[3] გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 9 თებერვალი. №32. გვ. 2.

რუსეთის სახელმწიფოს" განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა, საქართველოსთან საზღვრად კი, მდინარე ბზიფს: „ქართველებისგან მე მოვითხოვდი შავი ზღვის გუბერნიის დაცლას მის სამხრეთ საზღვრებამდე, მდინარე ბზიფამდე, რათა მისთვის ასე სასურველი „ბუფერი" შემექმნა, ვუშვებდი სოხუმის ოლქის ნეიტრალიზაციას და იქ ადგილობრივი აფხაზური მმართველობის შემოღებას".[1]

სოჭის აღების შემდეგ, წარმატებული სამხედრო მოქმედებების შედეგად დენიკინელებმა დაიკავეს აგრეთვე ადლერი, ვესიოლოე, პილენკოვო, გაგრა და 10 თებერვლისათვის მდინარე ბზიფთან გაჩერდნენ. შემტევი დივიზიის მეთაურმა, გენერალმა ჩერეპოვმა, რომელმაც მდინარე ბზიფს მიაღწია, ტელეგრამა გაუგზავნა ქართულ სარდლობას, საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, იმდენად, რამდენადაც მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანა შესრულებული იყო.

§10. სოჭი-ადლერის თავდაცვითი ბრძოლის პერიპეტიები საარქივო დოკუმენტებში

მიუხედავად ქართული მხარის ცალკეული მცდელობებისა, მცირერიცხოვანმა და დეზორგანიზებულმა ქართულმა ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგის აღმატებულ ძალებთან ბრძოლაში ვერ შეძლეს არსებული პოზიციების შენარჩუნება. სოხუმის გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი საყვარელიძე:

„შიფროგრამა. №110. საიდუმლო.
სამხედრო მინისტრს. სოხუმიდან. 1919 წლის 9 თებერვალი.

პოლკოვნიკი ნიკურაძე მოგვახსენებს: „7 თებერვალს კაპიტან ფაღავასთან ავტომობილით მოვიდა ორი ოფიცერი – ერთი მტრის და ერთი ჩვენი პრაპორშიკი აბაშიძე, რომლებმაც მოგვცეს წინადადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით. პრაპორშიკმა აბაშიძემ საიდუმლოდ შეატყობინა კაპიტან ფაღავას, რომ ჩვენი ნაწილები არ არიან დანებებულნი და ფრონტის შტაბი იმყოფება სასტურო „რივიერაში". გენერალმა კონიევმა გადაწყვიტა არ დანებდეს და ძალით გაარღვიოს ხაზი. პოლკოვნიკი ნიკურაძე გადმოგვცემს ცნობებს, რომელიც მიიღო კაცისაგან, რომელიც გამოიქცა სოჭიდან 6 თებერვალს.

ათი საათის შემდეგ ქალაქში სხვადასხვა მხრიდნ შემოიჭრა დაახლოებით 120 კაცი და სროლებით დაიკავეს ფოსტა. მათ ქალაქში შემოჰყვნენ სომხური შეიარაღებული ძალები, რომლებიც კაზაკების ფორმაში იყვნენ ჩაცმულნი, კაზაკთა მცირე რაზმთან ერთად. მათ გზა გადაუჭრეს ჩვენს ნაწილებს ქალაქის მხრიდან. ქართველი მესაზღვრეები 25 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა ფოსტას, გადაცხრილეს ბოროტმოქმედნი და

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 251.

დაიკავეს ფოსტა. ამის შემდეგ რა მოხდა, უცნობია. ჩვენმა ჯარებმა გააძლიერეს ფრონტი ტუაფსესა და შემოვლითი ძალების მხრიდან. ისინი მამაცურად დგანან. ჩვენს მოწინააღმდეგეს ქვემეხები არა აქვს. აქვთ მხოლოდ ხელყუმბარები, ტყვიამფრქვევები და შაშხანები.

ქალაქ სოხუმის გარნიზონის უფროსი: პოლკოვნიკი საყვარელიძე.

გაშიფრა – კაპიტანი გეორგაძე".[1]

ცალკეული ქართული ქვედანაყოფების თავგანწირული მოქმედებები უშედეგო გამოდგა. ძალთა ბალანსი აშკარად მოწინააღმდეგის მხარეს იყო და პოზიციურადაც ქართული ქვედანაყოფები უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. და, საბოლოოდ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

გენერალი დენიკინი: „გენერალი კონიევი და მისი შტაბის უფროსი (წერეთელი) ტყვედ ავიყვანეთ. სოჭში ინტერნირებულნი იქნენ 43 ოფიცერი და 700 ჯარისკაცი, ამასთან ოფიცრებს დავუტოვეთ იარაღი, ჯარისკაცები კი განვაიარაღეთ. ყველა სამხედრო მოსამსახურე ზღვით იყვნენ გადაგზავნილი საქართველოში"...[2] დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცთა ეს რაოდენობა გადაჭარბებულად გვეჩვენება. საარქივო დოკუმენტები სხვა ცნობებს გვაწვდიან. ბრიტანელ პოლკოვნიკ უაითისადმი წარდგენილ ცნობაში გენერალი ქონიაშვილი სოჭის ქართული გარნიზონის გაცილებით ნაკლებ რიცხვს ასახელებს. ლოოს ფრონტზე განლაგებული იყო 285 ჯარისკაცი 2 ქვემეხით, ხოლო თავად ქალაქ სოჭში – 38 ჯარისკაცი და 2 ქვემეხი.[3]

კიდევ ერთხელ შეცდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ქვეყნისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში, კიდევ ერთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა მან, როცა ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის წარმომადგენლებს ენდო. მსგავსი მშვიდობისმოყვარე და პაციფისტური გადაწყვეტილება სულ მცირე ხნის წინ, იგივე ბრიტანელების ჩარევით, მან სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობის დროს მიიღო, როცა ქართული შენაერთების მიერ დიდი წარმატებით მიმდინარე შეტევითი ოპერაცია შეაჩერა სადახლოს ფრონტზე. ამას კი, შედეგად, საქართველოს ძირძველი ისტორიული მიწების, ლორეს დაკარგვა მოჰყვა ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, რომელიც 1919 წლის 17 იანვარს „ნეიტრალურ ზონად" გამოცხადდა და ამ ტერიტორიებზე ქართულმა სახელმწიფომ თავისი დე-ფაქტო იურისდიქცია დაკარგა. ფაქტობრივად, სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში საქართველომ თავისი ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი დათმო. აქაც და იქაც, სოჭთანაც და ლორესთან მიმართებაშიც, „მშვიდობისმოყვარე" ბრიტანელი შუამავლების ჩარევამ და ქართველ პოლიტიკოსთა მმართველი ელიტის გაუაზრებელმა, უკიდეგანოდ პაციფისტურმა განწყობებმა ქართულ სახელმწიფოს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა. ლორე და სოჭი დაკარგულ იქნა...

ძირძველი ქართული მიწები, არც სოჭი და აღარც ლორე, აღარასოდეს აღარ იქნებიან საქართველოს შემადგენლობაში... ისინი ქართულმა სახელმწიფომ დათმო.

სრულიად ვეთანხმებით ცუხიშვილის დასკვნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების შეფასებაში: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ენდო ინგლისის მთავარსარდლობის დაპირებებს, ნ. ჟორდანიას ხელისუფლების

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 158.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 178.

[3] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 25.

მოქმედებებს არავითარი გამართლება არ მოეპოვება და გულუბრყვილობად შეიძლება ჩაითვალოს. თავის მხრივ ინგლისელებმა აშკარად მოატყუეს ქართული მხარე".[1]

ბატონი ნოე ჟორდანიას ამ გადაწყვეტილებებში კიდევ ერთხელ ჩანს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმისა და გადამეტებული ინტერნაციონა-ლიზმის ხარისხი, ქართველ მენშევიკთა გამოუსწორებელი „დემოკრატობაც" და მათ მიერ რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური რეალობების ის არაადეკვატური აღქმა, რამაც საბოლოო ჯამში, სრულ კატასტროფამდე მიიყვანა კიდეც პირველი ქართული რესპუბლიკა.[2]

ვალიკო ჯუღელის დღიური:

„11 თებერვალი. 1919 წელი. გალი. ღამე მოხალისეებმა უკვე დაიკავეს გაგრა. ხვალ მე, სოსო[3] და არტილერისტები – სახელოვან კარგარეთელის ხელმძღვანელობით – ვიქნებით სოხუმში. თუ ხელს არ შეგვიშლიან ინგლისელები, წავაქცევთ, დავამსხვრევთ დენიკინელებს.

12 თებერვალი. 1919 წელი. ქ. სოხუმი. საღამო. სოხუმში არ არის პანიკა, მაგრამ მაინც დიდი არევ-დარევაა. ფრონტთან არ არის არავითარი კავშირი და არავინ არ იცის, სად არიან მოხალისეები. ალბათ ისინი მიუახლოვდნენ ბზიფს...

დღეს ჩვენთან კონტრ-ნაღმოსანით მოვიდა ინგლისის მეზღვაურო ოფიცერი. ის კრეფდა ცნობებს ჩვენს შესახებ, ჩვენს განზრახვებზე და გვთხოვა არ გადავსულიყავით შეტევაზე. საზოგადოდ, ინგლისელების ყოფაქცევა უცნაურია, რა სურთ ჩვენგან?

„რასაც აკეთებ, გააკეთე ჩქარა"...[4]

გაზეთი „ერთობა" იტყობინებოდა: „გენერალმა კონიაშვილმა თავისი რაზმით მტრის წრის გარღვევა ვერ შეძლო. მას გარს არტყია მოხალისეთა ჯარი და სომხები. მისი მომწყვდევის შემდეგ მოხალისეთა ჯარმა შემოტევა განაახლა მდ. ბზიფის მიმართულებით მათ უკვე მოაღწიეს ადლერს. ამის აქეთ წამოსვლის გაგრძელების შესახებ ცნობები არ მოგვსვლია. სოხუმის სანაპიროზე დარჩენილი ჯარები მათ დაუხვდებიან.

ინგლისელმა ოფიცერმა ფოთში ნება არ დართო ჩვენს მიერ დაქირავებული გემით სოხუმში ჩვენი ჯარის გადაყვანაზე, ვიდრე ამის თანხმობა არ მოუვა თფილისში მყოფი ინგლისის მისიისაგან. ზღვაზე ღელვაა. ინგლისელი აფიცერი სოჭს გაემგზავრა".[5]

ქართული გარნიზონის მიერ სოჭის ფრონტზე განცდილ წარუმატებლობაში არც თუ უკანასკნელი როლი გვარდიელთა ცუდმა დისციპლინამ და არაორგანიზებულობამ ითამაშა. ეს მოვლენა დეტალურად იქნა გაანალიზებული გვარდიის მთავარი შტაბის გაფართოებულ სხდომაზე, სადაც მომხსენებელს სოჭის გარნიზონის ნომინალური ხელმძღვანელი, ვალიკო ჯუღელი წარმოადგენდა.

დენიკინელთა მხრიდან შეტევის დაწყებისთანავე, სოჭში ფრონტზე არსებული კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი პირადად იქნა გაგზავნილი გვარდიის რაზმთან ერთად ქართული გარნიზონის დასახმარებლად, მაგრამ მისი დაგვიანებული მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. ამ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო დოკუმენტს სრულად მოვიყვანთ, რადგან იგი კარგად ასახავს იმ სავალალო მდგომარეობას, რაც

---

[1] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 45.

[2] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 439.

[3] აქ გენერალ იოსებ გედევანიშვილზეა საუბარი.

[4] ვალიკო ჯუღელი. ორი წლის წინეთ. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". 1920 წლის 15 თებერვალი. №5. გვ. 4.

[5] გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 11 თებერვალი. №33. გვ. 2.

ზოგადად გვარდიის რიგებში სუფევდა პირველი რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. გარკვეული პარალელების გავლება უკვე 90-იან წლებთან და მესამე ქართული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში არსებულ რეალიებთანაც შეიძლება.

„სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გაერთიანებული სხდომა.
(თარიღის გარეშე – ა. ჩ.)
ოქმი №83.

თავმჯდომარე: დ. საღირაშვილი;

მდივანი: რ. აუშტროვი;

მონაწილეობდნენ – მთავარი შტაბის წევრები: საღირაშვილი, აუშტროვი, ქარცივაძე, კახიანი, გლახოიანი, გოგიშვილი, ვარდოიანი, ვ. ჯუღელი.

რაიონული შტაბების წარმომადგენლები: 1-ლი რაიონი – ძაძამია და ძამანაშვილი, სადგურის – ვასაძე და არველაძე, რკინიგზა – არველაძე, ავლაბარი – ალიხანოვი და ბედენაშვილი, ნავთლუღი – კვერნაძე და სურგულაძე, ვერა – კანდელაკი, მუსულმანები – ტაგი ზადე, ორთაჭალა – ნაკაშიძე, ალიხანოვი, ერთობის-უბანი – ნიკოლოზ უსტიაშვილი, გიორგი ახალბედაშვილი, კალანდაძე იოსები და პლატონ გაჩეჩილაძე.

მოისმინეს: ჯუღელის მოხსენება სოჭის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ.

– ზოგიერთმა ამხანაგმა გამოიჩინა დანაშაულებრივი გულგრილობა. ჩვენ გვაფრთხილებდნენ კონიევი, ხოჭოლავა და ამხანაგი სომხები სოჭიდან საგანგაშო მდგომარეობის შესახებ, რომ სომეხი დაშნაკები მოხალისეთა არმიის დიდი ზეგავლენის ქვეშ არიან. 6 თებერვალს მოხალისეთა არმია გავიდა ჩვენი ნაწილების ზურგში, რომლებიც სოჭის ფრონტზე იმყოფებოდნენ. მეთაურთა შორის არავინ ადგილზე არ აღმოჩნდა. ყველანი წასულები იყვნენ ქორწილში. ადგილზე იყო მხოლოდ ხოჭოლავა, რომელმაც დიდი ინიციატივა გამოიჩინა. გამოძახებაზე გამოემგზავრნენ კონიევი და წერეთელი, რომლებიც გზაში დააკავეს დობროარმიელებმა. ხოჭოლავამ გასცა ბრძანება გაეხსნათ ცეცხლი ქვემეხებიდან და მოითხოვა კონიევისა და წერეთლის განთავისუფლება. მოხალისეებმა მოითხოვეს იარაღის დაყრა. მოხდა კონიევისა და წერეთლის დალაპარაკება პირდაპირ ხაზზე ჟორდანიასთან, გეგეჭკორთან და სხვებთან. კონიევი იტყობინებოდა, რომ ისინი ალყაში არიან მოქცეულები, ზღვიდან შემოვიდა ნაღმოსანი, ალყის გარღვევა შეუძლებელია.

ჟორდანიამ უბრძანა არ დანებებულიყვნენ და გაერღვიათ ალყა. მეთაურებიდან ღირსეულად მოქმედებდნენ ხოჭოლავა და ადლერში მყოფი ასეულის მეთაური ფაღავა. სოჭში ჩვენები იმყოფებოდნენ 400 კაცამდე და 12 ტყვიამფრქვევი. და მათ რომ კავშირში ემოქმედათ ფაღავას ადლერის ასეულთან ერთად, მაშინ ჩვენები შეძლებდნენ ალყის გარღვევას. საუბედუროდ ფაღავამ ვერავისაგან ვერ მიიღო მითითება. მასთან გააგზავნეს სურსათის გამგე ხოფერია, რომელმაც უთხრა, რომ ყველაფერი დამთავრებულია, აზრი არა აქვს ბრძოლას. ფაღავამ კავშირი დაკარგა მეთაურებთან და დაიწყო უკან დახევა. ნიკურაძემ დაიკავა სოჭის გასასვლელი. ჩვენი არტილერია მოქმედებდა ცუდად, მაგრამ მათ შეძლეს გამოსვლა, ფაღავა კი თავისი ხალხის ნარჩენებით ავიდა მთაში. ნიკურაძე მოქმედებდა ცუდად და ჩავარდა ტყვედ.

ჩვენ რომ არ დავერწმუნებინეთ, მოხალისეებს ნაღმოსანი აქვთო, ჩვენ გემით მივუსწ-რებდით და დავიკავებდით გაგრას. სახალხო გვარდიელებმა თავსხმა წვიმაში 3-4 დღეში გაიარეს 200 ვერსი. სოხუმსა და გუდაუთაში სრული დაბნეულობა იყო და რომ არა ეს, შეიძლებოდა გაგრის გასასვლელების დროულად დაკავება და მოხალისეთა შეჩერება.

ჩვენ თითქმის შეხებაში მოვედით მოხალისეებთან მდინარე ბზიფთან და გადავწყვიტეთ საერთო შეტევაზე გადასვლა, მაგრამ გამოჩნდა ინგლისელი ოფიცერი უაითი, რომელმაც მოგვცა წინადადება არ გადავსულიყავით საერთო შეტევაზე, იმდენად რამდენადაც ინგლისელების წინადადებით მოხალისეებს უნდა დაეცალათ სოჭის ოლქი.

ასეთ შემთხვევაში არ შეგვეძლო შეტევის წარმოება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დავუპირისპირდებოდით ინგლისელებს.

სახალხო გვარდიელებს შორის არსებული განწყობა სერიოზული და ამაღლებულია. სამურზაყანოს რაიონმა, რომელიც ადრე მტრულად იყო ჩვენდამი განწყობილი, ახლა მობილიზაციით 2000 კაცი მოგვცა; ჩვენი ძალები სოჭის ფრონტზე საკმარისია. ინგლისელების თქმით, მოხალისეები არათუ არ ტოვებენ სოჭის ოლქს, არამედ აძლიერებენ კიდეც აქ თავის ძალებს.

საველე შტაბმა გამომგზავნა აქ მოხსენებისა და შესაბამისი ზომების მისაღებად".[1]

ძნელია ამ მოხსენების გულგრილად წაკითხვა, იმდენად ნაცნობი სურათია აღწერილი. თავისთავად ასოცირდება ის მდგომარეობა, რაც უკვე 73 წლის შემდეგ, 1992 წლის სექტემბრის ბოლოს დატრიალდა იგივე გაგრის რაიონში, აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების ომის მსვლელობისას.

§11. „მოხალისეთა არმიის" შეტევითი ოპერაციის ტაქტიკური ანალიზი

მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტების ფრაგმენტულობისა და გენერალ დენიკინის მიერ მემუარში აღწერილი ამ მოვლენის მეტად ზოგადი ხასიათისა, მაინც შესაძლებელია მოხალისეთა არმიის ქვედანაყოფების მიერ განხორციელებული შეტევითი ოპერაციის გარშემო გარკვეული ტაქტიკური ანალიზის დადება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეთა მიერ განხორციელებული შეტევითი ოპერაცია კარგად იყო დაგეგმილი და აღსრულებული. მოწინააღმდეგემ კარგად ისარგებლა ქართული მხარის თავდაცვითი პოზიციების სისუსტით, კერძოდ, ფლანგების დაუცველობით. განხორციელდა ფლანგური შემოვლის მანევრი, რის შედეგადაც სოჭისა და ადლერის ქართული გარნიზონები იზოლირებულ იქნენ ერთმანეთისაგან, მალე კი სრულიად გარშემორტყმულნი. ოპერაციის მხარდასაჭერად სოჭის აკვატორიაში შემოყვანილ იქნა ნაღმოსანი, რომელმაც ქართული არტილერიის მოქმედებების შეზღუდვა, შემდეგ კი, სრული პარალიზება გამოიწვია. აქვე აღსანიშნავია, რომ თავად ქართველი არტილერისტების დიდმა ნაწილმა მოახერხა ალყიდან თავის დაღწევა. დენიკინელთა მოქმედებები იყო მოულოდნელი, სწრაფი და ეფექტური. სოხუმის აკვატორიაში ნაღმოსანის ყოფნამ აღკვეთა ასევე იმ ქართული შეშველებული გვარდიული ქვედანაყოფების დესანტირების ოპერაციის აღსრულება, რომელსაც ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა.

ცალკე უნდა გამოიყოს სოჭის სომხური მოსახლეობის შეიარაღებული რაზმების კოორდინირებული მოქმედება დენიკინის ძალებთან. ცალკეულ შემთხვევებში ისინი ფაქტიურად შეტევითი მოქმედებების ავანგარდში იმყოფებოდნენ. ზემოთ მოყვანილი დოკუმენტის მიხედვით სოჭში შემოჭრილი დენიკინელთა მეწინავე რაზმი ძირითადში სომხური საბრძოლო რაზმებისაგან შედგებოდა.

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 103.

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას, ისედაც მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონის დიდი ნაწილი საბრძოლო პოზიციებზე არ იმყოფებოდა. ძალთა დაცვის შესაბამისი ღონისძიებები არ იქნა განხორციელებული. გამოძახებაზე გამოსული გენერალი ქონიაშვილი და მისი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი წერეთელი კი, ქართული პოზიციების ზურგში შემოსული მოწინააღმდეგის მეწინავე ქვედანაყოფთან მოვიდნენ შეხებაში და ისინი ტყვედ იქნენ აყვანილნი. ეს ფაქტი ქართული სარდლობის მიერ ჯარების მართვასა და კონტროლში არსებულ უპატიებელ შეცდომებზე მეტყველებს.

ქართული გარნიზონის სოჭისა და ადლერის ქვედანაყოფებს შორის კავშირი მოშლილი იყო, მათ მოქმედებებს შორის კი, არავითარი კოორდინაცია არ არსებობდა.

შიფროგრამა №110-ის მიხედვით, თითქოს ქართული სარდლობის შტაბი სოჭის სასტუმროში იყო გამაგრებული და გენერალი კონიევი დანებებას არ აპირებდა, სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან გენერალიც და მისი შტაბის უფროსიც ოპერაციის პირველივე დღეს მოწინააღმდეგის მიერ ტყვედ იქნენ აყვანილნი – ეს ფაქტია. ცალკეული ქართული ქვედანაყოფებისა და რაზმების გაბედული და თავგანწირული მოქმედებები კი შექმნილ ტაქტიკურ ვითარებას, ცხადია, ვერ გამოასწორებდა. დაგვიანებული და არაეფექტური აღმოჩნდა ვალიკო ჯუღელისა და მისი რაზმის გაბედული საბრძოლო მარშიც. მიუხედავად იმისა, რომ შეშველებული გვარდიული ნაწილები მდ. ბზიფთან შეხებაში აღმოჩნდნენ მოხალისეთა მეწინავე რაზმთან, ბრიტანელთა ზეწოლის შედეგად ისინი აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ვერ ჩაერთვნენ. ბრიტანელთა მიერ მათი შემდგომი წინსვლა აღკვეთილ იქნა. საერთო ჯამში, მოხალისეთა არმიის შენაერთის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანა, დენიკინელთა მიერ დიდი წარმატებით იქნა შესრულებული.

და ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო...

თუ მოხალისეთა არმიის შეტევით ოპერაციას საბრძოლო ფუნქციებისა და ომის პრინციპების თვალსაზრისით განვიხილავთ, შემდეგი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი:

მიზანი – შემტევი ქვედანაყოფების წინაშე ნათლად განსაზღვრული და მკაფიო სამხედრო-პოლიტიკური მიზანი იყო დასახული, კერძოდ, ქართული ტერიტორიების ოკუპაცია მდინარე ბზიფამდე, რადგან გენერალ ალექსეევისა და გენერალ დენიკინის აზრით, „1904 წლის გადამიჯვნის მიხედვით" შავი ზღვის გუბერნიის სამხრეთი საზღვარი მდ. ბზიფზე გადიოდა, ახლა კი, ეს ტერიტორიები ყუბანის რესპუბლიკის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.[1]

შეტევა – ომის პრინციპების ეს პუნქტი გენერალ ჩერეპოვის შემტევი შენაერთის მიერ სრულად და დიდი წარმატებით იქნა შესრულებული. შეტევითი ოპერაციის აღსრულებით მოხალისეები უმოკლეს დროში გავიდნენ მდინარე ბზიფის პოზიციებზე, დააფიქსირეს, და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს იგი.

მასიურობა, ანუ, საბრძოლო ძალების კონცენტრაცია გადამწყვეტ დროსა და ადგილას – განსაკუთრებით წარმატებულად იქნა აღსრულებული ომის პრინციპების ეს პუნქტი. ზუსტად იქნა შერჩეული შეტევის დაწყების დრო, 1919 წლის 6 თებერვალი. სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ქართული ქვედანაყოფების სომხეთის ფრონტზე გაგზავნისა და სოჭის ფრონტზე მათი პირადი შემადგენლობის რიცხვის შემცირებასთან ერთად, დაიწყო მოხალისეთა ძალების კონცენტრაცია და ზრდა, ხოლო ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების მიერ ახალციხე-ახალქალაქის

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 84. „Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Стр. 399.

მაზრებში დაწყებულ შეიარაღებულ აგრესიასთან პარალელურად – 1919 წლის 17 იანვარი,[1] მოხალისეთა შენაერთები შეტევაზე გადავიდნენ.

ძალთა ეკონომია, ანუ, მინიმალურად ეფექტური საბრძოლო ძალის გამოყენება – თავისი სტრატეგიული ამოცანიდან გამომდინარე – ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების გადატანა ჩრდილოეთის მიმართულებაზე და მთავარი ძალების იქ თავმოყრა, გენერალ დენიკინის მიერ შავი ზღვის ფრონტზე მინიმალური ძალები იქნა დატოვებული. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ომის პრინციპების ამ პუნქტის შესრულებაზე.

მანევრი – დიდი წარმატებით იქნა აღსრულებული ომის პრინციპების ეს პუნქტიც. დენიკინელთა გარშემოვლისა და გარშემორტყმის საბრძოლო მანევრი იმდენად მოქნილი და კარგად აღსრულებული იყო, რომ მათმა მეწინავე ქვედანაყოფებმა ქართული გარნიზონის ზურგში შეაღწიეს და იზოლირება გაუკეთეს სოჭისა და ადლერის ქართულ გარნიზონებს. და უფრო მეტიც – წარმატებული მანევრის შედეგად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე, ტყვედ აიყვანეს ქართული მხარის სარდალი და სარდლობის შტაბის უფროსი. ასეთი ფაქტები კი, ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ძალიან იშვიათად გვხვდება.

მართვის ერთიანობა – ამ პუნქტის მოთხოვნაზე საუბარიც კი ზედმეტია, იმდენად დაცული იყო იგი დენიკინის არმიაში. ქართულ მხარესთან დაპირისპირებულ ძალას სრულად დისციპლინირებული სამხედრო ორგანიზაცია წარმოადგენდა, რომელიც ერთიანი, ვერტიკალური დაქვემდებარების სამეთაურო ჯაჭვით იმართებოდა. და პირიქით, ქართული გარნიზონის სარდლობაში ომის პრინციპების ეს პუნქტი აბსოლუტურად არ იყო დაცული. სამეთაურო ჯაჭვის რომელ ურღვეობასა და მართვის რომელ ერთიანობაზეა საუბარი მაშინ, როცა ქართულ არტილერიას ცეცხლის გახსნის ბრძანებას სამოქალაქო პირი, მთავრობის რწმუნებული მუხრან ხოჭოლავა აძლევდა. თავად ის ფაქტი კი, რომ „ჟორდანიამ უბრძანა არ დანებებულიყვნენ და გაერღვიათ ალყა" – რად ღირს. მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარე იყო, მის ფუნქციებში ჯარებისა და სამხედრო ოპერაციების მართვა ნამდვილად არ შედიოდა. ამისათვის არსებობდა მთავარსარდალი, ან შემდეგი ქვემდგომი რგოლის მეთაურები, რომელთა როლი და ადგილი არსებული მასალებისა და დოკუმენტების მიხედვით არ იკვეთება.

ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა სამოქალაქო პირების მიერ ოპერაციის მართვაზე კონტროლს და სამხედრო ხელმძღვანელობის ხელში აღებას. ასეთ ქმედებებს კი, როგორც წესი, უმძიმესი შედეგები მოაქვს. მსგავსი ისტორიული მაგალითები ქართველებს საკმარისზე მეტი გვაქვს. ფაქტია, რომ ქართული მხარის სამეთაურო შემადგენლობიდან ადგილებზე არავინ არ იმყოფებოდა. ეს კი, ჯარების მართვის ნებისმიერ რგოლში დაუშვებელ ქმედებას წარმოადგენს.

უსაფრთხოება – დენიკინელთა მიერ ცალკეული ქართული ქვედანაყოფების ყოველგვარი მცდელობა არა თუ მოეპოვებინათ უპირატესობა, არამედ თუნდაც მცირედ გამოესწორებინათ შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა, სწრაფად და მაღალეფექ-ტურად იქნა აღკვეთილი. მით უმეტეს, ოპერაციის ვერც ერთ ეტაპზე ქართულმა ქვედანაყოფებმა ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის შეყოვნება, ან შეჩერება – თუნდაც მცირე ტაქტიკური უპირატესობის მიღწევა.

მოულოდნელობა, ანუ, დაარტყი მტერს საჭირო დროსა და საჭირო ადგილას, და ისეთი სახით, რისთვისაც ის ყველაზე ნაკლებადაა მზად – ომის პრინციპების ეს პუნქტიც დენიკინელთა მიერ ზუსტად და დიდი წარმატებით იქნა შესრულებული. ზემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტის (სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გაერთიანებული სხდომის ოქმი №83 – ვალიკო ჯუღელის მოხსენება) მიხედვით ირკვევა, რომ დენიკინელთა შეტევის

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 57.

დაწყების მომენტში ქართული გარნიზონის უდიდესი ნაწილი საბრძოლო პოზიციებზე არ იმყოფებოდა და ისინი საბრძოლო ამოცანების შესრულებით არ იყვნენ დაკავებულნი, პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ქორწილში იმყოფებოდა. გასაგებია თუ სამხედრო დისციპლინის რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე და გასაგებია თუ რა საბრძოლო ძალას წარმოადგენდნენ ქართული გვარდიის ეს რაზმები. და რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ დენიკინელთა შეტევის დაწყების დრო თავისთავად დამთხვეოდა ამ ფაქტს. ყოველგვარი ეჭვის გარეშე უნდა დავასკვნათ, რომ მოპოვებული აგენტურული მონაცემების საფუძველზე, დენიკინის შტაბისათვის წინასწარ იყო ცნობილი ქართული გარნიზონისა და მისი სამეთაურო შემადგენლობის ამ „ღონისძიების" შესახებ.

სიმარტივე, ანუ, მოამზადე ნათელი, მარტივი გეგმა და ადვილად გასაგები მოკლე ბრძანებები – ეს პუნქტიც, ცხადია, სრულად იქნა შესრულებული, რადგან შეტევის გეგმა მართლაც კლასიკური და მარტივი იყო – ღრმა ფლანგური მანევრის განხორციელება, გარშემოვლა და შემდგომი გარშემორტყმა – მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა, მისი საკომუნიკაციო ხაზების პარალიზებით. დენიკინის არმიაში არსებული მაღალი საშტაბო კულტურიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ საბრძოლო გეგმა მართლაც მარტივი, ნათელი და გასაგები იქნებოდა. ამაზე მეტყველებს ქართული მხარის მოქმედებებში კოორდინაციის სრული მოშლა და დეზორგანიზაცია. ასევე, გენერალ ჩერეპოვის მიერ ქართული მხარისათვის გაგზავნილი შეტყობინება მის წინაშე დასმული ამოცანის შესრულებისა და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.

ცალკე გამოყოფის ღირსია იმდროინდელ პროფესიონალ სამხედროთა გარემოში არსებული ოფიცრის მუნდირისა და ღირსების იმ დაუწერელი კოდექსის პატივისცემა, რასაც განუხრელად იცავდნენ ტრადიციული სამხედრო ინტიტუტების წარმომადგენლები. ეს თანაბრად ეხება როგორც ქართულ მხარეს, ასევე მის მოწინააღმდეგეს. ამ შემთხვევაში, ქართველ და რუს ოფიცრებს შორის არსებულ პროფესიონალურ ურთიერთდამოკიდებულებაზე გვაქვს საუბარი. ცნობილი ფაქტია, რომ დენიკინელთა მხრიდან გენერალ ქონიაშვილისა და დატყვევებული ქართველი ოფიცრების მიმართ პატივისა და ღირსების შელახვას ადგილი არ ჰქონია. ყველა მათგანს იარაღი დაუტოვეს. რა თქმა უნდა, ჩვენი ეს დასკვნები არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნის ბოლშევიკებსა და წითელ არმიას. მათი დამოკიდებულება „კლასობრივ მტრებთან" და „ბურჟუაზიულ გადმონაშთებთან" მიმართებაში საყოველთაოდ ცნობილია. ნაშრომის შესაბამის ნაწილში ჩვენს მიერ მოყვანილი ცნობები ნესტორ ლაკობას, გევორქ ათარბეგოვის, ე.წ. „აფხაზეთის რევკომისა" და ჩრდილოეთ კავკასიის ВЧК-ს „საქმიანობის" შესახებ, თავისთავად მეტყველებენ ამაზე. ხოლო 1918 წლის თებერვალში ბოლშევიკთა მიერ ქალაქ სოხუმში, და განსაკუთრებით 1918 წლის ივნისში ქართველი ტყვეების მიმართ გუდაუთაში განხორციელებული სადისტური წამების ფაქტები ადამიანური წარმოდგენის ყოველგვარ ზღვარს სცილდება...

საერთო ჯამში, მოხალისეთა არმიის შეტევითი ოპერაცია სოჭი-ადლერისა და გაგრის მიმართულებაზე, გენერალ ჩერეპოვისა და მოხალისეთა არმიის მე-2 ქვეითი დივიზიის მიერ საბრძოლო ფუნქციებისა და ომის პრინციპების სრული დაცვით იქნა აღსრულებული.

მოხალისეთა მიერ განხორციელებული წარმატებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად დენიკინელებმა „ომის უფლებით" ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ახალი საოკუპაციო გამყოფი ხაზი კი, მდინარე ბზიფზე დაფიქსირდა. ამიერკავკასიაში გენერალ დენიკინის სპეციალური წარმომადგენლის, გენერალ ივან ერდელის განცხადებით – „ჩვენ ვფიქრობდით არა

დაპყრობაზე, არამედ იმის უკან დაბრუნებაზე, რაც კანონის ძალით გვეკუთვნოდა"...[1] (Sic!) კომენტარების გაკეთებას აქაც უადგილოდ ვთვლით, იმდენად ნათელია ყველაფერი. რუსული იმპერიული და ველიკოდერჟავული შოვინიზმის იდეა კიდევ ერთხელაა სრული ბრწყინვალებით წარმოდგენილი გენერლის ამ ფრაზაში.

სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით გაგრაში ბრიტანელთა გაძლიერებული ასეული იქნა შემოყვანილი პოლკოვნიკ ფაინსის მეთაურობით, რომლის ქვედანაყოფებიც მდინარე ბზიფის ორივე ნაპირზე განლაგდნენ... ოპერატიული მდგომარეობა დასტაბილურდა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის კი, ისევ ნაცნობი სიტუაცია დამყარდა – „არც ომი, არც მშვიდობა".

§12. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია და იმედგაცრუებული საქართველო

I მსოფლიოს ომის შემდგომი ახალი ტერიტორიული გადანაწილებისა და პოლიტიკური წესრიგის აღდგენის საკითხი პარიზის „მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას" უნდა გადაეწყვიტა, რომელმაც მუშაობა 1919 წლის 12 იანვარს დაიწყო. საინტერესო ატმოსფერო სუფევდა კონფერენციაზე – ერთის მხრივ იგი გარკვეულწილად იმ ტრიბუნალის როლს ასრულებდა, რომელსაც ოსმალთა იმპერია უნდა გაესამართლებინა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობებისათვის", მეორეს მხრივ კი, მომრიგებელ შუამავალს წარმოადგენდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის, ახლადმოპოვებული ტერიტორიების გადანაწილების საქმეში.[2]

თებერვლის თვეში მსოფლიოს სახელმწიფოებსა და მთავრობებს პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის გამაფრთხილებელი მიმართვა ეგზავნებათ ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.

გაფრთხილება
„გამოცემული პარიზის საერთაშორისო
მშვიდობიანი კონფერენციის მიერ. 24.01.19.

მთავარი თათბირის შემდეგ, შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მოკავშირე სახელმწიფოების პრემიერ მინისტრებსა და მინისტრებს იაპონიის წამომადგენელებთან ერთად ჰქონდათ მცირე თათბირი, რის შემდეგაც მივიდნენ შეთანხმებაზე, რომ ტელეგრაფის მეშვეობით მსოფლიოს ყველა კუთხეს ეცნობოს ეს განცხადება:

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 287.

[2] არჩილ ჩაჩხიანი. ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი და პირველი კონტაქტები 1919 წელს. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი. 2013. 1(12). გვ. 260.

ამჟამად კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების მთავრობები ღრმად შეშფოთებულნი არიან ევროპიდან და აღმოსავლეთიდან მომდინარე ცნობებით შეიარაღებული ძალების გამოყენებით იმ ტერიტორიების მოპოვების შესახებ, რომლის დაკანონებაც განსაზღვრულად მხოლოდ სამშვიდობო კონფერენციას გააჩნია. ისინი ვალდებულად თვლიან თავს, რომ აცნობონ ყველას, ტერიტორიების ძალით დაპყრობის შემთხვევაში თავად დამპყრობლები მიიღებენ სერიოზულ ზარალს.

ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს რომ ძალმომრეობის ჩამდენთ თავად შეაქვთ ეჭვი თავიანთი მოქმედებების სამართლიანობაში და ცდილობენ მოიპოვონ ტერიტორიები ძალის გამოყენებით და არა რასობრივი, ნაციონალური ან ისტორიული სურათიდან გამომდინარე. ამგვარად, ისინი ჩრდილს აყენებენ ყოველგვარ სამართალს და უნდობლობას უცხადებენ თავად კონფერენციას.

აქედან შეიძლება მივიღოთ ყველაზე არასასურველი შედეგები. თუ ისინი სამართლიანობას ელიან, მაშინ მათ თავი უნდა შეიკავონ ძალმომრეობისაგან და გადასცენ ამ საკითხების გადაჭრის საშუალება სამშვიდობო კონფერენციას".[1]

განცდილი მარცხის მიუხედავად, ბუნებრივია, ქართული სახელმწიფო და მისი შეიარაღებული ძალები ქართული ტერიტორიების დაკარგვას არ შეურიგდებოდნენ და ყველანირად ეცდებოდნენ მის დაბრუნებას. ამისათვის კი გარკვეული დრო, მომზადება და შესაბამისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა იყო საჭირო. მართლაც, სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე, 1919 წლის იანვრის ბოლოდან იწყება ქართული საჯარისო კონტინგენტის გადასროლა და პოზიციების გამაგრება მდინარე ბზიფის ხაზზე.

შავიზღვისპირეთის სახალხო გვარდიისა და საჯარისო ქვედანაყოფების სარდლად გენერალ ქონიაშვილის ნაცვლად გენერალი იოსებ გედევანიშვილი დაინიშნა. მაგრამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ მიღებული გაფრთხილების შესაბამისად ამ ეტაპზე აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეწყდა და ორივე მხრიდან იგი ახალი მოლოდინისა და მზადების ფაზაში გადავიდა...

გამოიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა (მოადგილის) და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის (გენერალ იოსებ გედევანიშვილის ძმა – ა. ჩ.) შესაბამისი ბრძანებაც:

„სრულიად საიდუმლო ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებს.
№1. 12.02.19.

ქ. ტფილისი. რუკა 2 და 5 ვერსი ერთ დუიმში.

...შავიზღვისპირეთში გენერალ ი. გედევანოვის ჯგუფმა დობროარმიის აღმატებული ძალების ზეწოლითა და ადგილობრივი სომხური მოსახლეობის აჯანყების გამო, 10 თებერვლისათვის უკან დაიხია მდ. ბზიფისაკენ. ინგლისის მისიის წარმომადგენელმა თხოვა ჩვენს მთავრობას, რომ გაუგებრობების თავიდან აცილებისათვის, თავი შევიკავოთ აქტიური მოქმედებებისაგან.

აქედან გამომდინარე, ვბრძანებ:

გენერალ ი. გედევანოვს: მიიღოს ზომები სოხუმის ოკრუგის გასამაგრებლად, რისთვისაც დაიკავოს და გაამაგროს პოზიციები მდ. ბზიფის გასწვრივ, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება გაგრა-სოხუმის მიმართულებას.

ჩემი ბრძანების გარეშე აქტიური მოქმედებებისაგან თავი შეიკავოს.

---

[1] სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 76.

მოწინააღმდეგის ძალებისა და განლაგების დასადგენად, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის განწყობების დასადგენად, აწარმოოს საიდუმლო დაზვერვითი სამუშაოები.

შტაბი იყოლიოს სოხუმში, აქვე განალაგოს თავისი რაზმის ბაზა. მოწინააღმდეგის წინსვლის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის აღსაკვეთად საგზაო ნაგებობების დაზიანებით.

სასწრაფო მოხსენებები მოწოდებულ იქნას 9 და 19 საათზე ყოველდღიურად.

ჩემი მოადგილეები არიან: გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი და გენერალ-მაიორი იმნაძე.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე – გედევანოვი. გენშტაბის უფროსი – ანდრონიკოვი. ოპერატიული სექციის უფროსი – ზაქარიაძე".[1]

მიუხედავად საომარი მდგომარეობის პერიოდისათვის დამახასიათებელი დაძაბულობისა, ჯერ კიდევ 1918 წლის შემოდგომისათვის დაწყებული მზადება აფხაზთა სახალხო საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად, 1919 წლის გაზაფხულზე დასრულდა. 1919 წლის 13 თებერვალს, პირველად აფხაზეთის ისტორიაში, გაიმართა სახალხო საბჭოს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. ამავე დროს ჩატარდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციიდან შევიდნენ ვ. შარვაშიძე, დ. ემუხვარი, ვ. გურჯუა, დ. ზახაროვი და ი. ფაშალიდი.

1920 წლის 20 მარტსვე აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება ავტონომიური სტატუსით აფხაზეთის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შესვლის შესახებ.

Акт об автономии Абхазии. 20 марта 1919 г.

Первый Абхазский Народный Совет, избранный на основе всеобщего, прямого, равного и тайного избирательного права в заседании своем от 20 марта 1919 года от имени народов Абхазии постановил:

1. Абхазия входит в состав Демократической Республики Грузия, как ее автономная единица, о чем поставить в известность Правительство Республики Грузия и ее Учредительное Собрание.
2. Для составления Конституции Автономной Абхазии и определения взаимоотношений между Центральной и Автономной властью избирается смешанная комиссия в равном числе членов от Учредительного Собрания Грузии и Народного Совета Абхазии и выработанные положения по принятии их Учредительным Собранием Грузии и Абхазским Народным Советом, должны быть внесены в Конституцию Демократической Республики Грузия.[2]

ავტონომიის აქტის მიღების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და რამდენიმე წუთის განმავლობაში უწყვეტად სკანდირებდა „ვაშა"-ს.[3]

დავუბრუნდეთ ისევ 1919 წლის თებერვალს და ქართული მხარის ინტენსიური მიმოწერის საკითხს ბრიტანული სარდლობის წარმომადგენლებთან.

1919 წლის 15 თებერვალს ჟორდანიამ ამჯერად ბათუმში დისლოცირებულ ბრიტანელთა 27-ე დივიზიის მეთაურს, გენერალ ფორესტიე-უოკერს გაუგზავნა მოთხოვნა, დენიკინელთა მიერ გაგრის რაიონის დაცლის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. საპასუხო ტელეგრამაში გენერალი იტყობინებოდა, რომ ბრიტანელებმა თითქოს მოსთხოვეს დენიკინს

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 73, ფურცელი 1.

[2] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 435. Док. №240. ЦГАА, ф.И-39, оп.1, д.16, л.41.

[3] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 434. Док. №239. Из заседании АНС (Абхазский Народный Совет).

არა მარტო გაგრის, არამედ სოჭის დაცლაც. თითქოსდა ამ საქმის კურსში იყო კონსტანტინოპოლში მყოფი ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების მთავარი სარდლობაც. ამავე დროს, გენერალი ფორესტიე-უოკერი აფრთხილებდა ქართულ მხარეს, რომ ქართული ქვედანაყოფები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადასულიყვნენ მდინარე ბზიფის გამყოფ ხაზზე და არ უნდა განეახლებინათ სამხედრო მოქმედებები. გენერალი ფორესტიე-უოკერი იმასაც აცხადებდა, რომ მას შეეძლო მხოლოდ კვლავ ეცნობებინა კონსტანტინოპოლში საქართველოზე მოხალისეთა თავდასხმის შესახებ, და ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში, გაეგზავნა გაგრაში ან სოხუმში ბრიტანელთა რაზმი. ჟორდანია არწმუნებდა ბრიტანელ გენერალს, რომ ამით დენიკინის შეტევას ვერ შეაჩერებდნენ. „გენერალი როგორც ჩანს არ იცნობს რუსებს, ჩვენ ისინი ძალიან კარგად შევისწავლეთ", – აცხადებდა მთავრობის მეთაური.[1]

რამდენიმე დღეში, 1919 წლის 18 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას, ნოე ჟორდანიამ აღნიშნა: „...ინგლისის წარმომადგენლებმა დაგვარწმუნეს, რომ დენიკინი ჩვენი საზღვრებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს დაგვიდასტურეს არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ წერილობითაც. ჩვენ ამ დოკუმენტებს დიდი შეფასება მივეცით და მისით სრულიად დაიმედებულნი ვიყავით... დენიკინელთა შეტევა ისეთივე მოულოდნელობა აღმოჩნდა მოკავშირეებისათვის, როგორც ჩვენთვის. მოხდა ისე, რომ დენიკინმა ვერ შეძლო მოკავშირეთა იმედების გამართლება და ადრე თუ გვიან უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის თავისი შავი გული და ლომის ბრჭყალები".[2]

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიაში დისლოცირებული ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ მოხალისეების მიერ სამხედრო ოპერაციების წარმოების შემდეგ, ფაქტობრივად ხელები დაიბანა. შემდგომი ინსტანცია – კონსტანტინოპოლის სარდლობა კი, საეჭვო პასიურობას იჩენდა, ცრუ იმედებს აძლევდა ამიერკავკასიის სარდლობის მეშვეობით საქართველოს ხელისუფლებას და სინამდვილეში კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების საქმეს აჭიანურებდა. თუმცა ამაში გასაკვირიც არაფერი არ იყო. რეგიონში არსებული Stataus quo-ს დარღვევა და სიტუაციის დესტაბილიზაცია ნამდვილად არ შედიოდა ბრიტანულ გეგმებში. ქართული მხარე უკვე მერამდენედ მოტყუებული და იმედგაცრუებული დარჩა.

18 თებერვალს პოლკოვნიკი გედევანიშვილი ნატანებიდან მორიგ შიფროგრამას აგზავნის საქართველოს მთავრობის სახელზე, რომელშიც ბათუმში დენიკინელთა გაცხოველებული სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობის ზრდაა დაფიქსირებული.

„შიფროგრამა №89. 1919 წლის 18 თებერვალი.
ნატანებიდან. სრულიად საიდუმლო. უაღრესად საჩქარო.
ტფილისი. სამხედო მინისტრს. ასლი საგარეო საქმეთა მინისტრს.

დღეს კაპიტანმა გოგოლაძემ გადმომცა შემდეგი ცნობები... ბათუმში ბიჩერახოვის[3] ჩამოსვლამ აქ ერთგვარი ნერვული ატმოსფერო შექმნა: შიშობენ, რომ ეს ელემენტი შეიძ-ლება გამოყენებულ იქნას მასლოვსკის საბჭოსა და რუსოფილური წრეების მიერ. თუმცა ბიჩერახოველები გარკვევით ლაპარაკობენ თავიანთ გამგზავრებაზე სამშობლოში – ყუბანში.

---

[1] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 45.

[2] Г. Р. Мархулия. „Красная" и „белая" Россия против независимости Грузии. საისტორიო ძიებანი. III. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. თბილისი. 2000. გვ. 121. Н. Жордания. За два года. Стр. 203.

[3] ლაზარ ბიჩერახოვი (1882-1952) – ოსი ეროვნების მკვეთრად ანტიბოლშევიკური განწყობების მქონე ცარისტი ოფიცერი, კავალერიის პოლკოვნიკი, თერგის კაზაკთა პოლკის მეთაური. I მსოფლიო ომში გენერალ ბარათოვის საექსპედიციო კორპუსის საკავალერიო ნაწილის მეთაური ირანში. 1918 წლის ივნისიდან ბაქოს ბოლშევიკური „კომუნისა" და „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის" რუსულ-სომხური ესერულ-დაშნაკური სამხედრო გარნიზონის ე.წ. „აქტიური ჯგუფის" მეთაური. გიორგის ჯვრის კავალერი.

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა გენერალი ბარათოვი, რომელიც თითქოს ინდოეთიდან ჩამოვიდა მალტისა და კონსტანტინოპოლის გავლით. ცხადია, რომ მას გარკვეული მისია აკისრია. ჩამოსვლისას ის შეხვდა ბიჩერახოვს...

გედევანოვი".[1]

რაც შეეხება დენიკინსა და მის შემდგომ მოქმედებებს. მას შემდეგ, რაც სამხედრო ძალის გამოყენებით მოახდინა სოჭი-ადლერისა და სოხუმის ოლქის ნაწილის ოკუპაცია, გენერალმა დენიკინმა მთელი ძალისხმევა თავისი მთავარი მოწინააღმდეგის, ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართა. ამ მომენტისათვის ბოლშევიკები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ თერგის ოლქის ნაწილსა და აღმოსავლეთ კავკასიის მთისწინეთს. გარდა ამისა, წითელი არმიის გარკვეული შენაერთები ყირიმშიც შევიდნენ. გენერალი დენიკინი: „1919 წლის გაზაფხული სამხრეთის არმიისათვის უმძიმესი გამოწვევების ხანა იყო: ფრანგთა მიერ ოდესის დატოვება, თითქმის მთელი ყირიმის დაკარგვა, დონის ფრონტის კრიტიკული მდგომარეობა, და ცარიცინის მხრიდან ტიხორეცკზე დარტყმის საშიშროება, მთელი ძალების ხსენებულ მიმართულებებზე თავმოყრას მოითხოვდა. მივიღე რა, გენერალ ბრიგსისაგან წერილობითი დასტური იმაზე, რომ „ბრიტანული ჯარების მიერ მდინარე ბზიფის პოზიციების დაკავებასთან დაკავშირებით, საქართველოს მხრიდან გამორიცხულია მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ყოველგვარი შესაძლო შეტევითი მოქმედებები", მე მნიშვნელოვნად შევასუსტე სოჭის ფრონტი".[2]

ჩრდილოეთ კავკასიაში 1919 წლის დასაწყისიდან „სამხრეთ რუსეთის არმიის" მიერ ბოლშევიკთა წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაციები და მათი შედეგები სრულადაა წარმოდგენილი დარიალის სასაზღვრო რაზმის უფროსის, პოლკოვნიკ სრესე-ლის ქვემოთ მოყვანილ მოხსენებით ბარათში.

„ასლი საიდუმლო მოხსენებისა დარიალის სანაპირო რაზმის უფროსისა
სანაპირო ჯარების უფროსისადმი.
3 მარტიდან №540-ზე.

დამატებით ჩემი ტელეფონოგრამისა 25 და 28 თებერვლის თარიღით №43 და №45 მოგახსენებთ დაზვერვის ცნობებს ყაზბეგის რაიონის განყოფილებისა:

1-ლ თებერვალს აგენტიური ცნობებით, თერგის ოლქს, ბოლშევიკური მთავრობის მოსასპობად გარს შემოერტყა გენერალ დენიკინის ჯარი, გენერალ შკუროს[3] ხელმძღვანე-ლობით. მათ ადვილად აიღეს ალაგირი და ოსების და ყაზახების აქტიური მონაწილეობით გაანადგურეს ალაგირი, სადაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა არიან ქართველები. ადვილად აიღეს აგრეთვე ვაკე ინგუშეთი, ბაზარ ქინის ოლქი და დაუახლოვდნენ ქ. ვლადიკავკავს. ბოლშევიკებს მოეხმარნენ ინგუშები და 10000 კაცამდე გამოიყვანეს ქალაქის დასაცავად.

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 126.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 290.

[3] ანდრეი გრიგორევიჩ შკურო (1886-1947) – რუსი სამხედრო მოღვაწე, ყუბანელი კაზაკი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, მოხალისეთა არმიის გენერალ-ლეიტენენტი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომების აქტიური მონაწილე. 1914-1916 წლებში იბრძვის I მსოფლიო ომის რუმინეთის ფრონტზე, 1917 წლიდან კავკასიის ფრონტზეა, შემდეგ კი მსახურობს ირანში გენერალ ბარათოვის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში. საკავალერიო პოლკის მეთაური. 1918 წლიდან უერთდება თეთრგვარდიულ მოძრაობას. 1918 წლის ბოლოდან მოხალისეთა არმიის კავკასიის ცხენოსანი დივიზიის მეთაურია. 1919 წლის გაზაფხულიდან სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ყუბანისა და თერგის ოლქების ჯარების სარდლობის შტაბის უფროსი. გიორგის ჯვრის კავალერი.

ინგუშების აქტიური გამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ 1918 წელში, როდესაც ინგუშებმა ხელში ჩაიგდეს ვლადიკავკავი, მათ დაარბიეს, როგორც ქალაქი, აგრეთვე ყაზახების მდიდარი სტანიცები, დახოცეს ყაზახები ოჯახითურთ, მიითვისეს მათი სიმდიდრე და ეხლა ეშინიათ ყაზახებს მათთვის სამაგიერო არ გადაეხადოთ.

ცხრა დღე იყო ომი დენიკინის ჯარსა და ბოლშევიკებს-ინგუშებს შორის. 10 თებერვალს დენიკინმა აიღო ვლადიკავკავი. ინგუშები დაიფანტნენ მთებში და ბოლშევიკები კი მოაწვნენ საქართველოს საზღვრებს.

რადგანაც ჩვენ გვქონდა აგენტურული ცნობები, ბოლშევიკების ჩვენი საზღვრებისკენ მოშურებისა, ჩვენს მიერ მიღებულ იქნა ზომები მათ შესახვედრად. 12 თებერვალს, საღამოზედ, ჩვენ საზღვრებზე გამოჩნდა ბოლშევიკების მზვერავი ჯარი, რომელმაც ჩვენის მხრიდან სროლის შემდეგ, უკან დაიწია. ამავე დროს, საღამოს 8 საათზე საზღვარს მოადგა ავტომობილი ბოლშევიკების პარლამენტიორებით, რომლებმაც ითხოვეს გამოგვეშვა სამშობლოში ქართველები მაინც.

ამის შესახებ ყაზბეგის განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ წერეთელის მიერ პირდაპირი მავთულით მოხსენდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ნება დართო გამოეშვა მარტო ქართველები, იარაღის ჩამორთმევით. პარლამენტიორები დაბრუნდნენ უკან და როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მთავრობის გადაწყვეტილებამ ბოლშევიკებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და გადაეწყვიტათ შეერთებული ძალებით ქართველი ბოლშევიკების მონაწილეობით, ძალით გამოერღვიათ საზღვარი და გამომგზავრებულიყვნენ საქართველოსაკენ.

18 თებერვალს, იმის მაგიერ, რომ ქართველი ბოლშევიკები მოსულიყვნენ საზღვართან, ჩაებარებიათ იარაღი და გადმოგვეშვა საქართველოში, დილის 8 საათზე დაიწყეს სროლა ზარბაზნებითა და ტყვიის-მფრქვეველებით. ჩვენს და ბოლშევიკებს შორის ორი დღის ომის შემდეგ, ჩვენგან მიტანილი იერიშით ბოლშევიკებმა დაჰყარეს იარაღი, რის შემდეგაც გამოშვებულნი იყვნენ საქართველოსაკენ.

ბოლშევიკების გამოშვების შემდეგ, 14 თებერვალს საქართველოს საზღვრებს მოადგა დენიკინის დამზვერავი ჯარი. იმავე დღეს მოვიდა დარიალის ხიდთან გენერალ შკუროსაგან გამოგზავნილი დელეგაცია, პოლკოვნიკ დანელიჩენკოს თავმჯდომარეობით. მათ აინტერესებდათ ბოლშევიკების ლიკვიდაცია და როდესაც დაწვრილებით გაიგეს საქმის დაბოლოვება, კმაყოფილნი დარჩნენ და იმავე დღეს დაბრუნდნენ ვლადიკავკავში. 18 თებერ- ვლამდე ჩვენი საზღვრებიდან საქართველოს სამხედრო გზას ვლადიკავკავამდე იცავდნენ ყაზახები, შემდეგ კი გზის დაცვა გადავიდა ინგუშების ხელში, რომლებმაც თერგის და დაღესტნის ოლქების გენერალ გუბრნატორის, გენერალ ლიახოვის განკარგულებით გამოიყვანეს სამი ცხენოსანი ასეული.

გენერალ დენიკინის ჯარსა და ჩვენს შორის, არ შემიძლიან ვსთქვა, რომ კარგი განწყობილება არის. დენიკინის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკას უცქერის როგორც თავის მტერს, არ მოსწონს ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება და რუსების ჩამოშორება, მაგრამ რადგანაც მათ ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები აწვებიან, ჯერ-ჯერობით საქართველოსათვის არ სცალიან და მთელ ძალას აგზავნიან დონის როსტოვისაკენ. არც ინგუშებს უცქერიან კარგი თვალით, ძლიერ სასტიკად მოჰკიდეს მათ ხელი და ამას გარდა მოახდინეს განკარგულება, გამოიყვანონ მათ სამი ცხენოსანი პოლკი, რომელსაც დანიშნულება აქვს როსტოვისაკენ გამგზავრებისა ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ.

პოლკოვნიკი სრესელი;

რაზმის ადიუტანტი პორუჩიკი ანდრონიკაშვილი;

დედანთან სწორეა – სანაპირო რაზმის სამმართველოს ობერ-ოფიცერი შტაბ-როტმისტრი წულუკიძე".[1]

მაშ ასე, 1919 წლის თებერვლის ბოლოსათვის მოხალისეთა არმიამ მთლიანად დაიკავა ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთი, საქართველოს შავიზღვისპირა ზოლი მდინარე ბზიფამდე და შემდგომი საბრძოლო აქტივობა ჩრდილოეთის მიმართულებაზე, როსტოვისაკენ მიმართა.

სამხედრო ღონისძიებებთან ერთად საქართველოს საერთაშორისო ცნობისა და მისი საზღვრების აღიარების გზაზე ქართული მხარის მიერ ინტენსიური პოლიტიკური და დიპლომატიური მუშაობაც მიმდინარეობდა.

ამ მიზნით პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართველ პოლიტიკოსთა წარმომადგენლობითი ჯგუფიც გაიგზავნა. თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო თებერვლის ბოლოსათვის პარიზში ჩასვლა ქართული დელეგაციის მხოლოდ ორმა წევრმა, ნიკოლოზ ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა[2] მოახერხეს. მათ წინამოსამზადებელი შეხვედრები ჰქონდათ სხვადასხვა პარტიებთან, საიდანაც გაირკვა, რომ მიუხედავად გულთბილი მიღებისა, საფრანგეთის პოლიტიკური წრეებისა და ანტანტის ქვეყნებისათვის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს იდეა ნამდვილად არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ საკითხს და კონფერენციაზე საქართველოს დე იურედ ცნობის მინიმალური შანსები არსებობდა. თუმცა, ჩხეიძე და წერეთელი ამ საკითხის მიმართ მაინც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი.

ამის შესახებ ნიკოლოზ ჩხეიძე პარიზიდან გამოგზავნილ წერილში ატყობინებდა ნოე ჟორდანის.[3]

,,საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს.

---

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 161-162.

[2] ირაკლი წერეთელი (1881-1959) – რუსეთისა და საქართველოს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, ორატორი. ძველი რევოლუციონერი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან, მენშევიკი, თბილისის რსდმპ კომიტეტის წევრი, ჟურნალ ,,კვალის" მთავარი რედაქტორი. 1907 წლიდან რუსეთის დუმის მეორე მოწვევის წევრი სოციალ-დემოკრატებიდან. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და დუმის აგრარული კომისიის თავმჯდომარე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ირკუტსკის მუშათა დეპუტატების საბჭოსა და მისი სამხედრო ორგანიზაციის შემქმნელი. 1917 წლის აპრილიდან პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრი. რუსეთის დროების მთავრობის მეორე შემადგენლობაში ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწე.

სწორედ ირაკლი წერეთელს უკავშირდება ლოზუნგად ქცეული ლენინის ცნობილი გამოთქმა – ,,Есть такая партия!". 1917 წლის 4 (17) ივნისს გამართულ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების I ყრილობაზე მომხსენებლად გამოსვლისას, ირაკლი წერეთელმა განაცხადა: ,,...მოცემულ მომენტში რუსეთში არ არსებობს ისეთი პარტია, რომელიც იტყვის: გადმოგვეცით ხელისუფლება, ჩვენ ვმართავთ სახელმწიფოს..." ამ სიტყვებზე დარბაზი გაინაბა. უცებ ბოლშევიკთა ლიდერმა, ლენინმა ადგილიდან შეჰყვირა: ,,არის ასეთი პარტია!"... ლენინის ეს ფრაზა ბოლშევიკური და საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის მიერ უმალ ატაცებულ იქნა ლოზუნგად, როგორც შემობრუნების მომენტი ბოლშევიკთა მიერ ხელისუფლებაში მოსვლის ბრძოლის საქმეში... თუმცა, ამ ეპიზოდს მეტად საინტერესო გაგრძელება ჰქონდა, რაზეც ბოლშევუკური პროპაგანდა და ოფიციალური წყაროები აღარ საუბრობენ. ,,აქ საჭიროა ისეთი პარტია, რომელსაც არაფრის არ ეშინია!" – აგრძელებდა წერეთელი. – ,,ჩვენ არ გვეშინია არაფრის!" – უპასუხა ლენინმა. ,,არაფრის მხოლოდ სულელებს არ ეშინიათ!" – წერეთლის ამ პასუხით დასრულდა დიდ მენშევიკსა და დიდ ბოლშევიკს შორის წამოჭრილი ეს მწვავე პოლიტიკური პოლემიკა.

[3] ,,ნიკოლოზ ჩხეიძის წერილი პარიზიდან ჟორდანიას". დოკუმენტი წარმოადგენს დედანს, დაწერილია შავი მელნით ,,საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის" ფრანგულენოვან ბლანკზე, ქართული დელეგაციის მისამართის ჩვენებით – DÉLÉGATION DE LA RÉPUBLIQUE GÉORGIENNE. 37, Rue La Pérouse, 37. PARIS (16e).

პარიზში ჩამოვედით 27 თებერვალს მთელი ჩვენ დელეგაციიდან მხოლოდ ორი: მე და ირაკლი. სხვები მაშვინ არ გამოუშვეს.

ბევრი ცდის შემდეგ ეხლა შემოგვითვალეს საფრანგეთის სამინისტროსგან, რომ ნიკოლაძეს[1] და გობეჩიას[2] გაეგზავნათ ნებართვაო. თუ რატომ გრ. რცხილაძეც[3] არ უნდა ჩამოვიდეს ამაზე არაფერს არ ამბობენ. სთქვეს მხოლოდ რომ ნიკოლაძე და გობეჩია პარიზში ნამყოფია უკვეო და კონსტანტინეპოლიდგანაც მათთვის ჩვენმა წარმომადგენელმა მიიწერაო. გვინდა მოვახერხოთ რომ გრ. რცხილაძეც ჩამოვიდეს ჩვენთან.

– თუ რა გაკეთებულა აქ ჩვენს ჩამოსვლამდის და რა ნოტები გადაუციათ გვარჯალაძე-ავალოვ-გამბაშიძეს, ამის შესახებ ცალკე წერილი იგზავნება.

აქ ჩამოსვლისთანავე, როცა კი გავეცანით აქაურ მდგომარეობას, მაშინვე შევუდექით ჩვენ საქმეს. ვინახულე აქაური პარტიების გამოჩენილი წარმომადგენლები. ვნახეთ სოციალისტები: ალბერტ თომა, რენოდელი, კაშენი, მუდი, ლაფონი, მუტე და სხვები. მიგვიპატიჟეს ფრაქციაში, სადაც მათ გაუკეთეთ მოხსენება ჩვენ საქმეებზე. გამოგვიცხადეს სიმპათია და შეგვპირდნენ ყოველ მხრივ დახმარებას.

რადიკალების პარტიიდან ვნახეთ ფრანკლენ ბულიონი (საგარეო საქმეთა პარლამენ-ტარულ კომისიის თავმჯდომარეა), ბრიანი, ვივიანი, პარლამენტის თავმჯდომარე დებანლი და სხვები. ყველა სიმპატიით მოგვეპყრა.

უნდა ითქვას რომ საფრანგეთი ალიებთა[4] შორის პატარა ეროვნების საქმეს არ უყურებს საზოგადოდ კარგათ. საფრანგეთს სურს რომ აღადგინოს რუსეთი ძველ ფარგლებში. ყოველ შემთხვევაში აქამდის საფრანგეთის მთავრობა ამ საკითხში არ იყო წვრილი ერების დამოუკიდებლობის მომხრე.

საფრანგეთის სამინისტროში ვინახულეთ კრამარესი, რომელსაც აბარია რუსეთის საქმეები. მისი ლაპარაკითგან ირკვევა, რომ ის არ არის მომხრე წვრილ ერებთა დამოუკიდებლობისა. ახლა როცა ამ საკითხში საფრანგეთი მარტო დარჩა და სხვა ალიები კი წვრილ ერების დამოუკიდებლობას მხარს უჭერს, ისიც ცდილობს რომ პოზიცია იცვალოს.

როცა ამას წინეთ საფრანგეთის საგარეო მინისტრი პიშონი ვინახულეთ და ჩვენი საქ-მის ვითარება მოვახსენეთ, გვითხრა, რომ ყოფილი რუსეთის წვრილ ერებთა შორის საქართ-ველოს საკითხი ყველაზე უფრო ნათელია და მისი დამოუკიდებლობა ეჭვს არ იწვევსო".[5]

1919 წლის 14 მარტს, პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე გამართულ სხდომაზე, ქართულმა დელეგაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე ცნობისა და სახელმწიფო საზღვრების პროექტი-მოთხოვნა წარადგინა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულ იქნა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები.

---

[1] ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) – დიდი ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადო და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილე ქართული დელეგაციის წევრი. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და საპატიო თავმჯდომარე. სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამრეწველო, ეკონომიკური და სოციალური პროექტების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

[2] იოსებ გობეჩია (1879-1962) – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისიის" წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

[3] გრიგოლ რცხილაძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

[4] ამ ტერმინის ქვეშ მოკავშირეები, ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ქვეყნები იგულისხმება.

[5] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 1.

წარდგენილ პროექტში ხაზგასმული იყო მოთხოვნილი ტერიტორიების საქართველოსათვის ისტორიული კუთვნილებისა და სახელმწიფოსათვის მათი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტი:

,,Определяя свои границы, Правительство Грузии требует только те территории, которые всегда принадлежали грузинскому народу и которые имеют для него жизненно важное значение, но при этом не затрагивают жизненных интересов других народов...

Исходя из этих общих соображений и определенных административных возможностей, делегация утверждает, что территория Грузии должна включать в себя:

Тифлисскую и Кутаисскую губернии, районы Сухума и Закаталы, район Батума, две области западнее Карса (Олти и Ардаган и несколько частей Причерноморской области, а также вилайет Трапезунд (Требизонд)".[1]

თუმცა ანტანტისა და პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობისა და მისი სახელმწიფო საზღვრების მოწყობის საკითხის განხილვა ჭიანურდებოდა. ფაქტია, რომ მხოლოდ ანტანტის ქვეყნების კეთილ ნებისა და სამშვიდობო კონფერენციის იმედად ყოფნა ნაყოფს არ იძლეოდა. ევროპას ნაკლებად ადარდებდა ამიერკავკასიის ახლადშექმნილ სახელმწიფოთა სამართლებრივი და ტერიტორიული მოწყობის შემდგომი ბედი. მათ სხვა ინტერესები და სხვა ამოცანები ამოძრავებდათ. საქართველოს პოლიტიკური წრეების წინაშე კი, სულ უფრო და უფრო ნათლად იკვეთებოდა ის აზრი, რომ მხოლოდ პოლიტიკური თამაშების დრო სრულდებოდა. ყველასთვის ცხადი ხდებოდა, რომ ბრიტანელებთან წარმოებულ დიპლომატიურ-პოლიტიკურ მუშაობასთან პარალელურად, საჭირო იყო უფრო ქმედითი და ეფექტური ღონისძიებების გატარება. ქართული პოლიტიკური ელიტისა და სამხედრო უწყებისათვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ აფხაზეთის დაბრუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის აქცენტები სამხედრო აქტივობის ზრდაზე უნდა გადატანილიყო.

---

[1] Из доклада делегации Грузии на Парижской мирной конференции о политических требованиях и границах. 14 марта 1919 г. Оккупация и фактическая аннексия Грузии. Документы и материалы. Тбилиси, 1990, с.61-62. http://abkhazeti.info/history/ 2005061754562 8099382.php.

პატიმრობაში მყოფი კორნილოველ ოფიცერთა ჯგუფი (ნომრის მიხედვით):
1. ლ. კორნილოვი, 2. ა. დენიკინი, 3. გ. ვანოვსკი, 4. ი. ერდელი, 5. ე. ელსნერი, 6. ა. ლუკომსკი, 7. ვ. კისლიაკოვი, 8. ი. რომანოვსკი, 9. ს. მარკოვი, 10. მ. ორლოვი, 11. ლ. ნოვოსელცევი, 12. ვ. პრონინი, 13. ი. სოოტსი, 14. ს. რასნიანსკი, 15. ვ. როჟენკო, 16. ა. ბრაგინი, 17. ი. როდიონოვი, 18. გ. ჩუნიხინი, 19. ვ. კლეცანდა, 20. ს. ნიკიტინი. 1917 წლის შემოდგომა.

ეპიფან კოვტიუხი
(1890-1938)

ივან სოროკინი
(1884-1918)

ივან მატვეევი
1890-1918)

მიხაილ ალექსეევი (1857-1918)

ანტონ დენიკინი (1872-1947)

ლუკა ბიჩი (1870-1945)

ალექსანდრ ლუკომსკი (1868-1939)

ალექსეი კალედინი (1861-1918)

ანდრეი შკურო (1886-1947)

პიოტრ კრასნოვი (1869-1947)

გენერალი სერგეი მარკოვი (1878-1918)

გენერალი ალექსეევი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.
1918 წლის შემოდგომა

ნიკოლაი იუდენიჩი (1862-1933)

ვლადიმერ შატილოვი (1855-1928)

ნიკოლაი ბარათოვი (1882-1952)

ევგენი მასლოვსკი (1876-1971)



მარკოვი, დენიკინი, ალექსეევი

მარცხნიდან მარჯვნივ: დენიკინი, ლუკომსკი, დრაგომიროვი, რომანოვსკი

დენიკინი და ალექსეევი ადიუტანტებთან ერთად

ალექსანდრ ჩერეპოვი (1877-1964)

ივან ერდელი (1870-1939)

ვასილი შულგინი (1878-1976)

ალექსანდრ ფილიმონოვი (1866-1948)

ალექსეი ერმოლოვი (1777-1861)

ალექსანდრ ბარიატინსკი (1815-1879)

დენიკინი აღლუმის მიღებაზე. ეკატერინოდარი, 1918 წელი.

თეთრგვარდიელთა კავალერია

გენერალი დენიკინი აღლუმის მიღებაზე.
ხარკოვი, 1919 წლის ივნისი.

პორუჩიკი ანტონ დენიკინი,
1895 წელი.

სოჭის ფრონტი, 1918 წლის სექტემბერი. მარცხნიდან პირველი გენერალი ალექსანდრე ქონიაშვილი, მესამე ევგენი გეგეჭკორი, შემდეგ – ალექსანდრე დგებუაძე, ვალიკო ჯუღელი და სანდრო მაისურაძე.

გვარდიელები შავი ზღვის სანაპიროზე

ბრიტანელები საქართველოში. შოტლანდიელი ჯარისკაცები თბილისში. 1919 წელი.

ბრიტანელები საქართველოში. სიპაიების რაზმი ბათუმში. 1919 წელი.

ინგლისელ და ქართველ სამხედროთა ჯგუფი

დენიკინი და ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელი დენიკინის არმიაში, გენერალი პული

დენიკინისათვის გადაცემული ბრიტანული ტანკები



გენერალი დენიკინი ბრიტანელთა მეკავშირე ოფიცერთან ერთად

დენიკინისათვის გადაცემული ბრიტანული ტანკები

გენერალი როუტონ ბრიგსი

გენერალი ჯორჯ მილნი

ფელდმარშალი ედმუნდ ალენბაი (1861-1936)

გენერალი დენიკინი ბრიტანულ დრედნოუტზე. მისგან მარჯვნივ ადმირალი ჯონ დე რობეკი. 1919 წელი

გენერალი კვინიტაძე ჯარების დათვალიერებისას

რეზო გაბაშვილი
(1882-1969)

ნოე ჟორდანია და ვალიკო ჯუღელი სახალხო გვარდიის აღლუმზე

სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის წევრები

იოსებ გობეჩია (1879-1962)

გენერალი ილია ოდიშელიძე (1865-1921)

სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი აღლუმზე. თბილისი, 1919 წლის 12 დეკემბერი.

სახალხო გვარდიელთა ჯგუფი

გენერალი ალექსანდრე ქონიაშვილი

სახალხო გვარდიის ქვედანაყოფი მარშზე



პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის სხდომა



1919 წლის 27 მაისი. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის მონაწილე „დიდი ოთხეულის" წევრი ქვეყნების ლიდერები. მარცხნიდან მარჯვნივ: დევიდ ლოიდ ჯორჯი (დიდი ბრიტანეთი), ვიტორიო ორლანდო (იტალია), ჟორჟ კლემანსო (საფრანგეთი) და ვუდრო ვილსონი (აშშ).

თავი IV

ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებები და აფხაზეთის დაბრუნება

,,მოხალისეებმა ჩემს თვალწინაც რომ დაგხოცონ, თქვენი გამოსარჩლების უფლება იმ შემთხვევაშიც არ მექნებოდა, რადგან გენერალი დენიკინი და მისი არმია კანონიერ ხელისუფლებას წარმოადგენს, რომელსაც სცნობს ინგლისის სამეფოს მთავრობა''.

პოლკოვნიკი ფაინსი. 1919 წელი.

§1. ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადება და ჯარების მართვაში არსებული დაპირისპირება

ბრიტანელთა მიერ მიცემული გარანტიების მიუხედავად, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მკვეთრად შეილახა. სოჭის ოლქისა და სოხუმის ოლქის გაგრის რაიონების მოსახლეობა საშინელ დღეში აღმოჩნდა. მოხალისეებმა მოსახლეობის ძარცვა-დარბევა და აწიოკება დაიწყეს. დენიკინელებმა მას თავს საშინელი რეპრესიები დაატეხეს. ისტორიულ წყაროებში მოხალისეთა სისასტიკის არაერთი მაგალითია დაცული. ბუნებრივია, თბილისი ბრიტანელთა სარდლობისაგან სასწრაფო და რადიკალური ზომების მიღებას მოელოდა.[1]

19 თებერვალს გენერალმა ფორესტიე-უოკერმა აცნობა გეგეჭკორს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა დენიკინს გამოეყვანა თავისი სამხედრო ნაწილები სოჭიდან. ამავე დროს იგი მიუთითებდა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ უნდა წაეწიათ წინ.[2] მაგრამ ბრიტანელთა ეს დაპირებაც მორიგი სიცრუე აღმოჩნდა.

ისტორიული ქართული მიწები მოხალისეთა არმიის მიერ იყო ოკუპირებული და ეს მდგომარეობა სრულად ჯდებოდა ბრიტანელთა ანტიბოლშევიკური სტრატეგიის დიდ პოლიტიკურ სცენარში. ამ კონტექსტში, დენიკინელები, როგორც ბოლშევიკებთან მებრძოლი ძალა, ბრიტანელთა ბუნებრივ მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. ბოლშევიკთა მესაფლავეებად ბრიტანელთა მიერ სწორედ დენიკინელები მოიაზრებოდნენ – ისინი უნდა ქცეულიყვნენ ბოლშევიკთა სამხრეთისაკენ ექსპანსიის შემაკავებელ ფაქტორად. ამიერკავკასიის ახლადშექმნილი რესპუბლიკები კი, საქართველო და აზერბაიჯანი, ბრიტანელთათვის სასურველ, მაგრამ არასაიმედო პარტნიორებს წარმოადგენდნენ და სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოსთან მიმართებაში ბრიტანული სარდლობა ორაზროვანი თამაშებისა და დროის გაყვანის ტაქტიკას ანხორციელებდა. ეს თამაშები კი მანამდე გაგრძელდებოდა, სანამ უფრო ნათლად არ გამოიკვეთებოდა პოლიტიკურ დაფაზე წარმოდგენილი ფიგურების ფასი და წონა.

ქართული მხარის მიერ ბრიტანელებთან წარმოებული სამხედრო და დიპლომატიური ფლირტი დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა დილემა სახეზე იყო. როგორც მთავრობის, ასევე ქართული სარდლობისათვის ცხადი გახდა, რომ ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელთა მხოლოდ კეთილი ნების იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა. ეს შედეგს არ იძლეოდა. თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ბრიტანელებთან ღია კონფრონტაციაში შესვლაც არ შეიძლებოდა.

მიმდინარე დიპლომატიური მიწერ-მოწერის პარალელურად, ქართული მხარე აქტიური სამხედრო მზადების რეჟიმზე გადავიდა. მის მიერ ბზიფის საოკუპაციო გამყოფ ხაზზე ქართული გვარდიული რაზმების შეყვანა და პოზიციების გამაგრება დაიწყო. აფხაზეთის სახალხო საბჭო და მისი თავმჯდომარე, ვარლამ შარვაშიძე, დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა ქართული ქვედანაყოფების აფხაზეთში შეყვანის ფაქტს. აფხაზთა სახალხო საბჭომ გენერალ იოსებ გედევანიშვილსა და სამეთაურო

---

[1] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 46.
[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 28.

შემადგენლობას საზეიმო შეხვედრა მოუწყო. გაზეთი ,,Наше слово" 1919 წლის 21 მარტის ნომერში წერდა:

,,აფხაზეთის სახალხო საბჭოს მისალმება რესპუბლიკის არმიებისადმი.

აფხაზეთის სახალხო საბჭო მოგესალმებით თქვენ, გენერალო, და თქვენი სახით, სახელოვან არმიას და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიას, რომელიც არაერთხელ მოსულა ჩვენთან დასახმარებლად ჩვენთვის მძიმე მომენტებში. და ახლა, როცა თქვენ ისევ მოხვედით ჩვენს მიწაზე დაიცვათ იგი ცარისტი გენერლების ხელყოფისაგან, არ გაშინებთ არანაირი მსხვერპლი, მე, საბჭოს სახელით, გისურვებთ თქვენ და თქვენს სახელოვან ჯარებს წარმატებებს თქვენს მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო საქმეში.

ყველა ფეხზე დგას და აპლოდირებს, ესალმება არმიას სახალხო გენერლის, გედევანოვის სახით. დამოუკიდებელთა ჯგუფი ზის.

– ,,დენიკინელები!" ისმის ხმები. ჯგუფი უხალისოდ დგება და ისინიც აპლოდირებენ".[1]

ამ მომენტისათვის ბზიფის პოზიციებზე კონცენტრირებული სახალხო გვარდიის პირადმა შემადგენლობამ 3000 კაცს გადააჭარბა. ვალიკო ჯუღელი: ,,ახლა ჩვენ საკმარისი ძალები გვყავს: 3000-ზე მეტი ხიშტი, 14 ქვემეხი და 100-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. ჩვენ თავისუფლად და ყოველგვარი სირთულეების გარეშე განვდევნით მოწინააღმდეგეს"...[2]

მიუხედავად იმისა, რომ ბზიფზე გარკვეული რაოდენობის ძალა იქნა თავმოყრილი გვარდიის რაზმების სახით, რაც ვალიკო ჯუღელის აზრით საკმარისი იყო წარმატებული შეტევითი მოქმედებების დასაწყებად, აფხაზეთის ფრონტზე მაინც გრძელდებოდა დამატებითი კონტინგენტის გადმოსროლა სხვა მიმართულებებიდან. კერძოდ, საქართველოს მთავრობასა და ქართულ სარდლობას მოუხდა მეტად მტკივნეული და რთული გადაწ-ყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ ახალციხის ფრონტის არტაანის (არდაგანის) მიმართულებიდან გენერალ კვინიტაძის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა გვარდიული ქვედანაყოფი მოხსნილიყო და ისინი ბზიფის რაზმს შეერთებოდა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე ჩაითვალა, რომ ამ ეტაპზე საომარი მოქმედებების პირველხარისხოვან მიმართულებას სწორედ აფხაზეთი და ბზიფის ფრონტი წარმოადგენდა. ამ გადაწყვეტილების მიღებაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების სინამდვილეში არსებულმა იმ მანკიერმა სენმაც ითამაშა დიდი როლი, რაც რეგულარულ ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის არსებულ დიდ დაპირისპირებაში გამოიხატებოდა.

სახალხო გარადიის მთავარი შტაბის სხდომის №90 ოქმის ამონაწერი,
1919 წლის 15 მარტი:

,,დაესწრნენ: ჯუღელი, საღირაშვილი, კახიანი, ჭიაბეროვი, აუშტროვი, ქარცივაძე.

ჟურულის მოხსენება ახალციხის ფრონტის შესახებ:

...გენერალ კვინიტაძის დამოკიდებულება ჩვენს მიმართ არც თუ ისე კარგია. მან არ ისურვა საველე შტაბის შექმნა, რაც ჩვენთანაა მიღებული. იგი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს.

---

[1] Газета ,,Наше слово". Сухуми. 1919, 21 марта. №60. Стр. 2. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[2] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 9.

დაადგინეს: ახალციხის ფრონტზე დარჩნენ ვლ. ჯიბლაძე და სხვა ამხანაგები. იქ სახალხო გვარდიელები აღარ გაიგზავნონ. ყველა ჩვენი მობილიზებული ძალები გაიგზავნოს სოჭის ფრონტზე".[1]

არსებული გნხეთქილების გამო და დენიკინელების წინააღმდეგ ძალების თავმოყრის მიზნით, 1919 წლის 22 მარტს გვარდიის ნაწილებმა ახალციხის ფრონტი დატოვეს. ახალციხის მაზრაში კონცენტრირებული გენერალ კვინიტაძის განკარგულებაში მყოფი ჯარების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა...

და აქ მივადექით ერთ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ისტორიულ ფენომენს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში არსებულ განსაკუთრებულ სტრუქტურას – ე.წ. „საველე შტაბის" ცნებას. აღსანიშნავია, რომ ომებისა და საომარი კამპანიების წარმოების დროს ფორმირდებოდა ჯარების მართვის განსაკუთრებული ორგანო – ე.წ. „საველე შტაბი". მაგრამ აქ არაა საუბარი შენაერთის შტაბის კლასიკურ გაგებაზე, სამხედრო შტაბზე, ანუ „არმიის ტვინზე". ორგანოზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა საომარ პირობებში ჯარების ოპერატიულ მართვაზე, ოპერაციების დაგეგმვაზე, კონტროლსა და აღსრულებაზე. აქ ე.წ. „დემოკრატიული ჯარის" (Sic!) (ვალიკო ჯუღელისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების საყვარელი გამოთქმა) დირექტიულ იდეოლოგიურ მანქანაზეა საუბარი. ორგანოზე, სადაც თავდადებული სოციალ-დემოკრატები, მმართველი პარტიისა და გვარდიის მთავარი შტაბის წევრები ინიშნებოდნენ ყოფილი „ცარისტი ოფიცრებისა" და რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობის იდეოლოგიური საიმედოობის გასაკონტ-როლებლად.

ძალიან მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, არსებული „საველე შტაბები" და მათი წევრები ბოლშევიკური წითელი კომისრების ანალოგიურ ორგანოს წარმოადგენდნენ პირველი ქართული რესპუბლიკისა და ქართული შეიარაღებული ძალების სინამდვილეში. სამწუხაროდ, ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკების ხედვები ამ საკითხთან დაკავ-შირებით რუსი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების ხედვისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.

საკითხის ამოწურვისათვის კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკის რეალობაში, მხოლოდ საქართველო და რუსეთი წარმოადგენდნენ იმ ქვეყნებს, სადაც სამხედრო მინისტრების თანამდებობები მმართველი პარტიების ერთგულ შვილებს, იდეოლოგიურად სანდო სამოქალაქო პირებს ეკავათ და არა პროფესიონალ სამხედროებს. რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობაში მას სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ერქვა სახელად, საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში კი – სამხედრო მინისტრი. საქართველოს შეიარაღებული ძალების სამსახურში ჩამდგარი ქართველი ე.წ. „ცარისტი ოფიცრები" კი, იგნორირებულნი იყვნენ.

ბედის ირონიაა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ ქართ-ველი გენერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის დიდი ნაწილი არასაიმედო ელემენტებად, ყოფილ „ცარისტებად", და აქედან გამომდინარე, „კლასობრივ მტრებად" მოიაზრებოდნენ. თავად „სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის" ცნებაც იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა და ცხადია, იგი ფრონტების „საველე შტაბების" ანალოგიურ მთავარ პოლი-ტიკურ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში. იგი გვარდიული რაზმებისა და რეგულარული ჯარის ნაწილების იდეოლოგიურ-პოლიტიკური მართვის ცენტრალური დირექტიული ორგანო იყო. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის „პრეზიდიუმის" წინაშე ხშირად თვით საქართველოს მთავრობის წევრებიც კი გამოდიოდნენ ანგარიშებითა და მოხსენებებით. ჩვენს მიერ

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 108.

გაკეთებულ ამ დასკვნის საფუძველს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ქვემოთ მოყვანილი №117 სხდომის ოქმიც ადასტურებს.

ახლა უკვე გასაგები ხდება, რომ რეგულარული ჯარის სამეთაურო შემადგენლობასა და საველე შტაბის წევრებს, ორთოდოქს ქართველ მარქსისტებს შორის პერმანენტული და მწვავე დაპირისპირებები არსებობდა. თავისთავად ცხადია, რომ გენერალი კვინიტაძე, რომელიც პროფესიონალ სამხედროს, უმაღლესი რანგის საშტაბო ოფიცერს, სარდალსა და თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს წარმოადგენდა, ვერ აიტანდა, მით უმეტეს საომარი მოქმედებების დროს, ჯარების პოლიტიზირებას, სამოქალაქო პირების მიერ ჯარების მართვის პროცესში ჩართვას, ქაოსს, არაპროფესიონალიზმს, დისციპლინისა და საბრძოლო სულისკვეთების მოშლას. ამიტომ, სულაც არაა გასაკვირი, რომ 1919 წლის 1 მარტს გამართული გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე სწორედ სახალხო გვარდიისა და გენერალ კვინიტაძის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი განიხილებოდა. კერძოდ:

– „მოისმინეს ამხ. ორაგველიძის მოხსენება ახალციხის ფრონტის სარდლად კვინიტაძის დანიშვნის შესახებ, რომელიც მთელი არსებით ვერ იტანს გვარდიას. უნდა ვიყოთ ზედმიწევნით ფრთხილები, რამეთუ კვინიტაძემ შესაძლოა უღალატოს (Подвести – ა. ჩ.) (Sic!) გვარდიას მისი დისკრედიტაციის მიზნით...”[1] აქ ალბათ კომენტარების გაკეთებაც კი უხერხულია, იმდენად აბსურდულია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე გამოტანილი საკითხის არსი. და კიდევ უფრო აბსურდულია მთავარი შტაბის პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

თავად გენერალი კვინიტაძე კი ასე აღწერს ამ ინციდენტს: „საბრძოლო მოქმედებათა შეჩერების დროს გვარდიამ წამოაყენა მოთხოვნა მათი შინ გაშვების შესახებ. მე წინააღმდეგი ვიყავი, ვამტკიცებდი, არაფერმა არ გაჭრა. გვარდიის შტაბის წარმომადგენლები თბილისში ჩავიდნენ, პირდაპირი ხაზით ელაპარაკნენ მთავრობას და ბოლოს და ბოლოს მათთვის სასურველი ბრძანების გაცემას მიაღწიეს. ფრონტიდან წასვლის სურვილს იმით ხსნიდნენ, გაგრის ფრონტი უნდა გავაძლიეროთო, სახლებში 2-3 დღით წავალთ, შემდეგ კი, კვლავ შევიკრიბებით და გაგრის ფრონტზე გავეშურებითო... ამგვარად, ჩვენ შემდეგ მოვლენასთან გვაქვს საქმე. გვარდია აყენებს მოთხოვნებს და შეუსრულებლობის შემთხვევაში შინ მიდის. ამ დროს სრულიად არ უწევს ანგარიშს მთავრობის ბრძანებებს. მაგრამ მთავრობა ვერ ხედავდა, ან არ სურდა დაენახა, რომ გვარდია პრეტორიანელებად იქცნენ”.[2]

ერთობ ნაცნობი სურათი და თითქოს მრავალჯერ განხილული თემაა... გვარდიული რაზმების უდისციპლინობასა და თავნებობას მაშინაც აღნიშნავდნენ ქართველი გენერლები (კვინიტაძე, მაზნიაშვილი, ჩხეტიანი, მაყაშვილი, ჩხეიძე, მაღლაკელიძე, ახმეტელაშვილი, სხვანი და სხვანი) და შემდგომ, უკვე 90-იანი წლების დასაწყისშიც მსგავს რეალობასთან გვქონდა საქმე. გარდასულ მოვლენათა გნოსეოლოგიური ფესვების კვლევა კი, სულაც არაა საჭირო იმისათვის, რომ საკითხის არსს ჩავწვდეთ. აქ ისედაც ყველაფერი ნათელია. როგორც იტყვიან, ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია. და გენერალ კვინიტაძის ეს მემუარი განსჯისა და დასკვნების გამოტანისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა.

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 40, ფურცელი 101.

[2] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი”. თბილისი. 1998. გვ. 127-128.

§2. „ძველი წესრიგის" რესტავრაციის მცდელობა და მოსახლეობის პროტესტი

მდ. ბზიფის პოზიციებზე მთელი გაზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა სახალხო გვარდიის ნაწილების კონცენტრაცია. მარტის ბოლოსათვის გვარდიის რაზმების პირადი შემადგენლობის რაოდენობამ 5 ათასს მიაღწია. შემოყვანილ იქნა არტილერია 20 ერთეული, ხოლო მდ. ბზიფის ზემო წელში ახალი ხიდი იქნა აგებული. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხარე მზად იყო მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის შესასრულებ-ლად.

ძალებისა და საშუალებების საკმარისი კონცენტრაციის მიუხედავად, ქართული მხარის მიერ აპრილის თვემდე შეტევის დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდლობის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პოზიცია ისევ შემაკავებელ ფაქტორს წრმოადგენდა ქართული მხარის შემდგომი მოქმედებებისათვის.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმი №117.
1919 წლის 11 აპრილი.

„ესწრებოდნენ: საღირაშვილი, ვარდოიანი, ჯიბლაძე, აუშტროვი, კახიანი, ქარცივაძე, ჭიაბეროვი, შენგელია, გოგიშვილი.

მოწვეული პირები: გეგეჭკორი, ლომთათიძე, ფელიცინი, რამიშვილი, არსენიძე, ჩხიკვიშვილი.

თავმჯდომარე: საღირაშვილი;

მდივანი: აუშტროვი;

მოისმინეს ევგ. გეგეჭკორის მოხსენება შავი ზღვის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

უკვე კვირაზე მეტია, რაც ვცდილობ მივიღო საბოლოო გადაწყვეტილი პასუხი ინგლისელებისაგან დენიკინის უკან დახევის შესახებ, მაგრამ აქამდე დადებითი პასუხის მიღებას ვერ ვეღირსე. გვაქვს ზუსტი მონაცემები, რომ ინგლისელებმა მოსთხოვეს დენიკინს უკან დაწევა, მაგრამ ეს უკანასკენელი ამას არ ასრულებს. გვაქვს იმის ცნობებიც, რომ ინგლისელთა დამოკიდებულება დენიკინის მიმართ ცუდისაკენ შეიცვალა. დენიკინელთა მომარაგება ინგლისელების მხრიდან ისე ინტენსიურად აღარ მიმდინარეობს. საველე შტაბი ითხოვს კატეგორიულ პასუხს და მათ სურთ შეტევაზე გადასვლა. მთავ-რობა შეტევაზე გადასვლის წინააღმდეგია, რადგან შეტევის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც, შედეგები უმნიშვნელო იქნება. სამხედრო მდგომარეობა არ გაუქმდება და გვარდიის დემობილიზცია არ გამოცხადდება. საჭიროა მათი მზადყოფნის დონის შენარჩუნება. ბლოკადა არ შემცირდება, პირიქით — გაძლიერდება.

ყველა, აუშტროვის გარდა, გამოვიდა შეტევის დაწყების წინააღმდეგი.

დაადგინეს: არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოს შეტევითი მოქმედებები განსაკუთ-რებულ მითითებამდე. მიღებულია ერთხმად, აუშტროვის ერთი ხმის წინააღმდეგ".[1]

აუცილებლად აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ დენიკინელთა მიერ სოჭისა და ადლერის ოკუპაციას ადგილობრივი ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება მოჰყვა. ძალადობა, განუკითხაობა და ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამას არ შეიძლება მოსახლეობის პროტესტი და საპასუხო

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 113.

ქმედებები არ მოჰყოლოდა შედეგად. საერთო ჯამში გლეხებმა და კაზაკობის უმრავ-ლესობამ არ მიიღო მონარქიის აღდგენის იდეა, აკრძალა რა, როგორც მისი, ასევე ბოლშევიზმის პროპაგანდა.[1]

შავიზღვისპირეთისა და სოხუმის ოლქის მოსახლეობაში „მწვანე მოძრაობა" აგორდა, დაიწყო ანტიდენიკინური მცირე პარტიზანული რაზმების, ე.წ. „მწვანეების" ორგანიზება და მოქმედება, რაც ძლიერ მხარდამჭერ ფაქტორად იქცა მდ. ბზიფთან კონცენტრირებული სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებისათვის სრულმასშტაბიანი საბრძო-ლო მოქმედებების დასაწყებად. აღსანიშნავია მოქმედებების ის კოორდინაციაც, რაც „მწვანეთა" ლიდერებსა და ქართული ქვედანაყოფების მეთაურებს შორის დამყარდა.

„მწვანეების" როლსა და ადგილზე გენერალი დენიკინიც საუბრობს თავის მემუარში, მაგრამ იგი მოსახლეობის, პარტიზანული მოძრაობის არსს არ თუ ვერ ითვალისწინებს და თავის მსჯელობებში ერთობ ზედაპირულია. კერძოდ: „ამავე დროს ქართველების მხარდაჭერით სოჭის ოლქში მწვანეთა მოძრაობა აგორდა. ამ მოძრაობას თავისი რთული ისტორია გააჩნია, რომელზედაც მე სხვა დროს შევჩერდები. აქ კი, ამ მოძრაობის დამახასიათებელ მხოლოდ ზოგადი ხასიათის შტრიხებზე შევჩერდები. რუსი სოციალისტების რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც შავიზღვისპირეთში დამკვიდრ-დნენ, ქართველ ხელისუფალთა მფარველობით, შთააგონებდნენ გლეხებს აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისელთა მეოხებით ოლქის „ნეიტრალიზება" იყო შესაძლებელი. ეს კი მათ თავიდან ააცილებდა რეკვიზიციებს, გადასახადებს და საერთოდ, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს, მათ შორის გაწვევებს".[2]

1919 წლის თებერვალში „სამხრეთ რუსეთის მთავრობის" მიერ მოსახლეობის არმიაში გაწვევა გამოცხადდა. მაგრამ გამწვევ პუნქტებში ხალხი ფაქტიურად არ გამოცხადდა, მათ თავი აარიდეს ამ კომპანიას. ისე ჩანდა, რომ მოსახლეობამ ღიად გაუკეთა იგნორირება დენიკინის ბრძანებას „იმ პირთა სამხედრო-საველე სასამართლოზე გადაცემის შესახებ, რომლებიც არ გმოცხადდნენ გასაწვევ პუნქტებში და თავი აარიდეს სამხედრო ვალდებულებას".

1919 წლის 26 თებერვლის დენიკინისეული გაწვევის ოთხპუნქტიან ბრძანებას კი შემდეგი სახე ჰქონდა:

„Приказъ
Главнокомандующаго вооруженными силами на Юге Россіи
№ 374.

Гор. Екатеринодаръ. 26 Февраля 1919 года.

§1.

Для пополненія рядовъ Добровольческих Арміи п р и к а з ы в а ю призвать на службу въ Ставропольской и Черноморской губерній и иногородныхъ въ Кубанскомъ и Терско-Дагестанскомъ краъ военно-обязанныхъ (кромъ инородцев Ставропольской губерніи) призывовъ 1906, 1907, 1908 и 1909 годовъ (родившихся въ 1885, 18886, 1887 и 1888 г. г.).

---

[1] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded /files/vak/announcements/istorich/2009/009/Zaytsev AA. doc. ГАКК. Ф.Р-6. Оп.1. Д. 127. Л.24 об.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 291.

§2.

Призывъ провести на основаніях изложенныхъ въ моемъ приказъ отъ 30-го октября 1918 года №87, причемъ въ отношеніи предоставленія правъ на отсрочку для учителей руководствоватся моимъ приказомъ отъ 15-го декабря 1918 года № 294.

§3.

Первымъ днемъ призыва устанавливаю 15-го марта.

§4.

Одновременно съ призывомъ 1906-1909 г. Г. Призватъ всехъ неявившихся по какимъ либо причинамъ педшествующихъ призывовъ.

Подлинный подписалъ:

Генералъ-Лейтенантъ Деникинъ.

Съ подлиннымъ верно:
Помощникъ Начальника Мобилизаціоннаго Отдъленія,
Генерального штаба Полковникъ Мусіенко.

(По Военному Управленію).

Мобилизационное Отдъленіе".[1]

და ისევ დენიკინი: „სამხედროვალდებულებმა მასიურად დაიწყეს ტყეებში გასვლა, სადაც ხდებოდა რაზმების ორგანიზება, რომელთა იარაღითა და ვაზნებით უხვად მომარაგებაც ქართველებმა აიღეს თავის თავზე. და 26 მარტს, სოფელ პლასტუნკაში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც მალე გავრცელდა მთელი სოჭის რაიონზე – კრასნაია პოლიანაზე – ადლერზე. 31-ში კი, დასრულდა ქართველთა სამზადისი შეტევითი მოქმედებების დასაწყებად".[2]

თუ ყურადღებით წავიკითხავთ და გავიაზრებთ დენიკინის მემუარის ამ ამონარიდს, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი:

1. მიუხედავად დენიკინის დაპირებისა, რომ „ამ მოძრაობას (მწვანეებს – ა. ჩ.) თავისი რთული ისტორია გააჩნია, რომელზედაც მე სხვა დროს შევჩერდები", იგი მწვანეებზე „სხვა დროს" და სხვა ადგილას აღარ საუბრობს. მიზეზი მარტივი და გასაგებია – მას არაფერი არა აქვს ამ თემის შესახებ დასამატებელი;

2. მეტად გადაჭარბებულია „ქართველთა" და „ქართველ ხელისუფალთა" ყოვლისშემძლეობაზე აპელირება. რა თქმა უნდა, ქალაქ სოჭში და სოჭის ოლქში, განაკუთრებით სოფელ პლასტუნკაში, მნიშვნელოვანი იყო ქართული მოსახლეობის რაოდენობა, მაგრამ არა იმდენად დიდი, რომ მხოლოდ ამ ფაქტორს მოეხდინა გადამწყვეტი ზეგავლენა მთელი ოლქის მოსახლეობის შეიარაღებული აჯანყების დაწყებაზე ისეთი მძლავრი სამხედრო ორგანიზაციის წინააღმდეგ, როგორიც გენერალ დენიკინის არმია იყო; აქ დენიკინი თავის თავს ეწინააღმდეგება. მან, ისევე როგორც სხვა ზოგიერთმა რუსმა და პრორუსმა „მეცნიერმა" უნდა აღიაროს სოჭის ოლქში მაცხოვრებელი ქართული მოსახლეობის რაოდენობრივი და დომინანტური როლი, ან სხვა ვერსიები უნდა შეთხზას აღნიშნული საკითხის გარშემო;

---

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи:Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 291.

3. დენიკინი ამ მემუარში თავისდაუნებურად აღიარებით ჩვენებებს იძლევა მისი საოკუპაციო შენაერთების მიერ სოჭისა და ადლერის ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ გატარებული სასტიკი რეპრესიების შესახებ. და ყველაფერ ამას მეტად შერბილებული და მიამიტური ტერმინებით ნიღბავს – რეკვიზიცია, გადასახადები, გაწვევები, ვალდებულებები; რეალურად კი, დენიკინის საოკუპაციო შენაერთების მიერ მოსახლეობის დაუნდობელი ძარცვა-გლეჯა, დარბევები, სისხლისღვრა და ანგარიშსწორებები ხორციელდებოდა.

4. სოჭისა და ადლერის მოსახლეობაში შეიარაღებული წინააღმდეგობის პროვოცირებასა და მათ შეიარაღებაში ქართული მხარე ვერანაირად ვერ ითამაშებდა მნიშვნელოვან როლს, იმდენად, რამდენადაც ყოველივე ეს ქართული ქვედანაყოფების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან (მდინარე ბზიფი) ათეულობით კილომეტრს იქით, დენიკინელთა ღრმა ზურგში მიმდინარეობდა. ერთი მომენტიც – აქ დენიკინი კიდევ ერთხელ უშვებს თავის მსჯელობებში შეცდომას და უხვევს თავისი გენერალური ხაზიდან – ყველა უბედურებაში ქართველები დაადანაშაულოს. იგი აღნიშნავს, რომ – „რუსი სოციალისტების რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც შავიზღვისპირეთში დამკვიდრდნენ, ქართველ ხელისუფალთა მფარველობით შთააგონებდნენ გლეხებს აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისელთა მეოხებით ოლქის „ნეიტრალიზება" იყო შესაძლებელი".[1] მაშ, „რუსი სოციალისტების რევოლუციური ორგანიზაციები" ყოფილან ყველაფერში დამნაშავენი და არა მითიური „ქართველი ხელისუფალნი" არა?;

5. და მაინც რატომ იყო ესოდენ სასურველი და სანატრელი ადგილობრივი გლეხებისათვის ბრიტანელთა დახმარებით „ოლქის ნეიტრალიზება"? ამ კითხვაზე პასუხს ისევ თავად გენერალი დენიკინი იძლევა – „ეს მათ თავიდან ააცილებდა რეკვიზიციებს, გადასახადებს და საერთოდ, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს, მათ შორის გაწვევებს". ახლა უკვე გასაგები ხდება, თუ რაოდენ მძიმე და აუტანელ პროცესსა და პროცედურებს წარმოადგენდა ოკუპირებული ტრიტორიების მოსახლეობისათვის დენიკინის „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს" სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შესრულება. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვეულებრივი გლეხები იძულებულნი გახდნენ ტყეებში გასულიყვნენ და ხელში აეღოთ იარაღი;

6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის მოსაპოვებლად არა ოკუპანტი სამხედრო ორგანიზაციის ძლიერება, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერაა გადამწყვეტი ფაქტორი. წარმატებული პარტიზანული ომის სტრატეგიის ამოსავალი წერტილი კი, მებრძოლებისა და ხალხის ერთიანობაა. დავესესხებით თანამედროვე პარტიზანული ომის თეორიის ფუძემდებელს, მაო ძე დუნს, და მისი ერთ-ერთი მთავარი თეზისის ციტირებას მოვახდენთ:

„ხშირად ამბობენ, თითქოს პარტიზანული ბრძოლა პრიმიტიულია. ეს სახიფათო განზოგადებაა, რომელიც მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა სამართლიანი. თუ სურათს მთლიანობაში შევხედავთ, პარადოქსი მაშინვე ცხადი გახდება. ხოლო გარეგნული პრიმიტიულობა გაცილებით უფრო რთულად მოგვეჩვენება, ვიდრე ატომური ან ისეთი ომი, რომელშიც სახმელეთო ჯარებთან ერთად საზღვაო და საჰაერო ძალები მონაწილეობენ".[2]

პარტიზანი ისე უნდა გრძნობდეს თავს თავის სამოქმედო რაიონში, როგორც თევზი წყალში. სხვათა შორის, მაო ძე დუნის მიერ, თავის დროზე დეტალურად იქნა შესწავლილი არა მარტო მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომები, არამედ რუსეთის სამოქალაქო ომის მდიდარი გამოცდილება სწორედ ჩრდილოეთ კავკასიისა, და სწორედ პარტიზანული ომის კონტექსტში, რაც საბოლოო ჯამში, ახალი მარქსისტული

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 282.

[2] მაო ძე დუნი. პარტიზანული ბრძოლა. სამხედრო ბიბლიოთეკა. თბილისი. 2007. გვ. 58.

რევოლუციური იდეოლოგიის, მაოიზმის ჩამოყალიბებითა და საომარ მოქმედებათა წარმოების ახალი წესის, პარტიზანული ომის სტრატეგიისა და არაკონვენციური ომის თეორიის შემუშავებით დასრულდა;

თუმცა დავანებოთ თავი მომეტებულ თეორიულ მსჯელობებს და ისევ ჩვენს კონკრეტულ თემას, სივრცესა და დროს დავუბრუნდეთ – 1919 წლის გაზაფხულს, მდინარე ბზიფს, აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთს. დენიკინელთა მიერ სოჭის ოლქში მონარქისტული რეჟიმის რესტავრაციის მცდელობაზე, მათ მოქმედებებსა და „მწვანე არმიაზე" კი, ქვემოთ გვექნება უფრო საგნობრივი საუბარი.

29 მარტის გაწვევის ბრძანებას სოჭის ოლქის უფროსის №303 ბრძანება მოჰყვა, „დამნაშავე პირთა" დასჯის შესახებ:

„იმ პირების მაგივრად, რომლებმაც თავი აარიდეს მობილიზაციას, პასუხს აგებს იმ სოფლის მოსახლეობა, სადაც დეზერტირთა ოჯახები ცხოვრობენ. ამავე დროს, ის დეზერტირები, რომლებიც იქნებიან დაჭერილნი, დაუყოვნებლივ გადაეცემიან სამხედრო-საველე სასამართლოს და გასამართლდებიან საომარი მდგომარეობის წესებით. ხოლო ის პირები რომლებმაც თვითნებურად მიატოვეს საგუშაგოები, სიკვდილით დაისჯებიან". მიუხედავად ამ ბრძანების კატეგორიული ტონისა, 1919 წლის მარტში ჩატარებულმა მობილიზაციის პროცენტულმა მაჩვენებელმა სოჭის ოლქში სულ რაღაც 9% აჩვენა. მოსახლეობამ მთებში დაიწყო გახიზვნა.[1]

ასე დაიწყო ახალი სისხლიანი ვანდეა შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში, რომლის პირველი ნაბიჯები „მწვანეების" – გლეხთა ადგილობრივი პარტიზანული მოძრაობის ორგანიზება იყო. იქმნება სხვადასხვა პარტიზანული რაზმები, სადაც ძირითადში იმ სოფლების მოსახლეობა ერთიანდებოდა, რომლებმაც თავი აარიდეს დენიკინისეულ გაწვევას – პლასტუნკა, ორეხოვო-პოლიანა, ნავაგინკა, მამაიკა, აჟექი და სხვა. პარტიზანთა უმეტესობას ქართველი და რუსი გლეხები შეადგენდნენ.[2]

მწვანეთა რაზმებში გაერთიანებით მოსახლეობამ ბრძოლის პარტიზანულ მეთოდებს მიმართა – ჩასაფრება, რეიდი, სწრაფი და ხანმოკლე იერიშები, ბრძოლიდან სწრაფი გასვლა, მიმალვა. მათ რამდენიმე წარმატებული თავდასხმა განახორციელეს ხოსტაზე, ადლერზე, დენიკინელთა სამხედრო საგუშაგოებზე, ტყვედ აიყვანეს ხელისუფლების წარმომადგენლები და ოფიცერთა დიდი ჯგუფი. შემდეგ ისევ მთებში გაუჩინარდნენ, თან მათკენ მიმავალ გზებზე დაბრკოლებები აღმართეს. პარტიზანების საბრძოლო აქტივობას დენიკინელთა შესაბამისი რეაქცია მოჰყვა შედეგად. პარტიზანული თავდასხმებისა და იერიშების საპასუხოდ დაიწყო სოჭის ყრილობის დელეგატთა დაპატიმრებები და დახვრეტები.

დენიკინელთა ამ მოქმედებების აღკვეთის მიზნით, ტუაფსესა და სოჭის ოლქის 21-მა სოფლსაბჭომ თავისი დელეგატები გააგზავნა გაგრაში ბრიტანულ სარდლობასთან პროტესტის გამოსახატავად, მაგრამ ამ საჩივრებზე საოკუპაციო ჯარების სარდლობას ქმედითი რეაგირება არ მოუხდენია. პოლკოვნიკმა ფაინსმა მიიღო გლეხთა დეპუტატები, მაგრამ მისი პასუხი ერთობ გულგრული და ცინიკურიც კი იყო:„მოხალისეებმა ჩემს თვალწინაც რომ დაგხოცონ, თქვენი გამოსარჩლების უფლება იმ შემთხვევაშიც არ მექნებოდა, რადგან გენერალი დენიკინი და მისი არმია კანონიერ ხელისუფლებას წარმოადგენს, რომელსაც სცნობს ინგლისის სამეფოს მთავრობა".[3]

---

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66

[2] იქვე.

[3] იქვე.

§3. დენიკინი და „მწვანე არმია"

გენერალი დენიკინი – „1919 წლის გაზაფხული სამხრეთის არმიისათვის მძიმე საბრძოლო გამოცდების პერიოდი იყო. ფრანგების მიერ ოდესის დატოვება, დონის ფრონტის კრიტიკული მდგომარეობა და ცარიცინის მხრიდან ტიხორეცკზე მომდინარე საშიშროება, ჩემს ხელთ არსებული მთელი ძალების აღნიშნულ მიმართულებებზე თავმოყრას მოითხოვდა. გენერალ ბრიგსისაგან მიღებული წერილობითი შეტყობინებინებიდან გამომდინარე, სადაც იგი ბრიტანელთა ჯარების მიერ მდ. ბზიფის ხაზის დაკავების გამო, ქართული მხრიდან მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებების დაწყებას გამორიცხავდა, მე მნიშვნელოვნად შევასუსტე სოჭის ფრონტი... საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის მთავრობებს შორის ოფიციალური ურთიერთობები არ არსებობდა. საზღვარი ჩაკეტილი იყო, ორი არმია კი ერთმანეთის პირისპირ იდგა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, რაც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაზრდილიყო ღია საომარ დაპირისპირებაში".[1]

9 აპრილს გენერალმა მილნმა, ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდალმა განუცხადა გენერალ დენიკინს, რომ მან მოსთხოვა ქართველებს მდ. ბზიფის ხაზს იქით დაწევა. მაგრამ როგორც ჩანს, ბრიტანელთა ავტორიტეტი უკვე აღარ იყო საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ შეტაკების საფრთხე".[2]

რ. ცუხიშვილი: „ხანგრძლივი, სამთვიანი ლოდინისა და იმედგაცრუებების შემდეგ, თბილისის მოთმინების ფიალა აივსო. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მას აქტიური გადაუდებელი მოქმედებებისაკენ უბიძგებდა. ჟორდანიას მთავრობამ, სავსებით სამართლიანად, გადაწყვიტა უარეყო ინგლისის მოთხოვნები, წარმოეწყო შეტევა გაგრის რაიონში მდ. მეხადირის მიმართულებით, რათა დემორალიზაციისაგან გადაერჩინა მდ. ბზიფზე სამ თვეზე მეტ ხანს უმოქმედოთ მდგარი ქართული ჯარის ნაწილები, გაეთავისუფლებინა დენიკინელთა მიერ თვითნებურად დაკავებული საქართველოს ტერიტორიები და ამით აღედგინა ისტორიული სამართლიანობა სოხუმის ოლქში.[3]

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ნაშრომის ამ ამონარიდს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღნიშნოს ის გარემოება, რომ ქართული მხარის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმაც შეუწყო ხელი, რის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. საუბრის თემა ე.წ. „მწვანეებს", „მწვანე არმიას" ეხება. უკვე აღვნიშნეთ, რომ დენიკინელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველ და სხვა ეროვნების მოსახლეობაზე, სომხების გამოკლებით, დაუნდობელი ძალმომრეობა ხორციელდებოდა, რომელსაც არ შეიძლება არ მოჰყოლოდა მოსახლეობის შესაბამისი რეაქცია.

ამ უცილო ფაქტებს ვერც რუსული წყაროები და ავტორები უარყოფენ. კერძოდ, – „სოჭის ოლქის დაპყრობის შემდეგ დენიკინელები სასწრაფოდ შეუდგნენ რევოლუციამდელი „წესრიგის" აღდგენას. მიწები ისევ თავიანთ ძველ მფლობელებს დაუბრუნდათ. ჩაატარეს რამდენიმე მობილიზაცია, საქონლის, ფურაჟის, საზიდრების რეკვიზიციები. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, გაროზგვები, დახვრეტები, სადამსჯელო ოპერაციები. ყოველივე ეს უტყუარი საარქივო დოკუმენტებით დასტურდება.

რუსი ავტორებიც აღნიშნავენ, რომ „თეთრი დიქტატურის მშენებლობის გზაზე განცდილი წარუმატებლობები სულ უფრო ხშირად აიძულებდა თეთრი მოძრაობის

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 290.

[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 296.

[3] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 47.

ლიდერებს რეპრესიებისათვის მიემართათ. „მოხალისეთა" სადამსჯელო რაზმები თავის ღრმა კვალს ტოვებდნენ დონის, ყუბანის, შავიზღვისპირეთის სხვადასხვა სტანიცებსა და სოფლებში".[1]

ყოველივე ამან კი, მოსახლეობის უკიდურესი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. ეს უკმაყოფილებები მალე ოლქის მშრომელთა შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1919 წლის მარტის ბოლოს სოჭის ოლქის გლეხობა საიდუმლო სერობაზე შეიკრიბა სოფელ კალინოვოე ოზეროსთან, სადაც დენიკინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გადაწყდა პარტიზანული რაზმების შექმნა და ავჯანყების მოწყობა. ამ შეკრებაზე არჩეულ იქნა ავჯანყების შტაბი, ცენტრით სოფელ პლასტუნკაში.[2]

– „პირველი პარტიზანული რაზმები მცირერიცხოვანი იყო, ხოლო მებრძოლთა შეიარაღება – ერთობ მწირი. თეთრი ტერორის გაძლიერებასთან ერთად იქმნება ისეთი მსხვილი და ბრძოლისუნარიანი რაზმები, როგორებიც იყო ვოლკოვსკის (მეთაური ვ. ბალონკიენი), ვორონცოვო-ხოსტის (გ. გრუშა და ნ. ბარიბანი), პლასტუნკის (კ. კაზნოდეი). სულ სოჭის ოლქში 1919-1920 წლებში მოქმედებდა დაახლოებით 15 პარტიზანული რაზმი.[3]

როგორც კავკასიაში მოსკოველ ბოლშევიკთა საგანგებო კომისარი, ორჯონიკიძე აცხადებდა, სოჭის ოლქში საერთო-სახალხო ავჯანყებას მკვეთრად ანტიდენიკინური ხასიათი მიეცა.[4]

არქივებში შემონახულია გენერალ პოკროვსკის ბრძანება, სადაც ნათქვამია: „მე მტკიცედ გადავწყვიტე ბოლო მოვუღო ამ ბოროტებას – მწვანე არმიას. მოვითხოვ, რომ მწვანე არმია ყუბანში აღარ არსებობდეს. სოფლები და ხუტორები, სადაც მწვანეარმიელები არიან ჩაბუდებულები, მიწასთან გასწორდება".[5]

მარტის ბოლოს მოსახლეობა და „მწვანეები" აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. ისინი საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდნენ და პირველ ხანებში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს პლასტუნკის, ლოოს, დაგომისის, ხოსტისა და ადლერის მიდამოებში, სადაც თეთრგვარდიელთა საგუშაგოებსა და კომუნიკაციებზე სწრაფი და მოულოდნელი თავდასხმებით მნიშვნელოვნად შეასუსტეს დენიკინელთა ზურგი.

1919 წლის 2 აპრილს მოხალისეთა არმიის სარდლობამ წინადადება მისცა პარტიზანებს დაეწყოთ მოლაპარაკებები. შეხვედრა სოფ. პილენკოვოში შედგა, სადაც ყველა ავჯანყებული სოფლის თითო-თითო ლიდერი იყო წარმოდგენილი. შეხვედრაზე მოხალისეთა არმიის წარმომადგენლის, პოლკოვნიკ კარდაშოვის მიერ მკაცრი მოთხოვნები იქნა წარდგენილი, რაც საერთო ჯამში მუქარაში გადაიზარდა: „თუ არ იქნება შესრულებული ჩვენი მოთხოვნები, – განაცხადა პოლკოვნიკმა, – მაშინ მე იძულებული ვიქნები... შეუჩერებლად ვიარო წინ, და გზადაგზა პირისგან მიწისა აღვგავო ყველაფერი,

---

[1] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/0709/ZaytsevA. doc. См. напр.: ГАКК. Ф.Р-6. Оп.1. Д.218. Л.2; ЦДНИРО. Ф.12. Оп.1. Д.248. Л.1; и др.

[2] Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп. 1, д. 1, л 1.

[3] Развитие политической ситуации на Кубани и в Сочинском округе в 1917 году. http://www.lovlinskaja.ru/htm/article-sochi-preface.php.

[4] Разгон И. „Орджоникидзе и Киров, и борьба за власть Советов на Северном Кавказе'', 1917-1920 гг. М-.1941. Стр. 31.

[5] Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

როგორც ეს გავაკეთეთ სოფელ ესტონკა-სალმეში. თქვენ თვითონ შეიცოდეთ თქვენი თავები".[1]

1919 წლის 12 აპრილს დენიკინის არმიის ქვედანაყოფებმა ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ოპერაცია წამოიწყეს სოჭისა და ადლერის აჯანყებული მოსახლეობის წინააღმდეგ, რასაც შედეგად ქართული მხარის ადეკვატური და დაუყოვნებლივი რეაქცია მოჰყვა. საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი სახალხო გვარდიის მუდმივი ნაწილები, რომლის პირადი შემადგენლობაც ამ მომენტისათვის სიით სულ 1600 გვარდიელს შეადგენდა. ეს იყო და ეს.

გვარდიის მუდმივი ნაწილები.[2] საიდუმლო.
1919 წლის აპრილ-მაისის მონაცემებით.

ნაწილის დასახელება	ოფიცერი	გვარდიელი	ქვემეხი	ტყვიამფრქვევი
განსაკუთრებული ქვეითი ბატალიონი	25	600	–	6
ცხენოსანი დივიზიონი	15	350	–	4
1-ლი საველე ბატარეა	4	90	4	–
მე-2 ცხენოსანი ბატარეა	4	90	4	–
1-ლი სამთო ბატარეა	4	90	4	–
მე-2 სამთო ბატაერეა	4	90	4	–
მორტირების ბატარეა	4	80	4	–
ცალკეული მეტყვიამფრქვევეთა ასეული	3	60	–	12
ჯავშნოსანი ავტომობილების რაზმი	4	50	–	8
მოტოციკლეტის მეტყვიამრქვევეთა რაზმი	3	40	–	8
საინჟინრო ასეული	3	60	–	–
სულ	**73**	**1600**	**20**	**38**

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გადაწყვეტილებით გამოცხადდა გვარდიის პირადი შემადგენლობის სრული მობილიზაცია და რაიონული ორგანიზაციების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის №120 სხდომის ოქმი.
1919 წლის 12 აპრილი.

დაესწრნენ: საღირაშვილ, ჯიბლაძე, აუშტროვი, ქარცივაძე, მახარაძე, კახიანი, გოგიშვილი, გენერალი კონიევი და გენერალი ახმეტელოვი;[3]

---

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66

[2] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 7.

[3] სტეფანე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) (1877-1921) – მეფის არმიის ქართველი ოფიცერი და საქართველოს დემოკრატიული რესპულიბიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1916 წლიდან რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია, ქართული არმიის გენერალი. 1918 წლის დასაწყისში ქართული საარმიო კორპუსის სარდალი. 1919 წლის დასაწყისში თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსი და სახალხო გვარდიის შენაერთის სარდალი. საქართველოს სასაზღვრო ჯარების პირველი სარდალი. 1918 წლის ბოლო – 1919 წლის დასაწყისში, სომხეთ-საქართველოს ომში, ეკატერინენფელდის ფრონტის სარდალი. გიორგის ჯვრის კავალერი. 1921 წლის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომში კახეთში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდალი.

თავმჯდომარე: საღირაშვილი;

მდივანი: აუშტროვი;

მიღებულია ცნობები, რომ სოჭის ოლქის ადლერის რაიონში მოხდა რუსების, ლიტველების, ქართველებისა და სომხების ავჯანყება. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ჩათვალა გადაუდებლად შეტევაზე გადასვლა. დენიკინმა უკვე გაგზავნა 1500 კაცი ავჯანყების ჩასაქრობად. ავჯანყების ჩაქრობა შეიძლება გადაიქცეს ქართველებისა და ასევე სხვა დემოკრატიულად განწყობილი ელემენტების მასობრივ განადგურებად. საქართველოს მთავრობას ამის ყურება მოქმედებების გარეშე არ შეუძლია.

დაადგინეს: გამოცხადდეს სახალხო გვარდიის საერთო მობილიზაცია; გამზადებული რაზმები იყოლიეთ ადგილებზე, გვარდიის მთავარი შტაბის განსაკუთრებული განკარგულების მიღებამდე. შემდეგმა რაიონებმა დაუყოვნებლივ გამოაგზავნეთ ახალ-სენაკში სოხუმში გადასასროლად რაზმები:

ახალ-სენაკი – 100 ხიშტი;
აბაშა – 100 ხიშტი;
სამტრედია – 100 ხიშტი;
გარე-კახეთი – 300 ხიშტი;
ყვირილა – 100 ხიშტი;
თელავი – 100 ხიშტი;
მანგლისი – 50 ხიშტი;

საქმეთა ორგანიზაციისათვის ახალ-სენაკში გაიგზავნოს ამხანაგი შენგელია. გურულები გაიგზავნონ ნატანებსა და ოზურგეთში. ორგანიზაციისა და ინფორმაციისათვის ოზურგეთის შტაბში გაიგზავნონ ორაგველიძე და ან. სალუქვაძე. დაევალოს ამხ. ვლ. ჯიბლაძეს დაუყოვნებლივ გაემგზავროს ფოთში საზღვაო ტრანსპორტის ორგანიზებისათვის. გამოცხადდეს აგრეთვე თადარიგის ჯარისკაცების მობილიზაცია, რის შესახებაც ეცნობოს მთავრობას".[1]

მაშ ასე, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიიღო და ამის შესახებ პოსტ-ფაქტუმ ეცნობა მთავრობას (Sic!). კომენტარების გაკეთება აქაც საკმაოდ რთულია... თუმცა, ამავე დროს, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ზემოთ წარმოდგენილი არსის შემდეგ – საკმაოდ მარტივიც...

ამავე დროს, სხდომაზე მიღებულ იქნა გვარდიის მთავარი შტაბის „მოწოდება სოჭელ ამხანაგებს":

„...მტრის მიზანია, რომ ხელიდან გამოგვგლიჯონ სახელოვანი წითელი დროშა, აღადგინოს დესპოტიზმი, ბნელი ძალების ზეიმი, და ფეხქვეშ გათელოს ჩვენი თავისუფლება და დემოკრატია.

...წითელი დროშის ქვეშ გაერთიანებულნი და მჭიდროდ დარაზმულნი, იარაღით ხელში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გავუმართავთ რეაქციას, რომელიც რევოლუციურ საქართველოს უტევს.

ძირს შავი რეაქცია!

გაუმარჯოს რევოლუციურ დემოკრატიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!"[2]

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 115.

[2] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 292.

§4. გაგრის შეტევითი ოპერაცია

1919 წლის აპრილისათვის მდ. ბზიფის პოზიციებზე ქართული ძალების თავმოყრა დასრულდა. საერთო ჯამში, შეტევითი ოპერაციის დასაწყებად მზადყოფნაში იქნა მოყვანილი რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის 8 ბატალიონი, პოლკოვნიკ ხიმშიაშვილის სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი და პოლკოვნიკ კარგარეთელის გვარდიის 4 საარტილერიო ბატარეა.

ხანგრძლივი, სამთვიანი ლოდინისა და იმედგაცრუების შემდეგ, თბილისის მოთმინების ფიალა აივსო. ქართული მხარის მოლოდინისა და მზადების ფაზა დასრულდა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეტევითი მოქმედებების დაწყების შესახებ გაგრის რაიონში მდ. მეხადირის მიმართულებაზე. სოჭი-ადლერის რაიონში მოქმედი „მწვანეთა" გამოსვლები და მათ წინააღმდეგ დენიკინელთა მიერ წამოწყებულმა სადამსჯელო ოპერაციამ ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

შეტევითი მოქმედებების დაწყებაზე გადაწყვეტილების შესახებ ე. გეგეჭკორმა წინასწარ, 12 აპრილს შეატყობინა ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობის ახალ წარმომადგენელს, გენერალ ტომსონს, რომელმაც ამ პოსტზე გენერალი ფორესტიე-უოკერი შეცვალა.

13 აპრილს გენერალი ტომსონი, შემდეგი შინაარსის შეტყობინებას უგზავნის საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილეს, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილს: „გაძლევთ გენერლისა და ინგლისის სარდლობის წარმომადგენლის სიტყვას, რომ ქართველები ინგლისელების თანხმობის გარეშე არ უნდა გადავიდნენ მდინარე ბზიფზე. ასეთ მოქმედებებს საქართველოსათვის მძიმე შედეგები მოჰყვება. გენერალ დენიკინს ჩემი მხრიდან მიეცა უკიდურესი ვადა 48 საათის განმავლობაში გაწმინდოს დაკავებული ტერიტორიები. თუ ამ ხნის განმავლობაში იგი არ გადაინაცვლებს მდინარე მეხადირს იქით, ასეთ შემთხვევაში ქართველებს შეუძლიათ იმოქმედონ თავისუფლად".[1]

ამავე დროს, გენერალ ტომსონის რჩევით იგივე შინაარსის ტელეგრამა გენერალ მილნს გაეგზავნა.[2] ცხადია, გენერალ დენიკინსა და მის საველე მეთაურებს არც უფიქრიათ ბრიტანელთა მიერ წარდგენილი ულტიმატიური ხასიათის მოთხოვნის შესრულება.

ე. გეგეჭკორმა შეასრულა ტომსონის მითითება და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ აცნობა გენერალ მილნს ვრცელი ტელეგრამით, სადაც დასაბუთებული იყო ამ რადიკალური ნაბიჯის აუცილებლობა – „გაცნობებთ რა ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავარსარდლობა განიხილავს ჩვენს ნაბიჯს, როგორც თავდაცვის იძულებით აქტს, რაც არასგზით არ ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის ლოიალურობას დიდ ბრიტანეთთან დამოკიდებულებაში"[3] – აღნიშნული იყო ტელეგრამის ბოლოს.

იმავე დღეს გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე (ოქმი №122) გაცხადდა სამთავრობო ბრძანება საველე შტაბისადმი შეტევითი მოქმედებების დაწყებისა და გაგრის ოკრუგის დაკავების შესახებ მდინარე მეხადირამდე.[4] 15 აპრილსვე აფხაზთა სახალხო საბჭომ მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გაავრცელა, რომელშიც ცალსახად იყო განსაზღვრული არა მარტო აფხაზეთის ოფიციალური სტატუსი, არამედ მოწოდება

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 148.

[2] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. მიკროფირების ანაწერი 1, საქმე 438, ფურცელი 10.

[3] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 31.

[4] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 116.

აფხაზეთის ავტონომიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების ურღვეობის შესახებ:

1. აფხაზეთის ერთადერთი სარწმუნო, უფლებამოსილი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი არის აფხაზთა სახალხო საბჭო;
2. აფხაზთა სახალხო საბჭოს მეშვეობით აფხაზეთმა დაამყარა განსაზღვრული და მჭიდრო კავშირი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, შევიდა რა მის შემადგენლობაში როგორც ავტონომიური ნაწილი და ამით სრულად განსაზღვრა საქართველოს ერთიანი საზღვრები;[1]

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის მიერ 1919 წლის 15 აპრილს კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი ულტიმატუმი იქნა წარდგენილი გენერალ დენიკინისადმი:

„საქართველოსა და მოხალისეთა არმიებს შორის შესაძლო სისხლისმღვრელი შეტაკების თავიდნ აცილების მიზნით, აუცილებელია გადაწყდეს სასაზღვრო ხაზის საკითხი, რომელმაც ჩვენის აზრით უნდა გაიაროს მდინარე მეხადირზე. იმისათვის, რომ თქვენთან ერთად ვიმოქმედო ჩვენი საერთო მტრის, ბოლშევიკების წინააღმდეგ, აგრეთვე ქართველებსა და რუსებს შორის არსებული გაუგებრობების დასარეგულირებლად, მესაჭიროება თქვენი სასწრაფო თანხმობა ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვენი თანხმობა მომცემს იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს თქვენი ზურგი და დავარწმუნო ჩემი ხალხი თქვენს მათდამი მეგობრულ დამოკიდებულებაში".[1] ქართული მხარის ამ უკანასკნელ ულტიმატუმზეც რუსულ მხარეს რეაგირება არ მოუხდენია. ისინი კონტაქტზე არ გამოსულან.

ულტიმატუმის ამოწურვისთანავე, 1919 წლის 16 აპრილს სახალხო გვარდიისა და რეგულარული არმიის შენაერთებმა მდინარე ბზიფის ფორსირებით შეტევითი ოპერაცია დაიწყეს. ისევ ვალიკო ჯუღელი:

„ჩვენ სამი კოლონით ვუტევთ მოწინააღმდეგეს: მარჯვენა კოლონის უფროსად პოლკოვნიკი კარგარეთელია დანიშნული, მარცხენასი – ბრწყინვალე ხიმშიევი.[2] უკიდურესად მარჯვენა ფლანგზე ღრმა შემოვლის მანევრს ანხორციელებს ჩვენი განთქმული სპეცდანიშნულების ბატალიონი უშიშარი ხუხუნაიშვილის მეთაურობით. მის მარცხნივ გადაადგილდება მამაცი ლომთათიძე, შემდეგ კი დანარჩენი ჩვენი მეომრები: მიქაძე, ბოლქვაძე, ჩაჩიბაია და მრავალი სხვა..."[3]

17 აპრილი. დღის 1 საათზე გიორგი ლომთათიძის მე-3 ბატალიონი იკავებს გაგრას. ავიყვანეთ მრავალი ტყვე, ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ტყვიამფრქვევი და დიდი

---

[1] Заявление НСА о меморандуме добровольческой армии английскому командованию. 15 апреля 1919 г. ЦГАА, ф.И-39, оп.1, д.7, лл.5-5об. http://abkhazeti.info/history/20050617580 710561600. php.

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 292.

[2] პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი – მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი. I მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1916-1917 წლებში გენერალ ბარათოვის ირანის საექსპედიციო კორპუსის ქართული ცხენოსანი პოლკის ოფიცერი. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. სახალხო გვარდიის ცალკეული საკავალერიო დივიზიონის წარმატებული მეთაური. მის პოლკში ირიცხებოდა კაპიტანი, და შემდგომში პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, საქართველოს ეროვნული გმირი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ, პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი 1921-1923 წლებში ანტიბოლშევიკური შეთქმულების „სამხედრო ცენტრის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია საქართველოში. სხვა პატრიოტებთან ერთად (გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, გენერალი კოტე აფხაზი და სხვა) დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ 1923 წლის მაისში.

[3] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 150.

სამხედრო ალაფი. მიწინააღმდეგე სრულადაა დამარცხებული და გარბის. დანაკარგები თითქმის არა გვაქვს. ტყვედ ავიყვანეთ 500 კაცი და ტიფით დაავადებულთა მთელი ლაზარეთი. ეს, მოხალისეთა მძიმე მემკვიდრეობაა! ავადმყოფთა შორის უმეტესობა ოფიცერია".[1]

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ოპერატიულ შეტყობინებებს ქართული მხარის მიერ დაწყებული შეტევითი ოპერაციისა და საბრძოლო მოქმედებების მსვლელობის შესახებ შემდეგი სახე ჰქონდა:

„სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ცნობები.

სოჭის ფრონტი. დენიკინის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო აპრილის 17-ში, დილის 4 საათზე. ცხენოსანთა დივიზიონი ხელახლად გადავიდა მდ. ბზიფზე. მდინარეზე გადასვ-ლის დროს დაიხრჩვნენ ერთი მხედარი და 3 ცხენი. ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთა მიუახ-ლოვდა მამულს „ოტრადნოე", ხოლო მარცხენა ფრთა – დიდი მთავრის აგარაკ „კოლხიდას" და ხელთ იგდო აფიცერთა სადარაჯო 4 აფიცრით. მოწინააღმდეგის არტილერია ცხენოსანთა დივიზიონს ცეცხლს უშენს. ჩვენი ჯარის ნაწილები წინ მიიწევენ.

დღეს, 17 აპრილის, 14 საათზე სოხუმის ჯგუფის ჯარებმა დაიჭირეს გაგრა და 6 ვერსით წაიწიეს წინ. ორივე ფლანგებით შემოვლილმა დენიკინელებმა ვრ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და გაიქცნენ. ჩვენ მოგვიკლეს 2 სახალხო გვარდიელი და 3 მსუბუქათ დაგვიჭრეს. ტყვედ წამოვიყვანეთ მოხალისეთა ჯარის მრავალი აფიცერი, ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ სამხედრო დავლა. ტყვეთა რიცხვს და დავლის რაოდენობას არკვევენ. სახალხო გვარდიელთა და სოხუმის ჯგუფის ნაწილები საუცხოვოთ მოქმედებენ.

18 აპრილი. დღეს 9 საათზე სახალხო გვარდიის დივიზიონმა დაიჭირა მდინარე მეხადირის ხაზი. დამარცხებულმა მტერმა მდინარე მზიმთას იქით დაიხია. იქ მტერს თოფებს უშენენ აჯანყებული მცხოვრებნი. ტყვედ წამოვიყვანეთ დაახლოებით 200 შეიარაღებული კაცი, უმეტესი ნაწილი ოფიცრები.

გაგრა. ჩვენი ჯარი შეტევას აძლიერებს. 18 აპრილის 7 საათზე დაიჭირა პოზიციები მდ. მეხადირზე. უკან დახეული მოხალისეთა ჯარი სოფ. ვესიოლოესთან იყრის თავს. დაზვერვა გრძელდება.

19 აპრილი. ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. მდ. მზიმთის მარცხენა ნაპირზე მტერი არსად არ აღმოჩნდა. მზვერავებისაგან მიღებული ცნობებით მოხალისეთა ძალები ადლერის რაიონში იყრის თავს. მდ. მზიმთის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებნი ჩივიან, რომ ამბოხების გამო მათ წინააღმდეგ მოხალისეებმა რეპრესიებს მიმართეს. დაზარალებულ მცხოვრებთა სიტყვით მოხალისენი არ ინდობენ ქალებს და ბავშვებს, და დახოცილთა გვამებს მდ. მზიმთაში ყრიან.

გაგრის ჯგუფის საველე შტაბისაგან. აპრილის 17-ის ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 88 აფიცერი და 150 ჯარისკაცი. დახოცა მოხალისეთა 87 ჯარისკაცი და აფიცერი, გაქცევის დროს მოხალისეებმა მიატოვეს გოსპიტალი, რომელშიაც დაავათმყოფებული 25 აფიცერი და 360 ჯარისკაცია. ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი თუხარელი".[1]

წარმატებით დაწყებულმა ოპერაციამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა. გაგრის აღების შემდეგ ქართულმა ქვედანაყოფებმა გააგრძელეს წინსვლა და უმოკლეს დროში ადლერამდე მიაღწიეს. ოპერაციას სულ 3 დღე დასჭირდა და ქართული ქვედანაყოფები

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 36.

[1] გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 24 აპრილი თებერვალი. №88. გვ. 2.

მდინარე მზიმთას პოზიციებზე გავიდნენ. ამით ქართული მხარის შეტევითი ოპერაციის პირველი ფაზა დასრულდა.

ქართველთა წარმატება სრული და დამაჯერებელი იყო. ისევე როგორც 1918 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკთა წინააღმდეგ კოდორის შეტევითი ოპერაციის დროს, აქაც, ქართული მხარის დანაკარგები მინიმალური იყო, ტყვეები და მოპოვებული ალაფი – დიდი. გენერალი დენიკინი თავისი ნაწილების გამანადგურებელ მარცხს მხოლოდ პირადი შემადგენლობის სიმცირითა და „მწვანეთა" მოქმედებებით ხსნის: „გამთენიისას, უმტკივნეულოდ გადალახეს რა მდინარე ბზიფი, ქართველებმა ჩვენს მეწინავე ნაწილს, გენერალ უშაკის კავკასიის ოფიცერთა სუსტ პოლკს დაარტყეს. უშაკმა მოიგერია დარტყმა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ მთელი რიგი სიმაღლეები ზურგში დაკავებულია „მწვანეებით" და მათ მდინარე მზიმთას აქეთ გადასვლამ მოუწიათ, განიცადეს რა დიდი დანაკარგები. სახმელეთო შეტყობინება სოჭთან მოჭრილ იქნა. მხოლოდ 7 (21 – ა. ჩ.) აპრილს სოჭიდან გამოგზავნილი ძალებით მოხერხდა რაზმის ზურგის გაწმენდა აჯანყებული ბანდებისაგან და ადლერისა და პლასტუნკის, ამბოხებულთა ამ ცენტრის ხელმეორედ დაკავება, რის შემდეგაც აჯანყება ნელ-ნელა შესუსტდა და ჩაქრა. ქართველებმა მდინარე მზიმთას მიაღწიეს, მაგრამ მალე უკან დაიხიეს მდინარე მეხადირამდე..."[1]

საკუთარი წარუმატებლობის ასახსნელად გენერალ დენიკინს ისეთი წარმოუდგენელი და ფანტასტიკური არგუმენტიც კი მოჰყავს, რომელიც საღი აზრის ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება. საკუთარი ძალების გაძლიერების მიზნით თითქოს ქართულმა მხარემ ჩრდილოეთ კავკასიიდან ინტერნირებული ბოლშევიკები შეაიარაღა და ისინი სოხუმის ფრონტზე გააგზავნა დენიკინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.[1] (Sic!) აქაც ზედმეტად გვეჩვენება კომენტარების გაკეთება – ისედაც ყველაფერი დღესავით ნათელია.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრის, და ამავე დროს, გაგრის ფრონტის „საველე შტაბის" წევრის, ვლადიმერ ჯიბლაძის მოხსენებას ჩატარებული ოპერაციის შესახებ შემდეგი სახე ჰქონდა:

„...დენიკინელები სრულებით არ ელოდნენ ჩვენს შეტევას. ისინი სამარცხვინოდ გაიქცნენ. ჩვენმა ოფიცერმა ჩაჩიბაიამ 5 ჯარისკაცთან ერთად ტყვედ აიყვანა 50 ოფიცერი და ჯარისკაცი. აჯანყებულთაგან მოდიოდნენ ჩვენთან წარმომადგენლები, რომლებიც გვთხოვდნენ, რომ დაგვეკავებინა მათი სოფლები, რადგან მოხალისეები აჩანაგებენ, ძარცვავენ და ხოცავენ მათ. ამაზე ინგლისელები არავითარ ზომებს არ იღებდნენ. გვარდიელთა განწყობა საბრძოლოა და ისინი მზად არიან გააგრძელონ შეტევითი მოქმედებები, მაგრამ საველე შტაბი მაინცდამაინც არ უჭერს ამას მხარს.

მოხალისეები საბრძოლო ძალას არ წარმოადგენენ. ისინი განიცდიან სურსათისა და ტანსაცმლის საჭიროებას. ტყვედ აყვანილია დაახლოებით 50 ოფიცერი, 200 ჯარისკაცი და 300-ზე მეტი ავადმყოფი. ტყვეთა გამომეტყველება საცოდავია..."[2]

ქართული მხარის მიერ გაგრის აღებამ და ადლერი-სოჭის მიმართულებით წარმოებულმა შეტევითმა ოპერაციამ ბრიტანული მხარის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ოპერაციის მეორე ფაზა – მდ. მზიმთას ფორსირება და ადლერი-სოჭის აღება, შეფერხდა. საქმეში ბრიტანელები ჩაერთვნენ, რომლებმაც ქართული ქვედანაყოფების შეჩერება მოითხოვეს. ბრიტანულმა სარდლობამ სასტიკად დაგმო ქართული მხარის მიერ საბრძოლო მოქმედებების განახლება, რასაც როგორც გენერალ ტომსონის, ასევე გენერალ მილნის მწვავე რეაქციები მოჰყვა შედეგად. მიუხედავად საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 303.

[1] დასახელებული ნაშრომი. გვ. 290.

[2] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 121.

შელახვისა, ინგლისის სარდლობა თბილისისაგან პირდაპირ და მიზანმიმრთულად მოითხოვდა თებერვლის Statous qou-ს მკაცრად დაცვას.[1]

18 აპრილს ტომსონმა მიუთითა ჟორდანიას, რომ საქართველოს მთავრობამ მძიმე პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე და მისი მოქმედება მტრული იყო დიდი ბრიტანეთისადმი. ინგლისელი გენერალი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის ქმედება პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და მთავრობის მეთაურს აცნობებდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის 24 იანვრის განცხადების ტექსტს, სადაც დაგმობილი იყო შეიარაღებული ძალების გამოყენებით ყოველგვარი სადავო საკითხების გადაწყვეტა.[2]

ბრიტანელთა მხრიდან ქართველების მიმართ ურთიერთობების გაუარესებაზე თავისი უარყოფითი გავლენა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ინციდენტმაც იქონია – 19 აპრილს თბილისში გაურკვეველ ვითარებაში მოკლულ და გაძარცვულ იქნა ინგლისელი კაპიტანი მარტელი, 20 აპრილს ასევე თბილისში მოკლულ და გაძარცვულ იქნა ინგლისელი ექიმი[3], ხოლო იმავე დღეებში, უკვე ახალქალაქში ბრიტანელებთან მიმართებაში კიდევ ერთ ინცინდენტს ჰქონდა ადგილი. ბრიტანელთა საოკუპაციო ქვედანაყოფის მეთაურს ახალქალაქში, ვიცე-პოლკოვნიკ ალან მაკდუგალ-რიჩის (Alan Macdougal Ritchie) ქართველმა ჯარისკაცმა ესროლა. ახალქალაქში ბრიტანული კონტინგენტის შეყვანაზე გადაწყვეტილება სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისას იქნა მიღებული, სამმხრივ სომხურ-ქართულ-ბრიტანულ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიხსნა 1919 წლის 9 იანვარს. კონფერენციის გადაწყვეტილებით, ახალქალაქში 82-ე ბრიგადის კორნუოლის მსუბუქ ქვეითთა პოლკის 4 ოფიცერი და 122 ჯარისკაცი გაიგზავნა, ვიცე-პოლკოვნიკ ალან მაკდუგალ რიჩის მეთაურობით, რომელსაც ეს მისია 25 იანვრის ბრძანებით დაეკისრა.[1] საბედნიეროდ, ამ თავდასხმის დროს იგი არ დაშავებულა. თუმცა, ეს ინციდენტი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული გენერალ-მაიორ ტომსონის მიერ ოფიციალურ ნოტაში:

„მის აღმატებულება

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.

თქვენო აღმატებულებავ, გაწვდით ახალქალაქიდან მოწოდებული მოხსენების მოკლე რეზიუმეს:

...პოლკოვნიკ რიჩის, რომელიც გადაადგილდებოდა თავისი ავტოთი, ერთ-ერთმა ქართველმა ჯარისკაცმა ესროლა, მაგრამ საბედნიეროდ ვერ მოარტყა.

...თქვენო აღმატებულებავ, ვიმედოვნებ, რომ ამ მდგომარეობას მიაქცევთ თქვენს ყურადღებას. რაც შეეხება ქართველი ჯარისკაცის მიერ პოლკოვნიკ რიჩისკენ განხორციელებულ გასროლას, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ გამოყენებულ იქნას ყოველგვარი ზომები დამნაშავის მკაცრად დასასჯელად, რამეთუ მსგავს მოვლენებს აღარ ჰქონდეს ადგილი.

გენერალ-მაიორი ტომსონი.

1919 წლის 25 აპრილი".[2]

---

[1] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ. 48.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 32.

[3] გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 24 აპრილი. №88. გვ. 2.

[1] Richard G. Hovannisian. „The republic of Armenia. The first year, 1918-1919''. University of California Press, Berkley and Los Angeles, 1971. Pg. 121. WO 95/4880. General Staff War Diary. January. 1919. Appendix IV.

[2] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 243.

ყოველივე ამით აღშფოთებულმა გენერალმა მილნმა, რომელიც აპრილის ბოლოს ჩამოვიდა თბილისში, დიპლომატიური და სამხედრო ეტიკეტის ყოველგვარი ნორმები დაარღვია და შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს მთავრობას: არ მიიღო საპატიო ყარაული თბილისის რკინიგზის სადგურზე, 2 მაისს კი უარი განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიღებაზე და ფაქტობრივად შეწყვიტა ყოველგვარი მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან.[1] მისი გზავნილი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მისამართით კი ასეთი იყო: „თქვენი მთავრობის საქციელი, რაც გამოიხატება შეტევის დაწყებასა და საომარი მოქმედებების განახლებაში მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ, უკვე წარმოადგენს მისი უდიდებულესობის მთავრობის განსჯის საგანს".[2]

ქართული ქვედანაყოფების წარმატებული წინსვლა ადლერისა და სოჭისაკენ, მდგომარეობის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით, ბრიტანელების ჩარევით შეჩერებულ იქნა. ქართულმა ქვედანაყოფებმა უკან, მდინარე ფსოუმდე დაიხიეს, სადაც ბრიტანული სამხედრო გარნიზონი იქნა ჩაყენებული. ბრიტანული კონტინგენტის მთავარსარდალი კავკასიაში გენერალი მილნი „თვლის, რომ ქართველთა მოქმედებები წარმოადგენს ბრიტანელთა მიერ წაყენებული განკარგულებების პირდაპირ დარღვევას".

შავიზღვისპირეთში მიმდინარე პროცესები კი შემდეგნაირად განვითარდა. დენიკინმა კონტრზომების განხორციელება დაიწყო:

„ქართველებთან დაწყებული საომარი მოქმედებების გამო ბრძანება გავეცი საზღვრების ჩაკეტვის, „სამხრეთ რუსეთიდან" ქართველი ოფიციალური პირების გაძევებისა და ჩვენი ხომალდების ქართულ პორტებში შესვლის აკრძალვის შესახებ. შავიზღვისპირეთის ჯარებს კი ებრძანათ შეტევაზე გადასვლა და სოჭისა და სოხუმის ოლქებიდან ქართველთა განდევნა. დაიწყო ძალების თავმოყრა და დესანტირებისათვის მზადება..."[1] თუმცა, სამხედრო ხასიათის კონტრმოქმედებების განხორციელება დენიკინმა ვეღარ მოახერხა. ამის მიზეზად მას გენერალ ბრიგსის თხოვნა მოჰყავს საომარი მოქმედებების არგანახლების შესახებ. ჩვენის აზრით კი, ეს არგუმენტი ცოტა არადამაჯერებლად ჟღერს. საეჭვოა, რომ დენიკინს გენერალ ბრიგსისათვის დაეგდო ყური ან მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებებით ეხელმძღვანელა და ამის გამო ეთქვა უარი საბრძოლო მოქმედებების განახლებისაგან.

აქ სულ სხვა რეალობასთან, სულ სხვა გარემოებებთან გვაქვს საქმე. გენერალი დენიკინი თავადვე აღნიშნავს თავისი მემუარის სქოლიოში, რომ „აპრილის ბოლოსათვის სოჭის რაიონში მხოლოდ 2800 ხიშტისა და 13 ქვემეხის თავმოყრა მოხერხდა. ძირითადი ფრონტის შესუსტება არ შეიძლებოდა, იმ დროისათვის სუსტი შავი ზღვის ფლოტი კი, აკმანაის (ყირიმი) პოზიციებზე იყო დაკავებული".[2]

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 1919 წლის მაისში ამიერკავკასიის ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდლის თანამდებობაზე გენერალი ფორესტიე-უოკერი გენერალმა ჯორჯ კორიმ შეცვალა. იგი 10 მაისს ჩამოვიდა თბილისში, ხოლო 1919 წლის 21 მაისს მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო საქართველოს მთავრობასა და „სამხრეთ რუსეთის მთავრობას" შორის, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. თავდაპირველად მოლაპარაკებების გამართვა გაგრაში იყო დაგეგმილი, შემდეგ ბათუმში, საბოლოოდ კი იგი თბილისში შედგა. ქართული მხრიდან კონფერენციის პირველ დღეს მოლაპარაკებებში რესპუბლიკის საგარეო

---

[1] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995. გვ.49.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 1 ობ.

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 293.

[2] იქვე.

საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი[1] ნოე რამიშვილი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი, დიომიდე თოფურიძე მონაწილეობდნენ.

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი – მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გენერალ დენიკინის „მთავრობის" სახელით ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა არა დენიკინის გენერალიტეტი, არამედ ბრიტანელთა „სამხედრო წარმომადგენელი დენიკინის მთავრობაში" – გენერალი ბრიგსი, და მასთან ერთად, გენერალი ბიჩი. ცხადია, ისინი აშკარად პროდენიკინურ და ანტიქართულ პოზიციებზე იდგნენ და ქართული მხარისაგან გაგრის დაცლას და ჯარების უკან, ისევ მდ. ბზიფის პოზიციებზე დაწევას მოითხოვდნენ.

დენიკინის საერთო მოთხოვნა ქართული მხარის მიმართ კი, უცვლელი რჩებოდა – „მთელი ამიერკავკასია განხილულ უნდა იქნას რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად 1914 წლისათვის არსებულ საზღვრებში..." ეს მოთხოვნა მთავარ დებულებას წარმოადგენდა ჩვენს მიერ ზემოთ უკვე განხილულ გენერალ ბარათოვისათვის მიცემულ ინსტრუქციებშიც. დიახ, გენერალი დენიკინი და მისი სამხედრო-პოლიტიკური საბჭოს წევრები ისევ ძველ სამყაროს და ისევ „დედა-რუსეთს" – Матушка Россия"-ს მისტიროდნენ. ფაქტია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და „სამხრეთ რუსეთის" მთავრობებს შორის არსებული კონფლიქტის პოლიტიკური გზებით დარეგულირება ვერ მოხერხდა. ისევე, როგორც ეკატერინოდარის ცნობილ შეხვედრაზე, აქაც, ამ შეხვედრაზეც დაპირისპირებული მხარეები მოთხოვნათა ვერც ერთ პუნქტზე ვერ შეთანხმდნენ. კონფერენციის პირველმა დღემ შედეგების გარეშე დაასრულა მუშაობა.

კონფერენციის მუშაობას ნოე რამიშვილმა დაუსვა წერტილი 23 მაისს, რომელმაც გენერალ ბრიგსს განუცხადა: „ბატონო გენერალო, მეჩვენება რომ, თქვენ ბოლომდე არა ხართ გათვითცნობიერებული დენიკინის ზრახვებში. იგი პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგიცაა. ჩვენი საქმე კი, გაცილებით მარტივადაა: საქართველო ორი ათასი წლის განმავლობაში არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1801 წელს კი, იგი თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს ავტონომიისა და პროტექტორატის ხელშეკრულებით. მაგრამ რუსეთმა ეს პირობები არ შეასრულა, რითაც 56 წლის კონგრესის[1] მხრიდან პროტესტი გამოიწვია, რომლის შემადგენლობაში ინგლისიც იმყოფებოდა. ორი სიტყვით, ასეთია ჩვენი ისტორია...

გენერალი ბრიგსი: ვიმეორებ, რომ დენიკინი არ თვლის თავს უფლებამოსილად გადაწყვიტოს სასაზღვრო საკითხები.

გეგეჭკორი: დენიკინის პროკლამაცია ხომ წარმოადგენს მსოფლიო კონფერენციის გადაწყვეტილებებში ჩარევას?...

გენერალი ბრიგსი: თქვენც წაიწიეთ წინ ისე, რომ არ დაელოდეთ საზღვრის საკითხების გადაწყვეტას.

---

[1] ამ პერიოდისათვის საქართველო სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე, მისი „რბილი ხასიათის" გამო გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და იგი სხვა თანამდებობაზე დაინიშნა, კერძოდ, საქართველოს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულად ბათუმსა და ბათუმის ოლქში. 1919 წლიდან კი, სამხედრო მინისტრის თანამდებობა უფრო „მკაცრ" ხელში გადავიდა. ეს პოზიცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნოე რამიშვილმა შეითავსა, რომელსაც იგი 1919 წლის ბოლომდე ეკავა. ასეთი დონის სამთავრობო და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებაში აშკარად იკვეთება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა და პირადად ვალიკო ჯუღელის როლი.

[1] აქ 1853-1856 წლების ყირიმის ომი და 1856 წლის 13(25)-18(30) თებერვლის პარიზის სამშვიდობო კონგრესი იგულისხმება. 1856 წლის 18(30) თებერვალს ხელი მოეწერა საზავო პირობებს. პარიზის კონგრესის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს ინგლისი წარმოადგენდა.

გეგეჭკორი: თქვენთვის ცნობილია გენერალო, რომ წინ ინლისელთა სარდლობის ნებართვით წავიწიეთ, რომლისთვისაც ცნობილი იყო ჩვენი წინწაწევის მიზეზები. თქვენთვის ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ინგლისელთა სარდლობას უკვე დიდი ხანია ჰქონდა დენიკინისათვის წინადადება მიცემული სოჭის ოლქის გასუფთავების შესახებ. ინგლისელთა სარდლობა კი, ოფიციალურად გვამცნობდა მოხალისეთა მხრიდან ხელშეუხებლობის გარანტიების შესახებ.

გენერალი ბრიგსი: ვხედავ, რომ ისევ ძველ საკითხებს ვუბრუნდებით. ვთვლი რომ ჩემი მისია წარუმატებელი გამოდგა. ვწუხვარ, რომ ტყუილუბრალოდ ჩამოვედი და დავკარგე დრო.

გეგეჭკორი: გულღიად უნდა განგიცხადოთ, რომ ჩვენის მხრიდან სრულიად გულწრფელად ვესწრაფვოდით მშვიდობიანი გზებით გადაგვეჭრა ეს საკითხი, და გამოვხატავ ღრმა მწუხარებას, რომ ვერ შევძელით შეთანხმების მიღწევა".[1]

გენერალ დენიკინის მემუარის მიხედვით, გენერალ ბრიგსის მიერ სხდომაზე წარმოთქმული დასკვნითი ფრაზა ასეთი იყო: „...მალე კოლჩაკი[2] და დენიკინი შეერთ-დებიან, და საერთო რუსული მთავრობაც ჩამოყალიბდება – ეს რამდენიმე კვირის საქმეა: ინგლისელები და იტალიელები წავლენ, რუსეთი კი სამუდამოდ დარჩება; და მეგობრული ურთიერთობების დამყარება მასთან, ეს საუკეთესოა, რაც კი შეიძლება იყოს... ჩემი რჩევა კი ასეთია, თუ მას მიიღებთ. დათმეთ თქვენი თავმოყვარეობა, გაუწოდეთ დენიკინს ხელი და უთხარით მას: „ჩვენ თქვენთანა ვართ".

ერთა ლიგას ჯერ კიდევ არ მიუღია ჩამოყალიბებული ორგანიზაციის ფორმა... სამშვიდობო კონფერენციაც დასრულდება, და რუსეთიც დიდი და ძლიერი იქნება. თქვენ კი, არც თუ მაინც და მაინც ნათელ მომავალს უმზადებთ საკუთარ თავს..."[1]

სამწუხაროდ, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ბრიტანელი გენერლის ავბედითი პროგნოზი... რუსული იმპერიის საბოლოოდ ამოძირკვა ამიერკავკასიიდან და საქართველო-დან ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება... საუკუნოვანი დილემა კი, დილემად რჩება.

უფრო საინტერესო იყო დენიკინელთა მეორე შეხვედრა ქართულ მხარესთან. შეხვედრა, 24 მაისს გაიმართა და იგი დილის 11 საათსა და 10 წუთიდან 13 საათსა და 20 წუთამდე გაგრძელდა. ქართულ მხარეს ამჯერად რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია წარმოადგენდა, დენიკინელთა მხარეს კი, გენერალი ბიჩი და პოლკოვნიკი სანდერსი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე თარჯიმანი მელიქოვი და მდივანი მაჭავარიანი.

მოლაპარაკების პროცესში, გენერალმა ბიჩმა გააფრთხილა და გარკვეულწილად დაემუქრა კიდეც ჟორდანიას, რომ დენიკინის მოთხოვნების შეუსრულებლობის

---

[1] Абхазия _ документы и матералы (1917-1921г.г.) Сухуми. „Наше слово". Сухуми. 1919г. 15 июня, №127. Стр. 3. http://apsnyteka.org/file/Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[2] ალექსანდრ ვასილევიჩ კოლჩაკი (1874-1920) – ცნობილი რუსი ზღვაოსანი და ოკეანოგრაფი, პოლარული მკვლევარი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი, პოლარული და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ჰიდროლოგიური ექსპედიციების მონაწილე. 1918 წლიდან ადმირალი, სამხედრო თეორეტიკოსი. არმიისა და ფლოტის ერთობლივი ოპერაციების მომზადების, ორგანიზაციისა და ჩატარების ფუძემდებელი. საზღვაო აკადემიის ლექტორი, მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ავტორი საზღვაო საქმესა და ტაქტიკაში. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგიური ლიდერი სრულიად რუსეთისა დ აღმოსავლეთის ფრონტის მასშტაბით. თეთრი ლიდერების მიერ აღიარებულ იქნა რუსული არმიის უმაღლეს მთავარსარდლად. დაიღუპა წითელარმი-ელებთან ბრძოლაში. გიორგის ჯვრის კავალერი.

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 294.

შემთხვევაში, მოხალისეთა არმია შეტევით მოქმედებებს დაიწყებდა. ამჯერად ბრიტანელთა შეფარულ მუქარასთან მიმართებაში ჟორდანიას პოზიციები გაცილებით მტკიცე და შეუვალი იყო. ჟორდანიამ განაცხადა:

,,კი ბატონო... მაგრამ ასეთ შემთხვევაში გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ ეს შეტევა არ განხორციელდეს ტანკების, აეროპლანებისა და კრეისერების დახმარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც შეტევით მოქმედებებს ინგლისელთა დახმარებით. მე ასევე უნდა ვთხოვო ინგლისელთა სარდლობას, რომ დაგვიბრუნოს ის გამანადგურებლები, რომლებიც მათ გადაეცათ საქართველოს მთავრობის მიერ".[1]

შემდეგ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვრდა...

ჟორდანიას მოულოდნელი გამოსვლის შემდეგ ცოტათი დაბნეული ბრიტანელი გენერალი შეეცადა განემუხტა სიტუაცია. მან თქვა:

,,გენერალი დენიკინი აღიარებს საქართველოს ავტონომიას...

ჟორდანია: ჩვენ სულაც არ გვჭირდება გენერალ დენიკინის მხრიდან საქართველოს ავტონომიის ცნობა თუ არცნობა. საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და არავითარ ავტონომიაზე აქ არაა საუბარი;

გენერალი ბიჩი: მაგრამ რუსეთი ოდესმე ისევ აღორძინდება;

ჟორდანია: ჰოდა მაშინ გვექნება რუსეთთან საუბარი";

ისევ პაუზა... და შემდეგ:

,,გენერალი ბიჩი: დენიკინს ეხლა არა სცალია პატარა საქართველოსათვის, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ყველა აღშფოთებულია საქართველოს ბოლოდროინდელი შეტევითი მოქმედებებით, ამიტომ დენიკინი ანგარიშს უწევს ამას.

ჟორდანია: ასეთ შემთხვევში თქვენი აღშფოთება ჩვენს მიმართ კი არა, დენიკინის მიმართ უნდა გამოხატოთ, იმდენად, რამდენადაც შეტევითი მოქმედებები მან დაიწყო. რადგანაც სამშვიდობო კონფერენცია[1] დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ ორ მეომარ მხარეს შორის ვინ დაიწყო საომარი მოქმედებები, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ გენერალ დენიკინს მალე მოუწევს განსასჯელის სკამზე დაჯდომა;

ისევ ხანგრძლივი დუმილი....

გენერალი ბიჩი: რა თქმა უნდა, აქ ორივე მხარის მიერ იქნა შეცდომები დაშვებული;

ჟორდანია: ჰოდა ზუსტად ახლა ვასწორებთ ამ შეცდომებს. დადგნენ თქვენი ჯარები გაგრაში. აქ მშვენიერი კლიმატი და დიდებული სასტუმროებია, სადაც კომფორტულად შეგიძლიათ განათავსოთ თქვენი ოფიცრები და ჯარისკაცები";

შეხვედრა გენერალმა ბიჩმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: ,,კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას, რომ გამოყავით დრო ჩემთან სასაუბროთ. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველაფერი შეიძლება მშვიდობიანად მოგვარდეს"...[2]

როგორც ვხედავთ, ამჯერად მართლაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. იგი არ შედრკა ბრიტანელების წინაშე და მან შეუვალი პოზიციები, მართალი კაცის შეუვალი პოზიციები დაიკავა.

თბილისში გამართული მოლაპარაკებების შედეგები და ქართული მხარის ურყევი პოზიციები მხარდაჭერილ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ, რაც 1919 წლის 6 ივნისს გამართული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე მიღებული რეზოლუციით იქნა დადასტურებული. საბჭოს მთელმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა ამ რეზოლუციას. თავი

---

[1] სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 43.

[1] აქ პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზეა საუბარი.

[2] სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 43.

მხოლოდ ერთმა წევრმა, დემიანოვმა შეიკავა.[1] აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრი, პროფესიით იურისტი ალექსანდრ დემიანოვი თავის დროზე რუსეთის დროებითი მთავრობის წევრი და იუსტიციის მინისტრის თანაშემწე იყო,[2] ამიტომ გარკვეულწილად არცაა გასაკვირი, რომ მას აშკარად თუ შენიღბულად პრორუსული და პროდენიკინური პოზიციები ეკავა.

ბრიტანელთა ახალმა სარდალმა, გენერალმა კორიმ ივნისის დასაწყისში ქართული და მოხალისეთა ძალების გამიჯვნის საკუთარი პროექტი წარმოადგინა. მან ახალი სადემარკაციო ხაზი გაავლო – ერთგვარი „კავკასიური ზღუდე", რომლის იქითაც მოხალისეთა არმიას არ უნდა გადაებიჯებინა. იგი იწყებოდა მდინარე ბზიფის შესართავიდან, მიუყვებოდა მდინარეს კავკასიონის მთავარ ქედამდე სოხუმის ოლქის საზღვრის შესაბამისად, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ გრძელდებოდა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების საზღვრების გასწვრივ, გადადიოდა დაღესტანში, მიუყვებოდა პორტ-პეტროვსკი – ვლადიკავკაზის რკინიგზის ხაზს სამხრეთით ხუთ მილზე, უხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთით რკინიგზის ხაზის პარალელურად და მთავრდებოდა კასპიის ზღვის სანაპიროზე, პორტ-პეტროვსკიდან სამხრეთით ხუთ მილზე. 1919 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობას ბრიტანელთა ამ ახალი გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა. დენიკინის მიერ ბრიტანელთა მიერ გავლებული ახალი სადემარკაციო ხაზი აღიარებულ იქნა.[1] ქართულმა მხარემ კი, თავისთავად ცხადია, ბრიტანელთა მიერ შეთავაზებული ეს პროექტი უარყო.

გენერალ კორისთან დაკავშირებით და საზოგადოდ, ქართულ მხარესთან მიმართებაში ბრიტანელთა დამოკიდებულების შესახებ ერთ საინტერესო დოკუმენტსაც მოვიყვანთ. ესაა 27-ე დივიზიის მეთაურის, ისევ და ისევ გენერალ ჯორჯ კორის წერილი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე. საუბარი ისევ ბრიტანელი ჯარისკაცის, ამჯერად გრინის მკვლელობის საქმეს ეხება. მაგრამ საინტერესოა არა თვით ეს ფაქტი, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ბრიტანელთა მიერ ქართული მხარისათვის წაყენებული მეტად „პრაგამატული" მოთხოვნა:

„27-ე დივიზია. № A.M.1/160.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

თქვენი აღმატებულების ყურადღება უნდა მივაქციო იმას, რომ ჯერ კიდევ არ მიმიღია პასუხი ჩემს 14.07.19 წლის №A.M.1/150 წერილზე, სადაც გენერალ მილნის მოწერილობის საფუძველზე გთხოვდით გადაგეხადათ თანხა ასი ათასი მანეთი, თბილისში ბრიტანელი ჯარისკაცი გრინის მკვლელობის გამო.

გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად აცნობოთ ჩემს წარმომადგენელს, თუ როდის იქნება გადახდილი ზემოხსენებული თანხა.

კორი.

22 აგვისტო 1919 წელი".[2]

---

[1] Абхазия _ документы и матералы (1917-1921г.г.) Сухуми. „Наше слово". Сухуми. 1919г. 14 июня, №127. Стр. 3. http://apsnyteka.org/file/Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .

[2] Август Густавович Мартин. Автобиография А. Мартина и его воспоминания о педагогической деятельности в Абхазии до революции и его участии в Абхазском Народном Совете. Сухуми. 14-го мая 1969 года. Абгосмузей. Ф. 3, оп. 1, д. 89, лл. 38-72.

[1] Charlotte Hille. State building and conflict resolution in the Caucasus. Eurasian Studies Library. Historical, Political and Social Studies of Slavic and Islamic Cultures in the Eurasian Region. Copyright 2010 by Koninklijke Brill NV, Leiden, The Netherlands. Pg. 123. Firuz Kazemzadeh. The struggle for Transcaucasia (1917_1921). Philosophical Library. New York. 1951. Pg. 245.

[2] სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 68.

კომენტარის გაკეთება მკითხველისათვის მიგვინდია...

1919 წლის ზაფხულიდან დაწყებული, ქართულ და მოხალისეთა გარნიზონებს შორის ფაქტობრივ გამყოფ ხაზს მდ. ფსოუ წარმოადგენდა და „საზღვრებიც" ჩაიკეტა, ხოლო დაპირისპირებულ მხარეებს შორის ოფიციალური ურთიერთობები შეწყდა. ჯარები ისევ მოლოდინისა და სრული საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმზე გადავიდნენ და ეს მდგომარეობა მთელი 1919 წლის განმავლობაში აღარც შეცვლილა.

ისევ ნაცნობი სურათი დამყარდა – „არც ომი, არც მშვიდობა". მდგომარეობა თითქოს დასტაბილურდა, თუმცა ცალკეულ მცირე შეტაკებებს და „მწვანეთა" მოქმედებებს მაინც ჰქონდა ადგილი, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაზრდილიყო ახალ საომარ მოქმედებებში. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები კი გრძელდებოდა.

1919 წლის მაისში აფხაზეთის ავტონომიის საკანონმდებლო-მმართველობით სისტემაში მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ცვლილებები განხორციელდა. აფხაზეთის ეკონომიკური, სამეურნეო და სოციალური ხასიათის რეფორმების უფრო ეფექტურად წარმართვისათვის აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზეთის მთავრობის – კომისარიატის შექმნის შესახებ. მთავრობის თავმჯდომარე აფხაზეთის დამსახურებული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, არზაყან ემუხვარი გახდა. ამავე პერიოდში აფხაზთა სახალხო საბჭო გარდაიქმნა და მას „აფხაზეთის სახალხო საბჭო" ეწოდა, რომლის დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული არჩევნების დებულებაც ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბრის ბოლოს იყო შემუშავებული.

დებულება
აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა
I საერთო დებულებანი.

1. აფხაზეთის სახალხო საბჭოს შეადგენენ არჩეული წევრები, რიცხვით ორმოცი.

შენიშვნა: წევრები, რომელნიც დასტოვებენ საბჭოს, შეცვლილ იქნებიან სხვა წევრებით თანდათანობით წესით კანდიდატთა იმ სიის რიგზე, რომლის მიხედვითაც ისინი არჩეულ იქმნენ.

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები მოხდა შეერთებულის სიებით და რომელსამე მათგანში დასახელებული არ არის კანდიდატი, თავისუფალ ადგილს აფხაზეთის სახალხო საბჭოში დაიკავებს კანდიდატი იმ შეერთებული სიისა, რომელსაც ჰყავს თავისუფალი კანდიდატები და რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

დასახელებულ სიაში კანდიდატის უყოლობისა და აგრეთვე თუ შეერთებულ სიებშიაც ასეთი კანდიდატები არ აღმოჩნდებიან, ადგილი აფხაზეთის სახალხო საბჭოს განთავისუფლებულ წევრისა ისევ თავისუფალი დარჩება.

2. აფაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა არჩევნების უფლება აქვს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, აფხაზეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენამდე შესრულებია ოცი წელიწადი და რომელსაც აფხაზეთში ბინადრობა ჰქონია 1914 ივლისის ცხრამეტამდე.

შენიშვნა: აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მეორე მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა ისიც, ვისაც აფხაზეთში ბინადრობა მოუპოვებია 1914 წლის ივლისის 19-ის შემდეგ და აკმაყოფილებს მეორე მუხლის დანარჩენ მოთხოვნილებას, აგრეთვე ისიც, ვინც აფხაზეთში არ ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ ითვლება.

3. საარჩევნო უფლებას იღებს ის მოქალაქე, რომელიც შეტანილია საარჩევნო სიაში და იმ უბანში, სადაც სიაში არის შეტანილი...

ამ დებულების ძალით მოხდება არჩევნებიც სოხუმის ოლქში.

1918 წლის დეკემბრის 27.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.[1]

ახლადარჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოს სათავეში აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე ჩაუდგა.[2]

აღდგა აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკაც. ისტორიული დასახელებები დაუბრუნდა აფხაზეთის მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებს. სოხუმის ოლქს, რომლის დასახელებაც რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად იქნა დანერგილი 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შედეგად და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთებით, ისევ თავისი ისტორიული დასახელება – აფხაზეთი დაუბრუნდა. ხოლო ოლქის უბნებს (Участок) – მაზრები ეწოდათ.[3]

საბოლოოდ, „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოსა" და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სადემარკაციო ხაზი და დე-ფაქტო საზღვარი მდინარე ფსოუზე, ქართული და რუსული გარნიზონების გამყოფ ხაზზე დაფიქსირდა. ამით სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს" მთავრობებს შორის თითქოს ამოიწურა, თუმცა დაძაბული მდგომარეობა მათ შორის მაინც დარჩა.

§5. გაგრის შეტევითი ოპერაციის ტაქტიკური ანალიზი

სამხედრო თვალსაზრისით, 1919 წლის აპრილის თვეში ქართული მხარის მიერ დენიკინელთა ოკუპაციისაგან აფხაზეთის განთავისუფლების ოპერაცია სტრატეგიულ შეტევას წარმოადგენდა. წარმოებული საბრძოლო მოქმედებები გამოირჩეოდა ოპერაციის კარგი დაგეგმვით, მომზადებითა და აღსრულებით. ტაქტიკური თვალსაზრისით კი ეს იყო ქართული მხარის შეტევითი მოქმედება ფრონტალური და ფლანგური იერიშებით, მოწინააღმდეგის ძალებზე ღრმა ფლანგური მანევრის ჩატარებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული მხარის მიერ მდინარე ბზიფის ზემო წელში ახალი ხიდის აგება, რამაც დააჩქარა მდინარის ფორსირების ტემპები და გადაყვანილი ჯარების რაოდენობა, გაზარდა ჯარების სამანევრო სივრცე და შეტევის სიღრმე. ყოველივე ამან კი, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული მხარის წარმატება.

შედეგიანი იყო პოლკოვნიკ გ. ხიმშიაშვილის გვარდიის ცალკეული საკავალერიო დივიზიონის აქტიური საბრძოლო მოქმედებები, რომელიც სოჭის ფრონტზე 1919 წლის 8 თებერვლიდან 29 ოქტომბრამდე იმყოფებოდა, ხოლო მდინარე ბზიფზე 16-17 აპრილს

---

[1] სცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი (7-7ობ)

[2] Джемал Гамахария. Абхазия (краткая историческая справка). http://iberiana.wordpress.com/ afxazeti/j-gamakharia-1/.

[3] Абхазия _ документы и матералы (1917-1921г.г.) Сухуми. Абгосмузей. Ф. 4, оп. 1, д. 86, л. 15. http://apsnyteka.org/file/Abkhazja_dokumenty_i_materialy_1 917_1921.pdf.

გავიდა.[1] დივიზიონის გამოცდილი ოფიცრები: ქ. ჩოლოყაშვილი, მ. და ო. დადიანები, ს. წერეთელი, დ. და პ. მხეიძეები, კუსტაშვილი, მამულაიშვილი, ბერელაშვილი, მაჭიტაძე, ფავლენიშვილი, ყანჩელი, გელოვანი, მიქელაძე, ამილახვარი, ციციანოვი, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მათ კიდევ ერთხელ აჩვენეს ქართველი კავალერისტის პროფესიული მომზადებისა და საბრძოლო სულისკვეთების მაღალი დონე.

რა თქმა უნდა, ცალკე გამოყოფის ღირსია ადგილობრივი, მათ შორის არაქართული მოსახლეობის, ე.წ „მწვანეების" როლი და ეფექტური მოქმედებები დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინეს შემტევ ქართულ ქვედანაყოფებს დაზვერვისა და ინფორმაციის მოპოვების კუთხით, დენიკინელთა ზურგში მოქმედებებითა და საკომუნიკაციო ხაზების პარალიზებით. ამ თვალსაზრისით, სოჭისა და ადლერის ადგილობრივი „მწვანეებისა" და გაგრის მიმართულებაზე ქართული საჯარისო ქვედანაყოფების შეთანხმებული სამხედრო მოქმედებები დენიკინელთა წინააღმდეგ, კომბინირებული ომის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში.

საერთო ჯამში, 1919 წლის აპრილის თვეში წარმოებული შეტევითი მოქმედებების შედეგად, სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებმა ადგილობრივი „მწვანეების" პარტიზანული რაზმების მხარდაჭერით სწრაფად და ეფექტურად აღკვეთეს დენიკინელთა სამხედრო აგრესია, გაანთავისუფლეს გაგრა, ადლერამდე მიაღწიეს და აღადგინეს ქართული სახელმწიფოს დე-ფაქტო ხელისუფლება აფხაზეთში, თუმცა მათი შემდგომი წინსვლა სოჭსა და ტუაფსეზე ბრიტანელთა მიერ იქნა აღკვეთილი. მიუხედავად ქართული მხარის მიერ მიღწეული დიდი წარმატებისა, ამ ეტაპზე, ჯიქეთის, ანუ, სოჭის ოლქის ისტორიული ქართული მიწების დაბრუნება ვეღარ მოხერხდა.

თუ ომის პრინციპების პუნქტებად წარმოვადგენთ გაგრის შეტევითი ოპერაციის ტაქტიკურ ანალიზს, შემდეგ სურათს მივიღებთ.

პირველი პუნქტი, ოპერაციის მიზანი – განსაზღვრული იყო და იგი ქართული სარდლობის წინაშე ნათლად იქნა დასახული; ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქართული მხარის შეტევითი ოპერაციის პოლიტიკურ მიზანს ყოფილი შავიზღვისპირეთის გუბრნიის სოჭის ოლქის დაკავება წარმოადგენდა;

შეტევა – (მიღწევა, შენარჩუნება, ექსპლუატაცია); მიუხედავად გაგრის აღებისა და ოპერაციის პირველი ფაზის წარმატებით დასრულებისა, ქართული სარდლობისა და შემტევი ქვედანაყოფების მიერ მიღწეული წარმატების სრული შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ვეღარ მოხერხდა. ვეღარ მოხერხდა არა იმიტომ, რომ შემტევ მხარეს კულმინაციური წერტილი დაუდგა, არამედ იმიტომ, რომ ბრიტანელთა სარდლობის ჩარევით ქართული ქვედანაყოფები შეჩერებულ, და უკან, მდინარე ფსოუმდე იქნენ დაწეულნი;

მასიურობა – მოთხოვნის ეს პუნქტი სრულად იქნა შესრულებული. ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია დაიწყო მაშინ, როცა ამისათვის ძალებისა და საშუალებების სრული კონცენტრაცია და გადაჯგუფება განხორციელდა მდ. ბზიფზე, შეტევის საწყის ზღუდეზე; ამისათვის საკმარისზე მეტი დრო იყო გამოყოფილი. შეტევით ოპერაციაში ჩართულ იქნა სამივე გვარეობის ჯარები – ქვეითი, არტილერია, კავალერია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვარდიის კავალერიის სწრაფი და ეფექტური მოქმედებები;

---

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი (125-126).

ქართული მხარის მიერ მინიმალურად ეფექტური საბრძოლო ძალა იქნა გამოყენებული, რაზეც ცალსახად მეტყველებს შემტევი მხარის უმცირესი საბრძოლო დანაკარგები;

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მხარის მიერ შეტევის მანევრის უნაკლოდ ჩატარება. ოპერაცია კარგად იყო დაგეგმილი და მომზადებული. შეტევა სამ კოლონად განხორციელდა და აქტიურად იქნა გამოყენებული ფლანგური შეტევის მანევრი, მდინარის ფორსირებისა და სამანევრო სივრცის გაზრდისათვის კი, ქართული მხარის მიერ ახალი ხიდიც კი იქნა აგებული მდინარე ბზიფის ზემო წელზე; თავდაცვით პოზიციებზე მყოფმა მოხალისეებმა ვეღარ მოახერხეს ქართული მხარის მანევრზე დროული რეაგირება და მათი დიდი ნაწილი თითქმის უბრძოლველად ჩაბარდა მოწინააღმდეგეს, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს; საუბარი აღარაა ლაზარეთში მოთავსებულ მოხალისეთა არმიის ავადმყოფ ოფიცრებსა და ჯარისკაცებზე. მათი ევაკუაცია არც არავის არ უცდია და ამ კუთხით ის სურათიც იკვეთება, რომ იგი არც არავის არ უფიქრია;

მართვის ერთიანობის მხრივ ძნელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება, რადგან გაგრის შეტევითი ოპერაციის აღსრულებაში მონაწილეობდნენ როგორც რეგულარული ჯარის ნაწილები, ასევე გვარდიის რაზმები. ოპერაციის მმართველ ორგანოს კი „საველე შტაბი" წარმოადგენდა. მართალია მიმართულების საერთო ხელმძღვანელს ფორმალურად გენერალი იოსებ გედევანიშვილი წარმოადგენდა, მაგრამ ნათლად იკვეთება ის სურათი, რომ აქ ვალიკო ჯუღელის ფაქტორი ისევ მეტად დიდი იყო. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იგი წარმოადგენდა ოპერაციის ფაქტობრივ ხელმძღვანელსა და სარდალს, გენერალ ი. გედევანიშვილს კი, მხოლოდ ნომინალურად ეკავა ეს თანამდებობა. გაგრა-ადლერის ოპერაციის მსვლელეობისას, სახალხო გვარდიასა და რეგულარულ ნაწილებს შორის თითქმის ტრადიციად არსებული არათავსებადობის ფაქტორი, ფაქტობრივად ნულამდე იქნა დაყვანილი. მიზეზი ორია: პირველი – გენერალი იოსებ გედევანიშვილი ე.წ. „რევოლუციონერ" და „დემოკრატ" ოფიცერთა რიცხვს განეკუთვნებოდა, და მეორე – გაგრის შეტევითი ოპერაცია ძალიან მაღალ ტემპში განხორციელდა და მცირე დროში დასრულდა, რის გამოც გვარდიულმა რაზმებმა ბოლომდე შეძლეს დისციპლინისა და საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნება;

უსაფრთხოებისა და ძალთა დაცვის მოთხოვნაშიც ქართული მხარის უპირატესობა სრული იყო – შეტევითი ოპერაციის არც ერთ ეტაპზე მოწინააღმდეგეს სულ მცირე ტაქტიკური უპირატესობისათვისაც კი არ მიუღწევია, მათ ვერ შეძლეს შემტევი ქართული ქვედანაყოფების შეჩერება; ოპერაციის პირველი ფაზის მთელი მსვლელობისას, ქართულ მხარეს კულმინაციური წერტილი არ დადგომია;

მოულოდნელობა – ომის პრინციპებისა და საბრძოლო ფუნქციის ეს მოთხოვნაც ქართული მხარის მიერ სრულად იქნა აღსრულებული. ვგულისხმობთ „მწვანეების" ფაქტორს. ფაქტია, რომ ქართულ სარდლობასა და დენიკინის ზურგში მყოფ „მწვანეებს" შორის მოქმედებათა სრული კოორდინაცია იყო. კომბინირებული ომის ამ შემთხვევისათვის მოხალისეები აბსოლუტურად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს თითქმის მთელი სამი თვის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ ეკავათ გამაგრებული პოზიციები, ფაქტია, რომ გენერალი დენიკინისა და მისი მეწინავე ნაწილის მეთაურის, გენერალ უშაკისათვის აბსოლუტურ მოულოდნელობას წარმოადგენდა, როგორც ქართველთა შეტევა, ასევე მის ზურგში „მწვანეების" მოქმედებების დაწყება. ყოველივე ამან კი, პოზიციებზე მყოფ მოხალისეებს შორის სრული დეზორგანიზაცია და პანიკა გამოიწვია, რაც საბოლოოდ მათი სრული მარცხით დასრულდა;

ომის პრინციპების ბოლო პუნქტის („სიმარტივე") შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან ამ პუნქტის მახასიათებელი ოპერატიული ხასიათის დოკუმენტაციის მოპოვება ვერ შევძელით. საუბარი შეეხება შეტევის ბრძანებას, საომარ მოქმედებათა ჟურნალიდან

ამონაწერებს, მოხსენებით ბარათებს, პატაკებს და სხვა მსგავსი ხასიათის დოკუმენტებს. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან სახალხო გვარდიისათვის მსაგავსი ხასიათის საშტაბო დოკუმენტაციის წარმოება ერთობ უცხო ხილს წარმოადგენდა. მით უმეტეს საველე შტაბებში საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას საშტაბო დოკუმენტაციის წარმოების ტრადიცია და კულტურა, უბრალოდ არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ქართული მხარის მიერ ეს პუნქტიც შესრულებულ იქნა, რაზეც თავისთავად მეტყველებს ოპერაციის წარმატებით დასრულება.

ნაშრომის შესაბამის თავში აღვნიშნეთ, რომ 1918 წლის ბოლო და 1919 წლის პირველი თვეები სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, უმძიმესი პერიოდი იყო ქართული სახელმწიფოსათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამი განსხვავებული მიმართულებიდან ფაქტიურად ერთდროულ სამხედრო აგრესიას განიცდიდა დაშნაკური სომხეთის რესპუბლიკის, დენიკინის ე.წ. „სამხრეთ რუსეთისა" და პანისლამისტთა თვითგამოცხადებული ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების მხრიდან. 1919 წლის 17 ინვარს სომხეთ-საქართველოს ომი დასრულდა. თბილისში გამართულ სამმხრივ, სომხურ-ქართულ-ბრიტანულ კონფერენციაზე ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

1919 წლის აპრილის თვე კი ქართული სახელმწიფოს, ქართული შეიარაღებული ძალებისათვის დიდი წარმატებების მომტანი აღმოჩნდა. დენიკინის შეიარაღებული აგრესია აღკვეთილ იქნა და რუსული საოკუპაციო ჯარები განდევნილ იქნა საქართველოდან – გაგრის ზონა ისევ საქართველოს შემოუერთდა.

ამავე დროს, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშიც, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, მოხერხდა თვითგამოცხადებული ე.წ. „ყარსის" რესპუბლიკის შეიარაღებული აგრესიის აღკვეთა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიდან პანისლამისტების განდევნა. უფრო მეტიც, ქართულმა ქვედანაყოფებმა ფოცხოვიც დაიკავეს, ხოლო წარმატებულად დაგეგმილი და აღსრულებული ოპერაციის შედეგად, აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, 1919 წლის 20 აპრილს, გენერალ გიორგი კვინიტაძის საერთო ხელმძღვანელობით, ქართული შენაერთები არტაანში (არდაგანი) შევიდნენ. მართალია, ქართული შენაერთების შემდგომი წინსვლა ოლთისისაკენ ისევ ბრიტანული სარდლობის მიერ იქნა აღკვეთილი, მაგრამ მოპოვებული სამხედრო-პოლიტიკური წარმატება მაინც დიდი იყო.

საერთო ჯამში, 1919 წლის აპრილში საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ძალისხმევის ფასად, აფხაზეთი და ისტორიული ტაო-კლარჯეთის ნაწილი ისევ დედა-სამშობლოს დაუბრუნდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორისა და რეგიონის ქართული საჯარისო კონტიგენტის სარდლის, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორის, გიორგი კვინიტაძის 1919 წლის 27 მაისით დათარიღებული №57 ბრძანება, რომელიც სარდლის გამოსამშვიდობებელ სიტყვას წარმოადგენს გარნიზონის პირადი შემადგენლობის მიმართ. იგი თანაბრად უნდა მივაკუთვნოთ როგორც ახალციხის, ასევე აფხაზეთის ქართულ გარნიზონებს. ძნელია გულგრილად გაეცნოს მას მკითხველი.

ბრძანება ახალციხის რაზმისადმი №57.

27. 05. 19. ახალციხე.

ძვირფასო თანამებრძოლებო, ოფიცრებო და ჯარისკაცებო, მე თქვენ გშორდებით. მთლიანად გამსჭვალული ვარ ღრმა აღფრთოვანებით თქვენი სიმამაცით ამ ველზე და ყველგან ჩვენს უძველეს მესხეთში, ჩვენი სამშობლოს ძვირფას აკვანში. თქვენ აიძულეთ

ყველა, რომ ისევ გახსენებოდათ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც ამავე ბრძოლის ველზე თავიანთ სისხლს ღვრიდნენ ჩვენი სამშობლოს გულისათვის.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა, ეს ჩემი ყოფნაა აქ, თქვენთან, ახალციხის ფრონტზე. მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა ისეთი ყოჩაღი ხალხის სარდლობა, რომლებიც თქვენა ხართ. ქება და დიდება თქვენ.

დაე ეს იყოს ჩვენი პატარა სამშობლოსათვის მანათობელი ვარსკვლავი ჩვენს შემდგომ ცხოვრებაში.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით უკანასკნელი სისხლის წვეთი გავიღოთ ჩვენი სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქება და დიდება თქვენ, ახალციხისა და ახალქალაქის გმირებო.

მშვიდობით, დაე თქვენთან იყოს მუდამ გამარჯვება, გიყვარდეთ სამშობლო.

ახალციხის რაზმის სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი კვინიტაძე.[1]

§6. დენიკინი და „შავი ზღვის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტი"

1919 წლის გაზაფხულის ბოლოსათვის გენერალმა დენიკინმა შეძლო სოჭის ოლქში გლეხთა გამოსვლებისა და „მწვანეთა" ავჯანყების ჩაქრობა და ადლერისა და პლასტუნკის რაიონები ისევ თავის კონტროლქვეშ მოაქცია. ზაფხულიდან კი, თავისი ძირითადი ამოცანის შესასრულებლად, პოლიტიკური და სამხედრო აქტივობა ჩრდილოეთისაკენ გადაიტანა, სადაც „უცნაური" სამოქალაქო ომის სრულმასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო ბოლშევიკებთან...

ისევ უინსტონ ჩერჩილი: „მთელს რუსეთში უცნაური ომი მიმდინარეობდა ისეთ უზარმაზარ სივრცეებზე, რომ ასეულ ათასიანი არმიები მასში იკარგებოდნენ, დნებოდნენ, ორთქლდებოდნენ; ეს იყო ომი, სადაც ადგილი არ ჰქონდა ნამდვილ საბრძოლო მოქმედებებს, არამედ მხოლოდ შეტაკებები, თარეში, ხოცვა-ჟლეტა, რომლის შედეგად ხელიდან ხელში გადადიოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ხელა ოლქები; ეს იყო რუკებზე ალმების ომი. ომი, რომელმაც არ იცოდა არც დანდობა და არც ღირსება. ქაღალდზე ეს დიადი ომის (აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი – ა. ჩ.) დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე მოქმედებებს გავდა. ფაქტიურად კი, ეს იყო ამ ომის ანარეკლი, ცივი, სუსტი ომი, ჩრდილების ბრძოლა პლუტონის ბნელ სამყაროში... ხან ბოლშევიკები ურტყამდნენ რომელიმე პუნქტს, ხან თეთრები. და ალმებიც გადაადგილ-დებოდნენ, ქალაქები პატრონებს იცვლიდნენ, შესაბამისად – პოლიტიკურ სიმპათიებსაც. სასტიკი შურისძიებები კი თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინკვიზიტორულ მეთოდებთან სრულ შესაბამისობაში".[1]

---

[1] სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 23, ფურცელი 27.

[1] Черчиль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисловием И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis

სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას დენიკინელთათვის გაწეული ბრიტანული დახმარებების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. უინსტონ ჩერჩილმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გამოსვლისას, 1919 წლის 22 სექტემბერს, განაცხადა: „გენერალ დენიკინის განკარგულებაშია არმია, რომელიც მართალია ძირითადში მოხალისეებისაგან შედგება, მაგრამ სწრაფად იზრდება და მოცემულ მომენტში 300000 კაცს შეადგენს... ჩვენი პოლიტიკა ისევ მტკიცე პოლიტიკად უნდა დარჩეს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დენიკინთან მეგობრული ურთიერთობები და ისევ გავაგრძელოთ მისთვის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება, დავეხმაროთ მას ბოლშევიკური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც შესაძლებელია მივცეთ პოლიტიკური რჩევები... ის ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გენერალ დენიკინს ერთხელაც არ უთხოვია ცოცხალი ძალით მხარდაჭერა. მთელი ამ ცხრა თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბრიტანელი ოფიცერი დაიჭრა, და ისიც მსუბუქად. ეს ინგლისელთა ერთადერთი დანაკარგია...”[1]

რუსეთის სამოქალაქო ომის მიმდინარეობის ფონზე, დენიკინური და ბოლშევიკური ფაქტორების სიმწვავე არც აფხაზეთში და არც მთლიანად საქართველოში არ განელებულა. მართალია ბოლშევიკური საფრთხე თითქოს უკვე მოგერიებული იყო, მაგრამ მისი მთლიანად უგულებელყოფა მაინც არ შეიძლებოდა. ეს კარგად ესმოდათ ქართულ პოლიტიკურ წრეებს და რუსეთიდან მომავალ ბოლშევიკურ-დენიკინურ საფრთხეებს საღად აფასებდნენ. გასათვალისწინებელი იყო რუსული რეაქციის მიერ აფხაზეთში და მთლიანად საქართველოში წარმოებული ფართოდ გაშლილი აგენტურული მუშაობაც. 1919 წლის 2 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე გამოსვლისას ქართველ ეროვნულ-დემოკ-რატთა ლიდერი, სპირიდონ კედია[2] აღნიშნავდა:

„Граждане! Вопрос об Абхазии должны сделать на сегодняшнем заседании предметом вашего внимания.

Вы хорошо знаете, что положение нашей страны на окраинах весьма неблагоприятное... Осложнений во внутренней и внешней политике вызваны преимущественно неустроенностью окраин. Разумеется, мы все виноваты в этом. С самого начала должным образом не оценили тот факт, что эти окраины представляют из себя весьма опасный элемент для нашей национально-государственной идеи...

Среди окраин самой опасной является Абхазия. Опасна потому, что государственности и независимости Грузии оттуда угрожает северный враг - Россия. Деникин собирается через Абхазию вторгнуться в Грузию. Вы хорошо знаете, что в Абхазии сегодня имеем активный фронт, что здесь против нас сосредоточена большая вражеская сила и что большая часть нашей военной силы, как раз, брошена туда против

1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. http://militera.lib. ru/memo/0/one/ english/churchill2.rar.

[1] Черчиль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисловием И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. http://militera.lib. ru/memo/0/ one/ english/churchill2.rar.

[2] სპირიდონ კედია (1884-1948) – ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი. ორატორი, პუბლიცისტი და მწერალი. 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. მემარჯვენე პოლიტიკოსი, მეფის ოხრანკისგან დევნილი ცხოვრობს საზღვარგარეთ. 1914 წლიდან საქართველოშია. 1917 წელს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და მისი თავმჯდომარე. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ სამშობლო არ დაუტოვებია. 1921-1922 წლებში ოკუპირებულ საქართველოში გაშლილი ანტიბოლშევიკური პატრიოტული მოძრაობის ლიდერი. 1923 წლიდან ემიგრაციაშია.

врага. Да! Сегодня здесь активный и действующий фронт, позади фронта расположена та Абхазия, где наша государственная прочность и наши интересы находятся в опасности. Для победы в возможных военных действиях и, вообще, для нашей внутренней прочности необходимо, чтобы срочно изменились правила и методы работы в Абхазии, а также сместить лиц, не проявивших способности к государственной деятельности...

В Абхазии, как вы хорошо знаете, против нас работают русские агенты. Особенно среди духовенства и учительского круга выходили смелые враги грузин и грузинских идей. Это хорошо знают все; эти лица и сегодня находятся в Абхазии и продолжают свою явно антигрузинскую деятельность. Эти лица по-разному проявили свой облик: кто-то большевик и борется с нами с большевистской идеей и методом; кто-то еще деникинец и борется с нами с идеей и системой Деникина; кто-то в составе политических партий местных коренных жителей мастерски борется с Грузией и с ее независимоситью. Весь этот антигрузинский элемент проводит одну политику и служит одной цели: свержению независимости Грузии. Часто проводятся большевистские митинги в Сухуми и в других поселках Абхазии, где агитаторы выступают против Грузии, принимают соответствующие резолюции...Такое враждебное действие против Грузии ведется и в самом Абхазском Народном Совете...”[1]

ამ დროს კი, დენიკინის დესპანი ამიერკავკასიაში, გენერალი ნიკოლაი ბარათოვ-ბარათაშვილი ინტენსიურ შეხვედრებს მართავდა მთავრობის წევრებთან და გენერლებთან, „სამხრეთ რუსეთისა” და საქართველოს მთავრობებს შორის ურთიერთობების დარეგულირების მიზნით. დენიკინელები ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ჩართვას მოითხოვდნენ თეთრგვარდიელთა მხარეზე. ქართული მხარის ქართულ-დენიკინური ურთიერთობების ამ ეტაპზე დენიკინის პოზიციები უკვე შერბილებული იყო. 1919 წლის 3 აგვისტოს გენერალი ბარათოვი ე. გეგეჭკორმა მიიღო. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვალიკო ჯუღელი და კონსტანტინე საბახტარაშვილი.[2] გენერალმა განუცხადა მინისტრს, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობა არ ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ შეშფოთებული იყო იმით, რომ ქართული არმია ახდენდა თავდასხმებს მოხალისეთა არმიის ზურგში.[3]

1919 წლის 13 სექტემბერს კი, გენერალ ბარათოვსა და გენერალ ოდიშელიძეზე ბოლშევიკთა მიერ ტერაქტი განხორციელდა. სამხედრო უწყების ავტომობილს, რომელშიც გენერლები და ბარათოვის ადიუტანტი, პოლკოვნიკი სელიმ ალხავი ისხდნენ, ბოლშევიკმა ტერორისტმა არკადი ელბაქიძემ ხელყუმბარა ესროლა ვერის დაღმართზე (ყოფილი ელბაქიძის ქუჩა). გენერალი ოდიშელიძე მსუბუქად დაიჭრა, გენერალმა ბარათოვმა კი მძიმე ჭრილობები მიიღო, რის გამოც მას ერთი ფეხი მოჰკვეთეს. ტერაქტის შედეგად ადგილზე დაიღუპნენ ბარათოვის ადიუტანტი, მძღოლი და შემთხვევითი გამვლელი. თავად ელბაქიძე კი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული მილიციელების მიერ.

ვინაიდან თავდამსხმელი ბოლშევიკი აღმოჩნდა, მოხალისეთა არმიის სარდლობას არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს საქართველოს მთავრობისათვის. ბარათოვის ადიუტანტი, პორუჩიკი დესპოტული გაზეთ „Утро юга”-სთვის მიცემულ ინტერვიუში

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 447-448. Док. №244. Из стенограммы заседания Учредительного Собрания Грузии _ обсуждение обстановки в Абхазии.

[2] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 227.

[3] ავთანდილ სონღულაშვილი. კაზაკები საქართველოში. „მეცნიერება”. თბილისი. 2003. გვ. 54.

აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკებს ამ ტერაქტით სურდათ საქართველოს ხელისუფლებასა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის დაწყებული მოლაპარაკებების ჩაშლა.[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიაში გენერალ დენიკინის მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის პოსტზე, გენერალი ბარათოვი „დობროარმიის" ამიერკავკასიიის მისიის საქმეთა მმრთველმა, გენერალმა ვოსკრესენსკიმ შეცვალა.[2] თუმცა ამ ჩანაცვლებას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ცხადი იყო, რომ საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის მთავრობებს შორის სამშვიდობო ურთიერთობების მოგვარება არ ხერხდებოდა. მით უმეტეს, გამორიცხული იყო საქართველოსა და ე.წ. „სამხრეთ რუსეთის" მთავრობებს შორის რაიმე სახის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

თბილისის მსგავსად, ბოლშევიკთა პროვოკატორულ გამოსვლებს სოხუმშიც ჰქონდა ადგილი. საქართველოს სამხედრო მინისტრის, ნოე რამიშვილის მიერ გამოცემულ ერთ-ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ:

„ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ
15 ოქტომბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№223

ამა ოქტომბრის 12-ს ღამის 9 საათზე ქ. სოხუმში მეორე ქვეითთა რაზმის ჯარის-კაცთა ჯგუფი, 70-80 კაცამდე, ჯარის-კაცთა ტანსაცმელში გადაცმულ აგიტატორთა ხელმძღვანელობით და ზეგავლენით შეეცადა იარაღის საწყობის გაძარცვას. ბოლშევიკთა მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გაჩაღება და ანარქიის გაძლიერება. ერთი თავდამსხმელთაგანი დარაჯმა მოჰკლა და რამდენიმე დასჭრა. რაზმი მთლიანად თავისი მოვალეობის ერთგული დარჩა. მიღებული ზომებით წესრიგი დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი. გამოსვლის მონაწილეებმა ამბოხების მეთაურები თვით გასცეს, რომელნიც შეიპყრეს. უკანასკნელნი გადაეცნენ სასამართლოს მსჯავრის დასადებად.

მივაქცევ რა ამ სამწუხარო გარემოებას ჯარის ნაწილთა უფროსების ყურადღებას, ვბრძანებ მათ მიიღონ ენერგიული ზომები, რომ ჯარში ადგილი არ ჰქონდეს გადაცმულ ბოლშევიკთა აგიტატორებს.

სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

დარიგდა 17 ოქტომბერს".[1]

მიუხედავად საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობების დარეგულირების დიპლომატიური გზების ძიებისა, რეალობაში, რა თქმა უნდა, დენიკინელთა დიდი სტრატეგიული მიზნები საქართველოსა და კერძოდ, აფხაზეთთან მიმართებაში, უცვლელი იყო. პროდენიკინური ძალები თვით აფხაზეთის სახალხო საბჭოს შეამდგენლობაშიც კი იყვნენ, რომლებიც უცხო ქვეყნის ჯარების შემოყვანას ემხრობოდნენ აფხაზეთში და ამით აშკარა მოღალატური პოზიციები დაიკავეს სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ესენი იყვნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ოპოზიციური ფრთა, ე.წ. „დამოუკიდებელი სოციალისტები": ა. დემიანოვი, დ. ბაზბა, ი. მარღანია, დ. ალანია, ა. ჩუკბარი, ს. ჭანბა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ა. დემიანოვი აქტიურობდა. 1919 წლის 23 ოქტომბერს მან გააკეთა პროვოკაციული განცხადება და გამოვიდა კოდორისა და გუდაუთის მაზრებში ანტიდენიკინური პროპაგანდის ჩატარების მიზნით სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

---

[1] გ. ბოგვერაძე. საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია. (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი. 2002. გვ. 67.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 8.

[1] ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/22896/1/brdzaneba-223.jpg.

ა. დემიანოვის განცხადებაში ფაქტობრივად ღია მუქარა გაისმა: „Пропаганда затеянная Малым Советом может иметь единственным последствием вмешательство во внутренние дела Абхазии, а следовательно, и Грузии, Добровольческой армии поддерживаемой силами союзных держав".[1]

მიუხედავად დენიკინელთა მხრიდან მომავალი საფრთხის შესუსტებისა, რა თქმა უნდა, მისი ბოლომდე უგულებელყოფა მაინც არ შეიძლებოდა. ეს კარგად ესმოდათ როგორც ქართველ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს, ასევე სასულიერო პირთაც, მთელ ქართულ საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ამბროსის[2] მისასალმებელი სიტყვა, რომელიც მან 1919 წლის 12 დეკემბერს წარმოსთქვა სახალხო გვარდიის შექმნის მეორე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე.[1]

ამ სიტყვას სრულად წარმოვადგენთ:

„მახვილო, ვიდრემდის არა დასცხრები,
კვლავ ეგე ქარქაშსა შენსა, განისვენე
და დასცხერ" (იერემია, 47, 6).

ასე კვნესოდა გამუდმებული ომებისაგან გულდათუთქული წინასწარმეტყველი იერემია, როდესაც იგი ხედავდა თავისი სამშობლოს უბედურებას. არ სცხრება ახლაც მახვილი, არ ისვენებს და ძალაუნებურათ ვურიგდებით იმას, რომ ღმერთს შევსთხოვოთ მოანიჭოს ჩვენს მხედრობას მტრებზე გამარჯვება, ვურიგდებით აუცილებლობას, ვიდღესასწაულოთ არა მშვიდობიანი მუშავობა, არამედ მებრძოლთა ინსტიტუტის დაარსების წლისთავი, – იმ მებრძოლთა, რომელნიც აუცილებლობას მოუშორებია თავიანთ ოჯახებში შრომა-მუშაობისთვის.

ბრძოლა და სისხლისღვრა, საუბედუროთ, ჯერ კიდევ საჭიროა სამშობლოს კეთილდღეობისათვის და იმისათვის გულის სიღრმიდან გილოცავთ მამულიშვილნო ამ დღესასწაულს, ორი წლისთავს სახელოვანი სახალხო გვარდიის არსებობის და მოღვაწეობისას. დიდმნიშვნელოვანია ეს დღე პირად ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადოთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ისტორიაში. დიდია ღვაწლი საქართველოს გვარდიისა ჩვენი თავისუფლების განმტკიცების საქმეში. ბევრი მტერი აღმოაჩნდა ჩვენს თავისუფ-ლებას, ხოლო ამ მტერთა შორის განსაკუთრებით საშიშროებას წარმოადგენს შავი რეაქციის მოტრფიალე მოხალისენი. ყველანი დასცხრნენ, ხოლო ესენი არა სცხრებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ უკანასკნელ დროს წითელი ლაშქარი ძალზე ერეკება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფრონტებში მათი მდგომარეობა კრიტიკულია, ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას ეწევა. ყაჩაღურად წაიყვანა ჩვენი გემი „ჭოროხი", მათი სამხედრო გემები ფირალობენ ჩვენს საზღვრებში, ფოთში სროლაც აუტეხიათ. თავისუფლების მტრები არა სცხრებიან.

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 322.

[2] მიტროპოლიტი ამბროსი – ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია (1861-1927) – ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპის-კოპოსი 1921-1927 წლებში. ქართული მართლამადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ იგი წმინდანადაა შერაცხული.

[1] ამიერკავკასიის წითელი (სახალხო) გვარდიის შექმნის დღედ ითვლება 1917 წლის 12 დეკემბერი. ამ დღეს აღებულ იქნა კავკასიის ფრონტის იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის სტრატეგიული მარაგების ბაზა – თბილისის არსენალი, რის შედეგადაც მოხერხდა მუშათა რაზმების შესაბამისად შეიარაღება. არსენალის აღების წარმატებულ ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ვალიკო ჯუღელი და ვალოდია გოგუაძე.

ბევრი სისხლი დაღვარა სახალხო გვარდიამ, კერძოთ და საზოგადოთ ჩვენმა ჯარმა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მის დასაცავად გარშემომდგარ მტერთაგან. ყველგან სახელოვნად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. მაშ, იმედია, შავრაზმელ მოხალისეებსაც ჩვენი მხედრობა აჩვენებს თავის სიმამაცეს და დაარწმუნებს, რომ საქართველო აბუჩად ასაგდები არ არის, რომ საქართველო ისტორიულად გამოცდილია თავის სამშობლოს დაცვაში და არავის არ შეალახვინებს სისხლით და ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას.

ჩვენი მთავრობა არ თანაუგრძნობს სისხლის ღვრას, ამაში ის ეთანხმება ქრისტიანული მოძღვრების მისწრაფებას. სახარება წინააღმდეგია სისხლის ღვრისა. ომების მოსპობას შეჰხაროდნენ წინასწარმეტყველნი; ისინი მწარე სინამდვილით დაღონებულნი მწუხარებით მოსთქვამდნენ „მახვილო ვიდრემდის არა დასცხრები...", ისინი სიხარულით ელოდნენ შორეულ მომავალში მაინც იმ დროს, ოდეს შესაძლებელი იქნება თხა და მგელმა ერთად იძოვონ და საომარი იარაღები გადაკეთდეს მიწის სამუშაო იარაღებად. მაგრამ ახლო მომავალში ამისი მოლოდინი შეცდომა იქნება. ისტორიული მსვლელობა იძულებულს ჰყოფს ჩვენს ერს შეურიგდეს მწარე სინამდვილეს. ისტორია მეორდება. მუდამ ამნაირი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრება-მდგომარეობა. ვინ არ მტრობდა მას? სპარსელები, ოსმალები, მონღოლები, სელჩუკები, რომაელები, ბიზანტიელები, მთიელები, გადამთიელები და მრავალნი სხვანი სცდილობდნენ მოესპოთ ჩვენი ერისთვის თავისუფლება, დაპატრონებოდნენ ჩვენს სამოთხისებურ ქვეყანას, მაგრამ პატარა საქართველო, როგორც ბიბლიური პატარა დავითი, წინ აღუდგებოდა ხოლმე გოლიათებს და ხმლით იცავდა თავის სამშობლოს.

რა აძლევდა მას ძალას მრავალი საუკუნეების განმავლობაში წარმოებულ უთანასწორო ბრძოლაში იმ აუარებელ და მძლავრ მტრებთან, რომელნიც რკინის რკალივით გარსშემორტყმოდნენ ჩვენს სამშობლოს? ამაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სარწმუნოებას, რომელიც თუ ხალხში განმტკიცდა, ჭეშმარიტად სასწაულმოქმედია. ამისთვის არ შემიძლია არ გამოვსთქვა ჩემი სიხარული იმის შესახებ, რომ თქვენ, სამშობლოს შვილნო და მამულის იმედნო, ეს თქვენი და მთლად ქართველობის დღესასწაული დაუკავშირეთ ეკლესიას, ღვთის მოგონებას, მისდამი ვედრებას. ამისთვის დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მცველი, მფარველი და შემწე მტერთაგან სამშობლოს დაცვაში იქნება თვით ღმერთი.

ძველად ქართველობა უძლეველი იყო სარწმუნოებით და მამულის სიყვარულით. ეს აძლევდა მას სიმხნევეს. ტკბილი იყო მისთვის სარწმუნოებისათვის და მამულისთვის სიკვდილი, რადგან ეკლესია სარწმუნოებასთან ერთად უნერგავდა მას მამულის სიყვარულსაც. მარაბდის ომში საბრძოლველად გამოვიდა მროველი მიტროპოლიტი დიმიტრი, აზიარა ხალხი ბრძოლის წინ და თვითონ თავის მაგალითით ამხნევებდა მებრძოლთ და კიდევაც შეეწირა სამშობლოს, მოკლულ იქმნა ბრძოლის ველზე. ამნაირი მაგალითები ჩვენს ისტორიაში ბევრია. ძველად მორწმუნე ქართველს საბრძოლველად მიმავალს, თან მიჰქონდა ჯიბით მშობლიური მიწა და მით ეზიარებოდა ბრძოლის ველზე სიკვდილის წინ და იტყოდა: „მექმნეს მშობლიური მიწა ზიარებადო". ამდენათ დიდი იყო მასში სარწმუნოება და სამშობლოსადმი სიყვარული. თქვენც გიღვივით გულში ის გრძნობა მამულის სიყვარულისა და, როდესაც მას გააორკეცებს სარწმუნოება და ეკლესიისადმი სიყვარული, მაშინ უძლეველი იქნებით, მაშინ სირცხვილეულ იქნებიან მტერნი ჩვენის თავისუფლების.

მაშ, განიხარე ტკბილო სამშობლოვ, შენი საუკეთესო შვილნი შემოკრებილან დღეს სადღესასწაულოდ, რომ ამით მტკიცედ შეკავშირდნენ ჩვენის თავისუფლების მტრებთან საბრძოლველად. განიხარე შენც, დედა ეკლესიავ, შენნი შვილნი შენ გიგონებენ, შენს ლოცვა-კურთხევას წარიმძღვარებენ თავის სამშობლოს დასაცველად მოღვაწეობაში.

ღმერთო, მიეცი ამათ ძალა საქართველოს მტერთაგან ხსნაში, რომ სამშობლომ შეიძლოს თავისუფლების განმტკიცება და კულტურის გზაზე ჩვენი ერის ჩქარის ნაბიჯით სიარული".[1]

მიტროპოლიტ ამბროსი ხელაიას სიტყვაში აბსოლუტურად ზუსტადაა შეფასებული საქართველოს წინაშე არსებული საგარეო საფრთხეები, ასევე დიდი იმედებია გამოთქმული, რომ „...დედა ეკლესიავ, შენნი შვილნი შენ გიგონებენ, შენს ლოცვა-კურთხევას წარიმძღვარებენ თავის სამშობლოს დასაცველად მოღვაწეობაში".

რაც შეეხება გამოსვლაში ხსენებულ ქართულ მცურავ საშუალებებს. დიახ, ისტორიული ფაქტია, რომ 2 დეკემბერს მოხალისეთა მიერ საქართველოს კუთვნილი ხომალდი „ჭოროხი" და ბარჟა იქნა მოტაცებული, 150 ჯარისკაცითა და 2000 ფუთი ტვირთით.[1] 7 დეკემბერს კი, ფოთთან გამოჩნდა მოხალისეთა მტრალავი „Дунай", რომელსაც ბრძოლა გაუმართა ქართულმა გამანადგურებელმა-კატარღამ „ტარიელი". „Дунай"-მ 19 ჭურვი ესროლა „ტარიელს", რაზედაც „ტარიელმა" 25 ჭურვის გაშვებით უპასუხა. აქედან სამი სამიზნეს მოხვდა – „Дунай"-დაზიანდა და მან სასწრაფოდ გაქცევით უშველა თავს.[2] 8 დეკემბერს სადაზვერვო მიზნით სოხუმს მოხალისეთა ორი ხომალდი მიუახლოვდა, რომელთაგან ერთი შხუნა დაკავებულ იქნა.[3]

ამ მოვლენებთან პარალელურად, დენიკინური ოკუპაციის ფონზე, შავიზღვისპირეთში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები არ ჩამქრალა, იგი ისევ გრძელდებოდა, ოღონდ უფრო შეზღუდულ ფორმებში. 1919 წლის 18 ნოემბერს გაგრაში გაიმართა ესერებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული შავიზღვისპირეთის გლეხთა ყრილობა, რომელზეც შეიქმნა განსაკუთრებული ორგანო – „შავი ზღვის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტი" – КОЧГ (Комитет Освобождения Черноморской Губернии), რომელსაც ციმბირელი ესერი, უფის დირექტორიის ხელმძღვანელი, ვასილი სამარინ-ფილიპოვსკი[4] ჩაუდგა სათავეში.[5]

ყრილობაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია: „ჩვენ რეაქციასთან ბრძოლაში ჩავებით როგორც მესამე დამოუკიდებელი ძალა – დემოკრატიული ძალა. ჩვენ არ დავყრით იარაღს დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებამდე. ჩვენ უარვყოფთ უმცირესობის უმრავლესობაზე ყოველგვარ დიქტატურას, ვისგანაც კი არ უნდა მოდიოდეს და რა ლოზუნგებითაც არ უნდა ინიღბებოდეს იგი. ამას ჩვენ დემოკრატიის დიქტატურას ვუპირისპირებთ, ანუ მთელ

---

[1] წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. მთავარი რედაქტორი ჯემალ გამახარია. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. 2006. გვ. 283-287. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 43.

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 2.

[2] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11 ფურცელი 3.

[3] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 191-192.

[4] ვასილი ნიკოლაევიჩ სამარინ-ფილიპოვსკი (1882-1940) – რუსეთის საზღვაო ფლოტის ყოფილი ოფიცერი, რუსი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რევოლუციონერი. სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის წევრი 1903 წლიდან. თებერვლის რევოლუციის აქტიური მონაწილე. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრი და 1-ლი მოწვევის საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. დამფუძნებელი კრების წევრი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან. ხელმძღვანელობდა 1917 წლის 23 ნოემბერს შექმნილ დამფუძნებელი კრების დაცვის პეტროგრადის კავშირს. 1918 წლის სექტემბერ-დეკემბერში რუსეთის პირველი ანტიბოლშევიკური აღმასრულებელი ხელისუფლების Комуч-ის (Комитет членов Учредительного собрания) წევრი, სამარის მთავრობაში ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი. ადმირალ კოლჩაკის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1919 წლის დასაწყისიდან ცხოვრობდა საქართველოში. 1919 წლის ნოემბრიდან „შავი ზღვის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტის" თავმჯდომარე.

[5] Крестьянская Черноморская газета. (Б.М.) 1920. 6 фераля. АОАГС. Ф. Р-282. Оп. 1. Д. 7. Л. 47.

ხალხს. მხოლოდ რევოლუციური შეგნებისა და მშრომელი ხალხის ნებისყოფის მოხმობაში, მის შემოწმებასა და ინიციატივაში ვხედავთ მომაკვდავი რევოლუციის გადარჩენას. უმცირესობის ყოველგვარი დიქტატურა ხალხზე ძალადობა და მასთან ბრძოლაა. ებრძოლო ხალხს, და ამასთან გაიხადო ის თანამებრძოლად – დანაშაულებრივი და შედეგის არმომტანი ქმედებაა".[1]

გამოცხადებულ იქნა, რომ სოჭის ოლქის მოსახლეობისათვის ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც ბოლშევიკთა დიქტატურა, ასევე დენიკინის არმიის პოლიტიკა. ყრილობის მიერ არჩეულ კომიტეტს დაევალა დენიკინის არმიის წინააღმდეგ გეგმიური ბრძოლის ორგანიზება, ყუბანის რადასთან მოლაპარაკებების წარმოება ყუბანი-შავიზღვისპირეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის თაობაზე, ასევე ევროპის ქვეყნებისა და ამერიკისათვის მიმართვის გაგზავნა, მათი მხრიდან დენიკინის რეაქცული რეჟიმის მხარდაჭერაზე პროტესტით. ნათლად ჩამოყალიბდა „განთავისუფლების კომიტეტის" ძირითადი მიზნები და ამოცანები – წინ აღდგომოდა ბოლშევიკურ აგრესიას, ორგანიზება გაეკეთებინა საყოველთაო ანტიდენიკინური აჯანყებისათვის და ოლქში „გლეხთა სახალხო ხელისუფლება დაემყარებინათ".[1] ფაქტობრივად, ეს იყო დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული შავიზღვისპირეთის რეგიონის სამხედრო მმართველობითი ორგანო, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა.

შეიქმნა განთავისუფლების კომიტეტის სამხედრო ძალა – გლეხთა ლაშქარი, რომელსაც სათავეში ციმბირელ ესერთა ლიდერი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, როტმისტრი ნიკოლაი ვორონოვიჩი[2] ჩაუდგა. სარდლობის შტაბში შევიდნენ აგრეთვე ვორონოვიჩის მოადგილე, მეფის არმიის ყოფილი კაპიტანი, სოჭისა და დაგომისის „მწვანეთა" რეგულარული რაზმის ხელმძღვანელი გ. უჩაძე და როშჩენკო, მეფის არმიის არტილერიის ყოფილი პრაპორშიკი. ბატალიონების მეთაურები კი გახდნენ – ძიძიგური, შტაბს-კაპიტანი კაზანსკი და პოდპორუჩიკი სკობელევი, საქართველოს სახალხო გვარდიის განსაკუთრებული ბატალიონის ყოფილი ოფიცერი.[3] შემუშავებულ იქნა გლეხთა ლაშქრის საბრძოლო შტანდარტი – მწვანე ჯვრით გადახაზული წითელი დროშა.

გლეხთა ლაშქრის ორგანიზაცის საფუძვლად დაედო სახალხო მილიციის პროექტი, ანუ, ტერიტორიულ პრინციპზე მოწყობილი სამხედრო ნაწილების დაკომპლექტების სისტემა. სოჭის ოლქი 12 რაიონად დაიყო, რომლებშიც „განთავისუფლების კომიტეტის" სამ-სამ კაციანი რაიონული შტაბები ამოქმედდა. შტაბების შემადგენლობაში ადგილობრივი

---

[1] Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени. 2011. Вып. 8. Стр. 24. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

[1] Архив музея истории города-курорта Сочи, ф. 4, оп. 1, д. 6, 8. Л. 1.

[2] ნიკოლაი ვლადიმეროვიჩ ვორონოვიჩი (1887-1967) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის წევრი, მეფის არმიის როტმისტრი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. რუსეთის სამოქალაქო ომში შავიზღვისპირეთში მოქმედი „მწვანეთა" მოძრაობის ლიდერი და სამხედრო მეთაური. 1909 წლიდან ცხენოსან გრენადერთა პოლკის კორნეტი. 1913 წლიდან პოლკის კვარტერმეისტერი და სამწყობრო ნაწილის უფროსი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლიდან ლუჟსკის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წლიდან ცხოვრობს სოჭსა და გაგრაში. 1918 წლის ბოლოდან გენერალ დენიკინის მიერ სოჭის ოლქის ოკუპაციის შემდეგ, ოლქის მოსახლეობის მიერ არჩეულ იქნა სოჭისა და შავიზღვისპირეთის გლეხთა ლაშქრის უფროსად. 1920 წლის გაზაფხულიდან ვორონოვიჩი და მისი „მწვანეები" აწარმოებდნენ წარმატებულ სამხედრო მოქმედებებს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. 1920 წლის ბოლოდან ცხოვრობს საქართველოში, შემდეგ კი გადადის ემიგრაციაში.

[3] АОАГС. Ф. Р-282. Оп. 2. Д. 85. Л. 78-79. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

მოსახლეობის წარმომადგენლები – ავტორიტეტული პირები იქნენ არჩეულნი, უმეტესად ყოფილი სამხედროები. თითოეულ რაიონულ შტაბთან ჩამოყალიბდა პირველი და მეორე რიგის საბრძოლო რზმები. რაიონული შტაბები მთავარ შტაბს იქნა დაქვემდებარებული, თავად მთავარ შტაბი კი, რაიონული შტაბების თითო-თითო წარმომადგენლით დაკომპლექტდა. მთავარი შტაბი შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა: სამწყობრო (საველე-ოპერატიული შტაბი), ფორმირების, რომელიც რეზერვის აღრიცხვითა და პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებით იყო დაკავებული, და მომარაგების (საინტენდანტო და საარტილერიო ქვეგანყოფილებებით)[1].

როგორც ვხედავთ, შავიზღვის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტის საბრძოლო ორგანიზაცია, ფაქტიურად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ორგანიზაციული და სტრუქტურული ანალოგიით იქნა ჩამოყალიბებული. მოკლე ხანში სოჭის გლეხთა ლაშქარს საქართველოდან მიეწოდა შეიარაღება, აღჭურვილობა, სურსათი და ფულადი სახსრები...[1] საბრძოლო რაზმების შტაბების პირადი შემადგენლობა კი, ამა თუ იმ მიზეზით საქართველოში მყოფი მეფის არმიის ყოფილი ოფიცრებით იქნა დაკომპლექტებული. მოქმედებების საერთო კოორდინირებისა და ერთიანო მოქმედებების დაგეგმვისათვის სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტში საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ლეო რუხაძე იქნა მივლინებული.

თავისი ნაციონალური შემადგენლობითა და სოციალური სტატუსით კომიტეტს შემდეგი სახე ჰქონდა: ქართველები (ძიძიგურის გლეხთა და გვასალიას მონადირეთა რაზმები); რუსები – დენიკინს გამოქცეული და საქართველოს თავშეფარებული საშუალო გლეხები; ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოქცეული რუსები (კაზანსკისა და სკობელევის რაზმი); რუსი ღარიბი გლეხები და „ვოენსპეცები." ამგვარად, სოჭის კომიტეტის გლეხთა ლაშქარი ძირითადში ორი ეროვნების მებრძოლებით – ქართველებითა და რუსებით იყო წარმოდგენილი.[2] გარდა ზემოთ ხსენებული რაზმების, მთლიანად სოჭის ოლქში დამატებით 2000-მდე მოლაშქრე-გლეხი იქნა დარეგისტრირებული. ასე რომ, საერთო ჯამში, განთავისუფლების კომიტეტის საბრძოლო ძალა – „მწვანე არმია", საკმაოდ ძლიერ პარამილიტარულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. თუმცა, „მწვანე არმიის" სუსტ წერტილს მისი ცუდი უზრუნველყოფა წარმოადგენდა – საჭირო იარაღითა და საბრძოლო აღჭურვილობით პირადი შემადგენლობის მხოლოდ 40% იყო დაკომპლექტებული[3].

ამ ძალას უპირისპირდებოდა მოხალისეთა არმიის 52-ე ცალკეული ბრიგადა (ექვსი ბატალიონი, 8 ქვემეხითა და 20 ტყვიამფრქვევით), ასევე სოჭში განთავსებული სომხური ბატალიონი და სამი საკომენდანტო ასეული.[4]

დემოკრატიულად ვითარდებოდა პროცესები საქართველოშიც, კერძოდ აფხაზეთში. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოხუმის სტუდენტური მმართველობის გადაწყვე-

---

[1] Воронович Н. В. Потонувший мир. Очерки прошлого. М., 2001. Стр. 301. http://ida.aule.ee/kirjutised/ cherkasov 2011. pdf.

[1] Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени. 2011. Вып. 8. Стр. 26. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

[2] იქვე.

[3] Воронович Н. В. Потонувший мир. Очерки прошлого. М., 2001. Стр. 303. http://ida.aule.ee/kirjutised/ cherkasov 2011. pdf.

[4] Черкасов. А. А. Крестьянское движение на Черноморье в период революции и Гражданской войны. Краснодар. 2003.Стр. 176. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

ტილებით, 1919 წლის 25 დეკემბერს გამართული სტუდენტური საღამოს შემოსავლების ნახევარი ქართული არმიის დაჭრილი მეომრების ანგარიშზე გადაირიცხა.[1]

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პროცესები კი შავიზღვისპირეთში ისევ გრძელდებოდა – დენიკინელთა მიერ მოსახლეობის დარბევები, ძარცვა-გლეჯა, რეპრესიები. რეჟიმით გაწამებული მოსახლეობის მასიური გაწევრიანებით გლეხთა ცენტრალიზებული პარტიზანული საბრძოლო რაზმის რიგები სწრაფად იზრდებოდა. მალე მან საგრძნობ ძალას მიაღწია. იგი კარგად იყო ორგანიზებული და ცალკეული რაზმების მოქმედებებს შორის სრული კოორდინაცია არსებობდა. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა ისიც, რომ „მწვანე არმიის" პირადი შემადგენლობის ნაწილს უკვე გარკვეული საბრძოლო გამოცდილებაც ჰქონდა მიღებული და მზად იყო მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად.

საინტერესოა, რას წერდნენ გლეხთა პარტიზანულ რაზმებსა და მათ მოქმედებებზე თავად დენიკინელები. დენიკინელთა სოჭის სადამსჯელო რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი მიშლაევსკი 1920 წლის 16 იანვარს წერდა: „მწვანეთა აქტიურობა დღითიდღე იზრდება. 1920 წლის 15-დან 16 იანვრის ღამით ისინი თავს დაესხნენ ელექტროსადგურს და ჩვენს ყარაულს. მათი გამოისობით დობროარმიის მებრძოლები მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებიან, არა აქვთ მოსვენება არც დღისით და არც ღამით. ეს კი ქანცს აცლის მებრძოლებს და დაბლა სწევს მათ საბრძოლო სულისკვეთებას. მოსახლეობაც მხარს მწვანეებს უჭერს. მათი რაოდენობა კი, აგენტურული მონაცემებით დაახლოებით 3000-ია, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის პირობებში, ძალიან სერიოზულ ძალას წარმოადგენს".[1]

მართალი იყო პოლკოვნიკი მიშლაევსკი მწვანე არმიისა და მისი შესაძლებლობების შეფასებაში. ასიმეტრიული ომის ეს სახეობა, ანუ, ხალხისაგან მხარდაჭერილი პარტიზანული მოქმედებების სტრატეგია, ქანცს აცლის მოწინააღმდეგეს და დაბლა სცემს მის საბრძოლო სულისკვეთებას, რაც საერთო ჯამში ძალიან ასუსტებს პარტიზანებთან დაპირისპირებულ მხარეს. ამ თვალსაზრისით იგი ფაქტიურად დაუმარცხებელ ძალას წარმოადგენს და მასთან გამკლავება ძალიან ძლიერ სამხედრო ორგანიზაციებსაც უჭირთ.

1920 წლის 27-დან 28 იანვრის ღამეს, „განთავისუფლების კომიტეტის" საბრძოლო რაზმებმა ვორონოვიჩის მეთაურობით დენიკინელთა გარნიზონების წინააღმდეგ შეტევითი მოქმედებები დაიწყეს[2]. 2 თებერვალს დენიკინელთაგან გათავისუფლებულ იქნა რაზდოლნოე,[3] შემდგომი მოქმედებებით კი, რაზმმა ადვილად გაარღვია დენიკინელთა დასუსტებული ფრონტის ხაზი მდ. მზიმთასთან და 3 თებერვლისათვის თეთრგვარდიელ-თაგან ისევ გაათავისუფლა ქალაქი სოჭი, ხოლო 25 თებერვალს – ტუაფსე.[4] ასე შეიქმნა შავი ზღვის თავისუფალი რესპუბლიკა.

---

[1] სცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 138, ფურცელი 1.

[1] Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. ЦГАКА, ф. 1559, оп. 1, д. 481, л. 87–88. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

[2] Зверев К. Адлер: Историко-географический очерк. Краснодар. 1973. Стр. 34.

[3] „Зеленая книга". История крестьянскаго движения в Черноморской губернии. Сборник материалов и документов. Прага. 1921.

[4] Северо-Кавказцы в боях за родину. Краткий военно-исторический очерк о боевом пути Северо-Кавказского военного округа. Под редакцией генерала армии И. Плиева. Военное издательство. Москва. 1966г. Стр. 54.

§7. ბოლშევიკების მეორედ შემოსვლა ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში

მიუხედავად მოსახლეობაში მენშევიკთა და ესერთა დიდი პოპულარობისა, მთელი ამ ხნის გამავლობაში სოჭის ოლქის ბოლშევიკებს საქმიანობა არ შეუწყვეტიათ. ამ ეტაპზე, რეგიონის ბოლშევიკებმა, როგორც მოსახლეობაში არაპოპულარულმა და მიუღებელმა ძალამ, თავიანთი მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს. ისინი იატაკქვეშეთში გადავიდნენ. აქცენტები აგენტურულ და პროვოკატორულ საქმიანობაზე იქნა გადატანილი, რისი გამოცდილებაც ბოლშევიკებს ნამდვილად დიდი ჰქონდათ.

ჯერ კიდევ 1919 წლის 31 დეკემბერს, კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, ანასტას მიქოიანი[1] რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდა: „მწვანე არმიის წევრები უკმაყოფილო გლეხები არიან – ყოფილი ჩრდილოკავკასიელი წითელარმიელები და დენიკინის არმიის დეზერტირები ყიზლარის და განსაკუთრებით შავიზღვისპირეთის გუბერნიის ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს რაიონებიდან. ისინი უკვე დიდი ხანია რაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან დენიკინელებთან და ამიტომ საუკეთესო მოკავშირეებს წარმოადგენენ ჩვენთვის. სამხარეო კომიტეტმა ენერგიული ზომები უნდა მიიღო მათთან კავშირის დამყარებისა და მათი გამოყენებისათვის, მოწინააღმეგის ზურგის განადგურების მიზნით".[2]

და მართლაც, ბოლშევიკთა კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ სულ მალე დაიწყო სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტში აგენტურული ქსელის ორგანიზება – ბოლშევიკი აგენტების შეგზავნა და ჩანერგვა. ეს პროცესები საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად განხორციელდა და თანდათანობით სოჭის განთავისუფლების კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე „ვოენსპეცი" ბოლშევიკები აღმოჩნდნენ – ე. კაზანსკი, ი. შევცოვი, ვ. ვაფიცკი, მ. ტომაშევსკი, ი. საბლინი.

---

[1] ანასტას მიქოიანი (1895-1978) – საბჭოთა სახელმწიფო, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, დაშნაკი და ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭოთა წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1914 წლიდან ცნობილი ანდრანიკ ოზანიანის (ანდრანიკი) დაშნაკური, ე.წ. „პარტიზანული" საბრძოლო რაზმის წევრი, რაზმის შემადგენლობაში იბრძოდა I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1915 წლის ზაფხულამდე. გენერალ იუდენიჩისა და კავკასიის არმიის სარდლობის მიერ დაშნაკური რაზმების დაშლის შემდეგ პრობოლშევიკურ პოზიციებზე დგება. აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში, შემდგომში პროფესიონალი რევოლუციონერი. 1915 წლიდან თბილისშია, სადაც ხდება რსდმპ(ბ) წევრი. 1917 წლის თებერვლამდე იატაკქვეშეთშია, აწარმოებს საგიტაციო მუშაობას. 1918 წლის გაზაფხულიდან ბაქოშია, ბაქოს ბოლშევიკურ-დაშნაკური კომუნის ერთ-ერთი აქტივისტი, ცნობილი ამაზასპის (ამაზასპ სრვანტციანი) დაშნაკურ-ბოლშევიკურიი საბრძოლო რაზმის პოლიტიკური კომისარი. ბაქოს კომუნის დამხობისა და ბაქოს კომისრების დაპატიმრების შემდეგ, ცენტროკასპიისპირეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებით მიაღწია მათ განთავისუფლებას და კრასნოვოდსკისკენ გამგზავრებას, სადაც ბრიტანელებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს. მიქიოანი კი გაანთავისუფლეს. 1919 წლის დასაწყისიდან ბაქოს რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროს ხელძღვანელი. 1919 წლის ოქტომბრიდან პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1920 წლის აპრილში ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაციის მონაწილე და ოკუპაციის ერთ-ერთი იდეოლოგი, მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს რწმუნებული. 1922 წელს სტალინის რეკომენდაციით ინიშნება რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიუროს ხელმძღვანელად, შემდეგ კი, ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი 1922 წლიდან, ხოლო 1923 წლიდან ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ვაჭრობის სახალხო კომისარი.

[2] Шевцов И. Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 4, ед. хр. 14, л. 45. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

საინტერესოა თუ რას წერდა სოჭის ოლქში მიმდინარე პროცესებზე ბოლშევიკი პ. სორკინი გაზეთ „Известия Кубано-Черноморского областного комитета РКП(б)”-ს 1921 წლის 7 ნოემბრის ნომერში. ამონარიდი კი, თავად ივან შევცოვის მემუარული ხასიათის წიგნიდანაა მოყვანილი, მეტად „იდუმალი და შთამბეჭდავი” სათაურით – „Особое задание”:

„ტფილისში მუშაობისას ჩვენ საქმის კურსში ვიყავით „მესამე ძალის” – „შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტის” ორგანიზების შესახებ.

ჩვენ გადავწყვიტეთ არ შეგვეშალა ხელი „კაბინეტის” ფორმირებისათვის. ვიცოდით, რომ ესერები, 1918 წელს ბოლშევიკთა იქიდან წასვლის შემდეგ, სოჭის ოლქში დაფუძნდნენ, დიდ მუშაობას ეწეოდნენ და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდნენ. ტფილისსა და სოხუმში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ უპარტიო „სპეცების” სახით რიგი ამხანაგებისა ჩაგვენერგა კომიტეტის ოპერატიულ შტაბში, ზოგიერთი მათგანი კი, სამეთაურო თანამდებობებზეც გაგვეყვანა. „შემდეგ კი, გამოჩნდებოდა” – ასე ვფიქრობდით მაშინ.

გეგმამ იმუშავა და მუშაობაც გაჩაღდა...”[1]

1920 წლის 1 თებერვალს ეკატერინოდარის იატაკქვეშეთში მომუშავე ბოლშევიკებს ელენე სტასოვას[2] ხელმოწერით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი მიუვიდათ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ადგილობრივ ბოლშევიკთა ამოცანას შეადგენდა მათი რევკომთან კოორდინირებული მოქმედება, რათა წითელ-მწვანეთა მოქმედებები წინააღმდეგობაში არ მოსულიყო წითელი არმიის მოქმედებებთან”.[3]

ესერთა და მენშევიკთა გავლენა კი, ნელ-ნელა შესუსტდა და „მწვანეთა” საბრძოლო რაზმები და ოლქის სახალხო მოძრაობა ფაქტიურად ბოლშევიკური ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა გადასული. მალე კი, ხელსაყრელი გარემოებების დადგომისთანავე ბოლშევიკთა საოკუპაციო სქემის შესაბამისად, კიდევ ერთხელ იქნა ორგანიზებული სოჭის ოლქის ე.წ. „რევკომი”, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ბოლშევიკის, ლ. მოსკვიჩოვის თავმჯდომარეობით.

ამ მოვლენებმა, ბოლშევიკური ოკუპაციის ცნობილი სქემის შესაბამისად, ნიადაგი შეუმზადა რეგიონში წითელი არმიის შენაერთების შემოსვლას.[4]

---

[1] Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

[2] ელენა დმიტრიევნა სტასოვა (1873-1966) – რუსი და საბჭოთა რევოლუციონერი ქალი, რსდმპ წევრი, ძველი ბოლშევიკი, ტერორისტი და პროპაგანდისტი, რუსეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი, ნადეჟდა კრუპსკაიას პირადი მეგობარი და ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, განსაკუთრებული კომისიის (ВЧК) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1905-1906 წლებში ემიგრაციაშია, შვეიცარიაში, სადაც აქტიურად მონაწილეობს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობასა და გაზეთ „პროლატერიატის” გამოცემაში. 1906 წელს ფინეთშია, სადაც დაკავებულია იარაღის, ფულისა და პარტიული მუშაკების საზღვარზე ტრანსპორტირების საკითხებით. 1907-1912 წლებში თბილისშია, რსდმპ(ბ)-ს წარმომადგენლად. 1917-1920 წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1918 წლიდან პეტროგრადის ВЧК-ს პრეზიდიუმის წევრი და რუსეთის კომუნისტური პარტიის რკპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის მდივანი. 1920 წლის სექტემბრიდან პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი და აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოს წევრი. 1921-1925 წლებში არალეგალურ სამუშაოზეა გერმანიის კომპარტიაში და ამავე დროს კომინტერნის ბერლინის ბიუროს წარმომადგენელი. 1927-1937 წლებში რევოლუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

[3] Шевцов И. Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. Партархив Краснодарского крайкома КПСС, ф. 1774-Р, оп. 2, д. 82, л. 1.http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

[4] Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп. 1, д. 1. Л. 2.

1920 წლის 7 მარტს ტუაფსეში ჩატარდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის რკპ(ბ)–ს „ხელმძღვანელ მუშაკთა" საგანგებო თათბირი, სადაც გადაწყდა შავიზღვისპირეთის ერთიანი პარტიზანული არმიის, სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და არმიის შტაბის შექმნა. ამ სამხედრო ორგანიზაციამ „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის" სახელწოდება მიიღო. არმიის სარდლად ე. კაზანსკი დაამტკიცეს, შტაბის უფროსად – ვ. ვაფიცკი. რევკომის წევრები გახდნენ: ლ. ივანიცკი, ა. ციმბალისტი, ი. შევცოვი. არმიის შექმნის დადგენილება 11 მარტს გამოქვეყნდა.

ზემოთ ხსენებულ გაბოლშევიკებული „ვოენსპეცებიდან" ერთ-ერთი, იგორ საბლინი, „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის" შექმნაში არ მონაწილეობდა. საქმე იმაშია, რომ იგი პარტიის „განსაკუთრებული დავალებით" საქართველოში, ბათუმში იგზავნება. ისევ შევცოვის მემუარი: „იგორ საბლინი და მისი ჯგუფი – პრატუსევიჩი, ბაზელჩუკი და ტარანოვი შემდეგ უკვე, 1920 წელს, ბათუმში იმყოფებოდა და აქ დივერსიული საქმიანობით იყო დაკავებული. კერძოდ, ამ ჯგუფმა ორგანიზება გაუკეთა ტანკერ „Свет"-ის აფეთქებას, რომელსაც ნავთობი უნდა მიეწოდებინა ვრანგელის არმიისათვის. ამ დივერსიულმა აქტმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გენერალ ვრანგელის რუსული არმია".[1] თუ ნაშრომის შესაბამის თავს მივუბრუნდებით, გაგახსენებთ, რომ ზუსტად ამავე დროს, და ზუსტად ბათუმში, იგივე დივერსიული და ტერორისტული საქმიანობით იყო დაკავებული კიდევ ერთი „პროფესიონალი რევოლუციონერი", ჩვენთვის უკვე ძალიან კარგად ცნობილი ნესტორ ლაკობა.

შავიზღვისპირეთში მიმდინარე ამ პროცესების პარალელურად, მთელი რიგი პოლიტიკური, სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომების დაშვების გამო, „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები" ბოლშევიკებთან ბრძოლებში ნელ-ნელა თმობენ პოზიციებს და მე-11 წითელი არმიის შენაერთები ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებენ შემოსვლას, რომელიც ამ არმიის უკვე მესამე ფორმაციას წარმოადგენდა. იგი აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს ბრძანებით შეიქმნა 1919 წლის 14 აგვისტოს თურქესტანის ფრონტის ასტრახანის დაჯგუფებიდან. 14 ოქტომბრიდან იგი სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის შემადგენლობაში იქნა ჩართული, 1920 წლის 16 იანვრიდან კი – კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში.[2] სწორედ მესამე ფორმაციის მე-11 არმია წარმოადგენდა „მუშურ-გლეხური წითელი არმიის" იმ საჯარისო ოპერატიულ გაერთიანებას, რომლის საბოლოო ამოცანასაც ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ბოლშევიკური ოკუპაცია წარმოადგენდა.

1920 წლის თებერვლის დასაწყისში კავკასიის ფრონტის სარდლად რუსეთის სამოქალაქო ომის წარმატებული წითელი მეთაური, 27 წლის მიხაილ ტუხაჩევსკი[3]

---

[1] Шевцов И. Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

[2] Центральный государственный архив Советской армии. В двух томах. Том 1. Путеводитель. 1991. Северокавказцы в боях за Родину. Глава 2.

[3] მიხაილ ნიკოლაევიჩ ტუხაჩევსკი (1893-1937) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, I მსოფლიო ომის მონაწილე, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პოდპორუჩიკი. რუსეთის სამოქალაქო ომის გმირი, სხვადასხვა ფრონტების სარდალი. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სტრატეგიული „სიღრმისეული შეტევითი ოპერაციის" კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და აპოლოგეტი. შემდგომში ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის მარშალი. I მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტის 1-ლი გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში. 1915 წელს გერმანელთა მიერ აყვანილ იქნა ტყვედ. გაგზავნილ იქნა ინგოლშტადტის ციხეში, სადაც მასთან ერთად იჯდა შარლ დე გოლი. 1917 წლის სექტემბერში ახერხებს გაქცევას და გადადის შვეიცარიაში. იმავე წლის ოქტომბერში ბრუნდება რუსეთში. დაინიშნა ასეული მეთაურად სემიონოვსკის პოლკში. 1918 წლის გაზაფხულიდან გადადის ბოლშევიკთა მხარეზე, რკპ(ბ) წევრი 1918 წლიდან, მუშაობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო

ინიშნება, რომელიც პორტ-პეტროვსკში (დღევანდელი მახაჩყალა) ჩამოვიდა ფრონტის სამხედრო-რეოლუციური საბჭოს თავმჯდომარესთან, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად.

ცნობილი რუსი საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსი და ტუხაჩევსკის თანამებრძოლი, არმიის სარდლის თანაშემწე, ნიკოლაი კაკურინი[1] ხაზგასმით აღნიშნავს მიხაილ ტუხაჩევსკის განსაკუთრებულ როლს სამოქალაქო ომში კოლჩაკთან გამარჯვების საქმეში, ცალკე კი, მის მხედრულ ტალანტს უსვამს ხაზს: „ტუხაჩევსკი კარგად იყენებდა ადგილმდებარეობის ფაქტორს, მის მიერ საარმიო მასშტაბებში ოპერაციების მართვა დაფუძნებული იყო ძალების გაბედულ და ორიგინალურ გადაჯგუფებაზე. ოპერაციები მოულოდნელობაზე იყო გათვლილი, ყველა დოკუმენტს პირადად ამუშავებდა და შტაბს მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ნაწილში გადასცემდა".[2]

ცოტა მოულოდნელია ასეთ პათეტიკურ ტონებში იმის განცხადება, რომ „ტუხაჩევსკი... ყველა დოკუმენტს პირადად ამუშავებდა და შტაბს მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ნაწილში გადასცემდა". აღნიშნული ფრაზით ავტორი ალბათ ტუხაჩევსკის სამხედრო გენიის ხაზგასმას ცდილობს. რეალურად კი, ყველაფერი ზუსტადაც რომ პირიქითაა.

სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ოპერაციების დაგეგმვის ეს სტილი მხოლოდ ძველი დროის სარდლების დამახასიათებელი ნიშანი იყო, და ისიც, მხოლოდ მართლაც გენიალურად გამორჩეულებისა. მაშინ სამხედრო შტაბები, და მით უმეტეს, არმიის გენერალური შტაბი როგორც ასეთი, ანუ, ჯარების მართვის ცენტრალიზებული ორგანო – „არმიის ტვინი" ან საერთოდ არ არსებობდა, ან მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბოლო ასეთი გენიალური სარდალი, რომელიც საარმიო ოპერაციების დაგეგმვას შტაბის ელემენტების ჩარევის გარეშე და საშტაბო პროცედურების დაუცველად ახერხებდა, ნაპოლეონ ბონაპარტე იყო...

გასაგებია, რომ ნაპოლეონი ნაპოლეონია, მაგრამ თავისი პოლიტიკური და სამხედრო კარიერის ბოლოს მანაც ვეღარაფერი გააწყო აღმავლობის გზაზე დამდგარ

განყოფილებაში, შემდეგ ინიშნება მოსკოვის რაიონის სამხედრო კომისრად. 1918 წლის ივნისიდან ბოლშევიკთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური და არმიების სარდალი. თავდაპირველად ფორმირების პროცესში მყოფი აღმოსავლეთის ფრონტის 1-ლი არმიის სარდალი. 1918 წლის დეკემბერში სამხრეთის ფრონტის სარდლის თანაშემწე, 1919 წლის 24 იანვრიდან 15 მარტამდე – სამხრეთის ფრონტის მე-8 არმიის სარდალი, შემდეგ, 1919 წლის 5 აპრილიდან აღმოსავლეთის ფრონტის მე-5 არმიის წარმატებული სარდალი. 1919 წლის ბოლოს კოლჩაკის წინააღმდეგ მებრძოლი აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, 1920 წლის 4 თებერვლიდან კავკასიის ფრონტის სარდალი, ხოლო იმავე წლის აპრილიდან – საბჭოთა რუსეთ–პოლონეთის ომის დასავლეთის ფრონტის სარდალი. ზედმეტად დაჯერებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების გამო, 1920 წლის შემოდგომისათვის, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი წითელი არმიის სრული კატასტროფით დასრულდა.

[1] ნიკოლაი ევგენევიჩ კაკურინი (1883-1936) – რუსი და საბჭოთა ოფიცერი, სამხედრო მეთაური, „ვოენსპეცი", ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი და პედაგოგი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1914 წლიდან კიევის სამხედრო ოლქის მე-10 საარმიო კორპუსის შტაბის ობერ-ოფიცერი. 1915 წელს მე-5 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ – ბაიკალისპირეთის კაზაკთა მე-3 ბრიგადის ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. 1917 წლიდან პოლკოვნიკი, კავკასიის მე-7 ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 წლიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არმიის შემადგენლობაშია. 1920 წლიდან წითელ არმიაშია. რუსეთ-პოლონეთის ომში ტამბოვის მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი, მე-4 არმიის სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, მე-3 არმიის სარდალი და დასავლეთის ფრონტის სარდლის თანაშემწე. 1921 წლიდან ტამბოვის დაჯგუფების ჯარების შტაბის უფროსი, შემდეგ შერეული საკავალერიო ჯგუფის უფროსი. 1922 წელს ბუხარა-ფერგანის რაიონის ჯარების სარდალი. 1922 წლის ბოლოდან წითელი არმიის სამხედრო აკადემიის მასწავლებელი, სამხედრო-სამეცნიერი ჯგუფის უფროსი. 1925-1930 წლებში ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის პედაგოგი.

[2] Какурин Н. Е. Как сражалась революция. Т. 2. — М.: Политиздат, 1990. — С. 245.

პრუსიულ სამხედრო სკოლასთან, რომლის სამხედრო და პოლიტიკური ძლევამოსილების მთავარ საიდუმლოს სწორედ გენერალური შტაბის შექმნა და ოპერაციების დაგეგმვის თანმიმდევრული პროცედურების დანერგვა წარმოადგენდა. გენერალური შტაბისა და პრუსიული სამხედრო სკოლის ფუძემდებლები, გენერლები – გნესენაუ, შარნჰორსტი, კლაუზევიცი და მოლტკე კი, თანამედროვე სამხედრო აზრისა და ომის თეორიის ფუძემდებლებად იქცნენ.

კაკურინმა დიდი ტენდენციურობა გამოიჩინა ტუხაჩევსკის გენიალურობის წარმოჩენის საქმეში. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და აღვნიშნავთ, რომ აღწერილი მოვლენებიდან სულ მოკლე ხანში, 1920 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, რუსეთ-პოლონეთის ომის მსვლელობის დროს, სადაც დასავლეთის ფრონტის სარდლად ტუხაჩევსკი დაინიშნა, სწორედ მეფის პოლკოვნიკი და „ვოენსპეცი" კაკურინი წარმოადგენდა მის თანაშემწეს. ამიტომ კაკურინის ტენდენციურობასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგები ხდება. ფაქტი კი ისაა, რომ ძალიან მალე, 1920 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი ბოლშევიკთათვის სრული კატასტროფით დასრულდება. მიხაილ ტუხაჩევსკის ფრონტი განადგურებული იქნება, ხოლო ამ ომის მთავარი ბატალია – 1920 წლის აგვისტოს ვარშავის ბრძოლა, ომებისა და სახედრო ხელოვნების ისტორიაში „ვისლაზე სასწაულის" სახელით შევა.

წითელი არმიის ამ კატასტროფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი, სწორედ კაკურინის მიერ აღწერილი ტუხაჩევსკის „გენიალური თავდაჯერებულობა" და მის მიერ განხორციელებული „ძალების გაბედული და ორიგინალური გადაჯგუფება" იყო ვარშავის ოპერაციის დაგეგმვისა და მსვლელობის დროს. ტუხაჩევსკის იგივე „გენიალური თავდაჯერებულობა" იყო იმის მიზეზი, რომ ფრონტის სარდალი გარკვეულ დაპირისპირებაში მოვიდა ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსთან, და პირადად იოსებ სტალინთან. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დავუბრუნდეთ ისევ ჩრდილოეთ კავკასიას და აქ მიმდინარე პროცესებს.

1920 წლის დასაწყისიდან საომარი მოქმედებები რუსეთსა და პოლონეთს შორის განახლდა და წარმატებული სამხედრო მოქმედებებით პოლონელებმა მარტის დასაწყისისათვის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის საერთო ხელმძღვანელობით, შეძლეს მინსკის და ბელორუსიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება. მარტის ბოლოსათვის კი საომარი მოქმედებები რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ისევ რემისიის ფაზაში შევიდა. ბოლშევიკებმა კარგად ისარგებლეს ამ მდგომარეობით და ჩრდილოეთ კავკასიაში ძალებს დაუწყეს თავმოყრა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიის ფრონტის მთავარ შენაერთს მე-11 არმია წარმოადგენდა, რომლის ამოცანასაც ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილიდან „დობროარმიის" განდევნა და გროზნოსა და მისი ნავთობსარეწების დაუფლება წარმოადგენდა, ასევე ამიერკავკასიის შემდგომი ოკუპაციისათვის პლაცდარმის შექმნა. გასაგებია თუ ბოლშევიკთათვის რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ენერგორესურსების, ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოების ფლობას. თავად სერგო ორჯონიკიძე ამბობდა, რომ „საწვავი – ეს მთელი საბჭოთა რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციის ხერხემალს წარმოადგენს".[1] აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის ოკუპაციის საქმეში მცირე შეფერხებებიც კი, ლენინის უკიდურეს გაცეცხლებას იწვევდა:

„ჩვენ ჰაერივით გვჭირდება ნავთობი. მოიფიქრეთ მანიფესტის ტექსტი ხალხისათვის, რომ იმ შემთხვევაში თუ ცეცხლს გაუჩენენ და დააზიანებენ ნავთობსარეწებს,

---

[1] Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи, Госполитиздат, М., 1956, т. 1. Стр. 145.

ყველას დავხოცავთ და პირიქით, ყველას ვაჩუქებთ სიცოცხლეს იმ შემთხვევაში, თუ მაიკოპს და განსაკუთრებით გროზნოს დაუზიანებლად გადმოგვცემენ...” – წერდა ლენინი კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს.[1]

უკვე 1920 წლის 20 მარტით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში – „კავკასიის ფრონტის შემდგომი ამოცანების შესახებ”, წითელი არმიის მთავარსარდალი სერგეი კამენევი ვ. ლენინს ატყობინებდა: „თუ საქართველოსა და აზერბაიჯანის შიდა მდგომარეობა რევოლუციურია, მაშინ როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს კავკასიის ფრონტი, ჩვენი შეტევითი მოქმედებების დახანებას არ ვთვლი მიზანშეწონილად”.[1]

წითელი არმია ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის ემზადებოდა. 21 მარტს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ტროცკი, სტალინს, როგორც პოლიტბიუროს წარმომადგენელს კავკასიაში, შემდეგი სახის შეკითხვას უგზავნის: „ნოვოროსიისკისა და გროზნოს დაკავების შემდეგ განსაზღვრულია თქვენგან სამი ქვეითი და სამი საკავალერიო დივიზიის გამოყოფა... გთხოვთ გვიპასუხოთ, შესაძლებელია თუ არა ასეთ პირობებში დაუყოვნებლივ დაიწყოთ ოპერაცია ბაქოს დაკავებისა და შენარჩუნებისათვის? იქონიეთ მხედველობაში საქართველოს მხრიდან აზერბაიჯანის მხარდაჭერის შესაძლებლობა”. ამ ტელეგრამაზე სტალინის პასუხი შემდეგი იყო:

„დარჩენილი ძალებით თამამადაა შესაძლებელი ბაქოს შენარჩუნება. ქართველები საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუ საქართველოს ნეიტრალიტეტს შევპირდებით”.[2] ტროცკის შეკითხვიდან ჩანს, რომ იგი გარკვეულად ყოყმანობდა აზერბაიჯანის ოკუპაციასთან დაკავშირებით – გადაწყვეტილება შეტევის დაწყებაზე ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. მთავარ პრობლემად კი იგი საქართველოს მიიჩნევდა, მისი შეიარაღებული ძალების შესაძლო ჩართვას მე-11 არმიის შენაერთების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში.

მაგრამ სტალინი სრულად ფლობდა ინფორმაციას იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ წრეებში არსებული სიტუაციის შესახებ. მან კარგად უწყოდა საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის „დემოკრატობისა” და ზღვარგადასული „პაციფისტური” განწყობების შესახებ. ამიტომ სტალინი მართალი იყო, როცა ამბობდა – „ქართველები საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუ საქართველოს ნეიტრალიტეტს შევპირდებით”-ო. პირადად ლენინის ბრძანებით მე-11 არმიის ძირითადი ძალისხმევა ვლადიკავკაზის, გროზნოს, პორტ-პეტროვსკისა და აზერბაიჯანისკენ იქნა მიმართული, დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში კი, მე-9 და მე-12 არმიის შენაერთები იქნა ჩართული.

ქართული პოლიტიკური ელიტა ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციას, ცხადია, ფლობდა და იმ პოტენციურ საშიშროებასაც გრძნობდა, რაც ბოლშევიკებისაგან მომდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის წერილის შინაარსი ირაკლი წერეთელსა და ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძესთან, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მომენტისათვის პარიზში იმყოფებოდნენ, ევროპულ სახელმწიფოთა მხრიდან დახმარებებისა და აღიარების მიღწევის მიზნით. ეს საარქივო დოკუმენტი დედანს წარმოადგენს და დაწერილია ლურჯი ფანქრით „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

---

[1] Исторический альманах. Лабиринт времени. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации” Закавказья. http://www.hist.ru/ kavbolsh.html.

[1] Гражданская война в СССР / под общей ред. Н.Н. Азовцева. — М.: Воениздат, 1986. — Т. 2. — Стр. 331.

[2] Исторический альманах. Лабиринт времени. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации” Закавказья. http://www.hist.ru/ kavbolsh.html. Сталин И.В., Телеграмма Л.Д. Троцкому, 21 марта 1920 года, Собр. Соч., том 17.

მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის" ბლანკზე. ამ საკმაოდ ვრცელი წერილიდან მხოლოდ ჩვენს თემასთან დაკავშირებულ ამონარიდს მოვიყვანთ.

„ნოე რამიშვილის წერილი თბილისიდან პარიზში „კარლოს და ირაკლის",
ინგლისელთა და ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან
საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებათა შესახებ.

1920 წლის 29 მარტი

პარიზში. ამხ. კ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს.

ამხანაგებო!

ცეკას დავალებით ორიოდე სიტყვით გვსურს აქაური მდგომარეობა აგიწეროთ.

ბოლშევიკები მოადგნენ საზღვარს. მიღებულია ყოველივე ზომები საზღვრების დასაცავათ. თავდასხმაზე არ გვიფიქრია და არც ვფიქრობთ, ხოლო თავისი საზღვრების დაცვას უთუოდ შევძლებთ. მართალია სამხედრო მასალა გვაკლია, მაგრამ დენიკინელთ საკმაო მასალა ავართვით საზღვრებში შემოსვლისას. ევროპელნი გვპირდებიან, მაგრამ ეს დაპირებათ თუ რჩება. საჭიროა ამ საგანს დიდი ყურადღება მიაქციოთ.

მეორე საქმე. ინგლისი ეჭვს გარეშეა ცდილობს ამიერკავკასიის თავის ბრჭყალებში ჩაჭერას... საჭიროა ენერგიული მუშაობა თქვენის მხრივ. ჩვენ ვფიქრობთ შეიძლება ინგლისის ხელმძღვანელ წრეებს ადვილად დაუმტკიცოთ, რომ ძლიერი საქართველო სწორეთ მათი ინტერესია და მათ პოლიტიკას მცირე და შუა აზიაში ამტკიცებს. ამიტომ საჭიროა საქართველოს ინტერესთა უზრუნველყოფა. იმედი გვაქვს, მუშათა პარტია ინგლისისა დიდ დახმარებას გაგიწევთ...

საერთოთ, დროა საზღვრების საკითხი პირველ რიგში დააყენოთ. მოდის გენ. ოდიშელიძე. მან ჩვენი აზრი იცის და საჭიროა მისი ერუდიციის სავსებით გამოყენება. იმედი გვაქვს თქვენ შეძლებთ ამ უკანასკნელ დაბრკოლებათა დაძლევას.

კ. გვარჯალაძე[1] და კ. საბახტარაშვილი[2] უნდა დაბრუნდნენ, აგრეთვე გობეჩიაც. სალამი ჩემის მხრიდან.

მოგიკითხეს სილვამ[3] და ნოე ხომერიკმა.[4]

---

[1] კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969) – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. 1921 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი.

[2] კონსტანტინე საბახტარაშვილი (1884-1938) – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, 1918 წლის აგვისტოდან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (ამხანაგი), 1920 წლის ბოლოდან – რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

[3] აქ ცნობილ ქართველ სახელმწიფო მოღვაწესა და პუბლიცისტზე, სილიბისტრო (სილვესტრ, სილვა) ჯიბლაძეზეა საუბარი. (1859-1922) – ძველი რევოლუციონერი და ტერორისტი, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი. ეგნატე ნინოშვილთან, ნოე ჟორდანიასა და ისიდორე რამიშვილთან ერთად ითვლება საქართველოში მარქსისტული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია „მესამე დასის" ერთ-ერთ დამფუძნებლად, რსდმპ წევრი შექმნის დღიდან. 1890-იან წლებში იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის წევრი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის, გენერალ გრიაზნოვის მკვლელობის ორგანიზატორი. ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს გაზეთებში „სხივი", „განთიადი", „ელვა". სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი. 1917 წლიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, იგი ემიგრაციაში არ წასულა. 1922 წელს დახვრეტილ იქნა ბოლშევიკთა მიერ.

[4] ნოე ხომერიკი – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. საქართველოს დემოკრატიული

ალბათ ნოე ჟორდანია ცალკე მოგწერს.

ამხანაგური და მეგობრული სალმით – ხელმოწერა".[1]

ბოლშევიკურ საფრთხესთან დაკავშირებით სწორი აღმოჩნდა ბატონი ნოე რამიშვილის პროგნოზი, თუმცა, ბრიტანელთა დარწმუნების საკითხში, რა მოგახსენოთ. ასევე ეფემერული იყო რამიშვილის მოლოდინები „ინგლისის მუშათა პარტიის" მხრიდან დახმარებების გაწევის თაობაზე. იმაში კი, ნამდვილად მართალი იყო ბატონი მინისტრი, რომ 1920 წლის გაზაფხულისათვის ქართული სახელმწიფო, პოლიტიკურისაგან განსხვავებით, სამხედრო-ოპერატიული თვალსაზრისით მზად იყო ბოლშევიკთა ახალი სამხედრო აგრესიის აღსაკვეთად. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, რომელიც სახელმწიფოს მმართველობით სამხედრო-პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ მრავალ დაურეგულირებულ საკითხთან ერთად კი, ერთ-ერთ ცენტარლურ საკითხს, რა თქმა უნდა, საზღვრები, სასაზღვრო ხაზის დადგენა წარმოადგენდა.

ამ მომენტისათვის შავიზღვისპირეთის მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება. ჩრდილოეთ კავკასიაში წითელი არმიის შენაერთების შემოსვლითა და შექმნილი მდგომარეობით კარგად სარგებლობენ სოჭელი ბოლშევიკები და ისინი აქტიურ, გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადიან. ამუშავდა ბოლშევიკური ოკუპაციის ჩვეული სქემაც, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯარების შეყვანამდე ითვალისწინებდა ადგილებზე უკმაყოფილებისა და სახალხო აჯანყების ინსპირირებას, „მშრომელთა ინტერესების დამცველი" ე.წ. „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის" შექმნას და მის დროებით მთავრობად გამოცხადებას. ბოლო ფაზას კი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისა და წითელი არმიისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და სამხედრო შენაერთების შემოყვანა. ოკუპაციის ამ სქემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოელები წარმატებით ანხორციელებდნენ უკვე შემდეგშიც, მთელი 60 წლის განმავლობაში...

ტუაფსეში რევკომის მიერ მოწვეულ იქნენ „შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტის" ხელმძღვანელები, რომლებსაც შემდეგი წინადადებით მიმართეს:

„გლეხთა ლაშქარი აღარ არსებობს. მის მაგივრად შეიქმნა შავიზღვისპირეთის წითელი არმია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოხალისეთა არმიის განადგურება და წითელ არმიასთან შეერთება. მოგიწევთ თქვენი ძველი გეგმების გადახაზვა „დემოკრატიული" რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ხალხს არ სურს რესპუბლიკა და ყველგან გამოდის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე".[1] ბოლშევიკური და იმპერიალისტული იდეოლოგიისათვის ერთობ დამახასიათებელი შტრიხია ამ ამონარიდში წარმოდგენილი – ე.წ. „ხალხის" ნებით, „ხალხის" სურვილითა და „ხალხის" სახელით აპელირება. დიახ, ასეა. პარტიამ და იმპერიამ უკეთესად იცის რა უნდა და რა სჭირდება „ხალხს"...

რუსეთის სამოქალაქო ომის ცნობილი მკვლევარი ვალერი შამბაროვი: „შავი ზღვის რესპუბლიკა გააუქმეს. მათი ლიდერები თავაზიანად მიიწვიეს სოჭში, სადაც საუკეთესო

რესპუბლიკის მთავრობის წევრი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში ტოვებს საქართველოს და მთავრობასთან ერთად მიდის ემიგრაციაში, საიდანაც ბრუნდება 1922 წელს. საქართველოში დაწყებული ანტისაოკუპაციო და ანტიბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაპატიმრებულ და დახვრეტილ იქნა 1923 წელს ბოლშევიკების მიერ.

[1] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 119, ფურცელი 1-2.

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

სასტუმრო – „გრანდ ოტელი” გამოუყვეს. მეზობელ შენობაში კი, განსაკუთრებული განყოფილება იყო განთავსებული. მათ, ვინც უფრო ჭკვიანები აღმოჩნდნენ, საქართველოში გაქცევით უშველეს თავს. სხვებს კიდევ სჯეროდათ ბოლშევიკებთან თანამშრომლობისა, ან ის, რომ ეს რეკვიზიტების მორიგი ცვლა იყო. ანუ, კომუნისტები, რომლებმაც ადგილობრივი მთავრობა გარეკეს, საბჭოების ახალ არჩევნებს ჩაატარებდნენ, სადაც ხალხი ისევ მათ აირჩევდა. მეორე დღეს ჩეკისტები მოვიდნენ...

ხოლო როცა შავიზღვისპირეთის „მწვანეებმა” გადაწყვიტეს ისევე ემოქმედათ, როგორც ამას დენიკინის წინააღმდეგ ჩადიოდნენ და არ სცნობდნენ არავითარ ხელისუფლებას, წითლებმა მთებში გასული „მწვანეების” ოჯახის წევრების დაპატიმრებები დაიწყეს და ისინი ჩრდილოეთის გზას გაუყენეს, მათ ქონებას კი, კონფისკაცია ჩაუტარეს. გარდა ამისა, სოფლებიდან მძევლები აიყვანეს იმ მუქარით, რომ გლეხების ტყეში გასვლის შემთხვევაში, მათ დახვრეტდნენ”.[1]

ფაქტობრივად ეს იყო „რევკომის” მიერ წაყენებული ულტიმატიური ხასიათის მიმართვა, რასაც განთავისუფლების კომიტეტის წევრები იძულების წესით დაემორჩილნენ. წითელი არმიისა და ВЧК-ს ორგანოების მიერ „კონტრრევოლუციონერთა” პროლეტარული რევოლუციის არსში „გარკვევის” მეთოდები უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი. ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი „აფხაზეთის რევკომის” თავმჯდომარის ყოფილი მოადგილისა და კავკასიის ფრონტის ВЧК-ს განსაკუთრებული რწმუნებულის, „რკინის გევორქის” ჯალათობის ამბავი საშინელ კოშმარზე უფრო მძიმე იყო.[2] მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად აყვანის პრაქტიკა, რომელიც მის მიერ კარგად აპრობირებული და დანერგილი ბრძოლის მეთოდი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, მეტად ეფექტურ და შედეგის მომტან ინსტრუმენტს წარმოადგენდა ანტიბოლშევიკურად განწყობილი მოსახლეობის წინააღმდეგ, ე.წ. „კონტრრევოლუციასთან” საბრძოლველად.

„სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტმა” არსებობა შეწყვიტა, ასევე იქნა ანულირებული კომიტეტის „მწვანე არმია”. იგი ბოლშევიკთა „შავიზღვისპირეთის წითელ არმიად” გარდაიქმნა. ამ პროცესებს ქვემოთ წარმოვადგენთ უფრო დაწვრილებით. „სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტის” დამარცხების მთავარ მიზეზად, სოჭის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ალექსანდრ ჩერკასოვი, ესერთა პოლიტიკურ ახლომხედველობას თვლის – ესერთა ზედმეტად მიმნდობ დამოკიდებულებას ბოლშევიკების მიმართ.[3]

მალე „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის” პირადმა შემადგენლობამ 10000-ს გადააჭარბა. ორგანიზაციულად და სტრუქტურულად იგი საკმაოდ ჭრელ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც შედგებოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის ცალკეული პარტიზანული რაზმებისაგან, პარტიზანთა მხარეს გადასული ყოფილი სამხედრო ტყვეებისაგან, დეზერტირების, მოლაშქრე გლეხთა ჯგუფებისა და მათი მეთაურებისაგან. თავისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის წესითა და არსით იგი წითელგვარ-

---

[1] Шамбаров В. Е. Белогвардейщина. — М.: ЭКСМО-Пресс, 2002. militera.lib.ru/h/ shambarov1/ index.html.

[2] Ефимов Николай. Алексеевич — кандидат исторических наук. Атарбеков — один из зачинщиков красного террора. ВИ. 2000. № 6. С. 130—136. . Государственный архив Ставропольского края, ф. 2940 оп. 1, д. 6, л. 141, л. 141; РГА СПИ, ф. 85, оп. 11, д. 81, л. 2об.; Известия Кубанско-Черноморского областного отдела Управления. 1920, 26.IX., № 1, с. 10. http://105384.dyn.ufanet.ru/knigi.

[3] Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени. 2011. Вып. 8. Стр. 47. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

დიულ რაზმს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე არმიულ შენაერთს. 1919 წლის ბოლოდან დაწყებული, ეს „ჭრელი არმია" საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა უკვე დასუსტებული დენიკინური არმიის ნარჩენებთან შავი ზღვის ფრონტზე, ნოვოროსიისკში, აგრეთვე ჩრდილოეთის მიმართულებაზე – ბელორეჩენსკი-მაიკოპის რაიონში.

1920 წლის მარტის ბოლოს შავიზღვისპირეთში ბოლშევიკთა რეგულარული არმიის შენაერთები იწყებენ შემოსვლას – კერძოდ, კავკასიის ფრონტის მე-9 წითელი არმია, იერონიმუს უბორევიჩის სარდლობით. მე-9 არმიის სოჭთან მოახლოებასთან ერთად, 1920 წლის 31 მარტს ე.წ. „შავიზღვისპირეთის წითელი არმია" დაშლილ იქნა. მისი ქვედანაყოფების ნაწილი მე-9 არმიის 22-ე, 34-ე და 50-ე დივიზიების შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.[1]

§8. ორმაგი გარშემორტყმის სტრატეგია – საქართველო „გრდემლსა და უროს" შორის

წითელი არმიის ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსვლასთან დაკავშირებით, დიდი ბრიტანეთისა და ანტანტის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მიმართებაში იცვლება. 1920 წლის 12 იანვარს დიდმა ბრიტანეთმა და ანტანტამ დე-ფაქტო სცნეს საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბ-ლიკები. მაგრამ ამის იქით რეალურად საქმე არ წასულა. 24 თებერვალს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ რუსეთთან დაკავშირებით ახალი რეზოლუცია მიიღო, რომელშიც „განაპირა სახელმწიფოებს" რეკომენდაცია ეძლეოდათ ეწარმოებინათ ომი საბჭოთა რუსეთთან". ხოლო რუსეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, მათ დახმარებას ჰპირ-დებოდა.[2] ქართული მხრიდან ბათუმის გადაცემის თხოვნაზე კი, ანტანტამ იგი ფაქტობრივ „პორტო ფრანკოდ" გამოაცხადა. საქართველოს უარი ეთქვა აგრეთვე იარაღით, ფინანსებითა და სხვა სახის დახმარებების გაწევაზე. ფაქტია, რომ ის იმედები, რომელიც ქართულ მხარეს ჰქონდა ანტანტასთან მიმართებაში, არ გამართლდა.

1920 წლის 20 მარტს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ თხოვნით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-სა და იტალიის დიპლომატიურ წარ-მომადგენლებს, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ჩვენ ფაქტიური ცნობა მივიღეთ, რაზეც ძალიან დიდ მადლობას გიხდით, მაგრამ აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ ცნობა ჩვენი თავისუფლებისა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში არავითარ უპირატესობას არ გვაძლევს. ჩვენი საზღვრები არათუ დაცული, არამედ ცნობილიც კი არ არის...

---

[1] Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи:Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

[2] Автандил Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. Документы внешней политики СССР, т. II, М., 1958, стр. 677. http://iberiana.wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.

მაგრამ ჩვენს გაოცებას ანტანტის მხრიდან ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრების მიმართ დამოკიდებულება იწვევს. იქიდან მოიწევენ ჩვენსკენ ბოლშევიკები ჩვენი სახელმწიფოს განადგურებისათვის. ჩვენ რამდენჯერმე მოგმართეთ შუამდგომლობით, რომ მხარი დაგეჭირათ ამ ბრძოლაში შეიარაღებითა და სურსათით. მხარდაჭერის პირობა მოცემულ იქნა, რასაც სულმოუთქმელად ველოდით, მაგრამ დღემდე არ მიგვიღია თქვენგან არც ერთი ცალი ვაზნა, არც ერთი გირვანქა პური. ახლა კი უკვე დადგა ის დრო, როცა მოცდა უკვე შეუძლებელია და ვეღარ დავკმაყოფილდებით მხოლოდ დაპირებებით...

მე მწუხარებით უნდა განვაცხადო, რომ მარტონი დავრჩით, ან იმიტომ რომ თქვენი მთავრობები ნაკლებად არიან საქმის კურსში ჩაყენებულნი, ან იმიტომ რომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი სახელმწიფოს დანგრევას არ თვლიან თავისი აღმოსავლური ინტერესების დარღვევად.

შექმნილი გარემოებების გამო, ჩვენი ხალხის უზენაესი ინტერესები კარნახობენ საქართველოს მთავრობას, რომ თქვენს გარეშე და დაუყოვნებლივ იქნას მოძიებული ხსნის გზები, ამასთან ანგარიში არ გაეწიოს თქვენს ინტერესებს. რა მსხვერპლის ფასად მივაღწევთ მიზნებს, ახლა ამას ვერ მოგახსენებთ, მაგრამ იგი რომ ძალიან დიდი იქნება, ეს ადვილად მისახვედრია.

ამას ვაცხადებთ წინასწარ და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებთ თქვენს საწინააღმდეგოდ როგორც მუქარას, არამედ ჩვენგან დამოუკიდებელი მოვლენებით გამოწვეულ ქმედებას.

ამასთან ერთად, საქართველოს მთავრობა იხსნის თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას, რაც შეიძლება მოჰყვეს ჩვენი პოლიტიკური გზების გაყრას ამიერკავკასიაში".[1]

როგორც ვხედავთ, მიმართვის ტექსტი საკმაოდ მკაცრი და კატეგორიული იყო, ნოე ჟორდანია პრინციპულ პოზიციებზე იდგა. ანტანტის ქვეყნები და პირველ რიგში დიდი ბრიტანეთი კი, საქართველოს დე იურე აღიარებას აჭიანურებდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორდ ჯორჯ კერზონის (George Nathaniel Curzon) მიერ შემდეგი პირობა იქნა წამოყენებული: „რუსეთთან მტრული დამოკიდებულება თუ გაქვთ, – ამბობდა იგი, – ინგლისი არა თუ თქვენს დახმარებას ვერ იკისრებს, არამედ ცნობასაც ვერ მოგცემთ, ვინაიდან ჩვენთვის კომპრომეტაცია იქნება ისეთ პირობებში ცნობა ახალი სახელმწიფოსი, თუ მას მომავლის პირი არ ექნება".[2] საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში იდენტური იყო ლორდ კერზონისა და გენერალ ბრიგსის შეხედულებები. პირველი ბოლშევიკურ რუსეთთან ურჩევდა ქართველებს ურთიერთობების დალაგებას, მეორე კი, დენიკინის „ერთიანი და განუყოფელი" რუსული მონარქიზმის აპოლოგეტად გამოდიოდა.

ფაქტია, რომ პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე ცნობა არ შედგა. ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) საქართველოს დელეგაციას პირდაპირ განუცხადეს, რომ საქართველოს დე-იურე ცნობა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთი დე-იურედ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დელეგაციას ასევე განუცხადეს, რომ პარიზის კონფერენციას შეეძლო საქართველოს მხოლოდ დე-ფაქტო ცნობა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებისაკენ საქართველოს პარიზის საზავო კონფერენციამ უბიძგა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცდარია

---

[1] Автандил Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. Документы внешней политики СССР, т. II, М., 1958, стр. 677. http://iberiana.wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.

[2] შოთა ვადაჭკორია. დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1919 წლებში. თბილისი. 2010. გვ. 20.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რუსეთთან ხელშეკრულების დადებით მხოლოდ ომის თავიდან აცილებას ესწრაფვოდა. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში კარგად ესმოდათ, რომ ხელშეკრულება საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან ვერ დაიცავდა, ხელშეკრულება როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელი იყო ევროპის ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებისათვის...”[1]

რადგან ანტანტის მიერ საქართველოს ცნობის საკითხი ჭიანურდებოდა და აქ პირველ რიგში რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების საკითხი იდგა, ქართველმა პოლიტიკოსებმა სწორი დასკვნები გააკეთეს. ნოე ჟორდანია წერდა: „ნათელი იყო, რომ რუსეთს, მართალია უკვე დასუსტებულს, მაინც ანგარიშს უწევდნენ და არ სურდათ მისი დანაწევრება. გადავწყვიტე მოლაპარაკებები დამეწყო მოსკოვთან ცნობის თაობაზე, და თუ იგი ჩვენ გვცნობს, ამ ვექსილით ჩვენ შეგვიძლია წარვდგეთ ევროპული არეოპაგის[2] წინაშე, რითაც ჩვენს მიზანს მივაღწევთ”.[3]

სწორედ ამ მიზნით იქნა გაგზავნილი მოსკოვში საქართველოს მთავრობის ახალი წარმომადგენელი, ძველი რევოლუციონერი და სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ბატონი გრიგოლ ურატაძე, რომელიც შესაბამისი რწმუნებებით იქნა აღჭურვილი. შალვა მაღლაკელიძის მემუარის მიხედვით, ურატაძესთან ერთად ქართული დელეგაციის შემადგენლობაში ჩართულ იქნა აგრეთვე ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, ალექსანდრე საღირაშვილი.[4]

ბატონ გრიგოლ ურატაძესთან დაკავშირებით ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. იგი პირადად ჟორდანიას მიერ იქნა შერჩეული, რადგან კრემლის ლიდერებთან მას პირადი ნაცნობობა აკავშირებდა. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს, საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის დროს გრიგოლ ურატაძე სხვა ქართველ მარქსისტებთან ერთად პარტიული სკოლის მეცადინეობებს ესწრებოდა, რომელიც ბოლშევიკების (ლენინი, ზინოვიევი და სხვა) მიერ იყო ორგანიზებული პარიზიდან 14 კილომეტრში, სოფელ ლონჟუმოში. აქ ურატაძე პირადად გაეცნო საბჭოთა რუსეთის მომავალ ლიდერებს – ლენინს, კამენევს, ზინოვიევს, ორჯონიკიძესა და სხვებს.[5] სწორედ ამ ფაქტმა ითამაშა მთავარი როლი იმ გადაწყვეტილების მიღებაზე, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი და მკაცრად გასაიდუმლოებული დიპლომატიური მისიის შესრულებისათვის სწორედ გრიგოლ ურატაძე იქნა შერჩეული და არა ქართული პოლიტიკური ისთებლიშმენტის რომელიმე სხვა წარმომადგენელი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა:

---

[1] ვახტანგ გურული. საქართველო რუსეთის ურთიერთობა (1918-1921). საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი). http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf.

[2] არეოპაგი – ძალაუფლების სიმბოლო ძველ საბერძნეთში. დასახელება მიიღო ათენის ერთ-ერთი ადგილის მიხედვით (სიტყვასიტყვით ნიშნავს „არესის ბორცვს”). გადმოცემის თანახმად, ამ ბორცვზე გაიმართა სასამართლო პროცესი ღმერთ არესზე, იმისათვის რომ მან პოსეიდონის შვილის სისხლი დაღვარა. არეოპაგის ძირითადი ფუნქცია კანონების შესრულებაზე თვალყურის დევნება იყო. ასევე მის ფუნქციაში შედიოდა სასამართლო გარჩევები იმ საქმეებისა, სადაც ჩადენილი იყო მკვლელობა.

[3] Автандил Ментешашвили. Из истории взаимоотнашений Грузинской Демократической республики с советской Россией и Антантой. 1918-1921гг. Н. Жордания. Моя жизнь, Стэнфорд. 1968, с.105. http://www.georgianweb.com/.

[4] შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. გამომცემლობა „პეგასი”. თბილისი. 2012 წ. გვ. 266.

[5] Автандил Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. (Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа. Станфорд, Калифорния, 1968, с. 225-228). http://iberiana.wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.

1. თუ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ რუსეთთან ჩვენი ქვეყნის მთავრობას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირსპირების (ომის) თავიდან აცილებასაც შეძლებდა;
2. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარებისათვის.[1]

1920 წლის 4 აპრილს ე. გეგეჭკორი რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს უგზავნის შემდეგი შინაარსის ნოტას: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, მზადაა დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები. ახლა სიტყვა საბჭოთა რუსეთის მთავრობაზეა".[2].

გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა[3] და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ, 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებებიც დაიწყო. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მიხედვით კი – „მენშევიკებმა რსფსრ მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკება დააკისრეს სპეციალურ დელეგაციას გრ. ურატაძის მეთაურობით, რომელიც 3 მაისს მოსკოვში გაემგზავრა. ვ. ი. ლენინი მენშევიკების ამ ინიციატივას მხარდაჭერით შეხვდა. „შეგიძლიათ აცნობოთ ბატონ ურატაძეს, – წერდა იგი ს. ორჯონიკიძეს, – რომ მთავრობა არაა მისი მოსკოვში ჩამოსვლის წინააღმდეგი".[4] ბატონი გრიგოლ ურატაძის მოსკოვში გამგზავრების თარიღად 3 მაისის მინიშნება აშკარად მცდარია და იგი არ შეესაბამება სიმართლეს.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონოგრამების ფონდში დაცულია გრიგოლ ურატაძის მიერ რადიო „თავისუფლებისათვის" მიცემული ინტერვიუ, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს ამ რთული მისიის მთელ პერიპეტიებს.[5] განსაკუთრებით დეტალურადაა მოთხრობილი მისი მგზავრობის ამბები. თბილისიდან დონის როსტოვში ჩასვლას იგი რამდენიმე დღე მოუნდა, ხოლო თავად ქალაქში მთელი ორი კვირა დაყოვნდა, სადაც იგი თავის ძველ „თანამებრძოლსა და თანაპარტიელს", იმჟამად კი ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს, კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს, სერგო ორჯონიკიძეს შეხვდა. მისი ნებართვის გარეშე მატარებლის არათუ რომელიმე შემადგენლობა, არამედ ვერც ერთი პერსონა ვერ გადაადგილდებოდა ვერც ერთი მიმართულებით. მოახსენა რა თავისი ვოიაჟისა და მიზნების შესახებ, ორჯონიკიძემ ხელოვნური დაბრკოლებების შექმნითა და მიზეზებით შეაფერხა ურატაძის ამ მისიის შესრულება. ბოლოს კი, ურატაძემ მხოლოდ ორჯონიკიძის დონის როსტოვიდან ვლადიკავკაზში გამგზავრების შემდეგ, და ისიც დიდი ძალისხმევის ფასად, მოახერხა მოსკოვში ჩასვლა აპრილის ბოლოსათვის. აქედან გამომდინარე, გრიგოლ ურატაძე თბილისიდან აპრილის დასაწყისში გაემგზავრა. მოსკოვში ჩასვლა და პირადად ლენინთან შეხვედრა კი მან, მხოლოდ აპრილის ბოლო რიცხვებში მოახერხა. მართალია ლენინმა დიპლომატიური ეტკეტის დაცვით მიიღო

---

[1] ვახტანგ გურული. საქართველო რუსეთის ურთიერთობა (1918-1921). საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი). http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf.

[2] Автандил Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. (Georgian Archive. Harvard University. Reel 91, box 28, book 84). http://iberiana.wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.

[3] Автандил Ментешашвили. "Из истории взаимоотнашений Грузинской Демократическои республики с советской Россией и Антантой. 1918-1921 гг."

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978. გვ. 498. Ленинский сборник, стр. 29.

[5] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონოგრამების ფონდი. გრიგოლ ურატაძე. ინტერვიუ რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტთან.

ურატაძე, მაგრამ ქართველი დესპანის მისიას დიდი გულისყურით არ მოკიდებია, იგი ჩიჩერინს გადააბარა.

მეტად მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ის საგარეო ფაქტორები და მოვლენები, რაც 1920 წლის დასაწყისიდან განვითარდა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში წარმოებული სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური მოქმედებების შემდგომი თანმიმდევრობა და ხასიათი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1920 წლის დასაწყისიდან საომარი მოქმედებები რუსეთსა და პოლონეთს შორის განახლდა და წარმატებული სამხედრო მოქმედებებით პოლონელებმა მარტის დასაწყისისათვის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის საერთო ხელმძღვანელობით, შეძლეს მინსკის და ბელორუსიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება. მარტის ბოლოსათვის კი საომარი მოქმედებები რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ისევ რემისიის ფაზაში შევიდა. ბოლშევიკებმა ისარგებლეს ამ მდგომარეობით და როგორც უკვე ცნობილია, კავკასიის ფრონტის მე-11 არმია პორტ-პეტროვსკის გზით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შეიყვანეს. მაგრამ ეს არ იყო ბოლშევიკების კავკასიასა და საქართველოსთან მოახლოების ერთადერთი მარშრუტი.

ბოლშევიკური სამხედრო აგრესიის მეორე ვექტორს, მეორე მიმართულებას შავიზღვისპირეთი წარმოადგენდა, სადაც ბოლშევიკთა მთავარი ძალა ჩვენთვის უკვე ცნობილი მე-9 არმია იყო. 1920 წლის 27 მარტისათვის მე-9 არმია ნოვოროსიისკს იკავებს. 4 აპრილს კი, მე-9 არმიის შტაბი კავკასიის ფრონტის სარდლობის (მ. ტუხაჩევსკი, ა. პუგაჩოვი) №1341/оп ოპერატიულ დირექტივას იღებს, რომელშიც ნათქვამი იყო:

„მე-9 არმიის მარცხენა ფლანგს მიეცეს ამოცანა სწრაფი შეტევითი მოქმედებებით დაიკავოს ტუაფსე და არაუგვიანეს 12 აპრილისა გაწმინდოს მოწინააღმდეგისაგან შავი ზღვის სანაპირო ჯუბიდან გაგრის ჩათვლით".[1]

ამ ამოცანის შესასრულებლად, მე-9 არმიასთან ერთად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსაკენ წაწეულ იქნა სემიონ ბუდიონის[2] 1-ლი ცხენოსანი არმიის ნაწილები, რომლებიც 7 აპრილისათვის იკავებენ ტუაფსეს. თავად 1-ლი ცხენოსანი არმია, ეს უმძლავრესი ოპერატიული გაერთიანება, 1919 წლის ბოლოს შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი წითელი საკავალერიო ნაწილების შეერთებითა და გამსხვილებით, მაშინდელი სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრის, სტალინის ინიციატივით.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთთან მიმართებაში ბოლშევიკთა გეგმები წყლის ორი წვეთივით ჰგავდა დენიკინისას. აქაც და იქაც, მაშინაც და ახლაც, „წითელი" და „თეთრი" რუსეთები თავის პირველ სამიზნედ ცარისტული შავი ზღვის გუბერნიის სამხრეთ საზღვრებს – გაგრასა და მდინარე ბზიფს მიიჩნევდნენ. ამ პლაცდარმს კი შემდეგში მთელი აფხაზეთის ოკუპაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. საერთო ჯამში, რუს ბოლშევიკებსაც და მონარქისტებსაც, ლენინსაც და გენერალ დენიკინსაც, ანუ, „წითელ რუსეთსაც" და „თეთრ რუსეთსაც", საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში აბსოლუტურად ერთნაირი მიზნები და ამოცანები ამოძრავებდათ. აქედან

---

[1] Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0.ЦГАСА. Ф. 109. Оп. 3.Д. 70. Л. 41.

[2] სემიონ მიხაილოვიჩ ბუდიონი (1883-1973) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის უნტერ-ოფიცერი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომში იბრძვის ჯერ დასავლეთის, ხოლო შემდეგ კავკასიის ფრონტების შემადგენლობაში. გიორგის ჯვრის კავალერი. 1918 წლის დასაწყისიდან წითელი არმიის რიგებშია, საკავალერიო ნაწილებისა და შენაერთების მეთაური. რუსეთის სამოქალაქო ომის ლეგენდარული მეთაური, ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი 1-ლი ცხენოსანი დივიზიის, შემდეგ კი – 1-ლი ცხენოსანი არმიის სარდალი. 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალი.

გამომდინარე, საქართველოსთან წარმოებული მათი საგარეო პოლიტიკური კურსი მკვეთრად აგრესიული იყო, ურთიერთობების ერთადერთ ენასა და ინსტრუმენტს კი, ხიშტი და ჩექმა წარმოადგენდა. ამ აგრესიის პოლიტიკურ სარჩულად კი, პირველ ეტაპზე კრემლმა საქართველოს მთავრობის მოხალისეთა არმიასთან თანამშრომლობა მოიყვანა, რაც არაერთხელ იქნა გაპროტესტებული ქართული მხარის მიერ. საქართველოს საგარეო უწყებამ მორიგ ბრალდებაზე 1920 წლის 19 აპრილს კიდევ ერთი საპროტესტო ნოტა გააგზავნა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე, სადაც კიდევ ერთხელ იქნა ახსნილი საბჭოელების მიერ წაყენებული დაუსაბუთებელი ბრალდებების სრული აბსურდულობა:

„1920 წლის 19 აპრილი. №3561.
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისაგან.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულებას გენერალ დენიკინის შეიარაღებულ ძალებთან, ისევე, როგორც წინა ნოტებში ვაცხადებ, რომ იგი ყოველთვის გარკვეული იყო: დობროარმიის შექმნის მომენტიდან მის საბოლოო ლიკვიდაციამდე საქართველოს მთავრობა მასთან პერმანენტული ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა, და არაერთხლ ჰქონდა მასთან შეიარაღებული კონფლიქტი როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. ამის შესახებ მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი, არაერთხელ იქნა ეს განცხადებული გენერალ დენიკინის ოფიციალურ ბრძანებებშიც. და რატომ ხდება ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გარშემო კამათი საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ჩვენთვის გაუგებარია. მოხალისეთა არმიის დარჩენილი ნაშთები, რაოდენობით 8000 კაცი, რომლებიც შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე თერგის ოლქიდან, უკვე დიდი ხანია რაც განიარაღებული და ინტერნირებულია".[1]

შავიზღვისპირეთში ბოლშევიკური არმიების მოახლოების გამო, 1920 წლის 20 აპრილს გაგრაში ქართული პოზიციების დასათვალიერებლად რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, ვალიკო ჯუღელი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე[2] ჩავიდნენ. მათ ქართული გარნიზონის სარდალ, გენერალ დავით ართმელაძესთან[3] ერთად ქართული პოზიციები მოინახულეს,[4] შემდეგ კი გაგრის რეიდზე

---

[1] სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი (2-2 ობ).

[2] ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1917 წელს კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსი, შემდეგ – ბრიგადის მეთაური. გენერალური შტაბის პოლკოვნიკი. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. 1918 წლის დასაწყისიდან ქართული საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1918 წელს საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების საერთო, შემდეგ კი, ოპერატიული სექციის უფროსი. 1919 წლიდან – ქრთული არმიის გენერალი. 1919-1921 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უდროსის მოადგილე, შემდეგ – უფროსი. რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. მსახურობს პოლონეთის არმიაში. მოპოვებული აქვს პოლონეთის არმიის ბრიგადის მეთაურისა და დივიზიის მეთაურის სამხედრო წოდებები. II მსოფლიო ომში, 1939 წლის გერმანია-პოლონეთის ომის აქტიური მონაწილე. დაჯილდოებულია პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოებით. გიორგის ჯვრის კავალერი.

[3] დავით ართმელაძე (1865-1921) – ქართველი ოფიცერი, გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1917 წელს ქვეითი დივიზიის მეთაური. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. 1918 წლის დასაწყისიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაციონალური საარმიო კორპუსის 1-ლი დივიზიის მეთაური, 1919 წლიდან მე-2 დივიზიის მეთაური. 1920 წელს შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი. საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრი. 1921 წლის მარტში გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით გენერალ ვარდენ წულუკიძესთან ერთად თურქთაგან ბათუმის განთავისუფლების ბრძოლაში მეთაურობდა ქართულ შენაერთს. გიორგის ჯვრის კავალერი.

[4] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Типография Правительства. 1920 г. Стр. 219.

მდგარი დრედნოუტის ბორტზე შეხვედრა გამართეს ბრიტანელ ადმირალ სერ ჯონ დე რობეკთან (Sir John de Robeck). ადმირალი დე რობეკი მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა ბრიტანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 1919 წლის ივლისიდან მან ადმირალი სომერსეტ არტურ კელტორფი (Somerset Arthur Calthorpe) შეცვალა ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდლისა და ბრიტანელთა უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე. თუმცა ქართული წარმომადგენლობითი ჯგუფის ამ შეხვედრას ბრიტანელ ადმირალთან რეალური შედეგები არ მოჰყოლია, არსებული Status quo არ დარღვეულა.

გეგეჭკორის მიერ 21 აპრილით დათარიღებულ ჩიჩერინისადმი გაგზავნილ ნოტაში გამოთქმული იყო შეშფოთება იმ ცნობის გამო, რომ „წითელ არმიას მიეცა ბრძანება დაიკავონ ქართული ოკრუგი მდინარე ბზიფამდე...” იგი აღნიშნავდა: „ჩვენი რესპუბლიკის დაარსებიდან გვიკავია ჩვენი ისტორიული და სტრატეგიული საზღვარი გაგრის ოკრუგში... დაგვყავს ეს ცნობა თქვენამდე და ჩვენი მთავრობის სახელით გამოვხატავთ რწმენას, რომ ბრძანება შეცვლილი იქნება, ხოლო „სოვნარკომის” მიერ არ იქნება გადადგმული მტრული განზრახვით გამოწვეული ნაბიჯები”.

თავის საპასუხო გზავნილში საბჭოთა მთავრობა ირწმუნებოდა, რომ არავითარ შემთხვევაში არა სურს საქართველოსთან ომი და არ აპირებს მის საზღვრებში შეჭრას. ჩიჩერინის 24 აპრილით დათარიღებულ ამავე ნოტაში ნათქვამი იყო: „თქვენს მიერ „გაგრის ოკრუგად” წოდებული ადგილის კუთვნილების საკითხს ვტოვებთ ღიად და გთხოვთ გვაცნობოთ, თუ სად გადის თქვენის აზრით ამ ოკრუგის საზღვარი. წითელი არმიის მეთაურებს დავალებული აქვთ თქვენს სარდლობასთან ერთად საბოლოოდ დაადგინონ იმ ხაზის საკითხი, რომლის იქითაც საბჭოთა ჯარებმა არ უნდა გადააბიჯონ...” საკუთარი ჯარების საქართველოში შესვლის აკრძალვით საბჭოთა მთავრობა ამავე დროს ელოდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნებიან დაშვებულნი უკან დახეული თეთრგვარდიული ნაწილები...”[1]

ძნელია ეჭვის შეტანა ჩვენს იმ მოსაზრებაში, რომ 1920 წლის აპრილისათვის, მას შემდეგ რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან საბოლოოდ იქნებოდა განდევნილი დენიკინი და მისი „დობროარმია”, წითელი არმიის მიერ იგეგმებოდა არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ საქართველოსა, და შემდეგ, სომხეთის დაუყოვნებლივი ოკუპაციაც. ჩვენი ეს დასკვნა მოვლენების შემდგომი განვითარების კანონზომიერ ლოგიკას ეფუძნება. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ბოლშევიკთა ეს გეგმა უნდა აღსრულებულიყო კლასიკური შლიფენისეული[2] ორმაგი სტრატეგიული გარშემორტყმის სქემით.[3] სწორედ ამისათვის განხორციელდა მე-11 არმიის ბაქოზე მიახლოებასთან ერთად შავიზღვისპირეთში ბოლშევიკთა ასეთი დიდი ძალების, ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი არმიის შენაერთების თავმოყრა. ქართული სახელმწიფოსათვის მის საზღვრებთან შექმნილი საერთო ოპერატიული მდგომარეობა მეტად დამძიმდა – საქართველო „გრდემლსა და ურის” შორის მოექცა.

---

[1] Автандил Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. (Архив внешней политики СССР, ф. 148, оп. 3, п. 3, д. 35, л. 3). http://iberiana.wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.

[2] ალფრედ ფონ შლიფენი (1833-1913) – გრაფი, პრუსიელი გენერალ-ფელდმარშალი, საფრანგეთ-პრუსიის ომისა და გერმანიის იმპერიის შექმის მონაწილე, გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი 1891-1905 წლებში.

[3] შლიფენის გეგმა – გენერალ-ფელდმარშალ ფონ შლიფენის მიერ შედგენილი სტრატეგიული გარ-შემორტყმის გეგმა, რომელიც ომის დაწყების შემთხვევაში საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. მოგვიანებით „შლიფენის გეგმის” ზოგიერთი პუნქტი მოდიფიცირებულ იქნა მისი მემკვიდრის, გენერალ-ობერსტ ჰელმუტ ფონ მოლტკეს, დიდი მოლტკეს ძმისშვილის მიერ, რომელსაც I მსოფლიო ომის დაწყებისას გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა.

და აქაც ამუშავდა ბოლშევიკური ოკუპაციის უკვე გამოცდილი სქემა, რაც ღია საომარი მოქმედებების პარალელურად, დასაპყრობ ქვეყანაში „მშრომელთა აჯანყების" ინსცენირებას გულისხმობდა. შემდეგ კი მოხდებოდა დროებითი მთავრობის – ე.წ. „რევკომის შექმნა" და მისი თხოვნითა თუ მოთხოვნით ქვეყანაში რუსული შენაერთების შეყვანა. საბჭოთა ოკუპაციის ეს სქემა უკვე წარმატებით იქნა აღსრულებული თურქესტანის შემთხვევაში.

საბჭოთა ოკუპაციის წარმოდგენილი სქემა უფრო დახვეწილი და გადამუშავებული ვარიანტი იყო იმ სქემისა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე იქნა შემუშავებული ვლადიმერ ლენინისა და კრემლის იდეოლოგთა მიერ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ არქივში შემონახულია დოკუმენტი, რომელიც ნათელსა ჰფენს იმ საშუალებებს, მიზნებსა და მეთოდებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკთა მიერ „პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის" გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები. აქ ფინანსური მომენტიც საინტერესოა და წახალისების ის ფორმაც, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დონის პოლიტიკურ მაქინაციებს ხლართავდა და რისთვის ხარჯავდა ასე უხვად ხალხის ფულს „პროლეტარიატის დიდი ბელადი".

ეს დოკუმენტი პოლონეთის წინააღმდეგ ღია სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში ბოლშევიკთა შეიარაღებული ბანდიტური რაზმების შეჭრის გეგმის მონახაზია, მშვიდობიან მოსახლეობაში ტერორისტული აქტებისა და საერთო არეულობის მოწყობის მიზნით. ამ გეგმის ავტორი, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრისა და რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, ტროცკის მოადგილე, ეფრაიმ სკლიანსკია.[1] გეგმის შემუშავების ინიციატივა კი უშუალოდ ლენინს ეკუთვნოდა. ჩვენ მხოლოდ ლენინის წერილობით შეფასებასა და შენიშვნას წარმოვადგენთ ამ გეგმასთან დაკავშირებით, რომლის წაკითხვის შემდეგაც ყველაფერი დღესავით ნათელი ხდება:

„მშვენიერი გეგმაა! – დაადო რეზოლუცია ლენინმა, – დაასრულეთ იგი ძერჟინსკისთან[2] ერთად. „მწვანეებად" შენიღბვის გზით (შემდეგ მათ დავაბრალებთ ყველაფერს)

---

[1] ეფრაიმ მარკოვიჩ სკლიანსკი (1892-1925) – სამოქალაქო ომის პერიოდის საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, ტროცკის უახლოესი მეგობარი და მისი მოადგილე რსფსრ სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. რსდმპ წევრი 1913 წლიდან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ 38-ე დივიზიის ჯარისკაცთა საბჭოების თავმჯდომარე და მე-19 საარმიო კორპუსის კომიტეტის წევრი. იმავე წლის მაისიდან ჩრდილოეთის ფრონტის მე-5 არმიის ჯარისკაცთა კომიტეტის თავმჯდომარე. რსდმპ დვინის კომიტეტის წევრი. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის დელეგატი და ყრილობის პრეზიდიუმის წევრი ბოლშევიკური ფრაქციიდან. პეტროგრადის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი. მთავარი შტაბის კომისარი. 1918 წლის მარტი-სექტემბრის პერიოდში რსფსრ უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი, იმავე წლის ოქტომბრიდან სრულიად რუსეთსი სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. კომპარტიის მე-8, მე-9 და მე-10 ყრილობების დელეგატი.

[2] ფელიქს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკი (1877-1926) – რუსეთში მოღვაწე ეროვნებით პოლონელი პროფესიონალი რევოლუციონერი და პოლიტიკოსი, საბჭოთა უშიშროების ორგანოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი ხელმძღვანელი. ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1895 წლიდან, რსდმპ წევრი 1900 წლიდან. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების აქტიური მონაწილე და მოსკოვის წითელი გვარდიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი. სრულიად რუსეთის საბჭოების მე-2 ყრილობის დელეგატი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1917 წლის 6 (19) დეკემბრიდან სიცოცხლის ბოლომდე (მცირე ინტერვალით) კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК) თავმჯდომარე. ბოლშევიკთა პარტიულ-იდეოლოგიური რეპრესიული აპარატისა და სისტემის შექმნის ინიციატორი და პირველი ხელმძღვანელი.

გავივლით 10-20 ვერსს და ყველას ჩამოვახრჩობთ – კულაკებს, მღვდლებს, მემამულეებს. პრემია: 100000 რ. (რუბლი – ა. ჩაჩხინი) ერთ ჩამოხრჩობილზე...”[1]

მაგრამ საქართველოსთან და „ქართულ რევკომებთან” მიმართებაში ბოლშევიკებმა კიდევ უფრო მეტი გამომგონებლობა და „შემოქმედებითი მიდგომა” გამოავლინეს. საუბარი საქართველოში მცხოვრებ ე.წ. „ეროვნულ უმცირესობებს”, აფხაზებსა და ოსებს ეხებათ, რომელთა გარკვეულ ნაწილს ბოლშევიკი იდეოლოგებისა და აგენტურის პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი, პრორუსული და პრობოლშევიკური პოზიციები ჩამოუყალიბდათ. და კიდევ ერთი – აქ, საქართველოში, სოხუმის ოლქისა და აფხაზეთის მაგალითზე, მსგავსი „რევკომების”, „სოციალისტური რევოლუციებისა” და „მინი საბჭოთა რესპუბლიკების” შექმნის პრეცენდენტები და გამოცდილება უკვე არსებობდა 1918 წლის თებერვლისა და მაის-ივნისის გამოცდილებიდან.

1920 წლის აპრილის ბოლოს, ადგილობრივ ბოლშევიკთა მიერ მხარდაჭერილი წითელი არმიის 34-ე შერეული მსროლელი დივიზიის ნაწილები ქალაქ სოჭში შედიან. „სოჭის განთავისუფლების კომიტეტი” ლიკვიდირებულ იქნა, და ამით სოჭის ოლქის სახალხო დემოკრატიული მმართველობის ხანაც დასრულდა. რეგიონში დარჩენილი თეთრგვარდიელთა რაზმები გენერალ მოროზოვის[1] მეთაურობით 2 მაისს ადლერი-ხოსტას რაიონში კაპიტულაციას აცხადებენ...

საბჭოთა წყაროებით ტყვედ იქნა აყვანილი დენიკინელთა 373 ოფიცერი კაპიტნის წოდებიდან გენერლამდე, 858 ოფიცერი – შტაბს-კაპიტნამდე, 9977 უნტერ-ოფიცერი, 4779 ქვეითი, 16353 კავალერისტი და 1745 არტილერისტი.[2] დარეგისტრირებულ იქნა 34337 ტყვე. დარეგისტრირებულთა გარდა, როგორც თვლიან, დამატებით, არაორგანიზებულად, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ კიდევ დაახლოებით 10000-მა კაცმა გაიარა. სამხედრო ალაფად მოპოვებულ იქნა 19176 ცხენი, 30 ქვემეხი, 218 ტყვიამფრქვევი, 9828 შაშხანა, 591 ჭურვი, 274310 ვაზნა და კიდევ მრავალი სხვა აღჭურვილობა.[3]

თეთრგვარდიელთა დარჩენილი ჯარებისაგან გაწმენდისა და სოჭი-ადლერის რაიონის დაკავებისა და შემდეგ, 34-ე დივიზიის მეწინავე ქვედანაყოფები შავიზღვისპირეთის წითელი არმიის ადგილობრივ რაზმებთან ერთად, მალე მდინარე ფსოუსთანაც გამოჩნდნენ. საქართველოს შავიზღვისპირეთს ბოლშევიკების მხრიდან ახალი, მაგრამ თითქოს უკვე ორჯერ მოგერიებული დიდი საფრთხე დაემუქრა...

მაგრამ ამ ეტაპზე, ბოლშევიკებმა თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლეს, უფრო ზუსტად – ვერ მოასწრეს. საქმე იმაშია, რომ უცხოეთში ემიგრირებული გენერალ დენიკინის საქმე რუსეთის თეთრი მოძრაობის ახალმა ლიდერმა,

---

[1] Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М. Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. РЦХИДНИ. Ф. 2. Оп. 2. Д. 380. Л. 1.

[1] ვასილი ივანოვიჩ მოროზოვი (1888-1950) – რუსი სამხედრო მოღვაწე, მეფის არმიის პოლკოვნიკი, მოხალისეთა არმიის გენერალ-მაიორი. თეთრი მოძრაობის აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომის მონაწილე, 58-ე კაზაკთა პოლკის ესკადრონის მეთაური. 1918 წლის ივნისიდან 1919 წლის მაისამდე 76–ე დონის ცხენოსანი პოლკის მეთაური, შემდეგ დონის მე-2 ცალკეული ბრიგადის მეთაური. 1920 წლის გაზაფხულზე დონის კაზაკთა მე-2 შერეული დივიზიის მეთაური გენერალ ვრანგელის რუსულ არმიაში. ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობდა ჟლობას წითელი ცხენოსანი საარმიო ჯგუფის განადგურებაში, ბოლშევიკთაგან დნეპრის, კახოვკისა და ყირიმის დაცვაში. 1920 წლის დეკემბრიდან ემიგრაციაშია.

[2] Красильникова К. К. Партизанское движение на Кубани и Черноморье. Краснодар. 1957. Стр. 93.

[3] Газета „Красная правда”. Сочи. 14 мая, 1920 года. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

გენერალმა ბარონმა პიოტრ ვრანგელმა[1] გადაიბარა, რომელიც კონსტანტინოპოლიდან ყირიმში ინგლისური სახაზო გემით ”Emperor of India” 4 აპრილს ჩავიდა. მან ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად ყირიმში დაუწყო ძალებს თავმოყრა.

გენერალმა ვრანგელმა სწრაფად და ეფექტურად ჩაატარა ჯარების რეორგანიზაცია და 1920 წლის 28 აპრილს სახელიც გადაარქვა მას. ამიერიდან „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები” „რუსულ არმიად” იწოდებოდა. რუსულმა არმიამ წარმატებით მოიგერია წითლების შეტევა და კონტრშეტევაზეც გადავიდა. მალე კი მცირე დესანტიც გადასხა პერეკოპზე.[1] შემდგომი მოქმედებებიც „რუსული არმიისათვის” წარმატებით ვითარდებოდა: „„„უნიონის” სააგენტო სევასტოპლიდან იუწყება აზოვისა და ყუბანის ფრონტზე ვრანგელის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა. ტამანის ნახევარკუნძლზე ალექსანდროვსკის მიმართულებით ბრძოლა ვითარდება. ვრანგელის ჯარი შეტევას აწარმოებს ამ მიმართულებით და ტყვეები მოჰყავს” – იტყობინებოდა იმდროინდელი პრესა.[2]

ვრანგელის ფაქტორთან ერთად, ბოლშევიკთათვის ოპერატიული ვითარება რუსეთ-პოლონეთის ფრონტზეც დამძიმდა. მცირე შესვენების შემდეგ, 1920 წლის აპრილში რუსეთ-პოლონეთის ომი ახალ ფაზაში შევიდა. აქ, მარშალ იუზეფ პილსუდსკისა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ლიდერის, გენერალ სემიონ პეტლიურას[3] დირექტორიის შენაერთები ერთობლივ სტრატეგიულ შეტევით ოპერაციას იწყებენ კიევის მიმართულებაზე. ამან დასავლეთ კავკასიაში გაშლილი და საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი ბოლშევიკთა მე-9 მსროლელი და 1-ლი ცხენოსანი არმიებისადმი დასმული ამოცანების სასწრაფო შეცვლა გამოიწვია. ისინი დაუყოვნებლივ დაიძრნენ დასავლეთის მიმართულებაზე. ამის გამო, 1920 წლის აპრილისათვის, შავი ზღვის სანაპიროდან საქართველოში ბოლშევიკური შენაერთების შემოჭრის საშიშროებამ თითქოს დროებით ჩაიარა.

მიუხედავად ამისა, 1920 წლის მარტში საქართველოს მთავრობასთან იქმნება რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, იმავე წლის ნოემბერში კი, თავდაცვის საბჭო, მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მეთაურობით. დაფუძნდა თავდაცვის ფონდი და გამოცხადდა რეგულარული ნაწილებისა და სახალხო გვარდიის რაზმების ნაწილობრივი მობილიზაცია.

ამავე პერიოდში ბოლშევიკთა მიერ დასავლეთის ფრონტის სტრუქტურული და ოპერატიული რეორგანიზაციაც ჩატარდა. მიზიდულ იქნა დამატებითი შენაერთები.

---

[1] პიოტრ ნიკოლაევიჩ ვრანგელი (1878-1928) – რუსი მხედართმთავარი, გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომის მონაწილე, თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წლის იანვრიდან უსურიის ცხენოსანი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური, 1917 წლის ივლისიდან მე-7 საკავალერიო დივიზიის მეთაური, შემდეგ – შერეული სკავალერიო კორპუსის სარდალი. 1918 წლის დასაწყისიდან მოხალისეთა არმიაში ცხენოსანი დივიზიის მეთაური. 1919 წლის ნოემბრიდან მოხალისეთა არმიის სარდალი ყირიმში, 1920 წლის დასაწყისიდან – რუსული არმიის უმაღლესი მთავარსარდალი და სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს მმართველი. გიორგის ჯვრის კავალერი. 1920 წლის შემოდგომიდან ემიგრაციაშია.

[1] Шамбаров В. Е. Белогвардейщина. — М.: Изд-во ЭКСМО-Пресс, 2002. — 640 стр. (Серия „История России. Современный взгляд”). ISBN 5-04-009519-8. http://militera.lib.ru/research/ shambarov1/index. html.

[2] ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №15. 1920 წლის 12 სექტემბერი. გვ. 12.

[3] სემიონ ვასილევიჩ პეტლიურა (1879-1926) – უკრაინელი პოლიტიკური, სახელმწიფო და ეროვნული მოღვაწე, პროფესიით ჟურნალისტი. მასწავლებელი, ისტორიკოსი, მკვლევარი და მეცნიერი, პუბლიცისტი. 1900 წლიდან უკრაინის რევოლუციური პარტიის წევრი, მემარცხენე ნაციონალისტი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, უკრაინის საფრონტი რადის ხელმძღვანელი, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიის მეთაური, უკრაინის ჯარებისა და ფლოტის მთავარი ატამანი.

პოლონეთის მიმართულებაზე დამატებით მოხდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ფორმირებაც. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიდან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შევსებისათვის დამატებითი ძალებიც იქნა მოთხოვნილი. მოგვიანებით, ვლადიმერ გიტისის[1] ნაცვლად დასავლეთის ფრონტის სარდლად კავკასიის ფრონტიდან მიხეილ ტუხაჩევსკი იქნა გადაყვანილი, ხოლო ახლადშექმნილი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლად ალექსანდრ ეგოროვი[1] დაინიშნა. ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს შემადგენლობაში ი. სტალინიც იქნა შეყვანილი, ხოლო ტუხაჩევსკის მაგივრად, კავკასიის ფრონტის სარდლად ვ. გიტისი დაინიშნა.[2]

§9. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება

ისტორიული ფაქტია, რომ ქართული მხარის პოლიტიკური და დიპლომატიური მცდელობები, დაედო საბჭოთა რუსეთთან ოფიციალური სამთავრობო ხელშეკრულება, შედეგს არ იძლეოდა, პროცესები იწელებოდა. და ეს არცაა გასაკვირი. ლენინსა და მის თანაპარტიელებს საქართველოსთან მიმართებაში სულ სხვა ჩანფიქრი, სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. მართალია, დასავლეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში კონცენტრირებული საბჭოთა შენაერთების ნაწილი უკრაინისაკენ იქნა გადაჯგუფებული პოლონელთა შეტევითი ოპერაციის აღსაკვეთად, მაგრამ აღმოსავლეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ამიერკავკასიის ბოლშევიკური ოკუპაციის სქემის მიხედვით განვითარდა.

21 აპრილის ღამეს კავკასიის ფრონტის სარდლის, ტუხაჩევსკის მიერ გაიცა დირექტივა მე-11 არმიის სარდლობასა და ვოლგა–კასპიის ზღვის სამხედრო ფლოტილიაზე, ბაქოზე შეტევითი მოქმედებების დაწყების შესახებ:

„აზერბაიჯანის ძირითადი ძალები დაკავებულნი არიან თავისი სახელმწიფოს დასავლეთის საზღვრებზე. დაზვერვის მონაცემებით, სადგურ იალმა-ბაქოზე იმყოფებიან

---

[1] ვლადიმერ მიხაილოვიჩ გიტისი (1881-1938) – რუსი სამხედრო მოღვაწე, წითელი არმიის კომკორი. I მსოფლიო ომის მონაწილე, მეფის არმიის პოლკოვნიკი. 1917 წელს პოლკის მეთაური. 1918 წლის თებერვლიდან წითელი არმიის შემადგენლობაშია, მე-6 არმიის სარდალი. 1918 წლის ნოემბრიდან სამხრეთის ფრონტის მე-8 არმიის სარდალი, იმავე წლის ივლისიდან – დასავლეთის ფრონტის სარდალი. 1920 წლის მაისიდან კავკასიის ფრონტის სარდალი. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ვოლგისპირეთის, შემდეგ კი პეტროგრადის სამხედრო ოლქების სარდალი.

[1] ალექსანდრ ილიჩ ეგოროვი (1883-1939) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის კადრის სამხედრო მოსამსახურე, საბჭოთა კომანდარმი. I მსოფლიო ომის მონაწილე. მეფის არმიის პოლკოვნიკი, პოლკის მეთაური. 1917 წლის დეკემბრიდან წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის აგვისტოდან რუსეთის სამოქალაქო ომში მუშურ-გლეხური წითელი არმიის სხვადასხვა შენაერთების, არმიებისა და ფრონტების სარდალი. საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომში – სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი. სამოქალაქო ომის შემდეგ კიევისა და პეტროგრადის სამხედრო ოლქების სარდალი. 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალი.

[2] Какурин Н. Е. Как сражалась революция. Т. 2. — М.: Политиздат. 1934. Стр. 135.

მოწინააღმდეგის მცირერიცხოვანი ძალები. ჩემს მიერ გამოცემული დირექტივის შესრულებისათვის ვბრძანებ:

1. ამა წლის 27 აპრილს მე-11 არმიის სარდალი გადავიდეს აზერბაიჯანის საზღვარზე და სწრაფი შეტევით დაეუფლოს ბაქოს გუბერნიის ტერიტორიას. იალმა–ბაქოს ოპერაცია დასრულდეს 5 დღიან ვადაში. გაგზავნილ იქნას ცხენოსანი რაზმი რკინიგზის ხაზის დასაკავებლად ქურდამირის რაიონში;
2. ფლოტის მეთაურმა რასკოლნიკოვმა[1] მე-11 არმიის აფშერონის ნახევარკუნძულთან მიახლოებისას, განახორციელოს სადგურ ალიათის რაიონში მცირე დესანტის გადასხმა, რომელიც გადაცემულ იქნება მე-11 არმიის სარდლის განკარგულებაში. ფლოტის საშუალებების სწრაფი დარტყმით დაეუფლოს ბაქოს და არ დაუშვას ნავთობსარეწების დაზიანება".

23 აპრილს ამოცანა დაზუსტდა – „მე-11 არმიის საბოლოო ამოცანად ჩათვალეთ არა მხოლოდ ბაქოს გუბერნიის, არამედ მთელი აზერბაიჯანის ტერიტორიის დაუფლება".[2]

1920 წლის 27-28 აპრილის ღამეს მე-11 არმიის მეწინავე ნაწილები ომის გამოუცხადებლად კვეთენ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ საზღვარს და 28 აპრილსვე ახდენენ ბაქოს ოკუპაციას.[3]

მე-11 არმიის წინსვლა ამიერკავკასიაში ამით არ დასრულებულა. აზერბაიჯანის უსწრაფესმა და ფაქტობრივად უსისხლო ოკუპაციამ ფრთები შეასხა კავბიუროს ხელმძღვანელებს. ქვედანაყოფებმა გააგრძელეს სვლა დასავლეთისაკენ და საქართველოსა და სომხეთის საზღვრებს მიუახლოვდნენ. ისე ჩანდა, რომ ამ რესპუბლიკების გასაბჭოება უკვე უახლოესი მომავლის საკითხი იყო.

კავბიუროსა და პირადად ორჯონიკიძის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს გასაბჭოების მიზნით დაუყოვნებლივ დაწყებულიყო საომარი მოქმედებები, რისთვისაც მე-11 არმიის მარჯვენა ფლანგის შენაერთებმა უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან მოიყარეს თავი. ორმა ჯავშანმატარებელმა და პიოტრ კურიშკოს[4] მე-18

---

[1] ფიოდორ ფიოდოროვიჩ რასკოლნიკოვი (1892-1939) – რუსი და საბჭოთა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწერალი და ჟურნალისტი. რსდმპ წევრი 1910 წლიდან, ბოლშევიკი. 1912-1914 წლებში გაზეთების „Звезда" და „Правда" ლიტერატურული თანამშრომელი. I მსოფლიო ომის პერიოდში გარდემარინების კლასების მსმენელი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ კრონშტადტის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. ოქტომბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე. 1917 წლის ბოლოდან საზღვაო გენერალური შტაბის კომისარი, 1918 წლის გაზაფხულიდან ტროცკის – სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე საზღვაო საკითხებში. 1918 წლის 23 აგვისტოდან ვოლგის სამხედრო ფლოტილიის სარდალი. 1918 წლის შემოდგომიდან რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი. 1919 წლის 10 ივნისიდან ასტრახანი-კასპიის ზღვის ფლოტილის სარდალი, იმავე წლის ივლისიდან ვოლგა-კასპიის ზღვის ფლოტილიის სარდალი. მონაწილეობდა ცარიცინის დაცვასა და ენზელის საზღვაო დესანტის ორგანიზებაში. 1921 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა.

[2] Исторический альманах. Лабиринт времени. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации" Закавказья. http://www.hist.ru/ kavbolsh. html.

[3] Азербайджан. Историческая хронология. http://www.azerbaijans.com/content_412_ru.html.

[4] პიოტრ ვასილევიჩ კურიშკო (1888-1921) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მეთაური. I მსოფლიო ომის მონაწილე. მეფის არმიის ყოფილი უნტერ-ოფიცერი. I მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. ოქტომბრის გადატრიალების ტანასოფლელებისაგან ჩამოაყალიბა საბრძოლო რაზმი, რომელიც მალე შევიდა ბოლშევიკთა წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის დასაწყისიდან თეთრგავდიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში თავისი რაზმით იბრძოდა ჯერ დონის წითელი მე–2 პოლკის, შემდეგ კი, დიმიტრი ჟლობას ე.წ. „რკინის დივიზიის" შემადგენლობაში დაზვერვის უფროსად. 1918 წლის ბოლოს ჟლობას დივიზიის ფაქტობრივი განადგურების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისიდან მის მიერ ცარიცინში ორგანიზებული წითელი მე-10 არმიის ცხენოსანი პოლკის, შემდეგ კი, ბრიგადის მეთაურია. იბრძვის ცარიცინისა და მანიჩის მიმართულებებზე. 1920 წლის 23 მარტიდან 1920 წლის 2 ივნისამდე და 1920 წლის 26 ივნისიდან 1921 წლის 18 თებერვლამდე, ინიშნება მე-11 წითელი

საკავალერიო დივიზიამ მიიღეს ბრძანება შაქი-ზაქათალა-ლაგოდეხის მიმართულებაზე საბრძოლო მარშის განხორციელების შესახებ. განისაზღვრა მთავარი დარტყმის მიმართულებაც – ფოილოსა და წითელი ხიდები. აზერბაიჯანის ადვილი დაპყრობით ფრთაშესხმულმა კავკასიის ფრონტის სარდლობამ მითითება მისცა მე-11 არმიის სარდალს, მიხაილ ლევანდოვსკის[1], სასწრაფოდ შეჭრილიყო საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დაუყოვნებლივ იქნა მოყვანილი სისრულეში მაისის პირველ რიცხვებში.[2]

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საქართველოს მთავრობისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბოლშევიკთა ეს მოქმედებები და იგი აბსოლუტურად მოუმზადებელი დახვდა აგრესიას. შესაბამისად, ბოლშევიკებმა სადახლო–წითელი ხიდის მიდამოებში გარკვეულ ტაქტიკურ წარმატებასაც მიაღწიეს. „საქართველოს შემთხვევშიც უსწრაფესად იგივე განმეორდება, რაც აზერბაიჯანის შემთხვევაში იყო" – წერდნენ 1920 წლის 4 მაისს ორჯონიკიძე და კოსტრიკოვ-კიროვი ლენინს. და იმავე დღეს სტალინთან გაგზავნილ მეორე ტელეგრამაში ვკითხულობთ: „მოვლენები ისე ვითარდება, რომ არაუგვიანეს 12–ისა ვიმედოვნებთ ვიყოთ თბილისში. ამისათვის ყველაფერი მომზადებულია. ყველაფერი ბრწყინვალედ შესრულდება".[3]

მაგრამ ამჯერად, აზერბაიჯანის მსგავსად, „ბრწყინვალედ შესრულება" არ გამოვიდა. „ამხანაგმა სერგომ" ნამდვილად იჩქარა – არ გამართლდა მისი და კავბიუროს იმედები საქართველოს უსწრაფესი ოკუპაციის შესახებ.

ჩვენ არ მოვყვებით რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის პირველი ომის სამხედრო ოპერაციებისა და საბრძოლო მოქმედებების აღწერას, რამეთუ ეს საკითხები სცილდება ჩვენი ნაშრომის თემას. ძალიან მოკლედ ვიტყვით, რომ ქართულმა მხარემ არა თუ მოიგერია ბოლშევიკთა შემოტევა, არამედ კონტრშეტევაზეც გადავიდა და ოპერატიული უპირატესობაც მოიპოვა. ბოლშევიკებმა წითელი ხიდიდან დიდი დანაკარგებით სწრაფად დაიხიეს უკან, რაც მალე პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი კვინიტაძე – „ვბრძანე გაეგრძელებინათ უკან დახეული მტრის დევნა. რამდენიმე დღის განმავლობაში მტრის ყოველდღიური მარცხის ცნობა მომდიოდა; მეორეს მხრივ, ჩვენი ნაწილები მართლაც წინ მიიწევდნენ... მტრის ტერიტორიაზე მის ღრმად შეჭრაც მაფიქრებდა, ამ რაზმს მხოლოდ მთისწინეთამდე მისვლა ვუბრძანე. ეს ზოლი ჩვენი საზღვრიდან 20-25 ვერსში იყო და ზოგიერთმა ნაწილმა საზღვრის გადალახვის შემდეგ 4-5 დღეში მიაღწია".[4]

არმიის მე-18 საკავალერიო დივიზიის მეთაურად. მონაწილეობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების ოკუპაციაში. მოკლულ იქნა 18 თებერვალს დედოფლისწყაროსთან გამართულ ბრძოლაში რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში.

[1] მიხაილ კარლოვიჩ ლევანდოვსკი (1890-1938) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული პოლონელი. მეფის არმიის ყოფილი შტაბს-კაპიტანი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იკავებს ბოლშევიკთა მხარეს 1917 წლის გაზაფხულზე გენერალ კორნილოვის გამოსვლების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. 1918 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძვის წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილების შემადგენლობაში. 1919 წლის ბოლოს ინიშნება დივიზიის მეთაურად. 1920 წლის დასაწყისიდან მესამე ფორმაციის მე-11 წითელი არმიის პირველი სარდალი. 1920 წლის ივლისიდან 1921 წლის მაისამდე მე-9 არმიის სარდალი, მე-2 რანგის კომანდარმი. დახვრეტილ იქნა 1938 წელს ტროცკისტული ჯგუფის წევრობისა და ფაშისტური შეთქმულების ბრალდებით.

[2] Ленин В.И. ПСС. Т. 51. Стр. 424.

[3] Исторический альманах. Лабиринт времени. Особая папка. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „Советизации" Закавказья. http://www.hist. ru/ kavbolsh.html.

[4] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 221.

არასახარბიელოდ ვითარდებოდა მოვლენები ბოლშევიკთათვის საომარ მოქმედებათა სხვა თეატრზეც, კერძოდ რუსეთ-პოლონეთის ომში. აპრილის ბოლოს, ორკვირიანი წარმატებული შეტევითი მოქმედებების შედეგად პოლონელებმა წინ წაიწიეს 200-300 კმ-ზე. 7 მაისს პოლონური შენაერთები სემიონ პეტლიურას უკრაინული ნაწილების მხარდაჭერით კიევში შედიან, ორ დღეში კი, მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირზე 15 კილომეტრიანი სიღრმის პლაცდარმსაც ქმნიან...[1]

თუმცა, ჟორდანიასა და მისი სოციალისტი თანაპარტიელების დემოკრატიულ-პაციფისტური იდეოლოგიის გამო, მოპოვებული სამხედრო წარმატების შესაბამისი რეალიზაცია და მისი დიპლომატიური გაფორმება არ მოხდა. სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა ვერ მოხერხდა... „ასე რომ, ჩვენმა დიპლომატიამ კვლავ ვერ მოახერხა იარაღით მოპოვებული წარმატების გამოყენება, ვერც მოწინააღმდეგის არასახარბიელო მდგომარეობით ისარგებლა" – აღნიშნული მოვლენების შესახებ გულისტკივილით წერდა შემდგომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი კვინიტაძე.[2]

ბოლშევიკები ამ პერიოდში მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ერთის მხრივ, დასავლეთის ფრონტზე პოლონელთა მიერ მიღწეული დიდი გამარჯვება და კიევის დაკავება, და მეორეს მხრივ, ქართველთა მიერ წარმატებით მიმდინარე კონტრშეტევითი მოქმედებები ყაზახი-განჯას მიმართულებაზე. ყოველივე ამას კი, თუ გენერალ ვრანგელის მიერ უკვე ყირიმიდან დაწყებულ შეტევით მოქმედებებსაც დავუმატებთ – მაშინ გასაგები ხდება, რომ 1920 წლის მაისის დასაწყისში „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" ბედი მართლაც „ბეწვზე ეკიდა".

ქართული ნაწილების მიერ განხორციელებული დევნის ოპერაცია გრძელდებოდა და ამ მომენტში, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბოლშევიკებმა თავიანთი მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს. მათ დიპლომატიურ მანევრს მიმართეს – საქართველოსთან მიმართებაში სამხედრო კონფლიქტის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას შეეცადნენ. სასწრაფოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველოს წარმომადგენელთან მიმდინარე მოლაპარაკებები დასრულებულიყო, შეწყვეტილიყო საბრძოლო მოქმედებები და დადებულიყო სამშვიდობო ხელშეკრულება – „მოსკოვში გადაწყვიტეს, რომ საქართველოს „სოვეტიზაცია" გადადებულიყო. რკპ(ბ) ცეკას პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება „დაუყოვნებლივ გაგზავნილიყო ტელეგრამა ორჯონიკიძის სახელზე საქართველოს თვითგამორკვევის აკრძალვაზე".

„ცეკა გავალდებულებთ" – ნათქვამი იყო 5 მაისს გაგზავნილ ტელეგრამაში, – „გამოიყვანოთ ჯარები საქართველოს საზღვრებიდან და თავი შეიკავოთ შეტევითი მოქმედებებისაგან. ტიფლისთან მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ცხადი ხდება, რომ საქართველოსთან მშვიდობის დამყარება გამორიცხული არ არის...".[3]

საპასუხო ტელეგრამაში ორჯონიკიძე ვერ მალავდა თავის დიდ იმედგაცრუებას: „მე გაოგნებული ვარ იმით, თუ როგორ უჯერებთ გეგეჭკორის ცრუ დაპირებებს... ჩვენ ყველანი, მომაკვდავი ქართული მენშევიზმის გადარჩენას გამოუსწორებელ შეცდომად ვთვლით, მაგრამ დარწმუნებულნი იყავით, რომ ყველა თქვენი განკარგულება ზედმიწევნით ზუსტად შესრულდება... ჩემის აზრით, თუ შექმნილი საერთაშორისო ვითარების გამო უნდა

---

[1] The Rebirth of Poland. University of Kansas, lecture notes by professor Anna M. Cienciala, 2004. Retrieved 2 June 2006.

[2] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 229.

[3] Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0.Ленин В.И. ПСС. Т. 51. Стр. 191.

წავიდეთ ამ კომედიაზე, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოვითხოვოთ მათგან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება...”[1]

აქ კი ნამდვილად საღად აფასებდა „ამხანაგი სერგო” შექმნილ მდგომარეობას. დიახ, მისი ხედვით, საქართველოს მომავალი გასაბჭოების გზაზე სწორედ შიგნიდან უნდა მომხდარიყო ბოლშევიკების მიერ სახელმწიფოს აფეთქება, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში ჯერ ბოლშევიკთა საქმიანობის ფართო ლეგალიზება უნდა მომხდარიყო, დანარჩენი კი, შემდეგ გამოჩნდებოდა... საჭირო იყო ბოლშევიზმისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში, რათა შექმნილიყო ის „მეხუთე კოლონა”, რომელიც ინტენსიურად იმუშავებდა ქართული სახლმწიფოს წინააღმდეგ, დაასუსტებდა მას, შესაბამის ნიადაგს მოამზადებდა მისი გასაბჭოებისათვის და საჭირო დროს აიღებდა ხელისუფლებას ხელში. შემდეგ კი „მშრომელთა მასების” მოთხოვნით გამოაცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას. არა აქვს იმას მნიშვნელობა, ამ აქტს ხუთი კაცი განახორციელებდა, ასი თუ ათასი. მთავარია გამოცხადებულიყო, შემდეგ კი უკვე მოძლიერებული წითელი არმია შემოვიდოდა და მიხედავდა საქმეს საქართველოში თავისი „მეორედ მოსვლისას”.

კრემლის ოდეოლოგებიც ასე ფიქრობდნენ ალბათ, რადგან ისინი ძალიან მშვიდად შეხვდნენ მე-11 არმიის შენაერთების სასტიკ მარცხს და ქართულ მხარესთან სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის ფორსირებაზე გადავიდნენ. როგორც ჩანს, კრემლში უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ მთავარი მოთხოვნა, რაც რუსული მხარის მიერ მიმდინარე მოლაპარაკებებზე იქნებოდა წარდგენილი ქართული მხარისათვის, ბოლშევიკთა საპატიმროებიდან გამოშვება და საქართველოში მოქმედი ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუნქციონირების ლეგალიზება იქნებოდა. საქართველოსათვის სამწუხაროდ, კრემლის მიერ ძალიან კარგად გათვლილი საქართველოს გასაბჭოების ახალი სცენარის ძირითადი თეზისები უკვე დაწერილი იყო.

აფხაზეთში მოქმედი „მეხუთე კოლონის” იდეოლოგიურ შტაბს კი, აფხაზეთის სახალხო საბჭოში არსებული ე.წ. ფრაქციონერთა ჯგუფი წარმოადგენდა. საბჭოს მუშაობაში განხეთქილების შეტანითა და პარალიზებით ამ ჯგუფის წევრებს აშკარად ძირგამომთხრელი, პრორუსული და პროსაბჭოური პოზიციები ეკავათ. ამ ე.წ. „ოპოზიციონერების” მუდმივად პროვოკატორული და დესტრუქციული საქმიანობა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა იმდროინდელი აფხაზური საზოგადოებისთვისაც. გაზეთი „Наше слово” თავის 1920 წლის 29 ოქტომბრის ნომერში წერდა: „აფხაზეთის სახალხო საბჭოში არსებულ ოპოზიციას, რომელიც არამდგრადი და დაქუცმაცებულია, და რომელიც კომიკურად მრავალფეროვან ფრაქციებს შეიცავს, უნარიანად ვერ მიჰყავს თავისი საქმეები, რისთვისაც არა გვგონია, რომ აფხაზეთმა მადლობა გადაუხადოს.

უკვე ორი წელია რაც იგი არსებობს, მაგრამ არ გააჩნია ერთიანი გეგმა, განსაზღვრული ამოცანები, თავისი არსით კი სრულიად არაერთგვაროვანია. ეს უკანასკნელი კი მას ასუსტებს რეალური პოლიტიკის კეთებისათვის.

კონფლიქტების შექმნით, ხშირი და პოლიტიკურად არასერიოზული გამოსვლებით, ოპოზიცია ძირს უთხრის ავტონომიური აფხაზეთის სიძლიერეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი, იგი აფხაზეთის ერთიანი საკანონმდებლო წარმომადგენლობის – სახალხო საბჭოს ორგანიზმს არყევს.

სასარგებლოა თუა არა ეს აფხაზეთისათვის, ამაზე ფიქრობს ოპოზიცია? იმაზე თუ უფიქრიათ, რომ კაბინეტის გადასდგომა და ამასთან, შესაბამისი კანდიდატების არყოლა,

---

[1] Исторический альманах. Лабиринт времени. Особая папка. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации” Закавказья. http://www.hist. ru/ kavbolsh.html.

პოლიტიკური ბავშვობაა? ამას მართლაც პოლიტიკურ ბავშვობას დავარქმევდით ჩვენც, რომ პოლიტიკით ეს თამაში არ ეხებოდეს იმ ხალხის კეთილდღეობას, რომელმაც ისინი გამოაგზავნა აქ თავისი ინტერესების დასაცავად.[1]

ორჯონიკიძის ტელეგრამის პასუხად, მეორე დღესვე, უკვე პირდაპირ ხაზზე საუბრისას სტალინი შეეცადა დაემშვიდებინა სერგო: „...რასაც შენ საქართველოს მთავრობის შესახებ ამბობ, აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ საქართველოსთან აჩქარება მისი გასაბჭოების მიზნით, არ შეგვიძლია. სულ ერთია, რამდენიმე თვეში თუ კომუნისტები ლეგალიზებულნი იქნებიან, იგი ისედაც საბჭოთა გახდება, სხვა გზა მას არა აქვს". შემდეგ კი ასეთ დარიგებებს აძლევს ამხანაგ სერგოს: „დაარწმუნეთ საქართველოს სასაზღვრო ნაწილები და საქართველოს შიგნით მოქმედი სხვა მეამბოხეები ნუ იჩქარებენ გამოსვლებს და შეინახონ თავისი ძალები უახლოესი მომავლისათვის".

„12 მაისისათვის თბილისის დაკავების შესახებ" კი, სტალინის პასუხი ასეთი იყო: „ჩვენს პოლიტიკასთან აბსოლუტურად შეუთავსებელია".[1]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კრემლის მიერ ქართული მხარისათვის გაკეთებულ იქნა შეთავაზება საბრძოლო მოქმედებების სასწრაფოდ შეჩერების შესახებ. და რაც მთავარია, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების დასრულებისა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ. და ეს იყო ის შეთავაზება, რაზეც საქართველოს მთავრობა უარს არ და ვერ იტყოდა. აკი ამისათვის იყო წარგზავნილი ბატონი გრიგოლ ურატაძე მოსკოვში, სადაც იგი უშედეგოდ ცდილობდა როგორმე გაერღვია კრემლის დახშული კარები. დიახ, „სამშვიდობო მოლაპარაკებები" სწორედ ის სატყუარა იყო, რომელსაც აუცილებლად წამოეგებოდა საქართველოს „დემოკრატიული" მთავრობა. აკი, წამოეგო კიდეც. მოლაპარაკებების, მიტინგების, კონფერენციების, სხდომების, აღლუმებისა და ათასგვარი პარტიული თუ საზოგადოებრივი თავყრილობების გამართვა იყო ქართველ მენშევიკთა საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მომენტი და ის სუსტი წერტილი, რომელსაც ისინი არასოდეს არ და ვერ ღალატობდნენ. მათი ორგანიზებისათვის ისინი ყოველთვის მზად იყვნენ. მსგავსი სახის თავყრილობების მიმართ რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულსა და ლტოლვას განიცდიდნენ ქართველ მენშევიკთა იდეოლოგიური მამები.[2]

ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები არ უნდა გამართულიყო. რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება და თანაცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და დიპლომატიური ქმედებებით უნდა დარეგულირდეს – ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მით უმეტეს, როცა საუბარი საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე, სახელმწიფოთა ურთიერთცნობასა და მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზეა.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტები თუ ომები, ბოლოსდაბოლოს სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდასთან სრულდება. მაგრამ აქ, მთავარი მომენტი ისაა, რა პარიტეტები იქნება დაცული, რამდენად სამართლიანად იქნება გადწყვეტილი ომისა და მშვიდობის საკითხები. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში, მოსკოვის მოთხოვნით ქართული ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც

---

[1] „Наше слово''. Пятница №241 (701). 29 Октября 1920 года. Стр. 3.

[1] Исторический альманах. Лабиринт времени. Особая папка. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации" Закавказья. РЦХИДНИ -ф. 558, оп. I, д. 1621, л. I). http://www.hist.ru/kavbolsh. html.

[2] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 241.

წარმატებული სამხედრო მოქმედებების შედეგად რამდენიმე ათეული კილომეტრით იყვნენ შეჭრილნი საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, უკან, ისევ წითელი და ფოილოს ხიდის რაონებში იქნენ დაბრუნებულნი. და საქართველოს „დემოკრატიული", „პაციფისტური" მთავრობა მოსკოვის ამ მოთხოვნას დაეთანხმა, უსიტყვოდ დაემორჩილა – გამარჯვებულმა დამარცხებულს დაუთმო.

„...და ისტორიაში ალბათ პირველად მოხდა ასეთი რამ: კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე არმია უარს ამბობს ლამაზ გამარჯვებაზე. მას ხომ აღარაფერი აღარ უშლიდა ხელს, სრული გამარჯვებისათვის მიეღწია! ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებულმა არმიამ უკან დაიხია. მტერი დაამარცხა, მაგრამ თვითონ უკან დაიხია".[1] ეს სტრიქონები კი, ფრანგ ოფიცერსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ამ მოვლენების თვითმხილველს, რაიმონ დიუგეს (Raymond Duguet) ეკუთვნის, რომლის წიგნიც სათაურით "Moscou et la Georgie martyre" („მოსკოვი და წამებული საქართველო"), 1927 წელს გამოიცა პარიზში.

ქართული მხარის გადაწყვეტილებას საომარი მოქმედებების შეჩერების შესახებ განსაკუთრებით მთავარსარდალი, გენერალი კვინიტაძე განიცდიდა. მან, როგორც პროფესიონალმა სამხედრომ და სტრატეგოსმა, კარგად უწყოდა, რომ საომარი მოქმედებების გაგრძელებას მხოლოდ ბოლშევიკთა ლოკალური მარცხი კი არა, არამედ მათი ამიერკავკასიიდან და შავიზღვისპირეთიდან მათი მთლიანად გაძევება მოჰყვებოდა შედეგად. ამისათვის ქართულ მხარეს შესაბამისი ძალებიც გააჩნდა და შესაბამისი საშუალებებიც; და რაც მთავარია – შესაბამისი საბრძოლო სულისკვეთებაც. საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების შესაბამისად, აზერბაიჯანის კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებთან ერთად ერთობლივი საომარი მოქმდებების შემთხვევაში, ძალთა ბალანსი აშკარად ქართულ-აზერბაიჯანული ალიანსის მხარეს იქნებოდა.

მოსკოვის დიპლომატიურ ფრონტზე მიმდინარე პროცესები კი, ელვისებურად განვითარდა. 6 მაისს კრემლში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებები სასწრაფოდ დასრულდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მოსკოვმა ოფიციალურად, დე იურე და დე ფაქტო სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და სახელმწიფო საზღვრები. მეტად საინტერესო შეფასება აქვს მოცემული ამ ხელშეკრულების შესახებ თვით გრიგოლ ურატაძეს – „ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სახელმწიფო აღიარებდა თავისი ტერიტორიების ნაწილის დამოუკიდებლობას უფრო ადრე, ვიდრე ამას სხვა ქვეყნები გააკეთებდნენ".[2] ამ თვალსაზრისით, დიპლომატიის ისტორიაში მართლაც უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პუნქტები და საკითხები უამრავი ქართველი თუ უცხოელი ავტორის ათეულობით ნაშრომშია განხილული და გაანალიზებული. ამიტომ ჩვენ ამ ხელშეკრულების მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მომენტებს გავუსვამთ ხაზს და ამ საქმეში პროფესორ ვახტანგ გურულის ნაშრომს დავეყრდნობით.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან შედგება. ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გრ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს კიდევ ერთ დოკუმენტს – „რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატება", რომელიც

---

[1] Раймонд Дюге. „Москва и мученическая Грузия". Париж. газета „Тетри Гиорги". №4, 1927. Издательство GCI. Тбилиси. 1994г. http://scara.gov.ge/en/2010-03-17-12-47-30/history/82-l---r.html.

[2] Г. Уратадзе. Общественное движение в Грузии в 1821-1921 гг., Париж, 1939, стр. 179.

ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, 1920 წლის 12 მაისს, ხელმოწერილი იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – „რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება", რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული....[1]

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების პირველი მუხლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: „Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кой принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле..."[2]

მოლაპარაკებების პროცესში რუსეთს საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრეტენზიები არ წამოუყენებია. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით განისაზღვრა და იგი სწორედ შავიზღვისპირეთის ზონაში გამავალი სასაზღვრო ხაზის აღწერით იწყებოდა:

„Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и гору Аганета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Арменией".[3]

რა თქმა უნდა, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც დამატებითი რატიფიკაციის გარეშე შევიდა ძალაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და დიპლომატიური აქტი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ამ ხელშეკრულების ძალით ყოფილი მეტროპოლია იურიდიულად სცნობდა ყოფილი კოლონიის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს გარემოება კი, უდავოდ განამტკიცებდა საქართველოს საშინაო თუ საგარეო პრესტიჟს, აადვილებდა მისი სუვერენიტეტის საერთაშორისო ცნობა-აღიარების პროცესს.

როგორც ვხედავთ, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მე-3 მუხლის I პუნქტის თანახმად, აფხაზეთის რეგიონში ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი მდინარე ფსოუზე, ახახჩასა და აგანეთას მთებზე გავიდა.[4] საბჭოთა რუსეთმა დე-ფაქტო და დე-იურე აღიარა აფხაზეთი როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი.

---

[1] ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი). http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf..

[2] ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი. 2011. გვ. 90.

[3] დასახელებული ნაშრომი. გვ. 91.

[4] სცსსა. ფონდი 1961, ანაწერი 2, საქმე 20, ფურცელი 23.

§10. ბოლშევიკთა „მეხუთე კოლონა” საქართველოში – ახალი საფრთხეები

1920 წლის მაისის შუა რიცხვებში შავიზრვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტმა დატოვა თავისი შტაბი მაღალმთიან დალახლებულ პუნქტში და სოჭში ჩამოვიდა. ბოლშევიკთა მიერ დეკლარირებული ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპების მოთხოვნათა საფუძველზე, კომიტეტის სათავეში მდგარი ესერები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა სარდლობა მათ ხელში დატოვებდა სოჭის ოლქს და საშუალებას მისცემდა გაეგრძელებინათ მოლაშქრეთა ფორმირებისა და ავტონომიური თვითმმართველობის პროცესი. ერთობ გულუბრყვილოები აღმოჩნდნენ სოჭელი ესერები. მათ არ იცოდნენ, რომ ლენინის მიერ გამოცხადებული მმართველობის დემოკრატიული პრინციპები მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ხრიკს წარმოადგენდა და დემოკრატიული პროცესების პრელუდია უკვე დიდი ხანია დასრულებული იყო. იწყებოდა პროლეტარიატის დიქტატურის სისხლიანი ხანა.

სოჭის ოლქის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოსვლისთანავე, კომიტეტის წევრებისა და სახალხო ლაშქრის წევრების დევნა დაიწყო. მუშათა და გლეხთა ყრილობის მრავალი დელეგატი დააპატიმრეს. მწვანეთა სახალხო ლაშქრის მეთაურთა ნაწილი კი, დახვრიტეს. მაგალითად, ხოსტისა და კუდეფსტის რაზმების მეთაურები ბლოხნინი და ვერხოიარნი. ასევე დახვრიტეს მოლაშქრეთა „ვოენსპეცები” როშჩენკო და სკობელევი.[1]

შექმნილი მდგომარების შეფასების შემდეგ, ხოსტის, ადლერისა და ახშტირის რაიონების გლეხობამ, რომლებიც ტრდიციულად შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტსა და შავი ზღვის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას უჭერდნენ მხარს, 1920 წლის 17 ივნისს გამართულ გლეხთა წარმომადგენლობით შეკრებაზე შემდეგი შინაარსის რეზოლუცია მიიღეს:

„ახალი ხელისუფლების ბრძანებებით, ცხადი ხდება, რომ ჩვენ, გლეხობა ისეთივე მდგომარეობაში უნდათ ჩაგვაყენონ, როგორშიც ვიყავით დენიკინის დროს.

დაპირებული პურის ნაცვლად, სურთ რომ ჩვენ, დენიკინისა და შკუროს მიერ გაპარტახებულ ხალხს, წაგვართვან უკანასკნელი სარჩო-საბადებელი.

ჩვენს სახალხო ლაშქარს, ისევე როგორც დენიკინის დროს, ახლაც ბანდას ეძახიან, ანიარაღებენ მის წევრებს და აიძულებენ ისევ უკან, მთებში წასვლას.

ყოველივე ზემოთქმულს სხვა ვერაფერს ვერ ვუწოდებთ თუ არა ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ძალადობას. მათი მოქმედებებისა და საქციელის გამო, დაგვყავს მათ ცნობიერებამდე ის, რომ ბოლშევიკები, რომლებსაც ისინი ენდობოდნენ და იცოდნენ თითქოს ბოლშევიკთა საბჭოთა ხელისუფლება მათთვის, მშრომელი გლეხობის ინტერესებისათვის იყო მოსული, სრულიად არ ითვალისწინებს ჩვენს მდგომარეობას.

აქედან გამომდინარე, ზუსტად ისევე გვინდა მათი თავიდან მოშორება, როგორც ეს კადეტების დროს იყო”.[2]

---

[1] Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920 гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени. 2011. Вып. 8. АОАГС. Ф. Р-282. Оп. 2. Д. 85. Л. 83. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.

[2] Воронович Н. В. Меж двух огней. М., 1991. Стр. 334.

– ეს ოქმი სრულიად არაორაზროვნად მოწმობს შავიზღვისპირეთის გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობის იმ განწყობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მეტად ესერთა პროგრამა აწყობდათ, და რომლებსაც ადგილობრივი ავტონომიის მოწყობა ჰქონდათ დაწყებული,[1] – აღნიშნავს რუსი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოჭის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ალექსანდრ ჩერკასოვი თავის ნაშრომში „Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920 гг.): Формирование и боевые действия".

მიუხედავად 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისა, ბოლშევიკების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში მტრული დამოკიდებულება არ შეცვლილა. მათ მხოლოდ მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს და აქცენტები აგენტურულ მუშაობაზე, ღია თუ ფარულ პროვოკაციებსა და სხვადასხვა სახის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე გადაიტანეს. ამ თვალსაზრისით, საქართველოში მოქმედი ლეგალიზებული კომუნისტები სრულად ჩამოყალიბდნენ „მეხუთე კოლონად" – ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებისა და ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი აქტივობის შიდა ციტადელად. ქართული სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრისა და მისი დასუსტებისათვის მიღწევის გზაზე, ბოლშევიკთა მიერ სრულად იქნა ჩართული ღია თუ ფარული, ოფიციალური თუ არაოფიციალური, დაშვებული თუ დაუშვებელი, პირდაპირი თუ ირიბი საქმიანობის სრული სპექტრი. აბსოლუტურად ზუსტადაა გაშუქებული ბოლშევიკთა ეს პოლიტიკა და მოქმედებების სტრატეგია იმდროინდელ ქართულ სპეციალურ პერიოდიკაში. საქართველოს სამხედრო სამინისტროს პერიოდული ორგანო, ჟურნალი „მხედარი", 1920 წლის 25 ივლისის ნომერში წერდა:

„საქართველოს ბოლშევიკები, როგორც ეტყობა, არაფრით უწევენ ანგარიშს იმ ზავს, რომელიც დადებული გვაქვს საბჭოთა რუსეთთან და ადერბეიჯანთან. გვარწმუნებენ, რომ ისინი ვითომ მომხრე არიან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავს ანებებენ ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას. მაგრამ ეს არის სიტყვიერი რწმუნება. მათი საქმიანობა კი არ ეთანხმება მათ სიტყვებს.

ჩვენმა მთავრობამ მისცა ბოლშევიკებს ღია ასპარეზზე გამოსვლის ნება. ბოლშევიკებმა გამოუშვეს გაზეთები ქართულ და რუსულ ენაზე. ცდილობდნენ თავი-სუფალი სიტყვის საშუალებით გაეგებინებიათ ჩვენებური მუშა-გლეხებისავის და ჯარის კაცისთვის, რომ საქართველოს მთავრობა მტერია მშრომელი ხალხისა. ნამდვილი სამოთხე, ნამდვილი სოციალიზმი იქ არისო, – ეუბნებოდნენ მკითხველებს და უთითებდნენ საბჭოთა რუსეთზე.

მკითხველი არ უჯერებდათ. მკითხველმა იცის, რა კეთდება ჩრდილოეთის სამეფოში. არ უნდა, რომ აქ მოვიდეს რაც იქ არის. ბოლშევიკებმა მალე დაჰკარგეს იმედი ამ მკითხველზე. ამიტომ გაზეთები გადააქციეს მხოლოდ თავსაფარად და ამ თავსაფარ ქვეშ ისევ შეუდგნენ ძველ მუშაობას. დაიწყეს ისევ შიგნიდან ასაფეთქებელი მზადება. მათი მიზანია შინაური აჯანყების მოწყობა და მერე გარეშე ქვეყნიდან ჯარების მოწვევა მშრომელი ხალხის სახელით. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ ერიდებიან არც ქრთამს, არც მოსყიდვას, არც პროვოკაციას. ხარჯავენ უზომო ფულს გაჭირვებული მუშებისა და ჯარის კაცების გადასაბირებლად. გზავნიან შუამავლებს წრეებში და უთვლიან, მალე რევოლუციის მტრებს სასიკვდილოთ ამოვიღებთ ნიშანში და თუ გინდათ გადარჩეთ,

---

[1] Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920 гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени. 2011. Вып. 8. Стр. 44.

ახლავე შეიძინეთ ჩვენი პარტიის ბილეთებიო. ზოგიერთი შეშინებული გარბის ბოლშევიკების კომიტეტში და ეწერება წევრად – „თვითგადასარჩენ" ბილეთებს შოულობს.

გარეთაც მუშაობენ ჩვენს წინააღმდეგ. მეზობელი ქვეყნის ხალხში უნდათ სახელი გაუტეხონ ჩვენს რესპუბლიკას და ამის გულისთვის იგონებენ ათასნაირ ჭორებს... იქ სწერენ, რომ ვითომც აქ, ჩვენში, დახვრიტეს მუშების მიტინგის მონაწილეები 1 მაისს. ცხადია არაფერი არ ყოფილა ამისი მსგავსი".[1]

წითელი არმიის ნაწილების შავიზღვისპირეთში შემოსვლითა და მათი დენიკინელებთან დაპირისპირების ფონზე, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და არსებობის პირობები უკიდურესად გართულდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სოჭის ოლქის არარუსი მოსახლეობა აღმოჩნდა. და ეს არცაა გასაკვირი. მიუხედავად, 7 მაისის ხელშეკრულებისა, რუს ბოლშევიკთა მიერ ინტენსიური ანტიქართული რეპრესიების გატარება დაიწყო საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველების მიმართ. გაორმაგებული ძალით დაიწყო მათი დევნა, ძარცვა-გლეჯა და აწიოკება ერთის მხრივ დენიკინელთა, ხოლო მეორეს მხრივ, ბოლშევიკთა მიერ. დევნილ ქართველთა დიდმა ნაწილმა სოჭის ოლქის დატოვება და საქართველოს შიდა რაიონებისაკენ დაიწყო დენა. გაზეთი „სახალხო საქმე", ქართველ ფედერალისტთა ორგანო, იუწყებოდა:

„განუწყვეტლივი ურმების ქარავნები შემოდიან ქალაქში სოხუმის მხრიდან და საქართველოსკენ გზას განაგრძობენ. ესენი არიან სოჭის რაიონის ქართველი მცხოვრებნი, რომლებიც ათასობით აყრილან თავის ბუდიდან და მშიერ-მწყურვალნი, გაძარცვულნი და უნუგეშო, მოეშურებიან სამშობლოსაკენ ურმებით, ფეხით. კაცი, ქალი, ბავშვი, ყველა. თან მოაქვთ ყოველი საოჯახო წვრილმანი, მოერეკებიან თხას, ძროხას, ხბოს. საგრძნობელი ნაწილი უკვე გაძარცულია საქართველოს საზღვრებამდე ყაზახებისაგან".[2]

ბოლშევიკთა მიერ სოჭის ოლქის არარუსი მოსახლეობის დევნის ფაქტები რუსული საარქივო დოკუმენტებითაც დასტურდება. ასე მაგალითად, სოჭის რევკომის თავმჯდომარე, ლ. ფ. მოსკვიჩოვი თავის ტელეგრამაში ნოვოროსიისკის რევკომის თავმჯდომარის, ფუქსის სახელზე აღნიშნავდა, რომ ბერძენთა 600-ზე მეტმა ოჯახმა დატოვა საკუთარი სახლები და ისინი თავს სანაპიროსა და მახლობელ სოფლებს აფარებდნენ. მათი მთავარი მოთხოვნა კი საქართველოში ან ყუბანში წასვლის ნებართვის დაშვება იყო. მოსკვიჩოვი ამას მათი მეურნეობის სრული განადგურებით ხსნიდა, რომელსაც ისინი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში აშენებდნენ სოჭის ოლქში. აქვე აღინიშნებოდა ისიც, რომ თითოეულ ბერძნულ ოჯახს ჰყავს არანაკლებ 7 ბავშვისა, ხოლო ავადმყოფობა მათ რიგებში მასიურ ხასიათს იძენს. მაგრამ მხოლოდ ბერძნები არ ტოვებდნენ ოლქს. ამავე ტელეგრამაში ნათქვამი იყო, რომ 73 ქართული ოჯახი ასევე ითხოვდა ნებართვას სოჭის ოლქის დატოვებასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეშვებაზე.[3]

ზუსტადაა დახასიათებული ბოლშევიკთა ღია თუ შენიღბული მოქმედებების მთელი არსენალი, ზუსტი ანალიზია დადებული. და ეჭვიც კი შეგეპარება კაცს – ნუთუ ეს სიტყვები ცხრა ათეული წლის წინათაა დაწერილი? იმდენად ეხმიანება იგი დღევანდელობას. დღესაც ხომ იგივე მდგომარეობაა? დღესაც ხომ იგივე სტრატეგიით მოქმედებენ კრემლის სახელგამოცვლილი იმპერისტი ნეობოლშევიკები? დღესაც ხომ

---

[1] ს. დევდარიანი. დღევანდელი სინამდვილე – საქართველოს ბოლშევიკები. ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №8. 1920 წლის 25 ივლისი. გვ. 4.

[2] სოფლად და ქალაქად. ქ. ოჩამჩირე. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. 1920 წელი. ივნისის 1. №838. გვ. 3.

[3] Архивный отдел администрации города Новоросииска. (АОАГН). Ф. Р-5. Оп. 1. Д. 131. Л. 85.

ათასობით და ათასობით ქართველი იდევნება საკუთარი მიწა-წყლიდან, საკუთარი სახლებიდან?

ბოლშევიკთა ზემოთ მოყვანილი საქმიანობა, ცხადია, ქართული სახელმწიფოსათვის არ იყო დამალული და მისი შესაბამისი უწყებები ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას, მაგრამ გამოდიოდა რა საერთაშორისო შეთანხმების მოთხოვნათა დაცვის უზენაესობის პრინციპებიდან, საქართველოს მთავრობა მაინც ინდიფერენტული რჩებოდა ამ საკითხის მიმართ და ადეკვატური ღონისძიებების გატარებას ვერ ახერხებდა. საქართველოს მმართველი პოლიტიკური წრეები მაინც იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი და ბოლშევიკები პატივს სცემდნენ დადებულ ხელშეკრულებას და დაუშვებელ ზღვარს იქით არ გადავიდოდნენ.

წარმოდგენილი სქემის შესაბამისად, ბოლშევიკური შენაერთების შავიზღვისპირეთში შემოსვლით აფხაზეთის კომუნისტებიც აქტიურდებიან. ფოილო-წითელი ხიდის მიდამოებში დაწყებული საომარი მოქმედებების პარალელურად, გაგრაში 1920 წლის მაისის დასაწყიში იქმნება განახლებული რკპ(ბ)-ს ადგილობრივი ორგანო. საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე იგი მხოლოდ ქართველი და რუსი ეროვნების ბოლშევიკებისგან შედგებოდა.[1] ამ დროისათვის აფხაზეთის „ძველი რევკომელების" ხელმძღვანელი შემადგენლობა – ეშბა, ლაკობა და ათარბეგოვი ჩრდილოეთ კავკასიაში ახორციელებდნენ თავიანთ პარტიულ და რევოლუციურ საქმიანობას. ხოლო დანარჩენი რევკომელები, სევერიან კუხალეიშვილი, ნიკოლოზ სვანიძე და სხვანი, აფხაზეთის ბოლშევიკთა მიერ დაწყებული ახალი პროვოკატორული, ძირგამომთხრელი საქმიანობისა და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელებად მოგვევლინნენ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბოლშევიკთა აგიტაციას „კომუნისტური სამოთხის" შესახებ ცალკეულ შემთხვევებში მაინც მოჰქონდა შედეგი. ცალკეული ადამიანები მაინც ექცეოდნენ ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდის გავლენის ქვეშ და პრობოლშევიკურ პოზიციებს იკავებდნენ. და ეს არცაა გასაკვირი. საქართველო და ამიერკავკასია, ისევე როგორც მთელი პოსტიმპერიული სივრცე, უმძიმეს ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ კოლაფსში იმყოფებოდა. ამონარიდი ჟურნალ „მხედარის" 1920 წლის 4 ივლისის ნომრიდან:

„კომუნისტების სამოთხეში.

გაგრაში მობანაკე ქართველ ჯარის ნაწილიდან მაისის პირველებში 4 ქართველი ჯარის კაცი ბოლშევიკებისაკენ გადასულა. თვენახევრის შემდეგ კი ეს გაბრიყვებული ჯ.-კაცები ისევ მოსდგომიან ჩვენს საზღვარს და განუცხადებიათ:

– რაც გინდათ ის გვიყავით, ოღონდ უკან ნუ დაგვაბრუნებთ ბალშევიკებთანაო.

ეს ჯ.-კაცები საშინელს ამბებს გადმოგვცემენ ბოლშევიკების ყოფა-ცხოვრებისას.

მათ განუცხადებიათ: ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ „ბოლშევიკების სამეფოში სამოთხეაო", და ამან შეგვაცდინა. რაწამს იმათთან მივედით, იარაღი აგვყარეს, მთლად გაგვატიტვლეს და ძონძ-მანძები ჩაგვაცვეს. მერე სოფელ-სოფელ ჩამოგვატარეს საჩვენებლად და თან ხალხს უხსნიდნენ:

„აი ქართველი ჯ.-კაცები, დამშეულნი და ჩამოფლეთილი გადმორბიან ჩვენსკენაო. დღეში ნახევარ გირვანქა პურზე ვეყარენით, ისეთ გაჭირვებაში ჩავცვივდით. როცა დახმარება ვსთხოვეთ იქაურ ქართველებს, მათ ჩვენთან დალაპარაკებაც დაიზიზღეს და საქართველოს მოღალატეებს გვეძახოდნენ. მართალია შევცდით და დიდი დანაშაულობა

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 785-786.

ჩავიდინეთ სამშობლოს წინაშე, მაგრამ გადავწყვიტეთ მაინც დავბრუნებულიყავით და გვეედროთ მიგვიღეთ და სასჯელი შეგვიმსუბუქეთო".

გაგრაში მობანაკე ქართველ ჯარზე დიდი გავლენა მოახდინა ამ გაბრიყვებულ და მონანიებულ ჯ.-კაცთაგან გადმოცემულმა ამბავმა და საშინლად ააღელვა ბოლშევიკების წინააღმდეგ".[1]

გაგრელი კომუნისტების პირველი სხდომა 1920 წლის 8 ივნისს ჩატარდა. სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სოხუმის საოლქო კომიტეტის დადგენილების შესრულების მიზნით გაგრაში შექმნილიყო საბრძოლო რაზმი, რომელიც მოაწყობდა შეიარაღებულ აჯანყებას „წითელი არმიის საქართველოზე შეტევის დაწყებასთან ერთად". რაზმის მიზანს წარმოადგენდა „ქართველთა ფრონტის ზურგის მოშლა, აჯანყების დაწყების მომენტში ხელისუფლების ხელში აღება და და ამ გზით ქართველთა გაგრის ფრონტის ლიკვიდაცია".[2]

ამონაწერი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობიდან „ბოლშევიკები სოხუმის ოლქში":

„ამგვარად, რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგაც... სოხუმის ოლქის კომუნისტები აწარმოებდნენ აგიტაციას საქართველოს დემოკრატიული წყობილებისა და მისი მთავრობის წინააღმდე და ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. ამ სამუშაოს კომუნისტები აწარმობდნენ არალეგა-ლურად და ამავე დროს კავშირში იყვნენ გაგრის ფრონტზე გაშლილ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალებთან.

მთავარ მოქმედ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ:

1. ქალაქ სოხუმში – სოხუმის საოლქო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა დანარჩენ ორგანიზაციებს...
2. გაგრაში – გაგრის სამაზრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც სადაზვერვო მონაცემებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, აგიტაციებითა და პროპაგანდის წარმოებით ხრწნიდა ქართველ ჯარისკაცებს და ამით შლიდა ჩვენს ფრონტს, და
3. აფხაზეთში ავრცელებდნენ ხმებს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ, ურჩევდნენ აფხაზებს შეერთებოდნენ რუსეთს და ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას".[3]

ჩვეული იმპერიული ხელწერაა. 1918 წლის ბოლოდან ქალაქ სოჭში და სოჭის ოლქში მდგომარეობის დესტაბილიზაციისა და არევის მიზნით, იგივე ქმედებები თავის დროზე გენერალ დენიკინის აგენტურის მიერ ხორციელდებოდა, რაც ნაშრომის შესაბამის თავში ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით იყო ზემოთ დადასტურებული.

ბოლშევიკური აჯანყების დაწყება კი, 1920 წლის 27 ივნისისათვის იგეგმებოდა. ბოლშევიკური ოკუპაციის ჩვეული სქემის შესაბამისად, საქართველოს შიდა პროცესების დესტაბილიზაციისა და აჯანყების ორგანიზებისათვის რუსეთიდან მიღებულ იქნა 20 მილიონი მანეთი იარაღის შესაძენად. მაგრამ ამ ეტაპზე სოხუმელი ბოლშევიკების ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა. ქართულმა სახელმწიფომ შეძლო მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება – „სოხუმის ოლქში დაპატიმრებულ იქნენ კუხალეიშვილი,

---

[1] ჟურნალი „მხედარი". ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №6. 1920 წლის 4 ივლისი. გვ. 1.

[2] ჟურნალი „მხედარი". ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №6. 1920 წლის 4 ივლისი. გვ. 1. Архив политичеких партии. Тбилиси. Ф.14, оп.1, д.3, л. 1, 2об.

[3] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997.Стр. 464. სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 523, ფურცელი 5-6.

სვანიძე და სხვანი, რომელთაც აღმოაჩნდათ იარაღი და ასაფეთქებელი მასალა" – ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ დოკუმენტში.[1] ძველი ბოლშევიკი რევოლუციონერები და „აფხაზეთის რევკომის" წევრები, ნიკოლოზ სვანიძე და სიოვა კუხალეიშვილი მართალია დაპატიმრებულ იქნენ რესპუბლიკის სამართალდამცველთა მიერ, თუმცა ისინი მალევე იქნენ გამოშვებულნი.

1920 წლის სექტემბრის ბოლოსათვის წითელი არმიის მიერ მისი ჩვეული მეთოდებით შავიზღვისპირეთში საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული „შავიზღვისპირეთის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტი" და „მწვანეთა" სახალხო მოძრაობა. „შავი ზღვის სახალხო რესპუბლიკამ" თავისი ხანმოკლე არსებობის ისტორია დაასრულა. განთავისუფლების კომიტეტისა და გლეხთა „მწვანე არმიის" პარტიზანული რაზმების მეთაურთა ნაწილი საქართველოში იქნა ინტერნირებული (ძიძიგური, გვასალია, გურული, რაძევიჩი).[2] ნაწილი კი – ვორონოვიჩი და უჩაძე, საქართველოში შემოსვლის შემდეგ, მალე ემიგრაციაში წავიდნენ...

ეს უკვე მერამდენედ იქცა საქართველო რუსეთის სამოქალაქო ომის მსხვერპლთა და ლტოლვილთა თავშესაფრად.

რუსეთის სამოქალაქო ომი დასრულდა. ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, ხოლო გენერალი ანტონ დენიკინი, მისი მემკვიდრე, გენერალი პიოტრ ვრანგელი, „თეთრი მოძრაობის" პოლიტიკური ლიდერები და ოფიცერთა კორპუსის დიდი ნაწილი ემიგრაციაში გადაიხვეწნენ... ბოლშევიკთაგან დევნილ ლტოლვილთა დიდმა ნაწილმა კი ისევ საქართველოში ჰპოვა თავშესაფარი.

„თავდაცვის საბჭოს საიდუმლო სხდომის ოქმი №1

1920 წლის 9 ნოემბერი. სრულიად საიდუმლო.

თავმჯდომარე: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დამსწრენი: სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე,[3] სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ალ. დგებუაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე,[4] გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი საბახტარაშვილი, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ზაქარიაძე.

---

[1] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 464. სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 523, ფურცელი 2.

[2] Разгон И. „Орджоникидзе и Киров, и борьба за власть Советов на Северном Кавказе", 1917-1920 гг. М.-1941. Стр. 34.

[3] გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ორთოდოქსი მარქსისტი. ფილოსოფოსი, ლიტერატორი და პუბლიცისტი. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. საქართველოში გამომავალი გაზეთების, „ეკალისა" და „სოციალ-დემოკრატიული ფურცელის" რედაქტორი. თებერვლის რევოლუციის პერიოდში ბელგოროდის ოლქში გამომავალი ერობის სახალხო გაზეთის რედაქტორი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შეურიგებელი მოწინააღმდეგე და ბოლშევიზმის კრიტიკოსი. 1918 წლიდან საქართველშია და აგრძელებს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის მთავრობის წევრი. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, შემდეგ განათლების მინისტრი, 1920 წელს სამხედრო მინისტრი, და ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. მონაწილეობდა 1921 წლის მარტში ქუთაისში ბოლშევიკებთან გამართულ მოლაპარაკებებში, სადაც ბოლომდე იდგა პრინციპულ პოზიციაზე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა, დარჩა სამშობლოში, წერდა კრიტიკულ წერილებს. დახვრეტილ იქნა 1937 წელს.

[4] პარმენ ჭიჭინაძე (1881-1921) – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიით იურისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, 1920 წლის ბოლოდან – საქართველოს

მე-5 საკითხი – წებელდაში გადმოსულ ლტოლვილთა შესახებ.

დაადგინეს: ხსენებულ პირთ ნება მიეცეს სოფ. წებელდაში დაბანაკებისა. ამ საკითხის შესახებ დაწვრილებითი ინსტრუქციის შემუშავება დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს"[1]

თავდაცვის საბჭოს მეორე სხდომა 1920 წლის 11 ნოემბერს გაიმართა. ჩვენთვის საინტერესოა ორი, მე-4 და მე-5 საკითხი:

მე-4 საკითხი – თავდაცვის ფონდის დაარსების შესახებ, სადაც შეტანილ იქნა 2 მილიარდი მანეთი;

მე-5 საკითხი – „მდინარე ფსოუს რაიონის ნეიტრალური ზონის შესახებ". ამ საკითხის განხილვა და მოლაპარაკებების გამართვა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა.[2]

შავიზღვისპირეთში ბოლშევიკთა შემოსვლისა და გაგრის ზონაში არსებული დაძაბული მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის 1920 წლის 16 ნოემბერს გამართულ სხდომაზე დადგინდა: „...გაგრა და ბიჭვინთა მდინარე რიაპშამდე გამოიყოს გუდაუთის მაზრიდან და დაარსდეს გაგრა-ბიჭვინთა-ფსოუს სამხედრო რაიონი, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარება მთავრობას. ამ რაიონში დაინიშნოს მთავრობის საგანგებო კომისარი"...

ამავე გადაწყვეტი-ლების საფუძველზე გაგრის ზონაში ქართული გარნიზონის პირადი შემადგენლობის რაოდენობამ 1900–ს მიაღწია,[3] შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლად კი, 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალი დავით ართმელაძე დაინიშნა. თუმცა რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების უსაფრთხოების, თავდაცვის გაძლიერებისა და საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებისათვის საჭირო მთელი რიგი ღონისძიებები განუხორციელე-ბელი დარჩა. ხანგრძლივი მოქმედების თავდაცვითი პოზიციებისა და ზღუდის მოწყობა მდინარე მეხადირზე, საზღვრების შესაბამისი გამაგრება ვერ მოხერხდა.

თავდაცვის საბჭოს საიდუმლო სხდომის ოქმი №13.
1920 წლის 24 ნოემბერი.

მე-7 საკითხი – მოხსენება სამხედრო მინისტრის ამხანაგისა მდინარე მეხადირზე მყოფი ჯარებისათვის შენობების აგების შესახებ.

დაადგინეს: რადგან შესაძლებელია ჩვენი საზღვრის და სადარაჯო ნაწილების ახლო მომავალში მდინარე ფსოუზე გადაყვანა – შენობების აგებაზე ჯერ-ჯერობით უარი ეთქვას.[4]

ქართულმა სახელმწიფომ ფინანასური სიძნელეების გამო, ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მთელი რიგი სამხედრო სტრატეგიული ღონისძიებების გატარება ვერ შეძლო. ყოველივე ამან კი, ძალიან მალე, ბოლშევიკთა ახალი სამხედრო აგრესიის დაწყებასთან ერთად, თავისი უარყოფითი და საბედისწერო როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში აფხაზეთის ფრონტზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის ხასიათსა და შედეგებზე.

თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო სამხედრო მინისტრი. საქართველოში ბოლშევიკთა შემოსვლის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ წასულა. დაპატიმრებულ იქნა ბოლშევიკთა მიერ. გარდაიცვალა თბილისის ციხეში 1921 წელს.

[1] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 1.

[2] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 2.

[3] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 18, ფურცელი 8.

[4] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 15.

მანამდე კი, 1920 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს სახალხო გვარდიის შექმნის სამი წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან დაკავშირებით, სახალხო გვარდიის სამურზაყანოს სამაზრო ორგანიზაცია მილოცვის ადრესს უგზავნიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს:

„გალი. სამურზაყანოს მაზრის სახალხო გვარდიის ყრილობამ, შემდგარი ამა წლის 12 დეკემბერს, საქართველოს სახალხო გვარდიის დღე აღნიშნა. მოგესალმებით თქვენ, მთავარ ხელმძღვანელ ამხანაგებს. გისურვებთ მედგარ და ნაყოფიერ მუშაობას საერთაშორისო დემოკრატიისათვის. ყრილობას სწამს რომ საქართველოს დემოკრატია გაიმარჯვებს.

სამურზაყანოს მაზრის გვარდია, როგორც ნაწილი საქართველოს სახალხო გვარდიისა, ფიცსა სდებს თქვენს წინაშე წმინდათ და პირნათლად შეასრულოს წმიდა მოვალეობა და დაიცვას ჩვენი ქვეყანა მტრისაგან"...[1]

[1] ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". 12 დეკემბრის დღესასწაული. 1920 წლის 1 იანვარი. №2. გვ. 15.

ვალიკო ჯუღელი სახალხო გვარდიის შექმნის ორი წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმზე.
თბილისი, 1919 წლის 12 დეკემბერი

ვალიკო ჯუღელი (დგას მესამე რიგში მარჯვნიდან პირველი)
გვარდიის მეტყვიამფრქვევეთა ქვედანაყოფთან ერთად

გვარდიის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის ქვედანაყოფი. მეთაური გიორგი ლომთათიძე

ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე ვალოდია გოგუაძის (უჭირავს დროშა) ჯავშანმატარებლის ეკიპაჟთან ერთად

გვარდიელთა ცხენოსანი რაზმი. შუაში, თეთრ ცხენზე, ვალიკო ჯუღელი. 1920 წელი

სახალხო გვარდიის რაზმი გაგრაში. 1920 წელი.



გვარდიის საკავალერიო დივიზიონის მეთაური პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი

გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი სიმონ ხუხუნაიშვილი

სახალხო გვარდიის რაზმი

სახალხო გვარდიის რაზმი გაგრაში

სახალხო გვარდიის რაზმი მარშზე. აფხაზეთი, 1919 წელი

ლორდი ჯორჯ კერზონი (1859-1925)

ადმირალი სომერსეტ კელტორფი
(1864-1937)

ადმირალი ჯონ დე რობეკი
(1862-1928)

ბოლშევიკთა კავკასიის ფრონტის შტაბი. შუაში ს. ორჯონიკიძე და მ. ტუხაჩევსკი

ვლადიმერ გიტისი
(1881-1938)

მიხაილ ტუხაჩევსკი
(893-1937)

მიხაილ ლევანდოვსკი
(1890-1938)

მიხაილ ტუხაჩევსკი

მე-11 არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ: ს. კიროვი, მ. ლევანდოვსკი, კ. მეხანოშინი

სემიონ ბუდიონი
(1883-1973)

ნიკოლაი კაკურინი
(1883-1936)

იერონიმუს უბორევიჩი
(1893-1937)

ალექსანდრ ეგოროვი
(1883-1939)

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო
რევოლუციური საბჭოს წევრები სტალინი და ეგოროვი

მარცხნიდან მარჯვნივ: კიროვი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, ეფრემოვი, ლევანდოვსკი,
მეხანოშინი ბაქოში. 1920 წლის 28 აპრილი



ფელიქს ძერჟინსკი (1877-1926)

სტალინი და ძერჟინსკი

წითელი არმიის აღლუმი

გენერალი პიოტრ ვრანგელი

ადმირალი ალექსანდრ კოლჩაკი

ვასილი მოროზოვი (1888-1950)

ნიკოლაი ვორონოვიჩი (1887-1967)



Приказъ

Главнокомандующаго вооруженными силами Юга России.

№ 374.

Гор. Екатеринодаръ. 26 Февраля 1919 года.

§ 1.

Для пополненія рядовъ Добровольческихъ Армій приказываю призвать на службу въ Ставропольской и Черноморской губерніи и иногородныхъ въ Кубанскомъ и Терско-Дагестанскомъ краѣ военно-обязанныхъ (кромѣ иногородцевъ Ставропольской губерніи) призывовъ 1906, 1907, 1908 и 1909 годовъ (родившихся въ 1885, 1886, 1887 и 1888 г. г.).

§ 2.

Призывъ произвести на основаніяхъ, изложенныхъ въ моемъ приказѣ отъ 30-го октября 1918 года № 87, причемъ въ отношеніи предоставленія правъ на отсрочку для учителей руководствоваться моимъ приказомъ отъ 15-го декабря 1918 года № 294.

§ 3.

Первымъ днемъ призыва устанавливаю 15-го марта.

§ 4.

Одновременно съ призывомъ 1906—1909 г. г. призвать всѣхъ невзвившихся по какимъ либо причинамъ предшествующихъ призывовъ.

Подлинный подписалъ:
Генералъ-Лейтенантъ Деникинъ.

Съ подлиннымъ вѣрно:
Помощникъ Начальника Мобилизаціоннаго Отдѣленія,
Генеральнаго Штаба Полковникъ Мусіенко

(По Военному Управленію).
Мобилизаціонное Отдѣленіе.

Приказ о мобилизации в Добровольческую армию. 1919 г.

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამობილიზაციო ბრძანება

ევგენი კაზანსკი

ელენა სტასოვა (1873-1966)

ივან შევცოვი

მარშალი იუზეფ პილსუდსკი (1867-1935)

გენერალი სემიონ პეტლიურა (1879-1926)

1920 წლის 7 მაისი. მარშალი პილსუდსკი და გენერალი პეტლიურა კიევში

ბუდიონი და კალინინი.

1-ლი ცხენოსანი არმიის სამხედრო
რევოლუციური საბჭო. მარცხნიდან მარჯვნივ:
კ. ვოროშილოვი, ს. ბუდიონი, ე. შჩადენკო.

ეფრაიმ სკლიანსკი (1892-1925)

ფიოდორ რასკოლნიკოვი (1892-1939)

მარცხიდან მარჯვნივ: ა. მიქოიანი, ი. სტალინი და გ. ორჯონიკიძე.

მარცხიდან მარჯვნივ: მეორე გ. ორჯონიკიძე, მესამე ს. ბუდიონი, მეხუთე – ნ. ლაკობა.

მიტროპოლიტი ამბროსი



რაიმონ დიუგე

სპირიდონ კედია (1884-1948)

ლევ კარახანი
(1889-1937)

გრიგოლ ურატაძე
(1880-1959)

სილიბისტრო ჯიბლაძე
(1859-1922)

ნოე ხომერიკი

ქართველი გვარდიელები პოზიციაზე

ვილა ტუაფსეში, სადაც განთავსებული იყო „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის" სამხედრო რევოლუციური საბჭო.



„მოხალისეთა არმიის" მიერ ჩაბარებული იარაღი „მწვანე არმიას".
კუდეფსტა, 1920 წლის მაისი.

დასკვნა

საქართველოს რეგულარული ქვედანაყოფებისა და გვარდიის რაზმების მიერ 1918 წლის თებერვალი – 1919 აპრილის პერიოდში აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვის-პირეთში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში სტაბილიზაციას მიაღწია. რუსეთიდან მომავალი საფრთხეები აღკვეთილ იქნა. აფხაზეთი, საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, კვლავ ქართულ სახელმწიფოს შემოუერთდა და რეგიონზე საქართველოს პირველი რესპუბლიკის იურისდიქცია გავრცელდა.

ოფიციალური საზღვრის დაფიქსირება მდინარე ფსოუზე კი წარმოადგენდა ე.წ. „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოსა" და საქართველოს დემოკრატიულ რესუბლიკას შორის არსებული სოჭი-ტუაფსეს სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მთავარ შედეგს. ეს საზღვარი ოფიციალურად იქნა ცნობილი საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისს, მოგვიანებით კი, რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მიერაც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სახელისუფლებო წრეების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს თავიდანვე რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება წარმოადგენდა. ეს თანაბრად ეხებოდა, როგოც „თეთრ", ასევე „წითელ" რუსეთებს. მიუხედავად თავისი პრორუსული წარსულისა, ქართველ პოლიტიკოსებს უკვე კარგად ესმოდათ, რომ სამოქალაქო ომის უფსკრულში ჩაძირული და ინტერვენციის რკალში მოქცეული რუსეთი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ამიერკავკასიისთვისაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა.

ამ მიმართებაში სრულებით ვეთანხმებით პროფესორ დოდო ჭუმბურიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „საქართველოს მთავრობას ხშირად დებენ პრორუსულ პოლიტიკაში ბრალს. რუსულ ორიენტაციაზე მენშევიკები ყოველთვის იდგნენ, გარდა დამოუკიდებლობის წლებისა. მენშევიკთა ლიდერები 1918-1921 წლებში არათუ პრორუსულ ორიენტაციას, არამედ ზოგჯერ რუსოფობულ აზრებსა და გრძნობებსაც კი გამოხატავდნენ. თუ გარეგნულად ისინი ცდილობდნენ პოლიტიკური ურთიერთობისა და დიპლომატიური აქტების ენით ელაპარაკათ, შინაგანად ანტირუსულად იყვნენ განწყობილნი და ევროპის ქვეყნების დახმარებით ცდილობდნენ რუსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროდან გასვლას. მთავრობის თავმჯდომარე კავკასიაში ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების დროს, არაერთხელ უმტკიცებდა მათ რუსების დამპყრობლურ ბუნებას:

„Генерал очевидно не знает русских, мы то их изучили очень хорошо", – ეუბნებოდა ჟორდანია გენერალ ფორესტიე-უოკერს 1919 წლის 15 თებერვლის მოლაპარაკებისას, როდესაც კატეგორიულად ითხოვდა გაგრის რაიონიდან დენიკინის გასვლას და არწმუნებდა მას, რომ ქართველები მის გაყვანას სხვების დაუხმარებლად შეძლებდნენ.

თუ მენშევიკები ზოგჯერ მაინც გამოთქვამდნენ რუსული დემოკრატიის მხარდაჭერის იმედს, ეს სიბნელეში კატის ძებნას უფრო ჰგავდა, ანდა, უბრალოდ, სოციალისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ გარეგნულ სამკაულს".[1]

---

[1] დოდო ჭუმბურიძე. დამოუკიდებლობის დასასრული და დიპლომატი გერასიმე თომას ძე მახარაძე. კლიო. საისტორიო ალმანახი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი. 2001. გვ. 95-96.

1920 წლამდე კი, ნოე ჟორდანიას მის რუსოფილურ და ინტერნაციონალურ განწყობებში არც თანაპარტიელები ჩამორჩებოდნენ. თვით ვალიკო ჯუღელიც კი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი და ფაქტობრივი სარდალი, რომლის თავზეც გადაიარა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული დიდ-პატარა ომებისა თუ ბრძოლების ყველა ქარიშხალმა, „რუსული დემოკრატიის" სიყვარულსა და მისთვის თავდადებაში, თვით „დიდ ნოესაც" კი აჭარბებდა:

„ახლა ჩვენს ორგანიზებულ დემოკრატიას ჰყავს ის შეიარაღებული ძალები, ჭეშმარიტად დემოკრატიული ძალები, რომელიც წუთითაც არ უშვებს ხელს დემოკრატიის წითელ დროშას და არ გაუშვებს მას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე".[1] პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პაპზე დიდი კათოლიკებიც არსებობდნენ. იგივე ვალიკო ჯუღელი, ქართული დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის სიმბოლო, თვით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – 26 მაისს, დიდ პირად ტრაგედიად და ნაციონალისტების მიერ მოწყობილ დღესასწაულად მიიჩნევდა. ბატონი ნიკო კეცხოველის[2] მემუარიდან:

„ოცდაექვსი მაისია, ამ დღეს წლისთავი უნდა გადაიხადონ საქართველოს დამოუკიდებლობისა. შარშან, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ავადმყოფებმა მოვითხოვეთ წაყვანა. მოვიდა ვალიკო ჯუღელი, გვარდიის უფროსი.

– ჩვენ არ შეგვფერის ნაციონალისტების დღესასწაულზე წასვლა...

– ვის ეძახდა ნაციონალისტებს, ან ვის მოწყობილად მიაჩნდა მას ეს დღესასწაული, დღესაც არ ვიცი".[3]

კიდევ ერთი პასაჟი იგივე ვალიკო ჯუღელის რუსოფილური კრედოს შესახებ, რაც ადამიანური წარმოდგენების ყოველგვარ ზღვარს სცილდება:

„...საწყალი, თავის უბედურებაში მიტოვებული „დამოუკიდებელი" საქართველო!... ქორის მძლავრ ბრჭყალებში მოქცეული პატარა ჩიტის დამოუკიდებლობა! ნუთუ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა ეს დამოუკიდებლობა, ან იქნებ აქ წყეული ნაციონალიზმი ზეიმობდა?... საბრალო, საბრალო დასახიჩრებული რუსეთი! როგორ მიყვარდი შენ, როგორ მიყვარდა შენი ნათელი მომავალი და როგორ ვწუხვარ, როგორ

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 6.

[2] ნიკო კეცხოველი (1897-1982) – დიდი ქართველი მეცნიერი, ბოტანიკოსი. მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი. ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. 1929 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კათედრის დოცენტი. 1937 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე 1933 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი 1943-1945 წლებში. თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1945-1952 წლებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1963 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი უცვლელი თავმჯდომარე 1958 წლიდან. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი. 1918-1919 წლებში ბატონი ნიკო კეცხოველი ქართულ რეგულარულ ჯარში მსახურობს, საარტილერიო ბატარეაში. 1918 წლის დეკემბერში მონაწილეობდა გენერალ აბელ მაყაშვილის შენაერთების მიერ ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დაკავების ოპერაციასა და ამ რეგიონის ქართული სახელმწიფოსათვის შემომტკიცებაში. სომხეთ-საქართველოს ომში ახტალა-ალავერდის ბრძოლის აქტიური მონაწილე, სადაც 1918 წლის 16 დეკემბერს მძიმედ დაიჭრა კიდეც. მას შემდეგ ნიკო კეცხოველი დაინვალიდდა, მთელი ცხოვრების მანძილზე იგი მარჯვენა ხელს სრულფასოვნად ვეღარ ხმარობდა.

[3] ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ-ეკლებით მოფენილი გზა. გვ. 294–295.

დავსტირი შენს დაშლილ, სუსტ და მომაკვდავ სხეულს!...”[1] – ასე დასტიროდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ბურჯი „დედა რუსეთის” დაშლასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. აქ კომენტარების გაკეთებაც კი ზედმეტია. ხოლო რუსეთის სახელმწიფოს დაშლის მთავარ მიზეზად და მთავარ დამნაშავეებად იგი ბოლშევიკებს თვლიდა. თავად ყოფილი ბოლშევიკი, უკვე 1920 წლისათვის ასეთ შეფასებას აძლევდა ბოლშევიზმსა და მის პირმშოს – მუშურ-გლეხურ წითელ არმიას:

„წითელი არმია – ეს ძალიან ჭრელი ბანდაა, იდეისა და ნამდვილი სამხედრო დუღაბის გარეშე. და ასეთი ბოლშევიკები უკვე მოვიდნენ ჩვენს საზღვრებთან! მაგრამ მას არ შემოვუშვებთ ჩვენთან. ან დავიხოცებით! სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს! მე ეს გადაწყვეტილება მტკიცედ, მშვიდად და საღ გონებაზე მივიღე. ბოლშევიზმი კომუნიზმი არაა, იგი XX საუკუნის ვანდალიზმია და ჩვენს საზღვრებთან უნდა დაიმსხვრეს იგი. ანდა, ამისათვის დავიხოცებით”.[2]

არსებული რეალობებიდან გამომდინარე, ქართველ სოციალ-დემოკრატებს მართალია გვიან, მაგრამ მაინც მოუწიათ საკუთარ რუსოფილურ წარსულთან დამშვიდობება და შექმნილი გარემოებების რეალისტურად აღქმა. ბოლშევიკებისა და დენიკინელებისაგან მიღებული მწარე გაკვეთილების შემდეგ, საქართველოს მთავრობას კარგად უნდა დაენახა, რომ ნებისმიერი სახის რუსული ორიენტაცია ქვეყნის დაღუპვას მოასწავებდა. საჭირო იყო ამ ურთიერთობების დარეგულირება, საჭირო იყო ამ ურთიერთობების პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცევა, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და თანასწორობის პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული, მიუხედავად იმისა, რომ ლენინ-სტალინის წითელი რუსეთი ყოფილ ცარისტულ იმპერიაში შემავალ ხალხებსა და ერებს კვლავ თავის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა.

იგივე ითქმის რუსული მონარქიზმის რესტავრატორებსა და ალექსეევ-დენიკინის „თეთრ რუსეთზე”. გენერალი ალექსეევი თებერვლის რევოლუციას, სახელმწიფოში დაწყებულ ანარქიასა და დეზინტეგრაციულ პროცესებს შენიღბული ღალატისა და შეთქმულების პროდუქტად მიიჩნევდა. „ერთიან და განუყოფელ” რუსეთს კი, დიდი ნოსტალგიით იხსენებდა. 1917 წლის 4 ნოემბერს იგი წერდა: „ჯერ არასდროს მოუცავს ჩემი სული ისეთ მძიმე სევდას, როგორც ეხლა, – უძლურების, გამყიდველობისა და ღალატის ამ დღეებში. ყველაფერი ეს, განსაკუთრებით აქ, პეტროგრადში იგრძნობა, რომელიც კრაზანების ბუდედ, და სახელმწიფოს ზნეობრივი და სულიერი ხრწნის წყაროდაა ქცეული. თითქოს ვიღაცის ბრძანებით, ვიღაცის გამცემლური გეგმები სრულდება. ხელისუფლება კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უმოქმედოა და არაფრის კეთების სურვილიც არა აქვს. ლაყბობით კი ბევრს ლაყბობს... ღალატი სახეზეა, შენიღბული ღალატი ბატონობს ყველაფერზე...”[3]

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გრდემლსა და ურის შორის მოქცეული საქართველოს მთავრობა, გარკვეულ გათვლებს დიდ ბრიტანეთსა და ანტანტის ქვეყნებზე აკეთებდა, მაგრამ სახელმწიფოებრიობის შეანარჩუნების მთავარ გარანტად საქართველოს მმართველი პოლიტიკური წრეები მაინც II ინტერნაციონალსა და ეფემერულ „ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიას” მიიჩნევდნენ. სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების პანაცეად კი მხოლოდ ცივილიზებული

---

[1] Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 20-21.

[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 22.

[3] Ушаков А. И., Федюк В. П. Лавр Корнилов. — Москва: Молодая Гвардия, 2006. — С. 110. — 398 с. — (Жизнь замечательных людей). — 5000 экз. — ISBN 5-235-02836-8. http://ru..org/wiki/%D0%90D1%87.

მსოფლიოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმალურად ცნობასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში გაერთიანებას თვლიდნენ. და ეს იყო პირველი ქართული რესპუბლიკის მმართველი პარტიის, მთავრობისა და მთლიანად ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია.[1] გრიგოლ ლორთქიფანიძე:

„ერთადერთი ჩვენი მოკავშირე, რასაკვირველია, მორალური მოკავშირე, იყო ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია. და ჩვენ მის წინაშე წმიდა სინდისით შეგვიძ-ლია განვაცხადოთ, რომ მიუხედავად შეიძლება ამა თუ იმ კერძო შეცდომისა და ელამი ნაბიჯებისა, მსოფლიო პროლეტარიატის პატარა ქართულმა რაზმმა ყველაზე რთულ და საშიშ მდგომარეობაში უმწიკვლოდ გაიტანა შრომის დიდი დროშა. ის მას არავითარ შემთხვევაში, მაშინაც კი არ დაუხრია, როცა მედროშეს აუცილებელი ფიზიკური სიკვდილი ემუქრებოდა".[2]

რაც შეეხება წითლებისა და თეთრების მიერ დეკლარირებულ ლოზუნგებს, რუსეთის მოსახლეობისადმი მათ დაპირებებსა და იმ წინააღმდეგობებს, რაც ამ დაპირებებმა შვა – თეთრები ხელმძღვანელობდნენ დეკლარირებული ლოზუნგით „კანონიერება და წესრიგი!" ამით ისინი ცდილობდნენ თავისი მოწინააღმდეგის დისკრედიტირებას და ამავე დროს იმედოვნებდნენ, რომ ხალხი მათ სამშობლოს მშველელებად აღიქვამდა. ქვეყანაში ზრდადი უწესრიგობა და პოლიტიკური ბრძოლის გაძლიერება თეთრების ამ არგუმენტს კიდევ უფრო ამაგრებდა და ავტომატურად აქცევდა მოსახლეობის იმ ნაწილის მოკავშირედ, რომლებიც ფსიქოლოგიურად ვერ ეწყობოდნენ უწესრიგობას. თუმცა თეთრი ლიდერებისათვის გასაკვირად, მალე ამ ლოზუნგმა სრულიად სხვა შედეგები გამოიღო. „თეთრი მოძრაობის" ერთ-ერთი აქტიური წევრის, შემდეგ კი, ამ ფენომენის მკვლევარის, გენერალ ალექსეი ფონ ლამპეს აზრით, „თეთრების" დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ბოლშევიკებისა და მონარქისტების ლოზუნგებს შორის არსებული განსხვავებები იყო დეკლარირებულ მიზნებსა და მათი რეალურად ხორცშესცხმის გზაზე:

„როდესაც მიდიოდნენ წითლები – მოსახლეობა კმაყოფილებით ითვლიდა თუ რა დარჩა მას... როდესაც მიდიოდნენ თეთრები – მოსახლეობა ბრაზით ითვლიდა თუ რა წაიღეს თეთრებმა... წითლები იმუქრებოდნენ, და საფუძვლიანადაც, რომ ყველაფერს წაიღებდნენ, მაგრამ მიჰქონდათ ნაწილი – მოსახლეობა მოტყუებული და... კმაყოფილი რჩებოდა. თეთრები კანონიერების დაპირებებს იძლეოდნენ, და ბევრიც არ მიჰქონდათ, მაგრამ მოსახლეობა მათ მიმართ მაინც ბოროტდებოდა... თეთრებს კანონიერება უნდა მოეტანათ, ამიტომ მათი ბამბაც ჩხრილებდა".[3]

გენერალ ალექსეი ფონ ლამპეს აზრით, ბოლშევიკ ლიდერთა ლოზუნგები ბრბოს მდაბიურ ინსტინქტებზე იყო გათვლილი. მაგალითად – „Бей буржуев!", და „Грабь награбленное!", – ხალხს მოუწოდებდა, რომ მათ შეეძლოთ აეღოთ ყველაფერი, რაც კი მოესურვებოდათ. ეს მოწოდება, რა თქმა უნდა, ძალიან მიმზიდველი და სასურველი იყო ოთხწლიანი მომქანცველი ომის შედეგად ზნეობა და ადამიანობადაკარგული რუსი ჯარისკაცების, მუშებისა და გლეხებისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, თეთრების ლოზუნგები ხალხს ჰპირდებოდა იმის მიცემას, რაც მათ ეკუთვნოდათ. გაბოროტებულ ხალხს და რუს პროლეტარიატს კი, ეს დაპირებები მაინცდამაინც აღარ აღაფრთოვანებდა.

გენერალ ფონ ლამპეს ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ. და თუ ჩვენი ნაშრომის შესავალ ნაწილს დავუბრუნდებით, სადაც ფელდმარშალ ფონ მოლტკესა და ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენაზე ვსაუბრობდით, აქ, რუს ჯარის-კაცთან მიმართებაში ყველაფერი თავდაყირა იყო დამდგარი – I მსოფლიო ომის

---

[1] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 162.

[2] დაბრუნება. ემიგრანტული ლიტერატურა. გრიგოლ ლორთქიფანიძე. თბილისი. 1992. გვ. 337.

[3] Лампе А. А., фон. Причины неудачи вооружённого выступления белых. — М., 1991. Стр. 29.

საშინელებაგამოვლილი რუსი ჯარისკაცის მაღალზნეობრივ და მორალურ თვისებებზე საუბარი, ნამდვილად უადგილოდ გვეჩვენება. 1918 წლის თებერვალსა და აპრილში ბოლშევიკთა მიერ სოხუმსა და სოხუმის ოლქში ინსცენირებული „სოციალისტური რევოლუციებიც" სწორედ ამაზე მეტყველებენ. აქ რევოლუციურ ძალას I მსოფლიო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული გადეზერტირებული და გაყაჩაღებულ ჯარისკაცთა უმართავი ბრბოები წარმოადგენდნენ, რომელთათვისაც სოციალისტური რევოლუციის არსი ანარქიაში, ყოველივე ძველის ნგრევასა და ძარცვა-გლეჯვაში გამოიხატებოდა. მარტივად და გასაგებად. ასე ესმოდათ მათ „კლასთა ბრძოლისა" და „პროლეტარიატის დიქტატურის" ლენინისეული მოძღვრების ძირითადი თეზისები.

ყუბანსა და შავიზღვისპირეთში მოქმედი მუშურ-გლეხური წითელი არმია მაღალი მორალურ-ეთიკური მახასიათებლებით არ გამოირჩეოდა. ეს გამოწვეული იყო არა მხოდოდ იმ სპეციფიკით, თუ როგორ ფორმირდებოდა და ომობდა არმია, არამედ რკპ(ბ)-ს ლიდერების დამოკიდებულებითაც გლეხებისადმი. მოროდიორობის შემთხვევები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული და ეს მოვლენა ბოლშევიკური პრესის განსჯის საგანსაც წარმოადგენდა.[1]

ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. კონფლიქტებისა და უკმაყოფილებების მიზეზები არა მხოლოდ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებისა და საჯარისო კონტინგენტების ბოროტმოქმედებები იყო, არამედ განათლების ის დაბალი დონე და დაბალი მორალურ-ზნეობრივი მაჩვენებლბი, რითაც ხასიათდებოდნენ წითელარმიელები და ადგილებზე ხელისუფლების რწმუნებულები. ეს გამოწვეული იყო აგრეთვე რეგიონის მოსახლეობისადმი უნდობლობის სინდრომით, რომლებიც ასე დიდხანს და მტკიცედ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1920-1921 წლებში ბოლშევიკთა მთავრობის დამოკიდებულება გლეხობისა და კაზაკობის მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო.[2]

თეთრი მოძრაობის ლიდერების, გენერალ ალექსეევისა და გენერალ დენიკინის სამხედრო-პოლიტიკური აქტივობის სტრატეგიას კი, ძველი მონარქისტული რეჟიმის რესტავრაცია, „ხალხთა საპყრობილის" აღდგენა და დაკარგული პოზიციების დაბრუნება წარმოადგენდა.

ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებსა და ხალხებთან მიმართებაში ბოლშევიკებიც და თეთრი მოძრაობის ლიდერებიც ერთი საერთო სტრატეგიული ხაზის გამტარებლები იყვნენ და მათი პოლიტიკური მიზნებიც პრაქტიკულად იდენტური იყო – ერთიანი, დიდი და განუყოფელი რუსეთის შექმნა. დენიკინი და მონარქიზმის რესტავრატორები ბოლშევიზმს წყევლიდნენ და იმედით შეჰყურებდნენ მომავალს. იგივე განწყობები ჰქონდათ ბოლშევიკებსაც. ალექსეევის „მოხალისეთა არმია" და დენიკინის „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს" შეიარაღებული ძალები ბოლშევიკთა მთავარ მოწინააღმდეგეს, მათ მთავარ მტერს წარმოადგენდნენ. 1919 წლის 7 (20) ივნისს, დონის, ყუბანისა და თერგის ატამანთა საპატივცემულოდ ეკატერინოდარში გამართულ წვეულებაზე, დენიკინმა ცნობილი სადღეგრძელო წარმოსთქვა „წყეულ" ბოლშევიკურ გუშინდელ დღეზე, „უცნაურად" თვითნებურ (Самостийном – ა. ჩ.) დღევანდელობასა და

---

[1] Владимир Гаврзилович Иванцов. Кандидат исторических наук, доцент. Власть и общество на Кубани и Черноморье в 1920-1922 гг.: Советская власть в восприятии местного населения. Сочинский государственный университет. Стр. 1153. European researcher. 2011. №8 (11). http://www.erjournal.ru/ journals_n/1314681186.pdf.

[2] დასახელებული ნაშრომი. გვ. 155. European researcher. 2011. №8 (11). http://www.erjournal.ru/ journals _n/1314681186.pdf.

„მშვენიერ" ველიკორუსულ ხვალინდელ დღეზე.[1]

თუმცა, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" ეფემერული იდეებით შთაგონებული ბოლშევიკი ლიდერები დენიკინზე უფრო შორს წავიდნენ და „ევროპისა და მსოფლიო შეერთებული შტატების" შექმნის კონცეფცია წამოწიეს წინა პლანზე. ასეთი ჰიპერსახელმწიფოს შექმნის იდეა კაცობრიობას ჩინგიზ ყაენის დროიდან აღარ ახსოვდა, როდესაც მან „ზღვიდან ზღვამდე", ანუ, წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანემდე გადაჭიმული უზარმაზარი უნიფიცირებული ევრაზიული იმპერიის შექმნა დაისახა მიზნად.

მაგრამ ოქტომბრის რუსეთმა დამატებით კიდევ ერთი ნაბიჯი მაშინ გადადგა წინ, როცა ბოლშევიკური იდეოლოგიით, ლენინიზმით აღჭურვილმა, სრულიად ახალი რამ – „რევოლუციური მესიანიზმი" იტვირთა თავს. ამ მოძღვრების – „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" მთავარ აპოლოგეტებად ბოლშევიკი ლიდერები, ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი და ლეონ ბრონშტეინ-ტროცკი შეიქმნენ. ისინი ღრმად იყვნენ იმაში დარწმუნებულნი, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა.[2]

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ პირველ იურიდიულ აქტს „მშვიდობის შესახებ" დეკრეტი წარმოადგენდა, რომელიც 1917 წლის 8 ნოემბერს, ოქტომბრის გადატრიალებიდან მეორე დღესვე გამართულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე იქნა მიღებული. იგი ემყარებოდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს და საბჭოთა დიპლომატიის ფუნდამენტალურ პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომელიც ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას ეყრდნობოდა. იგი ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას ითვალისწინებდა – ხალხების თავისუფლებას, მონობისა და ჩაგვრის მოსპობას, ტერიტორიული დაპყრობებისა და საიდუმლო დიპლომატიის უარყოფას, რაც ხალხთა უფლებების პატივისცემისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

ლენინისა და ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა ძირითადში მათმა სოციალური ხასიათის ლოზუნგმა – „მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს!" და „ერთა თვითგამორკვევის" დემოკრატიული პრინციპების დეკლარაციებმა განაპირობეს. მაგრამ ლენინური მოკლევადიანი „დემოკრატია" კარგად დადგმულ ფარსსა და I მსოფლიო ომით გადაღლილი სამყაროს ემოციებზე გათვლილ პოლიტიკურ ხრიკს წარმოადგენდა. ეს ლიბერალური და მეტად დემოკრატიული ლოზუნგები კი, მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაციების სახეს ატარებდნენ და რეალურად „პროლეტარული რევოლუციის" იდეაზე დაფუძნებულ ბოლშევიკური ნეოკოლონიალიზმის წინაპირობას წარმოადგენდნენ.

რეალობა კი მარტივი იყო, გაცილებით მარტივი. ათწლეულობით დამალული და გასაიდუმლოებული სახელმწიფო, სამხედრო და პარტიული საარქივო მასალების გამომზეურებისა და შესწავლის შემდეგ, დღეს უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს მოვლენები სხვა არაფერი არ იყო, თუ არა სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ

---

[1] ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). Автореферат. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak. ed.gov.ru/common/ img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/07-09/ZaytsevAA.doc. Филимонов. А. П. Разгром Кубанской рады// АРР. Т.5. Берлин, 1922. С.324.

[2] არჩილ ჩაჩხიანი. პოლიტიკური პორტრეტები რეტუშირების გარეშე – ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი (ათათურქი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი. 2013. 1(12). გვ. 342.

შეიარაღებული გზით განხორციელებული საბჭოთა „ინტერვენცია-ოკუპაცია-ანექსიის" სქემა. ძალიან მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ – მეზობელი ქვეყნების დაპყრობა. იდეოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით კი – ბოლშევიკური ნეოკოლონიზაცია. ბოლშევიკური ნეოკოლონიზაცია, რომლის სცენარიც კრემლის ბნელ კაბინეტებში იწერებოდა.

ბოლშევიკური ნეოკოლონიზაციის გზაზე კი, ყველაზე მოხერხებულ და ხელსაყრელ ინსტრუმენტს ბოლშევიკებისათვის იმპერიის ხალხებსა თუ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებისა და წინააღმდეგობების ინსპირირება იყო საჭირო. იმპერიის მართვის ეს ნაცადი მეთოდი ბოლშევიკმა ნეოკოლონიზატორებმა დიდი წარმატებით გადმოიღეს წინამორბედი ცარისტული იმპერიისაგან. ე.წ. „ქართულ-აფხაზური კონფლიქტიც" რუსული ყოვლადმპყრობელური და ბოლშევიკური იდეოლოგიის პროდუქტი იყო, რასაც ახალი მუხტი იმ რევოლუციურმა ქარიშხალმა შესძინა, რომელმაც 1917-1921 წლებში მოიცვა ყოფილი იმპერიის მთელი ტერიტორია. დიახ, 1918 წელს აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე სისხლიანი მოვლენები რუს ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებული რევოლუციური პროცესები იყო და არა ეთნიკური დაპირისპირება, რომელშიც ქართველი და აფხაზი ხალხებიც აღმოჩნდნენ ჩართულნი.

ამერიკელი მეცნიერი კორი ველტი (Cory Welt) – პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ევროპის, რუსეთისა და კავკასიური სწავლების ინსტიტუტის ასოცირებული დირექტორი თავის ნაშრომში "A Missed Opportunity?: Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)" (ხელიდან გაშვებული შანსი?: ეთნიკური ავტონომია და რევოლუციური დაპირისპირება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)), წერს:

„...კონფლიქტებს ქართველებსა და აფხაზებს შორის რუსული რევოლუციურო საწყისები ჰქონდა.

პირველი – ამ კონფლიქტებს ფესვები გადგმული ჰქონდა სოციალურ და იდეოლოგიურ განსხვავებებში ეთნიკურ კატეგორიებს შიგნით და მათ შორის. იგი კლასობრივი და რევოლუციური დაპირისპირების შედეგი იყო, რადგან აფხაზი ბოლშევიკები და მათი მხარდამჭერები (მთებში მოსახლე გლეხები და დემობილიზებული ჯარისკაცები) იბრძოდნენ აფხაზეთის გასაბჭოებისათვის და წინააღმდეგობას უწევდნენ არა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ ხელისუფლებას, არამედ საკუთარ, ნაკლებად რადიკალურ თანამოძმეებს (ძირითადად, მიწათმფლობელ და ბარში მოსახლე გლეხობას).

მეორე – თუმცა ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტებს რევოლუციური ფესვები ჰქონდა, პოლიტიკურად ყველაზე აქტიური აფხაზები, მიუხედავად მათი იდეოლოგიური მიდრეკილებებისა და სიმპათიებისა, გულით ატარებდნენ თავიანთ ეთნიკურ მისწრაფებებს საბჭოთა ეპოქის ავტონომიური ინსტიტუტების შექმნასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველოს სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ მისწრაფებებში აუცილებლად იგულისხმებოდა შეიარაღებული ბრძოლა, მაგრამ აფხაზების მცირერიცხოვან საზოგადოებაში (რამდენიმე ათეული ათასი), „თვითგამორკვევის" იდეა პოლიტიკურად დომინანტობდა ჯერ კიდევ 1918 წლის მაისამდე და ფართოდ იყო გავრცელებული უნდობლობა ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოსადმი.

მესამე – აფხაზების ეთნონაციონალიზმი ყოველთვის არ წარმოადგენდა პოლიტიკურად მტკიცე, შეურიგებელ კურსს. ის აფხაზები, ვინც ბოლშევიკებს არ ემხრობოდა, მზად იყვნენ დამდგარიყვნენ უფრო შემრიგებლურ და კომპრომისულ პოზიციებზე. ისინი არ მიესალმებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას ან რუსეთისაგან გამოყოფას. მაგრამ როდესაც ალტერნატივის სახით ბოლშევიკური მმართველობა დაინახეს, მათ პრაგმატულობა გამოიჩინეს და დასახმარებლად თბილისს მიმართეს. ასეთი გარემოებების

გამო, მათ უარი თქვეს დამოუკიდებლობაზე და დათანხმდნენ დამოუკიდებელ საქართველოსთან გაერთიანებას.

და ბოლოს – 1918-1921 წლებში აფხაზეთის გარშემო თავი იჩინა მრავალი სახის ეთნოტერიტორიულმა კონფლიქტმა, რომელთაგან ზოგის მიზანი პირდაპირ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო, და ამიტომ, კონცენტრირებულნი იყვნენ უფრო პოლიტიკურ, ვიდრე სამხედრო გადაწყვეტილებებზე. აფხაზი ანტიბოლშევიკი ნაციონალისტების უშუალო გამოწვევას ის წარმოადგენდა, თუ როგორ მიეღწიათ მაქსიმალური ძალაუფლებისთვის რეგიონული თვითმმართველობის სახით ჯერ კიდევ სუსტი, ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში. ეს სახელმწიფო კი, არ იყო დაცული და მის სუვერენიტეტს უამრავი საფრთხე ემუქრებოდა სხვადასხვა ძალისაგან – წითელი და თეთრი რუსეთი, და ოსმალთა იმპერია. რეგიონალური ავტონომიის პრინციპზე თანხმობის მზადყოფნას ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ერთიანობის მოთხოვნები, რაც განპირობებული იყო ეროვნული უსაფრთხოების მიმართ არსებული შიდა და გარე საფრთხეებით".[1]

„საქართველოს კი, იმ ხანად ხშირად ადარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ანარქიის უდაბნოში. და უნდა ითქვას, რომ ეს შედარება სავსებით სწორია. ამიტომ იყო, რომ საქართველო წარმოადგენდა იმ ჟამით ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, თათართა მიერ დარბეული სომხები და ამის საპასუხოდ სომეხთა მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები და აზერბაიჯანელები და სხვა მაჰმადიანთა მიერ აყრილი რუსები...

ერთი სიტყვით, ლტოლვილნი და შევიწროებულნი, მიუხედავად მათი რწმენისა და სარწმუნოებისა, საქართველოში პოულობდნენ მშვიდ თავშესაფარს; და ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო დამშეული იყო, ვინაიდან მას ირგვლივ და მის წინააღმდეგ საშინელი ბრძოლა წარმოებდა, როცა ოსმალეთი მას თავის მტრად რაცხდა, დიდ ანტანტას თავისი მოწინააღმდეგე ბანაკის დამხმარედ მიაჩნდა და ფარულ ბოლშევიკობას სწამებდა, თეთრი რუსეთი იმპერიის მთლიანობის დამრღვევად და კომუნიზმის აგენტად ნათლავდა, წითელი რუსეთი კი კონტრრევოლუციურ ბუდესა და დენიკინის მოკავშირეს უწოდებდა, ხოლო ორივე ერთად თანაბარი სისასტიკითა და ვერაგობით, საშინელ სასურსათო და პოლიტიკურ-ეკონომიკური რკალს არტყამდა ირგვლივ და მოუსვენრად მუშაობდა მის შიგნიდან ასაფეთქებლად."[2]

ეს სიტყვები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონი გრიგოლის მოსაზრებებს საქართველოში არსებული იმდროინდელი მდგომარეობის შეფასებაში. იგი, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი ჩინოვნიკი და შემდეგ კი თვით რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ბუნებრივია, ფლობდა ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და აკონტროლებდა იმ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში 1917-1921 წლების პერიოდში.[3]

ქართველ მარქსისტთა ზღვარგადასული ჰუმანურობისა და ქართველი კაცის თანდაყოლილი დიდბუნებოვანი ხასიათიდან გამომდინარე კი, ქართული სახელმწიფო

---

[1] Cory Welt. A Missed Opportunity?: Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the Democratic Republic of Georgia (1918-1921). Washington D. C. 2012. Pg. 1-2. http:// home.gwu.edu/~cwelt/ EthnicAutonomyandRevolutionaryViolence.pdf.

[2] გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995. გვ. 158-159.

[3] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007. გვ. 59.

რუსეთისა და რუსების მიმართ, არა აქვს მნიშვნელობა „წითელ" რუსეთთან ჰქონდა მას საქმე თუ „თეთრ" რუსეთთან, ერთობ შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა. 1918 წელს საქართველოს მთავრობა ბოლშევიკთაგან დევნილ თეთრგვარდიელებსა და კაზაკებს იფარებდა და პატრონობდა, 1919 წელს დენიკინელთა მიერ დევნილ ბოლშევიკებს, ხოლო 1920 წლიდან დაწყებული – ისევ ბოლშევიკთა მიერ დევნილ დენიკინელებსა და „მწვანეებს". ამ დროს კი, ერთნიც და მეორენიც – ბოლშევიკებიც და დენიკინელებიც, აგრესიული ტონით ითხოვდნენ საქართველოს მთავრობისაგან კოალიციის შეკვრას დაპირისპირებულ მხარესთან ერთობლივი ბრძოლის საწარმოებლად. საქართველოს მთავრობა კი, მთელი ძალისხმევით ცდილობდა არ ჩარეულიყო ბოლშევკიკურ-დენიკინურ შეიარაღებულ დაპირისპირებაში, შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი და თავიდან აეცილებინა ამ დაპირისპირებიდან მომავალი პოტენციური საფრთხეები. თუმცა, ამ რთული პოლიტიკური ამოცანის წარმატებით გადაჭრა ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა. იგი თავისთავად აღმოჩნდა ჩართული იმ სახიფათო თამაშებში, რასაც ბრიტანულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობები და „აღმოსავლეთის საკითხი" ერქვა სახელად. ამ თვლსაზრისით კი, ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობა ეთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, გენერალი დენიკინი და თეთრგვარდიული მოძრაობა, ბოლშევიკთა წინააღმდეგ გაერთიანებულ ბუნებრივ მოკავშირეებად იქცნენ. რაღაც ეტაპზე, ბრიტანელები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის მთავრობას საკუთარი ბანაკის წევრებად მოიაზრებდნენ. დენიკინელთათვის საქართველოში თავშესაფრის მიცემის, მფარველობისა და მათი დაქსაქსული ძალების ორგანიზების თხოვნით კი, ხშირად ისევ ბრიტანელი შუამავლები გამოდიოდნენ.

ქვემოთ მოყვანილი ორი საარქივო დოკუმენტი იმ მრავალთაგანია, რომელიც ზემოთქმულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. პირველი დოკუმენტი საქართველოს სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერია, მეორე კი – ბრიტანული მისიის წარმომადგენლის, სერ ოლივერ უორდროპის (Sir Oliver Wardrop) ოფიციალური შუამდგომლობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

დოკუმენტი №1.

სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმი №19.

1920 წლის 25 მარტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა გენერალი ალ. გედევანიშვილი.

ესწრებოდნენ წევრები: გენ. ქუთათელაძე,[1] გენ. ანდრონიკაშვილი,[2] გენ. კვინიტაძე, რ. გ. აუშტროვი, ალ. დგებუაძე, სილ. ჯიბლაძე.

---

[1] კირილე ქუთათელაძე (1861-1929) – რუსეთის არმიის ქართველი ოფიცერი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალი. რუსეთ-იაპონიისა I მსოფლო ომებს მონაწილე. 1904 წლიდან რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. 1908-1910 წლებში საარტილერიო პოლიგონის უფროსი და მე-6 დივიზიონის მეთაური. 1910 წლიდან – გენერალ-მაიორი, არტილერიის გენერალური იმსპექტორის განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის უფროსი, ქალაქ ბათუმის კომენდანტი. 1921 წლიდან ემიგრაციაშია, მსახურობდა პოლონეთის არმიაში. პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი.

[2] ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1871-1923) – რუსეთის არმიის ქართველი ოფიცერი და გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი. რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1913-17 წლებში ალექსეევის სამხედრო სასწავლებლის მასწავლებელი. 1917 წლის ივნისიდან საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. 1918 წლის შემოდგომიდან 1919 წლის ზაფხულამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი. რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. 1920 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე. 1921 წლის თებერვალში წარმოებულ თბილისის ბროლებში კოჯორი-ტაბახმელას ფრონტის

დაესწრნენ აგრეთვე: გენ. ზაქარიაძე, გენ. თაყაიშვილი, ყიფშიძე, პოლკ. გურამიშვილი.

მომხსენებელი: გენ. ქუთათელაძე.

საქმის მწარმოებელი: ზალდასტანიშვილი.

წარმოდგენილი სხდომის ოქმიდან საინტერესოა მე-2 საკითხი, რომელიც „ლტოლვილ მოხალისეთა" ნაწილების დაბინავების საკითხს ეხებოდა.

სხდომამ დაადგინა: „იარაღ აყრილი მოხალისენი მოთავსებულ იქნენ ქალ. ფოთში შესაფერის ბანაკში, რომლის მოწყობა და მოხალისეთა დაბინავება ამ ბანაკში დაევალოს საგანგებო რწმუნებულს გენ. არჯევანიძეს,[1] ფოთის გარნიზონის უფროსის, ქალაქის თვითმმართველობისა და ადგილობრივი სახალხო გვარდიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

ამ საქმის მოსაწყობად გენ. არჯევანიძეს მიეცეს სამნეო კომიტეტიდან საჭირო რიცხვი საბანაკო კარვებისა, და სამხედრო ფონდიდან ავანსად 200000 მან".[2]

დოკუმენტი №2.
ტიფლისი. 1920 წლის 2 აპრილი.
საჩქარო. №92.

მის აღმატებულება ბ-ნ ე. გეგეჭკორს.

ბ-ნი უორდროპი უგზავნის სალამს ბ-ნ გეგეჭკორს და აქვს პატივი გადასცეს მას გენერალ კუკ-კოლისისგან გამოგზავნილი ტელეგრამა:

„გენერალი ერდელი გთხოვთ, რომ საქართველოს მთავრობამ დართოს ნება მოხალისეთა არმიის 100 ოფიცერს, რომლებიც მოცემულ მომენტში იმყოფებიან ქალაქ ბათუმში, გაემგზავრნონ ფოთში, რათა დაეხმარონ მოხალისეთა არმიის ძალების ადმინისტრაციის ორგანიზებაში, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიდან.

ვთვლი, რომ ასეთი საქციელი ძლიერ დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს მთავრობას. გთხოვთ მაცნობოთ ტელეგრაფით".[3]

მიუხედავად ბოლშევიკთა გლობალური მასშტაბის რევოლუციური გეგმებისა და ბრძოლის დაუნდობელი მეთოდებისა, 1918-1920 წლებში თეთრი მოძრაობის ლიდერების, გენერალ ალექსეევისა და გენერალ დენიკინის „დობროარმია" უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ვიდრე ლენინისა და ტროცკის წითელი არმია. გენერალი დენიკინი ახლომხედველი პოლიტიკოსი აღმოჩნდა, როცა ბოლშევიკების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის შესაძლებლობა საბოლოოდ დაასამარა და თავისი ცარისტულ-დერჟავული სტრატეგიით ნიკოლოზ II-ის დროინდელი რუსეთის იმპერიის აღდგენა განიზრახა 1914 წლისათვის არსებულ საზღვრებში.

სარდალი, 1921 წლის მარტში დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდალი. გიორგის ჯვრის კავალერი. 1921-1923 წლებში ანტიბოლშევიკური შეთქმულებისა და „სამხედრო ცენტრის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი საქართველოში. 1923 წელს ბოლშევიკთა მიერ შეთქმულების გახსნის შემდეგ „სამხედრო ცენტრის" სხვა წევრებთან ერთად დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

[1] გიორგი არჯევანიძე (1863-1940) – ქართველი ოფიცერი, გენერალი. რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1910 წლიდან რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. 1913-1915 წლებში გრენადერების მეგრელთა პოლკის მეთაურის მოადგილე, 1915-1917 წლებში ბაქოს 153-ე პოლკის მეთაური, კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის მონაწილე და გმირი. 1917 წლის სექტემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია, ქართული არმიის I ქვეითი დივიზიის მეთაური. 1920 წელს ქალაქ ფოთის სამხედრო გარნიზონის უფროსი. გიორგის ჯვრის კავალერი.

[2] სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2037, ანაწერი 1, საქმე 68, ფურცელი (1-3).

[3] სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 67, ფურცელი 44.

თავისი მემუარის 252-ე გვერდზე გენერალი დენიკინი ძალიან გულწრფელად წარმოგვიდგენს მისი სამხედრო-პოლიტიკური კურსის რაობასა და არსს საქართველოსთან და საერთოდ, კავკასიასთან მიმართებაში: „ბოლოს და ბოლოს, კავკასიაში ბრძოლის მთავარ, უფრო ზუსტად კი, ერთადერთ მიზეზს ერთიანი რუსეთის იდეასა და კავკასიის ახალი წარმონაქმნების (ამ ტერმინითაა მოხსენიებული ახლადშექმნილი ეროვნული რესპუბლიკები – ა. ჩ.) იდეებს შორის არსებული დაპირისპირება წარმოადგენდა. ყველაფერი დანარჩენი კი, მხოლოდ მსხვილ ან წვრილ, მნიშვნელოვან ან ნაკლებად მნიშვნელოვან საბაბს წარმოადგენდნენ".[1]

– „იმის მაგივრად, რომ ბოლშევიზმის სხვა მოწინააღმდეგეებთან (რუმინეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთისა და კავკასიის სახელმწიფოები, მახნო,[2] პეტლიურა და ყველა დანარჩენი) გამოენახა საერთო ენა, მან არა თუ ვერ მიიღო მათგან დახმარება, არამედ თავისი პროვოკაციული მოქმედებებით აშკარა მტრულ დამოკიდებულებაში შევიდა თავის პოტენციურ მოკავშირეებთან".[3] – გენერალ დენიკინისა და მისი პოლიტიკის ეს შეფასება ცნობილ ბრიტანელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, დოქტორ სერ ჰარი ლუკს (Sir Harry Luke) ეკუთვნის, 1920 წელს ამიერკავკასიაში ბრიტანული მისიის უმაღლეს კომისარს. სწორედ მან შეცვალა ამ თანამდებობაზე სერ ოლივერ უორდროპი.

საქართველოს აფხაზეთისა და შავიზღვიპირეთის რეგიონებში 1918-1919 წლებში ბოლშევიკთა და თეთრგვარდიელთა მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას, ისევე როგორც ყოფილი ცარისტული იმპერიის სხვა ტერიტორიებზე, ხელისუფლების ძალით მოპოვებისა და ქონების ახალი გადანაწილების სქემა ედო საფუძვლად. ბოლშევიკები ამ პროცესს „კლასთა ბრძოლისა" და „პროლეტარული რევოლუციის" ტერმინებით ნიღბავდნენ, თეთრგვარდიელები და მონარქისტული ჯგუფები კი მას „ძველი წესრიგის" აღდგენას უწოდებდნენ და „ერთიან და განუყოფელ" „დედა-რუსეთს" მისტიროდნენ. თანამედროვე გაგებით კი, ერთიც და მეორეც სხვა არაფერი იყო, თუ არა კორპორატიულ

---

[1] Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002. Стр. 252.

[2] ნესტორ (ბატკო) მახნო (1888-1934) – ცნობილი უკრაინელი პილიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ანარქისტი, პროფესიონალი რევოლუციონერი ტერორისტი, „შავი მოძრაობის" ლიდერი, რუსეთის სამოქალაქო ომის წლებში სამხრეთ უკრაინაში გლეხთა მეამბოხური მოძრაობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. 1906 წლიდან ანარქისტული ორგანიზაციის „ანარქო-კომუნისტების გლეხთა კავშირის" წევრი. 1906-1910 წლებში „ბურჟუებისა" და მეფის „ოხრანკის" წინააღმდეგ განხორციელებული სხვადასხვა ტერორისტული აქტების ხელმძღვანელი და უშუალო შემსრულებელი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ზაპოროჟიეს ოლქის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. ამავე დროს მის მიერ ორგანიზებული ანარქისტულ-ტერორისტული საბრძოლო რაზმის „შავი გვარდიის" იდეური ხელმძღვანელი და მეთაური. ზაპოროჟიეს ოლქში ხელისუფლების უზურპატორი და ფაქტობრივი მმართველი. 1917 წლის ზაფხულში ე.წ. „რევოლუციის ხსნის კომიტეტის" თავმჯდომარე, რუსეთის დროებითი მთავრობისა და უკრაინის ცენტრალური რადის მოწინააღმდეგე. 1918 წლის დასაწყისიდან ზაპოროჟიეს რევკომის წევრი, რომელშიც გაერთიანდნენ ანარქისტები, მემარცხენე ესერები და უკრაინელი სოციალისტ-რევოლუციონერები. 1918 წლის მაისიდან ბოლშევიკურ პოზიციებზეა. 1918 წლის ნოემბრიდნ იბრძვის უკრაინის დირექტორიისა და პეტლიურას წინააღმდეგ. 1919 წლის დასაწყისიდან უკრაინის წითელი არმიის ბრიგადის მეთაურია. 1919 წლის აპრილიდან ბოლშევიკებს უპირისპირდება მათი მხრიდან „ოქტომბრის პრინციპების" მიმართ ღალატის ბრალდებით. იმავე წლის ივნისიდან თავის ბრიგადასთან ერთად შეიარაღებულ კონფრონტაციაში შედის ბოლშევიკებთან. 1919 წლის ბოლოდან ისევ იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას და ბოლშევიკური წითელი არმიის შემადგენლობაში თავისი ბრიგადით იბრძვის გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის, და მოგვიანებით, 1920 წელს ბარონ ვრანგელის რუსული არმიების წინააღმდეგ. 1920 წლის ბოლოდან ისევ იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას, უპირისპირდება ბოლშევიკებს და მათ წინააღმდეგ ხანგრძლივი პარტიზანული ბრძოლების შემდეგ, 1921 წლის შემოდგომიდან მიდის ემიგრაციაში.

[3] Harry Luke. Cities and Men: an autobiography. 1953. Vol. II, p. 88.

სოლიდარობაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება, ხოლო ყოფილი იმპერიის „Нацмен"-ებთან მიმართებაში – პროლეტარული ნეოკოლონიალიზმისა თუ ცარიზმი რესტავრაციის სტრატეგია.

1918-1920 წლებში „წითელ" და „თეთრ" რუსეთებთან სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებაში აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში ქართულმა სახელმწიფომ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სწორად დაგეგმილი და აღსრულებული სამხედრო ოპერაციების შედეგად შეძლეს თავისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

1918 წლის კამპანიაში ვალიკო ჯუღელისა და გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით ბოლშევიკთა წინააღმდეგ აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში წარმოებული შეტევითი ოპერაციები გამოირჩეოდა მაღალი ტემპითა და სიღრმით. ტაქტიკის დონეზე – ფლანგური იერიშებით. ქართული მხარის შეტევით ოპერაციაში ჯარების ორი სახეობა და სახმელეთო ჯარების სამივე გვარეობა მონაწილეობდა – ქვეითები, არტილერია, კავალერია. გარდა ამისა, უკვე სოჭი-ტუაფსეს ბრძოლებში – ქართული ჯავშანმატარებელი და ჯავშნოსანი ავტომობილები. ქართული მხარის მიერ შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისა და აღსრულების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვაო ფლოტის გამოყენება და სახმელეთო ძალებთან მათი ორგანიზებული ურთიერთქმედება. ცალკე გამოყოფის ღირსია ქართველი არტილერისტების მაღალი პროფესიონალიზმი და ეფექტური მოქმედება. ყველა ბრძოლაში ისინი მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. 1918 წლის საომარი კამპანიიდან აღსანიშნავია ოსმალური დესანტის გაუვნებელყოფის საკითხიც, რაც სწრაფად და ეფექტურად, და რაც მთავარია უდანაკარგოთ იქნა განხორციელებული ქართული მხარის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკთა მიერ სოხუმის ბრძოლაში მძიმე საგემბანო არტილერია და ავიაცია, ხოლო სოჭი-ადლერის ოპერაციის დროს, ქიმიური იარაღი იქნა ჩართული, ქართულმა მხარემ ეფექტურად შეძლო მათი გაუვნებელყოფა და წარმატების მიღწევა.

სამხედრო ხელოვნების კუთხით თვისობრივად განსხვავებული იყო 1919 წლის კამპანია. დენიკინელთა მიერ აფხაზეთის გარკვეული ტერიტორიების ოკუპაციის გამო, მთელი რიგი პოლიტიკური ინსინუაციებისა და ბრიტანელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართულმა მხარემ აქაც წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ამოცანას. 1919 წლის 17 აპრილს ქართული რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებმა და სახალხო გვარდიის რაზმებმა, ვალიკო ჯუღელისა და გენერალ იოსებ გედევანიშვილის სარდლობით, შეტევითი მოქმედებები დაიწყეს. 1918 წლის კამპანიის მსგავსად, ოპერაციის ტემპი და სიღრმე აქაც მაღალი იყო, მაგრამ სამხედრო ხელოვნების კუთხით სხვა საკითხს უნდა გაესვას ხაზი. 1919 წლის აპრილს წარმოებულ შეტევით ოპერაციაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქართული სამთავრობო ჯარებისა და სოჭის ოლქის „მწვანეების" მიერ წარმოებული ერთობლივი საბრძოლო მოქმედებები თეთრგვარდიელი ოკუპანტების წინააღმდეგ, რაც კომბინირებული ომის კარგ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს სამხედრო ისტორიის სფეროდან.

სოჭის ოლქის „მწვანეების", „შავიზღვისპირეთის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტისა" და საქართველოს მთავრობის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით აქ შექმნილი „შავიზღვისპირეთის დემოკრატიული რესპუბლიკის" შესახებ კი, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ.

ფაქტია, რომ „შავიზღვისპირეთის" და პერსპექტივაში „ყუბანი-შავიზღვისპირეთის დემოკრატიული რესპუბლიკის", ამ ბუფერული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის

არესებობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მომგებიანი და სასარგებლო იყო. ამას თვით რუსი ავტორებიც აღიარებენ.[1]

საქართველოს მთავრობის დახმარებით შექმნილი ეს სამართლებრივი სუბიექტი ჩრდილოეთიდან მომავალ საფრთხეს გაანეიტრალებდა, არა აქვს მნიშვნელობა იმას, აგრესორებად წითლები მოევლინებოდნენ ამიერკავკასიასა და საქართველოს თუ თეთრები. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი სამხედრო-პოლიტიკური ბუფერის არსებობა გამართლებული იყო. და აქ არ შეიძლება გარკვეული პარალელები არ გავავლოთ „ოქროს ხანის" ქართულ სამეფოსთან, სადაც სწორედ ქართული მონარქიის ნებითა და დახმარებით, სწორედ ამ მიზნებისა და ამოცანებისათვის შეიქმნა ასევე შავიზღვისპირეთში, ოღონდ სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში, საქართველოს სატელიტი სახელმწიფო – „ტრაპიზონის იმპერია". მაშინ ამ სქემამ გარკვეულწილად იმუშავა, თუმცა საბოლოო ჯამში, ვერც ტრაპიზონის იმპერია და ვერც საქართველოს სამეფო წინ ვეღარ აღუდგა აღმოსავლეთი-დან დაძრულ დამანგრეველ ნაკადებს და ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

დაახლოებით ასევე განვითარდა მოვლენები ყოფილ შავიზღვისპირეთის გუბერნიაში. ამ შემთხვევაში ჩვენ სოჭის ოლქსა და იქ დამყარებულ დემოგრაფიულ სურათზე გვაქვს საუბარი. უფრო ზუსტად, XX საუკუნის დასაწყისიდან რეგიონში დაწყებულ რუსიფიკატორულ პროცესებსა და რუსეთის სამოქალაქო ომის შედეგად შეეცვლილ დემოგრაფიულ სურათზე. ნაშრომის პირველ თავში ნათქვამი იყო, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში სოჭში ქართული მოსახლეობა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა, ხოლო მთლიანად სოჭის ოლქში, ასევე უმრავლესობას. და ეს მაშინ, როცა ცარიზმის კოლონიზატორული პროცესები შავიზღვისპირეთში უკვე შესული იყო თავის ინტენსიურ ფაზაში. რუსეთის სამოქალაქო ომმა კი, თავისი დამატებითი „კორექტივები" შეიტანა ამ პროცესებში. სტატისტიკურ მონაცემებს ისევ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ. ესაა 1928 წელს კრასნოდარში გამოცემული კრებული, სადაც ყუბანის ოლქში მოსახლეობისა და მეურნეობის სტატისტიკური მონაცემებია წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ მთლიანად რუსეთში მოსახლეობის დანაკარგები სამოქალაქო ომში 10%-ს შეადგენდა. ყუბანში კი ეს რიცხვი კიდევ უფრო მაღალი იყო. საერთო ჯამში, სამოქალაქო ომის დროს ყუბანში 331 ათასი ადამიანი იქნა მოკლული.[2] შავიზღვისპირეთის მოსახლეობა კი, პროცენტული თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად შემცირდა. ასე მაგალითად, სოჭის ოლქში 1917 წლისათვის 70000 კაცი ცხოვრობდა. სამოქალაქო ომის შემდეგ კი სულ – 44 ათასი. მაღალი იყო მიგრაციული პროცესების მაჩვენებელიც, რასაც თვით რუსული წყაროები და რუსი ავტორებიც ადასტურებენ.[3] ბოლშევიკთა შემოსვლის შემდეგ შავიზღვისპირეთიდან დაძრულ დევნილთა და მიგრანტთა დიდ ნაწილს სწორედ ქართველები, სოჭის ოლქის ქართული მოსახლეობა შეადგენდა. ახლა გასაგებია, თუ როდის და როგორ მოხდა რუსების მიერ საბოლოოდ ამ ძირძველი ქართული მიწების „ათვისება" და რატომ აღარ წარმოადგენენ დღევანდელ სოჭის რაიონში ქართველები

---

[1] Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.

[2] Население и хозяйство Кубанского округа: Статистический сборник за 1924-1926 гг. Т. 2. Краснодар. 1928. Стр. 10.

[3] Владимир Гаврзилович Иванцов. Кандидат исторических наук, доцент. Власть и общество на Кубани и Черноморье в 1920-1922 гг.: Советская власть в восприятии местного населения. Сочинский государственный университет. Стр. 155. European researcher. 2011. №8 (11). http://www.erjournal.ru/journals_n/1314681186.pdf.

უმრავლესობას. XIX საუკუნის ბოლოდან ცარიზმის მიერ ინტენსიურად დაწყებული და სისხლით უხვად შეზავებული რუსული კოლონიზატორული პოლიტიკა შავიზღვისპირეთში დიდი წარმატებით გააგრძელეს ისევ რუსმა მონარქისტებმა და ბოლშევიკებმა უკვე XX საუკუნის 20-იან წლებში.

იგივე პოლიტიკური კურსის ერთგულ გამგრძელებლებს წარმოადგენენ კრემლის დღევანდელი იდეოლოგები, რომელთა გაზრდილი მადა უკვე აფხაზეთსაც გადმოსწვდა. მაშინ კი, 1920 წლისათვის, აფხაზეთი – საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, ისევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში იქნა ჩართული, თუმცა სოჭის ოლქის შემომტკიცება ვეღარ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მეწინავე ქვედანაყოფებმა მდ. მზიმთასა და ადლერამდე მიაღწიეს. საქმეში ბრიტანელები ჩაერივნენ და ქართულმა ქვედანაყოფებმა მდინარე ფსოუმდე დაიხიეს უკან. აქვე დაფიქსირდა ,,სამხრეთ რუსეთის'' სახელმწიფოსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებული დე-ფაქტო გამყოფი ხაზიც. 1920 წლის 7 მაისს კი, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც რუსეთმა დე-ფაქტო და დე-იურე სცნო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიული საზღვრები და სუვერენიტეტი. მაგრამ საბჭოთა რუსეთთან მოჩვენებითი მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდი ძალიან ხანმოკლე და მყიფე აღმოჩნდა – სულ რაღაც ცხრა თვე. მთელი ამ ხნის განმავლობაში კრემლის ბოლშევიკი იდეოლოგების მიერ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ქართული სახელმწიფოს შიგნიდან აფეთქებისა და პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად.

და დღესაც, განხილული მოვლენებიდან თითქმის საუკუნის შემდეგ, კრემლის გეგმებს საქართველოსთან მიმართებაში არსებითი ცვლილებები არ განუცდია. დღესაც ქართული სახელმწიფოს ტერიტორიების 20% რუსული საოკუპაციო ჯარების მიერაა დაკავებული. აფხაზეთი, რუსეთის ეს ,,რივიერა'' ისევ ოკუპირებულია. კრემლის ბნელ კაბინეტებსა და დერეფნებში კი ხელოვნურად და ნაძალადევად შეკოწიწებული, ახალი ე.წ. ,,საბაჟო'' თუ ,,ევრაზიული'' კავშირის, რეალურად კი, რუსული იმპერიული ნეოკოლონიალიზმის დიდი გეგმები და დიდი სტრატეგიები მუშავდება ისევ...

და კიდევ ერთხელ – დიახ, არ არსებობს ორი, სამი და ათი რუსეთი. თავს ნუ ვიტყუებთ. არ არსებობს გუშინდელი და დღევანდელი რუსეთი. არსებობს მხოლოდ ერთი, ერთი არსის მქონე, მაგრამ მრავალსახოვანი რუსეთი, არა აქვს მნიშვნელობა რა ერქმევა მას სახელად – ბოიარული, ცარისტული, ესერული, ბოლშევიკური, დენიკინური, კომუნისტური, საბჭოთა, თუ ე.წ. ,,დემოკრატიული''... ფაქტია, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხთან მიმართებაში ერთი არსის მქონე და მრავალსახოვანი რუსეთის სტრატეგიული მიზნები და ,,სამოდერჟავული'' ამოცანები საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება...

ისტორია კი, ხშირად მეორდება...

ნიკო კეცხოველი
(1897-1962)

ნიკო კეცხოველი (ზის) და მისი
მეგობარი გრიგოლ მეგრელიშვილი

გიორგი არჯევანიძე
(1863-1940)

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი
(1871-1923)

გრიგოლ ლორთქიფანიძე
(1881-1937)

პარმენ ჭიჭინაძე
(1881-1921)

ალექსეი ფონ ლამპე
(1885-1967)



ნესტორ მახნო
(1888-1934)

სერ ოლივერ უორდროპი თბილისში.
1920 წელი.

სერ ჰარი ლუკი (1884-1969)

Арчил Чачхиани
Доктор истории, полковник

Русско-грузинские военно-политические отношения и военные действия в Абхазии и на Черноморском побережье (1918-1920 гг.)

Резюме

Данный труд представляет собой военно-научное исследование, в котором на базе изучения богатых источников впервые в грузинской историографии с научной точки зрения представлены военные действия грузинских соединений в Абхазии и на Черноморском побережье в 1918-1920 годах.

Рассмотрена сущность экспансионизма большивистской России и белогвардейского движения и основанной на нем идеологии военно-политической агресии по отношению к первой грузинской республике. Определенная часть труда отведена рассмотрению фактора присутствия в Закавказье британских оккупационных войск и политики двойных стандартов, которую командование этих войск проводило по отношению к грузинской демократической республике.

Большая часть представленной военной архивной документации (рапорты, докладные записки, оперативные шифровки, протоколы заседаний главного штаба народной гвардии и т.п.) впервые стали доступны для научного изучения. На основе их анализа рассмотрены военно-политические процессы, которые в 1918-1920 годах происходили в Сухумском и Сочинском округах – военные действия большевистских красноармейских отрядов, белогвардейских частей и грузинских войсковых соединений. Проведен анализ происходивших в регионе политических процессов, а с точки зрения военной истории представлен основанный на принципах ведения войны тактический анализ сражений.

В отношениях со странами и народами, входившими в бывшую Российскую Империю, большевики и лидеры Белого движения придерживались одной общей стратегической линии и их политические цели были практически идентичны – создание

единой, великой и неделимой России. Однако, большевистские лидеры, вдохновленные эфемерной идеей „мировой пролетарской революции”, пошли дальше Деникина и выдвинули концепцию создания „Соединенных штатов Европы и Мира”. Человечество не помнит существование идеи создания такого гипер-государства со времен Чингиз-Хана, который поставил себе целью построить унифицированную евро-азиатскую империю, которая простиралась бы „от моря до моря”, то есть от Тихого океана до Атлантического.

Первым юридическим актом, изданным Советской властью, стал „Декрет о Мире”, который был принят на Втором всероссийском съезде советов рабочих и солдатских депутатов 8 ноября 1918 года – на второй день после октябрьского переворота. Он основывался на мирном договоре без аннексий и контрибуций, и представлял собой фундаментальный программный документ советской дипломатии, который опирался на идею мирного сосуществования всех стран. Он предусматривал налаживание нового типа международных отношений – свободу народов, уничтожение рабства и гнета, отказ от территориальных притязаний и тайной дипломатии, что основывалось на принципах уважения прав народов и самоопределения наций.

Приход к власти Ленина и большевиков был обусловлен, в основном, их лозунгом социального характера „Землю – крестьянам, заводы и фабрики – рабочим”, и провозглашением демократического принципа „самоопределения наций”. Однако, ленинская краткосрочная „демократия” представляла собой хорошо поставленный фарс и политическую уловку, которая была рассчитана на эмоции уставшей от Первой мировой войны мировой общественности. Эти либеральные и чересчур демократические лозунги носили лишь декларативный характер и реально представляли собой предпосылку большевистского неоколониализма, который опирался на идею „мировой пролетарской революции”.

Реальность была проще, намного проще. Сегодня, после обнародования и изучения государственных, военных и партийных документов, которые в течении десятилетий были скрыты и засекречены, можно считать уже установленным тот факт, что эти события были ничто иное, как направленная против суверенных государств и народов вооруженным путем осуществленная схема „интервенции-окупации-аннексии”; говоря более понятным и простым языком – завоевание соседних стран. С идеологической и исторической точки зрения происходила большевистская неоколонизация, сценарий которой писался в темных кабинетах Кремля.

Неуместно говорить о высокой нравственности и моральных качествах прошедших ужасы Первой мировой войны русских солдат. Об этом свидетельствуют в 1918 году в Сухуми и Сухумском округе инсценированные „революции”. Здесь революционную силу представляли многочисленные толпы вернувшихся с фронтов Первой мировой войны дезертировавших и превратившихся в бандитов матросов и солдат, для которых суть революции состояла в разрушении всего старого и в грабеже.

Лидеры Белого движения, генерал Алексеев и генерал Деникин, стратегией своей военно-политической деятельности выбрали восстановление старого монархического режима, который был „тюрьмой для народов”. Несмотря на глобального масштаба революционные планы и жестокие методы борьбы большевиков, в 1918-1920 годах „Доброармия” лидеров Белого движения генерала Алексеева и генерала Деникина, представляли для грузинской демократической республики большую опасность, чем Красная армия Ленина и Троцкого. Генерал Деникин проявил себя недальновидным политиком, когда навсегда похоронил возможность эффективной борьбы против большевиков и, руководствуясь своей царско-державной стратегией, задумал восстановить Русскую империю времен Николая Второго в границах, существовавших на 1914 год. Вместо того, чтобы найти общий язык с другими противниками большевизма (Румынией, Польшей, государствами Прибалтики и Кавказа, с Махно, Петлюрой, Пильсудским и другими), он не только не принял от них помощи, но и своими провокационными действиями вошел в явно враждебные отношения со своими потенциальными союзниками.

Военная агрессия, которую большевики и белогвардейцы в 1918-1920 годах осуществили в Абхазии и на Черноморском побережье Грузии, так же, как и на других территориях бывшей царской империи, происходила по схеме, которая подразумевала захват власти и перераспределение имущества. Этот процесс большевики маскировали терминами „классовая борьба” и „пролетарская революция”, а белогвардейцы и монархистские группы называли это восстановлением „старого порядка” и тосковали по „единой и неделимой Матушке-России”. Говоря современным языком, и в одном и в другом случае, это было ничто иное, как проведение политики, основанной на корпоративной солидарности, а в отношении „Нацменов” бывшей империи – осуществление стратегии пролетарского неоколониализма, либо стратегии восстановления царизма.

В результате военных действий, проведенных грузинскими регулярными частями и отрядами народной гвардии в Абхазии и на Черноморском побережье в период с мая 1918 года по апрель 1919 года, грузинское правительство добилось стабилизации обстановки в Абхазии. Абхазия – этот древнейший уголок Грузии, вновь присоединилась к Грузии и регион оказался под юрисдикцией первой грузинской республики. Главным результатом Сочи-Туапсинского конфликта, между так называемым „Государством Южной России” и Грузинской демократической республикой, было установление фактической границы по реке Псоу. Эта граница была официально признана де-юре и де-факто Советской Россией 7 мая 1920 года, а вскоре, вместе с признанием Грузинской демократической республики – и рядом европейский государств.

Во время военно-политического противостояния с „Красной” и „Белой” Россией, в Абхазском регионе и на Черноморском побережье, грузинское руководство и его вооруженные силы в результате хорошо спланированных и проведенных военных

операций смогли отстоять свой суверенитет и сохранить территориальную целостность. С этой точки зрения стоит отметить, что в апреле-мае 1919 года грузинскими правительственными войсками и силами „Зеленых” сочинского округа, проведенные против белогвардейских оккупантов совместные военные действия можно рассматривать, как хороший пример ведения комбинированной войны, взятый из грузинской военной истории.

В конечном счете, Абхазия – этот древнейший уголок Грузии, вновь вошла в состав Грузинской демократической республики, однако, не удалось присоединить Сочинский округ, несмотря на то, что грузинские передовые подразделения достигли реки Мзимта. В события вмешались британцы и грузинские подразделения отступили к реке Псоу. 7 мая 1920 года между Грузинской демократической республикой и советской Россией был заключен мирный договор, согласно которому Россия де-факто и де-юре признавала независимость, территориальные границы и суверенитет грузинского государства. Однако, кажущееся мирное сосуществование с советской Россией оказалось недолгим и хрупким, и продолжалось всего каких-то девять месяцев. В течение всего этого периода большевистские идеологи проводили интенсивную работу для подрыва грузинского государства изнутри и осуществления прямой военной интервенции.

И сегодня, спустя столетие после рассматриваемых событий, планы Кремля в отношении Грузии не претерпели существенных изменений. И сегодня 20% территории грузинского государства захвачены русскими оккупационными войсками, а в кабинетах и корридорах Кремля снова разрабатываются большие планы и стратегии, так называемого, „Таможенного союза” и „Евразийского неоколониализма”...

Не существует двух, трех или десяти Россий. Не будем себя обманывать. Не существует вчерашней или сегодняшней России. Существует лишь одна, одной сущности Россия, не имеет значения, как она называется – боярская, царская, эсеровская, большевистская, деникинская, коммунистическая, советская или, так называемая, „демократическая”... Факт, что в отношении Грузии и грузинского народа стратегические цели и „самодержавные” устремления односущной и многоликой России в течение веков не меняются...

История же часто повторяется...

Archil Chachkhiani
Ph.D. Colonel

Russia-Georgia Military-Political Relationships and Combat Activities in Abkhazia Region and the Black Sea Coastal Area (1918-1920)

Summary

The work represents a military-scientific study, which from scientific research viewpoint, for the first time in the Georgian historiography, reviews the combat activities of the Georgian armed units in Abkhazia and the Black Sea coastal area in the years of 1918-1920, relying on the valuable sources.

The paper discusses imperial expansionism as the distinguishing feature of the Bolshevik Russia and the so-called White Guard movement and military-political aggression towards the first Georgian Republic, founded on this ideology. Part of the work is dedicated to the factor of the Britain occupation troops presented in the Trans-Caucasus and dual character of their Command's policies in relation with the Democratic Republic of Georgia.

This is the first time that the greater part of the represented military archival materials (reports, memorandums, operative cipher texts, transcripts of the People's Guard Headquarters meetings and so on) became available for the scientific aims. Based on the analysis of theese documents, the work discusses the military-political processes developing in Sokhumi and Sochi districts in 1918-1920, namely the combat actions of the Bolshevik Red Army units, White Guard troops and Georgian forces; the political processes taking place in the region are analysed; as for the military history viewpoint, the tactical analysis of the battles are represented based on the principles of war.

Both Bolshevik and White Guard leaders followed the same strategic paths in relation with the countries and nationalities who had been under the former Russian Empire. Their political goals were actually also identical – to form unified and integrated Russia as a Great Power. However, the Bolshevik leaders, inspired with the ephemeral ideas of the "World's Proletarian Revolution", went much further and brought forward the concept of establishing

the ”United States of Europe and the World”. The idea of forming such ”hyper-state” had not been mentioned since the times of Genghis Khan, who aimed to conquer the world from ”One Sea to Another”, i.e. from the Pacific to the Atlantic Ocean in order to establish the unified Euro-Asian Empire.

”The Peace Decree” was the first legislative act issued on the 8th of November, 1917 (in the new style), just the second day of the ”Great October Revolution”, at the all-Russian II Session of Soviets. It was based on the armistice without annexion and contribution and represented the fundamental program document of the Soviet diplomacy, founded on the idea of peaceful coexistance of all the states.That document implied establishing the new type of the international relations – freedom of people, elimination of slavery and oppression, denying conquest of territories and quiet diplomacy – founded on the principles of respect the people’s rights and self-determination of the nations.

Lenin and the Bolsheviks managed to take the power mainly due to their social slogan: ”Land for peasants, factories for workers” and the declaration of the democratic principles about self-determination of the nations. But Lenin’s short-term democracy appeared a well-performed farce and a political trick counted on the emotions of the world’s society, overexhausted by the WW I. It was bare declaration of at first sight liberal and democratic principles, which in fact was the prerequisite for the Bolshevik-style neo-colonialism based on the idea of the ”World’s Proletarian Revolution”.

The reality then was much more simple. Having studied and brought to light the State, military and party archives, being classified for many decades, now it became obvious that the mentioned developments were nothing else but the plan of Soviet armed ”intervention-occupation-annexion” against the sovereign states. Putting it in more simple words – occupation of the neighboring countries, and as for the ideological- historical viewpoint, it was Bolshevik-style neo-colonisation, the scenario of which was written in the dark rooms of Cremlin.

There is no need of speaking about the high morality of Russian soldiers who had undergone the fears of the WW I. The feigned ”revolutions” taken place in Sokhumi and Sokhumi district, in February and April 1918, showed it. In the mentioned areas the revolutionary forces were represented by crowds and gangs of the Russian deserter sailors and soldiers, who were robbing and committing different crimes, as for them that was the meaning of the socialist revolution.

The strategy of the White movement leaders, General Alekseev and General Denikin was restoration of the old monarchical regime and renovation of ”a jail for nations.” Despite the global revolutionary plans and ruthless methods of the Bolsheviks, the volunteer armies of Alekseev and Denikin represented no less but even greater danger for the Democratic republic of Georgia in 1918-1920, compared with the Red Army of Lenin and Trotsky. General Denikin turned to be quite short-sighted politician. Wishing to restore the Russian Empire in its old borders of 1914, as it was in the times of king Nicolas II, he actually lost the capability of effective struggle against Bolsheviks.Instead of seeking close relationships and any kinds

of agreements with Romania, Poland, Baltic and Caucasian states, as well as with such figures as Makhno, Petliura, Pilsudski and others, due to his wrong strategy, he not only failed to get any help from them, but had obviously hostile relationships with all his potential allies.

In Abkhazia and Black Sea coastal area of Georgia, just as on other territories of the former Tsarist Empire, the military aggression from both sides - Bolsheviks and White Armies had its basic aim; it was the plan of seizure of power over those lands by force and redestribution of the obtained wealth. The bolsheviks masked those processes under the terms of ”struggle between classes” and ”Proletarian Revolution” and on their turn, the White Guard leaders and the monarchist circles cried over the old ”unified and integrated Mother Russia” and were trying to restore ”the old rule.” It reflected actually the picture of policy basing on the corporative solidarity. In relation to the national minorities of the Empire (so called ”Natsmens”) it became a manifestation of the proletarian neo-colonialism and the strategy towards Tsarism restoration.

As the result of the combat activities of the Georgian regular troops and People’s Guard units in Abkhazia region and the Black Sea coastal area, in the period of time between May 1918 and April 1919, Georgian authorities attained stability in Abkhazia. This ancient Georgian land re-incorporated in Georgian Republic as its constituent, under jurisdiction of the first Republic of Georgia. The official border was fixed on the river Psou, as the main result of the Sochi-Tuapse military-political conflict between the so-called ”South Russia State” and Democratic Republic of Georgia. Soviet Russia officially recognized de-jure and de-facto that border on the 7th of May, 1920. Later, alongside with recognition of Democratic Republic of Georgia, it was recognized by several European countries.

Through properly planned and effectively executed military operations, in the military-political hostilities with ”Red” and ”White” Russia in Abkhazia and Black Sea coastal area, the Georgian Armed Forces were able to maintain the sovereignity and territorial integrity of Georgia. From this standpoint it is worth noting that in April-May of 1919, the joint combat activities conducted by the regular Georgian troops and the so called ”Green” units operating in Sochi district, against the ”White”occupants can obviously be considered a good example of the compound warfare in the Georgian military history.

Summing up, the ancient Georgian land, Abkhazia region, was re-integrated to its motherland, but the aim of uniting the Sochi region to Georgia was not attained. Although the Georgian armed units reach the river Mzimta, the Britains interfered and the Georgians had to withdraw back to the river Psou.On may 7, 1920 the peace agreement was signed between Democratic Republic of Georgia and Soviet Russia. By this agreement, Russia de-jure and de-facto recognized the independent Georgian State in its territorial borders, and its sovereignity. But the period of peaceful relations with neighboring Russia appeared too fragile and short. his lasted only in 9 months. And during this short period the Bolshevik ideologists were conducting intensive activities aiming to destroy a young state from inside and make direct foreign intervention possible.

For present, almost a century after the above mentioned historical events, the plans of Kremlin relating to Georgia have not undergone serious changes. Today, 20% of Georgian territory are again occupied by Russian troops, today in the dark corridors and rooms of Kremlin the great neocolonial plans of so called ”Customs” or ”Euro-Asian” union are again under development.

It is clear that there is none of such notion as two, three or ten different Russias. We should not deceive ourselves. There is only one Russia, all the same, under what name it is – let it be Boyar Russia, Tsarist, Esser, Bolshevik, Denikin, Communist, Soviet or so called ”Dermocratic”, all theese are the diversities of one Russia, which always had and will always have the same strategic goals and imperial tasks in relation with Georgia. Nothing has ever changed in this area.

History has a habit of repeating itself...

გამოყენებული ქართულენოვანი ლიტერატურა და საარქივო დოკუმენტები:

1. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 36. გამოცემა მეოთხე. საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1959.
2. ავთანდილ სონღულაშვილი. აფხაზი თუ აფსუა? გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2007.
3. ავთანდილ სონღულაშვილი. კაზაკები საქართველოში. „მეცნიერება". თბილისი. 2003.
4. ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი. 1996.
5. ჯ. გამახარია. აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. თბილისი. 1998.
6. ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007.
7. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები. გამომცემლობა „პეგასი". თბილისი. 2012.
8. გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990.
9. გაზეთი „ერთობა", 21. 05. 1918.
10. გაზეთი „საქართველო". 1918 წლის 1 ივნისი.
11. არჩილ ჩაჩხიანი. პოლიტიკური პორტრეტები რეტუშირების გარეშე – ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი (ათათურქი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი. 2013. 1(12).
12. არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007.
13. არჩილ ჩაჩხიანი. თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის" სამხედრო ისტორიის საკითხები საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში. ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი". 2013.
14. დ. ჩიტაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბილისი. 2006.
15. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნაწილი I. „ლომისი". თბილისი. 1998.
16. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 30 ივლისი.
17. დოდო პერტაია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა (1918-1921წწ.). საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია. 2000. №3. გვ. 142. ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული.

18. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 8 აგვისტო.
19. ავთანდილ მენთეშაშვილი. ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი. 1990.
20. რამაზ ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. „მერიდიანი". თბილისი. 1995.
21. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 10. 01. 1919. №6.
22. გაზეთი „ჰუნჩაკი". 1914. 7 ნოემბერი. პარიზი.
23. გაზეთი „ერთობა". 19. 12. 1918. №274.
24. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №4. კვირა. 1919 წ. 5 იანვარი.
25. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 07. 01. 1919. №5.
26. დოდო ჭუმბურიძე. დამოუკიდებლობის დასასრული და დიპლომატი გერასიმე თომას ძე მახარაძე. კლიო. საისტორიო ალმანახი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი. 2001.
27. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი. ნარ-ეკლებით მოფენილი გზა.
28. დაბრუნება. ემიგრანტული ლიტერატურა. გრიგოლ ლორთქიფანიძე. თბილისი. 1992.
29. გრიგოლ ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995.
30. მაო ძე დუნი. პარტიზანული ბრძოლა. სამხედრო ბიბლიოთეკა. თბილისი. 2007.
31. გ. ბოგვერაძე. საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია. (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი. 2002.
32. შოთა ვადაჭკორია. დამოუკიდებელი საქრთველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1919 წლებში. თბილისი. 2010.
33. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1918-1921). ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება (1918 წლის 3 მარტი). http://sangu.ge/images/vguruli/19 geo.pdf.
34. ვახტანგ გურული. საქართველო რუსეთის ურთიერთობა (1918-1921). საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი). http://sangu.ge/images/vguruli /19geo.b pdf.
35. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი. 2011. http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf.
36. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978.
37. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა). ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 55.
38. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 2.
39. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. მთავარი რედაქტორი ჯემალ გამახარია. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. 2006.
40. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაიას ფონდი, საქმე 43.
41. ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაწილი I. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი. 1990.
42. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1978.
43. ჯარის კაცი შალვა ჭიჭინაძე. ჩვენი ქალი ომში. ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №3. 1920 წლის 13 ივნისი.
44. გვარდიელი დ. ო-ძე. სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონი (მოგონებები). ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1.

45. ვალიკო ჯუღელი. ორი წლის წინეთ. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 15 თებერვალი. №5. გვ. 4.
46. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 12 დეკემბრის დღესასწაული. 1920 წლის 1 იანვარი. №2. გვ. 15.
47. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 3.
48. ს. დევდარიანი. დღევანდელი სინამდვილე – საქართველოს ბოლშევიკები. ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №8. 1920 წლის 25 ივლისი. გვ. 4.
49. ჟურნალი მხედარი. ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №15. 1920 წლის 12 სექტემბერი. გვ. 12.
50. ჟურნალი „მხედარი". ორგანო სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციისა. სტამბა სამხედრო სამინისტროსი. №6. 1920 წლის 4 ივლისი. გვ. 1.
51. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1921 წლის 1 თებერვალი. №4. გვ. 3.
52. ი. ც-ძე. წერილი სოხუმიდან – ჩვენი მეგობრები. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 11 აგვისტო. №169. გვ. 2.
53. ბრძოლა ახალ ათონთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 27 აგვისტო. №181. გვ. 3.
54. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 10 ივლისი №142. გვ. 2.
55. პრომეთეოსი. შავიზღვისპირის ფრონტი – რაზმელები ტყვედ ბოლშევიკების ხელში. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 31 ივლისი №160. გვ. 3.
56. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. უკანასკნელი ცნობები. 1918 წლის 3 ივლისი №136. გვ. 2.
57. საუბარი გენ. მაზნიაშვილთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 17 აგვისტო. №173. გვ. 2.
58. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ივლისი №145. გვ. 2.
59. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 8 ივლისი №141. გვ. 2.
60. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 4 ივლისი №137. გვ. 2.
61. ბათუმის ამბები. ამიერკავკასიის მთავრობის ცნობა. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 7 მარტი. №53. გვ. 2.
62. ოსმალეთის დესანტი სოხუმთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი. №138. გვ. 3.
63. რეაქციის ხმალი. გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 9 თებერვალი. №32. გვ. 1.
64. „ბალშევიკები" ბანძაში. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ოქტომბერი. №220. გვ. 1.
65. სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო". შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. №42.

66. გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 24 აპრილი თებერვალი. №88.
67. ვინ მოიწვია ოსმალოს ჯარი? გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 8 სექტემბერი. №192. გვ. 3.
68. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 30 ივლისი №159.
69. გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 11 თებერვალი. №33.
70. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი №138.
71. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 10 სექტემბერი. №193.
72. ი. კორტი. წერილი სოხუმიდან. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №261. ხუთშაბათი, 20 ივნისი, 1918 წ.
73. გაზეთი „ერთობა". ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. 1919 წლის 24 აპრილი თებერვალი. №88.
74. ინტერვიუ სამხედრო მინისტრთან. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 22 აგვისტო. №177.გვ.3.
75. ორი კვირე შავი ზღვის პირეთ. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 22 აგვისტო. №177.
76. ი. ც-ძე. წერილი სოხუმიდან – ჩვენი მეგობრები. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 11 აგვისტო. №169.
77. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №237. ოთხშაბათი, 22 მაისი, 1918 წ. გვ. 2.
78. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 28 აგვისტო. №182.
79. ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ. http://dspace.nplg.gov.ge/ bitstream/1234/22896/1/ brdzaneba-223.jpg.
80. სოხუმის ამბები. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №237. ოთხშაბათი, 22 მაისი, 1918 წ. გვ. 2.
81. საშინელი ამბები სოხუმიდან. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №176. სამშაბათი, თებერვლის 20(5) 1918 წ.
82. სოფლად და ქალაქად. ქ. ოჩამჩირე. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. 1920 წელი. ივნისის 1. №838.
83. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონოგრამების ფონდი. გრიგოლ ურატაძე. ინტერვიუ რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტთან.
84. სსრკ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივი. ფონდი 446, საქმე 40, ფურცელი 2-3.
85. სსრკ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო არქივი. ფონდი 446, საქმე 34, ფურცელი 1-4.
86. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11 ფურცელი 3.
87. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 6.

88. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 15.
89. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 17.
90. სცსსა. ფონდი 2080, საქმე 8, ფურცელი 62.
91. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, ფურცელი 2.
92. სცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 118. ფურცელი 9.
93. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 58.
94. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 1.
95. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 1.
96. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 13.
97. აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი И-39, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 7.
98. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 13.
99. სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 900, ფურცელი 24.
100. სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 628, ფურცელი 17.
101. სცსსა. ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 900, ფურცელი 25-27.
102. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 8.
103. სცსსა, ფონდი 2081ა, ანაწერი 1, საქმე 637, ფურცელი 3.
104. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 4.
105. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (5-6).
106. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (7-8).
107. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.
108. სცსაა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 12, ფურცელი 78.
109. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი (2-2 ობ).
110. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 5.
111. სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 68.
112. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 10.
113. სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 52.
114. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 12.
115. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 32, ფურცელი 3.
116. სცსაა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 50, ფურცელი 4.
117. სცსაა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 50, ფურცელი 4.
118. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 130.
119. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 32.
120. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.
121. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი 96.
122. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 6.
123. სცსსა. ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 138, ფურცელი 108.

124. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (27-28).
125. სცსსა. ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 39, ფურცელი 47.
126. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცლები (68-69).
127. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 17.
128. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (97-98).
129. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 5.
130. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 15.
131. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 50-51.
132. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 19.
133. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 63.
134. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 122.
135. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 158.
136. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 9.
137. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 103.
138. სცსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, საქმე 21.
139. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 215, ფურცელი 57.
140. სცსსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 76.
141. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 73, ფურცელი 1.
142. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 126.
143. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი (161-162).
144. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 28.
145. სცსსა. საქმე 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 13.
146. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 108.
147. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 40, ფურცელი 101.
148. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 113.
149. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 7.
150. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდები 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 115.
151. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. მიკროფირების ანაწერი 1, საქმე 438, ფურცელი 10.
152. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 31.
153. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 116.
154. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 121.
155. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 243.
156. სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 43.
157. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 23.
158. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 8.
159. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 2, საქმე 32, ფურცელი (125-126).

160. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 119, ფურცელი 1-2.
161. სცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი (7-7ობ)
162. სცსსა. ფონდი 1961, ანაწერი 2, საქმე 20, ფურცელი 23.
163. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2037, ანაწერი 1, საქმე 68, ფურცელი (1-3).
164. სცსსა. ფონდი 1864, ანაწრი 1, საქმე 11, ფურცელი 1 ობ.
165. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 67, ფურცელი 44.
166. სცსსა. ფონდი 1818, ანაწერი 2, საქმე 135, ფურცელი 21.
167. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 25.
168. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 1.
169. სცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 5.
170. სცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 138, ფურცელი 1.
171. სცსსა. ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 23, ფურცელი 27.
172. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 1.
173. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 18, ფურცელი 8.
174. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 2.

გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა და წყაროები:

1. რუსულენოვანი:

1. В. И. Ленин. О лозунге „Соединенные Штаты Европы”. Социал-Демократ, № 44, 23 августа 1915 г. Печатается по тексту газеты „Социал-демократ”. http://www.marxists. Org/russkij/ lenin/ 1915/08 /10a.htmH.
2. В. И. Ленин. Сочинения, т.21.
3. Ленин В.И. Полн. Собр. соч. т.31, т.34, т.40.
4. Конев А. М. Красная гвардия — ядро создания новой армии // Красная гвардия на защите Октября / Ответственный. редактор Н. Н. Азовцев. — 2-е изд. — М., 1989. ISBN 5-02-008463-8.
5. Из резолюции Бюро ЦК РСДРП(б), 26 марта 1917 г.
6. Чураков Д. О. Как это было: Красная гвардия в 1917-м // Диалог. — 1998. — № 4. — С. 64-67. — ISSN 0236-0942.
7. История войн и военного искусства. Под редакцией Маршала Советского Союза И. Х. Баграмяна. Военное издательство. Москва. 1970.
8. И. И. Вацетис, Н. Е. Какурин. „Гражданская война 1918 – 1921”.
9. „Жизнь Национальностей”. № 6, 15 декабря 1918 г. Передовая. Подпись: И. Сталин.
10. Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0.
11. Троцкий Л.Д. Пять лет Коминтерна. М.-Л. 1925.
12. Черчиль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. http://militera.lib. ru/memo/0/ one/english/churchill2.rar.
13. Суханов Н. Н. Записки о революции. Книга 3. Создание единого фронта крупной и мелкой буржуазии 3 апреля - 5 мая 1917 года.
14. Доклад на юбилейном собрании директора Института гуманитарных исследований им. Д. Гулиа Василия Авидзба К 120-летию со дня рождения Нестора Аполлоновича Лакоба. http://apsnypress.info/docs/8872.html.
15. Александр Даушвили. Врать надо меньше... Надо меньше врать! ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. №9. 2013.
16. Александр Борисович Широкорад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. http://www.xliby.ru/istorija/voina_i_mir_zakavkazja_za_poslednie_tri_ tysjachi_ let/p7. php.
17. Анатолий Артемьев. Полковник в отставке, военный летчик 1-го класса, с 1983 по 1991 г. Старший научный сотрудник исторической группы главкома ВМФ. „Гаврилы” против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники”. Военно-промышленный курьер ВПК. Общероссийская еженедельная газета. http://vpk-news.ru/articles/3459.

18. Разгром 11 и 12 красных армий Деникиным. Победы Деникина на Кавказе. Русская историческая библиотека. http://rushist.com/index.php/civil-war/1403-razgrom-11-i-12-krasnykh-armij-denikinym.
19. О. Е. Ащеулов. Роль советской артиллерии в решающих битвах и операциях великой Отечественной войны — Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, 2008.
20. А. В. Лобанов. Артиллерия резерва Верхового главнокомандования в Великой Отечественной войне — Военно-исторический журнал, № 2, 2006.
21. Е. Погорелов. „Военные тайны" ПИСАТЕЛЯ Широкорада. „Военно-исторический журнал".http://history.milportal.ru/arxiv/voenno-istoricheskij-zhurnal2009-g/voenno-istoricheskij-zhurnal-3-2009-g/.
22. Самсон Чанба. Союз горцев и права нации. Газета „Горская жизнь". 1917 г. 14 ноября. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 15-16. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
23. Светлана Червонная. Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992). Москва. Мосгорпечать. 1993. http://www. conflicts.rem33.com/ images/abkhazia/Czerwon na.htm.
24. Ираклий Геленава. Абхазия с 1881г. до февраля 1917 года. Ужесточение колониальной политики в 1881-1905 годах. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти". Тбилиси. 2009. Стр. 422. Т. Гванцеладзе. Массовое изменение топонимов в Абхазии после 1864 года. Кавказско-Иберийское языковедение. Т. XXXIV. Тб. Стр. 45 (на груз. яз.)
25. Сочи: Страницы прошлого и настоящего. 1917 г. От Февраля к Октябрю. http:// www.lovlinskaja.ru/htm/article-sochi-preface.php.
26. Из Афона. Тифлис. Газета „Возрождение". Закавказский Сейм. 12 марта 1918 г. Абгосмузей. Ф. 4, оп, 1, д. 66, л. 71. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 15-16. http://apsnyteka.org/file/Abkhazja_ dokumenty _i_ materialy _1917_1921.pdf.
27. Развитие политической ситуации на Кубани и в Сочинском округе в 1917 году. Глава 25. Сочи в период двух революций и гражданской войны. Част 1. http://www. lovlinskaja.ru/htm/ article-sochi-preface.php.
28. Ефимов Николай. Алексеевич — кандидат исторических наук. Атарбеков — один из зачинщиков красного террора. ВИ. 2000. № 6. С. 130—136. Великая Октябрьская социалистическая революция, с. SO; РГАСПИ, ф. 17, оп. 66, д. 66, л. 144. http://105384.dyn.ufanet ru/ knigi.
29. Дзидзария Г.А. Роль Советов и „Киараза" в истории революционной борьбы в Абхазии 1917 - 1921 гг. - Сухуми, 1971.
30. Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967.
31. Г. А. Дзидзария. Из истории революционных связей Абхазии и Аджарии. Академия наук Абхазии. Абхазскийи нститут гуманитарных исследований им. Д. И. Гулия. Труды. Том III. Из неопубликованного наследия. Сухуми. 2006. Стр. 199.
32. Г. А. Дзидзария. Завоевание Абхазии царской Россией. Академия наук Абхазии. Абхазскийи нститут гуманитарных исследований им. Д. И. Гулия. Труды. Том III. Из неопубликованного наследия. Сухуми. 2006. Стр. 97.
33. Архимандрит Илларион. Из Афона Краевому Комиссариату. Абгосмузей. Ф. 1472, д. 56, л. 32. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 15-16. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
34. Горлов В. П. Героический поход. Изд. 2-е. М., 1967; http://www.hrono.ru/biograf/ bio_m/ matveev_ ii.html.

35. Н. Е. Герасимова. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Вооруженное восстание 1905-1906 гг. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru /blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66
36. Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп. 1, д1, л1.
37. Вестник Временного правительства. 1917г. №5. Цит. По: Диманштейн С. М. Революция и национальный вопрос. – М., т. 3.
38. Махарадзе Ф. Советы и борьба за Советскую власть в Грузии 1917-1918 г.г. Тифлис. 1928.
39. Андрей Зубов. Доктор исторических наук, профессор МГИМО, ведущий научный сотрудник Института востоковедения РАН. История и современность. Кавказ без Росии. Гражданин, и демократ, и государственник. Периодический политический журнал. №1, 2003.
40. „Известия”. 09. 03. 1918. №231. Стр. 3-4. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 20. http://apsnyteka.org/file/Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
41. Сагария Б. Е. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми. 1970.
42. Лакоба Н. А. Статьи и речи. Сухуми. 1987.
43. Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия _ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997.
44. Дж. Гамахария. „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики”. Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти”. Тбилиси. 2009.
45. Джемал Гамахария. Абхазия (краткая историческая справка). http://iberiana. wordpress. com/ afxazeti/j-gamakharia-1/.
46. Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии (1917-1988). Сборник политико-правовых актов. Тбилиси. 2004. Стр. 213-214, 218.
47. Иванов А. Неизвестный Дзержинский. Факты и вымыслы. Минск. 1994.
48. О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии с древнейших времен до наших дней. Раздел III. Абхазия в новое время. §9. Советская власть в Абхазии 1918 г.
49. Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002.
50. Газета „Сухумская правда”, 24 апреля 1918 г.
51. Газета „Крестьянин и рабочий’’, 27 апреля 1918 г., г. Сочи.
52. Газета „Известия Кубан. обл. ЦИКа”, 9 мая 1918 г., г. Екатеринодар.
53. Д. Читая. Абхазский вопрос в первой Грузинской Республике. Народный Совет Абхазии. Тбилиси. 2006.
54. Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца).Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г.
55. ЦГАОР СССР, ф. 130, оп. 2, д. 580, л. 25.
56. ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 558, оп. 1, д. 6381, л. 1.
57. Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи:Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год).
58. Ст. Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми: 1990.
59. Осадчий И.П. За власть трудового народа. - Краснодар, 1987.
60. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX _ начале XX в. Часть вторая. Баку. 1994.
61. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.80, л. 101.
62. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.513, л.3.

63. Документы по истории гражданской войны в СССР, т. I. М. 1940.
64. Г. Р. Мархулия. „Красная” и „Белая” Россия против независимости Грузии (1918 г.). საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია. 2000. №3.
65. Д. Енукидзе. Крах империалистической интервенции в Закавказье. Тбилиси. 1954.
66. Г. Хундадзе. Советская власть и грузинское посольство в России. Тифлис. 1920.
67. Сагария Б. Е. 1970. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми.
68. Залесский К. А. Империя Сталина. Биографический энциклопедический словарь. Москва, Вече, 2000.
69. Василий Авидзба. К 120-летию со дня рождения Нестора Аполлоновича Лакоба. Доклад на юбилейном собрании директора Института гуманитарных исследований им. Д. Гулиа. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 30. 04. 2013.
70. Куправа А. Э. Люди: время и жизнь. - Сухум, 2008.
71. Газета „Возрождение”. 7 июля 1918 г.
72. Архив музея истории города-курорта Сочи, ф. 4, оп. 1, д. 6, 8. Л. 1.
73. Черушев Н. С., Черушев Ю. Н. Расстрелянная элита РККА (командармы 1-го и 2-го рангов, комкоры, комдивы и им равные): 1937—1941. Биографический словарь. — М.: Кучково поле; Мегаполис, 2012. — С. 82—83. — 496 с. — 2000 экз. — ISBN 978-5-9950-0217-8.
74. Осадчий И. П. Октябрь на Кубани. – Краснодар, 1977.
75. Черная книга имен, которым не место на карте России. Сост. С.В.Волков.М., „Посев”.2004.
76. Н.Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Часть 1 . "Сочи: страницы прошлого и настоящего". Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.
77. И.С. Минц. „Победа советской власти в Закавказье”. М. 1929.
78. А. Б. Кадишев. Интервенция и гражданская война в Закавказье. Военное издательство министерства обороны союза ССР. Москва. 1960.
79. Автандил Ментешашвили. Из истории взаимоотнашений Грузинской Демократической республики с советской Россией и Антантой. 1918-1921гг. http://www.georgianweb.com/.
80. А. Ментешашвили. Исторические предпосилки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси. 1998.
81. Автандил Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. http:// iberiana.wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.
82. Н. Жордания. Моя жизнь, Стэнфорд. 1968. http://www.georgianweb.com/.
83. Корнатовский Н. А. Борьба за Красный Петроград. - Москва: АСТ, 2004. -606 с. - (Военно-историческая библиотека). - 5 000 экз.- ISBN 5-17-022759-0.
84. Белые войны. Марков и марковцы. М.: НП „Посев”, 2001. http://moreandr. narod.ru/lib _ru/ markovtsi/.
85. Северо-Кавказцы в боях за родину. Краткий военно-исторический очерк о боевом пути Северо-Кавказского военного округа. Под редакцией генерала армии И. Плиева. Военное издательство. Москва. 1966г.
86. Антон Иванович Деникин. Очерки русской смуты. Вооружённые силы юга России. Воспоминания. Мемуары. Минск. Харвест. 2002.
87. Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи. В двух томах. Государственное издательство политической литературы. Москва. 1956. Том I. 1910-1926 гг.

88. Гражданская война и военная интервенция в СССР. Энциклопедия. Центральный государственный архив Советской армии. В двух томах. Том 1. Путеводитель. 1991. Северокавказцы в боях за Родину. Глава 2.
89. Б. Ишханянъ. Тенденции мусульманскаго движенія. Баку. Типографія „Труженікъ”. 1919.
90. И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931.
91. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г.
92. „Наше слово’’. 1919, 21 марта; Литературная Грузия, 1989, № 11.
93. Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф.14, оп.1, д.1, л1.
94. Развитие политической ситуации на Кубани и в Сочинском округе в 1917 году. http://www.lovlinskaja.ru/htm/article-sochi-preface.php.
95. Разгон И. „Орджоникидзе и Киров, и борьба за власть Советов на Северном Кавказе’’, 1917-1920 гг. М-.1941.
96. Архив музея истории города-курорта Сочи, ф. 4, оп. 1, д. 6, 8. Л. 1.
97. „Зеленая книга”. История крестьянскаго движения в Черноморской губернии. Сборник материалов и документов. Прага. 1921.
98. Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп.1, д.1. Л.3.
99. Какурин Н. Е. Как сражалась революция. Т. 2. - М.: Политиздат, 1990. - С. 245.
100. Исторический альманах. Лабиринт времени. Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации” Закавказья. http://www. hist.ru /kavbolsh.html.
101. Гражданская война в СССР / под общей ред. Н.Н. Азовцева. — М.: Воениздат, 1986. - Т. 2.
102. Борьба за власть в сочинском округе. Часть 2. http://www.lovlinskaja.ru/htm/article-sochi-preface.php.
103. Шамбаров В. Е. Белогвардейщина. — М.: Изд-во ЭКСМО-Пресс, 2002. — 640 с. (Серия „История России. Современный взгляд”). ISBN 5-04-009519-8. http:// militera.lib.ru/research/ shambarov1/index. html.
104. Азербайджан. Историческая хронология. http://www.azerbaijans.com/content_412_ ru. html.
105. Ленин В.И. ПСС. Т. 51.
106. Раймонд Дюге. „Москва и мученическая Грузия”. Париж. газета „Тетри Гиорги”. №4, 1927. Издательство GCI. Тбилиси. 1994г. http://scara.gov.ge/en/2010-03-17-12-47-30/history/82-l---r.html.
107. Г. Уратадзе. Воспоминания грузинского социал-демократа. Станфорд, Калифорния, 1929.
108. Г. Уратадзе. Общественное движение в Грузии в 1821-1921 г.г., Париж, 1939.
109. А. Енукидзе. Крах империалистической интервенции в Закавказье. Тбилиси. 1954.
110. Лампе А. А., фон. Причины неудачи вооружённого выступления белых. — М., 1991.
111. Андрей Зубов. „Политическое будущее Кавказа: опыт ретроспективно-сравнительного анализа”. „Знамя”. №4. (2000).
112. Письмо Сухумского городского главы В.Чхиквишвили о политической ситуации в Абхазии. 21 февраля 1918 г. ЦГАА, ф. И-4, оп.1, ч.II, д. 256, лл. 2-11. http:// abkhazeti.info/ history/ 20050617431371358753.php.
113. Из отчета о работе второго крестьянского съезда Сухумского округа. 4-9 марта 1918г. Эртоба, 1918, 22 и 24 марта, на грузинском языке. http://abkhazeti.info/ history/20050617424748874028. php.
114. В. Чхиквишвили о большевистской авантюре Абхазии. 17 апреля 1918 г. Эртоба, 1918, 17 апреля, на грузинском языке. http://abkhazeti.info/history/ 20050617431371358753.php.
115. Заявление НСА о меморандуме добровольческой армии английскому командованию. 15 апреля 1919 г. ЦГАА, ф.И-39, оп.1, д.7, лл.5-5об. http:// abkhazeti.info/ history/ 20050617580710561600.php.

116. Е. А. Эшба. Асланбек Шерипов, страница 164. http://abkhazeti.info/history/ 20050617224534872448.php.
117. Из союзного договора Юго-Восточного Союза казачьих войск, горцев Кавказа и вольных народов степей. 20 октября 1917 г. ЦГАА, ф. И-39, оп.1, Д.2, л.З. http:// abkhazeti.info/history/20050617224534872448.php.
118. Из статьи С.Пирцхалава „Забытый край" - о положении в Абхазии. 25 октября 1915 г. Сахалхо Пурцели, 1915, 25 октября. http://abkhazeti.info/history/ 20050616493890032439. php.
119. Г. Шервашидзе „Социализм в Грузии". 25-29 июня 1917 г. Сакартвело, 1917, 25-29 июня. http://abkhazeti.info/history/20050617221157965354.php.
120. Из протокола заседания АНС - о положении в крае. 18 июля 1918 г. ЦГАА, ф.И-39, оп.1, д.З, лл.9-9об.
121. Сталин И.В., Телеграмма Л.Д. Троцкому, 21 марта 1920 года, Собр. Соч., том 17.
122. Е. К. Саркисян. Экспансионистская политика Османской империи в Закавказье. Накануне и в годы Первой Мировой Войны. Академия наук Армянской ССР. Ереван. 1962. Стр 368. Людендорф. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. Т. II. М. 1924.
123. Послание генерала Людендорфа генералу Грёнеру**.** Киев, 12 июня 1918 г. ИСТОРИЧЕСКИЕ ИСТОЧНИКИ. http://1914ww.ru/dokum/191_dok/19180612lud. html.
124. Протокол. Совещания представителей абхазского населения Сухумского округа. 10 марта 1917 года. Абгосмузей, подлл. Ф. 3, оп. 1., д. 39, лл. 17-18. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 14. http://apsnyteka. org/file/Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
125. Книга воспоминаний. Часть 1 ::15. И.Т. Смилга ::Bo0k.net.
126. БОБКОВ Александр Сергеевич — научный сотрудник Института физической химии и электрохимии имени А.Н. Фрумкина (г. Москва), кандидат химических наук. ТАМБОВСКОЕ ВОССТАНИЕ: ВЫМЫСЛЫ И ФАКТЫ ОБ ИСПОЛЬЗОВАНИИ УДУШАЮЩИХ ГАЗОВ. Военно-исторический журнал Министерства обороны РФ. http://history.milportal.ru/2011/06/tambovskoe-vosstanie-vymysly-i-fakty -ob-ispolzovanii-udushayushhix-gazov/.
127. Наталия Ивановна КАЛИНИНА -- профессор, доктор медицинских наук, главный научный сотрудник ИМЭМО, помощник Председателя Правительства РФ (в отставке). Конвенция о запрещении биологического оружия. История появления и современное состояние. Центр по изучению проблем разоружения, энергетики и экологии при МФТИ. http://www.armscontrol.ru/course/lectures05a/nik 050317.htm.
128. Михаил Васильевич Супотницкий. кандидат биологических наук. „Забытая химическая война 1915–1918 гг." Химическая война в России. Применение химического оружия в операциях Первой мировой войны // Офицеры. — 2010. — № 5 (49). — С. 54–59. http://www.supotnitskiy.ru/stat/stat76.htm.
129. Из доклада делегации Грузии на Парижской мирной конференции о политических требованиях и границах. 14 марта 1919 г. Оккупация и фактическая аннексия Грузии. Документы и материалы. Тбилиси, 1990, с.61-62. http:// abkhazeti.info/ history/ 2005061754 5628099382.php.
130. Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело". Тбилиси. 1965. http://apsnyteka.org/1178-bgazhba_m_nestor_lakoba. html.
131. Филимонов. А. П. Разгром Кубанской рады// АРР. Т.5. Берлин, 1922.
132. Клаузевиц. О войне. Государственное Военное Издательство Наркомата Обороны Союза ССР. Москва. 1937.

133. ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/07-09/ZaytsevAA.doc.
134. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси. 1919.
135. М. Д. Гогитидзе. Военная элита Кавказа. Генералы и адмиралы из Грузии. Научно-исследовательский центр истории Грузино-Кавказских отношений. Тбилиси. 2007. Абгосмузей. Ф. 4, оп. 1, д. 86, л. 15. http://apsnyteka. org/file/ Abkhazjadokumenty_i_ materialy_1 917_1921.pdf.
136. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми _ 2009. „Наше слово”. Сухуми. 1919г. 15 июня, №127. http://apsnyteka.org/file /Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
137. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми _ 2009. „Наше слово”. Сухуми. 1919г. 14 июня, №127. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
138. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Музей Абхазии, дело №8, л. 27. Абгосмузей, ф., 4, оп. 1, д. 72, л. 1. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
139. Газ. „Известия”. 1918. 9/III. №213. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
140. Абгосмузей. Ф. 3, оп. 1, д. 39, лл. 27 об – 28 об. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
141. Газ. „Сухумская правда”. 1918, четверг, 16 мая, №23. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
142. Михаил Тарнава. Воспоминания о революционном движении в Абхазии за 1917-1921 годы. Фрагменты. Действительный съезд Абхазских крестьянских депутатов. Журнал „Литературная Абхазия”. Сухуми. 1991. №1. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http:// apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
143. Газета „Наше слово”. Сухуми. 1918, 16 августа. №68. http://apsnyteka. org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
144. Друг. Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г.г. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
145. Газета „Наше слово”. Сухуми. 1918, 30 августа. №78. Стр. 2. http:// apsnyteka.org /file/Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
146. А. М. Чочуа. Собрание сочинений Воспоминания. Смутное время. В трех томах. Том третий. Сухуми. 1976. Абхазия _ документы и матералы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf.
147. „Кавказский Акцент”. 2000 г. №3,4,5. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
148. Арчелиа Алыкса. Абжьуаа рхуштаара. Акуа, 1990, стр. 26-31. Перевод с абхазского. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http:// apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf.

149. Газета „Наше слово”. Сухуми. 1919, 21 марта. №60. Стр. 2. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
150. Август Густавович Мартин. Автобиография А. Мартина и его воспоминания о педагогической деятельности в Абхазии до революции и его участии в Абхазском Народном Совете. Сухуми. 14-го мая 1969 года. Абгосмузей. Ф. 3, оп. 1, д. 89, лл. 38-72.
151. „Наше слово’’. Сухуми. Пятница №241 (701). 29 Октября 1920 года. Стр. 3.
152. Лакоба Станислав. К ВОПРОСУ О КАВКАЗСКОЙ КОНФЕДЕРАЦИИ. Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 гг.), Горская республика (1918-1920 гг.). Документы и материалы. Махачкала, 1994. С. 4-5, 134. http://fatiha.ru/fatih/ konfederac.htm.
153. ЦГАА, ф. 339, д. 18, л. 54. Абхазия _ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Стр. 80. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja_ dokumenty_i_ materialy _1917_1921.pdf .
154. Декрет №1 Временного правительства союза горцев. 4 декабря 1917 г. ЦГАА, ф. И-39, оп.1, д.2, л.5. http://abkhazeti.info/history/20050617392349061106. php.
155. Ираклий Геленава. Абхазия с 1881г. до февраля 1917 года. Ужесточение колониальной политики в 1881-1905 годах. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти”. Тбилиси. 2009. Стр. 421-422. А.Силагадзе, В. Гурули. Из истории борьбы за неделимость Грузии. Раздел II. Тб., 1999.
156. Леван Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии. (Страницы истории 1921-1931). Дж. Гамахария. Из истории грузино-абхазских взаимоотношений. Тб. 1991, с. 113 (на груз. яз.). http://www.georgianweb.com/history/rus/abkhazia.html#30.
157. Зураб Папаскири, доктор исторических наук, профессор Сухумского государственного университета. О т.н. „праве нации на самоопределение” и имперской политике большевистской России на южном Кавказе (1921г.). http://abkhazeti. info/news/1264893439. php.
158. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии. – Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999.
159. Ушаков А. И., Федюк В. П. Лавр Корнилов. — Москва: Молодая Гвардия, 2006. — С. 110. — 398 с. — (Жизнь замечательных людей). — 5000 экз. — ISBN 5-235-02836-8. http://ru..org/wiki/%D0%90D1%87.
160. РСФСР и Грузинская Демократическая Республика. Москва. 1922.
161. Н. Е. Какурин, И. И. Вацетис. Под редакцией А. С. Бубнова и др. СПб.: ООО Издательство „Полигон”, 2002. – 672 стр. http://militera.lib.ru/h/kakurin_vatsetis/ index.html.
162. Шевцов И. Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 4, ед. хр. 14, л. 45. http://militera.lib.ru/ memo/russian/shevtsov_ib/01.html.
163. Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. ЦГАКА, ф. 1559, оп. 1, д. 481, л. 87–88. http://militera.lib.ru/ memo/russian/ shevtsov _ib/01.html.
164. Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. Партархив Краснодарского крайкома КПСС, ф. 1774-Р, оп. 2, д. 82, л. 1. http://militera.lib.ru/memo/ russian/shevtsov_ib/01.html.
165. Шевцов И.Б. Особое задание. Издание второе, исправленное и дополненное. М. _ Политиздат. 1965. http://militera.lib.ru/memo/russian/shevtsov_ib/01.html.
166. Архивный отдел администрации города Новоросииска. (АОАГН). Ф. Р-5. Оп. 1. Д. 131. Л. 85.

167. Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920 гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени. 2011. Вып. 8. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov2011.pdf.
168. Воронович Н. В. Потонувший мир. Очерки прошлого. М., 2000. http://ida.aule.ee/ kirjutised/cherkasov 2011. pdf.
169. Зверев К. Адлер: Историко-географический очерк. Краснодар. 1973.
170. Крестьянская Черноморская газета. (Б.М.) 1920. 6 фераля. АОАГС. Ф. Р-282. Оп. 1. Д. 7. Л. 47.
171. Красильникова К. К. Партизанское движение на Кубани и Черноморье. Краснодар. 1957.
172. Газета „Красная правда". Сочи. 14 мая, 1920 года. http://ida.aule.ee/kirjutised/ cherkasov 2011.pdf.
173. АОАГС. Ф. Р-282. Оп. 2. Д. 85. Л. 78-79. http://ida.aule.ee/kirjutised/cherkasov 2011.pdf.
174. Черкасов. А. А. Крестьянское движение на Черноморье в период революции и Гражданской войны. Краснодар. 2003. http://ida.aule.ee/kirjutised/ cherkasov2011. pdf.
175. Население и хозяйство Кубанского округа: Статистический сборник за 1924-1926 гг. Т. 2. Краснодар. 1928.
176. Воронович Н. В. Меж двух огней. М., 1991.
177. Владимир Гаврзилович Иванцов. Кандидат исторических наук, доцент. Власть и общество на Кубани и Черноморье в 1920-1922 гг.: Советская власть в восприятии местного населения. Сочинский государственный университет. European researcher. 2011. №8 (11). http://www.erjournal.ru/ journals_n/1314681186. pdf.

2. ინგლისურენოვანი, ფრანგული, გერმანული:

1. Makers of Modern Strategy from Machiavelli to the Nuclear Age. Edited by Peter Paret. Hajo Holborn. The Prusso-German school: Moltke and the Rise of the General Staff. Princeton University Press. Princeton. New-Jersey. 1986.
2. Georgian Archive. Harvard University. Reel 91, box 28, book 85. http://iberiana. wordpress.com/osetinski_vopros/a-menteshashvili/.
3. The Red Army 1917-1923: Victor of the Russian Civil War. http://www.suite101.com/ content/the-red-army-19171923-a32832#ixzz19bBpIeBL.
4. V. I. Lenin. Tasks of the Proletariat in our Revolution, Collected Works, Vol. 24.
5. Svetlana Chervonnaya. History and Controversy: Short History of Abkhazia and Abkhazian-Georgian Relations. (Chapter 2 from the book "Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow", Glastonbury, 1994).

6. Chervonnaia, Svetlana Mikhailovna. Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow. Gothic Image Publications, 1994. http://www.hrw.org/reports/ pdfs/g/georgia/georgia 953.pdf.
7. Human Rights Watch report. Georgia/Abkhazia: Violations of the laws of war and Russia's role in the confjict. March 1995. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/ georgia953.pdf.
8. U.S. State Department, Country Reports on Human Rights Practices for 1993, February 1994, pp 877, 881, 891. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/georgia953.pdf.
9. Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded in Armies in the Field. Geneva, 22 August 1864. http://army.armor.kiev.ua/hist/zeneva-ran-1.php.
10. Laws of War: Laws and Customs of War on Land (Hague IV); October 18, 1907. The Convention. Yale Law School. The Avalon Project. Documents in Low, History and Diplomacy. http://avalon.law.yale.edu/20th_century/hague04.asp.
11. Stoddard, T. Lothrop. "Pan-Turanism". The American Political Science Review. Vol. 11, No. 1. (1917): 16. 1.
12. W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco_Caucasian border 1828_1921. Cambridge. 1953.
13. Sun Tzu. Translated and annotated by Lionel Giles (2005). The Art of War by Sun Tzu – Special Edition. El Paso Norte Press. ISBN 0-9760726-9-6.
14. Carl Von Clausewitz. Principles of War. Translated and edited with an introduction by Hans W. Gatzke. Dover publications, Inc. Mineola, New York. Millitary Service Publishing Company, Harrrisburg, Pennsylvania. 1942.
15. Napoleon and the Jews. By Ben Weider, CM, Ph.D. The International Napolionic Society. Florida State University, 1998. Web. 15 March 2010. http://www.napoleon-series.org/ ins/ weider/c_jews.html.
16. Times, New York (1918), Forrest, retrieved 2012-10-10. http://query.nytimes.com/ mem/ archivefree/pdf?res=9907EFDE1238EE32A2575BC2A9639C946996D6CF.
17. Catton. Bruce (1971). The Civil War. American Heritage Press, New York. Library of Congress Number: 77-119671. US Army. FM 3-0 ''Operations''.
18. XI Army and its combats in the Northern Caucasus and Lower Volga: 1918 – 1920, by V.T. Sukhorukov. Moscow, 1961.
19. Louis Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. Assembly of Turkish American Assosiation. www.ataa.org.
20. Dabag, Mihran "The Decisive Generation: Self-authorization and delegations in deciding a genocide" pages 113-135 from Genocide: Approaches, Case Studies, And Responses edited by Graham Charles Kinloch, Raj P. Mohan, New York: Algora Publishing, 2005.
21. Richard G. Hovannisian. ''The republic of Armenia. The first year, 1918-1919''. University of California Press, Berkley and Los Angeles, 1971.
22. Hovannes Kachaznouny. ''The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) has hothing to do any more". New-York. Edited by John Roy Carlson. 1955.
23. Richard Hovanniasian. Britain, Cab 27/38, E.C. 2655, 2690, 2721, 2726, 2770.
24. Richard Hovanniasian. WO 95/4955 da Cab. 27/39, E. C. 2980.
25. Richard Hovanniasian. Britain, WO 95/4880. General Staff War Diary. January. 1919. Appendix IV.
26. Richard Hovanniasian. Britain, WO, 95/4955. Operations in Macedonia, II, Pg. 307.
27. Richard Hovanniasian. The 27th division War Diary. Britain, WO 95/4880.
28. The Rebirth of Poland. University of Kansas, lecture notes by professor Anna M. Cienciala, 2004. Retrieved 2 June 2006.

29. Charlotte Hille. State building and conflict resolution in the Caucasus. Eurasian Studies Library. Historical, Political and Social Studies of Slavic and Islamic Cultures in the Eurasian Region. Copyright 2010 by Koninklijke Brill NV, Leiden, The Netherlands.
30. Firuz Kazemzadeh. The struggle for Transcaucasia (1917_1921). Philosophical Library. New York. 1951.
31. B. H. Liddell-Hart. Why Don't We Learn from History? Hawthorn Books, New York, NY. 1971.
32. Harry Luke. Cities and Men: an autobiography. 1953. Vol. II.
33. Cory Welt. A Missed Opportunity?: Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the Democratic Republic of Georgia (1918-1921). Washington D. C. 2012. Pg. 1-2. http:// home.gwu.edu/~cwelt/ EthnicAutonomyandRevolutionaryViolence.pdf.
34. Antoine Poidebard. Voiages au Carrefour des routes de Perse. Paris. 1923.
35. Hier nach: Politisches Archiv des Auswärtigen Amtes. Multilaterale Verträge des Deutschen Reiches, 309. Original. http://www.1000dokumente.de/?c=dokument_de&dokument=0011_bre&object=translation&l=ru.
36. General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943.

UDC (უაკ)355.48(479.22:470)+327.2(470)
ჩ-329

რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები)

რედაქტორი: **ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი.**

რეცენზენტები: **ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ გამახარია.**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა.

გამოცემის რედაქტორი: **ქეთევან ოსეფაიშვილი.**
ტექნიკური რედაქტორი: **პოლიტოლოგიის დოქტორი,**
ვიცე-პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე.
სტილისტი: **თინათინ პავლიაშვილი.**
დამკაბადონებელი: **სოფიო გოცაძე.**

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ. სხდომის ოქმი №19. 12.12.2013

ავტორი: **ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი არჩილ ჩაჩხიანი.**

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.
© არჩილ ჩაჩხიანი, 2014.

ISBN 978-9941-0-5988-9

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20.
ტელ.: +995 32 91-19-83
ფაქსი: +995 32 91-19-83

ტირაჟი 1270

2014